# სტივენ კინგი

## მწვანე გზა

სტივენ კინგი

# მწვანე გზა

ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ

მკითხველთა ლიგა

# პირველი ნაწილი

## ორი მკვდარი გოგონა

### 1

ეს ამბავი 1932 წელს მოხდა, როცა შტატის სასჯელაღსრულების დაწესებულება ჯერაც „ქოულდ მაუნთინში“ იყო და, რასაკვირველია, ელექტროსკამიც იქ იდგა.

პატიმრები ელექტროსკამზე ხშირად ხუმრობდნენ - ხალხი ხომ ყოველთვის ხუმრობს იმაზე, რისიც ძალიან ეშინია, მაგრამ თავს ვერ არიდებს - „ბებერ ნაპერწკალას“ და „დიდ შიშხინას“ ეძახდნენ. ირონიულად ამახვილებდნენ ყურადღებას ელექტროენერგიის გადასახადზე და ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ ციხის უფროს მურსს, ალბათ, მადლიერების დღისთვის ინდაურის შეწვა აქ მოუწევს, რადგან მისი ცოლი, მელინდა, ლოგინადაა ჩავარდნილიო.

თუმცა ვისაც იმ ელექტროსკამზე დაჯდომა უწევდა, სიცილის ხალისი მაშინვე ეკარგებოდა. „ქოულდ მაუნთინში“ მუშაობისას სამოცდათვრამეტ (ეს რიცხვი არასდროს შემეშლება, ალბათ, სასიკვდილო სარეცელზეც მემახსოვრება) სიკვდილით დასჯას ვუხელმძღვანელე და, მგონი, ბევრი სიკვდილმისჯილი სწორედ კოჭებით „ნაპერწკალას“ მუხის ფეხებზე მიბმისას ხვდებოდა, სინამდვილეში რა ხდებოდა მის თავს. ისინი ცხადად აცნობიერებდნენ

(ამ დროს თვალებში შიში ჩაუდგებოდათ ხოლმე), რომ საკუთარი ფეხით უახლოვდებოდნენ აღსასრულს. მართალია, ძარღვებში სისხლი უჩქეფდათ, მკლავში ძალა ერჩოდათ, მაგრამ რეალურად უკვე გვამები იყვნენ; ვეღარასდროს გაივლიდნენ სოფლის შარაგზაზე, ვეღარასდროს იცეკვებდნენ ტურფა გოგოებთან სოფლის დღესასწაულებზე. „ბებერ ნაპერწკალას“ კლიენტებს სიკვდილი კოჭებიდან უახლოვდებოდათ. ერთი შავი აბრეშუმის ტომარა გვქონდა, სიკვდილმისჯილებს თავზე ჩამოვაცვამდით ხოლმე, როცა ისტერიკულ ბურტყუნს და უადგილო შენიშვნებს მორჩებოდნენ. წესით, ტომარა სიკვდილმისჯილებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ბევრჯერ მიფიქრია, სინამდვილეში ჩვენ გვიცავდა, ის სასოწარკვეთა და შიში არ დაგვენახა, საზარელი სიკვდილის მოახლოებისას თვალებში რომ ჩაუდგებოდათ.

„ქოულდ მაუნთინში“ სიკვდილმისჯილთა საკნები E ბლოკში იყო განთავსებული; დანარჩენი ოთხი ბლოკისგან მოშორებული და ზომით მათი ნახევარი, ხით კი არა - აგურით იყო ნაშენი, ხოლო მისი ლითონის სახურავი ზაფხულის მხურვალე მზეში საზარლად აბრიალებულ თვალს ემსგავსებოდა. შენობაში სულ ექვსი საკანი იყო: სამ-სამი - განიერი დერეფნის ორივე მხარეს, ოღონდ სხვა შენობებში განთავსებულ, უბრალო პატიმრების საკნებზე ზომით ორჯერ დიდი. თანაც ამ საკნებში მხოლოდ თითო სიკვდილმისჯილს ამწყვდევდნენ. საკმაოდ დიდი ფუფუნებაა ციხისთვის (განსაკუთრებით ოცდაათიანი წლების ციხისთვის), მაგრამ დამიჯერეთ, სიკვდილმისჯილები ბევრ რამეს დათმობდნენ, ოღონდ კი ამ დიდი საკნებიდან სხვა შენობების უფრო ვიწრო საკნებში გადაეყვანათ.

მადლობა ღმერთს, ზედამხედველად ჩემი მუშაობის ხანგრძლივი დროის მანძილზე, ექვსივე საკანი ერთდროულად არასდროს ყოფილა დაკავებული. ყველაზე მეტი ოთხი სიკვდილმსიჯილი გვყოლია, თეთრკანიანებიც და შავკანიანებიც („ქო-

ულდ მაუნთინში“ მოსიარულე გვამებს შორის რასობრივი განსხვავება არ არსებობდა) და ის დრო ნამდვილ ჯოჯოხეთად მახსენდება. ერთ-ერთი ქალი იყო, ბევერლი მაკკოლი, ყვავის ტუზივით შავი და იმ ცოდვასავით მშვენიერი, რომლის ჩასადენად გამბედაობა არასდროს გეყოფა. ბევერლი ექვსი წელი ითმენდა იმას, რომ ქმარი გამუდმებით სცემდა, მაგრამ მისი განზე ყურება და სხვა ქალებში სიარული ვეღარ მოითმინა. ერთხელაც, როცა ქმრის ღალატის შესახებ შეიტყო, საწყალ ლესტერ მაკკოლს (ძმაკაცებსა და ერთდღიან საყვარლებში „მკრეჭავად“ ცნობილს), საპარიკმახეროს ზემოთ მდებარე ბინისკენ მიმავალს, კიბის თავთან დაუდარაჯდა. „მკრეჭავს“ ქურთუკის გახდაც არ აცალა, მისივე სამართებლით გამოუფატრა მუცელი და ნაწლავები გადმოაყრევინა. ორი დღით ადრე, სანამ „ბებერ ნაპერწკალაზე“ დასვამდნენ, ბევერლიმ საკანთან მიხმო და მითხრა, ჩემი აფრიკელი სულიერი მამა მესიზმრაო. ასე მითხრა, ეგ მონობის გვარი მოიშორე და თავისუფალი ადამიანის გვარით მოკვდიო. მთხოვა, სასიკვდილო განაჩენის წაკითხვისას ბევერლი მატუომის სახელით მომიხსენიეთო. ეტყობა, სულიერ მამას მისთვის სახელი არ დაურქმევია, ანდა, უბრალოდ, ვერ გაარკვია, თორემ ალბათ, იმასაც მეტყოდა. დავპირდი, კარგი, თხოვნას შეგისრულებ-მეთქი. ციხეში ზედამხედველად მუშაობის მრავალწლიანმა პრაქტიკამ მასწავლა, რომ სიკვდილმისჯილთა თხოვნაზე უარი არასდროს უნდა თქვა, თუ რასაკვირველია, თხოვნა კანონის ფარგლებს არ სცდება. ბევერლი მატუომის თხოვნის შესრულება აღარ დამჭირვებია. მომდევნო დღეს, სამი საათი იქნებოდა, შტატის გუბერნატორმა დარეკა და სასიკვდილო განაჩენის სამუდამო პატიმრობით შეცვლის შესახებ გვაუწყა. ბევერლი გრესი-ველის ქალთა გამოსასწორებელ კოლონიაში გადაიყვანეს - „ამდენი ქალია და არც ერთი მამრი,“ - ასე ვხუმრობდით ხოლმე იმ კოლონიაზე მაშინ. სიმართლეს გეტყვით, ძალიან გამიხარდა, როცა

მორიგე ოფიცრის მაგიდიდან ბევერლის სქელმა უკანალმა რხევა-რხევით მარცხნივ გაუხვია და არა - მარჯვნივ.

დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ გაზეთში ნეკროლოგს გადავაწყდი; ფოტოზე გამოსახული გამხდარი, ჭაღარა, შავკანიანი ქალბატონი სტრაზისჩარჩოიანი სათვალით, ბევერლი იყო. გაუთავისუფლებიათ და ბოლო ათი წელი პატარა ქალაქ რეინზ-ფოლსში ბიბლიოთეკარად უმუშავია. როგორც ნეკროლოგში ეწერა, ადგილობრივი ბიბლიოთეკა მარტოს გადაურჩენია ხანძრისგან. ამასთან ერთად, თურმე საკვირაო სკოლაშიც ასწავლიდა და იმ მყუდრო სავანეში ბევრისთვის შეუყვარებია თავი. **ბიბლიოთეკარი გულის შეტევით გარდაიცვალა** - იუწყებოდა სათაური. ქვეშ კი, წვრილი შრიფტით, თითქოს ბოლოს გაახსენდათო, მიეწერათ: „მკვლელობის მუხლით ოც წელზე მეტი მოიხადა ქალთა გამოსასწორებელ კოლონიაში.“ მხოლოდ სტრაზისჩარჩოიანი სათვალის მინებქვეშ ფართოდ გახელილი, გაბრწყინებულითვალები შერჩენოდა იმ ქალისა, რომელიც სამოცდაათი წლის ასაკშიც, თუ დასჭირდებოდა, ნებისმიერს უყოყმანოდ გამოუსვამდა სამართებელს. მკვლელს ყოველთვის იცნობ, თუნდაც რომელიმე მიყრუებულ ქალაქში ბიბლიოთეკარად ასრულებდეს სიცოცხლეს. ყოველ შემთხვევაში, მკვლელების გარემოცვაში იმდენი წელი რომ გაგეტარებინათ, რამდენიც მე, აუცილებლად იცნობდით. ცხოვრებაში ერთადერთხელ დავეჭვდი ჩემი სამსახურის არსში. მგონი, სწორედ ამიტომაც გიყვებით ამ ამბავს.

E ბლოკის დერეფანში მკვახე ლაიმისფერი ლინოლეუმი იყო დაგებული, ამიტომაც სხვა ციხეების სიკვდილმისჯილებისგან განსხვავებით, „ქოულდ მაუნთინის“ სიკვდილმისჯილები „უკანასკნელ გზას“[1] - მწვანე გზას ეძახდნენ. მწვანე გზა სამოციოდე

[1] გზა, რომელსაც სიკვდილმისჯილები საკნიდან ელექტროსკამამდე გადიან (მთ. შენიშვნა)

დიდი ნაბიჯის სიგრძის იქნებოდა. დერეფნის შორეულ ბოლოში დამამშვიდებელი ოთახი მდებარეობდა, თავში კი - T-სებრი გზაჯვარედინი. მარცხნივ გახვევა სიცოცხლეს ნიშნავდა - თუ შეიძლება სიცოცხლე ეწოდოს ცხელი მზის გულზე, ეზოში სეირნობას. არადა, ბევრი მართლა ასე უწოდებდა და მრავალი წლის განმავლობაში ამით ცხოვრობდა, ყოველგვარი უარყოფითი შედეგის გარეშე. ქურდები, ხანძრის გამჩენი თაღლითები, მოძალადეები - ერთად დასეირნობდნენ, საუბრობდნენ და თავიანთ წვრილმან საქმეებს არჩევდნენ.

აი, მარჯვნივ გახვევა კი, სულ სხვა საქმე იყო. თავიდან ჩემს კაბინეტში შეხვიდოდით (იქაც მწვანე ხალიჩა ეფინა, რომლის შეცვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ თავი ვერაფრით მოვაბი), გვერდს აუვლიდით ჩემს საწერ მაგიდას, რომლის ერთ მხარეს, მარცხნივ, კედელზე აშშ-ის, ხოლო მეორე მხარეს, მარჯვნივ, ჩვენი შტატის დროშა ეკიდა. ჩემი კაბინეტის შორეულ ბოლოში ორი კარი იყო, ერთი შედიოდა საპირფარეშოში (რომელსაც E ბლოკის მცველები ვიყენებდით და ზოგჯერ ციხის უფროსი მურსიც), მეორე კი რაღაც სათავსოსა თუ საწყობის მსგავსში. მწვანე გზა აქ მთავრდებოდა.

კარი ძალიან დაბალი იყო, მეც თავის დახრა მიწევდა საწყობში შესვლისას, ხოლო ჯონ კოფი ერთხელ მუხლებზე მდგარი შეხოხდა, რადგან სხვანაირად ვერ შეეტია. კარით კიბის პატარა ბაქანზე გახვიდოდით, ბეტონის სამი საფეხურის ჩავლის შემდეგ კი პარკეტის იატაკიან საშინელ ოთახში მოხვდებოდით. იმ ოთახში გათბობა არ იყო და სუსხიან ზამთარში საკუთარ ორთქლში იკარგებოდით, ხოლო ცხელ ზაფხულში ოფლში იწურებოდით და სული გეხუთებოდათ. ელმერ მანფრედის სიკვდილით დასჯისას - 1930 წლის ივლისი იყო თუ აგვისტო, ზუსტად არ მახსოვს - ცხრა მოწმეს წაუვიდა გული.

საწყობის მარცხენა კუთხეშიც, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე სუფევდა; იქ ელაგა ხელსაწყოები (ჯაჭვებით ისე გადაბმული, გეგონებოდათ, ნიჩბები და წერაქვები კი არა, კარაბინებიაო), მშრალი ტილოები, თესლეულით სავსე ტომრები ციხის პატარა ბაღ-ბოსტნისათვის, ტუალეტის ქაღალდის ყუთები, ციხის ტიპოგრაფიისთვის განკუთვნილი ცარიელი ბლანკებით გატენილი სტელაჟები... კირით სავსე ტომრებიც კი; კირს პატიმრები ბეისბოლის ან ამერიკული ფეხბურთის მოედნების მოსახაზად იყენებდნენ. თამაშები ე. წ. იალაღზე იმართებოდა და შემოდგომის დადგომას „ქოულდ მაუნთინის“ ციხეში მოუთმენლად ელოდნენ.

აი, მარჯვნივ კი, სიკვდილი იცდიდა. საწყობის შორეულ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში თავად „ბებერი ნაპერწკალა“ იდგა სქელი მუხის ფეხებით, სიცოცხლის ბოლო წამებში სიკვდილის შიშით დაზაფრული სიკვდილმისჯილების ოფლით გაჟღენთილი მუხის სქელი მკლავსადებებითა და, ჩვეულებრივ, სკამის საზურგეზე დაუდევრად გადაკიდებული ლითონის ჩაფხუტით, ბაკ როჯერსის კომიქსების რობოტი ბიჭუნას კეპს რომ წააგავდა. ჩაფხუტს მიერთებული ელექტროსადენი სკამის უკან, ბეტონის კედელში გაბურღულ, ჩობალჩატანებულ ხვრელში გადიოდა. იქვე ახლოს თუნუქის პატარა ვედრო იდგა. შიგ ზუსტად ლითონის ჩაფხუტის ზომაზე გამოჭრილ სველ ღრუბელს დაინახავდით. სიკვდილით დასჯამდე, ღრუბელს მარილწყალში ვასველებდით, რომ ელექტროსადენიდან გამომავალი დენი, ღრუბლის გავლით, პირდაპირ სიკვდილმისჯილი პატიმრის ტვინისკენ წასულიყო.

# 2

1932 წელი ჯონ კოფის წელი იყო. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, დეტალებს იმდროინდელ გაზეთებში გაეცნოს და კარგი იქნება, თუ თხრობით არ დაღლის დაუძლურებულ ბერიკაცს, რომელიც ჯორჯიის მოხუცთა თავშესაფარში ატარებს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს. კარგად მახსოვს, ცხელი შემოდგომა იდგა, ძალზე მცხუნვარე. ოქტომბერში ლამის აგვისტოსავით ცხელოდა. ციხის უფროსის ცოლი, თავის ტკივილებით შეწუხებული მელინდა, ინდიანოლის საავადმყოფოში მოათავსეს. იმ შემოდგომაზე საშარდე გზების მწვავე ინფექცია დამემართა. იმდენად ავადაც არ გავმხდარვარ, რომ მელინდასავით საავადმყოფოში დავეწვინე, მაგრამ ყოველი მოშარდვისას, აუტანელი ტკივილით გატანჯული, სიკვდილს ვნატრობდი. ის შემოდგომა სიკვდილმისჯილ დელაკრუასიც იყო, ჩია ტანის, თითქმის სულ მელოტი ფრანგისა, რომელსაც პატარა წრუწუნა ჰყავდა მოშინაურებული. წრუწუნა იმ ზაფხულს შემოგვეჩვია, ძაფის კოჭს მარჯვედ დააგორებდა წინ და უკან და გვახალისებდა. და მაინც, ყველაზე მეტად ის შემოდგომა იმით გამოირჩეოდა, რომ ბლოკში ჯონ კოფი გამოჩნდა - ტყუპი დეტერიკების გაუპატიურებისა და მკვლელობისათვის სიკვდილმიჯილი.

ჩვენს ბლოკში ოთხი ან ხუთი მცველი ყოველთვის მორიგეობდა. თუმცა, მათი უმეტესობა სეზონური მოსამსახურე იყო. დინ სტენტონი, ჰარი ტერვილიგერი და ბრუტუს ჰაუელი (რომელსაც ყველა მხეცსეძახდა, ოღონდ ბრგე აღნაგობის გამო, თორემ ისე, თუ საქმეს არ სჭირდებოდა, ჭიანჭველასაც არ დაადგამდა ფეხს) - დღეს ცოცხლები აღარ არიან. პერსი უეტმორიც მკვდარია, აი, ეგ კი მართლაც მხეცი იყო... და, პირდაპირ გეტყვით, იდიოტიც. პერსისნაირ გულღრძო და უვარგის პიროვნებას, წესით, E

ბლოკში არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ გუბერნატორის ცოლის ნათესავი იყო და ამიტომ დააწყებინეს მუშაობა.

სწორედ პერსი უეტმორმა შემოიყვანა ჯონ კოფი ჩვენს ბლოკში, მისი აზრით, ტრადიციული შეძახილით:

- ცოცხალი გვამი მოდის! ცოცხალი გვამი მოდის!

ოქტომბრის მიუხედავად, ისე ცხელოდა, როგორც ჯოჯოხეთის ბჭეებთან. სასეირნო ეზოში გამავალი კარი გაიღო და გარედან მზის კაშკაშა სხივები შემოიჭრა. იმავდროულად, გამოჩნდა გოლიათი ადამიანი, რომლისხელაც მხოლოდ კალათბურთელები თუ მინახავს ტელევიზორში აქ, ამ პანსიონატის დასასვენებელ ოთახში, სადაც დორბლიან მოხუცებთან ერთად ვარ გამოკეტილი. მაჯებსა და ფართო გულმკერდზე ჯაჭვები ჯვარედინად ჰქონდა შემოხვეული, ფეხებზეც ბორკილები ედო და მკვახე ლაიმისფერ ლინოლეუმზე სიარულისას მათ შორის გაბმული ჯაჭვის რგოლები რკინის მონეტებივით უჟღარუნებდა. ერთ მხარეს პერსი უეტმორი ამოსდგომოდა, მეორე მხარეს - გამხდარი ჰარი ტერვილიგერი და რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, პატარა ბავშვებს დათვი შეუპყრიათო. თვით ბრუტუს ჰაუელიც კი, ჯონ კოფისთან შედარებით, პატარა ბიჭუნად გამოიყურებოდა; არადა, საკმაოდ მხარბეჭიანი, ჯმუხი მხეცი 1,8 მეტრის სიმაღლისა მაინც იქნებოდა, უფრო მეტისა თუ არა. ლუიზიანის უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდშიც კი თამაშობდა, მაგრამ გამოცდებზე ჩაიჭრა და უნივერსიტეტიდან გარიცხული, ისევ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა.

ჯონ კოფი შავკანიანი იყო, როგორც უმეტესობა სიკვდილმისჯილებისა, რომლებიც E ბლოკში მცირე ხნით რჩებოდნენ - იქამდე, სანამ „ბებერი ნაპერწკალას“ კალთაში არ ამოხდებოდათ სული. კალათბურთელებივით ორი მეტრის სიმაღლისა იყო - ოღონდ არა მათსავით აწოწილი - ხელფეხდაკუნთული, ჩასხმული და მხარბეჭიანი. მისთვის ყველაზე დიდი ზომის კომბინეზონი შეერ-

ჩიათ, მაგრამ მაინც არ მორგებოდა; შარვლის ტოტები მხოლოდ სქელ, დასერილ კანჭებამდე სწვდებოდა, გადაღეღილი პერანგი მუცელს ვერ უფარავდა, ხოლო სახელოები მკლავებზე შემოტმასნოდა. ცალ ხელში კეპი ჩაებღუჯა, ისიც მეტისმეტად პატარა: მრგვალ, მოტვლეპილ თავზე რომ დაეხურა, ალბათ, მეარღნის მაიმუნს დაემსგავსებოდა, ოღონდ ქუდი წითელი კი არა, ლურჯი იყო. რომ მოენდომებინა, ისევე ადვილად გაგლეჯდა ჯაჭვებს, როგორც თქვენ საშობაო საჩუქარზე შემოხვეულ ლენტს, მაგრამ სახეზე ცხადად ეწერა, რომ ამას არასდროს იზამდა. ბრიყვი ნამდვილად არ იყო (აი, პერსის კი მაშინვე ასე მოეჩვენა და მალე „იდიოტიც“ შეარქვა), მაგრამ დაბნეული ჩანდა. გარშემო ისე იყურებოდა, თითქოს ვერ გარკვეულა, სად იმყოფება ან საკუთარი ვინაობა დაავიწყდაო. ჯონ კოფი შავკანიან სამსონს ჰგავდა... ოღონდ იმ სამსონს, დალილას მოღალატე ხელმა თმა რომ ერთიანად გადაპარსა და ძალა გამოაცალა.

- ცოცხალი გვამი მოდის! - გაჰყვიროდა პერსი და დათვივით კაცს შებოჭილ ტორებზე ისე ექაჩებოდა, თითქოს მის დაძვრას მოახერხებდა, თავად ჯონ კოფის რომ არ ნდომოდა სიარული. ჰარი არაფერს ამბობდა, ოდნავ შემცბარი ჩანდა. - ცოცხალი გვამი...

- საკმარისია! - გავძახე მე. ჯონ კოფისთვის განკუთვნილი საკნის საწოლზე ვიჯექი. რასაკვირველია, ვიცოდი, რომ პატიმარი მოჰყავდათ და მას ველოდი, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასეთ გოლიათთან თუ მომიწევდა შეხვედრა. პერსიმ ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, ყველამ იცის (გარდა ამ რეგვენი დათვისა, რომელსაც, პერსის აზრით, მხოლოდ პატარა გოგონების გაუპატიურება და დახოცვა ეხერხებოდა), რა დებილიც ხარო, თუმცა ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

პატიმარი და ორი მცველი საკნის ღია კართან შედგნენ. ჰარიმ მკითხა:

- დარწმუნებული ხართ, რომ მასთან საკანში დარჩენა გსურთ, ბოს?

მე თავი დავუქნიე.

ჰარი ტერვილიგერი ანერვიულებული იშვიათად მენახა - ექვსი თუ შვიდი წლით ადრე, პატიმრების ჯანყის დროს, გვერდით უშიშრად მედგა და მაშინაც კი არ შემდრკალა, როცა ხმა გავრცელდა, რამდენიმე პატიმარს იარაღი აქვსო. ახლა კი აშკარად ნერვიულობდა.

- იმედია, პრობლემებს არ შემიქმნი, დიდო ბიჭო! გასაგებია? - ვკითხე კოფის საწოლზე ჩამომჯდარმა და ვცადე, ჩემი უძლურება არ გამემჟღავნებინა - ზემოთ ნახსენები საშარდე გზების ინფექცია შემდგომში უფრო მტკივნეული გახდა, მაგრამ თუ დამიჯერებთ, არც იმ დღეს ვგრძნობდი თავს ხარივით.

კოფიმ ნელა დამიქნია თავი - ერთხელ ქვემოთ დასწია, ისევ ასწია და გაშეშდა. თვალს არ მაცილებდა.

ჰარის ცალ ხელში კოფის საბუთებიანი საქაღალდე ეჭირა.

- ეგ მას მიეცი, - ვუთხარი ჰარის.

ჰარი ასეც მოიქცა. ყეყეჩმა გოლიათმა მთვარეულივით გამოართვა საქაღალდე.

- ახლა მე მომეცი, დიდო ბიჭო, - ვუთხარი და კოფიმაც ჯაჭვების ჩხრიალით გადმომცა საქაღალდე. საკანში შემოსასვლელად თავის დაწევა დასჭირდა.

ყურადღებით ავათვალიერ-ჩავათვალიერე იმაში დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად ამხელა იყო და თვალი არ მატყუებდა. დიახ, ის მართლაც ორი მეტრის და სამი სანტიმეტრის სიმაღლისა იყო. ანკეტაში „წონის“ გასწვრივ 127 კგ მიეთითებინათ, მაგრამ მგონი, უფრო მძიმე იყო, დაახლოებით 145 კგ მაინც იქნებოდა. „ნაიარევების და სხვა განმასხვავებელი ნიშნის“ გასწვრივ რეგისტრატორთა ერთგული მეგობრის, „მაგნუსონის“ გამრჯე საბეჭდი მანქანის შრიფტით ეწერა: „მრავალგვარი“.

თავი ავწიე. კოფი ოდნავ განზე გაწეულიყო. ჰარი დერეფანში დელაკრუას საკნის წინ იდგა - როცა კოფი ჩვენთან მოიყვანეს, E ბლოკში მხოლოდ დელაკრუა გვყავდა. დელი გამხდარი, მელოტი კაცი იყო, სახეზე ყოველთვის მღელვარება ეხატა იმ ბუღალტერივით, რომელსაც ეშინია, გაფლანგული ფულის შესახებ ნებისმიერ წამს შეიტყობენო. მოშინაურებული თაგუნია მხარზე აჯდა.

პერსი უეტმორი უკვე ჯონ კოფის საკნის კართან იდგა. სპეცშეკვეთით დამზადებული ბუდიდან რეზინის ხელკეტი ამოეღო და ხელისგულზე იტყაპუნებდა, თითქოს გვანიშნებდა, შემიძლია ეს სათამაშო გამოვიყენოო. რატომღაც მაშინვე მისი იქიდან გაგდება მომინდა. შესაძლოა, ეს სეზონისთვის უჩვეულო სიცხის ბრალი იყო ან საშარდე გზების ინფექციისა, რის გამოც საზარდული მიხურდა და მექავებოდა და ფლანელის საცვალი ძლიერ მაწუხებდა; ან იქნებ იმან გამაბრაზა, რომ შტატმა გონებაჩლუნგი შავკანიანი გამომიგზავნა სიკვდილით დასასჯელად, პერსის კი აშკარად უნდოდა მისი „დამუშავება“? არ ვიცი. ისიც შეიძლება, რომ ამ ყველაფერმა ერთად იმოქმედა ჩემზე. ასე იყო თუ ისე, პერსის გავლენიანი ნაცნობები მცირე ხნით სულ გადამავიწყდა.

- პერსი, დღეს ლაზარეთი გადააქვთ, - ვუთხარი.

- მაგ საქმეს ბილ დოჯი ხელმძღვანელობს...

- ვიცი, - ვთქვი მე, - წადი და დაეხმარე.

- ეგ მე არ მევალება, - თქვა პერსიმ, - მე ამ დალენჩებულ ლოქოს უნდა მივხედო.

„ლოქოებს“ პერსი ტანმაღლებს და მსუქნებს ეძახდა. თავად პერსის გამხდარს ვერ უწოდებდით, განსხვავებით ჰარი ტერვილიგერისგან, მაგრამ ტანდაბალი კი ეთქმოდა. ყოყლოჩინა ტიპი იყო, აი ისეთი, ჩხუბის წამოწყება რომ უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იცის, რომ გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ყოყლოჩი-

ნა და გაფხორილი, ყოველ წამს თმას რომ ისწორებს, ვარცხნილობა ხომ არ გამიფუჭდაო.

- ამას შენი მიხედვა აღარ სჭირდება, - ვუთხარი, - ლაზარეთში წადი.

პერსიმ ქვედა ტუჩი გამობერა. ბილ დოჯი და მისი ბიჭები ყუთებს, სქელ საქაღალდეებს და საწოლებს ეზიდებოდნენ; მთელი ლაზარეთი საპატიმროს დასავლეთ ფრთაში ახალაშენებულ შენობაში გადაჰქონდათ. იმ სიცხეში სიმძიმეების თრევა პერსი უეტმორს ნამდვილად არ ეხალისებოდა.

- იქ უკვე საკმარისად არიან ბიჭები, - თქვა მან.

- მაშინ წადი და, უბრალოდ, თვალი ადევნე, ვითომ უფროსი ხარ, - ხმას ავუწიე.

ჰარი შეკრთა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. თვით გუბერნატორს რომ ებრძანებინა ციხის უფროსი მურსისთვის ჩემზე, უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის გაათავისუფლეო, ჰელ მურსი მაინც არ დამითხოვდა. სხვას ჩემს ადგილზე ვის დანიშნავდა? პერსის? გამორიცხულია.

- რაც გინდა, ის ქენი, პერსი, ოღონდ ცოტა ხნით აქაურობას მოშორდი.

წამით ვიფიქრე, რომ არ წავიდოდა და, აი, მაშინ კი მართლაც დიდი პრობლემა შეგვექმნებოდა, მით უმეტეს, რომ კოფი მთელი ამ ხნის მანძილზე მსოფლიოში უდიდესი გაჩერებული საათივით იდგა. მაგრამ პერსიმ ხელკეტი იმ თავის სულელურ ბუდეში ჩაიდო და დერეფანს გაუყვა. არ მახსოვს, რომელი ოფიცერი მორიგეობდა იმ დღეს - ალბათ, რომელიმე სეზონური მოსამსახურე იყო, მაგრამ როგორც ჩანს, პერსის მისი სახე არ მოეწონა, რადგან მაგიდასთან ჩავლისას ჩაიბურტყუნა, ეგ სულელური ღიმილი მოიშორე სიფათიდან, თორემ მე მოგაშორებო. გასაღების ჩხარუნი მომესმა. სასეირნო ეზოდან წამით მზის თვალისმომჭრელი სხივები შემოიჭრა და პერსი უეტმორმა დროებით დაგვტოვა. დე-

ლაკრუას თაგვი ულვაშების ცმაცუნით წინ და უკან დარბოდა პატრონის გამხდარ, თხელ მხრებზე.

- გაჩერდი, მისტერ ჯინგლს, - უთხრა დელაკრუამ და თაგვიც მის მარცხენა მხარზე გაჩერდა, თითქოს ნათქვამს მიხვდაო, - მშვიდად! - ლუიზიანელ ფრანგს მელოდიური აქცენტი ჰქონდა და მისი სიტყვები ეგზოტიკურად ჟღერდა.

- დაწექი, დელ, - მკაცრად ვუთხარი მას, - დაისვენე. არც შენ გეხება ეს საქმე.

დელაკრუა ჩემს ბრძანებას დაემორჩილა. მან ახალგაზრდა გოგონა გააუპატიურა და მოკლა, შემდეგ გვამი მისივე საცხოვრებელი კორპუსის უკან დააგდო, ნავთი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა, დანაშაულის კვალს წავშლიო. ცეცხლი შენობას გადაედო და ხანძარმა კიდევ ექვსი ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის, ორი ბავშვი. ეს ერთადერთი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. რბილი ხასიათის კაცი იყო, მუდმივად შეწუხებული სახე ჰქონდა და კეფაზე თმაჩამოზრდილი მელოტი თავი. მალე „ბებერ ნაპერწკალაზე“ დაჯდომა მოუწევდა, რომელიც წამებში მოუღებდა ბოლოს... ის საშინელი არსება, რომელმაც საზარელი დანაშაული ჩაიდინა, აღარ არსებობდა - საწოლზე სულ სხვა ვინმე იწვა, რომლის ხელისგულებზე პატარა თაგვი უშიშრად დასუნსულებდა. სწორედ ეს იყო ყველაზე ცუდი: ვერც „ბებერი ნაპერწკალა“ წვავდა და ვერც დღევანდელი ინიექციები აძინებს იმას, რაც სიკვდილმისჯილების სულში იმალება. ბოროტება ყოველთვის თავისუფლდება, ვინმე სხვაში იბუდებს და ჩვენ მხოლოდ ცარიელ ფიტულებს ვსჯით სიკვდილით.

გოლიათისკენ შევტრიალდი.

- ჰარის ბორკილები რომ მოვახსნევინო, წესიერად მოიქცევი?

მან თავი თითქოსდა კანკალით დამიქნია: დასწია, ასწია და ისევ გააშეშა. უცნაური თვალებით შემომხედა. მშვიდი მზერა ჰქონდა, მაგრამ ისეთი მშვიდი არა, რომ მივნდობოდი. ჰარის თი-

თით ვანიშნე, მოდი-მეთქი და მანაც ბორკილები ახსნა. ჰარი აღარ ნერვიულობდა. კოფის ხის კუნძებივით სქელ ფეხებთან უშიშრად დაიხარა. ამან ცოტათი მეც დამაწყნარა. ჰარის კოფი კი არა, პერსი ანერვიულებდა. მეც ჰარის ალღოს მივენდე. ე ბლოკ-ში ყველა თანამშრომლის ალღოს ვენდობოდი, გარდა პერსისა.

ახალ პატიმრებს ყოველთვის მოკლე სიტყვით ვხვდებოდი, მაგრამ კოფისთან შევყოყმანდი, რადგან ის მეტად არანორმალური მეჩვენა არა მხოლოდ სიდიდის გამო.

ჰარიმ უკან დაიხია (სანამ ბორკილებს ახსნიდნენ, კოფი პერშერონივით თვინიერად იდგა), მე ახალ პატიმარს ავხედე, საქაღალდეზე თითი დავაკაკუნე და ვკითხე:

- ლაპარაკი შეგიძლია, დიდო ბიჭო?

- დიახ, ბოს, შემიძლია, - მიპასუხა ბოხი და ბუბუნა ხმით. ტრაქტორის ძრავის გრუხუნი გამახსენა. ნამდვილი სამხრეთული აქცენტი არ ჰქონდა, მაგრამ შემდგომში მის სიტყვებში სამხრეთული კონსტრუქციები შევამჩნიე. თითქოს სამხრეთიდან ჩამოვიდა, მაგრამ სამხრეთელი არ იყო. უწიგნურივით არ საუბრობდა, თუმცა არც განათლებული ეთქმოდა. საუბარშიც, ისევ როგორც სხვა ბევრ რამეში, იდუმალი ჩანდა. ყველაზე მეტად მისი თვალები მაფიქრებდა - მშვიდი და ცარიელი მზერა, თითქოს სადღაც ძალიან, ძალიან შორს იყურებაო.

- ჯონ კოფი გქვია?

- დიახ, ბოს. ჩემი გვარი „ყავასავით“ ჟღერს, მაგრამ სხვანაირად იწერება.[2]

- მაშ, წერა-კითხვაც იცი?

- მხოლოდ ჩემი სახელის და გვარის, ბოს, - გულწრფელად მიპასუხა მან.

---

[2] ინგლისურად წიგნის პერსონაჟის გვარი Coffey და Coffee (ყავა) ერთნაირად გამოითქმის (მთ. შენიშვნა)

ამოვიხვნეშე და ჩემი მოკლე სიტყვის კიდევ უფრო შემოკლებული ვერსიით წარვდექი მის წინაშე. გადავწყვიტე, რომ ის პრობლემებს არ შეგვიქმნიდა. რაღაც მხრივ, მართალი გამოვდექი, რაღაც მხრივ - არა.

- პოლ ეჯკუმი მქვია, - გავეცანი მას, - E ბლოკის უფროსი ზედამხედველი ვარ. თუ ჩემგან რამე გინდა, სახელით მომმართე. თუ მე აქ არ ვიქნები, ამ კაცს სთხოვე - მას ჰარი ტერვილიგერი ჰქვია. ან მისტერ სტენტონს და მისტერ ჰაუელს სთხოვე. გასაგებია?

კოფიმ თავი დამიქნია.

- ოღონდ ნუ გგონია, რომ ყველაფერს მიიღებ, რასაც მოითხოვ. ჩვენ გადავწყვეტთ, შენთვის რა არის საჭირო - ეს სასტუმრო არაა. ესეც ხომ გასაგებია?

კოფიმ კიდევ ერთხელ დამიქნია თავი.

- აქ ჩვენ სიმშვიდე გვიყვარს, დიდო ბიჭო, აქაურობა საპატიმროს სხვა ბლოკებს არ ჰგავს. აქ მხოლოდ შენ და დელაკრუა ხართ. არ იმუშავებ. მეტწილად, იჯდები. დრო გექნება, რაღაც-რაღაცებზე დაფიქრდე, - მეტისმეტად ბევრი დროც კი-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა არ მითქვამს, - თუ ყველაფერი რიგზეა, ზოგჯერ რადიოსაც ვრთავთ. გიყვარს რადიოს მოსმენა?

კოფიმ თავი დამიქნია, მაგრამ დაეჭვებულ მზერაზე ეტყობოდა, რომ ვერც კი წარმოედგინა, რა იყო რადიო. მოგვიანებით გავარკვიე, რომ გარკვეულწილად, ასეც ყოფილა. ზოგჯერ კოფი ნივთებს და საგნებს მხოლოდ მაშინ ცნობდა, როცა მათ ხედავდა. მაგალითად, „ჩვენი გოგონა სანდეის“[3] ყველა პერსონაჟის სახელი იცოდა, მაგრამ პიესის დასასრული ბუნდოვნად ახსოვდა.

- თუ წესიერად მოიქცევი, საჭმელს დროულად მიიღებ, დერეფნის ბოლოს ყველასგან მოშორებით დამამშვიდებელ ოთახ-

[3] Our Gal Sunday - ბროდვეის სპექტაკლი; შემდგომში პოპულარული რადიოსერიალი.

ში არ ჩაგკეტავთ და არც ისეთ პერანგსჩაგაცმევთ, ზურგზე რომ იკვრება. შუადღით, ორ საათს ისეირნებ ეზოში, გარდა შაბათისა, როცა პატიმრები ფეხბურთს თამაშობენ. თუკი ვინმეს შენი ნახვა მოუნდება, შეეძლებათ, კვირა შუადღით გინახულონ. ნაცნობები თუ გყავს, კოფი?

- არავინ, ბოს, - თავი გააქნია მან.

- მაშინ ადვოკატი მაინც შემოგივლის.

- არა მგონია, ბოს, - თქვა მან, - ადვოკატი დროებით გამომიყვეს. არა მგონია, ამ მთებში მომაგნოს.

ყურადღებით დავაკვირდი, მაგრამ სახეზე ხუმრობის კვალი ვერც კი შევატყვე. ისე, დიდად არც ველოდი. იმ დროში ჯონ კოფისნაირებს გასაჩივრების უფლება არ ჰქონდათ; სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მათ მთელი მსოფლიო ივიწყებდა და მხოლოდ გაკვრით თუ ახსენებდნენ რომელიმე გაზეთში, ესა და ეს სიკვდილმისჯილი შუაღამით ელექტროსკამზე დასვესო. ზოგადად კაცი, რომელიც კვირაობით ცოლ-შვილსა და მეგობრებს ელოდა, სხვაზე უფრო ადვილად გასაკონტროლებელი იყო, თუ კონტროლზე მიდგებოდა საქმე. როგორც ჩანდა, კოფის გაკონტროლება არ გაგვიჭირდებოდა და ეს ძალიან მახარებდა, რადგან, ჯანდაბა, - ძალიან დიდი იყო.

საწოლზე ადგილი მოვინაცვლე. მერე ვიფიქრე, რომ წამოდგომა წელს ქვემოთ ოდნავ შვებას მომგვრიდა და ავდექი. კოფი თავაზიანად გადგა განზე და ხელები გულზე დაიკრიფა.

- აქ როგორი ცხოვრება გექნება, მძიმე თუ იოლი, შენზეა დამოკიდებული, ყმაწვილო. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ შეგიძლია, ჩვენც გაგვიიოლო საქმე. ისე მოგეპყრობით, როგორც დაიმსახურებ. შეკითხვა ხომ არ გაქვს?

- ღამით შუქს ანთებულს ტოვებთ? - მკითხა სასწრაფოდ, თითქოს მთელი ეს დრო მხოლოდ ამას ელოდაო.

გაკვირვებული მივაშტერდი. ე ბლოკის ახალწვეულებს მრავალგვარი კითხვა დაუსვამთ ჩემთვის - ერთი ჩემი ცოლის მკერდის ზომითაც დაინტერესდა, მაგრამ ასეთი არავის არაფერი უკითხავს.

კოფი უხერხულად იღიმებოდა - თითქოს ხვდება, რომ არასერიოზულობად ჩაუთვლიან, მაგრამ თავს ვერ იკავებსო.

- თუ უცხო ადგილას ვარ, ღამით სიბნელეში დარჩენისა მეშინია, - დაამატა მან.

კიდევ ერთხელ შევათვალიერე - თავით ფეხებამდე - და სიბრალული ვიგრძენი მის მიმართ. სიკვდილმისჯილებიც კი იწვევენ სიბრალულს; ჩვენ ხომ მათი ბნელი მხარე არ გვინახავს, მათ დემონურ საქმეებს არ შევსწრებივართ.

- კი, აქ მთელი ღამე შუქი ანთია, - ვუპასუხე კოფის, - მწვანე გზა ღამის ცხრიდან დილის ხუთ საათამდე სანახევროდ განათებულია.

უცებ მივხვდი, რომ ჩემს ნათქვამს არასწორად გაიგებდა და დავამატე:

- ანუ, დერეფანი.

კოფიმ შვებით ამოისუნთქა და თავი დამიქნია. არ ვიცი, იქნებ არც ის იცოდა, რა იყო დერეფანი, მაგრამ 200-ვატიან ნათურებს საკნიდანაც კი დაინახავდა.

ბოლოს ისეთი რამ ჩავიდინე, რაც სხვა პატიმართან არასდროს მიქნია, - ხელი გავუწოდე. ახლაც კი არ ვიცი, რატომ. ალბათ, შუქზე საუბარმა იმოქმედა. ჰარი ტერვილიგერს ეს ძალიან გაუკვირდა. კოფიმ საოცრად ნაზად ჩამომართვა ხელი. ჩემი ხელის მტევანი მის ვეება ტორში ჩაიკარგა. ეს იყო და ეს. ბოთლში კიდევ ერთი ფარვანა გამოვამწყვდიე მოსაკლავად. საქმეს მოვრჩით.

საკნიდან გავედი. ჰარიმ კარი დახურა და ორივე საკეტით ჩაკეტა. კოფი ორიოდ წუთი არ განძრეულა, თითქოს არ იცის, რა ქნასო, შემდეგ საწოლზე ჩამოჯდა, ვეება ხელები მუხლებზე დაიწყო და დაღონებული ან მლოცველი კაცივით ჩაქინდრა თავი. შემდეგ უჩვეულო, თითქოს სამხრეთული აქცენტით რაღაც თქვა. გარკვევით გავიგე მისი სიტყვები, ოღონდ მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რა ჩაიდინა (იმისთვის, რომ სიკვდილმისჯილი გამოკვებო და მოუარო, სანამ საზღაურის გადახდის დრო არ მოაწევს, საჭირო არაა, მისი ნამოქმედარის შესახებ იცოდე), მაგრამ მაინც ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

- ვერ ვუშველე, ბოს, - თქვა მან, - ვცადე, ყველაფერი გამომესწორებინა, მაგრამ დავაგვიანე.

# 3

- პერსისთან პრობლემები შეგექმნება, - მითხრა ჰარიმ, როცა დერეფნის გავლით ჩემი კაბინეტისკენ მივდიოდით. დინ სტენტონი, შეიძლება ითქვას, რიგით მესამე ჩემს შემდგომ - (სინამდვილეში, ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა თანასწორი იყო და ამ სიტუაციას, მისი ნება რომ ყოფილიყო, პერსი უეტმორი თვალის დახამხამებაში „გამოასწორებდა“) - ჩემს სამუშაო მაგიდასთან იჯდა და საბუთებს ავსებდა. მე საბუთებში ქექვა დიდად არასდროს მეხალისებოდა. კაბინეტში შესულებს დინმა ერთი ამოგვხედა, ცერა თითით სათვალე გაისწორა და ისევ ქაღალდებში ჩარგო თავი.

- ეგ დამპალი აქ მოსვლის დღიდან პრობლემებს მიქმნის, - ვთქვი და ფრთხილად გავისწორე შარვლის უბე, მაგრამ მაინც ტკივილი ვიგრძენი და სახე დამემანჭა, - გაიგეთ რას ყვიროდა, როცა ის ზონზროხა შემოიყვანა?

- გავიგე, აბა, რა, - თქვა ჰარიმ, - მეც მათთან ერთად მოვდიოდი.

- მე ტუალეტში ვიყავი და მშვენივრად მესმოდა, - თქვა დინმა. ქაღალდის ფურცელი სახესთან მიიტანა, რომ შუქზე უკეთ დაენახა. ფურცელზე ყავის ფინჯნის რკალი და ნაბეჭდი ტექსტი მოჩანდა. დინმა ფურცელი დაჭმუჭნა და სანაგვეში ჩააგდო, - „ცოცხალი გვამი მოდის“ - ეს, ალბათ, თავის საყვარელ ჟურნალებში ამოიკითხა.

ჰო, ასეც იქნებოდა. პერსი უეტმორი ჟურნალების - Argosy, Stag და Men’s Adventure ერთგული მკითხველი იყო. ამ ჟურნალების ყოველ ნომერში თითო ამბავი მაინც ეხებოდა ციხეებს და საპატიმროებს და პერსი მათ ისე გულმოდგინედ კითხულობდა, გეგონება, კვლევას ატარებსო. მგონი, ცდილობდა ესწავლა, რო-

გორ მოქცეულიყო და მიაჩნდა, რომ ამ ჟურნალებში იპოვიდა საჭირო ინფორმაციას. ჩვენთან მუშაობა ენტონი რეის - „ცულიანი მკვლელის“ სიკვდილით დასჯის შემდეგ დაიწყო და ჯერ სიკვდილით დასჯაში მონაწილეობა არ მიეღო, თუმცა, ერთი სიკვდილით დასჯისთვის სააპარატოდან უკვე ედევნებინა თვალი.

- მას გავლენიანი ნაცნობები ჰყავს, - თქვა ჰარიმ, - ბლოკიდან მისი გაგდებისთვის პასუხს მოგთხოვენ, უფრო მეტად კი იმისთვის, რომ ნამდვილი სამუშაოს გაკეთებას ავალებ.

- არაფერიც არ დამივალებია, - ვუპასუხე. მართლაც არაფერი დამივალებია... თუმცა კი დიდად ვიმედოვნებდი, რომ პერსის მუშაობა მოუწევდა. ბილ დოჯი ის კაცი არ იყო, ვინმესთვის უსაქმოდ დგომის და ყურების უფლება მიეცა, - ამ წუთას ჩვენი გოლიათით უფრო ვარ დაინტერესებული. ეგ ხომ არ შეგვიქმნის პრობლემებს?

ჰარიმ დარწმუნებით გააქნია თავი.

- ტრაპინგუსის საოლქო სასამართლოში კრავივით თვინიერი ყოფილა, - თქვა დინმა. უჩარჩოო სათვალე მოიხსნა და ჟილეტზე გაწმინდა, - მართალია, იქ უფრო მეტი ჯაჭვით იყო შეკრული, ვიდრე მარლის სული, სკრუჯს რომ გამოეცხადა, მაგრამ რომ მოენდომებინა, იმ ჯაჭვებს ჯანდაბაში მოისვრიდა. ზორბა ვინმეა, არა? - იკითხა დინმა.

- ჰო, - დავეთანხმე, - ნამდვილი გოლიათია.

- „ბებერ ნაპერწკალას“ „მაქსიმალურ შეხრუკვაზე“ დაყენება მოგვიწევს მაგხელა უკანალის შესაწვავად.

- „ბებერ ნაპერწკალაზე“ ნუ დარდობ, - ცივად ვთქვი მე, - ეგ გოლიათსაც კი დააპატარავებს.

დინმა ცხვირის კეხზე სათვალისგან დატოვებული წითელი ლაქები

მოისრისა და თავი დამიქნია.

- ჰო, არის მაგაში სიმართლის მარცვალი, - თქვა მან.

- ვინმემ იცით, საიდან გაჩნდა... ტეფტონში? მგონი, ტეფტონში, არა?

- ჰო, - თქვა დინმა, - ტეფტონში, ტრაპინგუსის ოლქში. არავინ იცის, საიდან მოვიდა ან რას აკეთებდა, სანამ ტეფტონში გამოჩნდებოდა და იმას ჩაიდენდა, რაც ჩაიდინა. ალბათ, უმისამართოდ დაეხეტებოდა. თუ მართლა გაინტერესებს, საპატიმროს ბიბლიოთეკის გაზეთებიდან ცოტათი უფრო მეტის გაგება შეიძლება. ბიბლიოთეკას მომავალ კვირამდე არ გადაიტანენ, - გაიღიმა მან, - დაჯექი და უსმინე, როგორ ოხრავს და ბუზღუნებს შენი მეგობარი.

- აჯობებს, მაინც დავათვალიერო გაზეთები, - ვთქვი და ნაშუადღევს ასეც მოვიქეცი.

საპატიმროს ბიბლიოთეკა იმ შენობის ბოლოში მდებარეობდა, რომელიც საპატიმროს ავტოსახელოსნოდ უნდა გადაეკეთებინათ - ყოველ შემთხვევაში, ასე იგეგმებოდა. სინამდვილეში კი, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული ვინმეს ჯიბეში წავიდოდა. რა საკვირველია, ამაზე ხმამაღლა არ ვსაუბრობდი, რადგან გარშემო „დიდი დეპრესია“ მძვინვარებდა. კარგი იქნებოდა, პერსიზეც ნაკლები მელაპარაკა, მაგრამ ზოგჯერ კაცს ენაზე კბილის დაჭერა გიჭირს. კაცი ენით უფრო იფუჭებს საქმეს, ვიდრე სირით. ასეა თუ ისე, ავტოსახელოსნო არავის გაუხსნია. ეგ კი არა, მომდევნო გაზაფხულზე საპატიმრო ოთხმოცდათხუთმეტი კილომეტრის მოშორებით, ბრაიტონში გადაიტანეს. ალბათ, ვიღაცებმა ბლომად ფული მოტეხეს და ჯიბეში ჩაიდეს. ჩემთვის არაფერი შეცვლილა.

ადმინისტრაცია ეზოს აღმოსავლეთ მხარეს ახალ შენობაში უკვე გადასულიყო, ახლა ლაზარეთი გადაჰქონდათ (ვის ეკუთვნოდა ლაზარეთის მეორე სართულზე განთავსების სულელური იდეა, ჩემთვის დღესაც უცნობია); ბიბლიოთეკა ჯერ მხოლოდ ნახევრად დაეცარიელებინათ. ისე, ბოლომდე სავსე არასდროს ყო-

ფილა. ძველი შენობა დახუთული ფიცრული იყო, რომელიც ა და ბ ბლოკებს შორის მდებარეობდა. მათ ტუალეტებს და ფიცრულს საერთო კედლებიჰქონდა და იქ მუდამ შარდის შემაწუხებელი სუნი ტრიალებდა. მგონი, მხოლოდ ამისთვის თუ ღირდა შენობის დაცლა. ბიბლიოთეკას ლ-ის ფორმა ჰქონდა და ჩემი კაბინეტისხელა იყო. ვენტილატორი ვერსად ვიპოვე. ოთახში ტემპერატურა 38 გრადუსი მაინც იქნებოდა და დაჯდომისას ფეხებშუა ყრუ ტკივილი ვიგრძენი. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ჭიანი კბილი მტკიოდა. ვიცი, ისეთ ადგილზე ვსაუბრობთ, ცოტა სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ სხვას ვერაფერს შევადარებ. ბიბლიოთეკაში შესვლამდე, შარდვისას და მოშარდვის შემდგომ ტკივილი უფრო გამიძლიერდა.

თუმცა ბიბლიოთეკაში მთლად მარტო არ ვყოფილვარ - კუთხეში ბებერი გიბონსი იჯდა. კალთაში „ვესტერნის“ რომანი ედო, ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა და თვლემდა. სიცხე აშკარად არ აწუხებდა, არც ის ბუზღუნი, ბრაგუნი და იშვიათი ლანძღვა-გინება, რომელიც ზედა სართულზე განთავსებული ლაზარეთიდან (სადაც ტემპერატურა ათი გრადუსით მაღალი მაინც იქნებოდა და ვხარობდი, პერსი უეტმორს ასე მოუხდება-მეთქი) ისმოდა. არც ჩემს გამოჩენას შეუწუხებია. გაზეთების საცავთან მივედი. ვიფიქრე, ვაითუ, ვენტილატორებთან ერთად გაზეთებიც წაიღეს-მეთქი, მაგრამ ადგილზე დამხვდა. ტყუპი დეტერიკების საქმე ადვილად ვიპოვე; ივნისში დანაშაულის ჩადენის დღიდან აგვისტო-სექტემბრის მიწურულს სასამართლო პროცესის მსვლელობის დასრულებამდე გაზეთები ამ ამბავს წინა გვერდებს უთმობდნენ.

მალე სიცხე, ზემოდან მომავალი ხმაური და მოხუცი გიბონსის ხვრინვა საერთოდ გადამავიწყდა. საყვარლად მოცინარი, ფუშფუშა ქერათმიანი ცხრა წლის გოგონების ვეება, პირქუშ კოფისთან ერთად წარმოდგენამ, ჩემდა უნებურად, დამთრგუნა. კოფის აღნაგობის გათვალისწინებით, ადვილად შეგეძლოთ გეფიქრათ,

რომ მან გოგონები ცოცხლად შესანსლა, როგორც ზღაპრის საზარელმა გოლიათმა. თუმცა, ის რაც მას ჩაედინა, შესანსვლაზე უარესი იყო და ბედისთვის მადლობა უნდა შეეწირა, რომ იქვე, მდინარის ნაპირას ლინჩის წესით არ გაასამართლეს. თუმცა, ვერც მწვანე გზის გავლას და „ბებერი ნაპერწკალას“ კალთაში ჩაჯდომას უწოდებდით ბედის საჩუქარს.

# 4

„მეფე ბამბამ“[4] ამ ამბებამდე სამოცდაათი წლით ადრე სამხრეთში მეფური დიდება დაკარგა, მაგრამ ოცდაათიან წლებში ბამბის ინდუსტრიაში მცირე გამოცოცხლება იგრძნობოდა. ბამბის დიდი პლანტაციები სამუდამოდ გაქრა, მაგრამ ჩვენი შტატის სამხრეთ ნაწილში ორმოცდაათამდე ბამბის ფერმა მაინც არსებობდა. ერთ-ერთ ასეთ ფერმას კლაუს დეტერიკი ფლობდა. 1950-იანი წლების სტანდარტებით მას ღარიბ-ღატაკად მიიჩნევდით, მაგრამ 1930-იანებში შეძლებულად ითვლებოდა, რადგან თითქმის ყოველი თვის ბოლოს გადასახადებს ნაღდი ფულით იხდიდა და ქუჩაში შემხვედრი ბანკის პრეზიდენტისთვის თვალის გასწორების არ რცხვენოდა. ფერმის სახლი სუფთა და დიდი იყო. ბამბის მოყვანის გარდა, ოჯახი ქათმებსა და რამდენიმე ძროხასაც უვლიდა. კლაუსს და მის ცოლს სამი შვილი ჰყავდათ: თორმეტი წლის ჰაუარდი და ტყუპი გოგონები - კორა და ქეთი.

იმ წელიწადს, ივნისის ერთ თბილ ღამეს, გოგონებმა სახლის გვერდითა კედლის მთელ სიგრძეზე მიშენებულ ვერანდაზე დაძინება ითხოვეს და უფლებაც მიიღეს. გოგონებს ძალიან გაუხარდათ. დაახლოებით ცხრა საათისთვის, როცა ცა სულ მთლად ჩაბნელდა, დედამ გოგონებს აკოცა და ძილი ნებისა უსურვა. მას შემდეგ დედამ შვილები მხოლოდ კუბოში ჩასვენებულნი და დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლის მიერ ჭრილობებდაფარულნი ნახა.

[4] King Cotton - მეფე ბამბა (ინგ). ასე უწოდებდნენ ბამბის მწარმოებელი სამხრეთული შტატები ბამბას, როცა 1860-61 წლებში აშშ-სგან გამოყოფა მოინდომეს იმ იმედით, რომ ბამბის ექსპორტი დამოუკიდებელ კონფედერაციას უფრო დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა.

იმ დროს სოფლელები ადრე წვებოდნენ - „როგორც კი მაგიდის ქვეშ დაბნელდებოდაო“, ამბობდა ზოგჯერ დედაჩემი - და ღრმად ეძინათ. კლაუს, მარჯორი და ჰაუარდ დეტერიკებსაც ღრმად ეძინათ, როცა ტყუპი გაიტაცეს. შერეულსისხლიან შოტლანდიურ ნაგაზ ბაუზერს რომ დაეყეფა, კლაუსი აუცილებლად გაიღვიძებდა, მაგრამ ბაუზერს არ დაუყეფია. არც იმ ღამით და არც აღარასდროს.

კლაუსი გათენებისთანავე ადგა ძროხების მოსაწველად. წინკარში ჩექმები ჩაიცვა და გარეთ გააბოტა. ვერანდისკენ არც გაუხედავს, რადგან საძროხე სხვა მხარეს იყო. ის, რომ ბაუზერი არ შეეგება, არ გაჰკვირვებია. ძაღლს ძროხები და ქათმები თვალში დიდად არ მოსდიოდა და სანამ პატრონი დილის საოჯახო საქმეებს მოილევდა, საძაღლეში იცდიდა ხოლმე, თუ არ დაუძახებდნენ... თან ძალიან ხმამაღლა.

მარჯორი თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩამოვიდა პირველ სართულზე. ყავა დადგა მოსადუღებლად და ტაფაზე შაშხის ნაჭერი დააგდო შესაწვავად. საუზმის სასიამოვნო სურნელმა მეორე სართულის საძინებელში ჰაუი გააღვიძა, გოგონები ვერანდაზე კი - ვერა. დედამ ჰაუი მათ გასაღვიძებლად გაგზავნა, თვითონ კი შაშხს კვერცხები დაახალა. ნასაუზმევს კლაუსს გოგოები ახალი კვერცხების შესაგროვებლად უნდა გაეშვა. თუმცა, დეტერიკებს იმ დღეს აღარ უსაუზმიათ. ჰაუი ოთახში სახეგაფითრებული შებრუნდა, ნამძინარევი თვალები დაეჭყიტა.

- ვერანდაზე არ არიან, - თქვა მან.

მარჯორი გაბრაზებული გავიდა ვერანდაზე. თავიდან არც შეშინებია. როგორც მოგვიანებით იხსენებდა, უფიქრია, დილაადრიან ამდგარან და ყვავილების დასაკრეფად ან, უბრალოდ, სასეირნოდ წასულანო, როგორც ეს გოგონებს სჩვევიათ. მაგრამ ვერანდაზე გასვლისთანავე მიხვდა, რამ გააფითრა ჰაუი.

მაშინვე კლაუსს დაუძახა. აკივლდა. შეშინებული კლაუსი მისკენ გამოიქცა. მისი ჩექმები ზედ დაღვრილ რძეს გაეთეთრებინა. ის, რაც კლაუსმა ვერანდაზე იხილა, ყველაზე გულმაგარ მშობელსაც მუხლს მოჰკვეთდა. საბნები, რომლებიც როგორც ჩანს, გოგონებმა გვიან ღამით აციებისას შემოიხვიეს, ერთ კუთხეში იყო მიყრილი. ზედა ანჯამიდან ამოგდებული ბადეაკრული კარი კიბის მხარეს გადაკიდებულიყო. ვერანდის ხის იატაკზე და ჩამოგდებულ კარს მიღმა კიბის საფეხურებზე სისხლის წვეთები ესხა.

მარჯორიმ ქმარს სთხოვა, გოგოების მოსაძებნად მარტო ნუ წახვალ, ან თუ ვერ ითმენ, ჰაუის მაინც ნუ წაიყვანო, მაგრამ სულ ტყუილად იხვეწებოდა. კლაუსმა წინკარში პატარებისთვის მიუწვდომელ ადგილას დაკიდებული თოფი ჩამოხსნა, ჰაუის კი მისთვის დაბადების დღის საჩუქრად გადანახული ოცდაორკალიბრიანი თოფი მიაწოდა. მამა და შვილი გოგოების საძებნელად წავიდნენ. აკივლებულ და ატირებულ მარჯორის ყური არ დაუგდეს, მაწანწალების ბანდებს ან ლადუკის ფერმიდან გამოქცეულ ავაზაკ ზანგებს რომ გადაეყაროთ, რას იზამთო. ამ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ მამაკაცები სწორად მოიქცნენ. ძირს დაღვრილი სისხლი უკვე შედედებულიყო, მაგრამ ჯერაც წებოვანი და წითელი ფერისა იყო და არა გამხმარი სისხლივით შინდისფერი. გოგონები სულ ცოტა ხნის წინ გაეტაცებინათ. კლაუსმა, ალბათ, იფიქრა, რომ გოგონების გადარჩენის შანსი ჯერაც არსებობდა და გადაწყვიტა, ბედი ეცადა.

ვერც მამამ და ვერც მისმა ვაჟიშვილმა კვალს ვერ მიაგნეს - ისინი ფერმერები იყვნენ და არა - მონადირეები. ნადირობის სეზონზე ირმებსა და ენოტებზეც მხოლოდ იმიტომ ნადირობდნენ, რომ ყველა ასე იქცეოდა და არა გასართობად. თანაც, სახლის გარშემო გატკეპნილ ტალახში იმდენი ნაფეხური ისე უწესრიგოდ კვეთდა ერთმანეთს, რომ ვერაფერს გაარჩევდი. საძროხეს გარს

რომ შემოუარეს, გაირკვა, რატომ არ გააღვიძა კლაუსი არც ისე ავმა, მაგრამ ყეფისმოყვარულმა ბაუზერმა. ის საძროხის აშენების შემდეგ მორჩენილი ფიცრებით აგებულ ბუდრუგანაში (წინ აბრა ეკიდა და ზედ კოხტად წაეწერათ „ბაუზერი“ - ფოტო ერთერთ გაზეთში ვნახე) ეგდო, კისერმოგრეხილი. ამხელა ცხოველის ასე მოსაკლავად დიდი ღონე იქნებოდა საჭიროო, განუცხადებია პროკურორს მსაჯულებისთვის ჯონ კოფის სასამართლო პროცესზე და მრავალმნიშვნელოვნად შეტრიალებულა ვეება ბრალდებულისკენ, რომელიც განსასჯელის მაგიდასთან თვალებდახრილი იჯდა და ტანთ ეცვა სახელმწიფოს მიერ შეძენილი ახალთახალი კომბინეზონი, რომელშიც საცოდავად გამოიყურებოდა. ძაღლის გვერდით შემწვარი სოსისის ნაჭერი ეგდო. გამოძიების ვერსიით - საკმაოდ დამაჯერებლით, ჩემი აზრით - ჯონ კოფიმ ძაღლი ჯერ სოსისით მიიტყუა და როცა ბაუზერი ბოლო სოსისს ჭამდა, ხელები ჩაავლო და ერთი მოძრაობით მოუგრიხა კისერი.

საძროხის იქით დეტერიკების იალაღი იყო, მაგრამ იმ დღეს ძროხებს იქ ბალახის ძოვა არ ღირსებიათ. მინდორი დანამული იყო და ზედ დიაგონალურად, ჩრდილო-დასავლეთისკენ მიმავალი ნაკვალევი ეტყობოდა.

ლამის ისტერიკაში მყოფი კლაუს დეტერიკი წუთით შეყოყმანდა. მას ქალიშვილების გამტაცებლის ან გამტაცებლების არ შეშინებია; არა, იმის შეეშინდა, ეს სახლისკენ მომავალი კვალი არ იყოს და ტყუილად არ წავიდე იმ მხარეს, საიდანაც გამტაცებელი მოვიდაო... ახლა ხომ ყოველი წამი ძვირფასი იყო.

ჰაუიმ ეს პრობლემა ეზოს კიდეში მდგარი ბუჩქიდან ბამბის ყვითელი ქსოვილის ნაჭრის მოგლეჯით გადაჭრა. კლაუსს იგივე ნაგლეჯი მოწმედ გამოსვლისას უჩვენეს და მანაც ატირებულმა ამოიცნო ქეთის პიჟამის ნაგლეჯი. იმ ბუჩქიდან ოციოდე მეტრის მოშორებით ღვიის ბუჩქის გამოშვერილ ტოტზე ღია მწვანე ფე-

რის ქსოვილის ნაგლეჯი იპოვეს. ეს იმ საღამურის ნაგლეჯი იყო, რომელიც კორას ეცვა, როცა მამიკოს და დედიკოს ძილი ნებისა უსურვა.

მამა-შვილმა დეტერიკებმა წინ გაშვერილი თოფებით განაგრძეს გზა, ჯარისკაცებივით, ტყვიების ზუზუნში რომ გადადიან შეტევაზე. დღემდე მიკვირს, როგორ არ წაბორძიკდა და შემთხვევით ზურგში ტყვია არ მოარტყა კლაუს დეტერიკს პატარა ბიჭმა, რომელიც მთელი სისწრაფით მისდევა მამამისს და ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა.

დეტერიკების ფერმა სატელეფონო ქსელში იყო ჩართული (ესეც ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ იმ საშინელი დროების კვალობაზე, სამეზობლოში დეტერიკები შეძლებულებად მიაჩნდათ) და მარჯორიმ ყველა მეზობელს დაურეკა, ვისაც კი ტელეფონი ჰქონდა; მისი საშინელი ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა და იცოდა, გუბურაში ჩაგდებული კენჭების მსგავსად, იგი მღელვარების დიდი ტალღას გამოიწვევდა. შემდეგ მარჯორიმ უკანასკნელად აიღო ყურმილი და წარმოთქვა ფრაზა, რომლებიც იმ პერიოდში და განსაკუთრებით, პროვინციულ სამხრეთში, საფირმოდ ითვლებოდა:

- ალო, სატელეფონო სადგურია, ხაზზე ხართ?

სატელეფონო სადგური ხაზზე იყო, მაგრამ დაბნეულმა ოპერატორმა თავიდან ვერაფერი უპასუხა; ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ქალბატონი მხოლოდ უსმენდა. ბოლოს პასუხს თავი მოაბა:

- დიახ, მემ, მისის დეტერიკ, იმედი მაქვს, ო, ღმერთო დიდებულო, ვლოცულობ, რომ თქვენი პატარა გოგონები კარგად იყვნენ...

- გმადლობთ, - თქვა მარჯორიმ, - მაგრამ იქნებ უფალმა ცოტა მოიცადოს და როგორმე შერიფთან დამაკავშიროთ?

ტრაპინგუსის ოლქის შერიფი ლოთივით ცხვირწითელი, ტიკივით ღიპიანი და ბოთლების საწმენდი ჯაგრისივით თეთრთმიანი იყო. მას კარგად ვიცნობდი; „ქოულდ მაუნთინში“ ბევრჯერ ყოფილა იმის სანახავად, როგორ მიემგზავრებოდნენ „მისი ბიჭები“ (ასე უწოდებდა სიკვდილმისჯილებს) იმქვეყნად. სიკვდილით დასჯის მოწმეები ისეთივე გასაშლელ სკამებზე სხდებოდნენ, თქვენც რომ არაერთხელ მსხდარხართ დაკრძალვის ცერემონიალებზე, საეკლესიო წირვებსა თუ ლოტოს თამაშისას ფერმერთა კლუბებში. ყოველთვის, როცა შერიფი ჰომერ კრიბუსი ასეთ სკამზე დაჯდებოდა, ერთდროულად შიშით და იმედით ველოდი ტკაცუნის გაგონებას და ძირს დავარდნილი შერიფის დანახვას, მაგრამ ეს ერთხელაც არ მომხდარა. არც ისე დიდი ხნის შემდეგ - ტყუპი დეტერიკების გატაცებიდან წელიწადი თუ იქნებოდა გასული - კაბინეტში ინფარქტმა დაარტყა, როცა, როგორც ჩანს, ჩვიდმეტი წლის შავკანიან გოგონას, დაფნი შერტლიფს ხმარობდა. ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. არადა, როცა არჩევნები მოახლოვდებოდა ხოლმე, შერიფი ცოლსა და ექვს ვაჟიშვილს ყველგან ამაყად დააპროწიალებდა. იმ დროს, თუ რომელიმე თანამდებობაზე იყრიდი კენჭს, ან ბაპტისტი უნდა ყოფილიყავი, ან უნდა დაგეხვია. თუმცა, ხალხი ყოველთვის მას ირჩევდა - ამომრჩეველს ფარისევლები უყვართ, მათში საკუთარ თავს ხედავენ; თანაც, ყოველთვის გიხარია, როცა ვინმეს შარვალჩახდილს და სირამდგარს იპოვიან და ეს შენ არ ხარ.

გარდა იმისა, რომ ფარისეველი იყო, ჰომერ კრიბუსი არც თანამდებობას შეეფერებოდა. ხომ გეცნობათ ისეთი ტიპები, ვიღაც ქალბატონის კატის ფერებისას რომ იღებს ფოტოებს, სინამდვილეში კი იმ ფისუნიას ხიდან ჩამოსაყვანად ვინმე სხვა - მაგალითად, შერიფის თანაშემწე რობ მაკჯი რისკავს სიცოცხლეს და ძირს ჩამოვარდნას და კისრის მოტეხას არ ერიდება.

მაკჯიმ აღელვებული მარჯორი დეტერიკის გაურკვეველ საუბარს ორიოდ წუთი უსმინა და შემდეგ ოთხი თუ ხუთი მოკლე და სწრაფი შეკითხვა დაუსვა, რამაც პროფესიონალი მოკრივის ძლიერი და მტკივნეული დარტყმებივით იმოქმედა. შეკითხვებზე პასუხის მიღების შემდეგ ქალს უთხრა:

- ბობო მარჩანტს დავურეკავ. მას ძაღლები ჰყავს. თქვენ სახლში დარჩით, მისის დეტერიკ. თქვენი ქმარი და შვილიც თუ დაბრუნდებიან, ისინიც სახლში დარჩნენ. ეცადეთ, არსად გაუშვათ.

მისი ქმარ-შვილი კი ამასობაში ჩრდილო-დასავლეთისკენ მიმავალ გამტაცებლის კვალს მიჰყვებოდა. ხუთი კილომეტრი იარეს. მერე კვალი მინდვრებიდან ფიჭვნარში შევიდა და დაიკარგა. როგორც უკვე აღვნიშნე, ისინი ფერმერები იყვნენ და არა მონადირეები. თუმცა, გზადაგზა იმას კი ნაღდად მიხვდნენ, რომ ნამდვილ ცხოველს ედგნენ კვალში. გზაში ქეთის პიჟამის ზედა ნაწილი და კორას საღამურის კიდევ ერთი ნაგლეჯი იპოვეს. ორივე სისხლით იყო მოთხვრილი. კლაუსი და ჰაუი უკვე აღარ ჩქარობდნენ, თითქოს მათ მხურვალე იმედს, ძიების დასაწყისში რომ ჰქონდათ, ცივი წყალი გადაასხესო. ორივეს გული დამძიმებოდა.

ტყეში შევიდნენ, იქნებ სადმე ნაკვალევს მივაგნოთო, მაგრამ ამაოდ. მეორეგან სცადეს ბედი, მაგრამ იქაც ამაოდ; შემდეგ მესამეგანაც, - და ამჯერად წიწვებით მოფენილ რბილ მიწაზე სისხლის წვეთები იპოვეს. ჯერ სისხლის წვეთებს მისდიეს, მაგრამ მალე კვალი კვლავ დაკარგეს და აქეთ-იქით ხეტიალი განაგრძეს. უკვე დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა უკნიდან კაცების ყვირილი და ძაღლების ყეფა მოესმათ. იმ დროში, რობ მაკჯიმ მაშველების მცირერიცხოვანი ჯგუფი რომ შეკრიბა, შერიფი კრიბუსი ერთი ფინჯანი ტკბილი ყავის დალევას თუ მოასწრებდა. მაშველები კლაუს და ჰაუი დეტერიკებს თხუთმეტ წუთში დაეწიენ. ეს უკანასკნელნი სასოწარკვეთილები დალასლასებდნენ ტყის პი-

რას. მალე ყველამ ერთად განაგრძო გზა. ამჯერად წინ ბობოს ძაღლები მირბოდნენ. მაკჯიმ კლაუსს და ჰაუის მათთან ერთად წამოსვლის ნება მისცა; მიხვდა, რომ რამდენიც უნდა ეთხოვა, თუნდაც ებრძანებინა, უკან მაინც არ დაბრუნდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, ძიება საშინელი შედეგით დასრულებულიყო. თუმცა, თოფები მაინც დააცლევინა, სხვებმაც იგივე ქნეს, ასე უფრო უსაფრთხოაო. სინამდვილეში კი, შერიფის თანაშემწეს ტყვიები მხოლოდ დეტერიკებმა ჩააბარეს. გადაღლილები და ამ კოშმარის როგორმე დასრულების მოსურნე დეტერიკები ბრძანებას დაემორჩილნენ. ალბათ, სწორედ რობ მაკჯიმ შეუნარჩუნა ჯონ კოფის უბადრუკი სიცოცხლე (დროებით) იმით, რომ დეტერიკებს ტყვიები გამოართვა.

აყეფებულმა ძაღლებმა მაშველები ფიჭვნარში ჩრდილო-დასავლეთისკენ სამი კილომეტრი არბენინეს. მდინარე ტრაპინგუსის ნაპირთან გამოვიდნენ. იმ ადგილას დინება ნელი და განიერი იყო, მდინარე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დაბალ, ხეებით დაფარულ ბორცვებს შორის მიედინებოდა. იმ მხარეში კრეიების, რობინეტების და დუპლისიების ოჯახები ჯერაც ამზადებდნენ მანდოლინებს და ხვნის დროს ხშირად აფურთხებდნენ მომძვრალ, ჭიან კბილებს პირიდან; ეს იყო მიყრუებული სოფელი, სადაც კაცები კვირის წირვაზე ხელში გველებს იჭერდნენ,[5] კვირა ღამით კი საკუთარ ქალიშვილებთან ვნებიანად გადახვეულებს ეძინათ. ამ ოჯახებს ვიცნობდი; ზოგჯერ „ბებერ ნაპერწკალასთვის“ „საკვებს“ გზავნიდნენ. მდინარის გადაღმა ივნისის კაშკაშა მზის სხივები „სამხრეთის დიდი განშტოების“ რკინის ლიანდაგებზე ირეკლებოდა. დინების მიმართულებით, მხარმარჯვნივ, მდინარეზე გადებული ხიდი უესტ-გრინის ქვანახშირის მაღაროებისკენ მიიწევდა.

[5] რელიგიური რიტუალი „ორმოცდაათიანელთა“ ზოგიერთ ეკლესიაში.

აქ ბალახსა და დაბალ ბუჩქნარში სისხლით იმდენად გაჟღენთილ ტანსაცმლის ნაგლეჯს გადააწყდნენ, რომ რამდენიმე კაცი ტყეში შევარდა კუჭ-ნაწლავის საუზმისგან დასაცარიელებლად. იქვე სისხლის გუბეში იპოვეს კორას საღამური და ჰაუის, რომელსაც თავი აქამდე მაგრად ეჭირა, ლამის გული წაუვიდა და მამას მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

სწორედ აქ გაიყო ბობო მარჩანტის ძაღლების აზრი ორად. სულ ექვსი ძაღლი ჰყავდა: ორი მეძებარი ბლადჰაუნდი, ორი ცისფერი მწევარი და ორი ტერიერის მაგვარი ქოფაკი, სამხრეთელები კუნჰაუნდს[6] რომ უწოდებენ. ეს უკანასკნელნი ჩრდილო-დასავლეთისკენ, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით იქაჩებოდნენ, დანარჩენები - სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ძაღლების საბელები ერთმანეთში აიხლართა. გაზეთებში ამაზე არაფერი ეწერა, მაგრამ წარმომიდგენია, რას იგინებოდა ბობო, როცა მარჯვე ხელებით მათ მოთოკვას ცდილობდა. მეძებრების მოყვარული რამდენიმე ნაცნობი მყოლია და ვიცი, რომ ყველა მათგანი ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ბობომ საბელები დაამოკლა და ძაღლები შეაჯგუფა, მერე ყველას სათითაოდ დააყნოსინა კორა დეტერიკის საღამური იმის შესახსენებლად, თუ რას დაეძებდნენ იმ შუადღით ორმოცგრადუსიან ხვატში, როცა დასიცხულ მაშველებს ლამის თვალთ დაბნელდებოდათ. საბოლოოდ, ყველა ძაღლი ერთხმად აყეფდა და დინების მიმართულებით გაიქცა.

ათი წუთის შემდეგ მაშველები შედგნენ, რადგან მოეჩვენათ, ყეფის გარდა, სხვა ხმაც ისმისო. ასე საზარლად ყმუილს მომაკვდავი ძაღლიც კი ვერ შეძლებდა. მსგავსი ყმუილი ყველას პირველად ესმოდა, მაგრამ მაშინვე მიხვდნენ, რომ ამ ხმას ადამიანი გამოსცემდა. ასე ეწერა მათ მონათხრობში და მეც დავიჯერე.

[6] ენოტზე მონადირე ძაღლი.

მგონი, ადამიანის ხმას მეც ამოვიცნობდი. მომისმენია, როგორ კიოდნენ ელექტროსკამისკენ მიმავალი სიკვდილმისჯილები. ყველა არ კივის - უმეტესობას თავი მშვიდად უჭირავს და უდარდელად ხუმრობს, თითქოს სასკოლო პიკნიკზე მიდისო - მაგრამ ზოგს ნერვები უმტყუნებს ხოლმე. ძირითადად ისეთები ვერ იკავებენ თავს, ვისაც ჯოჯოხეთის არსებობის სწამს და იცის, რა ელოდება მწვანე გზის ბოლოს.

ბობომ ძაღლები შეაკავა. სულაც არ სურდა ეს ძვირფასი ცხოველები საიდანღაც მომავალი გიჟური ყმუილისა და ბურტყუნისკენ გაეშვა. სხვებმა თოფები ჩახმახზე შეაყენეს. ყმუილმა ყველა შეაძრწუნა, იღლიები გაუოფლიანდათ და ცივმა ჟრუანტელმა დაუარათ. ასეთ დროს შეშინებულ ჯგუფს მტკიცე მეთაური სჭირდება და წინამძღოლობა შერიფის თანაშემწე მაკჯიმ იკისრა. მან მხნედ გააბიჯა წინ (დარწმუნებული ვარ, იმ მომენტში არცთუ ისე მხნედ გრძნობდა თავს) და მარჯვნივ, თხმელის ხეებისკენ დაიძრა. დანარჩენები ხუთიოდე ნაბიჯით უკან ნერვიულად მიჰყვებოდნენ. მაკჯი მხოლოდ ერთხელ შედგა და მაშველთა შორის ყველაზე ზორბა სემ ჰოლისს კლაუს დეტერიკთან ახლოს დგომა ანიშნა.

თხმელიანის მეორე მხარეს მარჯვნივ მდებარე ჭალამდე მინდორი გადაშლილიყო. მარცხნივ დამრეცი ფერდობი ეშვებოდა მდინარის სანაპირომდე. მაშველები მეხდაცემულებივით ერთ ადგილას გაშეშდნენ.

დარწმუნებული ვარ, ბევრი ნატრობდა, ნეტა ეს არ დამენახაო, რადგან ნანახის დავიწყება შეუძლებელი იყო - ეს ღამის კოშმარს ჰგავდა, მცხუნვარე მზის ქვეშ გატიტვლებულსა და მხრჩოლავს, მიმალულს სახლის მყუდროებისა და ყოველდღიურობის - საეკლესიო წირვების, სოფლის ქუჩებში სეირნობის, ბეჯითი შრომისა და საწოლში მეუღლესთან ალერსის მიღმა.

მდინარის პირას იჯდა ნამდვილი გოლიათი - ჯონ კოფი, რომელსაც გაცვეთილი, სისხლით დალაქავებული ტილოს პერანგი ეცვა. გაფარჩხულთითებიანი ფეხები შიშველი ჰქონდა. თავზე გაცვეთილი წითელი ბენდენა ეკეთა თავსაფარივით, სოფლელ ქალებს რომ უკეთიათ ეკლესიაში. თავზე ქინქლების შავი ღრუბელი დასტრიალებდა. მკლავები შიშველი გოგონების გვამებისთვის შემოეხვია. გოგონებს ოდესღაც ბამბასავით ფუშფუშა, ქერა თმა თავებზე მისწებებოდათ და გასწითლებოდათ. კაცი ცას შესცქეროდა და გაფიცხებულ ძროხასავით ბღაოდა, ყავისფერი ღაწვები ცრემლებით ჰქონდა სველი, სახე კი - მწუხარებისგან მოღრეცილი. გულამოსკვნილი ტიროდა და მძიმედ ხვნეშოდა. უცებ მკერდი ძლიერად ამოებურცა, პერანგის კნოპები აწყდა და ყმუილთან ერთად ფილტვებიდან ჰაერის დიდი ნაკადი ამოუშვა. გაზეთებში, ალბათ, ხშირად წაგიკითხავთ, „მკვლელმა სიბრალული არ გამოიჩინაო“, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ ყოფილა. ჯონ კოფის დანაშაულის გრძნობა აწამებდა... მაგრამ თვითონ ცოცხალი იყო, გოგონები კი - მკვდრები. ისინი წამებით დაეხოცა.

ვერავინ გაიხსენა, რამდენ ხანს იდგნენ ასე გაშეშებულები და უყურებდნენ აყმუვლებულ გოლიათს, რომელიც თავის მხრივ, გაღმა ნაპირზე, მდინარეზე გადებული ხიდისკენ მოჩქარე მატარებელს მისჩერებოდა. ეჩვენებოდათ, რომ საათი ან მთელი საუკუნე გავიდა, მაგრამ მატარებელი ხიდს არ მოახლოებია, თითქოს ადგილზე გაიყინაო, მზე ღრუბელს არ ამოფარებია და არ ჩამობნელებულა. ყველაფერს ცხადად ხედავდნენ - ნანახი ცხადი და მწარე იყო, როგორც ძაღლის ნაკბენი. შავკანიანი კაცი წინ და უკან ირწეოდა; კორა და ქეთი მის ვეება ხელებში თოჯინებს ჰგავდნენ. მის შიშველ მკლავებზე გასისხლიანებული კუნთები იჭიმებოდა და დუნდებოდა, იჭიმებოდა და დუნდებოდა, იჭიმებოდა და დუნდებოდა.

ეს უტყვი სცენა კლაუს დეტერიკმა გამოაცოცხლა. ღრიალით მივარდა ურჩხულს, რომელმაც მისი გოგონები გააუპატიურა და დახოცა. სემ ჰოლისმა თავისი დავალების შესრულება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ის თხუთმეტი სანტიმეტრით მაღალი და ოცდაათი კილოგრამით მძიმე მაინც იქნებოდა კლაუსზე, მაგრამ კლაუსი მის ხელებს მაინც დაუსხლტა. მან მინდორი გადაირბინა და კოფის თავში წიხლი ჩაარტყა. მისი რძეშემხმარი ჩექმა კოფის მარცხენა საფეთქელში მოხვდა; კოფის დარტყმა არც კი უგრძნია. იჯდა, მოთქვამდა, ირწეოდა და მდინარის გადაღმა იყურებოდა. რომ არა გოგონების ცხედრები... ეს სცენა რომ წარმოვიდგინე, თვალწინ „ორმოცდაათიანელი“ ქადაგი დამიდგა, ცხოველმყოფელი ჯვრის ერთგული მიმდევარი, რომელიც გოშენის მხარეს გასცქერის...

გამწარებული ფერმერი ოთხმა კაცმა ძლივს მოაშორა ჯონ კოფის, მანამდე კაცმა არ იცის, რამდენი წიხლი ჩაარტყა გოლიათს. კოფის მისი წიხლები არც სტკენია და არც შეუმჩნევია; მხოლოდ მდინარის გადაღმა იყურებოდა და მოთქვამდა. დეტერიკს კი მაშინვე ძალა გამოეცალა - თითქოს შავკანიანი ბუმბერაზი რაღაც ენერგიით მუხტავდაო (დღემდე „ელექტრული“ მეტაფორებით საუბარი მახასიათებს და ამისთვის ბოდიშს ვითხოვ), კვების წყაროს მოწყვეტილი დეტერიკი დენდარტყმულივით მომჩვარული დაეცა მიწაზე. მდინარის პირას მუხლებზე დავარდნილმა სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. მამასთან ჰაუიმ მიირბინა და გადაეხვია.

მათთან ორი კაცი დარჩა, დანარჩენები მგლოვიარე შავკანიანს შემოეხვივნენ და ყველა მხრიდან მიზანში ამოიღეს. გოლიათი ჯერაც ვერ ამჩნევდა, რომ იქ მის გარდა სხვებიც იყვნენ. მაკჯი წინ წადგა, ერთი-ორჯერ ყოყმანით მოიცვალა ფეხი და ბოლოს, ჩაიცუცქა.

- მისტერ, - მიმართა კოფის და ეს უკანასკნელი მაშინვე გაჩუმდა. მაკჯიმ ხანგრძლივი ტირილისგან ჩასისხლიანებული თვალები დაინახა. ცრემლების ნიაღვარი არ წყდებოდა, თითქოს შიგნით ვიღაცას ონკანი დარჩენია მოშვებულიო. თვალები ცრემლით იყო სავსე, მისი მზერა შორეული და უშფოთველი ჩანდა. ასეთი უცნაური თვალები სიცოცხლეში არასდროს მინახავს და მაკჯიმაც ზუსტად იგივე იგრძნო. სასამართლო პროცესის დაწყებამდე ჟურნალისტ ჰამერსმითისთვის უთქვამს, იმ ცხოველის თვალებს ჰგავდა, ადამიანს რომ პირველად ხედავსო.

- მისტერ, გესმით ჩემი? - ჰკითხა მაკჯიმ.

კოფიმ ნელა დაუქნია თავი. დამახინჯებულ თოჯინებს ხელს არ უშვებდა, მადლობა ღმერთს, რომ მათ თავები ჩაექინდრათ და სახეები წესიერად არ უჩანდათ.

- რა გქვიათ? - ჰკითხა მაკჯიმ.

- ჯონ კოფი, - უპასუხა გოლიათმა ჩახრინწულ ხმაზე, - „ყავასავით“ ჟღერს, მაგრამ სხვანაირად იწერება.

მაკჯიმ თავი დაუქნია და ცერა თითით პერანგის ამობურცულ ჯიბეზე ანიშნა. იფიქრა, ვაითუ პისტოლეტი ედოსო. ისე, ჯონ კოფის ზომის კაცს ვინმესთვის ზიანის მისაყენებლად იარაღი არც სჭირდებოდა, - მანდ რა გიდევს, ჯონ? პისტოლეტია?

- არა, სერ, - უპასუხა კოფიმ ისე, რომ ცრემლებით სავსე თვალები, რომლებიც სადღაც შორს ისე უშფოთველად იმზირებოდა, თითქოს ნამდვილი ჯონ კოფი სულ სხვაგანაა და ისეთ პეიზაჟს უყურებს, სადაც მოკლული პატარა გოგონების გამო წუხილი არც ღირსო, მაკჯისთვის არ მოუშორებია, - ეს ჩემი სადილია.

- მაშ, სადილი, არა? - იკითხა მაკჯიმ და დიახ, სერო, უპასუხა ცხვირიდან ცინგლმდინარმა, აცრემლებულმა კოფიმ, - და შენნაირმა კაცმა ეს მცირე სადილი სად იშოვა, ჯონ კოფი? - ჩაეძია მაკჯი, რომელიც სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ უკვე გრძნობდა მოკლული გოგონების სუნს და ხედავდა ბუზებს, რომ-

ლებიც კანის სისხლიან ადგილებზე სხდებოდნენ. ყველაზე საშინელი სანახავი მათი თმა იყოო, გაიხსენა მან მოგვიანებით... არა, ეს საგაზეთო სტატიაში არ წამიკითხავს. უბრალო მკითხველისთვის ამის წაკითხვა ძალიან მძიმე იქნებოდა. არა, ამის შესახებ თავად სტატიის ავტორმა, მისტერ ჰამერსმითმა მიამბო. ის მე თვითონ მოვძებნე, რადგან ჯონ კოფი ჩემთვის ერთგვარი გატაცების საგნად იქცა. მაკჯის ამ ჰამერსმითისთვის უთქვამს, რომ გოგონების ქერა თმა ჟღალად ქცეულიყო. თმიდან სისხლი ლოყებზე მოწვეთავდა, თითქოს ცუდი საღებავი წაუსვამთო. ექიმობა სულაც არ იყო საჭირო იმის სათქმელად, რომ მკვლელის ღონიერ ხელებს მათი პატარა თავები ერთმანეთისთვის მიუხეთქებია და გაუტეხია. შეიძლება, ეს იმიტომ ქნა, რომ გოგონები ტიროდნენ და მათი გაჩუმება უნდოდა. გოგონებს ბედმა არ გაუღიმა - კარგი იქნებოდა, ეს მათ გაუპატიურებამდე მომხდარიყო.

ამ სცენის ყურებისას თვით მიზანდასახულ შერიფის თანაშემწე მაკჯისაც გაუჭირდა ფიქრი. ცხელ გულზე შეიძლებოდა შეცდომა დაეშვა და უფრო მეტი სისხლიც დაღვრილიყო. ამიტომ ღრმად ჩაისუნთქა და სცადა, დამშვიდებულიყო.

- არ ვიცი, სერ, არ მახსოვს. ძაღლიშვილი ვიყო, თუ ვიტყუებოდე, - უპასუხა ხმაჩახლეჩილმა კოფიმ, - მცირე სადილია, სენდვიჩები და მჟავე კიტრი.

- აჯობებს, თვითონ ვნახო, შენ ხომ წინააღმდეგი არ ხარ, არა? - უთხრა მაკჯიმ, - მშვიდად იჯექი, ჯონ კოფი, თორემ იმდენ თოფს გიმიზნებენ, თითიც რომ გაანძრიო, ტანზემოთ შენგან აღარაფერი დარჩება.

ჯონ კოფი გაუნძრევლად იჯდა და მდინარის გაღმა იყურებოდა, როცა მაკჯიმ პერანგის ჯიბეში ხელი ჩაუყო და გაზეთში გახვეული, კანაფით გადაკრული შეკვრა ამოიღო. მაკჯიმ შეკვრა მაინც გახსნა და, როგორც ელოდა, შიგ მართლაც სადილი აღმოჩნდა: ბეკონიანი სენდვიჩი და ჯემიანი ღვეზელი. ჯონ კოფის გაზე-

თის თავსატეხების გვერდში (ამ თავსატეხებს ის ვერასდროს ამოხსნიდა) მჟავე კიტრი ცალკე გაეხვია. სოსისები არსად იყო. როგორც ჩანდა, ჯონ კოფიმ ყველა სოსისი ბაუზერს დაუყარა.

მაკჯიმ მხარუკუღმა გადააწოდა სადილი რომელიღაც კაცს ისე, რომ კოფისთვის თვალი არ მოუცილებია. ჩაცუცქული, წამითაც ვერ ბედავდა ყურადღების მოდუნებას. სადილი ისევ გაზეთში გაახვიეს, შეკრეს და ბოლოს, ბობო მარჩანტს გადასცეს, რომელმაც ზურგჩანთაში შეინახა ძაღლების საჭმელთან და ალბათ, თევზის სატყუარებთან ერთად. ეს სადილი სასამართლოზე სამხილად არ წარმოუდგენიათ, რადგან მსოფლიოს ამ კუთხეში მართლმსაჯულება სწრაფი კია, მაგრამ იმდენად სწრაფიც არა, რომ ბეკონიან სენდვიჩს გაეძლო. თუმცა, მისი ფოტოები მაინც შემორჩა.

- აქ რა მოხდა, ჯონ კოფი? - ხმადაბლა, მკაცრად ჰკითხა მაკჯიმ, - არ მეტყვი?

და კოფიმ მაკჯის და სხვებს ზუსტად იგივე უთხრა, რაც მე. სწორედ ეს სიტყვები გაიმეორა პროკურორმა სასამართლო პროცესის ბოლოს:

- ვერ ვუშველე, - თქვა ჯონ კოფიმ, მოკლული, გაუპატიურებული გოგონების ცხედრებისთვის ხელის გაუშვებლად და თვალებიდან ცრემლები წასკდა, - ვცადე, ყველაფერი გამომესწორებინა, მაგრამ დავაგვიანე!

- ყმაწვილო, დაპატიმრებული ხარ მკვლელობის ბრალდებით! - უთხრა მაკჯიმ და ჯონ კოფის სახეში შეაფურთხა.

მსაჯულები ორმოცდახუთი წუთით გავიდნენ. საკმარისი დროა სასადილოდ. საკითხავი ისაა, ლუკმა თუ გადასდიოდათ ყელში.

# 5

ალბათ, ხვდებით, რომ ეს ყველაფერი ოქტომბრის ერთ ცხელ შუადღეს, სხვა შენობაში გადასატანად გამზადებული ბიბლიოთეკის კუთხეში დახვავებული გაზეთების გროვიდან არ შემიტყვია. თუმცა, იმ დღეს იმდენი რამ კი დავადგინე, რომ ღამით დაძინება გამიჭირდა. შუაღამის ორ საათზე ჩემმა ცოლმა სამზარეულოში მიპოვა, რძეს ვსვამდი და პაპიროსს ვეწეოდი. მკითხა, რამე ხომ არ მომხდარაო, მაგრამ მოვატყუე (ცხოვრებაში სულ რამდენჯერმე მოვატყუე და ერთხელ - სწორედ იმ ღამით), პერსი უეტმორთან მორიგი შეხლა-შემოხლა მქონდა-მეთქი. კი, იმ დღეს პერსისაც ვეკამათე, მაგრამ ძილი ამის გამო არ გამტყდომია. საერთოდ, პერსისთან დაკავშირებულ პრობლემებს სამსახურში ვტოვებდი ხოლმე.

- დაივიწყე ეგ დამპალი და დაწექი, - მითხრა ცოლმა, - შენთვის რაღაც მაქვს, რაც დაძინებაში დაგეხმარება. ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ.

- მაცდური წინადადებაა, მაგრამ აჯობებს, სხვა დროისთვის გადავდოთ, - ვუთხარი მე, - ჩემი „წყალსადინარი“ მწყობრიდანაა გამოსული.

- რა? - ცალი წარბი ასწია მან, - ალბათ, წესიერი ქუჩის ქალი ვერ შეარჩიე, ბოლოს რომ იყავი ბატონ-რუჟში.

ბატონ-რუჟში არასდროს ვყოფილვარ, არც ქუჩის ქალთან ვწოლილვარ ოდესმე და ეს ჩემმა ცოლმა კარგად იცოდა.

- საშარდე გზების ინფექციაა, - ავუხსენი მე, - დედაჩემი ამბობდა, ბიჭებს ემართებათ ხოლმე, როცა ჩრდილოეთის ქარში შარდავენო.

- დედაშენი სახლიდან არ გადიოდა, თუ იმ დღეს მარილი დაებნეოდა, - თქვა ჩემმა ცოლმა, - ექიმმა სედლერმა...

- არა, სერ, - ხელის აწევით შევაჩერე, - ეგ სულფატურ პრეპარატებს დამინიშნავს და კვირის ბოლოს კაბინეტის ყველა კუთხეში რწყევას დავიწყებ. თანდათან გამივლის, მანამ კი აჯობებს, დროებით გადავდოთ თამაში.

ჩემმა ცოლმა მარცხენა წარბს ზემოთ შუბლზე მაკოცა. ამაზე ყოველთვის დამბურძგლავდა ხოლმე... და ჯენისმა ეს იცოდა.

- ჩემო საბრალო, თითქოს პერსი უეტმორი არ კმაროდეს. მალე დაწექი.

ასეც მოვიქეცი, მაგრამ მანამდე გარეთ გავედი მოსაფსმელად (ოღონდ ჯერ სველი ცერა თითით ქარის მიმართულება შევამოწმე - რაოდენ სულელურადაც უნდა ჟღერდეს, მშობლების დარიგებები სამუდამოდ გებეჭდება გონებაში). გარეთ შარდვა სოფლად ცხოვრების კიდევ ერთი სიამოვნებაა, რომელზეც პოეტები არაფერს ამბობენ. თუმცა იმ ღამით არანაირი სიამოვნება არ მიგრძნია; შარდი ცეცხლმოკიდებული ნავთივით მწვავდა. თუმცა მომეჩვენა, რომ შუადღისას უფრო მტკიოდა, ორი-სამი დღის წინანდელ ტკივილთან კი შედარებაც არ შეიძლებოდა. იმედი მომეცა, იქნებ მართლაც მოვმჯობინდე-მეთქი. სულ ტყუილად ვიმედოვნებდი. ჩემთვის არავის უთქვამს, რომ „ხოჭო“ რომელიც იმ სველსა და თბილ ადგილას შეძვრება ხოლმე, ხანდახან ერთიორი დღით ძალების მოსაკრებად ყუჩდება. ამის გაგება ძალიან გამაკვირვებდა. უფრო გამიკვირდებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, მომდევნო თხუთმეტ-ოც წელიწადში წამალს შექმნიან, რომელიც მსგავს ინფექციას რეკორდულ დროში გამოფერთხავს ორგანიზმიდანო. და მართალია, ეს აბები კუჭ-ნაწლავის მცირეოდენ აშლილობას იწვევს, მაგრამ პირღებინებას მაინც არ დაგაწყებინებდა, როგორც ექიმი სენდლერის სულფატურ პრეპარატებს სჩვეოდა. 1932 წელს ლოდინის მეტი ბევრი არაფერი შეგეძლო, უნდა შეგუებოდი იმ შეგრძნებას, რომ საშარდე გზებში ნავთი ჩაგისხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

შარდის ბუშტი დავიცალე, საძინებელში შევედი და როგორც იქნა, დამეძინა. ეშმაკურად მოღიმარი, წითური გოგონები მესიზმრა.

# 6

მომდევნო დილით სამუშაო მაგიდაზე ციხის უფროსი მურსის მიერ ვარდისფერ ფურცელზე წაწერილი თხოვნა დამხვდა, როგორც კი შეძლებ, ჩემთან შემოდიო. მივხვდი, რომ გუშინ რომელიღაც დაუწერელი წესი დავარღვიე და უფროსთან შესვლას ისე ვაჭიანურებდი, როგორც ექიმ სედლერთან ვიზიტს. საერთოდაც, მგონია, რომ „პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას“ ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მოკლედ, ციხის უფროს მურსთან შესვლას არ ვჩქარობდი. ჯერ ბამბის უნიფორმა გავიხადე, სკამის საზურგეზე გადავკიდე და კუთხეში მდგარი ვენტილატორი ჩავრთე - იმ დღესაც ცხელოდა. შემდეგ დავჯექი და ბრუტუსის ღამის ანგარიშს გადავხედე. მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო. როგორც თითქმის ყოველ ღამე, დელაკრუას ძილის წინ ცოტა უტირია ( დარწმუნებული ვარ, უფრო თავის თავს დასტიროდა, ვიდრე ხანძარში დამწვარ მსხვერპლს) და სიგარეტის კოლოფიდან მძინარე მისტერ ჯინგლსი ამოუყვანია. ამას დელაკრუა დაუწყნარებია და მთელი ღამე ჩვილივით მშვიდად უძინია. მისტერ ჯინგლსს დელაკრუას მუცელზე უძინია, კუდი უკანა თათების ქვეშ ჰქონია ამოდებული. თითქოს ღმერთმა მოუვლინა დელაკრუას მფარველი ანგელოზი, თანაც ბრძნულად განსაჯა, რომ ისეთ ვირთხას, როგორიც ჩვენი ლუიზიანელი მკვლელი იყო, მხოლოდ თაგვი შეეფერებოდა. ბრუტუსის მოხსენებაში ყველაფერი არ ეწერა, მაგრამ ღამღამობით მეც ბევრჯერ მიმორიგებია და დანარჩენი თვითონ დავასკვენი. კოფიზე მოკლედ ეწერა: „მთელი ღამე იწვა, ოღონდ არ ეძინა. მასთან საუბრის წამოწყება ვცადე, მაგრამ კოფიმ პასუხად რაღაც წაიბურტყუნა და მეც შევეშვი. შეიძლება, პოლს ან ჰარის გაუღიმოთ ბედმა“.

„საუბრის წამოწყება“ ჩვენს საქმეში უმთავრესია. ოღონდ ამას ახლაღა ვხვდები, როცა წარსულს ბერიკაცის გადასახედიდან (მგონი, მოხუცებულობა იმათ ეჩვენებათ უცნაურად, ვისაც მისი გავლა მოუწევს) ვაფასებ და იმასაც ვაცნობიერებ, რატომ ვერ ვხდებოდი მაშინ - „საუბრის წამოწყება“ მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი საქმისთვის, ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც სუნთქვა. დროებითი მოსამსახურეებისთვის არა და, ჩემთვის, ჰარისთვის, ბრუტუსისთვის და დინისთვის კი ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა - ალბათ, ამიტომაც გვექცა პერსი უეტმორი ნამდვილ კოშმარად. ის თანამშრომლებსაც ეზიზღებოდათ და პატიმრებსაც... ყველას სძულდა, გარდა პოლიტიკოსი ნაცნობებისა, თავად პერსისა და ალბათ, (ამაშიც არ ვარ დარწმუნებული) დედამისისა. ის საქორწილო ტორტზე მოყრილი დარიშხანი იყო და ვფიქრობ, კატასტროფას სწორედ მან დაუდო სათავე. ის გარდაუვალი უბედურება იყო. რაც შეგვეხება დანარჩენებს, ჩვენთვის რომ ეთქვათ, სიკვდილმისჯილების მცველები კი არა, ფსიქიატრები უფრო ხართო, ალბათ, მასხრად ავიგდებდით, - ჩემს რაღაც ნაწილს ეს აზრი დღესაც კი სასაცილოდ ეჩვენება... მაგრამ „საუბრის წამოწყება“ რომ საჭირო იყო, ეს ყველამ ვიცოდით. თუ არ ააალაპარაკებდი, „ბებერ ნაპერწკალას“ მომლოდინეებს გაგიჟება ჰქონდათ ჩვევად.

ბრუტუსის მოხსენების ქვეშ მივაწერე, რომ ჯონ კოფის უნდა დავლაპარაკებოდი, ყოველ შემთხვევაში, უნდა მეცადა მაინც და მერე ციხის უფროსის მთავარი თანაშემწის კერტის ანდერსონის უწყებაზე გადავერთე. იქ ეწერა, რომ ანდერსონი მალე მიიღებდა „სიკვდილით დასჯის თარიღს“ ედვარდ დელაკროისისთვის (ანდერსონს სახელი შეცდომით ჩაეწერა: სიკვდილმისჯილს სინამდვილეში ედუარდ დელაკრუა ერქვა). ანდერსონისთვის მიენიშნებინათ, ჩია ფრანგი მწვანე გზაზე ჰელოუინამდე მცირე ხნით ადრე გაივლისო და კერტისი ფიქრობდა, სავარაუდოდ, 27 ოქტომ-

ბრისთვისო - კერტის ანდერსონი კი ვარაუდებში თითქმის არასდროს ცდებოდა. მაგრამ მანამდე კიდევ ერთ სიკვდილმისჯილს, უილიამ უორტონს მოიყვანდნენ. უწყებაში ანდერსონს მეტისმეტად კოხტად მიეწერა, უორტონი ისეთია, შენ რომ „პრობლემურ ბავშვს“ ეძახიო. „გიჟია და ამით ძალიან ამაყობს. ეს ბოლო წელი შტატში უმისამართოდ დაწანწალებდა და როგორც იქნა, გამოვიჭირეთ. ყაჩაღობისას სამი ადამიანი მოკლა, მათ შორის, ფეხმძიმე ქალი. მეოთხე კაცი, შტატის პატრული, გაქცევისას მოკლა. ერთი მონაზონი და ბრმა კაცი არ მოუკლავს, თორემ სხვა ვერავინ გადაურჩა“, - ამის წაკითხვისას ჩამეღიმა, - „უორტონი 19 წლისაა. მარცხენა მკლავზე „ბილი ბიჭუნა“ აქვს ამოსვირინგებული. ერთი-ორჯერ ცხვირში უნდა მოსდოთ, სხვაგვარად ვერ მოარჯულებთ, ამის გარანტიას გაძლევ, მაგრამ გაფრთხილდით. ამ ტიპს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია“, - ბოლო წინადადებისთვის კერტისს ორჯერ გაესვა ხაზი. ტექსტი ასე სრულდებოდა: „გარდა ამისა, შესაძლოა, აქ კარგა ხანს დარჩეს. საჩივარი აქვს შეტანილი; საქმე ისაა, რომ არასრულწლოვანია“.

გადარეული ბიჭი. განაჩენს ასაჩივრებს. შეიძლება საკმაო ხანს დარჩესო. ნაღდად არ გამხარებია. უეცრად თითქოს უფრო ძლიერ დაცხა. უფროს მურსთან შეხვედრას ვეღარ გადავდებდი.

„ქოულდ მაუნთინში“ მცველად მუშაობისას სამი უფროსი გამოვიცვალე; ჰელ მურსი მათ შორის ბოლო და საუკეთესო იყო. გულწრფელი, პირდაპირი, კერტის ანდერსონისგან განსხვავებით, დიდი გონიერებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ იმდენი პოლიტიკური ალღო კი ჰქონდა, რომ იმ პირქუშ წლებში სამსახური შეენარჩუნებინა... და საკმარისი პატიოსნებაც, რომ თამაშში ცდუნებას არ აჰყოლოდა. კარიერული წინსვლის შანსი აღარ ჰქონდა, მაგრამ უკმაყოფილო მაინც არ იყო. მაშინ ორმოცდათვრამეტი თუ ორმოცდაცხრამეტი წლის იქნებოდა, ნაოჭებიანი სახე ბლადჰაუნდს მიუგავდა,ბობო მარჩანტს, ალბათ, მისი სახე

ნაცნობი მოეჩვენებოდა. ჭაღარა თმა ჰქონდა, ხელი ოდნავ უკანკალებდა პარალიზებულივით, მაგრამ მკლავში ძალა ერჩოდა. ერთი წლით ადრე, სასეირნო ეზოში მას პატიმარი დაესხა თავს და ფიცრისგან გამოთლილი კეტი მოუქნია. მურსმა ხელი ისე მოხერხებულად გადაუგრიხა, რომ ძვლების ტკაცუნი გავიგე, თითქოს ხის ტოტი იწვის კოცონშიო. თავდამსხმელს ყველაფერი გადაავიწყდა და მუხლებზე დაცემული - ვაი, დედაო, - აყვირდა. მე დედაშენი არ ვარ, წესიერი სამხრეთული აქცენტით უთხრა მურსმა, მაგრამ რომ ვიყო, კაბას ავიწევდი და ზედ დაგაფსამდიო.

მასთან კაბინეტში რომ შევედი, ფეხზე წამოდგა, მაგრამ ხელით ვანიშნე, დაჯექი-მეთქი. მის პირდაპირ დავჯექი და ცოლის მდგომარეობაზე ვკითხე... ოღონდ ახლობლების მოკითხვა ჩვენს მხარეში სხვანაირად ვიცით:

- შენი ტურფა როგორ არის? - ვკითხე მე, თითქოს მელინდას სულ ჩვიდმეტი ზაფხული ენახოს და არა სამოცდაორი თუ სამოცდასამი.

ნამდვილად ვწუხდი მასზე; ჩვენი გზები რომ გადაკვეთილიყო, ასეთი ქალი მეც შემიყვარდებოდა და ვიქორწინებდი კიდეც. გარდა ამისა, მინდოდა, ჰელ მურსი ცოტა ხნით მთავარი საკითხისგან მომეწყვიტა.

- არც ისე კარგად, - ამოიხვნეშა მან, - არც ისე კარგად, პოლ.

- ისევ თავის ტკივილი აწუხებს?

- ამ კვირას მხოლოდ ერთხელ ასტკივდა, მაგრამ ასეთი ძლიერი შეტევა ადრე არ ჰქონია. გუშინწინ მთელი დღე საწოლში იწვა. გარდა ამისა, მარჯვენა ხელში ძალა გამოეცალა, - ბებრულად დალაქავებული მარჯვენა ხელი ასწია მურსმა. ორიოდ წუთი ასე ეკავა და ვუყურებდით, როგორ უცახცახებდა, მერე ისევ დასწია. ალბათ, რას არ დათმობდა, რომ იმის თქმა აღარ დასჭირვებოდა, რასაც მიყვებოდა და მეც ყველაფერს დავთმობდი, რომ ეს აღარ მომესმინა. მელინდას თავის ტკივილები გაზაფხულზე დაეწყო და

მთელი ზაფხული ექიმი ეუბნებოდა, ნერვული დაძაბულობით გამოწვეული შაკიკიაო - შეიძლება, ჰელის პენსიაზე გასვლის გამო ნერვიულობთო. არადა ორივე მოუთმენლად ელოდა ჰელის პენსიაზე გასვლას. ჩემმა ცოლმა მითხრა, შაკიკი მოხუცების კი არა, ახალგაზრდების სენიაო; მელინდას ასაკში შაკიკიანების მდგომარეობა მსუბუქდება, კი არ მძიმდებაო. ამას ხელის დაუძლურებაც დაერთო. ჩემი აზრით, ეს ნერვულ დაძაბულობას კი არა, ინსულტს ჰგავდა.

- ექიმ ჰავერსტრომს სურს, რომ მელინდა ინდიანოლის საავადმყოფოში დაწვეს, - თქვა მურსმა, - ანალიზები გაიკეთოს, რენტგენი გადაიღოს. წესიერი გამოკვლევა ჩაიტაროს. მელინდა ძალიან შეშინებულია! - მურსი წამით შეყოვნდა და დაამატა, - სიმართლე გითხრა, მეც.

- თვითონ მიიყვანე საავადმყოფოში, - ვურჩიე მე, - ნუღარ დაიცდი. თუ ისეთი რამ სჭირს, რაც რენტგენის სურათზე გამოჩნდება, შეიძლება მისი განკურნების გზაც იცოდნენ.

- ჰო, - თქვა მან და იმ მომენტში, როგორც მახსოვს, პირველად და უკანასკნელად ჩვენი საუბრისას, ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. სიტყვები არ იყო საჭირო. ამ მზერაში ყველაფერი ცხადად იკითხებოდა. შესაძლოა, მას ინსულტი ჰქონდა. მაგრამ იქნებ სიმსივნე გაუჩნდა ტვინში? ასეთ შემთხვევაში, ინდიანოლის საავადმყოფოში მელინდას გადარჩენის შანსი ძალიან მცირდებოდა. გახსოვდეთ, რომ 1932 წლის ამბებს ვყვები, როცა საშარდე გზების ინფექციაც კი სულფატურ პრეპარატებს და პირღებინებას ნიშნავდა, ან - ტკივილის თმენას და ლოდინს.

- თანაგრძნობისთვის გმადლობ, პოლ. მოდი ახლა, პერსი უეტმორზე ვილაპარაკოთ!

ამოვიოხრე და თვალებზე ხელი ავიფარე.

- დილით შტატის დედაქალაქიდან დამირეკეს, - მშვიდად თქვა ციხის უფროსმა, - ალბათ, ხვდები, რომ დამტუქსეს. პოლ, გუბერ-

ნატორი ცოლზე გიჟდება. მის ცოლისძმას კი ერთადერთი შვილი ჰყავს: პერსი უეტმორი. პერსიმ წუხელ მამამისს დაურეკა, მამამისმა კი - პერსის მამიდას. დანარჩენს, იმედია, თავადაც ხვდები.

- კი, - ვთქვი მე, - პერსიმ დაგვასმინა. მაბეზღარასავით, მასწავლებელთან რომ მიაქვს ენა, ჯეკი და ჯილი გასახდელში კოცნაობდნენო.

- ჰო, - თქვა მურსმა, - ზუსტად ეგრე.

- იცი, რა მოხდა პერსისა და დელაკრუას შორის, როცა დელაკრუა ჩვენთან მოიყვანეს? - ვკითხე მურსს, - იცი, რა უყო პერსიმ მას იმ თავისი ხელკეტით?

- კი, მაგრამ...

- მაშინ ისიც გეცოდინება, რომ ხანდახან იმ ხელკეტს გისოსებზე არახუნებს და ამით ერთობა. პერსი ბოროტი და სულელია, აღარ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გავუძლებ. აი, ეს არის სიმართლე.

უკვე მეხუთე წელი იყო, მე და მურსი ერთმანეთს ვიცნობდით; არც ისე დიდი დროა ვინმეს კარგად გასაცნობად, თუკი შენი სამსახური ადამიანის სიცოცხლის სიკვდილში გაცვლაა. იმის თქმას ვცდილობ, რომ მურსი მიმიხვდა. არა, სამსახურიდან წასვლას ნაღდად არ ვაპირებდი; გარეთ ხომ „დიდი დეპრესია“ დაძრწოდა, დამნაშავესავით, რომელსაც ჩვენი პატიმრებისგან განსხვავებით, საკანში ვერ ჩასვამდი. ჩემზე ბევრად უკეთეს ხალხს ყრიდნენ ქუჩაში და ადამიანები სამუშაოს ძიებაში, ქალაქიდან ქალაქში უსაქმურად დაეხეტებოდნენ. მე ბედმა გამიღიმადა ეს კარგად ვიცოდი - ბავშვები გაიზარდნენ, ორი წლის წინ იპოთეკური სესხიც დავფარე და ეს ასკილოიანი მარმარილოს ქვა გულიდან ამეხსნა. თუმცა, კაცს საჭმელიც სჭირდება, მის ცოლსაც ხომ უნდა ჭამა... გარდა ამისა, ჩვენს ქალიშვილს და სიძეს, როცა შეგვეძლო, ყოველთვიურად ოც დოლარს ვუგზავნიდით; ხანდახან ჩვენთვის ვიკლებდით და მაინც ვუგზავნიდით, თუ ჯეინის წერი-

ლებში სასოწარკვეთილებას ამოვიკითხავდით. ჩემი სიძე გათავისუფლებული სკოლის მასწავლებელი იყო. ხოლო უსამსახურობა რომ იმ საშინელ დღეებში სასოწარკვეთილებას უდრიდა, მსუბუქად ნათქვამი გამოვა. ასე რომ, სტაბილურშემოსავლიანი სამსახურის დაკარგვა ნაღდად არ ღირდა... თუ ცივსისხლიანად განსჯიდი. მაგრამ იმ შემოდგომაზე სისხლი მიდუღდა. ჯერ ხომ, გარეთ სეზონისთვის შეუსაბამოდ ცხელოდა და მერე ჩემს ორგანიზმში შეჭრილმა ინფექციამ ტემპერატურა კიდევ უფრო მაღლა ამიწია. ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს შეიძლება ზოგჯერ მუშტი უნებლიეთ, არასწორი მიმართულებით გაექცეს. თუ პერსისნაირ ვინმეს, ვისაც გავლენიანი ნაცნობები ჰყავს, ერთხელ მაინც დაარტყამდი მუშტს, ბოლომდე უნდა გეცემა, რადგან უკან დასახევი გზა მოჭრილი გქონდა.

- როგორმე ცოტაც მოუთმინე, - მშვიდად მითხრა მურსმა, - სწორედ ამის სათქმელად გიხმე აქ. სანდო წყაროსგან, თვითონ იმ კაცისგან ვიცი, ვინც დილით დამირეკა, რომ პერსიმ „ბრაიერში“ სამსახურის დასაწყებად განაცხადი შეიტანა და მალე აიყვანენ კიდეც.

- „ბრაიერში“? - გავიმეორე მე. „ბრაიერ რიჯი“ ქალაქის ორიდან ერთ-ერთ საავადმყოფოს ერქვა, - რა უნდა ამ ბიჭს? სახელმწიფო დაწესებულებებში მოგზაურობს?

- ადმინისტრაციული სამსახურია. უკეთესი ანაზღაურება. მხოლოდ ქაღალდებთან ექნება საქმე და ზაფხულის სიცხეში მძიმე საწოლების აქეთ-იქით თრევა აღარ მოუწევს, - ალმაცერად გამიღიმა მურსმა, - იცი, პოლ, უკვე თავიდან მოცილებული გეყოლებოდა, ვან ჰეისთან სააპარატოში რომ არ დაგესვა, მწვანე გზაზე ბელადის გავლისას.

თავიდან ვერც კი მივხვდი, რაზე მიმანიშნებდა მურსი. ან, შეიძლება, არ მინდოდა, მივმხვდარიყავი.

- აბა, რა მექნა? - გავცხარდი, - ჯანდაბა, ეგ კი არა, ჩვენს ბლოკში რა აკეთოს, წესიერად ესეც არ იცის. ხომ წარმოგიდგენია, სიკვდილით დამსჯელთა გუნდში მისი ჩართვა, - აღარ დავასრულე. ვეღარ დავასრულე. წარმოდგენაც კი რთული იყო, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას.

- და მაინც, აჯობებს, დელაკრუას სიკვდილით დასჯისას გუნდში გყავდეს.

ასე უფრო მალე მოიცილებ თავიდან.

პირღია მივაშტერდი მურსს. ბოლოს, როგორც იქნა, პირი მოვკუმე და ავლაპარაკდი.

- რას მეუბნები? ანუ, პერსის ელექტროსკამთან ახლოს დგომა უნდა, რომ სიკვდილმისჯილის შეხრუკული ტვინის სუნი შეიყნოსოს?

მურსმა მხრები აიჩეჩა. თვალები, რომლებიც ცოლზე საუბრისას სიბრალულით ჰქონდა სავსე, ახლა მკაცრად დააბრიალა.

- დელაკრუას ტვინი შეიხრუკება, მიუხედავად იმისა, იდგება მის გვერდით პერსი თუ არა, - თქვა მან, - ხომ ასეა?

- ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება რამე გააფუჭოს? ჰელ, ეგ ყველაფერს აფუჭებს. ჩვენ, ჯანდაბას, მაგრამ ოცდაათამდე მოწმისა და მთელი ლუიზიანიდან ჩამოსული ჟურნალისტების თვალწინ...

- ჰოდა, შენ და ბრუტუს ჰაუელი ყურადღებას მიაქცევთ, რომ რამე არ გააფუჭოს, - თქვა მურსმა, - და თუ მაინც ჩაფლავდება, ეს მის პირად საქმეში ჩაიწერება და თვით მისი გავლენიანი ნაცნობებიც კი ვერ ამოშლიან იქიდან. გასაგებია?

- გასაგებია, - კი შევშინდი და ავნერვიულდი, მაგრამ მივხვდი, რომ სხვა გზა არ მქონდა.

- შეიძლება, კოფის სიკვდილით დასჯამდე დარჩენა მოინდომოს, მაგრამ თუ გუნდში ჩართავ, იმედია, დელაკრუაც ეყოფა.

არადა, პერსის ისევ სააპარატოში დასმას ვაპირებდი, მერე კი თოფიან მცველად უნდა მიმეჩინა საკაცისთვის, რომლითაც დე-

ლაკრუას ცხედარს ციხის წინ დაყენებულ სასწრაფო დახმარების მანქანამდე მიიტანდნენ; ახლა ეს გეგმები უყოყმანოდ მოვისროლე განზე. მურსს თავი დავუქნიე. სახიფათო ავანტიურა წამოვიწყეთ, მაგრამ აღარ მანაღვლებდა. ოღონდაც პერსი უეტმორი მომეცილებინა თავიდან და ეშმაკსაც კი ვუჩქმეტდი ცხვირზე. დადგეს ეს პერსი ჩვენთან ერთად, სიკვდილმისჯილს ჩაფხუტი დაახუროს, ცხაურიდან ვან ჰეის ანიშნოს, მეორეზე გადართეო და უყუროს, როგორ შებრაწავს პატარა ფრანგს მის მიერ ბოთლიდან გამოშვებული ელვა-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის.

„დაე, ისიამოვნოს სახელმწიფოს მიერ სანქცირებული მკვლელობის ყურებით და მერე „ბრაიერ რიჯში“ თავის კაბინეტში გადაბარგდეს, რომელსაც ვენტილატორით გააგრილებს და თუ მამიდამისის ქმარს მომავალ წელს გუბერნატორად აღარ აირჩევენ, მაშინ ნახავს, როგორია ცხოვრება ამ გადახრუკულ ქვეყანაზე, სადაც ყველა ავაზაკი გისოსებს მიღმა სულაც არ ზის და ზოგჯერ შეიძლება, შენც წაგითაქონ“.

- კარგი, - ვთქვი და წამოვდექი, - დელაკრუას დასჯისას ჩვენთან დავაყენებ. მანამდე კი, სიმშვიდეს შევინარჩუნებ.

- მშვენიერია, - წამოდგა მურსიც, - ისე, შენ როგორ ხარ? - დელიკატურად მანიშნა საზარდულისკენ.

- ცოტა უკეთ.

- ძალიან კარგი, - კარამდე მიმაცილა, - კოფიზე რას იტყვი? პრობლემას ხომ არ შეგვიქმნის?

- არა მგონია, - ვუპასუხე, - ჯერჯერობით თავმოჭრილი მამალივით თვინიერია. უცნაური თვალები კი აქვს, მაგრამ მშვიდია. თვალ-ყურს ვადევნებთ. მასზე ნუ ინერვიულებ!

- გეცოდინება, რაც ჩაიდინა.

- დიახ.

ციხის უფროსის მისაღებში გავედით. როგორც ყოველთვის მოხუცი მის ჰანა გამყინვარების ეპოქის დროინდელ „ანდერვუ-

დის“ საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებდა თითებს. თავს მშვენივრად ვგრძნობდი. მაინც, იოლად გამოვძვერი. თანაც, პერსისგან გათავისუფლების შანსიც გამიჩნდა.

- მელინდა დიდი სიყვარულით მომიკითხე, - დავაბარე მურსს, - პრობლემებს ძალით ნუ შეიქმნით. აგერ ნახავ, ტკივილების მიზეზი შაკიკი იქნება და მეტი არაფერი.

- იმედია, - მითხრა მურსმა, ნაღვლიანი თვალების ქვეშ ტუჩებზე მსუბუქი ღიმილი გადაეფინა. საზარელი კომბინაცია იყო.

მე ე ბლოკში დავბრუნდი ახალი სამუშაო დღის დასაწყებად. საბუთები იყო გადასაკითხი და შესავსები, იატაკი - მოსაწმენდი, პატიმრებისთვის სადილი - მისართმევი, მომდევნო კვირისთვის სამორიგეო განრიგი - შესადგენი და სხვა ათასი წვრილმანი - მოსაგვარებელი. რაც მთავარია, მოლოდინის გრძნობა მქონდა; საპატიმროში ხომ მუდმივი მოლოდინია.

ველოდი, როდის გაივლიდა ედუარდ დელაკრუა მწვანე გზაზე; ველოდი, როდის მოიყვანდნენ „ბიჭუნა ბილის“ ტატუიან და ტუჩგამობერილ ბილ უორტონს და ყველაზე მეტად იმას ველოდი, როდის წაეთრეოდა ჩემი ცხოვრებიდან პერსი უეტმორი.

# 7

დელაკრუას თაგვი ამოუხსნელი ღვთიური საიდუმლო იყო. E ბლოკში თაგვი არც მანამდე მენახა და არც მას შემდეგ, რაც დელაკრუამ დაგვტოვა ოქტომბრის ცხელ და წვიმიან ღამეს - დაგვტოვა ისე საშინლად, რომ იმ დღის გახსენება დღესაც მიჭირს. დელაკრუა ამტკიცებდა, თაგვი მე გავწვრთენიო და წრუწუნამ ორთქლმავალი უილის სახელით ჩვენ შორის დაიწყო ცხოვრება. თუმცა, მგონია, რომ ყველაფერი პირიქით მოხდა. დინ სტენტონს და ბრუტუსსაც ასე მიაჩნდათ. იმ ღამით, როცა თაგვი გამოჩნდა, ორივე მორიგეობდა. როგორც ბრუტუსმა თქვა, უკვე გამოჩენისთანავე, თაგვი ნახევრად გაწვრთნილი და თავის ლუიზიანელ პატრონზე ორჯერ გონიერი იყო.

მე და დინი ჩემს კაბინეტში ვისხედით. გასული წლის ჩანაწერებს ვკითხულობდით და წერილობით შეხსენებას ვწერდით სიკვდილით დასჯის ხუთ მოწმეს და ვემზადებოდით ამგვარი შეხსენებების კიდევ იმ ექვსი მოწმისთვის მისაწერად, რომლებიც 1929 წლიდან მოყოლებული, გვესწრებოდნენ სიკვდილით დასჯებზე. გვაინტერესებდა, კმაყოფილები იყვნენ თუ არა ჩვენი მომსახურებით: ვიცი, აბსურდულად ჟღერს, მაგრამ ეს ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი იყო. როგორც გადასახადების გადამხდელები, მოწმეები ჩვენი კლიენტები იყვნენ, ოღონდ - განსაკუთრებული კლიენტები. კაცს ან ქალს, რომელიც შუაღამით პატიმრის სიკვდილის სანახავად მოდის, ამის განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს და თუკი, სიკვდილით დასჯა სათანადო სასჯელია, მოწმეების სურვილები აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. სიკვდილით დასჯის მიზანია, მოწმეებს უჩვენოს, რომ კოშმარი დასრულდა. შეიძლება, ეს მართლაც ზემოქმედებს. ხანდახან მაინც.

- ეი, - დაიძახა კარს იქით, დერეფნის თავში მაგიდასთან მჯდარმა ბრუტუსმა, - ეი, თქვენ ორნი! აქ მოდით!

მე და დინმა შეშფოთებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს. ვიფიქრეთ, ან ოკლაჰომაელ ინდიელს (მას არლენ ბიტერბაკი ერქვა, მაგრამ ჩვენ ბელადს ვეძახდით, ხოლო ჰარი ტერვილიგერი - „თხის ყველს“, რადგან, მისი აზრით, ბელადს თხის ყველის სუნი ასდიოდა) შეემთხვა რამე, ან - მეორე სიკვდილმისჯილს, რომელსაც პრეზიდენტს ვეძახდით. თუმცა, ბრუტუსს სიცილი აუტყდა და ჩვენც მისკენ გავეშურეთ, ნეტა რა ხდებაო. E ბლოკში სიცილი ისეთივე უჩვეულო იყო, როგორც, მაგალითად, ეკლესიაში.

მოხუც პიპინას, - სანდო პატიმარს თავის საჭმლის ურიკასთან ერთად უკვე გამოევლო; ბრუტუსს გრძელი ღამისთვის სამი სენდვიჩი, ორი ბოთლი ლიმონათი და ორი ნაჭერი ნამცხვარი მოემარაგებინა. გარდა ამისა, ნახევარი თეფში კარტოფილის სალათიც, რომელიც პიპინამ, როგორც ჩანს, საპატიმროს სამზარეულოდან აწაპნა. ბრუტუსს სამორიგეო ჟურნალი გადაეშალა და ჩვენდა გასაკვირად, შიგ არაფერი ჩაეწერა.

- რა იყო? - ჰკითხა დინმა, - რა ხდება?

- ეტყობა, შტატის საკანონმდებლო ორგანომ ჯიბეში ღრმად ჩაიყო ხელი და დამატებითი მცველი დაგვიქირავა. ერთი იქით გაიხედეთ!

მის თითს გავაყოლეთ მზერა და თაგვი დავინახეთ. მეც გამეცინა და დინიც ამყვა. სიცილი ვერ შევიკავეთ, რადგან თაგვი შემოვლაზე მყოფ მცველს ჰგავდა: პაწაწინა, ბალნიან მცველს, რომელიც თვალს ადევნებდა, რომელიმე პატიმარს თვითმკვლელობა ან გაქცევა არ ეცადა. მწვანე გზაზე რამდენიმე სანტიმეტრს გაირბენდა და თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, თითქოს საკნებს ამოწმებსო. შემდეგ ადგილს მოსწყდებოდა. იმან, რომ ჩვენს სიცილ-ხარხარში ორივე პატიმარი უდარდელად ხვრინავდა, კიდევ უფრო გაგვახალისა.

ჩვეულებრივი, ნაცრისფერი თაგვი იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ საკნებს „ამოწმებდა“. ერთი-ორ საკანში შევიდა კიდეც, გისოსებს შორის ისე მოხერხებულად გაძვრა, ზოგ-ზოგიერთ ჩვენს პატიმარს, ყოფილსაც და ამჟამინდელსაც, ალბათ შეშურდებოდა კიდეც. ოღონდ, რასაკვირველია, პატიმრებს გარეთ გამოძრომა მოუნდებოდათ და არა - შიგნით შეძრომა.

თაგვმა მხოლოდ ცარიელი საკნები მოიარა. ბოლოს, თითქმის ჩვენამდე მოვიდა. ვიფიქრე, ახლა უკან მიბრუნდება-მეთქი, მაგრამ ჩვენი სულაც არ შეშინებია.

- ვის გაუგია, თაგვს ხალხთან მიახლოების არ ეშინოდეს, - ცოტა ანერვიულდა დინი, - იქნებ ცოფიანია?

- ჰა-ჰა, - ჩაეცინა სენდვიჩით პირგამოტენილ ბრუტუსს, - თქვა სიტყვა თაგვების ექსპერტმა. ჰო, ცოფიანი იქნება, ვერა ხედავ, პირზე ქაფი ადგას?

- მის პირს საერთოდ ვერ ვხედავ, - თქვა დინმა და ყველას კვლავ სიცილი აგვიტყდა. თაგვის პირს ვერც მე ვხედავდი, სამაგიეროდ, პაწია შავ წერტილებს ვარჩევდი - მის თვალებს - და ცოფიანი სულაც არ მომჩვენებია. პირიქით, გონიერი მზერა ჰქონდა. სიკვდილის გზას ისეთი მოკვდავები გამიყენებია, - თითქოსდა სულით უკვდავები - რომლებიც ამ თაგვზე ბევრად იდიოტურად გამოიყურებოდნენ.

თაგვი მორიგის მაგიდიდან ერთ მეტრში გაჩერდა... ერთი უბრალო მაგიდა იყო, ისეთი, გარეუბნის სკოლებში მასწავლებლებს რომ უდგათ ხოლმე. თაგვი გაჩერდა და კუდი თათებზე ისე კოხტად შემოიგდო, თითქოს მოხუცმა ქალბატონმა კაბა გაისწორაო.

უცებ სიცილი შევწყვიტე და ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. არ ვიცი, ეს რატომ დამემართა - არავის უყვარს სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩენა - მაგრამ ისედაც ისეთი უცნაური ამბების მოყოლას ვაპირებ, არც ამ შემთხვევის შესახებსაუბარს

მოვერიდები. წუთით თავი იმ თაგვად წარმოვიდგინე, ოღონდ მცველი კი არა, მეც მწვანე გზაზე მდგარი ერთ-ერთი სიკვდილმისჯილი ვიყავი; შევყურებდი მაგიდას, რომელიც იქიდან, ალბათ, მრავალი კილომეტრის სიმაღლის მოჩანდა (როგორიც ალბათ ღვთის ტახტი მოგვეჩვენება განკითხვის დღეს), მაგიდასთან ბოხხმიანი გოლიათები იდგნენ. გოლიათები, რომლებიც ჩემს თანამოძმეებს პნევმატური პისტოლეტებიდან ესროდნენ, ან ცოცხებით დასდევდნენ, ან სათაგურებს უგებდნენ; სათაგურებს, რომლებიც სპილენძის ფილაზე დადებული ყველის ნაჭრის მოსაკვნეტად მიპარულ თაგვებს კისერს უგრეხდა.

მორიგე ოფიცრის მაგიდასთან ცოცხი არ იდო; სამაგიეროდ, იდგა წყლით სავსე ვედრო, რომელშიც ტილო იდო. სანამ კაბინეტში დინთან ერთად წერილობით შეხსენებებს ჩავუჯდებოდი, მწვანე ლინოლეუმი და ექვსივე საკანი გამოვწმინდე. შევამჩნიე, რომ დინი შვაბრის აღებას და მოქნევას აპირებდა და როცა მის ტარს სტაცა ხელი, მაჯაში ჩავეჭიდე.

- თავი დაანებე, დარჩეს, - ვუთხარი.

დინმა მხრები აიჩეჩა და შვაბრას ხელი გაუშვა. მომეჩვენა, რომ არც მას უნდოდა თაგვის გასრესა.

ბრუტუსმა სენდვიჩს ყუა მოაგლიჯა, თითებით ფრთხილად დაფშვნა და წინ გაიშვირა. თაგვმა უფრო ცოცხლად ამოგვხედა, თითქოს მიხვდა, რასაც სთავაზობენო. ულვაშები აათამაშა და ცხვირი შეჭმუხნა.

- არა, „მხეცო“, ამას ნუ იზამ! - წამოიძახა დინმა და მე შემომხედა, - პოლ, შეაჩერე! ამას თუ აჭმევს, ყველა ოთხფეხასთვის მოგვიწევს სუფრის გაშლა...

- უბრალოდ, მაინტერესებს, რას იზამს, - თქვა ბრუტუსმა, - მხოლოდ ექსპერიმენტია, - და მანაც მე შემომხედა - მათი უფროსი მე ვიყავი და ასეთი მცირე თვითნებობისთვისაც ჩემი ნებართვა სჭირდებოდათ. წამით დავფიქრდი და მხრები ავიჩეჩე, სუ-

ლერთია-მეთქი. სინამდვილეში კი, მეც მაინტერესებდა, რა მოხდებოდა.

როგორც ველოდი, თაგვმა სენდვიჩის ნაფშვენები შეჭამა. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში „დიდი დეპრესია“ მძვინვარებდა. თუმცა, მისმა ჭამის სტილმა ყველა გაგვაკვირვა. თაგვმა სენდვიჩის ნაფშვენი ჯერ დაყნოსა, მერე აკრობატი ძაღლივით უკანა თათებზე შედგა და პურის ნაჭრებიდან ხორცი გამოაძვრინა. ეს ისე მონდომებით გააკეთა, თითქოს საყვარელ რესტორანში გემრიელ მწვადს მიირთმევსო. არასდროს მინახავს, ცხოველს ასე ეჭამოს. ეს საუკეთესოდ გაწვრთნილ შინაურ ძაღლსაც არ შეუძლია. სანამ ჭამდა, ჩვენთვის თვალი არ მოუშორებია.

- ან გონიერი თაგვი ყოფილა, ან ძალიან მშიერი, - გაისმა უეცრად ხმა. ეს ბიტერბაკი იყო. გაღვიძებოდა და ფართხუნა საცვლის ამარა გისოსებთან იდგა. საჩვენებელ და შუა თითებს შორის პაპიროსი გაეჩერა. ჭაღარა თმა ორ ნაწნავად ჩამოეყარა ოდესღაც დაკუნთულ და უკვე მოჩვარულ მხარ-ბეჭზე.

- ბელადო, თაგვზე ინდიელთა სიბრძნე ხომ არ იცი? - ჰკითხა ბრუტუსმა, რომელიც თაგვს მიშტერებოდა. ყველა გაოგნებული ვუყურებდით, როგორ ატრიალებდა წინა თათებში ხორცის ნაჭერს, თითქოს მადააღძრული აკვირდებაო.

- არა, - უპასუხა ბელადმა, - ისე, ერთ მამაც ბიჭს კი ვიცნობდი, იძახდა, თაგვის ტყავის ხელთათმანები მაქვსო, მაგრამ არ მჯეროდა, - მერე გაეცინა, თითქოს იხუმრაო და გისოსებს მოშორდა. საწოლის ჭრაჭუნი გავიგეთ. ბელადი ისევ დაწვა.

თაგვისთვის ეს ჭრაჭუნი წასვლის ნიშანი აღმოჩნდა. თათებში რაც ეჭირა, შეჭამა, ძირს რაც ეყარა (ძირითადად, პურის ნაფშვენები) - დაყნოსა და ბოლოს, ჩვენ შემოგვხედა, თითქოს ჩვენს სახეებს მომავალი შეხვედრისთვის იმახსოვრებსო. მერე მიტრიალდა და საიდანაც მოვიდა, იქით გაიქცა, ამჯერად შეყოვნებებისა და საკნების თვალიერების გარეშე. მისმა სიჩქარემ „ალისა სა-

ოცრებათა სამყაროს“ თეთრი კურდღელი გამახსენა და გამეცინა. თაგვი დამამშვიდებელი ოთახის კარქვეშ დაუბრკოლებლად გაძვრა. დამამშვიდებელ ოთახს რბილი კედლები ჰქონდა, რადგან იქ ტვინშერბილებულებს ვამწყვდევდით. როცა დამამშვიდებელ ოთახს მიზნობრივად არ ვიყენებდით, შიგ ცოცხებს, შვაბრებს და სხვა ასეთ საგნებს ვინახავდით. ზოგჯერ - წიგნებსაც (მეტწილად, კლარენს მალფორდის ვესტერნებს, მაგრამ ერთი წიგნი - რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისას გავცემდით - უხვად ილუსტრირებული კომიქსი იყო, რომელშიც პოპაი, ბლუტო და თვით ჰამბურგერების რისხვა უიმპი ოლივ ოილს რიგ-რიგობით ქინძავდნენ). იქვე ვაწყობდით სხვადასხვა ხელსაწყოს, მათ შორის, ფერად ფანქრებს, რომლებსაც მოგვიანებით დელაკრუამ კარგი დანიშნულება მოუძებნა. რა თქმა უნდა, დამამშვიდებელ ოთახში ინახებოდა თეთრი, სქელი პერანგი ღილებით, ღვედებითა და ბალთებით უკანა მხარეს - მისი ჩაცმა არავის უნდოდა: პრობლემური ბიჭების იმ პერანგში გახვევაში ყველა გაწვრთნილი ვიყავით. არა, ჩვენი თავდაკარგული ყმაწვილები დიდი შფოთისთავები არ იყვნენ, მაგრამ თუ მაინც აბობოქრდებოდნენ, ნაღდად არ დავიწყებდით ლოდინს, როდის დაშოშმინდებოდნენ.

ბრუტუსმა მაგიდის უჯრიდან დიდი, ტყავისყდიანი წიგნი გამოიღო, რომელსაც ოქროსფერი ასოებით „სტუმრები“ ეწერა. როგორც წესი, წიგნი თვიდან თვემდე უჯრაში იდო. თუ პატიმართან მნახველი მოვიდოდა - ადვოკატი ან მღვდელი - ისინი მათთვის გამოყოფილ დარბაზში გადიოდნენ, რომელსაც „არკადას“ ვუწოდებდით, ოღონდ, არ ვიცი, რატომ.

- ნეტა რა ჯანდაბას აკეთებ? - ჰკითხა დინმა ბრუტუსს, რომელიც სიკვდილით დასჯილი პატიმრების სახელებით სავსე წიგნს ფურცლავდა.

- ვემორჩილები მე-19 წესს, - უპასუხა ბრუტუსმა და, როგორც იქნა, მიაგნო მიმდინარე თვის გვერდს. ფანქრის წვერი გალოკა - ეს საძაგელი ჩვევა ვერაფრით მოვაშლევინეთ - და საწერად გაემზადა. მე-19 წესის თანახმად, ე ბლოკის ყოველ სტუმარს ყვითელი ადმინისტრაციული საშვი უნდა წარმოედგინა და ყველა მათგანი აუცილებლად უნდა აღერიცხათ სიაში.

- მგონი, გაგიჟდა, - თქვა დინმა.

- საშვი არ წარმოუდგენია, მაგრამ ამ ერთხელ ვაპატიებ, - ჩაილაპარაკა ბრუტუსმა, კიდევ ერთხელ გალოკა ფანქრის წვერი და „ბლოკში მოსვლის დროს“ გასწვრივ 9:49 ჩაწერა.

- ჰო, რატომაც არა, უფროსობა თაგვებისთვის გამონაკლისს უშვებს, - ვთქვი მე.

- დიახაც, - თქვა ბრუტუსმა და მაგიდის უკან კედლის საათს შეხედა. „ბლოკიდან წასვლის დროს“ გასწვრივ გრაფაში 10:01 ჩაწერა. მცირე ფიქრის შემდეგ - ალბათ, სახელს იგონებდა - ბრუტუს ჰაუელმა „სტუმრის სახელის“ გასწვრივ ორთქლმავალი უილი კოხტად ჩაწერა. იმ დროს მიკი მაუსს ასე უწოდებდნენ, რადგან მაშინდელ მულტფილმებში თაგუნია მიკი სტვენა-სტვენითა და ცეკვა-ცეკვით მართავდა ორთქლმავლის საჭეს.

- ესეც ასე, - თქვა ბრუტუსმა და წიგნი დაკეცა, - ყველაფერი წესრიგშია.

გამეცინა, მაგრამ დინი ხუმრობასაც სერიოზულად ეკიდებოდა და გაბრაზებული წმენდდა სათვალის მინებს.

- ეს რომ ვინმემ ნახოს, პრობლემები შეგექმნება, - თქვა და შეყოყმანებულმა დაამატა, - ვინმე ისეთმა, - მერე ფრთხილად მიმოიხედა, თითქოს შიშობს, კედლებმაც ყურები ხომ არ გამოისხასო და დაასრულა, - პერსი უეტმორის მსგავსმა, სხვები რომ ფეხებზე ჰკიდია.

- მეტი რა გინდა, - ჩაიცინა ბრუტუსმა, - პერსი ამ მაგიდას მხოლოდ მაშინ მიუჯდება, მე რომ წავალ სამსახურიდან.

- შეიძლება საკუთარი ნებით წასვლა ვერ მოასწრო, ისე დაგითხოვონ ამ ხუმრობისთვის, - უთხრა დინმა, - თუ პერსიმ ენა მიუტანა იმას, ვისაც საჭიროა. ხომ იცი, ამას არ მოერიდება!

ბრუტუსმა დინს შეუბღვირა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვიფიქრე, ჩანაწერს ღამით ნამდვილად წაშლის-მეთქი. მას რომ არ წაეშალა, მე აუცილებლად წავშლიდი.

მომდევნო ღამით, როცა ჩვეულებრივი პატიმრები საკნებში გამოკეტეს, ჯერ ბიტერბაკი და მერე პრეზიდენტი დ ბლოკში წავიყვანეთ დასაბანად, ბრუტუსმა მკითხა, დამამშვიდებელი ოთახი ხომ არ შევამოწმოთ, იქნებ ორთქლმავალი უილი ვიპოვოთო.

- შევამოწმოთ, - დავეთანხმე მე. წინა ღამით თაგვმა კარგად გვაცინა, მაგრამ დამამშვიდებელ ოთახში რომ გვეპოვა, მით უმეტეს, ოთახის ვატინის კედელი გამოღრღნილი რომ დაგვხვედროდა, ასე მგონია, მას შეუბრალებლად გავსრესდით. აჯობებს, მზვერავი მოკლა, ვიდრე პილიგრიმების ჯართან მოგიწიოს ცხოვრებამ. თანაც, ვაღიარებ, რომ თაგვის მოკვლა არც ერთს არ მოგვერიდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მთავრობა ხომ ვირთხების თავიდან მოშორებაში გვიხდიდა ფულს.

თუმცა, ორთქლმავალი უილი - შემდგომში მისტერ ჯინგლსად წოდებული - იმ ღამით ვერსად ვიპოვეთ; არც ვატინის კედლის და არც ოთახში დახვავებული ხარახურის უკან იყო მიმალული. ოთახი ბოლოს დიდი ხნის წინ გამოვიყენეთ და შიგ ბევრი ხარახურა დაგროვილიყო. თუმცა, ბილ უორტონის გამოჩენის შემდეგ, მდგომარეობა „გამოსწორდა“. მაშინ, ჩვენდა ბედად, ჯერ კიდევ არ ვიცოდით, წინ რა გველოდა.

- ნეტა სად წავიდა? - თქვა ბრუტუსმა და გაოფლილი კეფა ცხვირსახოცით მოიწმინდა, - არც ხვრელი ჩანს სადმე, არც - ბზარი, აი, მანდ კი შეიძლება, მაგრამ... - იატაკზე წყალსადინარისკენ მანიშნა. ცხაურის ქვეშ, რომლიდანაც შესაძლოა, თაგვი შე-

მოძვრა, რკინის ისეთი წვრილი ბადე მოჩანდა, შიგ ბუზიც კი ვერ გაეტეოდა, - შიგნით როგორ შემოვიდა? ან როგორ გავიდა?

- არ ვიცი, - ვთქვი მე.

- აქეთ არ წამოვიდა? სამივემ დავინახეთ.

- ჰო, კარის ქვეშ გაძვრა. ძლივძლივობით, მაგრამ მაინც მოახერხა.

- ღმერთო, - წამოიძახა ბრუტუსმა და ამხელა კაცის პირიდან ამ სიტყვამ უცნაურად გაიჟღერა, - კარგია, რომ პატიმრებს არ შეუძლიათ ასე დაპატარავება.

- შენ ეგა თქვი, - შევნიშნე და უკანასკნელად მოვავლე თვალი კედელს, იქნებ სადმე ნახვრეტი ან ბზარი დავინახო-მეთქი, მაგრამ ამაოდ, - კარგი, წამოდი.

ორთქლმავალი უილი სამი დღის შემდეგ, ჰარი ტერვილიგერის მორიგეობის ღამეს დაბრუნდა. იმ ღამით პერსიც მორიგეობდა და თაგვს მწვანე გზაზე გაეკიდა იმ შვაბრით, რომლის მოშველიება დინს გადავაფიქრებინე. მღრღნელი პერსის იოლად გაექცა და გამარჯვებული შეძვრა დამამშვიდებელ ოთახში. პერსიმ ხმამაღალი ლანძღვა-გინებით გააღო ოთახის კარი და მთელი ის ნაგავი გარეთ გამოყარა. ერთდროულად სასაცილო სანახავიც იყო და საშინელიცო, მითხრა ჰარიმ. პერსი იმუქრებოდა, იმ წყეულ თაგვს დავიჭერ და შეშლილ ტვინს კედელზე მივასხმევინებო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ შეძლო. გაოფლიანებული და აქოშინებული პერსი პერანგამოჩაჩული დაჯდა მაგიდასთან და ჰარის (რომელიც იმ ნახევარსაათიან აურზაურში მშვიდად კითხულობდა) უთხრა, კარის ქვეშ წვრილ ფიცარს მივამაგრებ, მაგ მავნებელს სხვანაირად ვერ მოვიშორებთო.

- როგორც საჭიროდ მიიჩნევ, პერსი, - უთხრა ჰარიმ და კოვბოური რომანის მომდევნო ფურცელზე გადაფურცლა. იფიქრა, პერსის ეს მაინც დაავიწყდებაო და ასეც მოხდა.

# 8

იმავე ზამთარს, ამ შემთხვევებიდან კარგა ხნის შემდეგ, ერთხელ ღამით ჩემთან ბრუტუსი მოვიდა. მხოლოდ მე და ის ვმორიგეობდით. ე ბლოკი დროებით ცარიელი იყო, სხვა მცველები დროებით სხვაგან გადაიყვანეს, პერსი კი - „ბრაიერ რიჯში“.

- ერთი, აქ მოდი, - სასაცილოდ, ისე ჩუმად მითხრა ბრუტუსმა, რომ გაკვირვებული მაშინვე მისკენ შევტრიალდი. სუსხიანი თოვლჭყაპიდან შენობაში, ის-ის იყო, შევედი და სანამ საკიდზე ჩამოვკიდებდი, ქურთუკს ვიფერთხავდი.

- რამე მოხდა? - ვკითხე.

- არა, - მიპასუხა ბრუტუსმა, - მაგრამ მისტერ ჯინგლსის სორო ვიპოვე. ანუ, ის სორო, სადაც დელაკრუასთან „დამეგობრებამდე“ ცხოვრობდა. გინდა, გაჩვენო?

რა თქმა უნდა, მინდოდა. ბრუტუსი მწვანე გზით დამამშვიდებელი ოთახისკენ გამიძღვა. პატიმრების დროებითი არყოფნით ესარგებლა და ოთახიდან მთელი ხარახურა დერეფანში გამოეზიდა, იქაურობის მისალაგებლად. შიგნით შვაბრა და ვედრო იდგა. დერეფანში რომ ეფინა, იმ მკვახე ლაიმისფერი ლინოლეუმივით მწვანე იატაკზე სველი ზოლები თანდათან შრებოდა. შუაში გასაშლელი კიბე იდგა, რომელსაც იმ საწყობში ვინახავდით, სადაც სიკვდილმისჯილებს საბოლოოდ ვემშვიდობებოდით. კიბის ზედა საფეხურის ქვემოთ გამოწეულ თაროზე (რომელსაც ხელოსანი ხელსაწყოების ყუთის დასადგმელად იყენებს, მღებავი კი - საღებავის ქილის) ფარანი იდო. ბრუტუსმა ფარანი გამომიწოდა.

- კიბეზე ადი. ჩემზე დაბალი ხარ და ბოლომდე მოგიწევს ასვლა, მაგრამ მუხლებს მე გაგიმაგრებ!

- მანდ მეღიტინება! - ვთქვი მე. - მგრძნობიარე მუხლები მაქვს.

- ისე მოგკიდებ ხელს, რომ არ მოგეღიტინოს.

- კარგი, ოღონდ გახსოვდეს, თაგვის სოროს აღმოჩენის სანაცვლოდ მენჯის ამოგდება ნამდვილად არ მიღირს.

- ჰა?

- არაფერი, - თავით ლამის ჭერზე დაკიდებულ, გალიაში ჩასმულ ნათურას ვეხებოდი და ვგრძნობდი, როგორ ირყეოდა ჩემქვეშ კიბე. გარედან სუსხიანი ქარის ზუზუნი მესმოდა, - მაგრად დამიჭირე.

- გიჭერ, ნუ გეშინია, - კიდევ ერთი საფეხურით ზემოთ ავინაცვლე და ბრუტუსმა კანჭებზე ძლიერ მომხვია ხელები. ჭერს ზემოთ ავყავი თავი. იქ, სადაც სახურავის ორი კოჭი ერთმანეთს უერთდებოდა, რამდენიმე წინდახედულ ობობას აბლაბუდა გაება. ფარანი აქეთ-იქით მივანათე, მაგრამ ისეთი ვერაფერი დავინახე, ამსიმაღლეზე ამოსვლად და ძირს ჩავარდნად რომ ღირებულიყო.

- არა, - მითხრა ბრუტუსმა, - ძალიან მაღლა იყურები. იმ ადგილს შეხედე, ორი კოჭი რომ ერთდება. შენგან მარცხნივ. ერთერთი კოჭი ცოტათი გაცვეთილია.

- ვხედავ.

- შეერთების ადგილას მიანათე!

მივანათე და მაშინვე დავინახე ის, რაზეც ბრუტუსი მიმანიშნებდა. კოჭები ნარანდებით დაემაგრებინათ. ექვსიდან ერთ-ერთი ნარანდის ადგილას მონეტისხელა, მრგვალი ნახვრეტი დარჩენილიყო. ნახვრეტი ყურადღებით დავათვალიერე და მერე დაეჭვებით ჩავძახე ბრუტუსს: - პატარა თაგვი კი იყო, მაგრამ მთლად ასეთი პატარაც არ ყოფილა...

- მაგრამ უეჭველად მანდედან დაძვრებოდა, - თქვა ბრუტუსმა.

- ვითომ რატომ?

- წინ გადაიხარე და დაყნოსე. ნუ გეშინია, გიჭერ!

ცალი ხელით კოჭს ჩავეჭიდე და წინ გადავიხარე. გარეთ ქარმა ისევ დაიზუზუნა. ხვრელიდან ჰაერის ნაკადი შემოიჭრა და სახეში დამეტაკა. ზამთრის სუსხიან ამონასუნთქს რაღაც უცხო სუნიც შემოჰყვა...

პიტნის სუნი.

მისტერ ჯინგლსს გაუფრთხილდიო, ყურში ჩამესმა დელაკრუას აკანკალებული ხმა და ვიგრძენი მისტერ ჯინგლსის სხეულის სითბო, როცა ჩია ფრანგმა ხელში ჩამისვა თაგვი, ყველაზე ჭკვიანი და გონიერი თავის მოდგმაში, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი თაგვი. გაუფრთხილდი, რომ იმ საძაგელმა არაფერი დაუშავოსო, მთხოვა დელაკრუამ და მეც დავპირდი, რადგან როცა ბოლოს და ბოლოს, მწვანე გზაზე მართლაც უწევდა გავლა, ყველა სიკვდილმისჯილს ვპირდებოდი ბოლო სურვილის შესრულებას. „ამ წერილს ოცი წლის უნახავ ჩემს ძმას ხომ გაუგზავნი?“ მეც ვთანხმდებოდი. „ჩემი სულის გადასარჩენად „გიხაროდენ, მარიამს“ თხუთმეტჯერ წარმოთქვამ?“ მეც ვთანხმდებოდი. ამით მათ მწვანე გზის გავლისა და ელექტროსკამზე მშვიდად დაჯდომის ძალას ვაძლევდი. რა თქმა უნდა, ყველა სურვილს ვერ ვასრულებდი, მაგრამ დელაკრუასთვის დანაპირები შევასრულე. რაც შეეხება ჩია ფრანგს, მან თავისი დანაშაულისთვის მწარედ ზღო. „იმ საძაგელმა“ დელაკრუა ძლიერ აწამა. დიახ, მე კი ვიცი, რა ჩაიდინა ედუარდ დელაკრუამ, მაგრამ არავინ იმსახურებს ისეთ ტკივილს, როგორიც „ბებერი ნაპერწკალას“ მტკიცე მკლავებში მოქცეულმა ფრანგმა განიცადა.

პიტნის სუნი.

და კიდევ რაღაც. ხვრელში რაღაც იდო.

უბის ჯიბიდან მარჯვენა ხელით კალმისტარი ამოვიღე, მარცხენათი კვლავაც კოჭს ვეჭიდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ბრუტუსი უნებლიეთ მიღიტინებდა ფეხებზე, აღარ მეშინოდა. ცალი ხელით კალმისტარს თავსახური მოვხსენი და კალმის წვე-

რით სიღრმიდან რაღაც გამოვათრიე. ყვითლად შეღებილი ხის ნატეხი აღმოჩნდა.კვლავ ისე ცხადად ჩამესმა დელაკრუას სიტყვები ყურში, თითქოს მისი სული იმალებოდა იმ ოთახში, სადაც უილ უორტონმა დიდი დრო გაატარა.

„ჰეი, ბიჭებო! - დელაკრუას ხმა ამჯერად იმ უდარდელი კაცის ხმას ჰგავდა, რომელსაც დროებით დავიწყნია, სად არის და წინ რა ელის, - მოდით, ნახეთ, მისტერ ჯინგლსს რა შეუძლია!“

- ღმერთო! - წავიჩურჩულე. სუნთქვა შემეკრა.

- კიდევ ერთი ნატეხი იპოვე, არა? - მკითხა ბრუტუსმა, - მე უკვე სამი თუ ოთხი ვიპოვე.

ძირს ჩავედი და ფარანი ფართო ხელისგულზე მივანათე. ზედ ხის წვრილი ნატეხები ეყარა. ორი ისეთივე ყვითელი იყო, მე რომ ვიპოვე, ერთი - მწვანე და ერთიც - წითელი. ისინი შეღებილი კი არა, ფანქრებით გაფერადებული იყო.

- დაუჯერებელია, - ხმააკანკალებულმა ვთქვი, - ეს ხომ იმ ძაფის კოჭის ნამსხვრევებია? როგორ? იქ საიდან აღმოჩნდა?

- ბავშვობაში სხვებზე დიდი არასდროს ვყოფილვარ, - დაიწყო ბრუტუსმა, - ტანი თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისამ ავიყარე. სკოლაში პირველად რომ წავედი, თავს... როგორც იტყვიან, წრუწუნად ვგრძნობდი. ძალიან მეშინოდა და იცი, რა ვქენი?

თავი გავაქნიე. გარეთ ქარი ისევ აზუზუნდა. კოჭების შეერთების ადგილას აბლაბუდები გახეული მაქმანებივით ირხეოდა. ასეთ ცარიელ და წარსულის მოჩვენებებით დასახლებულ ადგილას პირველად ვიყავი და სწორედ იმ კოჭის (რომელმაც ამდენი პრობლემა შეგვიქმნა) ნატეხების ყურებისას გავიაზრე გონებით ის, რასაც ჩემი გული ჯერ კიდევ ჯონ კოფის მიერ მწვანე გზის გავლის შემდეგ მიხვდა: ამ საქმის კეთებას ვეღარ შევძლებდი. „დიდი დეპრესიის“ მიუხედავად, იმ სამსახურში ვეღარ დავრჩებოდი, სადაც ჩემ თვალწინ პატიმრები სიკვდილთან შესახვედრად მიდიოდნენ. კიდევ ერთი სიკვდილის ყურებას ვეღარ გადავიტანდი.

- დედაჩემს ცხვირსახოცი გამოვართვი, - განაგრძო ბრუტუსმა, - და როცა თავს პატარად ვიგრძნობდი და ტირილი მომინდებოდა, ცხვირსახოცს ვიღებდი და მის სუნამოს ვყნოსავდი დასამშვიდებლად.

- ფიქრობ, რომ თაგვი იმ ძაფის კოჭს ღრღნიდა... დელაკრუას გასახსენებლად? რომ თაგვს...

ბრუტუსმა ამომხედა. მომეჩვენა, რომ მის თვალებში ცრემლები დავინახე, მაგრამ მგონი, მართლაც მომეჩვენა.

- მე არაფერს ვფიქრობ, პოლ. უბრალოდ, მანდ ეს ნატეხები ვიპოვე და პიტნის სუნი მეცა. ვიცი, რომ შენც იგრძენი პიტინის სუნი. მორჩა, ამას ვეღარ გავაკეთებ. აღარ გავაკეთებ. იმ სკამზე კიდევ ერთი სიკვდილმისჯილი რომ დავინახო, გული გამისკდება. ორშაბათს არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ კოლონიაში გადაყვანას მოვითხოვ. თუ მომდევნო სიკვდილით დასჯამდე მოვასწრებ აქედან წასვლას, ხომ კარგი, თუ არადა, სამსახურს მივატოვებ და ფერმერობას მივუბრუნდები.

- ქვების გარდა რამე გაგიხარებია ყანაში?

- სულერთია.

- ვიცი, რომ სულერთია, - ვუთხარი, - მგონი, მეც შემოგიერთდები...

ბრუტუს ჰაუელმა ყურადღებით შემომხედა, ხომ არ მეხუმრებაო და მერე თავი დამიქნია, გადაწყვეტილი საქმეაო. ქარმა კიდევ ერთხელ დაიქროლა, ამჯერად ისე ძლიერად, რომ სახურავის კოჭები ააჭრიალა. შეშფოთებულებმა მოვავლეთ თვალი რბილ კედლებს. მომეჩვენა, რომ წამით უილიამ უორტონის (და არა „ბიჭუნა ბილის“, - ის ჩვენთვის პირველივე დღიდან „შეშლილ ბილიდ“ იქცა) დამცინავი ხმა გავიგე, ძალიან გაიხარებთ, როცა თავიდან მომიშორებთ, მაგრამ მაინც ვერასდროს დამივიწყებთო. ის მართალი გამოდგა.

მე და ბრუტუს ჰაუელმა იმ წვრილ ნატეხებთან საზეიმოდ დადებული ფიცი აღვასრულეთ და მას შემდეგ სიკვდილით დასჯაში მონაწილეობა აღარ მიგვიღია. ჯონ კოფი ჩვენთვის ბოლო იყო.

# მეორე ნაწილი

# კოფის ხელები

## 1

მოხუცთა თავშესაფარს, სადაც ცხოვრებისთვის წერტილის დასმას ვცდილობ, „ჯორჯია პაინსი“ ჰქვია. ის დაახლოებით 95 კილომეტრითაა დაშორებული ატლანტას და ორასი სინათლის წელიწადით - სიცოცხლეს, რომლითაც ოთხმოც წელზე უმცროსი ასაკის ხალხი ცხოვრობს. თქვენ, ვინც ახლა ამ წიგნს კითხულობთ, გირჩევთ, გაფრთხილდეთ, რომ ჩემსავით რომელიმე ასეთ თავშესაფარში არ მოხვდეთ სიბერეში. ერთი შეხედვით, არც ისე საშინელი ადგილია, საკაბელო ტელევიზიაც გვაქვს და საკმარისად საჭმელიც (ოღონდ ისეთი რამ არც ისე ბევრია, კაცი წესიერად რომ დაღეჭავს), მაგრამ, მეორე მხრივ, ესეც ისეთივე პეპლების გამოსამწყვდევი ბოთლია, როგორიც E ბლოკი იყო „ქოულდ მაუნთინში“.

აქ ერთი ბიჭი მუშაობს, რომელიც პერსი უეტმორს მაგონებს. პერსისგან განსხვავებით, რომელმაც სამსახური შტატის გუბერნატორის ნაცნობობით იშოვა, მეეჭვება, ამ ბიჭს გავლენიანი ნაცნობები ჰყავდეს, თუმცა, პერსი უეტმორივით კი იქცევა. ბრედ დოლანი ჰქვია. პერსივით ესეც ყოველთვის კოხტად ივარცხნის თმას და შარვლის უკანა ჯიბეში რამე წასაკითხი უდევს. პერსი ჟურნალ Argosy-ს ან Men’s Adventure-ს დაათრევდა, ბრედი - „უხამსი ანეკდოტების“ თხელყდიან გამოცემებს. ბრედი ყველას უმეორებს ამ სულელურ კითხვებს: „რატომ გადაჭრა ქუჩა ფრანგმა?“ ან „რამდენი პოლონელია საჭირო ნათურის მისახრახ-

ნად?“ ან „რამდენი კაცი მიასვენებს კუბოს ჰარლემში?“ ბრედიც პერსივით ყეყეჩია, ჰგონია, რომ სასაცილო მხოლოდ ისაა, ვინმეს თუ აწყენინებ.

იმ დღეს ბრედს რაღაც გონივრული კი „წამოსცდა“, მაგრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია - დღეში ორჯერ გაჩერებული საათიც სწორ დროს უჩვენებს. ბედი შენი, რომ ალცჰაიმერით არ ხარ ავად, პოლიო, აი, რა მითხრა. მეზიზღება, „პოლის“ რომ მიწოდებს, მაგრამ თავისას არ იშლის; მეც აღარ ვუსწორებ. ბრედ დოლანს სხვა გამონათქვამებიც (მთლად ანდაზებს ვერ დავარქმევ) შეეფერება: „ცხენს წყალთან კი მიიყვან, მაგრამ ძალით ვერ დაალევინებ“, ან მეორე - „შეგიძლია კარგად გამოპრანჭო, მაგრამ მასთან ვერ გაისეირნებ“. ბრედიც პერსივით ხისთავიანია.

ალცჰაიმერზე მაშინ მითხრა, როცა სოლარიუმის იატაკს წმენდდა, მე კი უკვე დაწერილ ტექსტს ვასწორებდი. უკვე საკმარისად ბევრი დამიწერია და მგონი, სანამ ბოლომდე ჩავალ, მოცულობა უფრო გაიზრდება.

- თუ იცი, ალცჰაიმერი სინამდვილეში რა არის?

- არ ვიცი, - ვუპასუხე, - მაგრამ შენ უეჭველად გეცოდინება, ბრედ.

- ეს მოხუცების შიდსია, - მითხრა ბრედმა და ხარხარი აუტყდა, როგორც თავისი იდიოტური ხუმრობების მოყოლისას სჩვევია.

მე არ გამცინებია, რადგან მისი ნათქვამი გულზე მომხვდა. არა, მე ალცჰაიმერი არ მაქვს, თუმცა, უმისობას „ჯორჯია პაინსში“ არ ვუჩივით; მე მხოლოდ მოხუცების სენი - სკლეროზი მაწუხებს. მომხდარი მახსოვს, მაგრამ რა როდის მოხდა, გახსენება მიჭირს. ახლა ჩემს ნაწერს რომ გადავხედე, ირკვევა, 1932 წლის ამბები კარგად მხსომებია. ერთი ეგაა, მოვლენათა თანმიმდევრობა მერევა. თუმცა, თუ ყურადღებით ვიქნები, როგორმე ამასაც ეშველება. მეტნაკლებად.

1932 წელს ბლოკში მწვანე გზის გასავლელად ცხრა წლის ტყუპი დეტერიკების მკვლელობისთვის სიკვდილმისჯილი ჯონ კოფი მოიყვანეს. ეს ჩემი მთავარი ორიენტირია, თუ მხედველობის არიდან არ გავუშვებ, გზა-კვალი არ ამებნევა. კოფის უილიამ უორტონი, - „ველური ბილი“ მოჰყვა; ამ ორზე წინ დელაკრუა მოიყვანეს. სულ პირველი კი თაგვი გამოჩნდა, რომელსაც ბრუტუს ჰაუელმა - მეგობრებისთვის „მხეცმა“ - ორთქლმავალი უილი შეარქვა, საბოლოოდ კი სახელად დელაკრუას შერქმეული მისტერ ჯინგლსი შერჩა.

რაც უნდა რქმეოდა, თაგვი დელაკრუაზე წინ, ჯერ კიდევ ზაფხულში გამოჩნდა; მაშინ E ბლოკში მხოლოდ ორი სიკვდილმისჯილი გვყავდა: ბელადი არლენ ბიტერბაკი და პრეზიდენტი ართურ ფლენდერსი.

ის თაგვი, ის წყეული თაგვი, დელაკრუას ძალიან უყვარდა, პერსი უეტმორს კი, რასაკირველია, - არა.

პერსის ის დანახვისთანავე შესძულდა.

# 2

პერსისგან დევნილი თაგვი სამი დღის შემდეგ დაბრუნდა. დინ სტენტონი და ბილ დოჯი პოლიტიკაზე საუბრობდნენ; იმ დროში კი ეს იმას ნიშნავდა, რომ რუზველტსა და ჰუვერ-ჰერბერტს განიხილავდნენ და არა ჯ. ედგარს. პიპინასგან ორიოდ საათით ადრე ნაყიდ კრეკერებს ჭამდნენ. პერსი დერეფანში იდგა. დინის და ბილის საუბარს უსმენდა, თან საყვარელი ხელკეტის მარჯვედ ქნევაში ვარჯიშობდა. საიდანღაც მოთრეული იმ თავისი ბუდიდან ამოაძრობდა, დაატრიალებდა (უფრო ზუსტად დატრიალებას ცდილობდა და ხელიდან უსხლტებოდა, მაგრამ ძირს არ უვარდებოდა, რადგან ბაწრით მაჯაზე ჰქონდა მიბმული) და ისევ ბუდეში დებდა. იმ ღამით არ ვმორიგეობდი, მაგრამ დინმა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო.

თაგვი მწვანე გზაზე ისევ ისე გამოჩნდა, როგორც უწინ. დროდადრო ჩერდებოდა და ცარიელ საკნებს ამოწმებდა. თამამად მიცუნცულებდა წინ, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ ძიება ადვილი არ იქნებოდა და ყველაფრისთვის მზად იყო.

ამჯერად პრეზიდენტს ეღვიძა და საკნის კართან იდგა. ეს ტიპი ხელოვნების ნიმუში იყო, ციხის სამოსშიც კი კოხტად გამოიყურებოდა. „ბებერი ნაპერწკალას“ კლიენტს აშკარად არ ჰგავდა და ამას ყველა ვამჩნევდით. მართლებიც გამოვდექით, პერსის მიერ თაგვის ხელმეორედ განდევნიდან ზუსტად ერთ კვირაში, მას სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს და E ბლოკიდან სხვა პატიმრებთან გადაიყვანეს.

- ეი, აქ თაგვი დარბის! - დაიძახა პრეზიდენტმა, - ბიჭებო, ეს ციხეა თუ სანაგვე?

პრეზიდენტი იცინოდა, მაგრამ დინმა მითხრა, გაბრაზებულს ჰგავდა, თითქოს სიკვდილმისჯილ კაცს, თაგვის გარდა, სხვა სა-

დარდებელი არ ჰქონდესო. ის „შუა-სამხრეთის უძრავი ქონებით მოვაჭრეთა ასოციაციის“ რეგიონული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი იყო, რომელმაც სიბერისგან გამოჩერჩეტებული მამამისი მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოაგდო ცხოვრების ბოლომდე ორმაგი კომპენსაციის მიღების მიზნით, მაგრამ მთავრობას ჭკუით ვერ აჯობა.

- მოკეტე, შე ლოქო, - მექანიკურად დაუყვირა პერსიმ, მაგრამ მისკენ არც გაუხედავს, რადგან უკვე თაგვს მიშტერებოდა. ხელკეტი ბუდეში ჩაედო და ჟურნალი ამოეღო წასაკითხად, მაგრამ ახლა ჟურნალი მაგიდაზე მოისროლა და ისევ ხელკეტი მოიმარჯვა.

- ეს რაღა ჯანდაბაა, - წამოიძახა ბილ დოჯმა, - აქ თაგვი არასდროს მინახავს.

- ისე, ლამაზი კია, - შენიშნა დინმა, - თან უშიშარია.

- რა იცი?

- რამდენიმე ღამის წინაც გამოჩნდა. პერსიმაც ნახა. მხეცმა ორთქლმავალი უილი შეარქვა.

პერსიმ ამის გაგონებაზე ერთი ჩაისისინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ხელკეტს ხელის ზურგზე იკაკუნებდა.

- უყურე, - თქვა დინმა, - მაშინ მაგიდამდე მოვიდა. აბა, ვნახოთ, დღეს თუ გაბედავს.

თაგვმა გაბედა. პრეზიდენტს შორიდან ჩაუარა, თითქოს მამის მკვლელის სუნი არ მოეწონაო. ორი საკანი შეამოწმა. ერთ-ერთში საწოლამდე მიცუნცულდა და შიშველი ლეიბი დასუნა. მერე ისევ დერეფანში გამოძვრა. პერსი მწვანე გზაზე ელოდა. ხმას არ იღებდა. სურდა, თაგვისთვის უკან დაბრუნება ენანებინა. სურდა, მისთვის ჭკუა ესწავლებინა.

- კიდევ კარგი, ამის დასმა არ გიწევთ „ბებერ ნაპერწკალაზე“, - თავისდა უნებურად დაინტერესდა ბილი, - ამისთვის ბორკილების დადება და ჩაფხუტის დახურება ძნელი იქნება.

პერსი ხმას არ იღებდა; ხელკეტს თითებს ისე უჭერდა, თითქოს ძვირფასი სიგარააო.

თაგვი იმავე ადგილას გაჩერდა, სადაც ადრე - მაგიდიდან ერთი მეტრის მოშორებით. დინს გისოსებს მიღმა მდგარი პატიმარივით შეხედა. წამით ბილზე გადაიტანა მზერა, მაგრამ ისევ დინს მიაჩერდა. პერსის თითქოს საერთოდ ვერ ამჩნევდა.

- ამ პატარა ნაბიჭვარს დამიხედეთ, - ხმას აუმაღლა ბილმა, - ეი! ეი, ორთქლმავალო უილი!

თაგვი შეკრთა და ყურები გააპარტყუნა, მაგრამ გაქცევა არ უცდია.

- აბა, ეს ვცადოთ, - დინს გაახსენდა, როგორ აჭამა ბრუტუსმა თაგვს ხორციანი სენდვიჩი, - არ ვიცი, დღესაც შეჭამს თუ არა, მაგრამ...

დინმა კრეკერის ნატეხი თაგვს წინ დაუგდო. თაგვი მახვილი შავი თვალებით ორიოდ წამით მიაშტერდა ნარინჯისფერ ნატეხს და ულვაშების ცმაცუნით დასუნა. მერე წინა თათებით მისწვდა კრეკერის ნატეხს, უკანა თათებზე წამოჯდა და ჭამა დაიწყო.

- ძაღლიშვილი ვიყო! - წამოიძახა ბილმა, - ისე კოხტად ჭამს, როგორც პასტორი სამრევლო ეკლესიაში შაბათ საღამოს.

- მე კიდევ ისე მეჩვენება, თითქოს ზანგი თქვლეფს საზამთროს! - შენიშნა პერსიმ, მაგრამ დანარჩენ მცველებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მას არც პრეზიდენტი და ბელადი უსმენდნენ. თაგვმა კრეკერის ჭამა დაამთავრა, მაგრამ მაინც უკანა თათებზე იჯდა და მის წინ მდგარ გიგანტებს შეჰყურებდა.

- მოდი, აბა, მეც ვცდი, - ბილი ფრთხილად გადაწვა მაგიდაზე და კრეკერის მეორე ნატეხი დაუგდო თაგვს. თაგვმა ნატეხი დასუნა, მაგრამ არ შეხებია.

- ჰა, - ჩაეცინა ბილს, - ეტყობა, გაძღა.

- არა, - უპასუხა დინმა, - იცის, რომ შენ აქ დროებით მუშაობ!

- დროებითო?კარგი ერთი! მე აქ იმდენი ხანია ვმუშაობ, რამდენიც ჰარი ტერვილიგერი! შეიძლება უფრო მეტიც.

- დაწყნარდი, მეგობარო, დაწყნარდი და ამას უყურე, თუ არ გჯერა, - გაღიმებულმა დინმა იატაკზე კრეკერის კიდევ ერთი ნატეხი ისროლა. და მართლაც, თაგვმა მისი გადაგდებული ნატეხის ჭამა დაიწყო, ბილისა კი პირდაუკარებელი დატოვა. ორთქლმავალ უილის სულ ორი თუ სამი ლუკმა ექნებოდა შეჭმული, რომ პერსიმ ხელკეტი შუბივით ესროლა.

თაგვი მცირე სამიზნე იყო, მაგრამ პერსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზუსტი გასროლა გამოუვიდა და ორთქლმავალ უილის თავს წააცლიდა, ამ უკანასკნელის შუშის ნამსხვრევივით მახვილი რეფლექსები რომ არა. თაგვმა თავი ჩახარა - დიახ, როგორც ადამიანი ხრის ხოლმე - და კრეკერის ნატეხი ძირს დააგდო. ხელკეტმა თავზემოთ ისე ახლოს გადაუფრინა, რომ ზურგზე ბალანიც კი აუწეწა (ეს დინმა მითხრა და მეც მის სიტყვებს ვიმეორებ, თორემ ისე, დიდად არ მჯერა, ეს დაენახა) და მწვანე ლინოლეუმზე ასხლეტილი, ცარიელი საკნის რკინის გისოსებს მიენარცხა. თაგვს აღარ დაუცდია იმაში გასარკვევად, იქნებ რამე გაუგებრობა მოხდაო; ალბათ, სხვაგანაც ჰქონია ასეთი შეხლა-შემოხლა. თვალის დახამხამებაში შეტრიალდა და დამამშვიდებელი ოთახისკენ გაიქცა.

პერსიმ, რომელმაც სულ ცოტათი აცდინა მიზანს, გაბრაზებულმა იღრიალა და თაგვს გაეკიდა. ბილ დოჯმა მკლავში წაავლო ხელი, ალბათ, ინსტინქტურად, მაგრამ პერსი ხელიდან დაუსხლტა. დინი ამბობს, სწორედ ამ წამიერმა შეყოვნებამ იხსნა ორთქლმავალი უილიო. პერსის თაგვის უბრალოდ მოკვლა კი არა, მისი გასრესა უნდოდა და გრძელი, ტლანქი ნაბიჯებით ირემივით მიხტოდა დერეფანში. თაგვმა ძლივს აირიდა პერსის ბოლო ორი, მძიმე ნაბიჯი. ზიგზაგისებური მოძრაობით შეძვრა კარ-

ქვეშ, გრძელი, ვარდისფერი კუდი უკანასკნელად გაიქნია, მშვიდობით, უცნობოო, და გაქრა.

- დედას შევეცი! - იღრიალა პერსიმ და გაშლილი ხელი დამამშვიდებელი ოთახის კარს დასცხო. შემდეგ საჭირო გასაღების ამორჩევა დაიწყო, რომ ოთახში შესულიყო და ძებნა იქ გაეგრძელებინა.

დინი მისკენ გაემართა. სპეციალურად ნელა მიაბიჯებდა დერეფანში, რომ ემოციებს არ აჰყოლოდა. თან მისი დაცინვა მინდოდაო, მიყვებოდა მომდევნო საღამოს, თან მისთვის ხელის ჩავლება, შემოტრიალება, ოთახის კარზე ზურგით მილურსმვა და ცემით გახეთქვაო. თუმცა დინი, ალბათ, ნერვიულობდა კიდეც. ჩვენ E ბლოკში აურზაურის თავიდან აცილება გვევალებოდა, ხოლო პერსი უეტმორის მეორე სახელი სწორედაც რომ „აურზაური“ იყო. პერსისთან მუშაობა იმას ჰგავდა, ნაღმის გაუვნებლობას რომ ცდილობ, ზურგს უკან კი ვიღაც წამდაუწუმ წინწილებს ურახუნებს ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ძალიან გვაწუხებდა. დინმა მითხრა, არლენ ბიტერბაკი შეწუხებული იყურებოდაო... თვით პრეზიდენტის თვალებშიც წუხილი შევამჩნიეო. არადა, ეს ვაჟბატონი ყოველთვის მჟავე კიტრივით მშვიდი იყო.

გარდა ამისა, ვითარებაც შეიცვალა. დინი უკვე ეჩვეოდა თაგვს. არა, მთლად მეგობრად არა, მაგრამ უკვე E ბლოკის ნაწილად მიაჩნდა. შესაბამისად, რაც პერსიმ გააკეთა და რის გაკეთებასაც აპირებდა (მიუხედავად იმისა, რომ საქმე პატარა თაგვს ეხებოდა), არასწორი ეჩვენებოდა. პერსი რომ ვერაფრით ხვდებოდა, რატომ იყო ეს არასწორი, ჩვენი სამსახურისთვის მის სრულ შეუფერებლობაზე მეტყველებს.

სანამ პერსის მიუახლოვდებოდა, დინმა თავის ხელში აყვანა შეძლო და უკვე იცოდა, რა უნდა ექნა. ერთადერთი, რაც პერსის ძალიან არ უყვარდა, სულელურ მდგომარეობაში აღმოჩენა იყო. ეს ყველამ კარგად ვიცოდით.

- ისევ ჩაფლავდი, - ღიმილით უთხრა პერსის.

- სიტყვები შეარჩიე, შუშისთვალიანო, - შეუბღვირა პერსიმ დინს და შუბლზე ჩამოყრილი თმა გაისწორა, - ისედაც გაღიზიანებული ვარ, უფრო არ გამაბრაზო.

- დღეს რამეს ვალაგებთ? - ამჯერად აღარ გაუცინია დინს, მაგრამ თვალები მაინც უციმციმებდა, - კარგი, ამ ყველაფერს რომ მორჩები, იქნებ იატაკიც მოგეწმინდა?

პერსიმ ჯერ კარს შეხედა, მერე - გასაღების ასხმას. წარმოიდგინა, რომ დიდხანს და უშედეგოდ ქექვა მოუწევდა ვიწრო ოთახში, სხვები კი გარეთ იდგებოდნენ და უყურებდნენ, მათ შორის, ბელადი და პრეზიდენტიც.

- ვერ გამიგია, რა ჯანდაბად გვინდა ეს თაგვი, - თქვა მან, - ამ ბლოკში ისედაც ბლომად მავნებელი გვყავს, ეს თაგვიც რომ არ დავამატოთ.

- როგორც შენ იტყვი, პერსი, - ხელები ასწია დინმა. მომდევნო დღეს გამომიტყდა, იმ მომენტში ვიფიქრე, ახლა პერსი დამეტაკებაო.

თუმცა, ამასობაში მათთან ბილ დოჯიც მივიდა და დაძაბულობა განიმუხტა.

- მგონი, ეს დაგივარდა, - პერსის ხელკეტი გაუწოდა, - ორიოდ სანტიმეტრით დაბლა რომ მოგეხვედრებინა, იმ პატარა ნაბიჭვარს თავს წააცლიდი.

ამაზე პერსი ამაყად გაიფხორა.

- ჰო, ცუდი ნასროლი არ ყოფილა, - ხელკეტი იმ თავის სულელურ ბუდეში ჩაიდო, - სკოლაში პიჩერი ვიყავი. სროლა კარგად გამომდის. ჩემი წყალობით, ორჯერ მოვიგეთ გეიმი „მშრალად“.

- მართლა? - მოწიწებით ჰკითხა ბილმა (თუმცა, დინს შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა) და ამით სიტუაცია საბოლოოდ განიმუხტა.

- ჰო, - თქვა პერსიმ, - ნოქსვილში. ქალაქელები აზრზე ვერ მოდიოდნენ, ისე მაგრად ვისროდი.

დინს შეეძლო აქვე დაემთავრებინა, მაგრამ ჩინით პერსიზე მაღლა იდგა და მიაჩნდა, რომ მისთვის მითითებები უნდა მიეცა; მაშინ - სანამ კოფი ან დელაკრუა გამოჩნდებოდნენ - დინი ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ პერსი რამის სწავლას შეძლებდა. ამიტომაც ახალგაზრდა თანამშრომელს მაჯაზე ხელი წაავლო და უთხრა:

- კარგად უნდა დაუფიქრდე, რის გაკეთებას აპირებდი.

დინმა მითხრა, მინდოდა სერიოზული ტონი მქონოდა და არა გამკიცხავი, ყოველ შემთხვევაში, ძალიან გამკიცხავი არაო.

ოღონდ ამან პერსიზე არ გაჭრა. პერსიმ არა, მაგრამ ჩვენ კი ვისწავლეთ თანდათან ჭკუა.

- ერთი მითხარი, ასეთს რას ვაკეთებდი, შუშისთვალიანო? ვერ დაინახე, თაგვის დაჭერას ვაპირებდი!

- გარდა ამისა, ჩვენ და იმათ გული გაგვიხეთქე, - ბიტერბაკისა და ფლანდერსისკენ ანიშნა დინმა.

- მერე რა? - გათამამდა პერსი, - მგონი, საბავშვო ბაღში არ არიან. თუმცა, თქვენ სულ ისე ექცევით, თითქოს პატარა ბავშვები იყვნენ.

- პირადად მე არ მომწონს, როცა მაშინებენ, - დაიბუბუნა დინმა, - და კიდევ, თუ გახსოვს, მეც აქ ვმუშაობ, უეტმორ. მე შენი რომელიმე „ლოქო“ არ გეგონო!

თვალებმოჭუტულმა პერსიმ დაეჭვებით შეხედა მას.

- თუ საჭირო არაა, პატიმრებს ზედმეტად არ ვაფრთხობთ - ისედაც სტრესის ქვეშ არიან, - უთხრა დინმა. მთელი ეს დრო ხმადაბლა საუბრობდა, - დაძაბული ხალხი რომ წყობიდან გამოვიდეს, შეიძლება საკუთარ თავსაც ავნოს და სხვასაც. ეს ჩვენც პრობლემას შეგვიქმნის.

პერსის ტუჩები აუთრთოლდა. სიტყვა „პრობლემა“ მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. პრობლემების შექმნას კიდევ არა უშავდა, მაგრამ პრობლემებში გახლართვა ძალიან ცუდი იყო.

- ჩვენი საქმეა, ვილაპარაკოთ და არ ვიღრიალოთ, - უხსნიდა დინი, - ის, ვინც პატიმარს უყვირის, თავს ვერ აკონტროლებს.

პერსი მიხვდა, ვინც იყო ამ ქადაგების ავტორი - მე. მათი უფროსი. მაშინ პოლ ეჯკუმს და პერსი უეტმორს ბოლომდე არ ჰყავდათ ათვალისწუნებული ერთმანეთი. გახსოვდეთ, ეს ამბავი ჯერ კიდევ ზაფხულში მოხდა, ნამდვილი აურზაურის დაწყებამდე.

- წარმოიდგინე, ვითომ რეანიმაციულ განყოფილებაში მუშაობ. აქ მთავარი სიჩუმეა!

- ჩემი აზრით, ფსლით სავსე ვედროა, შიგ ვირთხების ჩასახრჩობად, - მიახალა პერსიმ, - ეს არის და ეს. ახლა კი ხელი გამიშვი.

პერსიმ ხელი გაითავისუფლა, ბილსა და დინს შორის გაიარა და დერეფანს თავჩაქინდრული გაუყვა. პრეზიდენტის საკანს ისე ახლო ჩაუარა, ფლანდერსს ხელი რომ გამოეყო, ბუდიდან ხელკეტს ამოაცლიდა და კარგადაც მოსცხებდა. მაგრამ ფლანდერსი ასეთი ტიპი არ იყო. აი, ბელადს რომ მისცემოდა ამის შანსი, პერსის ჭკუას აუცილებლად ასწავლიდა. მომდევნო საღამოს დინმა ისეთი რამ მითხრა, გონებაში ჩამრჩა, რადგან ის სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა:

- პერსი ვერ ხვდება, რომ სიკვდილმისჯილებს ვერ დაიმორჩილებს. რაც არ უნდა ქნას, მათ ვითარებას მაინც ვერაფრით დაამძიმებს. მათი სიკვდილით დასჯა მხოლოდ ერთხელ შეიძლება. სანამ ამას არ შეიგნებს, საკუთარი თავისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს და ყველა ჩვენგანისთვისაც.

პერსი ჩემს კაბინეტში შევიდა და კარი მიიჯახუნა.

- ვაი, ვაი, - ჩაილაპარაკა ბილ დოჯმა, - ნაღდი ყვერია, რა.

- შენ ყველაფერი არ გინახავს, - უთხრა დინმა.

- ნათელი მხრიდან შეხედე, - ბილი ყველას ამას ეუბნებოდა; ხანდახან ისე მოგაბეზრებდა თავს, რომ სიამოვნებით მიაკერებდი მუშტს ცხვირში გასაჩუმებლად, - აკრობატი თაგვი გადარჩა.

- ჰო, მაგრამ არა მგონია, კიდევ ვნახოთ, - თქვა დინმა, - ამჯერად წყეულმა პერსიმ მაგრად დააშინა.

# 3

წესით, თაგვს მართლაც უნდა შეშინებოდა, მაგრამ მაინც დაბრუნდა. ზუსტად პერსის ორდღიანი შვებულების (რომლის შემდეგაც პერსი ღამის ცვლაში გადაიყვანეს) პირველ საღამოს.

ორთქლმავალი უილი შვიდ საათზე გამოჩნდა და ამას მეც შევესწარი. დინი და ჰარი ტერვილიგერიც იქ იყვნენ. ჰარი მაგიდასთან იჯდა. ისე, მე სულ დღისით ვმორიგეობდი ხოლმე, მაგრამ ის ბოლო დღეები გვიანობამდე ვრჩებოდი, რათა ბელადთან დამატებით ერთი საათი მაინც გამეტარებინა. ბელადის სიკვდილით დასჯის თარიღი ახლოვდებოდა. ის, როგორც ინდიელს შეეფერება, გარეგნულად სიმტკიცეს ინარჩუნებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სიკვდილის შიში სულს უწამლავდა. ჰოდა, მეც ვესაუბრებოდი. დღისითაც შეიძლებოდა საუბარი, მაგრამ სასეირნო ეზოდან შემომავალი ხმაური და ღრიანცელი (ხანდახან პატიმრები მუშტი-კრივს გამართავდნენ ხოლმე), ტიპოგრაფიაში საბეჭდი დაზგის ჩხარუნი ან რომელიმე მცველის ყვირილი, ეგ თოხი აიღე და აქ მოეთრიე, ჰარვიო, - ხელს გვიშლიდა. ოთხი საათის შემდეგ ხმაური შედარებით ცხრებოდა. ექვსის შემდეგ უფრო მეტი სიჩუმე ისადგურებდა. ექვსიდან რვამდე სასაუბროდ იდეალური დრო იყო. რვის შემდეგ სიკვდილმისჯილებს საღამოს ბინდივით მოეძალებოდათ ღრმა ფიქრები - ამას მათ თვალებში ვკითხულობდით - და საუბარს აზრი ეკარგებოდა. ყურს კი გიგდებდნენ, მაგრამ შენი სიტყვების მნიშვნელობა აღარ ესმოდათ. რვის შემდეგ ისინი უკვე ღამის მცველებისთვის ემზადებოდნენ; ან იმას წარმოიდგენდნენ, როგორ დაახურავდნენ თავზე ჩაფხუტს და როგორ შეეხუთებოდათ სული ოფლით დაცვარულ სახეზე შემოტმასნილ ტომარაში.

ბელადს საუბარი საჭირო დროს გავუბი. მან თავის პირველ ცოლზე მიამბო. მონტანაში ვიგვამი დავდგით და იქ ვცხოვრობდით, ის დღეები ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო იყოო, გამანდო. იქაური წყალი ისეთი სუფთა და ცივი იყო, ყოველი ყლუპის შესმისას კბილს გვჭრიდაო.

- ისე, მისტერ ეჯკუმ, კაცმა რომ დანაშაული გულწრფელად მოინანიოს, შეძლებს დაბრუნდეს მისთვის ბედნიერ დღეებში და სამუდამოდ ასე იცხოვროს? - მკითხა ბელადმა, - იქნებ ეს არის სამოთხე?

- მეც მაგის მწამს, - ვუპასუხე და ეს ტყუილი არასდროს მინანია. მარადიული ცხოვრების შესახებ ცხონებული დედაჩემისგან ვისწავლე და იმის მწამს, რასაც ბიბლია უქადის მკვლელებს: მათთვის სამოთხე არ არსებობს. ჩემი აზრით, მათი სულები პირდაპირ ჯოჯოხეთში მიექანება და იქ იწვის, სანამ ღმერთი მთავარანგელოზ გაბრიელს არ ანიშნებს, განკითხვის საყვირს ჩაჰბერეო. ამის შემდეგ მკვლელთა სულები გაქრება და ალბათ, ეს ძალიანაც გაახარებთ. თუმცა, ჩემი მოსაზრებები არც ბიტერბაკისთვის გამინდვია და არც სხვა სიკვდილმისჯილებისთვის. გულის სიღრმეში, ალბათ, თვითონაც ამის სწამდათ. სად არის შენი ძმა, მისი სისხლი მიწიდან შემომღაღადებსო, უთხრა ღმერთმა კაენს და არა მგონია, ამ „პრობლემურ ბავშვს“ მისი სიტყვები გაჰკვირვებოდა. დარწმუნებული ვარ, აბელის სისხლი ყოველ ნაბიჯზე მიწიდან შესტიროდა ძმას.

მე რომ წავედი, ბელადი იღიმოდა; ალბათ, მონტანაში თავის ვიგვამს და კოცონის შუქში მწოლიარე მკერდმოშიშვლებულ ცოლს იხსენებდა. მალე უფრო მწველ კოცონში გაივლის-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის.

დერეფანში დინმა პერსისთან წინაღამინდელ კამათზე მიამბო. დინი, ალბათ, სპეციალურად მიცდიდა, რომ ეს მოეთხრო და მეც ყურადღებით მოვუსმინე. როცა საქმე პერსის ეხებოდა, ყვე-

ლას ყურადღებით ვუსმენდი, რადგან დინს სრულად ვეთანხმებოდი - პერსი ის ტიპი იყო, ვინც საკუთარ თავსაც პრობლემას უქმნიდა და ჩვენც.

სანამ დინი ამბის მოყოლას დაასრულებდა, პიპინა გამოჩნდა საჭმლის ურიკით, რომელზეც ხელით მიეწერა ბიბლიის ციტატები („მოინანიეთ, რადგან უფალი განიკითხავს თავის ხალხს“, მეორე რჯულის 32.36, „თქვენ სისხლს თქვენი სიცოცხლის წილ მოვითხოვ“, დაბადების 9.5 და მსგავსი „იმედისმომცემი“ ფრაზები). პიპინამ სენდვიჩები და ლიმონათები მოგვყიდა. დინი ჯიბეში ხურდას ეძებდა და ამბობდა, ორთქლმავალ უილის ვეღარ ვიხილავთ, რადგან იმ წყეულმა პერსიმ მაგრად დააშინაო, როცა მოხუცმა პიპინამ გვითხრა:

- მაშ, ეგ რაღაა?

იქით გავიხედეთ და თაგვი დავინახეთ. ვითომც არაფერიო, შუაგულ მწვანე გზაზე დაცუნცულებდა. ცოტას გაივლიდა, გაჩერდებოდა, შავ, მრგვალ თვალებს მიმოავლებდა დერეფანს და მერე ისევ გამოცუნცულდებოდა.

- ეი, თაგუნია! - დაუძახა ბელადმა. თაგვი გაჩერდა და ულვაშების რხევით შეხედა მას. დღემდე მჯერა, რომ ძახილი გაიგონა. - შენ რა, სულიერი მეგზური ხარ?

ბიტერბაკმა ვახშმიდან მორჩენილი ყველის ნატეხი გადაუგდო თაგვს. ნატეხი ზუსტად თაგვის წინ დაეცა, მაგრამ ორთქლმავალმა უილიმ მას ზედაც არ შეხედა, ისე განაგრძო გზა. თან ცარიელ საკნებს ათვალიერებდა.

- ბოს ეჯკუმ! - დაიძახა პრეზიდენტმა. - როგორ ფიქრობთ, ამ პატარა ნაბიჭვარმა იცის, რომ დღეს პერსი არ მორიგეობს? მგონი, კი.

მეც ასე მომეჩვენა, მაგრამ ხმამაღლა არ მითქვამს.

ტუალეტიდან ჰარი გამოვიდა; როგორც ყოველთვის, შარვალს იკრავდა რამდენიმეწუთიანი განტვირთვის შემდეგ. გამო-

ვიდა და თვალებგაშტერებული გაშეშდა. პიპინაც გაშტერებულიყო; მისი უკბილო, მოფამფალებული ყბა ღიმილს მოებრიცა.

თაგვი თავის ჩვეულ ადგილას გაჩერდა, კუდი თათებზე შემოიგდო და შემოგვხედა. თვალწინ ისევ ის სცენა დამიდგა - როგორ გამოაქვთ განაჩენი მსაჯულებს უბედური ბრალდებულისთვის... მაგრამ ასეთი პატარა და მშიშარა ბრალდებული ყოფილა ოდესმე სადმე? რა თქმა უნდა, თაგვს პატიმარს ვერ უწოდებდით, რადგან თავის ნებაზე მოდიოდა და მიდიოდა. თუმცა, აზრი გონებიდან მაინც არ მშორდებოდა და წარმოვიდგინე, რომ სიკვდილის შემდეგ ყველას ასე მოგვიწევდა უფლის ტახტის წინაშე წარდგომა, მაგრამ ყველა ვერ იქნებოდა ამ თაგვივით უშიშარი.

- ვახ, ამას რას ვხედავ, - თქვა მოხუცმა პიპინამ, - ისე ზის, ვითომც არაფერიო.

- შენ ჯერ არაფერი გინახავს, პიპინა, - თქვა დინმა, - აბა, ამას უყურე, - და ჯიბიდან გასანთლულ ქაღალდში გახვეული დარიჩინიანი ვაშლის ჩირი ამოიღო, პატარა ნაწილი მოატეხა და იატაკზე ისროლა. ვიფიქრე, გამხმარი ჩირის ნატეხი იატაკიდან ასხლტება და განზე გადავარდება-მეთქი, მაგრამ თაგვმა ცალი თათი ადამიანივით ასწია, თითქოს დროის გასაყვანად აბეზარ ბუზს იგერიებსო და ჩირის ნატეხი ძირს დააგდო. გაკვირვებულები, მოწონებით ავხარხარდით, მაგრამ თაგვი ჩვენს ჟრიამულს არ დაუფრთხია, არც კი განძრეულა. ჩირის ნატეხი წინა თათებით აიღო, რამდენჯერმე გალოკა და ისე შემოგვხედა, თითქოს გვეუბნებოდა, ამას არა უშავს, მაგრამ მეტი არაფერი გაქვთო?

პიპინამ ურიკიდან ქაღალდში გახვეული სენდვიჩი ამოიღო, შუაზე გახსნა და თაგვისთვის ხორცი ამოიღო.

- ტყუილად ნუ შეწუხდები, - შეაჩერა დინმა.

- რატომ? - გაუკვირდა პიპინას. - თაგვი ძირს დავარდნილ ხორცს არ შეჭამს თუ რა?

ვიცოდი, რომ დინი მართალი იყო; ჰარის სახეზე ეწერა, რომ ისიც ხვდებოდა. თაგვი როგორღაც არჩევდა ერთმანეთისგან მუდმივ და დროებით მომუშავეებს. სიგიჟეა, მაგრამ ასეა.

პიპინამ ხორცის ნაჭერი იატაკზე დააგდო, მაგრამ როგორც ველოდით, თაგვმა პირი არ დააკარა. ერთხელ დაყნოსა და უკან დაიხია.

- ჯანდაბა! - წამოიძახა განაწყენებულმა პიპინამ.

- აბა, მე მომეცი, - ხელი გავუწოდე მას.

- რა? ეს სენდვიჩი?

- მომე, ფულს გადავიხდი.

პიპინამ სენდვიჩი მომცა. ხორცის პატარა ნაჭერი მოვგლიჯე და მაგიდასთან ახლოს დავაგდე. თაგვმა მაშინვე მოირბინა, ხორცის ნაჭერი თათებით აიღო და თვალის დახამხამებაში შეჭამა.

- დასწყევლოს გამჩენმა, - წამოიყვირა პიპინამ, - რა ჯანდაბაა! მომე ერთი ეგ!

სენდვიჩი ხელიდან წამგლიჯა და ამჯერად დიდი ნაჭერი მოგლიჯა. ძირს ისროლა. ხორცის ნაჭერი ორთქლმავალ უილის კინაღამ თავზე დაეცა. თაგვი უკან გახტა, ხორცი დაყნოსა (მეეჭვება, „დიდი დეპრესიის“ დღეებში რომელიმე თაგვს - ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შტატში - ასეთი ნუგბარი ჩავარდნოდეს ხელში) და ისევ ჩვენ ამოგვხედა.

- მიდი, ჭამე! - დაუყვირა ადრინდელზე უფრო განაწყენებულმა პიპინამ. - რა გემართება?

პიპინას დინმა გამოართვა სენდვიჩი და ამჯერად მან დაუგდო ხორცის ნაჭერი. თაგვი ხორცის ნაჭერს ეცა და მაშინვე შესანსლა. მერე შეტრიალდა და დამამშვიდებელი ოთახისკენ გაეშურა. გზადაგზა ჩერდებოდა და ცარიელ საკნებს ათვალიერებდა. პირველი ორი საკანს მხოლოდ გარედან შეხედა, მესამეში კი დი-

დი ექსკურსია მოაწყო. როგორც ჩანდა, ვიღაცას ეძებდა. ეს აზრი უკვე არც ისე დაუჯერებელი მეჩვენებოდა.

- ამას არავის მოვუყვები, - თქვა ჰარიმ ისეთი ხმით, ვერ მიხვდებოდით, ხუმრობდა თუ არა, - მაინც არავის დააინტერესებს; ან თუ დააინტერესებს, არავინ დამიჯერებს.

- მან მხოლოდ თქვენი ხელიდან ჭამა, ბიჭებო, - თავი გააქნია გაოგნებულმა პიპინამ, მერე სათითაოდ აკრიფა ძირს დაყრილი ხორცის ნაჭრები და უკბილო პირში ჩაიყარა, ნელ-ნელა გასალოღნად, - რატომ, ვერ გამიგია!

- მე ის ვერ გამიგია, როგორ მიხვდა, რომ დღეს პერსი არ იყო, - თქვა ჰარიმ.

- არც მიმხვდარა, - შევეპასუხე მე, - უბრალოდ, ასე დაემთხვა.

თუმცა, ამის დაჯერება უფრო და უფრო გართულდა, რადგან თაგვი მხოლოდ მაშინ ჩნდებოდა, როცა პერსი ან არ მორიგეობდა, ან ღამის ცვლაში იყო, ან - საპატიმროს სხვა განყოფილებაში. მე, ჰარიმ, დინმა და ბრუტუსმა დავასკვენით, ეტყობა, პერსის ხმას ან სუნს ცნობსო.

თაგვზე ხშირ საუბარს თავს ვარიდებდით. უსიტყვოდ შევთანხმდით, რომ ამით რაღაც უჩვეულოდ განსაკუთრებულსა და ლამაზს გავაფუჭებდით. ბოლოს და ბოლოს, დღემდე უცნობი მიზეზით, უილიმ ხომ მხოლოდ ჩვენ ამოგვარჩია. შეიძლება, ჰარიმ სწორად თქვა, სხვებისთვის ამის გამხელა ცუდი იქნებაო; ოღონდ მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ არ დაიჯერებდნენ, არამედ იმიტომაც, რომ დიდად არც დაინტერესდებოდნენ.

# 4

ამასობაში არლენ ბიტერბაკის სიკვდილით დასჯის დღეც დადგა, რომელიც მართალია, ბელადი - არა, მაგრამ ვაშიტას რეზერვაციაში მცხოვრებ ინდიელთა ტომის მთავარი უხუცესი და ჩეროკების საბჭოს წევრი იყო. მას სიმთვრალეში კაცი შემოაკვდა. სიმართლე ითქვას, ის კაციც მთვრალი ყოფილა. ბელადმა ცემენტის ბლოკით გაუჭეჭყა თავი. ჩექმისთვის უჩხუბიათ. ჰოდა, ჩემმა უხუცესთა საბჭომ იმ წვიმიან ზაფხულში ჩვიდმეტი ივლისისთვის დაგეგმა მისთვის ბოლოს მოღება.

„ქოულდ მაუნთინის“ პატიმრებისთვის მნახველების საათი მკაცრად შეზღუდული იყო, მაგრამ E ბლოკის ბიჭებისთვის გამონაკლისს უშვებდნენ. ამგვარად, თექვსმეტ ივლისს ბიტერბაკი კაფეტერიის გვერდით მდებარე გრძელ დარბაზში - „არკადაში“ გაიყვანეს. დარბაზი მავთულხლართებით ზუსტად შუაზე იყო გაყოფილი. ბელადი მეორე ცოლს და იმ შვილებს უნდა შეხვედროდა, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ მასთან ურთიერთობის სურვილი. ოჯახთან დამშვიდობების დრო მოვიდა.

ის ბილ დოჯმა და კიდევ ორმა დროებითმა მცველმა წაიყვანეს. ჩვენ საქმე გვქონდა - ერთ საათში ორი რეპეტიცია უნდა გაგვევლო, ან სამი - თუ მოვასწრებდით.

პერსის პროტესტი არ გამოუთქვამს, ბიტერბაკის სიკვდილით დასჯაზე ვან ჰეისთან, სააპარატოში რომ გავამწესე. ჯერ კიდევ ახალბედა, ვერ ხვდებოდა, კარგი ადგილი მიუჩინეს თუ ცუდი. მხოლოდ ის იცოდა, რომ ცხაურიანი ფანჯრიდან ადევნებდა თვალს პროცესს; არც ის ადარდებდა, რომ ელექტროსკამი მისგან ზურგით იდგა, ნაპერწკლებს ხომ მაინც დაინახავდა.

ფანჯარასთან ეკიდა ტელეფონი ბერკეტისა და ციფერბლატის გარეშე. ამ ტელეფონით ვერსად დარეკავდით; მასზე მხოლოდ

გუბერნატორის კაბინეტიდან გირეკავდნენ. ბევრი ფილმი მინახავს პატიმრებზე, რომლებშიც სიკვდილმისჯილი ის-ისაა, ელექტროსკამზე ცოცხლად უნდა შებრაწონ, რომ უცებ ტელეფონი რეკავს. ე ბლოკში კი წლების მანძილზე ერთხელაც არ დაურეკავს ტელეფონს. ფილმებში ხსნა იაფია, ისევე როგორც უცოდველობის დაბრუნება. იხდი 25 ცენტს და იღებ ამ ფასის შესაბამისს. ნამდვილი სიცოცხლე კი ბევრად ძვირი ღირს და პასუხებიც, მეტწილად, განსხვავებულია.

გვირაბის გავლით სასწრაფო დახმარების მანქანამდე საკაცით მანეკენს მივარბენინებდით, სხვა დანარჩენში კი მოხუც პიპინას ვიყენებდით. წლების მანძილზე პიპინა ჩვენთვის სიკვდილმისჯილის დუბლიორად იქცა, ისეთივე ტრადიციულად, როგორც ბატი საშობაო სუფრაზე, მიუხედავად იმისა, გიყვართ ბატი თუ არა. პიპინა პატიმრების უმეტესობას მოსწონდა, მისი სასაცილო აქცენტი ყველას ართობდა - პიპინაც ფრანგი იყო, ოღონდ კანადელი და არა ლუიზიანელი. მოხუცი პიპინა ბრუტუს ჰაუელსაც ახალისებდა, აი, მე კი - არა. ჩემი აზრით, ის ბებერი და შტერი პერსი უეტმორი იყო, მეტისმეტად აზიზი საიმისოდ, რომ საკვები თვითონ მოენადირებინა და მოემზადებინა, თუმცა ხორცზე არასდროს იტყოდა უარს.

რეპეტიციას ყველა ვესწრებოდით. ამ სიკვდილი დასჯისთვის ბრუტუს ჰაუელი „გამოვარჩიეთ“. ეს ჩვენებურად იმას ნიშნავდა, რომ მას მოუწევდა სიკვდილმისჯილისთვის ჩაფხუტის დახურება, გუბერნატორის ზარის ლოდინი, საჭიროების შემთხვევაში კედელთან მჯდარი ექიმის ხმობა და ბრძანების დროულად გაცემა, მეორეზე გადართეთო. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, არავის შეაქებდნენ, თუ ცუდად - ბრუტუსს მოწმეები გაკიცხავდნენ, მე კი ციხის უფროსი გამიწყრებოდა. ამის გამო არ ვწუწუნებდით - მაინც არ ჰქონდა აზრი. დედამიწა ბრუნავს და მორჩა. შეგიძლია,

ჩაეჭიდო და მასთან ერთად იბრუნო, ან პროტესტი გამოთქვა და მაშინვე გარეთ გაგიძახებენ.

სამი წუთიც არ იქნებოდა გასული, რაც ბილმა და მისმა მცველებმა ბელადი „არკადაში“ წაიყვანეს, რომ მის საკანში მე, ჰარი ტერვილიგერი და დინი შევედით. საკნის კარი ღია იყო და ბელადის საწოლზე მოხუცი პიპინა იჯდა.

- ზეწარზე თესლის ლაქებია, - შენიშნა მან, - ეტყობა, დაცლა მოინდომა, სანამ თქვენ შეხრუკავდეთ, ბიჭებო!

- მოკეტე, პიპინა, - უთხრა დინმა, - სერიოზულად ვითამაშოთ!

- ოქეი, - თქვა პიპინამ და მაშინვე მოიღუშა, თუმცა, თვალები მაინც უბრწყინავდა. მოხუცი პიპინა ყველაზე ცოცხალი მაშინ იყო, როცა სასიკვდილოდ განწირულის როლს თამაშობდა.

მე წინ წავდექი.

- არლენ ბიტერბაკ, როგორც სასამართლოს ოფიცერმა ამა და ამ შტატისა, მივიღე განკარგულება ამისა და ამისა, სიკვდილით დასჯა უნდა შედგეს თორმეტ საათსა და ერთ წუთზე ამა და ამ დღეს, ამა და ამ რიცხვში. გთხოვთ, მომიახლოვდეთ!

მოხუცი პიპინა წამოდგა.

- მოვდივარ, მოვდივარ, მოვდივარ, - თქვა მან.

- შებრუნდი, - უთხრა დინმა. პიპინა შებრუნდა. დინმა მისი ქერტლიანი თავი შეათვალიერა. ბელადს ხვალ კეფას აპარსავდნენ და დინს უნდა შეემოწმებინა, სუფთად იყო აპარსული თუ არა. ხშირ თმას შეეძლო ელექტროგამტარობა შეეფერხებინა და საქმე გაერთულებინა. რეპეტიციას იმიტომ გავდიოდით, რომ ყველაფერს იოლად ჩაევლო.

- კარგი, არლენ, წავედით, - ვუთხარი პიპინას და საკნიდან გავედით.

- დერეფანში მივაბიჯებ, დერეფანში მივაბიჯებ, დერეფანში მივაბიჯებ, - დაიწყო პიპინამ. მე მარცხნიდან ამოვუდექი, დინი მარჯვნიდან ამოუდგა, ჰარი მის უკან იდგა. დერეფნის თავში მარ-

ჯვნივ გავუხვიეთ- სასეირნო ეზოში სიცოცხლეს მოვშორდით და საწყობში, სიკვდილისკენ წავედით. ჩემს კაბინეტში პიპინა დაუკითხავად დაეცა მუხლებზე. მან სცენარი ზეპირად იცოდა, ალბათ, ჩვენზე უკეთაც კი. ღმერთმა უწყის, რამდენი წელი გაეტარებინა ციხეში, ჯერ კიდევ ჩვენს გამოჩენამდე ჩასვეს იქ.

- ვლოცულობ, ვლოცულობ, ვლოცულობ, - გადაჭდობილი ხელები აღმართა მან. ძალიან ჰგავდა იმ ცნობილ გრავიურას; ალბათ, ხვდებით, რომელსაც ვგულისხმობ: „უფალია ჩემი მწყემსი და ა. შ.“.

- ბიტერბაკთან ვინ ილოცებს? - იკითხა ჰარიმ, - იმედია, აქ ვიღაც ჩეროკი ექიმბაში არ დაიწყებს სირის ქნევას.

- სხვათა შორის...

- კვლავ ვლოცულობ, ვლოცულობ, ვლოცულობ, - გამაწყვეტინა პიპინამ.

- მოკეტე, ბებერო! - უყვირა დინმა.

- ვლოცულობ.

- ჰოდა, შენთვის ილოცე.

- რაღას დამდგარხართ, ბიჭებო? - დაგვიძახა საწყობიდან ბრუტუსმა. სარეპეტიციოდ იქაურობაც დავცალეთ. უკვე სიკვდილის ზონაში ვიდექით და სიკვდილის სუნი გვცემდა.

- ტვინი ნუ წაიღე! - დაუყვირა ჰარიმ, - ცოტაც მოითმინე!

- ვლოცულობ, - უშნოდ გაიღიმა პიპინამ, - ვლოცულობ, რომ მოითმინონ, ცოტაც მოითმინონ.

- სხვათა შორის, ბელადი ქრისტიანია, თვითონ ასე ამბობს, - ვთქვი მე, - ძალიან გაუხარდება, თუ ის ბაპტისტი მოვა, ვინც ტილმენ კლარკთან იყო. შუსტერი ჰქვია. მეც მომწონს. სწრაფია და სიკვდილმისჯილებს ამშვიდებს. ადე, პიპინა, დღეს საკმარისად ილოცე.

- მოვდივარ, - თქვა პიპინამ, - მოვდივარ, მოვდივარ, ისევ მწვანე გზაზე მივაბიჯებ.

პიპინა ტანდაბალი კი იყო, მაგრამ კაბინეტიდან საწყობის კარში გავლისას თავის დახრა მაინც დასჭირდა. სხვები ლამის წელში მოვიხარეთ. ნამდვილ სიკვდილმისჯილთან ეს ძალიან მძიმე მომენტი იყო და როცა საწყობში პლატფორმაზე მდგარი „ბებერი ნაპერწკალას“ გვერდით თოფიანი ბრუტუსი დავინახე, კმაყოფილებით დავაქნიე თავი. ყველაფერი რიგზე იყო.

პიპინა საფეხურებზე ჩავიდა და გაჩერდა. დაახლოებით ორმოცი დასაკეცი სკამი უკვე შემოეტანათ ოთახში. ბიტერბაკი პლატფორმამდე ისე მივიდოდა, მოწმეებს ვერ მიუახლოვდებოდა. ყოველი შემთხვევისთვის, მათ შორის ექვსი მცველიც ჩადგებოდა. მცველებს ბილ დოჯი უმეთაურებდა. მიუხედავად ამ მარტივი წყობისა, არადროს გვქონია ისეთი შემთხვევა, რომ სიკვდილმისჯილი მოწმეს დასხმოდეს თავს. ამიტომ სიტუაციის გამკაცრებას არც ამჯერად ვაპირებდი.

- მზად ხართ, ბიჭებო? - გვკითხა პიპინამ კაბინეტიდან საწყობში ჩამავალი კიბის საფეხურებზე წესის მიხედვით დაწყობილებს. თავი დავუქნიე და პლატფორმისკენ გავემართეთ. ხშირად მიფიქრია, რომ მედროშეებს ვგავდით, რომლებსაც დროშის წამოღება დაავიწყდათ.

- მე რა ვქნა? - გამოგვძახა სააპარატოს ფანჯრიდან პერსი უეტმორმა.

- გვიყურე და ისწავლე, - ვუპასუხე მე.

- და შენს სოსისს ხელი გაუშვი, - ჩაიბურტყუნა ჰარიმ. თუმცა, პიპინამ გაიგო და ჩაიფხუკუნა.

პიპინა პლატფორმაზე ავიყვანეთ და მანაც თავისებურად გაუტია - ამ საქმის ვეტერანი იყო.

- ვჯდები, ვჯდები, „ბებერი ნაპერწკალას“ კალთაში ვჯდები.

მის მარჯვენა მუხლთან მარჯვენა მუხლზე დავდექი, ხოლო დინი მის მარცხენა მუხლთან - მარცხენა მუხლზე. ასეთ დროს ყველაზე დიდი საფრთხე გვემუქრებოდა სიკვდილმისჯილისგან, თუ

მწყობრიდან გამოვიდოდა. ხანდახან ასეც ხდებოდა. ამიტომ მოხრილ მუხლს ოდნავ შიგნით ვწევდით, საზარდულის დასაცავად და თავს ვხრიდით ყელის დასაცავად. იმავდროულად, მოსალოდნელი საფრთხის გასანეიტრალებლად, სიკვდილმისჯილებს კოჭებით სწრაფად ვაბამდით ელექტროსკამის ფეხებზე. ბელადი კი ფლოსტებით გაივლიდა უკანასკნელ გზას, მაგრამ ფრაზა: „უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო“ - ხორხგამსკდარი ან ყვერებგასივებული კაცისთვის მცირე შვებაა. მით უმეტეს, ძალიან სამარცხვინო იქნებოდა იატაკზე კოტრიალი ორმოცი მოწმის თვალწინ, რომელთაგან უმეტესობა პრესის წარმომადგენელი იყო.

პიპინა კოჭებით მივაბით ელექტროსკამზე. დინის მხარეს მომჭერი უფრო დიდი იყო, რადგან მას დენი მოჰყვებოდა. ბიტერბაკი სკამზე მარცხენა წვივგაპარსული დაჯდებოდა. საერთოდ, ინდიელები სხეულზე ხშირი თმით არ გამოირჩევიან, მაგრამ პროცედურა მაინც უნდა დაგვეცვა.

სანამ ჩვენ კოჭებით ვამაგრებდით, ბრუტუსმა პიპინა მარჯვენა მაჯით მიაბა მკლავსადებზე, ხოლო ჰარიმ - მარცხენათი. რომ მორჩნენ, ჰარიმ ბრუტუსს დაუქნია თავი, ბრუტუსმა კი ვან ჰეის დაუძახა:

- ჩართეთ პირველი!

გავიგონე, როგორ ჰკითხა პერსიმ ჯეკ ვან ჰეის, ეს რას ნიშნავსო (ძნელი დასაჯერებელია, რაოდენ ცოტა იცოდა მან ჩვენს მოვალეობაზე და რა ცოტა ისწავლა E ბლოკში მუშაობისას) და ვან ჰეიმაც ბუტბუტით აუხსნა. დღეს „პირველის ჩართვა“ არაფერს ნიშნავდა, მაგრამ როცა ბრუტუსი იმავეს ხვალ გაიმეორებდა, ვან ჰეი მრგვალ ჩამრთველს გადაატრიალებდა და ბ ბლოკის უკან მდგარ საპატიმროს გენერატორს ჩართავდა. მოწმეები ხმადაბალ ზუზუნს გაიგონებდნენ, ხოლო მთელ საპატიმროში ნათურები აკაშკაშდებოდა. პატიმრები აკაშკაშებულ ნათურებს შეხედავ-

დნენ და იფიქრებდნენ, რომ სიკვდილით დასჯა დასრულდა, სიკვდილმისჯილი მოკვდა. არადა, ყველაფერი მხოლოდ მაშინ დაიწყებოდა.

ბრუტუსმა სკამს შემოუარა, რომ პიპინას დაენახა.

- არლენ ბიტერბაკ, ნაფიცმა მსაჯულებმა სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანეს და პატივცემულმა მოსამართლემ ელექტროსკამზე სიკვდილი მოგისაჯათ. ღმერთო, დაიფარე ამ შტატის მოსახლეობა. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე რამის თქმა ხომ არ გსურთ?

- ჰო, - თქვა თვალებგაბრწყინებულმა პიპინამ უკბილო ღიმილით, - შემწვარი ქათამი მინდა კარტოფილთან ერთად; მინდა, შენს ქუდში ჩავაჯვა და მეი უესტი[7] ვიხმარო.

ბრუტუსმა სერიოზული გამომეტყველების შენარჩუნება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ხმამაღლა ახარხარდა. დინი პლატფორმის კიდეზე ტყვიანაკრავივით ჩაიკეცა, თავი მუხლებს შორის ჩარგო და ტურასავით აყმუვლდა, ცალი ხელი შუბლზე ედო, თითქოს ტვინს თავის ადგილზე ამაგრებსო. ჰარი თავს კედელს ურტყამდა და ისე ხრიწინებდა, თითქოს ყელში მსხვილი ლუკმა გასჩხერიაო. თვით ჯეკ ვან ჰეი, იუმორის გრძნობის ნაკლებობით გამორჩეული კაციც კი იცინოდა. მეც მეცინებოდა, მაგრამ თავი როგორღაც შევიკავე. ხვალ ხომ ამ ელექტროსკამზე პიპინას ნაცვლად ნამდვილი სიკვდილმისჯილი დაჯდებოდა და მოკვდებოდა.

- მოკეტე, მხეცო, - ვთქვი მე, - თქვენც, დინ და ჰარი. პიპინა იცოდე, ეგეთ რამეს კიდევ იტყვი და სამუდამოდ დაგადუმებ. იცოდე, ვან ჰეის მეორეზე მართლა გადავართვევინებ.

პიპინამ ღიმილით შემომხედა, კარგად გამოგივიდათ, ბოს ეჯკუმ, კარგადო, მაგრამ პასუხად ჩემი ღიმილი რომ ვერ მიიღო, სახეზე დაბნეულობა გამოეხატა.

[7] ცნობილი ამერიკელი მსახიობი ქალი და სექს-სიმბოლო.

- კაი რა, რა მოგივიდა?

- ეს სასაცილო არაა, - ვუთხარი მე, - აი, რა მომივიდა. თუ ამდენს ვერ ხვდები, გირჩევნია, ეგ პირი დახურო, - სინამდვილეში, ძალიანაც სასაცილო სცენა იყო და ალბათ, სწორედ ამან გამაბრაზა.

მიმოვიხედე. ბრუტუს ჰაუელი მაინც გაღიმებული მიყურებდა.

- ჯანდაბა, მგონი, ამ საქმისთვის უკვე დავბერდი, - წამოვიძახე.

- არა, - თქვა ბრუტუსმა, - ძალების გაფურჩქვნის ასაკში ხარ, პოლ.

ორივემ ვიცოდით, რომ ცდებოდა. საბედნიეროდ, ამასობაში სიცილის შეტევამაც გაგვიარა. სულაც არ მინდოდა, რომ ხვალ საღამოს ბელადის სიკვდილით დასჯისას ვინმეს პიპინას სულელური ხუმრობა გახსენებოდა და ისევ ახარხარებულიყო. შეიძლება იფიქროთ, შეუძლებელია სიკვდილმისჯილის ელექტროსკამზე დასმისას მცველს სიცილისთვის ეცალოსო, მაგრამ სტრესულ მდგომარეობაში მყოფს ყველაფერი შეიძლება დაგემართოს. სიკვდილით დასჯაზე სიცილ-ხარხარი კი დიდი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდებოდა.

- ჩუმად იქნები, პიპინა? - ვკითხე.

- ჰო, - გაბუტული ბავშვივით მოპრუწა ტუჩები მან.

ბრუტუსს ვანიშნე, რეპეტიცია განვაგრძოთ-მეთქი. მან სკამის საზურგეზე მიმაგრებული თითბრის საკიდიდან შავი ტომარა ჩამოხსნა და პიპინას თავზე ჩამოაცვა. თასმები ნიკაპქვეშ მაგრად შეუკრა. ტომრის მეორე ბოლოც ამოჭრილი იყო და პიპინას კინკრიხო მოშიშვლებული დარჩა. ბრუტუსი დაიხარა, ვედროდან სველი ღრუბელი ამოიღო, თითი დააჭირა და მერე ის დასველებული თითი ენით გალოკა. ამის შემდეგ ღრუბელი ისევ ვედროში ჩააგდო. ხვალ ამას არ იზამდა; ხვალ ამ ღრუბელს ახლა სკამის

საზურგეზე დასკუპებულ ჩაფხუტში ჩადებდა. დღეს კი პიპინას მოხუცი თავის ტყუილად დასველება არ ღირდა.

ბრუტუსმა პიპინას თავზე მჭიდროდ მოარგო ჩაფხუტი.

- ჩაფხუტს ვიხურავ, ჩაფხუტს ვიხურავ, ჩაფხუტს ვიხურავ, - პიპინას ხმა უკვე ყრუდ ისმოდა. თასმები მაგრად უჭერდა. მგონი, ბრუტუსმა სპეციალურად მოუჭირა ასე ძლიერ, რომ პიპინას რეპეტიციისთვის ხელი აღარ შეეშალა. შემდეგ წინ გადგა, ცარიელ სკამებს შეხედა და თქვა:

- არლენ ბიტერბაკ, ახლა თქვენს სხეულში ელექტროდენი გაივლის, სანამ შტატის კანონმდებლობის შესაბამისად არ მოკვდებით. ღმერთმა შეიწყალოს სული თქვენი!

ბრუტუსი ცხაურიანი ფანჯრისკენ მიტრიალდა.

- მეორეზე გადართეთ!

მოხუცმა პიპინამ კვლავ თავისი გენიალური კომიკური ნიჭის გამოვლენა სცადა და ელექტროსკამზე აფართხალდა; ცოტა ზედმეტი მოუვიდა, რადგან ასეთი რამ „ბებერ ნაპერწკალას“ ნამდვილ კლიენტებს არ ემართებოდათ.

- ვიბრაწები, ვიბრაწებიიი! ღმერთოოოო! შემწვარი ინდაური ვაარ!

უცებ დავინახე, რომ ჰარი და დინი მას საერთოდ არ უყურებდნენ. „ნაპერწკალასთვის“ ზურგი ექციათ და საწყობიდან ჩემს კაბინეტში გამავალ კარს უყურებდნენ.

- ამას რას ვხედავ, - ამოღერღა ჰარიმ, - ერთ-ერთი მოწმე ერთი დღით ადრე მოვიდა.

კარის ღიობში თათებზე კოხტად კუდშემოხვეული თაგვი იჯდა და პატარა, შავი თვალებით შემოგვცქეროდა.

# 5

ვაშიტელი ჩეროკების უხუცესის, არლენ ბიტერბაკის სიკვდილით დასჯამ კარგად ჩაიარა, თუ სიკვდილით დასჯა საერთოდ, შეიძლება „კარგი“ იყოს (პირადად მე ამის არ მჯერა). ხელები ძალიან უკანკალებდა, სწორი და კოხტა ნაწნავის გასაკეთებლად ოცდაათი წლის უფროსი ქალიშვილი მივახმარეთ. ქალიშვილს სურდა, მამისთვის თმაში ქორის კუდის ბუმბულიც ჩაეწნა, მაგრამ მე ავუკრძალე. ბუმბულს შეიძლებოდა ცეცხლი წაჰკიდებოდა და დამწვარიყო. რასაკვირველია, ეს მისთვის არ გამიმხელია, უბრალოდ, ვუთხარი, წესდებას ეწინააღმდეგება-მეთქი. ბელადის ქალიშვილი არ შემომპასუხებია, მხოლოდ თავი დახარა და ხელები საფეთქლებზე მიიდო თავისი იმედგაცრუების და პროტესტის საჩვენებლად. იმ ქალს თავი ღირსეულად ეჭირა და ამით პრაქტიკულად გარანტიას გვაძლევდა, რომ მამამისიც ასე მოიქცეოდა.

როცა დრო მოვიდა, ბელადი საკნიდან მშვიდად, თავისი ფეხით გამოვიდა. მახსოვს, სიკვდილით დასჯისას ზოგიერთი სიკვდილმისჯილი საკნის გისოსებს ჩაეჭიდა და ძლივს მოვგლიჯეთ, - ერთ-ერთს თვითონ მოვამტვრიე თითები და ძვლების ყრუ ტკაცუნი დღემდე ჩამესმის ყურში. მადლობა ღმერთს, ბელადი იმ სიკვდილმისჯილებს არ ჰგავდა. მან მტკიცედ გაიარა მწვანე გზაზე, ჩემს კაბინეტში შევიდა და იქ მუხლებზე დამდგარმა ილოცა ძმა შუსტერთან ერთად, რომელიც ბაპტისტური ეკლესიიდან თავისი ჯაბახანით მოვიდა. შუსტერმა ბელადს რამდენიმე ფსალმუნი წაუკითხა. როცა მან „წყნარ წყლებთან“ დასვენება ახსენა, ბელადი ატირდა. არა, ისტერიკაში არ ჩავარდნილა. ქვითინებდა. მგონი, წყნარ წყალზე ფიქრობდა, ისეთ სუფთასა და ცივზე, ყოველი ყლუპი კბილს რომ გჭრის.

სიმართლე გითხრათ, მსიამოვნებს, როცა სიკვდილმისჯილები ტირიან. აი, როცა არ ტირიან, მაშინ ვნერვიულობ.

ბევრი დაჩოქილი სიკვდილმისჯილი ვეღარ დგება ფეხზე დაუხმარებლად, მაგრამ ბელადმა აქაც იყოჩაღა. თავიდან ოდნავ შექანდა, თითქოს თავბრუ დაეხვაო და დინმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ბელადმა უმისოდ შეიმაგრა თავი და გზა გააგრძელა.

თითქმის ყველა ადგილი დაკავებული იყო. მოწმეები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თითქოს ქორწილში ან დაკრძალვაზე არიანო. მხოლოდ აქ წაბარბაცდა ბიტერბაკი. არ ვიცი, ვინმე განსაკუთრებული დაინახა თუ ყველა მოწმემ ერთად შეაკრთო, მაგრამ უეცრად მისი ჩუმი ოხვრა მომესმა და მკლავი, რომელიც მე მეჭირა, დაჭიმა. ცალი თვალით დავინახე, როგორ მოუჭრა უკან დასახევი გზა ჰარი ტერვილიგერმა ბელადს, რომ ამ უკანასკნელს გაქცევა არ მოენდომებინა.

იდაყვზე მოვუჭირე ხელი და ტუჩების აუმოძრავებლად ჩავჩურჩულე:

- მშვიდად, ბელადო! ამ ხალხის უმეტესობას მხოლოდ ის დაამახსოვრდება, როგორ აღესრულები. ასე რომ, სიმტკიცე გამოიჩინე. უჩვენე მათ, ნამდვილი ვაშიტა როგორ კვდება.

ბელადმა გვერდულად გამომხედა და თავი დამიქნია. მერე ქალიშვილის გაკეთებულ ერთ-ერთ ნაწნავს აკოცა. ელექტროსკამის უკან მდგარ, საუკეთესო უნიფორმაში გამოწკეპილ და კოხტად ქუდმორგებულ ბრუტუს ჰაუელს შევხედე. მას თავის ქნევით ვანიშნე და ისიც წინ გამოვიდა, რომ თუ საჭირო იქნებოდა, ბელადს პლატფორმაზე ასვლაში დახმარებოდა. ბელადს მისი დახმარება არ დასჭირვებია.

ერთი წუთიც არ გასულა ბელადის ელექტროსკამზე დასმიდან, რომ ბრუტუსმა მხარუკუღმა ჩუმად გასძახა სააპარატოში მჯდარ ვან ჰეის:

- მეორეზე გადართეთ!

ნათურები ოდნავ გაფერმკრთალდა; რომ არ შეგეხედა, ვერც კი შეამჩნევდი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვან ჰეიმ ჩამოსწია ბერკეტი, რომელსაც ვიღაც მახვილგონიერმა „მეიბლის თმის ფენი“ შეარქვა. ჩაფხუტიდან ჩუმი ზუზუნი მოისმა და ბიტერბაკი, მიუხედავად მომჭერებისა და მკერდზე გადაკრული ღვედებისა, წინ გადმოიხარა. კედელს მიყრდნობილი ექიმი არაფრის მთქმელი გამომეტყველებით იყურებოდა, მხოლოდ პირი მოეკუმა და ტუჩები ისე შეეერთებინა, რომ შორიდან ერთ წვრილ ხაზად მოუჩანდა. ბიტერბაკი მოხუც პიპინასავით არ აფართხალებულა ელექტროსკამზე, მხოლოდ წინ მიილტვოდა კონვულსიებით შეპყრობილი ტან-ფეხით, როგორც მამაკაცი მძლავრი ორგაზმის დროს. ბელადს ლურჯი პერანგი დაკრუნჩხულ ტანზე შემოეტმასნა და ღილებთან გაჩენილი ღრიჭოებიდან შიშველი ხორცი გამოუჩნდა.

ოთახში სუნი დადგა, თავისთავად არცთუ უსიამოვნო, მაგრამ ცუდი ასოციაციის აღმძვრელი. ხანდახან, როცა სტუმრად მივყავართ, ჩემი შვილიშვილის სარდაფში არ ჩავდივარ ხოლმე. იქ ჩემს შვილთაშვილს სათამაშო რკინგზა აქვს აწყობილი და ალბათ, დიდი სიხარულით აჩვენებდა მას საყვარელ ბაბუას, მაგრამ უარზე ვარ. არ გეგონოთ, მატარებლების საწინააღმდეგო მქონდეს რამე; არა, მე ტრანსფორმატორს ვერ ვიტან. ისე ზუზუნებს და რომ ხურდება, ისეთი სუნი ასდის, ამდენი წლის შემდეგაც ყოველთვის „ქოულდ მაუნთინი“ მახსენდება.

ვან ჰეიმ ოცდაათი წამი შეიცადა და დენი გამორთო. ექიმი ბელადთან მივიდა და სტეტოსკოპით გასინჯა. მოწმეები აღარ ჩურჩულებდნენ. ექიმი წელში გაიმართა და ცხაურიან ფანჯარასთან მივიდა.

- გაურკვეველია, - თქვა და თითის მკვეთრი მოძრაობით ნიშანი მისცა.

ბიტერბაკის მკერდში გული რამდენჯერ სუსტად აძგერებულა. შეიძლება ესეც ისეთივე უმნიშვნელო იყო, როგორც თავწაჭრილი ქათმის ფართხალი, მაგრამ გარისკვად არ ღირდა. არავის უნდოდა, სასწრაფო დახმარების მანქანისკენ შუა გზაზე ბელადი საკაცეზე წამომჯდარიყო და ეღრიალა, ვიწვი,

ცეცხლი მიკიდიაო.

ვან ჰეიმ მესამეზე გადართო და ბელადი ისევ წინგადაქანდა, ელექტროდენის მძლავრმა ტალღებმა ამჯერად უფრო ძლიერ აააცახცახა. ექიმმა კიდევ ერთხელ შეამოწმა და თავი დააქნია. ყველაფერი დამთავრდა. კიდევ ერთხელ გავანადგურეთ ის, რისი შექმნაც არ ძალგვიძს. ზოგიერთი მოწმე ისევ აჩურჩულდა; უმეტესობამ თავი ჩაქინდრა და იატაკს ჩააშტერდა დარცხვენილი და გაოგნებული.

ჰარიმ და დინმა საკაცე მოიტანეს. საკაცის ერთი ბოლოდან აწევა პერსის ევალებოდა, მაგრამ მან ეს არ იცოდა და არც არავის შეუხსენებია. თავზე ტომარაჩამოცმული ბელადი მე და ბრუტუსმა ავწიეთ, კარში გავედით და სწრაფი ნაბიჯებით დავიძარით გვირაბისკენ. ტომრის ნახვრეტიდან კვამლი ამოდიოდა და საშინლად ყარდა.

- ღმერთო, - წამოიძახა ხმააკანკალებულმა პერსიმ, - ეს რა სუნია?

- გზიდან გამეცალე და ფეხებში ნუ გვებლანდები, - უთხრა ბრუტუსმა და კედელზე დაკიდებული ცეცხლსაქრობის ჩამოსახსნელად გაიქცა. ძველებური ცეცხლსაქრობი იყო, ხელით რომ უნდა დაგეტუმბა. ამასობაში დინმა ბელადს ტომარა მოხსნა. ბელადის მარცხენა ნაწნავი სველი ფოთლების გროვასავით ხრჩოლავდა.

- შეეშვი, - ვუთხარი ბრუტუსს. ცხედრის სახიდან ქიმიური ლაფის მოწმენდის სურვილი არ მქონდა. ამიტომ ბელადს თავზე ხელს ვურტყამდი (პერსი თვალებდაჭყეტილი მიყურებდა), სანამ

კვამლმა ხრჩოლვა არ შეწყვიტა. მერე თორმეტი ხის საფეხური ჩავიარეთ და საკაციანად გვირაბში ჩავედით. გვირაბი ჯურღმულს ჰგავდა, საშინლად ციოდა და კედლებიდან წყალი ჟონავდა. ციხის ავტოსახელოსნოში დამზადებული უშნოაბაჟურიანი ლამპების მკრთალ შუქში გზატკეცილის ქვეშ გამავალი ათმეტრიანი აგურისკედლებიანი გვირაბი მოჩანდა. გვირაბის თავი სველი და მრუდე იყო და შიგ ყოველი შესვლისას თავი ედგარ ალან პოს დეტექტივის გმირი მეგონა.

გვირაბში ბორბლებიანი საკაცე გველოდა. ბოლოჯერ შევამოწმე, ბელადს თმაზე ცეცხლი კიდევ ხომ არ უკიდია-მეთქი. ცალი ნაწნავი ერთიანად დანახშირებულიყო და გაშავებულ გუნდად ქცეულიყო.

პერსიმ მკვდარს ლოყაზე დაუტყაპუნა ხელი. ტყაპუნის ხმამ ყველა შეგვაკრთო. პერსის ტუჩებზე თავმომწონე ღიმილი გადაჰფენოდა და თვალები უბრწყინავდა.

- ადიოს, ბელადო, - მიმართა მკვდარს, - იმედია, ჯოჯოხეთში ძალიან არ შეგცივდება.

- გაჩუმდი, - უთხრა მას ბრუტუსმა და მისი ხმა გვირაბში სამარისებურად გაისმა, - ბელადმა სიცოცხლით ზღო. ანგარიში გაასწორა. მოაშორე ხელები მკვდარს.

- კარგი რა, - შეეპასუხა პერსი, მაგრამ შეშინებულმა უკან დაიხია, ბრუტუსი მისკენ რომ დაიძრა და მის უკან ჩრდილი გაიზარდა მაიმუნის ჩრდილივით, როგორც იმ მოთხრობაშია „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“. თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ პერსისთვის ჩაევლო ხელები, ბრუტუსმა საკაცე გვირაბის მეორე ბოლოსკენ გააგორა. იქ, გზის პირას სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა. საკაცის რეზინის ბორბლები ხის იატაკზე ჭრიალებდა, საკაცის ჩრდილი კედლებზე იზრდებოდა და პატარავდებოდა. დინმა და ჰარიმ ბელადს ზეწარი გადააფარეს და დაუფარეს სახე, რომე-

ლიც ყველა მკვდარს ერთნაირად მკრთალი აქვს, დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც.

# 6

თვრამეტი წლის ვიყავი, როცა ბიძაჩემი პოლი - ვის პატივსაცემადაც დამარქვეს სახელი, - გულის შეტევით გარდაიცვალა. დედაჩემმა და მამაჩემმა ჩიკაგოში წამიყვანეს მის დაკრძალვაზე და მამაჩემის მხრიდან ოჯახის ნათესავების სანახავად. ბევრ მათგანს საერთოდ არ ვიცნობდი. თითქმის ერთი თვე არ დავბრუნებულვართ შინ. ერთი მხრივ, კარგი მოგზაურობა გამოგვივიდა, საჭირო და საინტერესო, მეორე მხრივ - საშინელი. საქმე ისაა, რომ უზომოდ შეყვარებული ვიყავი ერთ გოგოზე, რომელზეც მეცხრამეტე დაბადების დღიდან ორი კვირის თავზე ვიქორწინე. ერთ საღამოს, როცა მისი სიყვარული გულსა და გონებას (კარგი, ვაღიარებ, ყველებსაც) ძლიერ მიწვავდა, ვეღარ მოვითმინე და გრძელზე უგრძესი წერილი მივწერე - მთელი გრძნობები შიგ ჩავაქსოვე, ოღონდ ერთხელაც არ შევჩერებულვარ, რომ გადამეკითხა, ვიფიქრე, შემეშინდება და წერილს აღარ დავასრულებმეთქი. არ გავჩერდი, მიუხედავად იმისა, რომ გონებაში რაღაც ხმა მაფრთხილებდა, ასეთ წერილს ნუ მისწერ, თორემ გაშიშვლებულ გულს პირდაპირ ხელში ჩაუგდებო. ბავშვური გულგრილობა გამოვიჩინე და მოსალონდელ შედეგებზე არც დავფიქრებულვარ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაინტერესებდა, ვერაფრით გავბედე ჯენისისთვის მეკითხა, იმ წერილს კიდევ ინახავდა თუ არა. მისი დაკრძალვის შემდეგ მის ნივთებში კი ვეძებე, მაგრამ იქ ვერ ვიპოვე. თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს. ალბათ, წერილის შესახებ იმიტომ ვერ ვკითხე, რომ მეშინოდა, ის სასიყვარულო ეპისტოლე და მწველი სიტყვები მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო, როგორც - ჩემთვის.

წერილი ოთხგვერდიანი იყო. მეგონა, ამსიგრძეს ცხოვრებაში აღარაფერს დავწერდი, მაგრამ ახლა ამას შეხედეთ! უკვე რამდე-

ნი დავწერე და ამ ისტორიას ჯერ ბოლო არ უჩანს. რომ მცოდნოდა, ამხელა გამოვიდოდა, წერას არც დავიწყებდი. წარმოდგენაც არ მქონდა, წერისას რამდენი საიდუმლო კარი იხსნება, თითქოს მამაჩემის ნაქონი ავტოკალამი უბრალო კალამი კი არა, ჯადოსნური გასაღები იყოს. საუკეთესო მაგალითი თაგვია, იგივე ორთქლმავალი უილი, ანუ მისტერ ჯინგლსი. სანამ წერას დავიწყებდი, ვერც კი ვხვდებოდი, რამდენად მნიშვნელოვანი ყოფილა იგი. ის ხომ დელაკრუას ეძებდა, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ დელაკრუა გამოჩნდებოდა, - ამას ახლაღა ვხვდები და ვიჯერებ, როცა წარსულს ვიხსენებ და მოგონებები ფურცელზე გადამაქვს.

იმის თქმა მინდა, რომ არ მეგონა, ამდენი რამის მოყოლა თუ დამჭირდებოდა, თქვენთვის ჯონ კოფის შესახებ რომ მეამბა; ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ასე მივივიწყებდი საკანში ჩასმულ გოლიათს, რომელიც იმხელა იყო, რომ საწოლზე ვერ ეტეოდა და ფეხები ძირს ჰქონდა გადმოშვერილი. არა უშავს, მას ისევ გაგახსენებთ. მისი დავიწყება არ შეიძლება. მინდა, რომ დაინახოთ ის საკანში მწოლიარე, უცრემლოდ, ჩუმად მოტირალი და სახეზე ხელებაფარებული. მინდა, რომ გაიგონოთ მისი ოხვრა და უღონო კვნესა. ეს არ ყოფილა აგონიისა და სინანულის ოხვრა, როგორიც არაერთხელ მოგვისმენია E ბლოკში - მისი თვალების მსგავსად, მისი ოხვრაც დაცლილი იყო ჩვენთვის ჩვეული ტკივილისგან. ხანდახან... ვიცი, ძალიან გიჟურად ჟღერს, მაგრამ რა აზრი აქვს ამხელა ტექსტის წერას, თუ იმ სათქმელს არ იტყვი, რაც ასე გაწუხებს... ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ჯონ კოფი მთელი მსოფლიოს საწუხარს გრძნობდა - იმხელა სევდა-დარდს, რომ მისი სრულად გაქარვება შეუძლებელი იყო. ზოგჯერ მასთან ვჯდებოდი და ვესაუბრებოდი. სიკვდილმისჯილებთან საუბარი ჩვენი უმთავრესი მოვალეობა იყო - მგონი, ეს უკვე აღვნიშნე. ჯონ კოფის ვესაუბრებოდი და მის დამშვიდებას ვცდილობდი. ალბათ, ჩემი სიტყვები მას ვერაფრით ეხმარებოდა, მაგრამ ერთი მხრივ,

მიხაროდა კიდეც, რომ იტანჯებოდა. ჩემი სულის რაღაც ნაწილს მიაჩნდა, რომ ის ტანჯვას იმსახურებდა. ისიც კი მიფიქრია, გუბერნატორისთვის დამერეკა (ან პერსისთვის დამერეკინებინა, ბოლოს და ბოლოს, მისი ბიძა იყო და არა ჩემი) და სიკვდილით დასჯის გადავადება მეთხოვა. ჯერ მისი შეხრუკვა არ შეიძლება, ჯერაც იტანჯება, ტკივილი მთელ შიგნეულობას უწამლავს და ახრჩობს, კიდევ ოთხმოცდაათი დღე მიეცით, სერ; დაე, დაისაჯოს თავი ისე მკაცრად, ჩვენ რომ ვერ დავსჯით, თქვენო ღირსებავმეთქი, ვეტყოდი გუბერნატორს.

მინდა, რომ სწორედ ჯონ კოფი გახსოვდეთ, სანამ იქამდე მივიდოდე, საიდანაც დავიწყე - ჯონ კოფი საკანში რომ ჩავკეტეთ. ის ჯონ კოფი, რომელსაც სიბნელის ეშინოდა და შესაძლოა, არცთუ უმიზეზოდ: ხომ შეიძლებოდა, რომ ბნელში ორი ქერა გოგონა კი არა, უკვე შურისმაძიებელი ჰარპიები გამოცხადებოდნენ? ის ჯონ კოფი, რომელსაც თვალებიდან ცრემლები ისე სდიოდა, როგორც შეუხორცებელი ჭრილობიდან - სისხლი.

# 7

ამგვარად, ბელადი შეიხრუკა, პრეზიდენტი კი წავიდა - არც ისე შორს, ჩ ბლოკში, მაგრამ იქაურობა „ქოულდ მაუნთინის“ ას ორმოცდაათი პატიმრისთვის მშობლიური სახლივით ძვირფასი იყო. პრეზიდენტის ცხოვრება თორმეტი წლით გახანგრძლივდა. 1944 წელს საპატიმროს სამრეცხაოში დაიხრჩო; ოღონდ „ქოულდ მაუნთინის“ სამრეცხაოში არა. „ქოულდ მაუნთინი“ 1933 წელს დაიხურა. არა მგონია, პატიმრებისთვის ამით რამე შეცვლილიყო. კედლები ყველგან კედლებია, ხოლო „ბებერი ნაპერწკალა“ ქვის სიკვდილის ოთახშიც ისეთივე მომაკვდინებელი იყო, როგორც „ქოულდ მაუნთინის“ საწყობში.

რაც შეეხება პრეზიდენტს, ვიღაცამ წყალში გახსნილი ქიმიური პრეპარატებით სავსე ვარცლში ჩააყოფინა თავი. მცველებმა სახემომწვარი იპოვეს. თითის ანაბეჭდებით ამოიცნეს. კაცმა რომ თქვას, ალბათ, აჯობებდა, „ბებერ ნაპერწკალაზე“ მომკვდარიყო... მართალია, კიდევ თორმეტი წელი ვერ იცოცხლებდა, მაგრამ არა მგონია, სიცოცხლის ბოლო წუთებში, როცა ქიმიური ხსნარით ფილტვებგავსებულს სული ეხუთებოდა, ეს თორმეტი წელი დანანებოდა.

მისი მკვლელი არ უპოვიათ. მე შრომა-გამასწორებელ კოლონიებში აღარ ვმუშაობდი, მაგრამ ჰარი ტერვილიგერმა მომწერა და მიამბო. იმიტომ შეიწყალეს, რომ თეთრკანიანი იყოო, მწერდა ჰარი: „მაგრამ ბოლოს მაინც ის მიიღო, რაც დაიმსახურა. ასე მგონია, სიკვდილით დასჯა გადაუვადეს, მაგრამ საბოლოოდ მისი დროც მოვიდა.“

პრეზიდენტის წასვლის შემდეგ E ბლოკში სიტუაცია ჩაწყნარდა. ჰარი და დინი დროებით სხვაგან გადაიყვანეს და მწვანე გზაზე ცოტა ხნით მხოლოდ მე, ბრუტუსი და პერსი დავრჩით. ანუ მე

და ბრუტუსი, რადგან პერსი თითქმის ყოველთვის თავისთვის იყო. გეუბნებით, ეგ ყმაწვილი უსაქმურობის დიდოსტატი იყო. ხანდახან (მხოლოდ მაშინ, როცა პერსი ახლომახლო არ იყო) სხვა ბიჭებიც შემოივლიდნენ და „გულიანად ვყბედობდით“, როგორც ჰარი ხუმრობდა. ასეთ დროს ხშირად თაგვიც გამოჩნდებოდა ხოლმე. მას საჭმელს ვუყრიდით. ისიც ჭამდა, სოლომონ ბრძენივით მეფურად იჯდა და პაწაწინა შავი თვალებით მოგვჩერებოდა.

ის რამდენიმე კვირა მშვიდი და უშფოთველი გამოდგა, თუ არ ჩავთვლით შიგადაშიგ პერსის ჯუჯღუნს. მაგრამ ყველაფერ კარგს დასასრული აქვს და, აი, ივლისის მიწურულის ერთ წვიმიან ორშაბათს - უკვე აღვნიშნე, რა წვიმიანი და პირქუში იყო ის ზაფხული - ისევ ღია საკანში პატიმრის საწოლზე ვიჯექი და ედუარდ დელაკრუას ველოდი.

ჩია ფრანგი ხმაურიანად გამოჩნდა. სასეირნო ეზოში გამავალი კარი ჯახუნით გაიღო, შიგნით სინათლის ნაკადი შემოიჭრა და ჯაჭვების ჩხარუნში შეშინებული, ფრანგულ-ინგლისური ბუტბუტი გაისმა. უცებ ბრუტუსმაც იღრიალა:

- თუ ღმერთი გწამს, პერსი, გეყოფა! მორჩი-მეთქი!

დელაკრუასთვის განკუთვნილ საწოლზე ჩამძინებოდა, მაგრამ ხმაურზე შიშით გულაფრთხიალებული მაშინვე წამოვხტი. პერსის გამოჩენამდე E ბლოკში ასეთი ხმაური არასდროს ყოფილა; პერსიმ მოიყოლა ცუდი სუნივით.

- იარე, შე ფრანგო პედარასტო! - უყვიროდა პერსი დელაკრუას და ბრუტუს ჰაუელს ყურადღებას არ აქცევდა. პერსიც დავინახე. ცალი ხელით ბოულინგის კეგლისხელა პატიმარს მოათრევდა, მეორეში - ხელკეტი ეჭირა. კბილები დაეკრიჭა და სახე დაწითლებოდა, თუმცა, უკმაყოფილო სულაც არ ჩანდა. დელაკრუა ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა, მაგრამ ფეხებზე ბორკილები ედო, ამიტომ პერსი სულ უსწრებდა და წინ ექაჩებოდა. მე საკან-

თან შევეგებე და ხელიც შევაშველე, რომ არ წაქცეულიყო. ასე გავიცანით მე და დელმა ერთმანეთი.

პერსიმ ფრანგს გარს შემოუარა და ხელკეტი შეათამაშა, მაგრამ მე ხელის აწევით შევაჩერე. ამასობაში აქოშინებული ბრუტუსიც შემოგვიერთდა. ისიც ჩემსავით გაკვირვებული იყო.

- გთხოვთ, ნუღარ დაარტყმევინებთ, მესიე, - აბურტყუნდა დელაკრუა, - S'il vous plait, S'il vous plait!.[8]

- მიმიშვით, მიმიშვით ერთი მაგასთან! - გამოექანა პერსი და დელაკრუას მხრებში ჩაარტყა ხელკეტი. აკივლებულმა დელაკრუამ ხელები აიფარა და პერსიმაც საპატიმროს ლურჯი პერანგის სახელოებით დაფარულ მკლავებზე გადასცხო ხელკეტი. იმ ღამით დელაკრუა უპერანგოდ ვნახე და მთელი ტანი დალურჯებული ჰქონდა. ამაზე ცუდად გავხდი. კი, დელი სასტიკი მკვლელი იყო, მაგრამ E ბლოკში საქმეების ასე კეთება არ გვჩვეოდა, სანამ პერსი გამოჩნდებოდა.

- ეი! ეი! - ავყვირდი მე, - გეყო! ეს ვინ დაგავალა? - პერსის და დელაკრუას შორის ჩავდექი, მაგრამ ისინი მაინც ვერ გავაშველე. პერსის ხელკეტი ხან ერთი მხრიდან მოფრინავდა, ხან - მეორედან. ადრე თუ გვიან, მოქნეული ხელკეტი მეც მომხვდებოდა და, აი, მაშინ კი, პერსის რამდენი გავლენიანი

ნაცნობიც უნდა ჰყოლოდა, დერეფანში დიდი შეხლა-შემოხლა ატყდებოდა. მე თავს ვერ შევიკავებდი და ბრუტუსიც უეჭველად დამეხმარებოდა. ისე, სიმართლე გითხრათ, გული მწყდება, ნეტა მართლა გვეცემა იმ დღეს პერსი. შემდგომში ბევრი რამ სხვანაირად მოხდებოდა.

- შე პედერასტო! მე შენ გასწავლი ხელების დამორჩილებას, შე ბინძურო მეტრაკე! - იყვირა პერსიმ და სამჯერ ზედიზედ დასცხო ხელკეტი.

---

[8] გთხოვთ! (ფრ).

დელაკრუას მარცხენა ყურიდან სისხლი წასკდა. აყვირდა. მათ გაშველებას შევეშვი. დელაკრუას მხარში ხელი ჩავავლე და საკანში შევაგდე. დელაკრუასაწოლზე მოიბუზა. პერსიმ გვერდი ამიარა და ჩია ფრანგს ერთი პანღური მიაყოლა. ბრუტუსმა პერსის ხელი სტაცა და დერეფანში გაათრია.

საკნის კარი სასწრაფოდ ჩავკეტე. მერე პერსისკენ შევტრიალდი. ჩემში გაოგნება და მრისხანება ერთმანეთს ებრძოდა. რამდენიმე თვე იყო, რაც პერსი ჩვენთან მუშაობდა და უკვე ყველა ვთანხმდებოდით, რომ დიდად არ მოგვწონდა, მაგრამ იმ დღეს პირველად ვნახე, სინამდვილეში რამდენად გაუწონასწორებელი იყო ის.

ერთ ადგილას იდგა და მიყურებდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი არ ეშინოდა - ეჭვიც არ მეპარება, გულის სიღრმეში ძალიან მშიშარა იყო, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, რომ გავლენიან ხალხთან სიახლოვე ჩემგან დაიცავდა. იმედი არ გაცრუებია. ალბათ, ბევრი ვერ მიხვდება, ასე რატომ მოვიქეცი, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ამდენი ვილაპარაკე, მაგრამ ვიცი, რომ ბევრია ისეთი, ვისაც სიტყვები „დიდი დეპრესია“ მხოლოდ ისტორიის წიგნებში ამოუკითხავს. აი, მათთვის კი, ვინც იმ პერიოდში ცხოვრობდა, ეს ცარიელი სიტყვები არ ყოფილა. და თუ ვინმეს სტაბილური სამსახური ჰქონდა, ყველაფერს იზამდა მის შესანარჩუნებლად.

პერსის სახეზე ფერი თანდათან უმკრთალდებოდა, მაგრამ ჯერაც წითელი იყო, ხოლო ბრილიანტინით დატკეპნილი, ყოველთვის უკან გადავარცხნილი თმა შუბლზე ჩამოჰყროდა.

- ეს რა ჯანდაბა იყო? - ვკითხე პერსის, - ჩემს ბლოკში პატიმარი არასდროს, გესმის, არასდროს უცემიათ!

- მაგ პედერასტმა სირზე წამავლო ხელი, ფურგონიდან რომ გადმომყავდა, - მითხრა პერსიმ, - ამისთვის კარგად მოხვდა და თუ კიდევ გაბედავს, უფრო მაგრად მოხვდება.

გაოგნებულმა სიტყვებს ვერ მოვუყარე თავი. ამქვეყნად ყველაზე მტაცებელი ჰომოსექსუალისტიც კი ვერ გაბედავდა იმის გაკეთებას, რასაც პერსი აღწერდა. მწვანე გზაზე გისოსებს იქით გამოსამწყვდევად სვლა, როგორც წესი, ყველაზე გარყვნილ პატიმარსაც უკარგავდა სექსის ხალისს.

საწოლზე მობუზულ დელაკრუას გავხედე, რომელსაც სახეზე ჯერაც ხელები ჰქონდა აფარებული. ხელებზეც და ფეხებზეც ბორკილები ედო. ისევ პერსისკენ შევტრიალდი.

- მომწყდი თავიდან, - ვუთხარი მას, - მოგვიანებით დაგელაპარაკები.

- ამას მოხსენებაში ჩაწერ? - უკმეხად მკითხა პერსიმ, - თუ ჩაწერ, მე ჩემს მოხსენებას მოვამზადებ, ხომ იცი.

არანაირი მოხსენების დაწერას არ ვაპირებდი, მხოლოდ ის მინდოდა, თვალით აღარ დამენახა და ასეც ვუთხარი.

- საქმე დაიხურა, - დავასრულე მე. დავინახე, ბრუტუსმა რომ გამკიცხავად შემომხედა, მაგრამ არ შევიმჩნიე, - წადი აქედან. ადმინისტრატორთან მიდი და უთხარი, წერილები მაქვს წასაკითხი და ფოსტის დახარისხებაში უნდა დაგეხმაროთ-თქო.

- კარგი, - თქვა პერსიმ და სახეზე სიმშვიდე გამოეხატა, ანუ, უგუნური ამპარტავნება - ასეთი იყო მშვიდი პერსის სახე. შუბლზე ჩამოყრილი თმა თითებით (ოცი წლის გოგონასავით ნაზი, თეთრი და პატარა თითები ჰქონდა) უკან გადაივარცხნა. მერე საკანს მიუახლოვდა. დელაკრუამ დაინახა და საწოლის კუთხეში მიიყუჟა, ფრანგულნარევ ინგლისურად აბუტბუტებული.

- შენთან ჯერ არ დამიმთავრებია, - უთხრა ფრანგს, მაგრამ როცა ბრუტუსის უშველებელი ხელი მხარზე დაეცა, შეხტა.

- კი, უკვე დაამთავრე, - უთხრა ბრუტუსმა, - ახლა კი წადი, გაისეირნე.

- ხომ არ გგონია, რომ შენი მეშინია? - უთხრა მას პერსიმ, - სულაც არა. - მერე მე მომაპყრო მზერა, - არც შენი, - არადა, მის

თვალებში ნათლად ჩანდა, რომ ორივე ჩვენგანის ეშინოდა და ეს უფრო სახიფათოს ხდიდა მას. პერსისნაირმა ტიპებმა წესიერიად ისიც კი არ იციან, მომდევნო წამს რას იზამენ, არათუ მომდევნო წუთს.

თუმცა, იმ წუთას ქედმაღლურად ზურგი გვაქცია და გრძელი ნაბიჯებით გაუყვა დერეფანს. მთელს მსოფლიოს უჩვენა, რა მოუვიდოდა გალეულ, ნახევრად მელოტ ფრანგს, თუ მის სირს შეეხებოდა და ბრძოლის ველს გამარჯვებული ტოვებდა. ღმერთო, რა სასაცილოა.

მე დელაკრუას წინაშე ჩემი სიტყვით წარვდექი, ვუთხარი, რომ რადიოს ჩავურთავდით და თუ წესიერად მოიქცეოდა, ჩვენც წესიერად მოვექცეოდით. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გამოსვლა წარმატებული გამოდგა. მთელი ის დრო დელაკრუა განუწყვეტლივ ტიროდა და ჩემგან რაც შეიძლება შორს, საწოლზე მოკუნტული იჯდა ისე, რომ მთლად კუთხეშიც არ მიყუჟულიყო. ჩემს ყოველ განძრევაზე შიშით შეხტებოდა ხოლმე და, მგონი, ექვსი სიტყვიდან ერთი ძლივს ესმოდა. მოკლედ, სულ ტყუილად ვიქადაგე დელაკრუასთან.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მორიგის მაგიდასთან ვიდექი. ბრუტუს ჰაუელი იმ ფანქრის წვერს ლოკავდა, რომლითაც მნახველების სახელებს ვიწერდით ჟურნალში.

- თუ ღმერთი გწამს, შეწყვიტე მაგის ლოკვა, თორემ მოიწამლები! - ვუთხარი.

- ღმერთო დიდებულო, - ფანქარი მაგიდაზე დადო ბრუტუსმა, - ნაღდად აღარ მინდა, ყოველი ახალი პატიმრის მოსვლისას ასეთი აურზაური ატყდეს.

- მამაჩემი იტყოდა ხოლმე, უბედურება სამობითააო, - ვუთხარი.

- იმედია, მამაშენი მწარედ ცდებოდა, - თქვა ბრუტუსმა. თუმცა, ბრუტუსს წინ იმედგაცრუება ელოდა.ხმაური არც ჯონ კოფის

მოსვლას დაჰკლებია, „ველური ბილის“ მოყვანისას კი ნამდვილი ქარიშხალი ატყდა. სასაცილოა, მაგრამ, როგორც ჩანს, უბედურება მართლაც სამობითაა. იმის შესახებ, თუ როგორ გამოჩნდა „ველური ბილი“ და როგორ სცადა მწვანე გზაზე ვიღაცის მოკვლა, მალე მოგიყვებით.

- რას ამბობდა, დელაკრუა სირზე ხელს მიფათურებდაო? - ვკითხე ბრუტუსს.

- ფრანგი ხელფეხშებორკილი იყო, - ჩაიფხუკუნა ბრუტუსმა, - პერსი კი მეტისმეტად ძლიერად ექაჩებოდა. ფურგონიდან გადმოსვლისას წაბორძიკდა და ინსტინქტურად, ხელები წინ გაიშვირა. შემთხვევით პერსის შარვლის უბეს შეეხო. სულ ეს არის!

- პერსი თუ მიხვდა ამას? - დავინტერესდი, - იქნებ დელაკრუასთვის წათაქება უნდოდა და ეს საბაბად გამოიყენა? იქნებ სურდა, თავიდანვე ეჩვენებინა მისთვის, ვინ არის უფროსი?

- ჰო, მეც ეგრე მგონია, - თავი დამიქნია ბრუტუსმა.

- მაშინ თვალყური უნდა ვადევნოთ, - თმაში ხელი შევიცურე. ესღა მაკლდა. - ო, როგორ მეზიზღება ეს საქმე. როგორ მეზიზღება პერსი.

- მეც. გინდა კიდევ გითხრა რაღაც, პოლ? მისი არ მესმის. გავლენიანი ნაცნობები ჰყავს, გასაგებია, მაგრამ სხვაგან ვერ აშოვნინა სამსახური? ამ მწვანე გზაზე რა ჯანდაბა უნდა? სადმე შტატის პენიტენციურ სისტემაში დაეწყო მუშაობა, ან შტატის სენატში - კონგრესმენის თანაშემწედ. რომ ეთხოვა, ამაზე უკეთეს სამსახურს აუცილებლად უშოვიდნენ. რაღა მაინცდამაინც აქ მოვიდა?

თავი გავაქნიე. ამაზე პასუხი არ მქონდა. მაშინ ყველაფერს ვერ ვხვდებოდი. ალბათ, გულუბრყვილო ვიყავი.

# 8

მას შემდეგ ყველაფერი ისევ კალაპოტში ჩადგა... ცოტა ხნით. საოლქო სასამართლო ჯონ კოფის სასამართლო პროცესისთვის ამზადებდა, ტრაპინგუსის ოლქის შერიფი ჰომერ კრიბუსი კი სასამართლოს აგდებით უყურებდა და აცხადებდა, ლინჩის წესით გასამართლება მოვლენებს უფრო დააჩქარებდაო. ჩვენთვის სულერთი იყო; E ბლოკში ახალ ამბებს თვალ-ყურს არ ვადევნებდით. მწვანე გზაზე ცხოვრება ხმაგაუმტარ ოთახში ცხოვრებას ჰგავდა. დროდადრო ყრუ ხმები გვესმოდა, გარე სამყაროში, ალბათ, დიდი აფეთქება მოხდა, მაგრამ ეს იყო და ეს. ჯონ კოფის გასამართლებას არ ჩქარობდნენ, სურდათ, ყველაფერში ბოლომდე გარკვეულიყვნენ.

ერთხელ პერსიმ დელაკრუას დასცინა. იგივე კიდევ რომ გაიმეორა, პერსი კაბინეტში დავიბარე. ეს მის უსაქციელობასთან დაკავშირებული არც პირველი გასაუბრება ყოფილა და არც უკანასკნელი, მაგრამ მაშინ პირველად გავიაზრე, რა ტიპთან მქონდა საქმე. პერსი ავ ბიჭუნას ჰგავდა, რომელიც ზოოპარკში ცხოველების დასათვალიერებლად კი არ მიდის, არამედ გალიაში გამომწყვდეულებისთვის ქვების სასროლად.

- დელაკრუას შეეშვი, გასაგებია? - მკაცრად ვუთხარი პერსის, - თუ მე არ გიბრძანებ, მასთან მიახლოებული არ დაგინახო!

პერსიმ თმა უკან გადაივარცხნა და მერე ნაზი თითები გადაისვა ზედ. ეს ბიჭი თავის თმაზე გიჟდებოდა.

- მისთვის არაფერი დამიშავებია, - მიპასუხა, - მხოლოდ ის ვკითხე, ბავშვებს რომ ცეცხლში წვავ, როგორი გრძნობაა-მეთქი, - და უცოდველად შემომხედა.

- შეეშვი-მეთქი, თორემ მოხსენებას დავწერ, - გავაფრთხილე.

- რაც გინდა, ის დაწერე, - გაეცინა პერსის, - მე ჩემს მოხსენებას შევადგენ. ეს უკვე გითხარი, როცა დელაკრუა მოიყვანეს. ერთი ვნახოთ, ვისი უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდება.

წინ გადავიხარე. დამუშტული ხელები მაგიდაზე მეწყო. ვცადე, თავდაჯერებული, მაგრამ მეგობრული ხმით მეთქვა:

- ბრუტუს ჰაუელს დიდად არ მოსწონხარ. თუ ბრუტუსს ვინმე არ მოსწონს, მასზე თავისებურ მოხსენებებს ადგენს ხოლმე. საწერკალამთან მწყრალადაა, ფანქრის წვერი კი სულ გაკვნეტილი აქვს, ამიტომ მოხსენებების მუშტებით შედგენა სჩვევია. იმედია, ხვდები, რასაც ვგულისხმობ.

თვითკმაყოფილი პერსის სახიდან ღიმილი წაიშალა.

- რას გულისხმობ?

- იმას, რაც უკვე გითხარი. იცოდე, თუ ამას რომელიმე შენს... მეგობარს გაუმხელ, ვიტყვი, რომ რაღაცას იგონებ, - სრული სერიოზულობით შევხედე, - თანაც, შენთან მეგობრობა მინდა, პერსი. როგორც ამბობენ, ბრძენისთვის სიტყვაც საკმარისიაო. ბოლოს და ბოლოს, ღირს კი ვიღაც დელაკრუას გამო შარში თავის გაყოფა?

ამ საუბარმა მცირე ხნით იმოქმედა. დაძაბულობა ჩაწყნარდა. ერთი-ორჯერ დინთან და ჰარისთან ერთად პერსიც გავგზავნე დელაკრუას საშხაპეში გასაცილებლად. ღამ-ღამობით რადიოს ვრთავდით, დელაკრუაც მოდუნდა და თანდათან შეეჩვია E ბლოკის ყოველდღიურობას. სიმშვიდემ დაისადგურა.

მერე ერთ საღამოს ფრანგის სიცილი გავიგონე.

მორიგის მაგიდასთან ჰარი ტერვილიგერი იჯდა და მალე ისიც ახარხარდა. კაბინეტიდან გამოვედი და დელაკრუას საკანთან მივედი, ნეტა რა აცინებს-მეთქი.

- ნახე, უფროსო, - მითხრა დელაკრუამ, - თაგვი მოვიშინაურე.

ეს ორთქლმავალი უილი იყო. დელაკრუას საკანში იჯდა. უფრო მეტიც: დელაკრუას მხარზე შემოსკუპებულიყო და გისოსების

მეორე მხრიდან პაწაწინა, შავი თვალებით მშვიდად გვიმზერდა. კუდი თათებზე შემოეხვია. ოდნავადაც არ ეშინოდა. რაც შეეხება დელაკრუას - მეგობრებო, იმ კაცს ნაღდად აღარ ჰგავდა, ერთი კვირით ადრე საწოლის კუთხეში მობუზული რომ იჯდა. ჩემი ქალიშვილი გამახსენდა, შობის დილას საძინებლიდან რომ ჩამოდიოდა და საჩუქრების დანახვაზე თვალები უბრწყინდებოდა.

- აბა, უყურეთ! - დელაკრუამ მარცხენა ხელი გაშალა. თაგვი მარჯვენა მხრიდან ფრანგის თმის დახმარებით (რომელიც კეფაზე საკმაოდ შერჩენოდა) თავზე ააცოცდა და იქიდან მარცხენა მხარზე გადაირბინა. კუდის შეხებისას დელაკრუას კისერზე მოეღიტინა და ახითხითდა. თაგვმა მხრიდან მაჯამდე ჩაურბინა. მერე ისევ მარცხენა მხარზე ააცოცდა და იქ მოკალათდა.

- ძაღლიშვილი ვიყო, - წამოიძახა ჰარიმ.

- მე გავწვრთენი, - ამაყად გამოაცხადა დელაკრუამ. იმდენი შენ რა გითხარი-მეთქი, გულში გავიფიქრე, მაგრამ ხმა არ ამომიღია, - მისტერ ჯინგლსი ჰქვია.

- ნწუ, - კეთილად თქვა ჰარიმ, - ეს ორთქლმავალი უილია იმ მულტფილმიდან. უფროსმა ჰაუელმა შეარქვა.

- მისტერ ჯინგლსი ჰქვია, - დაიჟინა დელაკრუამ. სხვა შემთხვევაში, თეთრზე შავიაო, დაუფიქრებლად იტყოდა, მაგრამ თაგვის სახელზე მტკიცედ დადგა, - თვითონ ჩამჩურჩულა ყურში. უფროსო, შეიძლება პატარა კოლოფი მომცეთ? რომ თაგვი შიგ ჩავსვა და ჩემთან ერთად დაიძინოს? - ხმაში ჩემთვის ძალიან ნაცნობი მუდარის ტონი გამოერია.

- როცა რაღაც გინდა, მაშინ კარგად ლაპარაკობ, - ნების დართვა გავაჯანჯლე.

- ო-ო, - ჩაიდუდუნა ჰარიმ და იდაყვი გამკრა, - ნახე, ვინ მოდის.

თუმცა, იმ საღამოს პერსის არ ავუღელვებივარ. თითებს თმაში არ იცურებდა და არც ხელკეტს ათამაშებდა ხელებში, პერანგის ზედა ღილიც კი შეეხსნა. პირველად ვნახე ასეთი და ძლიერ გამაკვირვა იმ ფაქტმა,თუ როგორ შეიძლება შეცვალოს უმნიშვნელო დეტალებმა ადამიანი. ყველაზე მეტად მისი გამომეტყველება მეუცნაურა. მშვიდი სახე ჰქონდა. არა, უშფოთველს კი არ ჰგავდა - პერსი უეტმორი მთელი არსებით შფოთიანი იყო - არამედ ადამიანს, რომელიც მიმხვდარა, რომ შეუძლია ცოტაც დაიცადოს და მაინც მიიღოს ის, რაც უნდა. ძლიერ განსხვავდებოდა იმ ახალგაზრდისგან, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე ბრუტუს ჰაუელის მუშტით დავემუქრე.

თუმცა, დელაკრუას ეს ცვლილებები არ შეუმჩნევია; საკნის კედელს აეკრა და მუხლები მკერდზე მიიბჯინა. შიშით თვალები გაფართოებოდა. თაგვი კინკრიხოზე ააცოცდა და იქ მოეწყო. მომეჩვენა, რომ მასაც გაახსენდა, ვინ იყო პერსი და იფიქრა, მისი ნდობა არ შეიძლებაო. თუმცა, შესაძლოა, უბრალოდ, ფრანგის შიში მასაც გადაედო.

- ოჰო, ერთი უყურეთ, - თქვა პერსიმ, - ედის მეგობარი უპოვია.

დელაკრუამ შეპასუხება სცადა - ალბათ, უნდოდა, დამუქრებოდა, იცოდე, ჩემს მეგობარს არ შეეხო, თორემ რაც მოგივა, თავს დააბრალეო, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოუვიდა. მხოლოდ ქვედა ტუჩი აუთრთოლდა და მორჩა. ფრანგის თავზე მჯდარი მისტერ ჯინგლსი არ ცახცახებდა. უკანა თათები თმაში ჩაემალა, წინა - კინკრიხოზე ეწყო და ისე შემფასებლურად ათვალიერებდა პერსის, თითქოს წინ მოსისხლე მტერი უდგასო.

- ეს ის არ არის, მე რომ გავაგდე? - მომიტრიალდა პერსი, - დამამშვიდებელ ოთახში რომ ცხოვრობს?

მე თავი დავუქნიე. პერსის მისტერ ჯინგლსად მონათლული თაგვი იმ დღის შემდეგ არ ენახა; მის დევნას აშკარად აღარ აპირებდა.

- ჰო, ეგ არის, - ვუთხარი, - ოღონდ დელაკრუა ამბობს, ორთქლმავალი უილი კი არა, მისტერ ჯინგლსი ჰქვიაო. ირწმუნება, თაგვმა სახელი თვითონ ჩამჩურჩულა ყურშიო.

- მართლა? - თქვა პერსიმ, - რას არ გაიგებს კაცი.

ვიფიქრე, ახლა დელაკრუასთვის თავისი აღმატებულების ჩვენებას მოინდომებს და გისოსებზე ხელკეტის რტყმას დაიწყებსმეთქი, მაგრამ პერსი დოინჯშემოყრილი იდგა და საკანში იყურებოდა.

და უცებ, - ვერც კი აგიხსნით, რატომ - ვთქვი:

- დელაკრუამ კოლოფი გვთხოვა, პერსი. ჰგონია, რომ თაგვი შიგ დაიძინებს. შინაური ცხოველივით დავიტოვებო, - ხმაში სკეპტიციზმი ჩავაქსოვე და უფრო ვიგრძენი, ვიდრე დავინახე, რა გაკვირვებულმა შემომხედა ჰარიმ, - რას ფიქრობ?

- მე ვფიქრობ, ერთ ღამეს ნესტოში ჩააკურკლავს და გაიქცევა, - აუღელვებლად თქვა პერსიმ, - მაგრამ ეგ უკვე ფრანგის საზრუნავია. იმ დღეს პიპინას ურიკაში მშვენიერ სიგარის კოლოფს მოვკარი თვალი. არ ვიცი, უფასოდ თუ მოგცემთ, ალბათ, ხუთ ცენტს მოითხოვს, ან ათს.

მალულად გავხედე ჰარის. მას პირი ღია დარჩენოდა. პერსი ებენეზერ სკრუჯივით გარდასახულიყო, შობის ღამეს სულები რომ ეწვივნენ.

პერსი უფრო ახლოს მივიდა და გისოსებს მიადო სახე. დელაკრუამ უფრო უკან დაიხია, რომ შეძლებოდა, ალბათ, კედელს შეერწყმოდა.

- ხუთ ან ათცენტიანი გაქვს, შე ლოქო? - ჰკითხა მას პერსიმ.

- ოთხი ერთცენტიანი მაქვს, - უპასუხა დელაკრუამ, - თუ ლამაზი კოლოფია, s'il est bon,[9] გადავიხდი.

[9] თუ კარგია (ფრ).

- იცი რა, - თქვა პერსიმ, - თუ ეგ უკბილო სუტენიორი იმ სიგარის კოლოფს მოგყიდის, შიგ ჩასაგებად დისპანსერიდან ბამბას მოგიტან. სანამ აქ ხარ, „თაგუნია ჰილტონი“ გვექნება, - და მერე მე შემომხედა, - ბიტერბაკის შესახებ სააპარატოს მოხსენება უნდა დავწერო. შენს კაბინეტში კალამი თუ არის, პოლ?

- კი, არის, - ვუპასუხე მე, - ბლანკებიც არის. მარცხენა ზედა უჯრაში.

- ძალიან კარგი, - თქვა და თავდაჯერებული იერით გაგვეცალა.

მე და ჰარიმ ერთმანთს შევხედეთ.

- ავად ხომ არ არის? - მკითხა ჰარიმ. - იქნებ ექიმთან იყო და გაიგო, რომ სამი თვის სიცოცხლეღა დარჩენია?

ვუთხარი, აზრზე არ ვარ-მეთქი. იმ მომენტში მართლაც ვერ ვხვდებოდი, მაგრამ თანდათან ყველაფერი გაირკვა. რამდენიმე წლის შემდეგ ჰელ მურსთან ვვახშმობდი და საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა. მაშინ უკვე თავისუფლად ვლაპარაკობდით, რადგან ის უკვე პენსიაზე იყო, მე კი არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ კოლონიაში ვმუშაობდი. ცოტა ვჭამეთ, ბევრი დავლიეთ და გუდასაც პირი მოვხსენით. ჰელმა მითხრა, რომ პერსის მასთან ჩემზე და მწვანე გზაზე თავის უბედურ ცხოვრებაზე დაუჩივლია. ეს მას შემდეგ მომხდარა, რაც დელაკრუა ჩვენს ბლოკში მოიყვანეს და მე და ბრუტუსმა მას ფრანგის ცემაში ხელი შევუშალეთ. პერსის ყველაზე მეტად ის სწყენია, რომ ვუთხარი, თავიდან მომწყდი-მეთქი. უთქვამს, გუბერნატორის ნათესავს ასე არ უნდა ეუხეშებოდნენო.

მურსმა გამიმხილა: პერსის დიდხანს ვაკავებდი, მაგრამ როცა გაირკვა, რომ თავისი ნაცნობების დახმარებით შენს დასჯას და, სულ ცოტა, ციხის სხვა ნაწილში გადაყვანას აპირებდა, დავიბარე და დავპირდი, თუ ნავის რყევას შეეშვები, დელაკრუას სიკვდილით დასჯაში მონაწილეობას მიგაღებინებ-მეთქი.უთქვამს, პირ-

დაპირ ელექტროსკამის გვერდით დაგაყენებო. სიკვდილით დასჯას მე ვუხელმძღვანელებდი, მაგრამ მოწმეებს ეგონებოდათ, რომ მისტერ პერსი უეტმორი იყო უფროსი. მურსი მას იმაზე მეტს არ დაჰპირებია, რაზეც მე შემითანხმდა, მაგრამ პერსიმ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მან ჩემი სხვაგან გადაყვანის მოთხოვნა გადაიფიქრა და E ბლოკში ვითარება განიმუხტა. იმასაც კი დათანხმდა, რომ მოსისხლე მტერი დელაკრუას საკანში დაეტოვებინა. საოცარია, როგორ გადასხვაფერდება ხოლმე ზოგი სტიმულის მიცემის შემთხვევაში; პერსის ციხის უფროსმა მურსმა მელოტი ჩია ფრანგის სიცოცხლის ხელყოფის შანსი მისცა.

# 9

პიპინას აზრით, ოთხი ცენტი ძალიან იაფი იყო „კორონას“ სიგარის კოლოფისათვის. არც ცდებოდა - საპატიმროში სიგარის კოლოფი ძვირად ფასობდა. მასში ათასი წვრილმანის შენახვა შეიძლებოდა, სურნელიც სასიამოვნო ჰქონდა და თან, რაღაცნაირად, თავისუფლების შეგრძნებას სძენდა მის მფლობელ პატიმარს. ჩემი აზრით, იმიტომ, რომ საპატიმროში მხოლოდ სიგარეტი იყო დაშვებული, სიგარა კი - აკრძალული.

ისევ E ბლოკში დაბრუნებულმა დინ სტენტონმა ყულაბას ერთი ცენტი შეჰმატა და ერთი ცენტიც მე დავამატე. პიპინა მაინც უარზე იყო. მაშინ მასთან საქმის გასარკვევად ბრუტუს ჰაუელი მივგზავნეთ. ბრუტუსმა ჯერ დაანამუსა, არ გრცხვენია ასეთი მეწვრილმანეობაო, მაგრამ ამანაც რომ არ გაჭრა, დაჰპირდა, როგორც კი დელაკრუას სიკვდილით დასჯიან, მე თვითონ დაგიბრუნებ სიგარის კოლოფსო.

- შეიძლება ექვსი ცენტი სიგარის კოლოფის საყიდლად არ კმაროდეს, ამაზე, ალბათ, დიდხანს ვიდავებთ, - უთხრა ბრუტუსმა პიპინას, - მაგრამ ამ ფასად გაქირავება სარფიანი გარიგებაა. დელი ერთ თვეში ან, ბევრი-ბევრი, ექვს კვირაში მწვანე გზაზე გაივლის. ვერც კი შეამჩნევ, ისე სწრაფად დაუბრუნდება შენს ურიკას ეს სიგარის კოლოფი.

- ეგ ისეთი ოხერია, რომელიმე გულჩვილ მოსამართლეს სიკვდილით დასჯის ნაცვლად სამუდამოს გამოსტყუებს და აქ დარჩება, - თქვა პიპინამ, თუმცა გულის სიღრმეში იცოდა, რომ მსგავსი რამ არასდროს მოხდებოდა. ბრუტუსიც ხვდებოდა, რომ პიპინამ ეს იცოდა. მოხუცი პიპინა ბიბლიის ციტატებიან ურიკას „ქოულდ მაუნთინში“ უხსოვარი დროიდან დაათრევდა და ჩვენზე სანდო ინფორმატორები ჰყავდა; მან კარგად იცოდა, რომ დე-

ლაკრუას სწორედ გულჩვილმა მსაჯულებმა მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. მას მხოლოდ გუბერნატორის იმედიღა თუ ექნებოდა; მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორ წესი, არ იწყალებდა ისეთ ხალხს, ვინც მისი ექვსი ამომრჩეველი ცეცხლში დაწვა.

- თუნდაც არ შეიწყალონ, ოქტომბრამდე, ან სულაც, მადლიერების დღემდე, იმ კოლოფში თაგვი მოისაქმებს, - აგრძელებდა პიპინა, მაგრამ ბრუტუსმა შეატყო, რომ თანდათან ნებდებოდა, - ვინღა იყიდის თაგვის ნატუალეტარ სიგარის კოლოფს?

- კარგი, თუ ღმერთი გწამს, - უთხრა ბრუტუსმა, - ასეთი სისულელე შენგან პირველად მესმის, პიპინა. ჯერ ერთი, დელაკრუას ისე უყვარს ის თაგვი, მაგ კოლოფს საკუთარი ენით ამოლოკავს და თეფშივით გააპრიალებს, შენ თუ მარტო ეგ გადარდებს.

- ფუ, მოიცა რა, - ცხვირი შეჭმუხნა პიპინამ.

- მერე მეორეც, - განაგრძო ბრუტუსმა, - თაგვის ცურცლი რა დიდი ამბავია. საფანტის ბურთულასავითაა. ეგრევე გადმოფერთხავ. მორჩა!

მოხუც პიპინას მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებდა ზურგს და მიხვდა, რომ გაჯიუტებას აზრი აღარ ჰქონდა; მან კარგად იცოდა, როდის უნდა მიეშვირა ნიავისთვის სახე და როდის მოეხარა ქარიშხალში წელი. ახლა მთლად ქარიშხალში არ მოხვედრილა, მაგრამ ჩვენ, მცველებს, თაგვი მოგვწონდა და მისი დელაკრუასთან დატოვება ჭკუაში დაგვიჯდა, ეს კი პიპინასთვის სულ მცირე, ქარს მაინც ნიშნავდა. ამგვარად, დელაკრუამ სიგარის კოლოფი მიიღო, ხოლო პერსიმ სიტყვა შეასრულა და დისპანსერიდან ბამბა მოუტანა. ბამბა პერსიმ დელაკრუას თავად გადასცა. დავინახე, როგორი შეშინებული უყურებდა მას დელაკრუა, როცა ბამბის გამოსართმევად გისოსებს შორის გამოყო ხელი. ეგონა, პერსი ხელს ჩამავლებს და თითებს დამამტვრევსო. ამას მეც ვუფრთხოდი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პერსის ასეთ კეთილშობილურ საქციელს არასდროს შევსწრებივარ.

თუმცა, მაშინაც კი მის თვალებში ცხადად იკითხებოდა გულგრილი თვითკმაყოფილება. დელაკრუას შინაური თაგვი ჰყავდა, პერსის - შინაური დელაკრუა. დელაკრუა თავის თაგვს რაც შეიძლება დიდხანს გაუფრთხილდებოდა და მოუვლიდა, პერსი რაც შეიძლება დიდხანს დაიცდიდა და ბოლოს, დელაკრუას ცოცხლად შეჭვავდა.

- „თაგუნია ჰილტონი“ გაიხსნა, - საზეიმოდ გამოაცხადა ჰარიმ, - საკითხავი ისაა, ეს პატარა არამზადა თუ დასახლდება შიგ.

ამ კითხვას პასუხი მაშინ გაეცა, როცა დელაკრუამ ცალი ხელით აიყვანა მისტერ ჯინგლსი და სიგარის კოლოფში ჩასვა. თაგვი ბამბის ქვეშ შეძვრა, თითქოს საბანი ყოფილიყოს და ცხოვრობდა იქ, სანამ... მოდი, მისტერ ჯინგლსის აღსასრულის შესახებ თავის დროზე გიამბობთ.

მოხუცი პიპინას შიში იმის თაობაზე, რომ სიგარის კოლოფი თაგვის განავლით გაივსებოდა, არ გამართლდა. არათუ სიგარის კოლოფში, დელაკრუა ამტკიცებდა, საკანში ერთ ცურცლიც კი არსად მინახავსო. დიდი ხნის შემდეგ, როცა ბრუტუსმა დამამშვიდებელ ოთახში თაგვის სორო მიჩვენა, ოთახის აღმოსავლეთ კუთხეში მდგარი სკამი გამოვწიე და იქ დაგროვილი ცურცლი ვიპოვე. როგორც ჩანს, მისტერ ჯინგლსი მოსასაქმებლად ჩვენგან რაც შეიძლება შორს, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას დადიოდა. კიდევ ერთი: არასდროს მინახავს, რომ მას მოეფსას. არადა, თაგვები „ონკანს“ რამდენიმე წუთში ერთხელ უშვებენ, მით უმეტეს, ჭამისას. ხომ გეუბნებით, ეგ პატარა ნაბიჭვარი ღვთიური საიდუმლო იყო.

მისტერ ჯინგლსის სიგარის კოლოფში დასახლებიდან ერთი კვირის თავზე დელაკრუამ მე და ბრუტუს ჰაუელი რაღაცის საჩვენებლად საკანთან მიგვიხმო. ცოტა არ იყოს, თავს გვაბეზრებდა - მისტერ ჯინგლსი თუ ზურგზე გადაბრუნდებოდა და თათებს ჰაერში აიშვერდა, გალეული ფრანგის აზრით, ეს „საყვარლობა“

ჩვენც აუცილებლად უნდა გვენახა - მაგრამ ამჯერად მართლაც საოცარი სანახაობის მომსწრენი გავხდით.

მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ დელაკრუა ყველამ მიივიწყა, გარდა ერთი შინაბერა დეიდისა, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც სწერდა წერილს. მანვე გამოუგზავნა პიტნის კანფეტების უშველებელი შეკვრა. კანფეტები ვეება, ვარდისფერ აბებს ჰგავდა. დელაკრუას მთლიანი შეკვრა ერთბაშად არ მისცეს, რადგან ორ კილოგრამ კანფეტს ერთ დღეში შესანსლავდა და მუცელი ასტკივდებოდა. მწვანე გზაზე არც ერთ მკვლელ-სიკვდილმისჯილს, მათ შორის, დელაკრუას, ზომიერების გრძნობა არ გააჩნდა. ასე რომ, ექვს-ექვს კანფეტს ვაძლევდით და ისიც მაშინ, თუ თვითონ გაახსენდებოდა და ითხოვდა.

მისტერ ჯინგლსი დელაკრუას საწოლზე გვერდით ეჯდა, თათებით ვარდისფერი კანფეტი ეჭირა და მადიანად აკნატუნებდა. დელაკრუა სიხარულით ჭკუაზე აღარ იყო - პიანისტს ჰგავდა, სიამაყით რომ უყურებს, მისი ხუთი წლის შვილი როგორ უკრავს პიანინოზე. ცუდად არ გამიგოთ: მართლაც სასაცილო სანახავი იყო. კანფეტი ლამის მისტერ ჯინგლსისხელა იყო და თაგუნას თეთრბეწვიანი მუცელი უკვე გამობერვოდა.

- თუ ღმერთი გწამს, გამოართვი ეგ კანფეტი, ედი, - უთხრა გამხიარულებულმა, მაგრამ იმავდროულად შეშინებულმა ბრუტუსმა, - თორემ სანამ არ გასკდება, არ შეეშვება. პიტნის სუნი აქედანაც კი მცემს. რამდენი აჭამე?

- ეს მეორეა, - დელაკრუამ ოდნავ აღელვებულად შეავლო თვალი მისტერ ჯინგლსის მუცელს, - მართლა გგონია... რომ... მუცელი გაუსკდება?

- შეიძლება, - უთხრა ბრუტუსმა.

ბრუტუსის სიტყვა დელაკრუასთვის საკმარისი აღმოჩნდა და ნახევრად შეჭმულ კანფეტს ხელი წაავლო. მეგონა, თაგვი თითზე უკბენდა, მაგრამ მისტერ ჯინგლსმა კანფეტის ნარჩენი მშვიდად

დათმო. მე ბრუტუსს შევხედე. ბრუტუსმა თავი გააქნია, თითქოს მითხრა, მეც ვერაფერს მივხვდიო. შემდეგ მისტერ ჯინგლსი კოლოფში ჩაძვრა და გვერდზე გადაბრუნებული ისეთი დაღლილი სახით წამოწვა, რომ სამივე ავხარხარდით. ამის შემდეგ დელაკრუას გვერდით მჯდომი, კანფეტის ელეგანტურად მკვნეტელი თაგვის დანახვა აღარ გვაკვირვებდა. საკანში პიტნის ნახევრად მწარე, ნახევრად ტკბილი სუნი ტრიალებდა, სწორედ ისეთი, ჭერში თაგვის სოროს აღმოჩენისას რომ მეცა.

ბარემ კიდევ ერთ ამბავსაც გიამბობთ მისტერ ჯინგლსის შესახებ, სანამ გადავიდოდე უილიამ უორტონზე, რომლის გამოჩენით E ბლოკს თითქოს ციკლონი დაატყდა თავს. პიტნის კანფეტების შემთხვევიდან ერთი კვირის შემდეგ, როცა ყველა დავრწმუნდით, რომ დელაკრუა თაგვისთვის მუცლის გახეთქვას არ აპირებდა, ფრანგმა საკანთან მიხმო. იმ დღეს ბრუტუსი კომისარიატში რაღაც საქმეზე წავიდა და ბლოკში მარტო ვიყავი. ასეთ ვითარებაში, წესდების თანახმად, პატიმარს არ უნდა მივახლოებოდი. თუმცა, რადგან საჭიროების შემთხვევაში დელაკრუას ცალი ხელითაც იოლად მოვერეოდი, გადავწყვიტე, წესი დამერღვია და მენახა, რა უნდოდა.

- აბა, ეს ნახეთ, ბოს ეჯკუმ, - მითხრა მან, - შეხედეთ, მისტერ ჯინგლსს რა შეუძლია! - და სიგარის კოლოფის უკნიდან პატარა ხის კოჭი აიღო.

- ეგ საიდან მოიტანე? - ვკითხე დელაკრუას, თუმცა ზუსტად ვიცოდი, ვის შეეძლო მისთვის ეს ნივთი მიეცა.

- მოხუცმა პიპინამ მომცა, - მიპასუხა ფრანგმა, - შეხედეთ!

მისტერ ჯინგლსს სიგარის კოლოფიდან თავი ამოეყო. წინა თათები კოლოფის კიდეზე შემოედო და დელაკრუას ცერა და საჩვენებელ თითებში მოქცეულ კოჭს მისჩერებოდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. არასდროს მენახა, ჩვეულებრივ თაგვს ასეთი ჭკვიანური მზერით ეთვალიერებინოს რამე. პირადად მე მისტერ

ჯინგლსის ზებუნებრივი წარმოშობისა არ მჯერა და მაპატიეთ, თუ თქვენ ასეთი შეხედულება შეგექმნათ. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ მისტერ ჯინგლსი სათაგვეთის გენიოსი იყო.

დელაკრუა დაიხარა და უძაფო კოჭი საკნის იატაკზე გააგორა. კოჭი ღერძით შეერთებული ურმის თვლებივით იოლად გაგორდა. თაგვი ელვის უსწრაფესად ამოხტა სიგარის კოლოფიდან და, როგორც ძაღლი გადაგდებულ ჯოხს, კოჭს გაეკიდა. გაკვირვებულმა წამოვიყვირე, დელაკრუას გაეღიმა.

კოჭი კედელს დაეჯახა და უკან გამოგორდა. მისტერ ჯინგლსმა მეორე მხრიდან შემოუარა და საწოლისკენ გააგორა. დროდადრო აქეთ-იქიდან აწვებოდა, რომ კოჭს კურსიდან არ გადაეხვია. ბოლოს კოჭი დელაკრუას ფეხამდე მიაგორა და პატრონს ახედა, თითქოს ელოდა, კიდევ რამე დავალებას ხომ არ მომცემსო (მაგალითად, არითმეტიკული ამოცანის ამოხსნა ხომ არ უნდა, ან ლათინურის გრამატიკული გარჩევაო). თავისი ნამუშევრით კმაყოფილი მისტერ ჯინგლსი ისევ სიგარის კოლოფში ჩაძვრა.

- ეს შენ ასწავლე? - ვკითხე დელაკრუას.

- დიახ, სერ, ბოს ეჯკუმ, - ხმაში არადამაჯერებლობა შეეპარა მას, - ყოველ ჯერზე უკან მოაგორებს. ხომ მაგარი ჭკვიანია?

- და ძაფის კოჭი, ედი? - ვკითხე, - რა იცოდი, რომ ეგ სჭირდებოდა?

- ყურში ჩამჩურჩულა, ძაფის კოჭი მინდაო, - მშვიდად მიპასუხა დელაკრუამ, - ყურში ჩამჩურჩულა, როგორც თავისი სახელი.

დელაკრუამ თაგვის ტრიუკი სხვა მცველებსაც უჩვენა... გარდა პერსისა. დელაკრუას არ აინტერესებდა, რომ პერსიმ სიგარის კოლოფის შესახებ ურჩია და შიგ ჩასაგებად ბამბაც მოუტანა. დელაკრუა იმ ძაღლს ჰგავდა, ერთხელ წიხლს რომ ამოარტყამ და მერე რამდენიც უნდა ეფეროო, მაინც აღარ მოგენდობა.

დღესაც ჩამესმის დელაკრუას ძახილი, ბიჭებო, მოდით, ნახეთ, მისტერ ჯინგლსი რას აკეთებსო! თვალწინ მიდგას მის სა-

კანთან შეკრებილი უნიფორმიანი ბრუტუსი, ჰარი, დინი და თვით ბილ დოჯი - ყველა ჩემსავით გაოგნებული.

ძაფის კოჭის ტრიუკის შესწავლიდან სამი თუ ოთხის დღის შემდეგ ჰარი ტერვილიგერმა დამამშვიდებელ ოთახში დახვავებული ხელსაწყო-მოწყობილობები გადაქექა, ფერადი ფანქრები იპოვა და დელაკრუას მიუტანა.

- ვიფიქრე, კოჭებს გააფერადებს-მეთქი, - მორიდებით უთხრა მას, - მერე შენი მეგობარი ნამდვილ ცირკის თაგვს დაემსგავსება.

- ცირკის თაგვი! - წამოიძახა აღფრთოვანებულმა დელაკრუამ. მგონი, ასეთი გახარებული თავისი უბადრუკი ცხოვრების მანძილზე პირველად იყო, - სწორედაც, ცირკის თაგვია! აქედან რომ გავალ, ზღაპრულად გამამდიდრებს. აი, ნახავთ, თუ არა.

პერსი უეტმორი დაუფიქრებლად შეეპასუხებოდა, „ქოულდ მაუნთინიდან“ ციმციმააუნთებელი და უსირენო სასწრაფო დახმარების მანქანაში დასვენებული თუ გახვალო, აი, ჰარიმ კი თავი შეიკავა. დელაკრუას მხოლოდ ის უთხრა, კოჭი რაც შეიძლება ჭრელად და რაც შეიძლება სწრაფად გააფერადე, რადგან ნასადილევს ფანქრები ისევ უნდა შევინახოო.

დელმა კოჭის ერთი ბოლო ყვითლად გააფერადა, მეორე - მწვანედ, ხოლო ცილინდრი - ალისფრად. ყველა მივეჩვიეთ დელაკრუას ძახილს: Maintenant, m’sieurs et mesdames! Le cirque présentement le mous’ amusant et amazeant![10] მთლად ასე გამართულად არ ამბობდა, რადგან ფრანგულად ნამდვილად ვერ ლაპარაკობდა. მერე უცნაურად წაიბუყბუყებდა, თითქოს დოლი ბრაგუნობსო და ძაფის კოჭს თითს წაარტყამდა. მისტერ ჯინგლსი ელვის უსწრაფესად გაეკიდებოდა კოჭს და ცხვირის ან თათების დახმარებით უკან მოაგორებდა ხოლმე. თათების ეს ტრიუკი მარ-

[10] ყურადღება, ქალბატონებო და ბატონებო! წარმოგიდგენთ საოცარ და გამაოგნებე.

თლაც რომ ღირდა ცირკში სანახავად და ფულის გადახდაც არ დაგენანებოდათ. დელაკრუა, მისი თაგვი და კოჭი ჩვენი მთავარი გასართობი იყო, როცა ჯონ კოფი მოგვაბარეს. მცირე ხანს ყველაფერი ასე გრძელდებოდა. ამასობაში დროებით ჩამცხრალი საშარდე გზების ინფექცია ისევ გამიძლიერდა, უილიამ უორტონიც გამოჩნდა და ე ბლოკში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა.

# 10

თარიღები ყოველთვის მივარდებოდა გონებიდან. რომ ვთხოვო, ჩემი შვილიშვილი დანიელა ძველი გაზეთებიდან კი ამოქექავს ზუსტ თარიღებს, მაგრამ რა აზრი აქვს? უმნიშვნელოვანესი თარიღები, როცა დელაკრუას საკანში მის მხარზე მჯდარი თაგვი ვნახეთ, ან როცა ჩვენს საკანში უილიამ უორტონი პირველად გამოჩნდა და დინ სტენტონი მოკლა, გაზეთებში მაინც არ ეწერება. აჯობებს, ისევე განვაგრძო, როგორც დავიწყე. თუ მოვლენებს თანმიმდევრულად აღწერ, თარიღები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მახსოვს, რომ ვადები შემჭიდროვდა. როცა კერტის ანდერსონისგან დელაკრუას სიკვდილით დასჯის თარიღის საბუთები მივიღე, ჩემდა გასაკვირად, გაირკვა, რომ „ბებერ ნაპერწკალასთან“ ჩია ფრანგის პაემანი უფრო ადრე შედგებოდა, ვიდრე ველოდით. ეს იმ დროშიც კი, როცა ვინმეს სიკვდილით დასასჯელად მიწისა და ზეცის შეძვრა სულაც არ იყო საჭირო, წარმოუდგენელ რამედ ითვლებოდა. მგონი, სულ ორი დღის ამბავი იყო. სიკვდილით დასჯა ოცდაშვიდი ოქტომბრიდან ოცდახუთ ოქტომბრამდე გადმოიტანეს. იმედია, ძალიან არ მეშლება. მახსოვს, მაშინ ვფიქრობდი, მოხუცი პიპინა სიგარის კოლოფს უფრო ადრე დაიბრუნებს, ვიდრე ეგონა-მეთქი.

აი, უორტონი კი დანიშნულ ვადაზე გვიან გვეწვია. ჯერ ერთი, სასამართლო პროცესი იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე კერტის ანდერსონის სანდო ინფორმატორს ეგონა (როცა საქმე ბილ უორტონს ეხებოდა, ვერაფერს ენდობოდი, მათ შორის, პატიმართა კონტროლის ნაცად და უსაფრთხო მეთოდებს. ამის მომსწრენი მალე თავად გავხდით) და მეორე - როცა დამნაშავედ ცნეს (ამის მოლოდინი მაინც არ გაგვცრუებია), ინდიანოლას მთავარ

საავადმყოფოში გადაიყვანეს სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად. სასამართლო პროცესის მსვლელობისას ორჯერ სერიოზული შეტევა დაემართა და იატაკზე მოკრუნჩხული დავარდა ხელ-ფეხის ფართხალით. სასამართლოს მიერ დანიშნულმა უორტონის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი ეპილეფსიური შეტევებით იტანჯებოდა და დანაშაულიც გონებადაბინდულმა ჩაიდინა. ბრალდების მხარე ამტკიცებდა, ეს მხოლოდ ლაჩრის თვალთმაქცური წარმოდგენაა, რომ დანაშაულზე პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და საკუთარი სიცოცხლე იხსნასო. ე. წ. ეპილეფსიურ შეტევებზე პირადად დაკვირვების შემდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა დაასკვნეს, რომ ბრალდებული თვალთმაქცობდა. თუმცა, განაჩენის გამოტანის შემდეგ მოსამართლემ დამნაშავის სიკვდილით დასჯამდე გარკვეული კვლევების ჩატარება მოითხოვა. ღმერთმა უწყის, რატომ. ალბათ, ცნობისმოყვარეობის გამო.

დაუჯერებელია, მაგრამ ბილ უორტონს საავადმყოფოდან გაქცევა არ უცდია (ბედის ირონიით, იმავე საავადმყოფოში, იმავე ზაფხულს ციხის უფროს მურსის ცოლი მელინდაც იწვა). მას მრავალრიცხოვანი დაცვა მიუჩინეს. თანაც, ალბათ, იმედოვნებდა, რომ ეპილეფსიის მიზეზით ქმედუუნაროდ გამოაცხადებდნენ და თავს ამით დაიხსნიდა.

მაგრამ არ გამოაცხადეს. ექიმებმა მის ტვინში ვერანაირ ნაკლს, მით უფრო, ფიზიოლოგიურს, ვერ მიაგნეს და „ბიჭუნა“ ბილი უორტონი, ბოლოს და ბოლოს, „ქოულდ მაუნთინის“ გზას გაუყენეს. თექვსმეტი ან თვრამეტი ოქტომბერი უნდა ყოფილიყო. მახსოვს, უორტონი ჯონ კოფის მოყვანიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ და დელაკრუას მწვანე გზაზე გავლამდე ერთი კვირით ან ათი დღით ადრე გამოჩნდა.

დღე, როდესაც ახალი ფსიქოპათი შემოგვიერთდა, ჩემთვის გადატვირთული გამოდგა. ღამის ოთხ საათზე გამომაღვიძა ტკი-

ვილმა საზარდულის არეში. პენისი მიხურდა და გამსიებოდა. საწოლიდან წამოდგომამდე მივხვდი, რომ საშარდე გზების ინფექცია ისე იოლად არ ჩაცხრებოდა, როგორც მეგონა. ტკივილი ისევ განმიახლდა.

მოსაშარდად გარეთ გავედი - ეს ამბავი, სულ ცოტა, ერთი წლით ადრე მოხდა, სანამ ვატერკლოზეტს დავაყენებდით - მაგრამ სახლის კუთხეში დაწყობილ შეშამდეც არ ვიყავი მისული, როცა მივხვდი, რომ თავს ვეღარ შევიკავებდი. პიჟამის შარვლის ჩაწევა ძლივს მოვასწარი, რომ უნებურად შარდვა დავიწყე. ამას მოჰყვა ისეთი ტკივილი, რომლის მსგავსიც ჩემს სიცოცხლეში არ განმეცადა. 1956 წელს კენჭის გავლა მქონდა და ვიცი, ხალხს ჰგონია, რომ ეს ყველაზე მტკივნეული რამაა. დამიჯერეთ, კენჭის გავლა, იმღამინდელ ტკივილთან შედარებით, გულძმარვას ჰგავდა.

ფეხი მომეკვეთა და მუხლებზე დავეცი. წონასწორობის დასაცავად, საკუთარ ფსელში პირქვე რომ არ ჩავმხობილიყავი, ფეხები გავშალე და პიჟამის შარვალი უკანალზე გამერღვა. მაინც წავიქცეოდი, მარცხენა ხელით ხის მორს რომ არ მოვჭიდებოდი. თითქოს ყველაფერი ავსტრალიაში ან სადღაც უცხო პლანეტაზე ხდებოდა მე მხოლოდ მწველ ტკივილს ვგრძნობდი. მუცელი მიხურდა, ხოლო პენისი, ორგანო, რომელიც მხოლოდ მაშინ მახსენდებოდა, როცა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა, თითქოს დნებოდა. რატომღაც მეგონა, რომ სისხლს ვფსამდი, მაგრამ რომ დავიხედე, პენისის წვერიდან ჩვეულებრივი შარდის ნაკადი მოედინებოდა.

ცალი ხელით მორს მოვეჭიდე, მეორე პირზე ავიფარე, რომ არ ავღრიალებულიყავი. არ მინდოდა, ჩემი ცოლი გამეღვიძებინა და დამეფრთხო. მეგონა, შარდვას ვერასდროს შევწყვეტდი, მაგრამ, როგორც იქნა, შარდის ბუშტიც დაიცალა. თუმცა, ტკივილი სათესლეებსა და მუცელში ღრმად ჩაიჭრა და ბასრი კბილებით

მგლეჯდა. კარგა ხანს, ალბათ, რამდენიმე წუთს, წამოდგომას ვერ ვახერხებდი. თანდათან ტკივილი ოდნავ გამინელდა და გაჭირვებით წამოვდექი. საკუთარი შარდის გუბეს დავხედე და გავიფიქრე, რომელმა ჭკუათმყოფელმა ღმერთმა შექმნა სამყარო, სადაც ასე მცირე სითხის დაღვრა ამოდენა ტკივილს იწვევს-მეთქი.

ვიფიქრე, ავადმყოფობის მიზეზით სამსახურიდან გავთავისუფლდები და, ბოლოს და ბოლოს, ექიმ სედლერს ვნახავ-მეთქი. ექიმ სედლერის მყრალი აბების სმა და პირღებინება არ მეხალისებოდა, მაგრამ მუხლებზე დაჩოქილად და ხის მორზე ხელჩაჭიდებულად ფსმას, როცა სირი ისე გეწვის, თითქოს შიგ ცეცხლმოკიდებული ნავთი მიედინება, ყველაფერი ჯობდა.

სამზარეულოში ასპირინს ვყლაპავდი და გვერდითა ოთახიდან ჯენის ჩუმი ფშვინვა მესმოდა, როცა უეცრად გამახსენდა, რომ დილით უილიამ უორტონი მოჰყავდათ E ბლოკში, ხოლო ბრუტუსი საპატიმროს მეორე ბოლოში მორიგეობდა - ბიბლიოთეკის ნარჩენებისა და სამედიცინო აღჭურვილობის ახალ შენობაში გადატანაში ეხმარებოდა სხვებს. მიუხედავად ტკივილისა, დინისა და ჰარის ამარა უორტონის დატოვება არ ივარგებდა. ისინი კარგი მცველები იყვნენ, მაგრამ კერტის ანდერსონის უწყებაში ხაზგასმით ეწერა, რომ ამ ტიპს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.

ტკივილის განელებასთან ერთად, აზროვნების უნარიც დამიბრუნდა. აჯობებდა, ციხეში ადრიანად წავსულიყავი. ვიფიქრე, ექვსზე მივალ-მეთქი, როცა ციხის უფროსი მურსი მოდიოდა. მას ვთხოვდი ბრუტუსის E ბლოკში დაბრუნებას, მე კი, ბოლოს და ბოლოს, ექიმთან მივიდოდი. სხვათა შორის, ექიმთან მისასვლელად „ქოულდ მაუნთინი“ უნდა გამევლო, ასე რომ, ესეც ხელს მიწყობდა.

„ქოულდ მაუნთინამდე“ ოცდაათკილომეტრიან გზაზე ორჯერ მოულოდნელად მომინდა მოშარდვა. ორივეჯერ მანქანის გაჩერება და თავის შეურცხვენლად მოშარდვა მოვახერხე (იმ პერიოდში სოფლის გზებზე ასე ადრიანად მანქანები არ მოძრაობდა). არც ერთხელ ისეთი ძლიერი ტკივილი არ განმიცდია, როგორც წინა ღამით, მაგრამ თავის შესამაგრებლად ჩემი „ფორდ კუპეს“ სახელურს მაინც ჩავეჭიდე. შუბლზე ოფლმა დამასხა. აშკარად ავად ვიყავი.

ციხემდე როგორღაც მივაღწიე. სამხრეთ შესასვლელით შევედი, მანქანა ჩემს ადგილზე დავაყენე და პირდაპირ ციხის უფროსთან შესახვედრად გავეშურე. უკვე ექვსი საათი ხდებოდა. მის ჰანას სამუშაო მაგიდა ცარიელი იყო, ის უფრო ცივილიზებულ დროს - შვიდ საათზე მოდიოდა სამსახურში. უფროს მურსის კაბინეტში კი შუქი ენთო. ყოველი შემთხვევისთვის დავაკაკუნე კარზე და შევაღე. მურსი ასე ადრიანად არავის ელოდა და დამფრთხალმა ამომხედა. რას არ დავთმობდი, რომ ის ასეთი დაუცველი სახით არ მენახა. ყოველთვის კოხტად დავარცხნილი თეთრი თმა ასწეწოდა. მე რომ შევედი, თითებით ცდილობდა თმის დავარცხნას. თვალები ჩაწითლებოდა, უპეები ჩაშავებოდა. ერთიანად ცახცახებდა. გეგონებოდათ, მთელი ღამე სუსხსა და ყინვაში უვლიაო.

- ბოდიში, ჰელ. მოგვიანებით შემოვალ...

- არა, პოლ, გთხოვ, შემოდი, - მითხრა მან, - კარი მიხურე და შემოდი. ჩემს ცხოვრებაში დამლაპარაკებელი ასე ძლიერ არ დამჭირვებია. კარი მიხურე და შემოდი.

ასეც მოვიქეცი. ჩემი ტკივილი საერთოდ გადამავიწყდა.

- ტვინის სიმსივნე აქვს, - თქვა მურსმა, - რენტგენის სურათი გადაუღეს. სურათები ძალიან მოეწონათ. ერთმა თქვა, ასეთი მკაფიო სურათი ჯერ არ გადაგვიღიაო. ნიუ-ინგლენდის რომელიღაც დიდ სამედიცინო ჟურნალში აპირებენ გამოქვეყნებას. ლი-

მონის ზომისაა. ისე ღრმად არის, რომ ვერ ამოვჭრითო. მითხრეს, შობამდე მოკვდებაო. მელინდასთვის ჯერ არ მითქვამს. არ ვიცი, როგორ ვუთხრა. წარმოდგენა არ მაქვს, ამას როგორ გადავიტან.

და ატირდა. ხვნეშა-ხვნეშით ქვითინებდა. სიბრალულითა და შიშით ვუყურებდი. როცა ჰელ მურსისნაირი თავდაჭერილი კაცი, ბოლოს და ბოლოს, წყობიდან გამოდის, საშინელი სანახავია. წუთით ერთ ადგილზე გავშეშდი და არ ვიცოდი, რა მექნა. მერე მივედი და მხრებზე ხელი მოვხვიე. წყალწაღებულივით ორივე ხელით ჩამეჭიდა მაჯაზე და ჩემს მუცელზე თავმიდებულმა განაგრძო ტირილი. გული რომ მოიოხა და დამშვიდდა, ბოდიში მომიხადა. თვალს ვერ მისწორებდა, თითქოს ისეთი რამ ჩაიდინა, რაც მას არ შეეფერებოდა და სამუდამოდ შეირცხვინა თავი. ასეთ მდგომარეობაში ნანახი ამხანაგი კაცს შეიძლება საერთოდ შესძულდეს. ჰელ მურსს ასე იოლად ვერ შევიძულებ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ საერთოდ გადამავიწყდა, რა საქმეზე ვიყავი შესული მასთან. მურსის კაბინეტიდან გასული, მანქანასთან დაბრუნების ნაცვლად E ბლოკში წავედი. ასპირინი ამოქმედდა და ფეხებშუა ახლა მხოლოდ ყრუ ტკივილს ვგრძნობდი. დღეს როგორმე გავძლებ, ბილ უორტონს დავაბინავებ, შუადღისას ჰელ მურსს შევუვლი და ხვალისთვის გავეთავისუფლები-მეთქი, დავგეგმე გონებაში. მეგონა, ყოველივე ცუდმა უკვე გადაიარა და რა ვიცოდი, რომ საშინელება წინ მელოდა.

# 11

- გვეგონა, რომ ჯერაც გამაბრუებლების ზემოქმედების ქვეშ იყო, - თავი იმართლა ნაშუადღევს დინ სტენტონმა. ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, ლამის ყეფდა; კისერზე ჩალურჯებული ადგილები ეტყობოდა. ვხედავდი, რომ ლაპარაკი უჭირდა და მინდოდა მეთქვა, ახსნა-განმარტება საჭირო არაა-მეთქი, მაგრამ ხანდახან დუმილი უფრო მტკივნეულია; ამიტომაც პირში წყალი ჩავიგუბე.
- ყველას ასე გვეგონა, არა?

ჰარი ტერვილიგერმა თავი დაუქნია. თვით განმარტოებით მჯდარმა, მოღუშულმა პერსიმაც დაუქნია თავი.

ბრუტუსმა წამით გამომხედა. ჩემი მზერა მისას შეხვდა. ორივე მივხვდით, რომ ისინი მოტყუვდნენ. ცხოვრობ შენთვის, ყველაფერს წმინდა წერილის მიხედვით აკეთებ, უცებ ერთ შეცდომას უშვებ და ცა თავზე გემხობა. პატიმარი ყველას გაბრუებული ეგონა, საფუძვლიანი ვარაუდია, მაგრამ არავის უკითხავს, ეს ნამდვილად ასე იყო თუ არა. მომეჩვენა, რომ ბრუტუსის მზერაში სხვა რამეც დავინახე: ეს ჰარისა და დინისთვის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იქნებაო. განსაკუთრებით დინისთვის, რომელიც შეიძლებოდა სახლში მკვდარი წაესვენებინათ. პერსი კი ჭკუას არ ისწავლიდა; უფრო სწორად, ვერ ისწავლიდა. კუთხეში მოღუშული იჯდა, რადგან ისევ ყელამდე ნეხვში აღმოჩნდა.

ინდიანოლაში ველური ბილ უორტონის წამოსაყვანად შვიდნი წავიდნენ: ჰარი, დინი, პერსი, ორი საბარგულის მცველი (მათი სახელები აღარ მახსოვს, არადა, ოდესღაც უსათუოდ მეცოდინებოდა) და ორიც - მძღოლთან მჯდომი. რკინისჯავშნიანი და ტყვიაგაუმტარმინიანი „ფორდით“ წავიდნენ, ჯავშნიანი მანქანის და სარძევე ფურგონის ნაჯვარით.

მცველთა რაზმს ფორმალურად ჰარი ტერვილიგერი ხელმძღვანელობდა. საბუთები მან გადასცა ოლქის შერიფს (ჰომერ კრიბუსს არა - სხვა მისნაირ, ხალხის არჩეულ ტეტიას), ამ უკანასკნელმა კი მისტერ უილიამ უორტონი გადმოსცა, ექსტრაორდინარული შფოთისთავი, როგორც დელაკრუა იტყოდა. „ქოულდ მაუნთინიდან“ წინასწარ გაგზავნეს პატიმრის უნიფორმა, მაგრამ შერიფს და მის ხელქვეითებს უორტონისთვის მის ჩასაცმელად თავი არ შეუწუხებიათ; ეს საქმე ჩვენს ბიჭებს დაუტოვეს. უორტონს საავადმყოფოს ბამბის პიჟამა და იაფფასიანი ფლოსტები ეცვა, როცა პირველად შეხვდნენ ინდიანოლის მთავარი საავადმყოფოს მეორე სართულზე. ერთი მჭლე, მუწუკებიანი, ვიწროსახიანი და აბურდულთმიანი ტიპი აღმოჩნდა. ჩაჩაჩული შარვლიდან ასევე მჭლე და ასევე მუწუკებიანი ტრაკი უჩანდა. პირველად სწორედ მისი უკანალი დაინახეს, რადგან როცა ჰარი და დანარჩენები ოთახში შევიდნენ, უორტონი ფანჯარასთან იდგა, ცალი ხელით ფარდა გაეწია და ავტოსადგომს გაჰყურებდა. მცველებისკენ არ შემოტრიალებულა, სანამ ჰარი შერიფს საყვედურობდა, პატიმრის ტანსაცმელი რატომ არ ჩააცვითო, ხოლო შერიფმა კი ლექცია წაუკითხა (რატომღაც ეს ოლქის ყველა მაღალჩინოსანს სჩვევია) იმის თაობაზე, თუ რა შედიოდა მის მოვალეობაში და რა - არა.

როცა ჰარის შერიფის ლექცია მობეზრდა (მეეჭვება, დიდხანს ესმინოს მისთვის), უორტონს უბრძანა, შემობრუნებულიყო. უორტონი დამორჩილდა. ხმაჩახლეჩილი დინის თქმით, ის იმ ათასობით სოფლელ მაწანწალას ჰგავდა, რომლებმაც „ქოულდ მაუნთინში“ ჩვენი იქ მუშაობის წლებში გაიარეს. მათი უაზრო გამომეტყველების მიღმა გულღრძო რეგვენი იმალებოდა. თუ კედელთან ზურგით მიაყენებდი, მხდალებიც ხდებოდნენ, თუმცა, ძირითადად, მათგან ბოროტების და ჩხუბის გარდა არაფერი იყო მოსალოდნელი. არსებობს ხალხი, ვინც ბილ უორტონისნაირებ-

ში კეთილშობილებას ხედავს. მე ასეთთა რიგებს არ ვეკუთვნი. ჩხუბით კუთხეში მიმწყვდეული ვირთხაც ჩხუბობს. ამ ბილი უორტონის გამომეტყველებაც ისეთივე უსახური იყო, როგორიც მისი მუწუკებიანი უკანალიო, გვითხრა დინმა. მოღრეცილი ყბა ჰქონია, არაფრის მთქმელი მზერა, ჩამოყრილი მხრები, მოდუნებული მკლავები. მორფინით გაბრუებულ შეშლილს მგვანებია; მისი მსგავსი არაერთხელ გვინახავსო, დაასრულა დინმა.

პერსიმ კიდევ ერთხელ დააქნია თავი.

- ჩაიცვი, - საწოლის თავთან დადებულ პატიმრის უნიფორმაზე მიუთითა ჰარიმ უორტონს. უნიფორმა ყავისფერი ქაღალდის პაკეტიდან ამოეღოთ, მაგრამ ხელი არ ეხლოთ, როგორც ჩვენი ციხის სამრეცხაოში დაკეცეს, ისევე იდო: პერანგის ერთი სახელოდან ბამბის თეთრი ნიფხავი იყო გამოჩრილი, მეორედან - თეთრი წინდები.

უორტონი ბრძანებას დაემორჩილა; ოღონდ დახმარება დასჭირდა. ნიფხავის ამოცმა კი მოახერხა, მაგრამ შარვლის ცალ ტოტში ორივე ფეხის ჩაყოფა მოინდომა. მას დინი მიეშველა, შარვლის ტოტებში ფეხები ჩააყოფინა, შარვალი აუწია და ელვაშესაკრავი და ქამარი შეუკრა... რაკი დაინახა, რომ დინი აცმევდა, უორტონს ხელი აღარ გაუნძრევია. იდგა და ცარიელ სივრცეს მიშტერებოდა. არავის უფიქრია, რომ თამაშობდა. არა მგონია, გაქცევის იმედი ჰქონოდა (ყოველ შემთხვევაში, მე ამის არ მჯერა), უბრალოდ, ცდილობდა, ხელსაყრელი შემთხვევისთვის დაეცადა და მაქსიმალურად მძიმე პრობლემა შეექმნა ჩვენებისთვის.

საბუთებს ხელი მოაწერეს. დაპატიმრებისას ოლქის საკუთრებად ქცეული უილიამ უორტონი ახლა შტატის საკუთრებად იქცა. მცველებით გარშემორტყმული უკანა კიბეზე ჩაიყვანეს და სამზარეულოდან გავიდნენ. უორტონი თავჩაქინდრული და მხრებჩამოყრილი მიდიოდა. ქუდი ერთხელ რომ მოსძვრა, დინმა ისევ

თავზე დაახურა, მეორედ რომ მოსძვრა - შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო. უორტონს აყალმაყალის ატეხის კიდევ ერთი შანსი ფურგონში დაბმისას მიეცა, მაგრამ არ გამოუყენებია. ალბათ, იფიქრა(დღესაც კი ეჭვი მეპარება, მართლა უნდოდა თუ არა ფურგონში აყალმაყალის ატეხა და თუ უნდოდა, რამდენად ხმაურიანის), აქ მეტისმეტი სივიწროვეა და ამდენი მცველი ადვილად გამაკავებსო. ამგვარად, ბორკილები დაადეს, ერთი - კოჭებზე და ერთიც, როგორც გაირკვა, მეტისმეტად გრძელი - მაჯებზე.

„ქოულდ მაუნთინამდე“ მგზავრობა ერთ საათს გაგრძელდა. მთელი ეს დრო უორტონი ფურგონის მარცხენა მერხზე იჯდა. თავი ჩაექინდრა და შებორკილი ხელები მუხლებს შორის ჩაეყარა. დროდადრო რაღაცას წაიდუდუნებდაო, თქვა ჰარიმ, ხოლო საკმაოდ დამფრთხალ პერსის შეუმჩნევია, რომ ზაფხულის ხვატში ენაგადმოგდებული ძაღლივით, ქვედა ტუჩიდან დორბლი სდიოდა და ასე წვეთ-წვეთად, მის ფეხებთან პატარა გუბე წარმოქმნილა.

ციხის ტერიტორიაზე სამხრეთი ჭიშკრიდან შემოვიდნენ და ალბათ, ჩემს მანქანასაც ჩაუარეს. დარაჯმა ავტოსადგომსა და სასეირნო ეზოს შორის დიდი ჭიშკარი გააღო და ფურგონი შიგნით შემოვიდა. სასეირნო ეზო თითქმის ცარიელი იყო. პატიმრების უმრავლესობა ბაღში მუშაობდა. როგორც მახსოვს, უკვე მოსავლის აღების დრო იყო. ფურგონი E ბლოკის წინ გააჩერეს. მძღოლმა მათ კარი გაუღო და უთხრა, ბიჭებო, თქვენთან თანამშრომლობა კარგი იყო, ახლა მანქანა ზეთის გამოსაცვლელად უნდა წავიყვანო, თქვენ კი გადმოდითო. დამატებითი მცველები ფურგონს გაჰყვნენ. ორი მათგანი სკამზე არხეინად იჯდა და ვაშლს ჭამდა.

ბორკილდადებულ პატიმართან ჰარი, დინი და პერსი დარჩნენ. წესით, სამი მცველი საკმარისი უნდა ყოფილიყო, იქნებოდა კიდეც საკმარისი, შებორკილ, გამხდარ და თავჩაქინდრულ სოფ-

ლელ ბიჭს სამივე რომ არ გაეცურებინა. კარამდე თორმეტი ნაბიჯი ფეხით გაიარეს. მცველები ისე დაწყობილი მოდიოდნენ, როგორც სიკვდილმისჯილის მწვანე გზაზე გატარებისას. ჰარი პატიმარს მხარმარჯვნივ ედგა, დინი - მხარმარცხნივ, ხოლო ხელკეტმომარჯვებული პერსი უკან მოჰყვებოდა. ეს ჩემთვის არავის უთქვამს, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, პერსი ხელკეტს რომ მოიმარჯვებდა. პერსის თავისი ხელკეტი ძალიან უყვარდა. მე მათ უორტონის მომავალ „ბინაში“, კორიდორის მარჯვნივ მდებარე პირველ საკანში ველოდი. ხელში საქაღალდე მეჭირა და მოკლე სიტყვისთვის ვემზადებოდი, რომ სასწრაფოდ დამეხვია იქიდან. ფეხებშუა ტკივილი ისევ მიძლიერდებოდა და ერთი სული მქონდა, ჩემს კაბინეტში შევსულიყავი და იქ დავლოდებოდი ტკივილის დაცხრობას.

ე ბლოკის კარის გასაღებად დინი წავიდა. გასაღებების ასხმიდან საჭირო გასაღები ამოარჩია და საკლიტურში შეაცურა. როგორც კი დინმა გასაღები გადაატრიალა და კარის სახელურს დააწვა, უორტონი გამოცოცხლდა. გაუგებრად შეჰკივლა, თითქოს საპროტესტო ყიჟინა დასცა და ამით დაბნეული ჰარი დროებით ერთ ადგილზე გაშეშდა, ხოლო პერსი უეტმორი სრულიად გამოეთიშა შეტაკებას. ეს არაადამიანური კივილი ნახევრად შემოღებული კარიდან მომესმა და ვიფიქრე, სასეირნო ეზოში ძაღლი შემოპარულა და რომელიმე ბრაზიანმა პატიმარმა, ალბათ, ჯოხი დაარტყა-მეთქი.

უორტონმა ხელები ასწია, მაჯებს შორის დაკიდებული ჯაჭვი დინს კისერზე ჩამოაცვა და მისი დახრჩობა დაიწყო. დინმა ყრუდ შეჰყვირა და შიგნით, ელექტროშუქით ცივად განათებულ ჩვენს პატარა სამყაროში შემოიჭრა. უორტონი სიხარულით შემოჰყვა თან. უბიძგა კიდეც; ყვირილი და კივილი არ შეუწყვეტია. ხარხარებდა. იდაყვები დინის მხრებზე შემოეწყო, მუშტები ყურებზე აე-

ფარებინა და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მჭიდროდ მოეჭირა ბორკილები მისთვის.

უორტონს ჰარი შეახტა ზურგზე. გაზიპულ თმაში ჩაავლო ხელი, თავი უკან გააწევინა და სახეში მუშტი დაარტყა. ხელკეტი და პისტოლეტიც ჰქონდა, მაგრამ იმ აურზაურში არც ერთის ამოღება არ გახსენებია. პატიმრებთან პრობლემები ადრეც გვქონია, მაგრამ უორტონივით უეცრად თავს ჯერ არავინ დაგვსხმია. ასეთ ეშმაკობას მისგან არ მოველოდით. მსგავსი რამ არც მანამდე მენახა და არც მას შემდეგ.

სხვათა შორის, საკმაოდ ღონიერი გამოდგა. მორიგე ოფიცრის მაგიდასთან მდგარი უორტონი მკვეთრად შეტრიალდა მარცხნივ და ჰარი მოისროლა. ჰარი მაგიდას შეეჯახა და იატაკზე გაიშოტა.

- ეჰეი, ბიჭებო! - აყვირდა უორტონი, - წვეულებაც ამას ჰქვია! ხომ მაგარია? - და სიცილ-ხარხარითა და კივილით ისევ დინს მივარდა. რატომაც

არა? უორტონმა იცოდა ის, რაც ყველამ ვიცოდით: მას მხოლოდ ერთხელ შებრაწავდნენ ელექტროსკამზე.

- დაარტყი პერსი, დაარტყი! - წამობობღდა ჰარი. თვალებდაჭყეტილი პერსი კი გაშეშებული იდგა და ხელკეტს არ იქნევდა. ამაზე უკეთესი შანსი სად უნდა მისცემოდაო, იკითხავთ თქვენ, ხელსაყრელი შემთხვევა გამოუჩნდა, თავისი სულელური ხელკეტი სასარგებლოდ გამოეყენებინაო. მაგრამ ის ძალიან დაიბნა და დაფრთხა და ვერაფერი მოიმოქმედა. მის წინ მშიშარა ჩია ფრანგი ან აზრებით სხვაგან მყოფი შავკანიანი გოლიათი კი არა, ეშმაკის განსახიერება იდგა.

უორტონის საკნიდან გამოვვარდი და ოცდათვრამეტკალიბრიანი დავაძრე. იმ დღეს მეორედ გადამავიწყდა მწველი ტკივილი. სხვებმა საავადმყოფოში ნანახი უორტონის უემოციო გამომეტყველება და არაფრის მთქმელი მზერა აღმიწერეს, მაგრამ მე

სულ სხვანაირი უორტონი ვიხილე. მე ცხოველის - უგუნური ცხოველის ცბიერი, ბოროტი და სიხარულით აღსავსე თვალები დავინახე. დიახ, ის იმას აკეთებდა, რის გასაკეთებლადაც გაჩნდა ამქვეყნად. ადგილსა და გარემოებას მნიშნველობა არ ჰქონდა. კიდევ დინ სტენტონის გაწითლებული და გასივებული სახე დავინახე. ის ჩემ თვალწინ კვდებოდა. უორტონმა ჩემი პისტოლეტი შენიშნა და მის ლულას დინი მიუშვირა. უორტონისთვის რომ მესროლა, ტყვიას დინსაც მოვარტყამდი. დინის მხარს უკნიდან ელვარე ლურჯი თვალი მომჩერებოდა და გასროლისკენ მაქეზებდა.

# მესამე ნაწილი

## ედუარდ დელაკრუას საშინელი სიკვდილი

### 1

ჩემს ნაწერს გადავხედე და „ჯორჯია პაინსისთვის“ თურმე მოხუცთა თავშესაფარი მიწოდებია. აქაურ ხელმძღვანელობას ეს აშკარად არ მოეწონება! ვესტიბიულში რომ ბროშურები აწყვია და პერსპექტიულ კლიენტებს უგზავნიან, იქ „პენსიონერებისთვის განკუთვნილი ჩინებული საცხოვრებელი კომპლექსი“ ჰქვია. ბროშურაში ისიც წერია, რომ აქ რესურს-ცენტრი აქვთ. აქ მცხოვრებლები კი (ბროშურაში ჩვენ პატიმრებს არ გვიწოდებენ, მაგრამ თავს ხანდახან პატიმრად მივიჩნევ) მას უბრალოდ, ტელევიზორის ოთახს უწოდებენ.

აქაურებს უკარება ვგონივარ, რადგან ტელევიზორის ოთახში დღისით იშვიათად შევდივარ. ოღონდ მე ხალხი კი არა, ტელეგადაცემები მეზიზღება. ოპრა, რიკი ლეიკი, კერნი უილსონი, როლანდა - ქვეყანა თავზე გვენგრევა, ამათ კი მოკლეკაბიან ქალებთან და პერანგჩახსნილ კაცებთან ჟიმაობაზე საუბრის გარდა, სხვა საქმე არ აქვთ. ბიბლია ამბობს, ნუ განიკითხავ, რათა არ განგიკითხონო და ამიტომაც საერთო ოთახში იშვიათად შევდივარ. სანაგვეში რომ მინდოდეს დროის გატარება, აქედან რამდენიმე კილომეტრში მდებარე მოტელ „ჰეფი უილსში“ წავიდოდი - ყოველ პარასკევს და შაბათს იქ სირენებიანი და ციმციმებიანი პოლიციის ავტომანქანები მიიჩქარიან. ჩემი ახლო მეგობარი ელეინ კონელიც ჩემნაირად ფიქრობს. ელეინი ოთხმოცი წლისაა, მაღალი და ტანადია, ჯერაც წელგამართული და მახვილთვა-

ლება, ძალიან ჭკვიანი. ბარძაყებზე რაღაც სჭირს და სიარული უჭირს, ართრიტის გამო ხელები ძალიან სტკივა, მაგრამ გედივით მოხდენილი კისერი და მხრებამდე ჩამოზრდილი ლამაზი, ქერა თმა აქვს.

რაც მთავარია, მას უკარება ან უცნაური არ ვგონივარ. მე და ელეინი ერთად დიდ დროს ვატარებთ. ამ ხნისა რომ არ ვიყო, ჩემს მეგობარ ქალად ჩავთვლიდი. თუმცა, ზოგჯერ ახლო მეგობრის ყოლა ბევრად უკეთესია. მრავალი პრობლემა და გულგატეხილობა, რომელიც შეყვარებულობას თან სდევს, ჩვენში უკვე ჩამქარალია. ვიცი, ახლა მინიმუმ, ორმოცდაათ წელს ქვემოთ ასაკისანი ამას არ დამიჯერებენ, მაგრამ ზოგჯერ ცეცხლს ნაკვერჩხალი სჯობს. უცნაურია, მაგრამ სიმართლეა.

მოკლედ, დღისით ტელევიზორს არ ვუყურებ. ხან ვსეირნობ, ხან ვკითხულობ, ეს ბოლო თვეებია, სოლარიუმში მცენარეებს შორის ვზივარ და მემუარებს ვწერ. სოლარიუმში სუფთა ჰაერია და ეს წარსულის გახსენებაში მშველის. გეუბნებით, ხერალდო რივერას შოუს ყურებას ნაღდად სჯობს!

თუმცა, ზოგჯერ, როცა ვერ ვიძინებ, ქვემოთ ჩავიპარები და ტელევიზორს ჩავრთავ ხოლმე. მართალია, „ჯორჯია პაინსში“ HBO ან ამის მსგავსი არხები არ გვაქვს (როგორც ჩანს, ჩვენი რესურს-ცენტრისთვის ამხელა ფინანსური რესურსის გამოყოფა ენანებათ), მაგრამ ძირითად საკაბელო პაკეტში ამერიკული ფილმების არხი შედის. ეს ის არხია, რომელზეც, ძირითადად, შავ-თეთრი ფილმები გადის და ამ ფილმებში ქალები ეკრანზე არ შიშვლდებიან. ჩემნაირი მიხრონცილისთვის ეს დამამშვიდებელი სანახაობაა. ვინ იცის, უხეშ მწვანე დივანზე მჯდომს რამდენჯერ ჩამძინებია ტელევიზორის წინ, როცა მოლაპარაკე ჯორი ფრენსისი დონალდ ო’კონორის ტაფას შუაგული ცეცხლიდან მოათრევს, ან როცა ჯონ უეინი „დოჯს“ დაითრევს, ან ჯიმი კეგნი ვინმეს დამპალ ვირთხას უწოდებს და პისტოლეტს უმიზნებს. ამ

ფილმების უმეტესობა ჩემს ცოლთან (და არა საყვარელთან) ერთად მინახავს და ისინი დღესაც მამშვიდებს. იმ პერსონაჟების სამოსი, საუბრის და სიარულის მანერა, ფილმების საუნდტრეკებიც კი მამშვიდებს. მახსენებს დროს, როცა ძალ-ღონით აღსავსე მამაკაცი ქვეყნიერების ზურგზე დავაბიჯებდი და ჩრჩილების შეჭმულ მოხუცთა სახლში არ ვიყავი შეყუჟული, რომლის მცხოვრებლები საფენებით და სპორტული შარვლებით დადიან.

თუმცა, ამ დილით ისეთ რამეს ვუყურე, სულაც არ დავმშვიდებულვარ.

ხანდახან ღამის ოთხ საათზე, ე. წ. „ადრეულ სეანსზე“ ამერიკული კლასიკის საყურებლად ელეინიც შემომიერთდება ხოლმე. ამაზე საუბარი არ უყვარს, მაგრამ ვიცი, რომ ართრიტი ძალიან აწუხებს და ვეღარც აქაური გამაყუჩებლები შველის.

დღეს გამთენიისას თეთრსაღამურიან მოჩვენებასავით ჩამოფარფატდა ქვემოთ და მორყეულ დივანზე მჯდომი დამინახა. ერთიანად ვცახცახებდი და გაძვალტყავებულ მუხლებზე ხელები მქონდა შემოხვეული. მთელი სხეული გამყინვოდა, გარდა გახურებული საზარდულისა, რომელსაც თითქოს საშარდე გზების ინფექციის აჩრდილი დასხმოდა თავს და ისევ ისე მაწუხებდა, როგორც 1932 წლის შემოდგომაზე - ჯონ კოფის, პერსი უეტმორის და გაწვრთნილი თაგვის, მისტერ ჯინგლსის შემოდგომაზე.

ის შემოდგომა უილიამ უორტონისაც იყო.

- პოლ! - დაიყვირა ელეინმა და რამდენადაც მყიფე და ჩაჟანგული სახსრები აძლევდა ამის საშუალებას, სწრაფად მომაშურა, - პოლ, რა მოგივიდა?

- მალე გამივლის, - ვუთხარი, მაგრამ ჩემმა სიტყვებმა არადამაჯერებლად გაიჟღერა. კრიჭაშეკრულმა ძლივს ამოვთქვი, - ერთ-ორ წუთში მოვმჯობინდები.

ელეინი გვერდით მომიჯდა და მხრებზე ხელი გადამხვია.

- ვიცი, - მითხრა მან, - მაგრამ რა მოგივიდა? ღმერთო ჩემო, პოლ, ისე გამოიყურები, თითქოს მოჩვენება დაგენახოს.

მგონი, მართლაც ვნახე-მეთქი, გულში გავიფიქრე და, როცა მისი დაჭყეტილი თვალები დავინახე, მაშინღა მივხვდი, რომ იგივე ხმამაღლა გამიმეორებია.

- მთლად მოჩვენებაც არა, - ძალიან ნაზად მოვუთათუნე ხელზე ხელი, - თან, სულ ერთი წუთით. ღმერთო, ელეინ!

- ციხის მცველად მუშაობის დროინდელი? - მკითხა მან, - სოლარიუმში რომ მემუარებს წერ, იმ პერიოდის?

- სიკვდილმისჯილების ბლოკში ვმუშაობდი...

- ვიცი...

- იქაურობას მწვანე გზას ვუწოდებდით, რადგან იატაკზე მწვანე ლინოლეუმი ეგო. 1932 წლის შემოდგომაზე ახალი პატიმარი მივიღეთ, ნამდვილი შეშლილი, უილიამ უორტონი. თავს „ბიჭუნა ბილს“ უწოდებდა და ეს მეტსახელი მკლავზე ჰქონდა ამოსვირინგებული. ახალგაზრდა ბიჭი იყო, ოღონდ ძალიან საშიში. მახსოვს, როგორ ხაზგასმით გამაფრთხილა ციხის უფროსის თანაშემწემ, კერტის ანდერსონმა, გიჟია და ამით ძალიან ამაყობს, ცხრამეტი წლისაა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიაო.

მხრებზე გადახვეულმა ელეინის ხელმა ჩემი კისრის ზელა დაიწყო. თანდათან ვმშვიდდებოდი. ამ მომენტში ელეინ კონელი შემიყვარდა და მისთვის ეს რომ მეთქვა, ალბათ, მთელ სახეს დავუკოცნიდი. ალბათ, ასეც უნდა მექნა. მარტოობა და შიში ნებისმიერ ასაკში საშინელებაა, მაგრამ მოხუცებულობაში - განსაკუთრებით რთულია. თანაც, გულზე მძიმე ლოდად მაწვა ის ძველი მოგონებები და დაუსრულებელი საქმე.

- მართალი ხარ, - განვაგრძე, - იმას ვწერდი, როგორ გამოჩნდა უორტონი ჩვენს ბლოკში და ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი დინ სტენტონი ლამის დაახრჩო.

- ეს როგორ მოხდა? - დაინტერესდა ელეინი.

- ვერაგობითა და დაუდევრობით, - ცივად ვუპასუხე, - უორტონმა ვერაგობა გამოიჩინა, ხოლო მცველებმა, მას რომ მეთვალყურეობდნენ - დაუდევრობა. პრობლემა უორტონის ხელბორკილმა შექმნა - მეტისმეტად გრძელი იყო. დინი რომ ე ბლოკის კარს აღებდა, უორტონი უკნიდან თავს დაესხა. მას ორივე მხრიდან მცველები ედგნენ, მაგრამ ანდერსონი მართალი გამოდგა - ველურ ბილის ეს ფეხებზე ეკიდა. ბორკილები დინს კისერზე ჩამოაცვა და მისი დახრჩობა გადაწყვიტა.

ელეინს გააჟრჟოლა.

- მოკლედ, ამ შემთხვევას ვიხსენებდი და ვეღარ დავიძინე, ამიტომაც ქვემოთ ჩამოვედი. ტელევიზორი ჩავრთე, ვიფიქრე, შენ ჩამოხვიდოდი და აქ პატარა პაემანი გვექნებოდა...

ელეინს გაეცინა და წარბს ზემოთ, შუბლზე მაკოცა. როცა ასე ჯენისი მკოცნიდა, ყოველთვის მბურძგლავდა და ამ დილითაც დამბურძგლა. როგორც ჩანს, რაღაცები სამუდამოდ უცვლელი რჩება.

- ამ არხზე კი ორმოციანი წლების შავ-თეთრი განგსტერული ფილმი გადიოდა, „სიკვდილის კოცნა“ ჰქვია.

ამ სახელის წარმოთქმისას ისევ ჟრუანტელმა დამიარა და გამაკანკალა.

- მთავარ როლში რიჩარდ უიდმარკია. მგონი, მისი პირველი მნიშვნელოვანი როლი იყო. მე და ჯენისს არასდროს გვინახავს - პოლიციელების და მძარცველების შესახებ ფილმებზე, როგორც წესი, არ დავდიოდით. თუმცა, სადღაც წავიკითხე, რომ უიდმარკმა ხულიგნის როლი არაჩვეულებრივად შეასრულა. ფერმკრთალია... კი არ დადის, თითქოს დაფრინავს... ხალხს „ფურთხს“ უწოდებს. ჩამშვებებს ახსენებს, იმეორებს, რომ ჩამშვებები ეზიზღება!

მიუხედავად დიდი მცდელობისა, ცახცახს ვერ ვიკავებდი.

- ქერა თმა, - დავიჩურჩულე, - ქერა, თხელი თმა. იმ მომენტზე, როცა ინვალიდის ეტლში მჯდომ მოხუც ქალს კიბეზე დააგორებს, გამოვრთე.

- უორტონი გაგახსენა?

- ნამდვილი უორტონი იყო.

- პოლ, - დაიწყო ელეინმა, მაგრამ შეჩერდა. ტელევიზორის ცარიელ ეკრანს მიაჩერდა და მერე ისევ მე შემომხედა.

- რა? - ვკითხე, - რა, ელეინ? - ვიფიქრე, ალბათ, იმის თქმას აპირებს, წერა შეწყვიტეო; დახიე, რაც აქამდე დაწერე და შეეშვი ამ საქმესო.

მაგრამ მან საპირისპირო რამ მითხრა:

- ამის გამო წერას ნუ შეწყვეტ!

პირდაღებული მივაშტერდი.

- პირი მოკუმე, პოლ, ბუზი არ შეგიფრინდეს!

- მაპატიე. უბრალოდ... ისა...

- გეგონა, პირიქით გეტყოდი, არა?

- ჰო.

ჩემი ხელები თავისი ხელებით ნაზად აიღო, ჩემკენ გადმოიხარა და ლურჯ თვალებში წაბლისფერი თვალებით (მარცხენა კატარაქტით ოდნავ დაბინდული ჰქონდა) ჩამხედა.

- შეიძლება მოხუცი და ავადმყოფი ვიყო, - თქვა მან, - მაგრამ იმდენად მოხუცი არ ვარ, რომ აზროვნება არ შემეძლოს. ჩვენს ასაკში რამდენიმე საათით ძილის გატეხა არაფერია. დიდი ამბავი, თუ ტელევიზორში მოჩვენება ნახე! ახლა არ მითხრა, აქამდე არაფერი მომჩვენებიაო!

ციხის უფროსი მურსი, ჰარი ტერვილიგერი და ბრუტუს ჰაუელი გამახსენდა; გამახსენდა დედაჩემი და ჩემი ცოლი ჯენი, რომელიც ალაბამაში მოკვდა; მოჩვენებები ჩემთვის უცხო არ იყო.

- არა, მოჩვენებები ადრეც მინახავს, - ვუპასუხე ელეინს, - ოღონდ ამან ძლიერ დამაფრთხო, რადგან ნამდვილად ის იყო.

ელეინმა ხელახლა მაკოცა და წამოდგა. როგორც სჩვეოდა, ხელები თეძოებზე შემოიწყო, თითქოს ეშინია, უხერხულად თუ ვიმოძრავებ, კანიდან ძვლები ამოხტებაო.

- ტელევიზორის ყურება გადავიფიქრე, - თქვა მან, - წვიმიანი დღისთვის ან ღამისთვის ზედმეტი აბი მაქვს გადანახული. დავლევ და დავწვები. შენც ასე ჰქენი.

- ჰო, ასე აჯობებს, - ვუთხარი მე. ერთ მომენტში გიჟურმა აზრმა გამიელვა, ერთად ხომ არ დავწვეთ-მეთქი, მაგრამ ელეინის თვალებში ტკივილი დავინახე და აღარ შემითავაზებია.თუნდაც დამთანხმებოდა, ამას მხოლოდ ჩემთვის გააკეთებდა. ეს კი კარგი არ იქნებოდა.

ტელევიზორის ოთახიდან ერთად გავედით. მხარდამხარ მივაბიჯებდით, ნელ-ნელა და ფრთხილად, ერთმანეთს ფეხს ვუწყობდით. დერეფანში სიჩუმე იყო. რომელიღაც კარს მიღმა კოშმარულ სიზმარში მყოფი მოხუცი ოხრავდა.

- როგორ გგონია, დაგეძინება? - მკითხა მან.

- კი, - ვუპასუხე ელეინს, თუმცა, ამის იმედი არ მქონდა. გათენებამდე საწოლში ვფხიზლობდი და „სიკვდილის კოცნაზე“ ვფიქრობდი. თვალწინ მედგა რიჩარდ უიდმარკი, ავად მოხითხითე, მოხუც ქალს ინვალიდის ეტლზე რომ აბამს და კიბეზე აგორებს. ჩამშვებებს ასე ვექცევითო, ეუბნება ქალს და ამ მომენტში მისი სახე იმ უილიამ უორტონისას ემსგავსებოდა, ე ბლოკში რომ მოვიდა. უორტონი უიდმარკივით ხითხითებს და ყვირის: „წვეულებაც ამას ჰქვია! ხომ მაგარია?“

არც კი მისაუზმია, პირდაპირ სოლარიუმში მოვედი და წერა დავიწყე.

მოჩვენებები?

დიახ.

მე მოჩვენებებზე ყველაფერი ვიცი.

# 2

- ეჰეი, ბიჭებო! - აყვირდა უორტონი, - წვეულებაც ამას ჰქვია! ხომ მაგარია? - და სიცილ-ხარხარითა და კივილით ისევ დინს მივარდა. რატომაც არა? უორტონმა იცოდა ის, რაც დინმა, ჰარიმ და ბრუტუს ჰაუელმა იცოდნენ: მას მხოლოდ ერთხელ შებრაწავდნენ ელექტროსკამზე.

- დაარტყი პერსი, დაარტყი! - იყვირა ჰარი ტერვილიგერმა. მან უორტონისთვის ხელის შეშლა დააპირა, მაგრამ უორტონმა იატაკზე დააგდო და ახლა წამოდგომას ცდილობდა. თვალებდაჭყეტილი პერსი გაშეშებული იდგა და ხელკეტს არ იქნევდა. ამაზე უკეთესი შანსი სად უნდა მისცემოდაო, იკითხავთ, ხელსაყრელი შემთხვევა გამოუჩნდა, თავისი სულელური ხელკეტი სასარგებლოდ გამოეყენებინაო. მაგრამ ის ძალიან დაიბნა და დაფრთხა და ვერაფერი მოიმოქმედა. მის წინ მშიშარა ჩია ფრანგი, ან აზრებით სხვაგან მყოფი შავკანიანი გოლიათი კი არა, ეშმაკის განსახიერება იდგა.

უორტონის საკნიდან გამოვვარდი და ოცდათვრამეტკალიბრიანი დავაძრე. იმ დღეს მეორედ გადამავიწყდა მწველი ტკივილი. სხვებმა საავადმყოფოში ნანახი უორტონის უემოციო გამომეტყველება და არაფრის მთქმელი მზერა აღმიწერეს, მაგრამ მე სულ სხვანაირი უორტონი ვიხილე. მე ცხოველის - უგუნური ცხოველის ცბიერი, ბოროტი და სიხარულით აღსავსე თვალები დავინახე. დიახ, ის იმას აკეთებდა, რის გასაკეთებლადაც გაჩნდა ამქვეყნად. ადგილსა და გარემოებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. კიდევ დინ სტენტონის გაწითლებული და გასივებული სახე დავინახე. ის ჩემ თვალწინ კვდებოდა. უორტონმა ჩემი პისტოლეტი შენიშნა და მის ლულას დინი მიუშვირა. უორტონისთვის რომ მესროლა, ტყვიას დინსაც მოვარტყამდი. დინის მხარს უკნიდან ელ-

ვარე ლურჯი თვალი მომჩერებოდა და გასროლისკენ მაქეზებდა. უორტონის მეორე თვალს დინის თავი ეფარებოდა. მათ უკან შეყოყმანებული პერსი გაშეშებულიყო ნახევრად აწეული ხელკეტით.

უცებ სასეირნო ეზოდან შემომავალი კარი შემოიღო და ხორცშესხმული სასწაული გამოჩნდა: ბრუტუს ჰაუელი. ლაზარეთის გადატანა უკვე დაემთავრებინათ და ჩვენთან შემოიარა, ვინმეს ყავა ხომ არ გინდათო.

ბრუტუსს არ დაუხანებია, პერსის ხელი ჰკრა და მთელი ძალით კედლისკენ ისროლა, მერე თავისი ხელკეტი დააძრო და მარჯვენა ხელით დასცხო უორტონს კეფაზე. ტკაცუნი გაისმა. ისეთი ყრუ ხმა იყო, თითქოს უორტონს ტვინი საერთოდ არ აქვს და თავი ცარიელიაო. დინის ყელზე წაჭერილი ბორკილები მოეშვა. უორტონი ტომარასავით ჩაიკეცა ძირს. თვალებგადმოკარკლული დინი ხველებ-ხველებით და კისრის სრესით განზე გახოხდა.

მის გვერდით ჩავიმუხლე და ძლიერად შევანჯღრიე.

- კარგად ვარ, - დაიხრიალა მან, - იმას მიხედეთ! - უორტონისკენ მიმითითა, - საკანში შეაგდეთ!

ბრუტუსმა თავში ისე ძლიერად ჩაარტყა, ვიფიქრე, უორტონს საკანი კი არა, კუბო დასჭირდება-მეთქი. თუმცა, იმედი გამიცრუვდა. უორტონი გაითიშა, მაგრამ სიკვდილს ნამდვილად არ აპირებდა. მხარ-თეძოზე ეგდო, ცალი ხელის თითის წვერებით მწვანე ლინოლეუმს ეხებოდა. თვალები დაეხუჭა და ნელა, მაგრამ თანაბრად სუნთქავდა. სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა, თითქოს იავნანას სმენისას ჩაეძინაო. თმიდან სისხლის წითელი წვრილი ნაკადი მოედინებოდა და პატიმრის ახალთახალი სამოსის საყელო დაელაქავებინა. ეს იყო და ეს.

- პერსი, დამეხმარე! - დავუძახე მას.

პერსი არ განძრეულა. კედელს აკრული, თვალებდაჭყეტილი იდგა. მგონი, ვერ ხვდებოდა, სად იყო.

- ჯანდაბა, პერსი, მოკიდე ხელი!

როგორც იქნა, გონს მოეგო. მას ჰარიც მიეხმარა. სამივემ ერთად უგონო უორტონი საკანში შევათრიეთ, ხოლო ბრუტუსმა დინი წამოაყენა და მზრუნველ დედასავით იჭერდა წელში მოხრილსა და სუნთქვაშეკრულს.

ჩვენი ახალი პრობლემური ბავშვი სამი საათი არ მოსულა გონს. რომ გამოფხიზლდა, ბრუტუსის მძლავრი დარტყმის არანაირი კვალი არ აჩნდა. ჩვეული სისწრაფე არ დაუკარგავს. ერთ წამს საწოლზე უგონოდ ეგდო, მეორე წამს უკვე გისოსებთან იდგა. კატასავით ჩუმი იყო. არც კი დამინახავს, როგორ წამოდგა. მაგიდასთან ვიჯექი და მომხდარის შესახებ მოხსენებას ვწერდი, თავი რომ ავწიე, უორტონი მიყურებდა. გაღიმებულს ჩაშავებული, ჭიანი კბილები მოუჩანდა. ვცადე, შიში არ შემემჩნია, მაგრამ მოულოდნელობისგან შევკრთი და, მგონი, ყველაფერი დაინახა.

- ეი, ხელის ბიჭო, - დამიძახა მან, - შემდეგი შენ იქნები და ამჯერად ვერ გადამირჩები.

- გამარჯობა, უორტონ, - რაც შეიძლებოდა, მშვიდად მივესალმე, - ისეთი სიტუაცია შეიქმნა, აჯობებს, მისასალმებელი სიტყვისგან თავს შევიკავო. რას იტყვი?

მის სახეზე ღიმილი ოდნავ გახუნდა. ეტყობა, ჩემგან ასეთ პასუხს არ ელოდა. სხვა დროს ასეთ პასუხს არც მე გავცემდი, მაგრამ სანამ უორტონი უგონოდ იყო, რაღაც მოხდა. ისეთი მნიშვნელოვანი რამ, რის თქვენთვის მოყოლასაც ამდენი ხანია, ვცდილობ. მოდით, ვნახოთ, დაიჯერებთ თუ არა.

# 3

პერსიმ ერთი უღრიალა დელაკრუას და მერე პირში წყალი დაიგუბა. ეს, ალბათ, შოკით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე მისი ზრდილობიანობით - პერსი უეტმორს ზრდილობისა ისე გაეგებოდა რამე, როგორც მე - აფრიკის შავ აბორიგენთა ტომების, მაგრამ ეს მაინც გვესიამოვნა. წუწუნი რომ დაეწყო, ბრუტუსმა უხეშად ხელი რატომ მკრა ან რატომ არ გამაფრთხილეთ, ე ბლოკში ველური ბილ უორტონის მსგავსი საძაგელი ტიპი თუ მოჰყავდათო, საკუთარი ხელით დავახრჩობდით და თვითონ მოგვიწევდა მწვანე გზაზე გავლა.

მოკლედ, როცა დავრწმუნდით, რომ დინს სუნთქვა შეეძლო და გონს არ დაკარგავდა, ჰარიმ და ბრუტუსმა ლაზარეთში გააცილეს. დელაკრუა, რომელიც სრულიად ჩუმად იდგა ამ შეხლა-შემოხლის დროს (ციხეში არაერთხელ მჯდარა და კარგად იცოდა, როდის უნდა დაეხურა სალაპარაკო ღრუ და როდის შეიძლებოდა მისი ისევ გაღება), დინთან ერთად ჰარის და ბრუტუსის დერეფანში ჩავლისას ხმამაღლა აყვირდა, რა მოხდაო. ისე ღრიალებდა, იფიქრებდით, მისი კონსტიტუციური უფლებები ირღვევაო.

- ხმა ჩაიგდე, შე პედერასტო! - დაუყვირა პერსიმ ისე ხმამაღლა, რომ კისერზე ძარღვები დაებერა. მკლავზე ხელი წავავლე და ვიგრძენი, რომ ერთიანად უკანკალებდა. ეს, ნაწილობრივ, ახლახან განცდილი შიშის დაგვიანებული გამოვლინება იყო (ხანდახან თავს ვახსენებდი, პერსის ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ოცდაერთი წლისაა-მეთქი. უორტონზე სულ ორი წლით უფროსი იყო), უფრო მეტად კი - მრისხანებისა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მას დელაკრუა სძულდა.

- წადი, ნახე, ციხის უფროსი მურსი ისევ აქ არის თუ არა, - ვუთხარი პერსის, - თუ არის, სრული სიტყვიერი ანგარიში ჩააბარე.

გადაეცი, რომ თუ მოვასწრებ, ჩემი წერილობითი მოხსენება საღამოსვე მაგიდაზე ედება.

ასეთი დავალება პერსის ესიამოვნა და ამაყად გაიფხორა. წამით ვიფიქრე, ახლა მხედრულ სალამს მომცემს-მეთქი.

- არის, სერ. წავალ.

- იმით დაიწყე, რომ E ბლოკში ვითარება ნორმალურია. ეს რომანი არაა და თხრობას ზედმეტად ნუ გაწელავ და გააბუქებ, თორემ უფროსს არ მოეწონება.

- დიახ, სერ.

- კარგი, წადი.

კარისკენ შეტრიალდა და მერე ისევ ჩემკენ გამოიხედა. არა, თავნებობას ნამდვილად ვერ დაუკარგავდით. ერთი სული მქონდა, წასულიყო, რადგან ფეხებშუა ცეცხლი მეკიდა, მაგრამ პერსი არ მიდიოდა.

- კარგად ხარ, პოლ? - მკითხა მან, - სიცხე ხომ არ გაქვს? გრიპი ხომ არ დაგემართა? სახე სულ გაოფლილი გაქვს.

- ალბათ, რამე შემეყარა, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ, - ვუპასუხე, - წადი, პერსი, უფროს მურსს ანგარიში ჩააბარე.

მან თავი დამიქნია და, მადლობა ღმერთს, წავიდა. როგორც კი კარი გაიხურა, ჩემს კაბინეტში შევვარდი. მორიგის მაგიდის მიტოვება წესდებას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეს არ მანაღვლებდა. ასე ცუდად დილის შემდეგ არ ვყოფილვარ.

საწერი მაგიდის უკან ვიწრო ტუალეტში შევირბინე და შარვლის ჩახდა ძლივს მოვასწარი, რომ ეგრევე შარდვა დავიწყე. ცალი ხელი პირზე ავიფარე, რომ სიმწრით არ ავკივლებულიყავი, მეორე ხელით კი პირსაბანს ჩავეჭიდე წონასწორობის შესანარჩუნებლად. სახლში არ ვიყავი და მუხლებზე დაცემული, იატაკზე შარდის გუბეს ვერ დავაყენებდი. აქ რომ მუხლებზე დავმდგარიყავი, შარდი იატაკზე დაიღვრებოდა.

ძლივს შევინარჩუნე წონასწორობა და კივილისგანაც თავი შევიკავე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შარდს შუშის ნამსხვრევები მოჰყვებოდა. უნიტაზიდან უსიამოვნო სუნი ამოდიოდა; წებოვან სითხეში, მგონი, ჩირქის გროვები ტივტივებდა.

საკიდიდან პირსახოცი ჩამოვხსენი და სახე მოვიწმინდე. ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. კედლის სარკეში ჩავიხედე. სიცხიანი კაცის გაწითლებული სახის ანარეკლი შემომყურებდა. ნეტა რამდენი მქონდა ტემპერატურა, ოცდათვრამეტი გრადუსი თუ ოცდაცხრამეტი?

აჯობებს, არ ვიცოდე-მეთქი, გავიფიქრე. პირსახოცი ისევ საკიდზე ჩამოვკიდე, უნიტაზი ჩავრეცხე და კაბინეტიდან ისევ დერეფანში გავედი. მეშინოდა, ბილ დოჯი ან ვინმე სხვა არ შემოსულიყო და უყურადღებოდ დატოვებული სამი პატიმარი არ დაენახა. უორტონი ჯერაც უგონოდ ეგდო თავის საწოლზე, დელაკრუა დუმდა, ხოლო ჯონ კოფის სიტყვა არ დაუძრავს. ხმაც კი არ ამოუღია. ამან ძლიერ გამაკვირვა და ცოტათი შემაშფოთა კიდეც.

დერეფნიდან გავხედე კოფის საკანს. რატომღაც მეგონა, მკვდარი დამხვდებოდა. სიკვდილმისჯილებს საკანში თვითმკვლელობის ორი საშუალება აქვთ: საკუთარი შარვლით თავის ჩამოხრჩობა ან კბილებით მაჯების გადაღრღნა. ამგვარი არაფერი მომხდარიყო. კოფი საწოლზე იჯდა, ხელები კალთაში ეწყო და ეს ბუმბერაზი კაცი უჩვეულო, აცრემლებული თვალებით მიყურებდა.

- ბოს!

- რა ხდება, დიდო ბიჭო?

- თქვენი ნახვა მინდა.

- ისედაც ხომ მხედავ, ჯონ კოფი?

ამაზე არაფერი მიპასუხა, უჩვეულო, არაფრის მთქმელი მზერით გააგრძელა ჩემი თვალიერება. ამოვიოხრე.

- კარგი, მოვდივარ.

თავისი საკნის გისოსებთან მდგარ დელაკრუას გავხედე. მისტერ ჯინგლსი, მისი შინაური თაგვი (დელაკრუა ამტკიცებდა მისტერ ჯინგლსი მე გავწვრთენიო, მაგრამ E ბლოკში მომუშავეები ერთ აზრზე ვიდექით, რომ მისტერ ჯინგლსმა თვითონ გაიწვრთნა თავი) დელაკრუას გაშვერილ ხელისგულებზე, როგორც ცირკის არენაზე მდგარ მაღალ პლატფორმებზე, აკრობატივით წინ და უკან ხტოდა. შავი თვალები უელვარებდა, ყურები თავზე მიეწკიპა. თაგვს აშკარად დელაკრუას ნერვიულობა გადასდებოდა. მან ჩემ თვალწინ ჩაირბინა დელაკრუას ფეხზე, საკნის მეორე ბოლოდან ფერადი ძაფის კოჭი მოაგორა და პატრონს მონდომებით ახედა. მაგრამ ჩია ფრანგს იმ მომენტში პატარა მეგობრისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

- რა მოხდა, ბოს? - მკითხა დელაკრუამ, - ვინ დაშავდა?

- ყველაფერი რიგზეა, - ვუპასუხე მე, - ახალი პატიმარი ლომივით შემოვარდა, მაგრამ ახლა კრავივით თვინიერია. ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება.

- ჯერ არ დამთავრებულა, - თქვა დელაკრუამ და იმ საკნისკენ გაიხედა, რომელშიც უორტონი უგონოდ ეგდო, - L'homme mauvais, c'est vrai.[11]

- შენ ნუ დაღონდები, დელ, - ვუთხარი მას, - ეზოში მაგასთან ერთად სახტუნელათი თამაშს არავინ დაგაძალებს.

უკნიდან ჭრაჭუნის ხმა მომესმა. ჯონ კოფი საწოლიდან წამოდგა.

- ბოს ეჯკუმ! - ისევ დამიძახა, - უნდა გელაპარაკოთ! - ამჯერად დაჟინებით მთხოვა.

კარგი, მოვდივარ, საუბარი ხომ ჩემი საქმეა-მეთქი, გავიფიქრე და კოფის საკნისკენ მივბრუნდი. ვცდილობდი, არ ავკანკალე-

[11] ცუდი ადამიანია (ფრ).

ბულიყავი, რადგან, როგორც ხშირად ხდება, ცხელების ნაცვლად ციება დამეწყო. მხოლოდ საზარდული მიხურდა ძველებურად, თითქოს შუაზე გაეჭრათ, შიგ ცეცხლმოკიდებული ნახშირი ჩაეყარათ და მერე ისევ გაეკერათ.

- მიდი, ილაპარაკე, ჯონ კოფი, - ვცადე უდარდელი, მშვიდი ხმა მქონოდა. E ბლოკში ჯონ კოფი პირველად გამოიყურებოდა ისე, თითქოს მართლაც აქ, ჩვენთან ერთად იყო. ცრემლი დროებით აღარ სდიოდა და მივხვდი, რომ იმას ხედავდა, რასაც უყურებდა - მისტერ პოლ ეჯკუმს, E ბლოკის უფროს ზედამხედველს და არ ფიქრობდა სადღაც სხვაგან დაბრუნებას, სადაც ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებას ეცდებოდა.

- არა, - თქვა მან, - აქ შემოდით.

- ხომ იცი, რომ მაგას ვერ ვიზამ, - ლაღი ტონი შევინარჩუნე, - ყოველ შემთხვევაში, ამ წუთას. ახლა E ბლოკში მარტო ვარ, შენ კი ჩემზე ტონანახევრით მძიმე ხარ. ამ დილით ერთი აურზაური უკვე გვქონდა და საკმარისია. თუ გინდა, შენ მანდ იდექი და ასე ვილაპარაკოთ...

- გთხოვთ! - გისოსებს ისე ძლიერად უჭერდა ხელებს, თითები და ფრჩხილები სულ გათეთრებოდა. მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ. მახსოვს, ვიფიქრე, ალბათ, მიზეზს მივხვდებოდი, ცუდად რომ არ ვიყო და ეს მასთან საუბარში დამეხმარებოდა-მეთქი. როცა იცი, რა აწუხებს ადამიანს, უკეთ იცნობ მას. - გთხოვთ, ბოს ეჯკუმ! უნდა შემოხვიდეთ!

ასეთი სიგიჟე პირველად მესმის-მეთქი, გავივლე გულში და უცებ გავიაზრე, რომ უფრო დიდ სიგიჟეს ვაკეთებდი: საკანში შევდიოდი. ქამრიდან გასაღების ასხმა მომეხსნა და ჯონ კოფის საკნის გასაღებს ვარჩევდი. კოფი ჯანზე მყოფსაც ცალი ხელით ამწევდა და მუხლზე ხის ნაფოტივით გადამიმტვრევდა, მე კი ისედაც ძლივს ვიდექი ფეხზე. მიუხედავად ამისა, საკანში შესვლას ვაპირებდი. სულ რაღაც ნახევარი საათის წინ თვალნათლივ ვნახე,

თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს სიბრიყვემ და დაუდევრობამ სიკვდილმისჯილთან ურთიერთობისას, მაგრამ შავკანიან გოლიათთან შესვლას და მის საწოლზე ჩამოჯდომას მაინც ვაპირებდი. ვინმე რომ შემოგვსწრებოდა, აუცილებლად დამითხოვდნენ, თუნდაც კოფის არაფერი დაეშავებინა ჩემთვის. თუმცა, მე აღარაფერი მანაღვლებდა.

„შეჩერდი, შეჩერდი-მეთქი, პოლ“, - ვფიქრობდი გულში, მაგრამ ვერ შევჩერდი. ერთი გასაღები ზედა საკლიტურში შევყავი, მეორე - ქვედაში, ორივე გადავატრიალე და კარი გავაღე.

- ბოს, არა მგონია, ეგ კარგი აზრი იყოს, - ისე სერიოზულად მითხრა აღელვებულმა დელაკრუამ, რომ სხვა შემთხვევაში, ალბათ, ხარხარი ამიტყდებოდა.

- შენ შენს საქმეს მიხედე, მე ჩემსას მივხედავ, - მისკენ შეუტრიალებლად ვუთხარი. ჯონ კოფის თვალს არ ვაშორებდი, ჩემი მზერა მასზე იყო მიჯაჭვული, თითქოს ჰიპნოზი გამიკეთაო. საკუთარი ხმა ყრუ ექოდ ჩამესმოდა ყურში. ჯანდაბა, შეიძლება, მართლაც ჰიპნოზის ქვეშ ვიყავი. - დაწექი და დაისვენე.

- ღმერთო, აქაურობა ნამდვილი საგიჟეთია, - აკანკალებული ხმით თქვა დელაკრუამ, - მისტერ ჯინგლს, ნეტა ელექტროსკამზე მალე დამსვამდნენ და მორჩებოდნენ ამ ამბავს!

კოფის საკანში შევედი. რომ მივუახლოვდი, ის განზე გადგა. წვივებით საწოლს რომ შეეხო - აი, რამხელა იყო! - ზედ ჩამოჯდა. ლეიბზე მოათათუნა ხელი და თავისთან მიხმო ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია. მის გვერდით რომ ჩამოვჯექი, მხრებზე ხელი გადამხვია, თითქოს კინოში ვისხედით, მე კი მისი შეყვარებული გოგო ვიყავი.

- რა გინდა, ჯონ კოფი? - ვკითხე და კვლავ იმ სევდიან თვალებში ჩავხედე.

- მინდა, რომ დაგეხმაროთ, - მიპასუხა და ამოიხვნეშა კაცივით, რომელსაც რაღაცას ძალითაკეთებინებენ. შემდეგ ხელი ჭიპს ქვემოთ ჩამიცურა და საზარდულზე მომადო.

- ეი! - ავყვირდი მე, - მომაშორე ეგ წყეული ხელი...

და შევხტი, თითქოს ელექტროდენმა დამარტყა, ოღონდ არ მტკენია. მოვიკუნტე. გამახსენდა, მოხუცი პიპინა როგორ გაჰყვიროდა, ვიწვი, ვიწვი, შემწვარი ინდაური ვარო. არ მცხელოდა, ელექტროდენს არ დაურტყამს, მაგრამ წუთით ყველაფერი გაუფერულდა, თითქოს სამყარო შეკუმშეს და ოფლი გამოსწურესო. ვხედავდი ჯონ კოფის სახის ყოველ ფორს და წვრილ ნაიარევს მის ნიკაპზე, ვარჩევდი მისი დამწუხრებული, ჩასისხლიანებული თვალების ყოველ ფერს. თითებით ჰაერს ვებღაუჭებოდი და ფეხებს ჯონ კოფის საკნის იატაკზე ვაბრაგუნებდი.

უცებ ყველაფერი დამთავრდა. საშარდე გზების ინფექცია ჩაცხრა. წვა და ტკივილიც გამიქრა, აღარც შუბლი მიხურდა, მხოლოდ ოფლით მქონდა დაცვარული და მისი სუნი მცემდა, მაგრამ აღარ მცხელოდა.

- რა ხდება? - დელაკრუას მწივანა ხმა სადღაც შორიდან გაისმა, მაგრამ როგორც კი კოფიმ მხედველობითი კონტაქტი გაწყვიტა ჩემთან, პატარა ფრანგის ყვირილი მკაფიოდ გავიგონე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ვიღაცამ ყურებიდან ბამბა ამომაცალა. - ბოს, რა ხდება?

მე არ ვუპასუხე. ჯონ კოფი წინ გადახრილიყო, ხელები მუხლებზე ეწყო და ხროტინებდა. თვალები გადმოკარკვლოდა. იფიქრებდით, ქათმის ძვალი გადასცდაო.

- ჯონ! - ზურგზე დავარტყი ხელი, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. - ჯონ, რა მოგივიდა?

ხელის დარტყმაზე კოფი შეხტა, მერე დააბოყინა, თითქოს აღებინებსო. პირი დააღო და კბილები გააშიშვლა ცხენივით, რომელიც ხვიხვინებს და გგონია, რომ იღიმის. კრიჭა გახსნა და პი-

რიდან ქინქლების თუ მუმლების მსგავსი შავი მწერები ამოფრინდნენ, მის მუხლებთან დატრიალდნენ, გათეთრდნენ და გაქრნენ.

უეცრად დიაფრაგმიდან მთელი ძალა გამომეცალა, თითქოს კუნთები სულ გამიწყალდა. კოფის საკნის ქვის კედელს მივენარცხე. მახსოვს, გამუდმებით მაცხოვრის სახელს ვიმეორებდი, ვიფიქრე, სიცხისგან, ალბათ, ბოდვა დამეწყო-მეთქი.

მერე დელაკრუას ყვირილი გავიგონე. ცდილობდა, ვინმესთვის გაეგონებინა, რომ კოფი მკლავდა და ისე ხმამაღლა ყვიროდა, ლამის ფილტვები დასკდომოდა. კი, კოფი თავზე მადგა, მაგრამ ის მხოლოდ იმას არკვევდა, კარგად ვიყავი თუ არა.

- მოკეტე, დელ, - წამოვდექი მე. მეგონა, მუცელში მწვავე ტკივილს ვიგრძნობდი, მაგრამ არაფერი მომხდარა. უკეთ გავხდი. ნამდვილად. ოდნავ თავბრუ დამეხვა, მაგრამ სანამ წონასწორობის შესანარჩუნებლად კოფის საკნის გისოსებს ჩავავლებდი ხელს, გამიარა. - კარგად ვარ, კარგად.

- ახლავე გამოდით მანდედან, - დელაკრუას კაპასი დედაკაცის ხმა ჰქონდა, ცელქ ბიჭუნას ხიდან ჩამოსვლას რომ სთხოვს, - როცა ბლოკში მარტო ხართ, მანდ შესვლა გეკრძალებათ.

ჯონ კოფის შევხედე, რომელსაც ვეება ტორები კუნძებივით მუხლებზე დაეწყო. ჯონ კოფიმ მე ამომხედა. სულ ოდნავ ასწია თავი. დამჯდარიც კი ლამის ჩემსიმაღლე იყო.

- რა მიყავი, დიდო ბიჭო? - ვკითხე ხმადაბლა, - რა მიყავი?

- დაგეხმარეთ, - მიპასუხა მან, - ხომ დაგეხმარეთ?

- მგონი, კი, მაგრამ როგორ? როგორ მიშველე?

მან თავი გააქნია - მარჯვნივ, მარცხნივ და შუაში გააჩერა. არ იცოდა, როგორ მიშველა (როგორ განმკურნა) და მისი მშვილი გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ეს სულ ფეხებზე ეკიდა, ისევე, როგორც მე მკიდია ფეხებზე სირბილის მექანიკა, როცა დამოუკიდებლობის დღეს, სამკილომეტრიანი მარათონის ბოლო ორმოცდაათ მეტრზე ვპირველობ. უპირველეს ყოვ-

ლისა, ის მაინტერესებდა, საერთოდ საიდან გაიგო, რომ ავად ვიყავი, მაგრამ შეკითხვის დასმა გადავიფიქრე, რადგან ამაზეც პასუხად თავის გაქნევას მივიღებდი. სადღაც ერთი ფრაზა ამომიკითხავს, რომელიც არასდროს დამავიწყდება: „იდუმალების ბურუსში გახვეული გამოცანა“, - ეს ფრაზა სწორედ ჯონ კოფის შეეფერება და, ჩემი აზრით, ღამ-ღამობით მხოლოდ იმიტომ შეეძლო ძილი, რომ ეს არ ანაღვლებდა. პერსი მას გონებაჩლუნგს ეძახდა; მკაცრი, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო მეტსახელი იყო. ჩვენმა გოლიათმა თავისი სახელი იცოდა; იცოდა, რომ ის სასმელის სახელივით წარმოითქმებოდა, მაგრამ სხვანაირად იწერებოდა და ამის მეტი არაფერი აინტერესებდა.

მან კიდევ ერთხელ გააქნია თავი, თითქოს სურს ჩემი აზრის სისწორეში საბოლოოდ დამარწმუნოსო. მერე საწოლზე წამოწვა, კედლისკენ გადაბრუნდა და ხელები მარცხენა ლოყის ქვეშ ბალიშივით ამოიდო. კანჭები საწოლიდან ჰქონდა გადმოშვერილი, მაგრამ ეს არ აწუხებდა. ზურგზე პერანგი აეწია და ნაიარევები გამოუჩნდა.

საკნიდან გავედი, კარი ჩავკეტე და დელაკრუას შევხედე, რომელსაც თავისი საკნის გისოსებისთვის ხელები ჩაევლო და აღელვებული თვალს არ მაცილებდა. მგონი, ძალიან დაფრთხა. მის მხარზე მისტერ ჯინგლსი ჩამოსკუპებულიყო და კოხტა ულვაშები ნათურის ძაფივით უთრთოდა.

- რა გიყოთ იმ შავმა კაცმა? - მკითხა დელაკრუამ, - გრის-გრისი[12] ჰქონდა? გრის-გრისი მოგადოთ? - ლუიზიანელი ფრანგის მიერ უშნო აქცენტით წარმოთქმული „გრის-გრისი“ „ფისი-ფისად“ ჩამესმა.

- ვერ ვხვდები, რას მეკითხები, დელ.

[12] ვუდუს ამულეტი.

- არაფერიც, კარგად ხვდებით! ერთი თქვენს თავს შეხედეთ! სულშეიცვალეთ! სიარულითაც სხვანაირად დადიხართ, ბოს!

ალბათ, მართლაც სხვანაირად დავდიოდი. ფეხებშუა ტკივილი დამიცხრა და ლამის ექსტაზში ვიყავი - ყველა, ვისაც მძიმე ტკივილი განუცდია და მერე გამომჯობინებულა, მიხვდება, რასაც ვგულისხმობ.

- ყველაფერი რიგზეა, დელ, - დავიჟინე მე, - ჯონ კოფის კოშმარი ესიზმრა, სულ ესაა.

- გეუბნებით, ჯადოქარია ეგ კაცი! - გაფიცხდა დელაკრუა. ზედა ტუჩი ოფლით დასცვაროდა. ყველაფერი არ უნახავს, თორემ შიშით მთლად გული გაუსკდებოდა. - ვუდუს შამანია!

- რატომ გგონია?

დელაკრუამ თაგვი მხრიდან ხელით აიყვანა და სახესთან მიიტანა. ჯიბიდან პიტნის კანფეტის ვარდისფერი ნატეხი ამოიღო და ხელისგულზე თაგვს წინ დაუდო. მისტერ ჯინგლსმა კანფეტს ყურადღება არ მიაქცია და ჯერ პატრონის ამონასუნთქი შეიყნოსა, თითქოს ყვავილის თაიგულს სუნავსო. დაბოლილივით მოჭუტა პაწაწინა, შავი თვალები. დელაკრუამ მას ცხვირზე აკოცა. თაგვი არ შეწინააღმდეგებია. შემდეგ შემოთავაზებული კანფეტის ნატეხის ლოღნა დაიწყო. დელაკრუა მას კიდევ რამდენიმე წამს უყურებდა და შემდეგ მე შემომხედა. მაშინვე ყველაფერს მივხვდი.

- თაგვმა გითხრა, - ვთქვი, - ხომ ასეა?

- Oui.[13]

- ისევე, როგორც თავისი სახელი ჩაგჩურჩულა?

- Oui. ყურში მეჩურჩულება.

- დაწე, დელ, - ვუთხარი მე, - ცოტა დაისვენე. ეტყობა, ამ ჩურჩულებმა ძალიან გადაგღალა.

[13] დიახ (ფრ).

კიდევ რაღაც თქვა, მგონი, გამომლანძღა, რომ არ ვუჯერებდი. მისი ხმა ისევ შორიდან მომესმა. მაგიდასთან კი არ მივედი, თითქოს მივფარფატდი - ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ერთ ადგილას ვიდექი და უხილავ ბორბლებზე მდგარი კედლები თვითონ მივლიდნენ გვერდს.

დაჯდომა რომ დავაპირე, მუხლები მომეკვეთა და ლურჯ ბალიშზე დავეცი, რომელიც ერთი წლის წინ ჰარიმ მოიტანა სახლიდან სკამზე დასადებად. სკამი იქვე რომ არ მდგარიყო, თვალის დახამხამებას ვერ მოვასწრებდი, ისე დავეცემოდი იატაკზე.

გაშეშებული ვიჯექი. ფეხებშუა, სადაც ათიოდე წუთის წინ ხანძარი მძვინვარებდა, ახლა ვეღარაფერს ვგრძნობდი. ხომ დაგეხმარეთო, მკითხა ჯონ კოფიმ და ჩემი ორგანიზმი მართლაც შვებას გრძნობდა. თუმცა, სულიერი სიმშვიდე მაინც ვერ მოვიპოვე. ამაში კოფი ვერ მომეშველა.

მაგიდის კუთხეში საფერფლის ქვეშ დაწყობილი ბლანკებისკენ გამექცა თვალი. ზედა ფურცელს თავზე „ბლოკის ანგარიში“ ეწერა, ხოლო ქვემოთ იუო გრაფა „მოხსენება უჩვეული შემთხვევების შესახებ“ რომლის ქვეშ სუფთა ადგილი იყო დატოვებული. იქ ამ საღამოს უილიამ უორტონის მხიარული და ხმაურიანი გამოჩენის შესახებ ანგარიშის ჩაწერას ვაპირებდი, მაგრამ ღირდა კი, ჯონ კოფის საკანში მომხდარიც მეხსენებინა? წარმოვიდგინე, რომ ავიღე ფანქარი, რომელსაც ბრუტუს ჰაუელი წვერს ულოკავდა ხოლმე და ფურცელზე დიდი ასოებით დავწერე „სასწაული“.

სიცილის ნაცვლად, ტირილი მომინდა და პირზე ხელი ავიფარე, რომ არ ავქვითინებულიყავი. არ მინდოდა, ძლივს დაწყნარებული დელაკრუა ისევ ამეღელვებინა. არ ავქვითინებულვარ. ცრემლი არ წამომსვლია. ხელები მაგიდაზე დავაწყვე. ვერ ვხვდებოდი, რას ვგრძნობდი, მხოლოდ ის მინდოდა, ბლოკში ცოტა ხნით არავინ შემოსულიყო, რომ თავი ხელში ამეყვანა. მეშინოდა, ვინმემ სახეზე რამე არ შემატყოს-მეთქი.

საფერფლის ქვემოდან ბლანკი გამოვიღე. გადავწყვიტე, ჩვენს ახალ პრობლემურ ბავშვზე, რომელმაც დინ სტინტონი კინაღამ დაახრჩო, მოგვიანებით შემედგინა ანგარიში, მანამდე კი სტანდარტული დეტალები შემევსო. იმისიც მეშინოდა, რომ ხელი ამიკანკალდებოდა და ხელწერას გავაფუჭებდი, მაგრამ ჩვეულებრივად ვწერდი.

ხუთი წუთის შემდეგ ფანქარი გადავდე და კაბინეტის გვერდით ტუალეტში შევედი მოსაშარდად. დიდად არ მინდოდა, მაგრამ ვერ მოვითმინე, რომ არ შემემოწმებინა, ბოლოს და ბოლოს, რა დამემართა. სანამ ვიდექი და ველოდი, შარდვას როდის დავიწყებდი, ვიფიქრე, რომ ისევ ისეთივე ტკივილს ვიგრძნობდი, როგორიც დილით ვიგრძენი, როცა მეგონა, რომ შარდს მინის ნამტვრევები მოჰყვებოდა; რომ ის, რაც კოფიმ გამიკეთა, მხოლოდ დროებითი შვების მომგვრელი ჰიპნოზი იყო.

თუმცა, ტკივილი არ მიგრძვნია და უნიტაზში მხოლოდ სუფთა შარდი ჩაიღვარა, ყოველგვარი ჩირქის გარეშე. შარვლის უბე შევიკარი, უნიტაზი ჩავრეცხე, ტუალეტიდან გამოვედი და ისევ მორიგის მაგიდასთან დავჯექი.

მივხვდი, რაც მოხდა; მგონი, ამას მაშინაც ვხვდებოდი, როცა თავს ვირწმუნებდი, კოფიმ დამაჰიპნოზა-მეთქი. მე განვიკურნე ჭეშმარიტი ღვთიური ძალით. ბავშვობაში დედაჩემს და მის დებს ხან ბაპტისტურ ეკლესიებში დავყვებოდი, ხან „ორმოცდაათიანელებისაში“ და უფლის სასწაულებზე ბევრჯერ მსმენია. მათგან უმეტესობის ჭეშმარიტების არ მჯეროდა, სამაგიეროდ, მჯეროდა ბევრი ადამიანის. ერთ-ერთს როი დელფინესი ერქვა, ექვსი წლის რომ ვიყავი, ჩვენგან სამიოდ კილომეტრში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. დელფინესმა თავის ბიჭს, რომელიც შეშის დაჭრაში ეხმარებოდა, ცულით შემთხვევით ცერა თითი წააცალა. როი დელფინესი ამტკიცებდა, მთელი შემოდგომა და ზამთარი მუხლებზე მდგარი იმდენს ვლოცულობდი, ხალიჩა გავცვითე და

ჩემს ბიჭს თითი ისევ ამოეზარდაო. ფრჩხილიც კი ამოუვიდაო. როი დელფინესმა ეს ამბავი ხუთშაბათ ღამის წირვაზე დაამოწმა და მეც დავუჯერე. კომბინეზონის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ისე გულწრფელად ყვებოდა, რომ ძნელი იყო, არ დაგეჯერებინა მისთვის. ჩემს ბიჭს თითი რომ ეზრდებოდა, ძალიან ექავებოდა და ღამ-ღამობით ვერ იძინებდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს ღვთიური ქავილი იყო და ითმენდაო, თქვა როი დელფინესმა.

მსგავსი სასწაულებრივი განკურნების ისტორიები არაერთხელ მომისმენია ბავშვობაში. მე გრის-გრისისაც მჯეროდა, მეჭეჭების სამკურნალო ჭაობის წყლისა, დაკარგული სიყვარულის გამო გატეხილი გულის გასამთელებლად ბალიშის ქვეშ ამოდებული ხავსისა, და რა თქმა უნდა, მოჩვენებებისაც. თუმცა, ჯონ კოფის ჯადოქრობის არ მჯეროდა. მე მის თვალებში ჩავიხედე. რაც მთავარია, მისი შეხება ვიგრძენი. მისი შეხება უცნაური და უჩვეულო ექიმის შეხებას ჰგავდა.

„ხომ დაგეხმარეთ?“

თავში მიტრიალებდა მისი სიტყვები, როგორც აკვიატებული სიმღერა ან ჯადოსნური შელოცვა.

„ხომ დაგეხმარეთ?“

მაგრამ ის არ დამხმარებია. ღმერთი დამეხმარა. ჯონ კოფიმ კი მკითხა, ხომ დაგეხმარეთო, მაგრამ ეს უცოდინრობით მოუვიდა და არა ქედმაღლობით. მე კი დედაჩემთან და დეიდაჩემებთან ერთად წირვებზე ვისწავლე, რომ განკურნება სნეულის და მკურნალის კი არა, ღვთის ნებაა - მე ასე მწამდა. სნეულის განკურნება სასიხარულოა და, ბუნებრივია, რომ განკურნებული ხარობს, მაგრამ, იმავდროულად, მას ევალება საკუთარ თავს ჰკითხოს, რატომ? დაფიქრდეს ღვთის ნებაზე და იმ არაჩვეულებრივ გზებზე, რომელიც ღმერთს მისი ნების განსახორციელებლად დასჭირდა.

ჩემ შემთხვევაში რა უნდოდა ღმერთს ჩემგან? რატომ მისცა

განმკურნებელი ძალა ბავშვების მკვლელს? ღმერთს არ სურდა, სახლში ვგდებულიყავი მომაკვდავი ძაღლივით აკანკალებული და შარდის სუნით აყროლებული. მას სურდა, რომ ე ბლოკში დავრჩენილიყავი! ვითომ იმიტომ, რომ ველური ბილ უორტონის მორიგი გიჟური გამოხტომისთვის შემეშალა ხელი თუ იმიტომ, რომ პერსი უეტმორს არ ჩაედინა რამე სულელური და დამანგრეველი? კარგი, მაშ თუ ეგრეა, თვალები გახელილი მექნება, პირი კი დამუწული და სასწაულზე არავის არაფერს გავუმხელ-მეთქი, გადავწყვიტე.

ყველას იმას ვეუბნებოდი, თავს უკეთ ვგრძნობ-მეთქი და ალბათ, არც არავინ დაეჭვდებოდა, რომ ჯანმრთელად გამოვიყურებოდი. სხვათა შორის, იმ დღემდე ამის მე თვითონაც მჯეროდა. ციხის უფროს მურსსაც კი ვუთხარი, გამომჯობინების გზას ვადგავარ-მეთქი. დელაკრუამ კი დაინახა რაღაც, მაგრამ ვიცოდი, რომ ხმას არ ამოიღებდა (ჯონ კოფის შიშით, მეც არ მომაჯადოვოსო). თავად ჯონ კოფის კი მომხდარი, ალბათ, აღარც ახსოვდა. ის მხოლოდ წყალსადინარი არხი იყო - ნაწვიმარზე ვერც ერთი წყალსადინარი ვერ გაიხსენებს, რომ მასში წყალი მიედინებოდა. ერთი სიტყვით, პირზე ბოქლომი დავიდე. არ მეგონა, ოდესმე ვინმეს თუ გავუმხელდი ამის შესახებ.

თუმცა, საკანში მომხდარის შემდეგ ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, ამას ვაღიარებ. ჩვენმა გოლიათმა ძალიან დამაინტერესა.

# 4

იმ ღამით სამსახურიდან წამოსვლამდე ბრუტუსს ვთხოვე, შეიძლება ხვალ დილით შემაგვიანდეს და ცოტა ხნით შემცვალეთქი. მეორე დილით ადრიანად გავეშურე ქალაქ ტეფტონისკენ ტრაპინგუსის ოლქში.

- არ მომწონს, იმ ჯონ კოფიზე ამდენს რომ დარდობ, - მითხრა ჩემმა ცოლმა, როცა საგზალს მაწვდიდა - ჯენისს გზისპირა ჰამბურგერის ჯიხურები არ უყვარდა, ამბობდა, მანდ ყველგან მუცლის ტკივილია ჩასაფრებულიო, - ეს შენ არ შეგეფერება, პოლ.

- სულაც არ ვდარდობ, - ვუპასუხე მე, - მხოლოდ ცნობისმოყვარეობა მაწუხებს.

- პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ ერთი მეორესთან ყოველთვის კავშირშია, - მკვახედ მომახალა ჯენისმა და ტუჩებში ვნებიანად მაკოცა, - ყოველ შემთხვევაში, უკეთ გამოიყურები. ამ ბოლო დროს საკმაოდ მანერვიულე, ხომ იცი. „წყალსადინარი“ გაიწმინდა?

- კი, - ვუპასუხე და მხიარული სიმღერის ღიღინით გზას გავუდექი.

ჯერ გაზეთ „ინტელიჯენსერის“ რედაქციაში შევიარე. იქ მითხრეს, ბერტ ჰამერსმითი, ჟურნალისტი, მე რომ ვეძებდი, ალბათ, საოლქო სასამართლოში იქნებაო. საოლქო სასამართლოში მითხრეს, ჰამერსმითი აქ იყო, მაგრამ წყლის მილი გასკდა, სასამართლო პროცესი გადაიდო და ისიც წავიდაო. თურმე სასამართლო ქალის გაუპატიურების საქმეს განიხილავდა (თუმცა, „ინტელიჯენსერის“ ფურცლებზე ის „ქალზე თავდასხმად“ მოენათლათ; ამგვარად აღწერდნენ ასეთ საქმეებს, სანამ სცენაზე რიკი

ლეიკი და კარნი უილსონი[14] გამოჩნდებოდნენ). ალბათ, სახლში წავიდოდაო და მისკენ გზა მიმასწავლეს. ისეთ ვიწრო და ოღრო-ჩოღრო გზაზე ვიარე, რომ ერთ მომენტში უკან გამობრუნებაც კი დავაპირე. ჩემი „ფორდით“ ძლივს მივჯაყჯაყდი ჟურნალისტის სახლამდე. კოფის სასამართლო პროცესს სწორედ ჰამერსმითი მიმოიხილავდა და მისივე სტატიიდან შევიტყვე მრავალი დეტალი კოფიზე ნადირობისა და მისი დაპატიმრების შესახებ - ისეთი საშინელი დეტალები, რომ „ინტელიჯენსერმაც“ კი ვერ გაბედა მათი დაბეჭდვა.

მისის ჰამერსმითი გამომეგება, ახალგაზრდა, პირმშვენიერი ქალი, სარეცხი საპნით რეცხვისგან ხელებგაწითლებული და გადაღლილი. არ უკითხავს, რა საქმეზე ვიყავი, ნამცხვრის სუნით დამტკბარ პატარა სახლში შემიძღვა და უკანა ვერანდაზე გამიყვანა, სადაც მისი ქმარი იჯდა. მას ხელში ლიმონათის ქილა ეჭირა, კალთაში კი დაკეცილი ჟურნალი „ლიბერთი“ ედო. პატარა უკანა ეზო ცერად ეშვებოდა დაღმა. ეზოს განაპირას ორი ბავშვი საქანელაზე დასაჯდომად ერთმანეთს ეძიძგილავებოდა და იცინოდა. ვერანდიდან მათი სქესის გარჩევა ჭირდა, მაგრამ მგონი, ბიჭი და გოგო იყვნენ. შესაძლოა, ტყუპიც იყო და ეს გარკვეულ ნათელს ჰფენდა მათი მამის დაინტერესებას (მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ დარბაზიდან ადევნებდა თვალს) ჯონ კოფის სასამართლო პროცესით. იქვე ახლოს, გატკეპნილი, ხმელი განავლით დაფარული მიწის მონაკვეთის შუაგულში კუნძულივით აღმართულიყო ბუდრუგანა. თავად ძაღლი არსად ჩანდა; ალბათ, სეზონისთვის უჩვეულო სიცხეს შიგნით ემალებოდა და თვლემდა.

- ბერტ, სტუმარი გყავს, - უთხრა ქმარს მისის ჰამერსმითმა.

[14] ამერიკული თოქ-შოუების წამყვანები.

- კარგი, - ბერტმა ჯერ მე შემომხედა, მერე ცოლზე გადაიტანა მზერა და ბოლოს - შვილებზე; როგორც ჩანს, მათი ცქერით ტკბებოდა. გამხდარი კაცი იყო, იმდენად გამხდარი, გეგონებოდათ, ახლახან მძიმე ავადმყოფობა გადაუტანიაო. თავზე თმა შეთხელებოდა. ცოლი გაწითლებული, რეცხვით გასივებული ხელით გაუბედავად შეეხო მას მხარზე. ქმარს მისი ხელისთვის არ შეუხედავს, არც შეხებია და მისის ჰამერსმითმა ხელი აიღო. რატომღაც მომეჩვენა, რომ ცოლ-ქმარს კი არა, და-ძმას უფრო ჰგავდნენ - კაცს ჭკუა ჰქონდა, ქალს - სილამაზე, რაღაცით დედმამიშვილებს წააგავდნენ; თუმცა, შინისაკენ მიმავალმა გავიაზრე, რომ სინამდვილეში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდნენ, მხოლოდ გადატანილი სტრესის შედეგად დარჩენილი მწუხარება ჰქონდათ საერთო. საოცარია, როგორ აღიბეჭდება ხოლმე ჩვენს სახეზე ტკივილი და როგორ გვანათასავებს ერთმანეთს.

- რამე ცივი ხომ არ გნებავთ, მისტერ?..

- ეჯკუმ, - ვუპასუხე, - პოლ ეჯკუმი მქვია. გმადლობთ. რამე ცივს სიამოვნებით დავლევ.

ქალი შიგნით შებრუნდა. მე ბერტ ჰამერსმითს გავუწოდე ხელი და მანაც სულ რამდენიმე წამით ცივად ჩამომართვა. ეზოს ბოლოს მოთამაშე შვილებისთვის თვალი არ მოუშორებია.

- მისტერ ჰამერსმით, მე სასჯელაღსრულების დაწესებულების E ბლოკის უფროსი ზედამხედველი ვარ. ციხეს „ქოულდ მაუნთინი“ ჰქვია...

- ვიცი, ეგ რომელიცაა, - ამჯერად უფრო მეტი ინტერესით ამომხედა ჰამერსმითმა, - მაშ, ჩემს ვერანდაზე თავად სიკვდილმისჯილთა ბლოკის უფროსი მცველი დგას? ოთხმოცი კილომეტრი რაიონული გაზეთის ერთადერთ შტატიან თანამშრომელთან შესახვედრად რატომ გამოიარეთ?

- ჯონ კოფის გამო, - ვუპასუხე.

უფრო მძაფრ რეაქციას ველოდი მისგან (ეტყობა, ეზოში მოთამაშე ბავშვებმა და ძაღლმა - დეტერიკებსაც ხომ ჰყავდათ ძაღლი - ჩემზე ძლიერ იმოქმედა), მაგრამ ჰამერსმითმა მხოლოდ წარბები აზიდა და ქილიდან ლიმონათი მოხვრიპა.

- მაშ, კოფი ახლა თქვენს პრობლემად იქცა, არა? - თქვა მან.

- არა, ის პრობლემებს სულაც არ გვიქმნის, - ვუთხარი მე, - სიბნელის ეშინია და ღამ-ღამობით ბევრს ტირის, მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ გვიშლის. უარესიც გვინახავს.

- მაშ, ბევრს ტირის? - გაიმეორა ჰამერსმითმა. - მე თუ მკითხავთ, სატირლად მართლაც აქვს საქმე, ისეთი რამ ჩაიდინა. თქვენ რა გაინტერესებთ?

- ყველაფერი, რისი თქმაც შეგიძლიათ. თქვენი საგაზეთო სტატიები წავიკითხე. ახლა იმის მოსმენა მინდა, რაც იმ სტატიებში ვერ მოხვდა.

ჰამერსმითმა მშრალი, გამჭოლი მზერა მომაპყრო.

- კერძოდ, პატარა გოგოები როგორ გამოიყურებოდნენ? ან რა უყო მათ ჯონ კოფიმ? ეს გაინტერესებთ, მისტერ ეჯკუმ?

- არა, - მშვიდი ტონი შევინარჩუნე, - ტყუპი დეტერიკები არ მაინტერესებს, სერ. საბრალო გოგონები უკვე მკვდრები არიან. აი, ჯონ კოფი კი ჯერაც ცოცხალია და მისი ამბავი მაინტერესებს.

- კარგი, - თქვა ჰამერსმითმა, - აი, მაგ სკამზე ჩამოჯექით, მისტერ ეჯკუმ. მაპატიეთ, თუ ცოტა გავცხარდი, მაგრამ ისეთი პროფესია მაქვს, ბევრ სვავთან მიწევს ურთიერთობა. ჯანდაბა, მეც არაერთხელ დავუდანაშაულებივარ უსულგულობაში. თქვენც შეგამოწმეთ.

- და რა დაადგინეთ?

- დავრწმუნდი, რომ თქვენც ერთ-ერთი მათგანი არ ხართ, - გულგრილად თქვა ჰამერსმითმა. მან მიამბო ყველაფერი, რაც უკვე აღვწერე - როგორ შენიშნა მისის დეტერიკმა დაცარიელებული ვერანდა, ზედა ანჯამიდან ამოგდებული ბადეაკრული კა-

რი, საწოლის კუთხეში მიყრილი საბნები და ხის საფეხურებზე სისხლის ლაქები. მისი ქმარი და ვაჟიშვილი გოგონების გამტაცებლის კვალს დაადგნენ; მათ მაშველების ჯგუფი წამოეწია და ცოტა ხანში ჯონ კოფის მიაგნეს. ჯონ კოფი მდინარის პირას იჯდა და მოთქვამდა, გოგონების ცხედრები თოჯინებივით ეჭირა ხელში. საყელოშეხსნილ თეთრპერანგიანი და ნაცრისფერშარვლიანი ჟურნალისტი უემოციოდ, ხმადაბლა ყვებოდა ამ ყველაფერს, მაგრამ თვალს არ აშორებდა ფერდობის ძირას საქანელაზე რიგრიგობით მოქანავე, მხიარულად მოცინარ შვილებს. შუა საუბარში მისის ჰამერსმითმა გემრიელი, ცივი და მაგარი შინნახარში ლუდი შემოგვიტანა. ისიც ვერანდაზე დარჩა და კარგა ხანს ყურს გვიგდებდა, მერე შვილებს დაუძახა, ახლავე ამოდით, ნამცხვარი უკვე გამოცხვაო.

- მოვდივართ, დედიკო! - მოისმა გოგონას ხმა და მისის ჰამერსმითი ოთახში შებრუნდა.

ბერტ ჰამერსმითმა ამბის მოყოლა დაასრულა და მკითხა:

- ეს ყველაფერი რატომ გაინტერესებთ? ციხის მცველი სახლში არასდროს მწვევია, თქვენ პირველი ხართ.

- ხომ გითხარით...

- ჰო, ცნობისმოყვარეობა გაწუხებთ. ხალხი ცნობისმოყვარეა. მადლობა ღმერთს ამისთვის, თორემ სამსახურს დავკარგავდი. თუმცა, ოთხმოცი კილომეტრის გამოვლა, მით უმეტეს, რომ ბოლო ოცი კილომეტრი გაფუჭებულ გზაზე იარეთ, უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო ცოტა გასაკვირია. იქნებ სიმართლე მითხრათ, მისტერ ეჯკუმ? მე ხომ დავაკმაყოფილე თქვენი ცნობისმოყვარეობა, ახლა თქვენც დააკმაყოფილეთ ჩემი.

რატომ წამოვედი და, ჯონ კოფიმ ხელები დამადო და საშარდე გზების ინფექციისგან განმკურნა. ორი პატარა გოგოს გამაუპატიურებელმა და მკვლელმა მიშველა. მე კი არა, ნებისმიერი დაინტერესდებოდა მისით. იმასაც კი ვფიქრობდი, შერიფმა ჰომერ

კრიბუსმა და მისმა თანაშემწე რობ მაკჯიმ უდანაშაულო კაცი ხომ არ დაიჭირეს-მეთქი. ძნელია, ბავშვების გაუპატიურებასა და მკვლელობაში დაადანაშაულო კაცი, რომელსაც მკურნალი ხელები აქვს.

თუმცა, ამის ჰამერსმითისთვის თქმა არ ივარგებდა.

- ორი რამ მაინტერესებდა, - ვთქვი, - პირველი, ადრეც თუ ჩაუდენია მსგავსი დანაშაული.

ჰამერსმითი ჩემკენ შემობრუნდა. მის მახვილ მზერაში დაინტერესება შევამჩნიე. აშკარად გონიერი კაცი იყო. ჭკუა ნაღდად არ აკლდა.

- რატომ? - მკითხა მან. - რამე იცით, ეჯკუმ? კოფიმ რამე გაგიმხილათ?

- არაფერი. მაგრამ კაცი, ვინც ასეთ რამეს ჩადის, ადრეც ჩაიდენდა დანაშაულს. ასე ვთქვათ, ოდესღაც გემო ხომ უნდა გაეგო ამისთვის.

- ჰო, მართალი ხართ, - დამეთანხმა ჰამერსმითი, - ასე ხდება ხოლმე.

- ვიფიქრე, მის წარსულს გამოვიძიებ და იქნებ კიდევ რამე დავადგინო-მეთქი. ამხელა კაცის და, მით უმეტეს, ზანგის კვალის აღება ძნელი არ იქნება.

- ძალიან ცდებით, თუ ასე გგონიათ, - მიპასუხა ჰამერსმითმა, - ყოველ შემთხვევაში, ჯონ კოფის კვალს ასე იოლად ვერ აიღებთ. დამიჯერეთ, ვიცი.

- ეს თქვენც სცადეთ?

- დიახ და ძიება ხელმოცარულმა დავასრულე. ერთი-ორმა რკინიგზის მუშამ მითხრა, მგონი, ორი დღით ადრე, სანამ ტყუპ დეტერიკებს დახოცავდა, ნოქსვილში მოვკარით თვალიო. გასაკვირი არცაა, ის ხომ „სამხრეთის დიდი განშტოების“ ლიანდაგებთან ახლოს, მდინარის გადაღმა დაიჭირეს. ალბათ, ტენესიდან აქამდე მატარებელს ჩამოჰყვა. კენტუკიდან ერთმა კაცმა მომწე-

რა, ამა წლის გაზაფხულზე ვეება, თავხოტორა შავკანიანი დავიქირავე ყუთების სათრევადო. მას კოფის სურათი ვუჩვენე და მითხრა, ეს არისო. ეს არის და ეს... - ჰამერსმითმა მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია.

- ეს ცოტა უცნაურად არ გეჩვენებათ?

- ძალიანაც უცნაურად მეჩვენება, მისტერ ეჯკუმ. ასე მგონია, კოფი ციდან ჩამოვარდა. ვერც თვითონ გეტყვით რამეს. ამ კვირაში წინა კვირის ამბები აღარ ახსოვს.

- დიახ, არ ახსოვს, - ვთქვი მე, - ამას რით ახსნით?

- რით და „დიდი დეპრესიით“, - მიპასუხა ჰამერსმითმა, - ხალხი დღე და ღამე გზაზე დგას. ოკლაჰომელები კალიფორნიაში მიდიან ატმის საკრეფად, ღარიბ თეთრკანიანებს დეტროიტში ავტომანქანების აწყობა უნდათ, მისისიპიელი შავკანიანები ნიუ-ინგლენდში მიდიან ფეხსაცმლის სამკერვალოში ან ტექსტილის ქარხანაში სამუშაოდ. ყველას - თეთრკანიანსაც და შავკანიანსაც - ჰგონია, რომ სადღაც სხვაგან უკეთესი მდგომარეობა დახვდება. ასეთია ეს დაწყევლილი ამერიკული ცხოვრების წესი. თვით ჯონ კოფისნაირ გოლიათსაც კი ვერ შეამჩნევენ ყველგან, სანამ გოგონების დახოცვას არ გადაწყვეტს. პატარა, თეთრკანიანი გოგონების.

- თქვენ ამის გჯერათ? - ვკითხე.

ჰამერსმითმა აუღელვებლად შემომხედა და მიპასუხა:

- ხანდახან მჯერა.

მისმა ცოლმა სამზარეულოს ფანჯრიდან, როგორც მატარებლის ლოკომოტივის კაბინიდან, თავი გამოყო და დაიძახა:

- ბავშვებო! ნამცხვარი მზადაა! - მერე ჩემკენ შემობრუნდა. - შვრიის ქიშმიშიანი ნამცხვარი ხომ არ გნებავთ, მისტერ ეჯკუმ?

- ალბათ, ძალიან გემრიელი იქნება, მემ, მაგრამ ამჯერად უარს ვიტყვი.

- როგორც გნებავთ, - თქვა ქალმა და თავი ისევ შიგნით შეყო.

- მის ტანზე ნაიარევები შეამჩნიეთ? - მკითხა უეცრად ჰამერსმითმა. ის თვალს არ აშორებდა ბავშვებს, რომლებიც ქიშმიშიანი ნამცხვრის ხათრითაც ვერ წყდებოდნენ საქანელას.

- კი, - ვუპასუხე, მაგრამ გამიკვირდა, რომ ეს მასაც ენახა.

ჩემს რეაქციაზე ჰამერსმითს გაეცინა.

- ბრალდებულის ადვოკატმა იმდენი მოახერხა, რომ კოფი ტანზემოთ გააშიშვლა და ნაფიც მსაჯულებს მისი ნაიარევები ანახვა. პროკურორი ჯორჯ პიტერსონი მკაცრად კი აპროტესტებდა, მაგრამ მოსამართლემ მაინც დართო ნება. ბებერ ჯორჯს შეეძლო ძალა დაეზოგა, ამ მხარეში ნაფიც მსაჯულებს მაინც ვერ დააჯერებ იმ ფსიქოლოგიურ აბდაუბდას, რომ ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი დიდობაში უკონტროლო ხდება. მათი აზრით, ხალხმა თავის საქციელზე ყოველთვის უნდა აგოს პასუხი. სიმართლეს გეტყვით, მეც ამ აზრს ვიზიარებ, მაგრამ ის ნაიარევები მართლაც საშინელი იყო... კარგად დააკვირდით მათ, ეჯკუმ?

კოფი საშხაპეში შიშველი მენახა და მივხვდი, რასაც გულისხმობდა ჰამერსმითი.

- ზოლებად ამჩნევია.

- ხვდებით, ეს რასაც ნიშნავს?

- იმას, რომ ბავშვობაში ვიღაც მწარედ შოლტავდა, - ვუპასუხე.

- მაგრამ მისგან ეშმაკის გამოდევნა მაინც ვერ მოუხერხებიათ! ალბათ, აჯობებდა გაშოლტვის ნაცვლად, გზასაცდენილი კნუტივით მდინარეში ჩაეხრჩოთ, არა?

კარგი იქნებოდა, უბრალოდ, დავთანხმებოდი და წამოვსულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. მე ხომ ჯონ კოფის შეხება ვიგრძენი, მე მისი ხელების შეხება ვიგრძენი.

- ის... უცნაურია, - ვთქვი მე, - მაგრამ აგრესიული არ ჩანს. ვიცი მისი შეპყრობის ისტორია და რაც უფრო მეტს ვაკვირდები მას E ბლოკში, დღითიდღე უფრო მიჭირს ამის დაჯერება. მე მოძალადეს კარგად ვიცნობ, მისტერ ჰამერსმით! - რასაკვირველია,

უორტონს ვგულისხმობდი. უორტონს, რომელიც დინ სტენტონს ახრჩობდა და მხიარულად გაჰყვიროდა, ხომ მაგარი წვეულებაა-ო!

ჰამერსმითი ყურადღებით დამაკვირდა და ჩაეღიმა. მისი სკეპტიკური ღიმილი არ შევიმჩნიე.

- თქვენ აქ ჩემი აზრის გასაგებად არ მოსულხართ, შეეძლო თუ არა ჯონ კოფის სადმე სხვაგანაც მოეკლა პატარა გოგონები, - თქვა მან, - აქ იმის გასაგებად მოხვედით, მე თუ მჯერა, რომ ის მკვლელია. ხომ ასეა? გამოტყდით, ეჯკუმ!

ლუდის ბოლო ყლუპი შევსვი, ბოთლი დაბალ მაგიდაზე დავდგი და ვკითხე:

- მერედა, გჯერათ თუ არა?

- ბავშვებო! - სკამიდან ოდნავ წინ გადაიხარა და დაიყვირა ჰამერსმითმა, - ახლავე ამოდით და ნამცხვარი ჭამეთ! - მერე ისევ სკამის საზურგეს მიეყრდნო და შემომხედა. სახეზე ისევ ის სკეპტიკური ღიმილი გამოესახა, მე რომ არ შევიმჩნიე.

- რაღაცას გეტყვით, - მითხრა მან, - და ყურადღებით მისმინეთ, ეს ძალიან დაგაინტერესებთ.

- გისმენთ.

- ძაღლი გვყავდა, სერ გალაჰადი ერქვა, - ბუდრუგანაზე მანიშნა ცერა თითით, - ჯიშიანი ძაღლი არა, მაგრამ მშვიდი და ნაზი კი იყო. ხელსაც აგილოკავდა და ჯოხსაც მოგირბენინებდა. მოკლედ, ასეთი ძაღლები თქვენც ბევრგან შეგხვედრიათ, არა?

თავი დავუქნიე.

- უჯიშო ძაღლი ბევრი რამით ჰგავს ზანგს, - განაგრძო ჰამერსმითმა, - თანდათან ეჩვევი და გიყვარდება. მისგან დიდი ვერაფერი სარგებელია, მაგრამ მაინც არ იშორებ გვერდიდან, რადგან გგონია, რომ უყვარხარ. თუ ბედი გაგიღიმებს, მისტერ ეჯკუმ, ვერასდროს შეიტყობთ, რომ ასე არაა. მე და სინტიას ბედმა არ გაგვიღიმა, - მან ამოიხვნეშა, თითქოს ქარმა გაიზუზუნა ხმელ

ფოთლებში და ისევ ბუდრუგანაზე მანიშნა. მაშინღა შევამჩნიე მისი სიცარიელე და ის, რომ ცხოველის განავალი გამხმარი და გამომშრალი იყო.

- მის მოსაქმებულს მე ვიღებდი ხოლმე, - თქვა ჰამერსმითმა, - ბუდრუგანის სახურავსაც ყოველთვის ვუსწორებდი, რომ წვიმა არ ჩასვლოდაშიგ. სერ გალაჰადი იმ თქვენს სამხრეთელ ზანგს ჰგავდა, საპატიმროში რომ უვლით. იმ ბუდრუგანას ახლოს აღარ ვეკარები იმ შემთხვევის შემდეგ - თუ ამას შემთხვევა შეიძლება ეწოდოს. მას შემდეგ, რაც თოფით ხელში მივედი და ძაღლს ვესროლე, აღარ გავკარებივარ. არ შემიძლია. ალბათ, დროთა განმავლობაში შევძლებ. მის განავალს ავწმენდ და ბუდრუგანასაც დავანგრევ.

ამასობაში ბავშვებიც მოგვიახლოვდნენ და ვინატრე, ნეტა არ მოსულიყვნენ-მეთქი; უეცრად იქიდან შორს მომინდა ყოფნა. გოგონას არაფერი სჭირდა, ბიჭი კი...

ბავშვებმა კიბის საფეხურებზე ამოირბინეს, სიცილით შემომხედეს და სამზარეულოს კარისკენ გაიქცნენ.

- ქეილებ, - დაუძახა ჰამერსმითმა, - ერთი წუთით აქ მოდი.

გოგომ, რომელიც აშკარად ბიჭის ტყუპისცალი იყო, გზა განაგრძო, ბიჭი კი მამასთან მივიდა და თავჩაქინდრული გაჩერდა. მან იცოდა, რომ მახინჯი იყო. ალბათ, ოთხი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ ოთხი წლისა უკვე ხვდები, მახინჯი ხარ თუ არა. მამამ შვილს ნიკაპქვეშ ამოსდო ხელი და სცადა, მისთვის თავი აეწევინებინა. თავიდან შვილმა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ როცა მისტერ ჰამერსმითმა ნაზად და სიყვარულით უთხრა, გთხოვ, შვილოო, ქეილები დამორჩილდა.

სახის ცალ მხარეს გრძელი, მომრგვალებული ნაირევი ეტყობოდა. ნაიარევი შუბლიდან გამოთხრილ თვალამდე ჩადიოდა და პირის კუთხესთან სრულდებოდა იმგვარად, რომ ბიჭს სახეზე მუდმივად ექნებოდა გამოხატული ალმაცერი ღიმილი. ცალი

ლოყა რბილი და ლამაზი ჰქონდა, მეორე - ხის ღეროსავით ხეშეში. ეტყობოდა, რომ ლოყა ერთ დროს გაგლეჯილი ჰქონდა, მაგრამ საბედნიეროდ, შეხორცებულიყო.

- მხოლოდ ერთი თვალი აქვს, - დამახინჯებულ ლოყაზე ნაზად მიეფერა ჰამერსმითი, - ალბათ, ბედმა გაუღიმა, რომ საერთოდ არ დაბრმავდა. ამისთვის დაჩოქილები ვწირავთ მადლობას ღმერთს, არა, ქეილებ?

- დიახ, სერ, - მორცხვად თქვა ბიჭმა, რომელსაც მომავალში სკოლის სათამაშო მოედნებზე უმოწყალოდ სცემდნენ და დასცინებდნენ ჩხუბისთავი კლასელები; რომელსაც არასდროს მიიწვევდნენ ჯგუფური თამაშების სათამაშოდ; რომელიც რომ წამოიზრდებოდა და მამაკაცური საჭიროებები გაუჩნდებოდა, ვერასდროს დაწვებოდა ქალთან, თუ მას ფულს არ გადაუხდიდა; რომელიც ყოველთვის გარიყული იქნებოდა თანატოლებისგან და მომდევნო ორმოცდაათი, სამოცი თუ სამოცდაათი წლის განმავლობაში სარკეში საკუთარი ანარეკლის დანახვისას გულში გაიფიქრებდა: „მახინჯი, მახინჯი, მახინჯი“.

- წადი, ნამცხვარი ჭამე, - უთხრა მამამ შვილს და დამახინჯებულ ლოყაზე აკოცა.

- დიახ, სერ, - თქვა ქეილებმა და შიგნით შევარდა.

- ესენი რომ დაიბადნენ, ძაღლი უკვე ჩვენთან ცხოვრობდა, - თქვა ჰამერსმითმა, - სინტიამ რომ საავადმყოფოდან მოიყვანა, სერ გალაჰადმა ორივეს ხელები აულოკა. პატარა ხელები, - მან თავი დააქნია, თითქოს ნათქვამს თავის თავს უდასტურებსო, - მათთან თამაშობდა; არდენს სახეს ულოკავდა და აცინებდა. ქეილები ყურზე ექაჩებოდა ხოლმე და როცა ფეხი აიდგა, სერ გალაჰადის კუდს ჩაჭიდებული დადიოდა ეზოში. ძაღლს ერთხელაც კი არ შეუღრენია მისთვის. არც მისი დისთვის.

ჰამერსმითს ცრემლები წამოუვიდა, მაგრამ ავტომატურად მოიწმინდა კაცივით, რომლისთვისაც ცრემლები უცხო არაა.

- ყველაფერი უმიზეზოდ მოხდა, - თქვა მან, - ქეილებს მისთვის არ დაურტყამს, არც უყვირია. ვიცი. მეც იქ ვიდექი. მე რომ იქვე არ ვმდგარიყავი, ბიჭი, ალბათ, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. ჩემს ბიჭს ისეთი არაფერი უქნია, მისტერ ეჯკუმ, მხოლოდ სახე მიუტანა ძაღლს ახლოს. სერ გალაჰადს კი

უეცრად თავში აზრად მოუვიდა - თუ ძაღლს საერთოდ აქვს აზროვნების უნარი - ქეილებს დასტაკებოდა და დაეკბინა. მოეკლა კიდეც, თუ შეძლებდა. ბიჭი წინ ედგა და ძაღლმა უკბინა. სწორედ ეს დაემართა კოფისაც. დეტერიკების სახლთან მივიდა, გოგონები დაინახა, გაიტაცა, გააუპატიურა და დახოცა. თქვენ ამბობთ, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს იმის კვალი, რომ ეს მას უწინაც გაუკეთებია, მაგრამ მე გპასუხობთ, ეს აუცილებელი სულაც არაა. კოფი რომ გაათავისუფლოთ, შეიძლება ეს ხელმეორედ აღარ გააკეთოს. ვინ იცის, იქნებ აღარც ჩემს ძაღლს დაეკბინა ვინმე ხელმეორედ. თუმცა, ამაზე ბევრი აღარ მიფიქრია. თოფი გამოვიტანე, საყელოში ხელი ჩავავლე და ტვინი გავასხმევინე.

ჰამერსმითი მძიმედ სუნთქავდა.

- საკმარისად განათლებული კაცი ვარ, მისტერ ეჯკუმ, ბოულინგ-გრინის კოლეჯში ვსწავლობდი, ჟურნალისტიკასთან ერთად ისტორია და ცოტა ფილოსოფიაც შევისწავლე. თავი განათლებულად მიმაჩნია. არა მგონია, ჩრდილოელები დამეთანხმონ, მაგრამ მე განათლებული ვარ. მონობის მომხრე არ ვარ. მიმაჩნია, რომ ჰუმანურები და დიდსულოვნები უნდა ვიყოთ რასისტული პრობლემის გადაწყვეტისას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ შანსი მიეცემა, თქვენი ზანგი ისევ დაკბენს ვინმეს, როგორც უჯიშო ძაღლი. გაინტერესებთ, მართლა ჩაიდინა თუ არა დანაშაული თქვენმა მტირალა, ზურგაჭრელებულმა მისტერ კოფიმ?

თავი დავუქნიე.

- დიახ, - მიპასუხა ჰამერსმითმა, - ჩაიდინა. ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ და სიფხიზლეს ნუ მოადუნებთ. ერთხელ, ორჯერ... ასჯერ... ათასჯერ შეიძლება გადაურჩეთ,მაგრამ ბოლოს მაინც... - მან ხელი თვალთან ახლოს მომიტანა და ოთხი თითი ცერაზე მკვეთრად დაატყაპუნა, თითქოს დაფჩენილი ხახააო, - ხვდებით?

მე ისევ თავი დავუქნიე.

- მან გოგონები გააუპატიურა, დახოცა და ბოლოს შეეცოდა, მაგრამ ის გოგონები გაუპატიურებულები და მკვდრები არიან. არა უშავს, ამას მალე ეშველება, არა, მისტერ ეჯკუმ? რამდენიმე კვირაში ეშველება და ის ვეღარასოდეს გაიმეორებს თავის დანაშაულს. - ჰამერსმითი წამოდგა და გამხმარ განავლებს შორის მდგარ ბუდრუგანას გახედა, - ახლა კი, იმედია, მაპატიებთ, მაგრამ სასამართლო პროცესი გადაიდო და სახლში წამოვედი, ოჯახთან დროს გავატარებ-მეთქი. ბავშვები სწრაფად იზრდებიან.

- რას ბრძანებთ, - ტუჩები თითქოს გამქვავებოდა, ძლივს გავხსენი, - გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ.

- არაფერს.

ჰამერსმითის სახლიდან პირდაპირ „ქოულდ მაუნთინში“ წავედი. გზა გრძელი იყო და ამჯერად მისი მხიარული სიმღერებით შემოკლება ვეღარ შევძელი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სიმღერის ნიჭი დროებით დავკარგე. თვალწინ სულ საბრალო ბიჭის დამახინჯებული სახე მედგა, და კიდევ - ჰამერსმითის ხელი, საკბენად დაღებულ ხახას რომ ჰგავდა.

# 5

ველურმა ბილ უორტონმა დამამშვიდებელი ოთახი მოსვლიდან მეორე დღესვე მოინახულა. მომდევნო დილა და შუადღე მან კრავივით თვინიერად გაატარა. მალე გავიგეთ, რომ მსგავსი მდგომარეობა მისთვის არაბუნებრივი იყო და პრობლემას მოასწავებდა. დაახლოებით საღამოს რვის ნახევრისთვის ჰარის ახლად გარეცხილი უნიფორმის შარვლის ტოტებზე რაღაც თბილი სითხე მიეშხეფა. ეს შარდი იყო. უილიამ უორტონი საკანში იდგა, გაღიმებულს ჭიანი კბილი მოუჩანდა და ჰარი ტერვილიგერს შარვალსა და ფეხსაცმლებზე აფსამდა.

- ეს დამპალი ნაბიჭვარი, ალბათ, მთელი დღე ითმენდა, - თქვა მოგვიანებით გაბრაზებულმა და გაღიზიანებულმა ჰარიმ.

მორჩა, ეს უკვე მეტისმეტი იყო. გადავწყვიტეთ, მისთვის გვეჩვენებინა, ვინ იყო E ბლოკში უფროსი. ჰარიმ მე და ბრუტუსს დაგვიძახა, მე დინი და პერსი ვიხმე. თუ გახსოვთ, უკვე სამი პატიმარი გვყავდა და სრული შემადგენლობით ვრჩებოდით საღამოს შვიდიდან ღამის სამ საათამდე - ეს დღე-ღამის ყველაზე სახიფათო მონაკვეთი იყო. დანარჩენ დროს სხვა ორი შემადგენლობა გვცვლიდა ხოლმე. შემცვლელები, ძირითადად, დროებითი თანამშრომლები იყვნენ და მათ ბილ დოჯი ხელმძღვანელობდა. საკმაოდ კარგად ვიყავით განაწილებულები და იმასღა ვნატრობდი, პერსიც რომ იმათ ცვლაში გადამაყვანინა, ცხოვრებას გავიმარტივებდით-მეთქი. თუმცა, ეს ვერასდროს მოვახერხე. ბევრჯერ მიფიქრია, რომ მომეხერხებინა, შეცვლიდა ეს რამეს თუ არა.

საწყობში, „ბებერი ნაპერწკალასგან“ მოშორებით, დიდი წყალსადინარი მილი იყო, რომელზეც დინმა და პერსიმ რეზინის

მსხვილი სახანძრო მილი მიამაგრეს, თვითონ კი სარქველთან დადგნენ, რომ საჭირო დროს გაეხსნათ.

მე და ბრუტუსი უორტონის საკანთან მივედით. უორტონი გაღიმებული იდგა საკნის გისოსებთან და ჩახსნილი შარვლიდან თავისი „ხელსაწყო“ უჩანდა. წინა ღამით სახლში წასვლამდე დამამშვიდებელი ოთახიდან დამამშვიდებელი პერანგი გამოვიტანე და ჩემს კაბინეტში თაროზე შევაგდე, ჩვენი ახალი პრობლემური ბავშვისთვის დაგვჭირდება-მეთქი. ახლა ეს პერანგი ხელში მეჭირა. ჰარი უკან მომყვებოდა და მილის ტუჩს მოათრევდა. დინი და პერსი საწყობში რაც შეიძლებოდა სწრაფად შლიდნენ დაგორგლილ მილს და ისიც საწყობიდან კიბის საფეხურებსა და მთელ ჩემს კაბინეტში გაჭიმულიყო.

- ეი, მოგეწონათ ჩემი ფსელი? - ველური ბილი პატარა ბიჭივით გულიანად იცინოდა და ძლივს ლაპარაკობდა; ლოყებზე ცრემლები სდიოდა. - ისე, სწრაფად მოხვედით, ეტყობა, მოგეწონათ. ახლა მისაყოლებლად მძღნერს გიმზადებთ. ხვალისთვის თბილ-თბილს მოგართმევთ...

უცებ შეამჩნია, რომ საკნის კარს ვაღებდი და თვალები ეჭვით მოჭუტა. ისიც დაინახა, რომ ბრუტუსს ცალ ხელში რევოლვერი ეჭირა, მეორეში - ხელკეტი და თვალები უფრო მეტად დაუვიწროვდა.

- აქ ორ ფეხზე კი შემოხვალთ, მაგრამ ოთხზე მოგიწევთ გასვლა, ბიჭუნა ბილი გარანტიას გაძლევთ, - დაგვემუქრა ის. მზერა ისევ ჩემზე გადმოიტანა, - თუ გგონია, რომ მაგ გიჟის პერანგს ჩამაცვამ, მწარედ შემცდარხარ, ბებერო იდიოტო.

- აქ ბრძანებებს შენ არ იძლევი, - ვუთხარი მას, - თავში ტვინი რომ გქონდეს, ამას უკვე მიხვდებოდი. არა უშავს, ჭკუას გასწავლით.

საკეტში გასაღები გადავატრიალე და კარი გავაღე. შარვლიდან სირამოვარდნილმა უორტონმა საწოლისკენ დაიხია, ხელები ჩემკენ გამოიშვირა და თითების ქნევით მიხმო.

- აბა, ერთი აქ მოდი, შე მახინჯო ნაბიჭვარო, - თქვა მან, - ჭკუა უნდა მასწავლონ და ეს ბებერი მასწავლებლობას აპირებს, - მერე მზერა და ჩაშავებულკბილიანი ღიმილი ბრუტუსისკენ გადაიტანა, - ეი, გოლიათო, ჯერ შენ მოდი. ამჯერად უკნიდან ვეღარ მომეპარები. დადე ეგ რევოლვერი - მაინც ვერ მესვრი. ერთი ერთზე შევერკინოთ და ვნახოთ, ვინ უფრო მაგარი ბიჭ...

ბრუტუსი საკანში შევიდა, მაგრამ უორტონისკენ არ წასულა, მარცხნივ გააბიჯა. უორტონს მისკენ მიშვერილი მილის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა.

- არა, ამას არ იზამთ, - თქვა მან, - ამას არ იზ...

- დინ! - დავიყვირე, - გახსენი სარქველი! ბოლომდე!

უორტონი წინ გადახტა, მაგრამ ბრუტუსმა მარჯვედ უთავაზა ხელკეტი წარბებზემოთ, შუბლში - ასეთ დარტყმაზე პერსი მხოლოდ თუ იოცნებებდა. უორტონი, რომელსაც ეგონა, რომ მის გამოჩენამდე E ბლოკში პრობლემები არ გვქონია, მუხლებზე დაეცა თვალებგახელილი, მაგრამ დაბრმავებული. ამასობაში წყალიც წამოვიდა. ძლიერმა ნაკადმა ჰარი ოდნავ შეაბარბაცა, მაგრამ სწრაფადვე გასწორდა და რეზინის მილის ტუჩი პისტოლეტის ლულასავით მტკიცედ მიუშვირა უილიამ უორტონს. წყლის ნაკადი ამ უკანასკნელს მკერდში მოხვდა, ძირს დააგდო და საწოლის ქვეშ შეაგდო. დელაკრუა თავის საკანში წინ და უკან დახტოდა, გაჰკიოდა და ჯონ კოფის ხმამაღლა ლანძღავდა, რატომ არ მეუბნები, რა ხდება, იმ ახალ ბიჭს ჩინური შხაპი თუ მოსწონსო. ჯონი თავისი მოკლე შარვლითა და ციხის ფლოსტებით ჩუმად იდგა. მხოლოდ ერთხელ მოვასწარი მისთვის თვალის შევლება და დავრწმუნდი, რომ ისევ ძველებური გამომეტყველება ჰქონდა,

ნაღვლიანი და უშფოთველი, თითქოს ასეთი რამ ერთხელ და ორჯერ კი არა, ათასჯერ უნახავს და უკვე მობეზრებიაო.

- დაკეტე წყალი! - მხარუკუღმა გასძახა ბრუტუსმა დინს და ისევ საკანში შევარდა. ნახევრად უგონოდ მყოფ უორტონს იღლიებში წაავლო ხელები და საწოლის ქვემოდან გამოათრია. უორტონი ახველებდა და ბუყბუყებდა.

ბრუტუსის ხელკეტით გატეხილი შუბლიდან დაბინდულ თვალებზე სისხლი სდიოდა.

მე და ბრუტუს ჰაუელი დამამშვიდებელი პერანგის ჩაცმაში გაწაფულები ვიყავით. ისე ვვარჯიშობდით და ვსწავლობდით, როგორც ვოდევილის მოცეკვავეები ახალი ცეკვის ილეთებს. ეს ცოდნა ხშირად გამოგვდგომია. მათ შორის, უორტონის შემთხვევაშიც. ბრუტუსმა უორტონი ნაჭრის თოჯინასავით წამოსვა და ხელები წინ გააშვერინა. უორტონის თვალებს საზრიანობა უბრუნდებოდა, თანდათან მიხვდებოდა, რომ თუ სასწრაფოდ წინააღმდეგობას არ გაგვიწევდა, დააგვიანებდა, მაგრამ მანამდე მე დავასწარი და, სანამ ტვინის და კუნთების მოქმედება სრულად აღუდგებოდა, პერანგის სახელოები მკლავებზე ჩამოვაცვი, ხოლო ბრუტუსმა ზურგზე ღვედები შეუკრა. მერე მე მანჟეტის თასმებს ვეცი, უორტონს ხელები მკერდზე გადავუჯვარედინე და თასმები შევკარი. უორტონისთვის რომ ამ მდგომარეობაში შეგეხედათ, იფიქრებდით, თავის თავს ეხუტებაო.

- შე წყეულო იდიოტო, მითხარი, რას უშვრებიან იმ ბიჭს? - იყვირა დელაკრუამ. მისტერ ჯინგლსმაც დაიწრიპინა, თითქოს მასაც აინტერესებდა პასუხის მოსმენა.

წყლის მილთან ჯაჯგურით სახეგაწითლებული და დასველებული, ტანზე პერანგმიწებებული პერსი გამოჩნდა. მას ყელზე წითელნაიარევიანი დინი მოჰყვა. დიდად აღფრთოვანებული არ ჩანდა.

- აბა, ადე, ველურო ბილ! - ფეხზე წამოვაყენე უორტონი, - ცოტა გავისეირნოთ!

- ეგრე ნუ მეძახი! - იყვირა უორტონმა და მანამდე ცბიერი ნადირივით თავშეკავებულმა, პირველად გასცა ნამდვილი გრძნობები. - ველური ბილ ჰიკოკი[15] მაგარი ბიჭი არ ყოფილა! დანით დათვს არასდროს შებრძოლებია! ჯონ ლოუსავით, ეგეც ერთი უბრალო მაწანწალა იყო! იდიოტი ნაბიჭვარი ვიღაც ლოთმა მიაკლა კარისკენ ზურგით მჯდარი!

- ისტორიის გაკვეთილიღა გვაკლდა! - წამოიძახა ბრუტუსმა და უორტონი საკნიდან დერეფანში გააგდო. - აქ რომ კაცი მოხვდება, ყველაფერს უნდა ელოდოს, მაგრამ შენნაირი ტიპები მაინც იშვიათობაა. იცი, რას გეტყვი, ველურო ბილ, მალე თვითონაც ისტორიად იქცევი. მანამდე კი დერეფანს გაუყევი, შენთვის ოთახი გავამზადეთ. ცოტას გაგრილდები და გამოფხიზლდები.

უორტონი მძულვარე ყვირილით ეცა ბრუტუსს, მიუხედავად იმისა, რომ დამამშვიდებელი პერანგი ეცვა და ხელები შეკრული ჰქონდა. პერსიმ ხელკეტზე გაივლო ხელი (უეტმორისეული გამოსავალი ყველა პრობლემიდან), მაგრამ დინმა შეაჩერა. პერსიმ გაკვირვებულმა შეხედა მას, თითქოს ეუბნებოდა, მას შემდეგ, რაც უორტონმა გიყო, ვინ-ვინ და, შენ არ უნდა მაჩერებდეო.

ბრუტუსმა უორტონს ხელით უბიძგა და ჩემკენ გამოაგდო. მე ჰარისკენ ვუბიძგე. ჰარიმ მწვანე გზაზე წინ გაიგდო. აღტაცებულ დელაკრუას და გულგრილ ჯონ კოფის ჩაუარეს. გზადაგზა უორტონი უწმაწურად იგინებოდა. როგორც შემდუღებლის ელექტროდი ისვრის ნაპერწკლებს, ისე ისროდა სალანძღავ სიტყვებს პირიდან. დერეფნის მარჯვენა, ბოლო საკანთან გავაჩერეთ, სანამ დინი, ჰარი და პერსი (რომელსაც ამ ერთხელ აღარ დაუწუწუნია, ზედმეტს მამუშავებთო) დამამშვიდებელი ოთახიდან ხარა-

[15] ველური ბილ ჰიკოკი - ველური დასავლეთის სახალხო გმირი. განთქმული მსროლელი, მზვერავი და პოკერის მოთამაშე.

ხურას გამოყრიდნენ. სანამ ისინი ოთახს ცლიდნენ, მე უორტონს გავეუსაუბრე.

- გგონია, მაგარი ტიპი ხარ? - ვუთხარი, - შეიძლება, იყო კიდეც, მაგრამ აქ მაგარი ტიპობა არ ჭრის. შენს ცანცარს არავინ მოითმენს. თუ წესიერად მოიქცევი, ჩვენც წესიერად მოგექცევით. ბოლოს მაინც სიკვდილი გელის და არ ღირს ჭირვეულობა, თორემ სიკვდილამდე გამოგიყვანთ წირვას.

- ერთი სული გაქვთ, ჩემს სიკვდილს როდის ნახავთ, - ჩახლეჩილი ხმით თქვა უორტონმა, რომელიც დამამშვიდებელ პერანგს ეჯაჯგურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, თავს მაინც ვერ გაითავისუფლებდა, - მაგრამ მანამდე სიცოცხლეს გაგიმწარებთ, - და ბრაზიანი ბაბუინივით შემომიღრინა.

- თუ მარტო ეს გინდა, შეგიძლია გაიხარო, სიცოცხლე უკვე გაგვიმაწარე, - უთხრა ბრუტუსმა, - იცოდე, უორტონ, ჩვენთვის სულერთია, მწვანე გზაზე ბოლოჯერ გავლამდე საკანში იჯდები თუ რბილკედლებიან ოთახში. თუ გინდა, ეგ პერანგიც გეცვას, სანამ სისხლის მიმოქცევის დარღვევის გამო ხელებზე განგრენა არ დაგემართება და თავისით არ გაგძვრება, - და წამით შეყოვნდა, - აქ იშვიათად თუ შემოივლის ვინმე. თუ გგონია, ვინმეს დიდად აინტერესებს, შენ რა მოგივა, გიჯობს, კარგად დაფიქრდე. მთელი მსოფლიოსთვის შენ უკვე მორიგი მკვდარი ბოროტმოქმედი ხარ.

უორტონი ბრუტუსს ყურადღებით აკვირდებოდა და სახეზე ფერი ეკარგებოდა.

- გამომიშვით აქედან, - წყნარად ითხოვა მან; მეტისმეტად წყნარად და სერიოზულად, რომ დაგვეჯერებინა, - კარგად მოვიქცევი. პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

დამამშვიდებელი ოთახიდან ჰარი გამოვიდა. დერეფნის ბოლო ნახმარი ნივთების ბაზრობას დაემსგავსა. თუმცა, დაწყებუ-

ლი საქმის ბოლომდე მიყვანას უკვე მიჩვეული ვიყავით. ეს აქამდეც ბევრჯერ გაგვიკეთებია.

- ყველაფერი მზადაა, - გვითხრა ჰარიმ.

ბრუტუსმა პერანგის გაკვანძულ თასმებს ჩაავლო ხელიდა უორტონი წამოაგდო.

- წამოდი, ველურო ბილი. ყველაფერს დადებითი კუთხით შეხედე. ოცდაოთხი საათი გექნება იმის სასწავლად, რომ კარისკენ ზურგით არ უნდა დაჯდე.

- გამომიშვით აქედან, - თქვა უორტონმა და ჯერ ბრუტუსს შეხედა, მერე - ჰარის და ბოლოს - მე. სახეზე ფერი დაუბრუნდა და წამოუწითლდა, - წესიერად მოვიქცევი. გეფიცებით, ჭკუა ვისწავლე. მე... მე... ამმმმ...

უეცრად იატაკზე ჩაიკეცა და აფართხალდა. მისი ტანი საკანში ეგდო, ფეხები კი - მწვანე გზის ლინოლეუმზე გადმოშვეროდა.

- ღმერთო, კრუნჩხვები დაეწყო, - დაიჩურჩულა პერსიმ.

- ერთი ესაა ბნედიანი, მეორე ჩემი დაა ბაბილონელი მეძავი, - თქვა ბრუტუსმა, - და ყოველ შაბათს, პირბადიანი, მოსეს წინ ჰუჩი-კუჩის[16] ცეკვავს, - მერე დაიხარა და ცალი ხელი უორტონს იღლიაში ჩაავლო. მე მეორე იღლიაში ჩავავლე ხელი. უორტონი ჩვენ შორის ანკესზე წამოგებული თევზივით ფართხალებდა. დღემდე ცუდად მახსენდება, როგორ მივათრევდით მის აცახცახებულ სხეულს - ერთი ბოლოდან ღმუოდა, მეორედან - აკუებდა.

თავი ავწიე და ჩემი მზერა წამით ჯონ კოფისას შეეჩეხა. თვალები ჩაწითლებოდა და მისი შავი ლოყები ცრემლს დაეცვარა. კვლავ ატირებულიყო. ჰამერსმითის ჟესტი გამახსენდა, თითებით კბენია ყბა რომ განასახიერა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ისევ უორტონს მივუბრუნდი.

---

[16] ეროტიკული მუცლის ცეკვა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

ტომარასავით შევაგდეთ დამამშვიდებელ ოთახში. დამამშვიდებელ პერანგში გაკვანძული უორტონი იატაკზეც განაგრძობდა კრუნჩხვას და ფართხალს.

- წინააღმდეგი არ ვარ, ენა გადაეყლაპოს და დაიხრჩოს, - თქვა დინ სტენტონმა ჩახლეჩილი ხმით, - მაგრამ საბუთების შევსებაზე იფიქრეთ, ბიჭებო! ეს საქმე აღარ დამთავრდება.

- საბუთები ვის ადარდებს, ამ საქმეზე მოსმენა დაინიშნება, - თქვა ჰარიმ პირქუშად, - სამსახურს დავკარგავთ. მისისიპის შტატში ლობიოს კრეფა მოგვიწევს. იცი, ინდიელთა ენაზე მისისიპი რას ნიშნავს? ტრაკს - აი, რას.

- ეგ არ მოკვდება და არც ენას გადაყლაპავს, - თქვა ბრუტუსმა, - ხვალ ამ კარს რომ გავაღებთ, მშვენივრად იქნება. დამიჯერეთ, აგერ ნახავთ, თუ არა.

ასეც მოხდა. მეორე დღეს ცხრა საათზე საკანში ფერმიხდილი და ერთი შეხედვით, დაოკებული კაცი დავაბრუნეთ. უორტონმა დერეფანში თავჩაქინდრულმა გაიარა და დამამშვიდებელი პერანგის გახდისას არავისზე უცდია თავდასხმა. უხალისოდ მომისმინა, როცა ვუთხარი, შემდეგ ჯერზეც იგივე განმეორდება და აჯობებს, თავიდანვე მოიფიქრო, რამდენ დღეს გინდა შარვალში ჩაფსმა და კოვზით ფაფის ჭამა-მეთქი.

- წესიერად მოვიქცევი, ბოს, ჭკუა ვისწავლე, - მორიდებით წაიჩურჩულა მან, როცა მისი საკნის კარს ვკეტავდით. ბრუტუსმა თვალი ჩამიკრა.

იმ ღამით უილიამ უორტონმა, რომელიც თავს ბიჭუნა ბილის უწოდებდა და მაწანწალა ჯონ ლოუს ან ველურ ბილ ჰიკოკს თავს არ უყადრებდა, მოხუცი პიპინასგან შოკოლადის ნამცხვარი იყიდა. უორტონს მსგავსი რამ მკაცრად ეკრძალებოდა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, შუადღისას დროებითი თანამშრომლები მორიგეობდნენ და, გარიგება შედგა. მოხუცმა პიპინამ კარგად

იცოდა აკრძალვის შესახებ, მაგრამ თუ ფულის შოვნის საშუალება მიეცემოდა, ვის რას მიჰყიდდა, მისთვის სულერთი იყო.

იმ ღამით, როცა ბრუტუსი შემოვლას აწარმოებდა, უორტონი საკნის კართან იდგა. როგორც კი ბრუტუსმა მისკენ გამოიხედა, დაბერილ ლოყებზე ხელები დაირტყა და ბრუტუსს სახეში შოკოლადის სქელი მასა შეაფურთხა. უორტონს ბრუტუსის მოლოდინში შოკოლადის ნამცხვარი პირში კარგად დაულბია, თამბაქოს ფოთოლივით დაუღეჭავს და შოკოლადის გამლღვარ მასად უქცევია.

შოკოლადის ბლანჟეიანი უორტონი საწოლზე გადაგორდა, ხელ-ფეხის ქნევით ახარხარდა და შოკოლადით სახემოთხუპნილი ბრუტუსისკენ თითი გაიშვირა.

- ამ შავ სამბოს შეხედეთ! არის, სერ, ბოს, სალამი! - უორტონს მუცელი ხელით ეკავა და გაჰყმუოდა. - ო, ღმერთო, ნეტა ქაქი ყოფილიყო! რა მაგარი იქნებოდა! ცოტა მაინც რომ მომეჯვა...

- ქაქი თვითონ ხარ, - შეუბღვირა ბრუტუსმა, - და იმედია, ბარგი ჩალაგებული გაქვს, რადგან შენს საყვარელ ტუალეტში მიემგზავრები.

უორტონი კიდევ ერთხელ გავახვიეთ დამამშვიდებელ პერანგში და კვლავ რბილკედლებიან ოთახში შევაგდეთ. ამჯერად ორი დღით. უორტონი ხან შეშლილივით ბოდავდა, ხან გვეხვეწებოდა, გამომიშვით და წესიერად მოვიქცევიო, ხან გაჰკიოდა და ექიმს ითხოვდა, ვკვდებიო. თუმცა, უმეტესად, ხმას არ იღებდა. როცა ოთახიდან გამოვიყვანეთ, მაშინაც ჩუმად იყო, თავჩაქინდრული შევსვით საკანში და, როცა ჰარიმ გააფრთხილა, გახსოვდეს, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო, მხოლოდ უსიცოცხლოდ შეხედა, არაფერი უპასუხია. ცოტა ხანს აღარაფერი უცდია, მერე კიდევ რაღაც ეშმაკობა მოიფიქრა. სულ ასე გრძელდებოდა. ისეთს არაფერს აკეთებდა, რაც ჩვენ არ გვენახა (თუ არ ჩავთვლით შოკოლადის ნამცხვრის ოინს, რომელიც ბრუტუსსაც კი ორიგინალუ-

რი მოეჩვენა), მაგრამ მისმა შეუპოვრობამ ცოტათი დაგვაფრთხო. ვშიშობდი, ადრე თუ გვიან ვინმეს მოთმინება უმტყუნებს და დიდ შარში გავეხვევით-მეთქი. მსგავსივითარება კი, ჩანდა, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რადგან უორტონის ადვოკატი ხალხს კარის ზღურბლს უტალახებდა და ყველას ეუბნებოდა, ამ ახალგაზრდა, პირზე რძეშეუმშრალი ბიჭის სიკვდილით დასჯა დიდი ცოდვა იქნება, მით უმეტეს, თეთრკანიანია, როგორც ცხონებული ჯეფ დევისიო. ჩვენ ამის გამო არ ვწუწუნებდით - უორტონისათვის ელექტროსკამის არიდება მისი ადვოკატის საქმე იყო. ხოლო ჩვენ მისი გისოსებს მიღმა დაკავება გვევალებოდა. თანაც, ყველამ ვიცოდით, რომ ადვოკატით თუ უადვოკატოდ, მას მაინც მოუწევდა „ბებერ ნაპერწკალაზე“ დაჯდომა.

# 6

იმ კვირაში მელინდა მურსი, ციხის უფროსის ცოლი, ინდიანოლის საავადმყოფოდან სახლში გაწერეს. ექიმებს ის აღარ სჭირდებოდათ, რაც აინტერესებდათ - მისი ტვინის სიმსივნის ახალმოდური რენტგენის სურათი - მიიღეს; ავადმყოფობის ისტორიაში მარცხენა ხელის დაუძლურების შესახებ ცნობა შეიტანეს და მის გამოკვლევას მორჩნენ. მის ქმარს მორფინიანი აბები მისცეს და მომაკვდავი მელინდა სახლში გაწერეს. ჰელ მურსმა ავადმყოფობის ხანმოკლე (მაშინ ამისთვის ხანგრძლივ შვებულებას არ იძლეოდნენ) შვებულება აიღო, რომ შინ ცოლს დახმარებოდა.

მე და ჩემმა ცოლმა მელინდა საავადმყოფოდან გამოწერიდან სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ვინახულეთ. ჰელს წინასწარ დავურეკე და იმან მითხრა, კი, მოდით, დღეს მელინდა თავს კარგად გრძნობს და თქვენი სტუმრობა გაუხარდებაო.

- მეზიზღება ასეთი ზარები, - ვუთხარი ჯენისს, როცა პატარა სახლს ვუახლოვდებით, რომელშიც მურსებს თანაცხოვრების წლები გაეტარებინათ.

- არც არავის მოსწონს, საყვარელო, - მიპასუხა მან და ხელზე ხელი მომითათუნა, - მთავარია, მელინდა როგორმე გავამხნევოთ.

მელინდა მისაღებ ოთახში დაგვხვდა, ოქტომბრის უჩვეულოდ თბილი მზის შუქში იჯდა. დანახვისთანავე გაოგნებულმა გავიფიქრე, ასე, 35 კილოგრამი მაინც ექნება დაკლებული-მეთქი. რასაკვირველია, ამდენი არ დაეკლო, მაგრამ ეს ნანახზე ჩემი ტვინის ავტომატური რეაქცია იყო. ქალს სახე გაძვალტყავებოდა, ხოლო კანი ქაღალდივით გათეთრებოდა. თვალის უპეები ჩაშავებოდა. თანაც, პირველად ვნახე, რომ საქანელა-სავარძელში მჯდომს მუხლებზე ხელსაქმე არ ედო: ან ხალიჩას არ ქარგავდა,

ან პლედს არ ქსოვდა. უბრალოდ იჯდა, თითქოს მოსაცდელ დარბაზში მატარებელს ელოდებაო.

- მელინდა, - თბილად მიმართა ჩემმა ცოლმა. მგონი, ისიც ჩემსავით გაოგნდა, შესაძლოა, უფრო მეტადაც კი, მაგრამ, როგორც ქალებს სჩვევიათ, არაფერი შეიმჩნია. მელინდასთან მივიდა, სავარძელთან ცალ მუხლზე დადგა და ციხის უფროსის ცოლის ხელი ხელში აიღო. მე ბუხრის ლურჯი ფარდაგისკენ გამექცა თვალი, რადგან მომეჩვენა, რომ მუქი მწვანე ფერის იყო და მწვანე გზა გამახსენა.

- ჩაი მოგიტანე, - თქვა ჯენისმა, - მე თვითონ დავაყენე. ძილისთვის უებარი საშუალებაა. სამზარეულოში დავტოვე.

- დიდი მადლობა, ძვირფასო, - უთხრა მელინდამ. დაღლილი და უხალისო ხმა ჰქონდა.

- თავს როგორ გრძნობ, ჩემო კარგო? - ჰკითხა ჩემმა ცოლმა.

- უკეთ, - უპასუხა მელინდამ, - ვერ ვიტყვი, რომ წამოვხტები და ცეკვას დავიწყებ, მაგრამ დღეს ტკივილი მაინც არ მაწუხებს. თავის ტკივილის წამლებს მასმევენ და ზოგჯერ მოქმედებს.

- ეს კარგია, არა?

- კი, მაგრამ ხელში წესიერად ვერაფერს ვიჭერ. ხელზე... რაღაც დამემართა, - მელინდამ ხელი ასწია და ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. მერე ისევ მუხლებზე დაიდო. - რაღაც დაემართა მთელ ჩემს სხეულს, - და უხმოდ ატირდა, რამაც ჯონ კოფი გამახსენა. უცებ მისი სიტყვები ჩამესმა ყურში: „ხომ დაგეხმარეთ? ხომ დაგეხმარეთ?“

ოთახში ჰელი შემოვიდა. ის გადამეხვია და დამიჯერეთ, ძალიან გამიხარდა, რომ გადამეხვია. კაცები სამზარეულოში გავედით. ჰელმა ჭიქაში სოფლის ახალგამოხდილი თეთრი ვისკი დამისხა. ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ და გამოვცალეთ. სითხემ ყელი ნავთივით ჩამწვა, მაგრამ მუცელში ღვთაებრივი სითბო ჩამეღვარა. თუმცა, როცა მურსმა კიდევ ერთხელ გამომიწოდა ჭი-

ქა, ერთიც გადაჰკარიო, უარის ნიშნად თავი გავაქნიე. ჯერჯერობით ველური ბილ უორტონი საკანში იჯდა და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს გისოსები გვაშორებდა, ალკოჰოლით დაბინდული გონებით მის სიახლოვეს ყოფნა სახიფათო იქნებოდა.

- არ ვიცი, ამას რამდენ ხანს გავუძლებ, პოლ, - ხმადაბლა მითხრა ჰელმა, - დილით ერთი გოგო დადის ხოლმე ჩემს დასახმარებლად, მაგრამ ექიმები ამბობენ, მალე კუჭ-ნაწლავის აშლილობა დაეწყებაო და... და...

ჰელ მურსი შეყოვნდა, ყელი ჩაიწმინდა, რომ ჩემ თვალწინ კიდევ ერთხელ არ ატირებულიყო.

- სიმტკიცე შეინარჩუნე, - ვუთხარი და ბებერ ხელზე ხელი მოვუჭირე, - ძალ-ღონე არ დაიშუროო მისთვის და დანარჩენი ღმერთს მიანდე. სხვას ვერაფერს იზამ.

- ვერა, მაგრამ, ძნელია, პოლ. ღმერთმა დაგიფაროს იმისგან, რასაც ახლა მე განვიცდი.

ჰელ მურსმა კიდევ ერთხელ შეიკავა თავი ატირებისგან.

- ახლა ციხის ამბები მითხარი. უილიამ უორტონს როგორ უმკლავდებით? პერსი უეტმორს თუ უძლებთ?

ცოტა ხანს სამსახურის ამბებზე ვისაუბრეთ და ჩვენი სტუმრობაც დასრულდა. გზად შინისკენ ჩემი ცოლი მანქანის სავარძელზე აცრემლებული იჯდა და არაფერს ამბობდა, ჩემს თავში კი ისევ ჯონ კოფის სიტყვები ტრიალებდა, როგორც მისტერ ჯინგლსი დელაკრუას საკანში: „ხომ დაგეხმარეთ?“

- საშინელებაა, - ხმა ამოიღო ჯენისმა, - მას ვეღარავინ უშველის.

მე თავი დავუქნიე და გავიფიქრე: „ხომ დაგეხმარეთ?“ ეს აზრი გიჟურად მომეჩვენა და ვცადე, თავიდან ამომეგდო.

ეზოში რომ შევდიოდით, ჯენისმა მეორედ ამოიღო ხმა. ამჯერად მელინდა არ უხსენებია, ჩემი საშარდე გზების ინფექციაზე მკითხა, მართლა გაგიარა თუ არაო. მართლა-მეთქი, ვუპასუხე.

- ძალიან კარგი, - თქვა ჯენისმა და შუბლზე, წარბსზემოთ მაკოცა - ეს ყოველთვის ჟრუანტელს მგვრიდა, - რამე სასიამოვნოთი ხომ არ დავკავდეთ? თუ დრო და სურვილი გაქვს, რა თქმა უნდა.

დრო საკმაოდ მქონდა, სურვილი - მეტისმეტად დიდი, ამიტომ ჩემს ცოლს ხელი ჩავკიდე და მასთან ერთად ავედი საძინებელში. სამოსი გავხადე, ის იმ ადგილას მეფერებოდა, რომელიც ძველებურად სივდებოდა და ფეთქავდა, მაგრამ ახლა აღარ მტკიოდა. და სანამ მე მის ალერსში ჩავიძირებოდი ნელ-ნელა, როგორც ჯენისს მოსწონდა, ყურში სულ ჯონ კოფის სიტყვები ჩამესმოდა, ხომ დაგეხმარეთ, ხომ დაგეხმარეთო; მისამღერივით, რომელიც გონებიდან არ ამოგდის, სანამ სიმღერა თავიდან ბოლომდე არ გაგახსენდება.

სამსახურში მიმავალს გამახსენდა, რომ მალე დელაკრუას სიკვდილით დასჯის რეპეტიცია უნდა გაგვევლო. ისიც გამახსენდა, რომ ამჯერად პერსი „ბებერ ნაპერწკალასთან“ იდგებოდა და ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. თავს ვიმხნევებდი, ამ ერთხელ გაუძელი და პერსი უეტმორს სამუდამოდ მოიშორებ-მეთქი... თუმცა, მაინც ვცახცახებდი, თითქოს ინფექციამ ქვემოდან ზემოთ აინაცვლა და საზარდულის წვის ნაცვლად, ახლა ტანი მეყინებოდა.

# 7

- წამოდი, - უთხრა მომდევნო საღამოს ბრუტუსმა დელაკრუას, - ცოტა გავისეირნოთ მე, შენ და მისტერ ჯინგლსმა.

დელაკრუამ უნდობლად შეხედა მას და სიგარის კოლოფისკენ დაიხარა თაგვის ხელში ასაყვანად. თაგვი მუჭში მოიქცია და ბრუტუსს მოჭუტული თვალებით შეხედა.

- რა ხდება? - ჰკითხა.

- ეს შენთვის და მისტერ ჯინგლსისთვის დიდი ღამეა, - უთხრა დინმა, რომელიც ჰარისთან ერთად მიუახლოვდა მათ. დინის კისერზე ნაიარევი უშნოდ კი გაყვითლდა, მაგრამ, სამაგიეროდ, წესიერად მაინც ლაპარაკობდა და ისეთი ხმა აღარ ჰქონდა, თითქოს ძაღლი უყეფს კატასო. მერე ბრუტუსს შეხედა. - ბორკილები დავადოთ, მხეცო?

- არა-ა, - ხანმოკლე ფიქრის შემდეგ უპასუხა ბრუტუსმა. - წესიერად მოიქცევა. არა, დელ? იმედია, შენ და შენი თაგვი არაფერს დააშავებთ. ბოლოს და ბოლოს, ამაღამ ნაღები საზოგადოების წინაშე წარსდგებით.

მე და პერსი მორიგის მაგიდასთან ვიდექით და იქიდან ვუყურებდით ამ სცენას. პერსის გულზე ხელები დაეკრიფა და ტუჩებზე ზიზღიანი ღიმილი დასთამაშებდა. მცირე ხნის შემდეგ სავარცხელი ამოიღო და თმა გადაივარცხნა. ჯონ კოფი თავისი საკნის გისოსებთან იდგა და ისიც მათკენ იყურებოდა. აი, ბილ უორტონი კი საწოლზე იწვა და ჭერს მიშტერებოდა. ჯერჯერობით კარგად იქცეოდა, მაგრამ რასაც ის კარგად მოქცევას ეძახდა, „ბრაიერ რიჯის“ ექიმები კატატონიურ მდგომარეობას უწოდებდნენ. ე ბლოკში კიდევ ერთი ადამიანი იმყოფებოდა, მაგრამ ის ჩემს კაბინეტში იდგა და დერეფანში მხოლოდ მისი წვრილი ჩრდილი ეცემოდა.

- ვერ გავიგე, რა გინდათ ჩემგან? - აღელდა დელაკრუა, როცა ბრუტუსმა მისი საკნის კარი გააღო. სამივეს გაფაციცებით აკვირდებოდა.

- მოგახსენებ, - დაიწყო ბრუტუსმა, - მისტერ მურსმა შვებულება აიღო - მისი ცოლი ავად არის, შენც გაიგებდი; ჰოდა, ახლა უფროსი მისტერ ანდერსონია, მისტერ კერტის ანდერსონი.

- მერე, მე რა შუაში ვარ?

- უფროსმა ანდერსონმა შენი თაგვის შესახებ შეიტყო, დელ, და უნდა, მათაც უჩვენო შენი წარმოდგენა. უფროსი და კიდევ ექვსი ბიჭი ადმინისტრაციულ შენობაში გელოდებიან, - უთხრა ჰარიმ, - მარტო მცველები კი არ არიან, როგორც მხეცმა თქვა, მნიშვნელოვანი პერსონებიც ურევიათ. ერთ-ერთი, მგონი, შტატის დედაქალაქიდან ჩამოსული პოლიტიკოსია.

ამაზე დელაკრუა ამაყად გაიფხორა, თითქოს არაფერი მოულოდნელი არ გაეგოს. რა თქმა უნდა, მისტერ ჯინგლსის ნახვა ვის არ მოუნდებოდა?

მან ჯერ საწოლის ქვეშ მოაფათურა ხელი, მერე - ბალიშიდან პიტნის კანფეტი და ჭრელი ძაფის კოჭი გამოაძვრინა. შეკითხვის მზერით შეხედა ბრუტუსს და იმანაც თავი დაუქნია.

- ჰო, სწორედ მაგ ტრიუკების ნახვა უნდათ, მაგრამ კანფეტს რომ ჭამს, ეგეც მშვენიერი სანახავია. სიგარის კოლოფი არ დაგავიწყდეს, თაგვი მაგით უნდა წამოიყვანო!

დელაკრუამ სიგარის კოლოფში თაგვის რეკვიზიტები ჩააწყო, თავად მისტერ ჯინგლსი კი მხარზე შემოისვა და ამაყად მკერდგამობერილი გამოვიდა საკნიდან.

- თქვენ არ მოდიხართ, ბიჭებო? - ჰკითხა დინს და ჰარის.

- არა, - უპასუხა დინმა, - სხვა საქმე გვაქვს. აბა, შენ იცი, უჩვენე მაგათ სანახაობა, დელ! ერთი ნახონ, რა შეუძლია ლუიზიანელ ბიჭს, როცა საქმეს

სერიოზულად ჰკიდებს ხელს.

- აი, ნახავ, თუ არ გადავრიო ეგენი! - თქვა დელაკრუამ და სახე სიხარულის ღიმილმა გაუცისკროვნა; იმ წუთას ისეთი ბედნიერი მომეჩვენა, რომ წამით სიბრალულიც კი ვიგრძენი მის მიმართ, მიუხედავად იმ საზარელი დანაშაულისა, რაც ჩაედინა. ეჰ, რა სამყაროში ვცხოვრობთ, რა სამყაროში!

დელაკრუა ჯონ კოფისკენ შეტრიალდა, რომელსაც, ასე ვთქვათ, დამეგობრებოდა, როგორც ეს სიკვდილმისჯილებს შორის ხდება ხოლმე.

- აბა, შენ იცი, დელ! - სერიოზული ხმით უთხრა კოფიმ. - საუკეთესო ტრიუკები უჩვენე.

დელაკრუამ თავი დაუქნია და მხარზე მჯდომ თაგვს ხელი შეაგება. მისტერ ჯინგლსი მის ხელისგულზე გადაცუნცულდა, თითქოს პლატფორმა ყოფილიყოს. დელაკრუამ თაგვი კოფის საკანთან ახლოს მიიყვანა. ჯონ კოფიმ ვეება თითი გამოყო გისოსებიდან. ძაღლიშვილი ვიყო, თაგვს თუ ძაღლივით არ წაეგრძელებინოს კისერი და მისი თითის წვერი არ გაელოკოს!

- გეყო, დელ, ნუღარ აყოვნებ, - უთხრა ბრუტუსმა, - იმ ხალხმა სახლში სადილზე დაიგვიანა, შენი თაგვის ტრიუკები რომ ენახა.

რასაკვირველია, ასე არ იყო. ანდერსონი ყოველდღე, საღამოს რვა საათამდე რჩებოდა სამსახურში, ხოლო მცველები, რომლებიც დელაკრუას „შოუს“ სანახავად შეკრიბა - ღამის თერთმეტ ან თორმეტ საათამდე, გააჩნია, როდის მთავრდებოდა მათი ცვლა. აი, შტატის დედაქალაქიდან ჩამოსული პოლიტიკოსი კი, ალბათ, რომელიმე დამლაგებელი ან დარაჯი იყო ნათხოვარი ჰალსტუხით. თუმცა, დელაკრუამ ამაზე არაფერი იცოდა.

- მზად ვარ, - სადად თქვა დელაკრუამ ცნობილი კინოვარსკვლავივით, რომელსაც წარმატება თავში არ ავარდნია, - წავედით.

ბრუტუსი მას დერეფანში გაუძღვა. გზადდელაკრუა კვლავ გაიფხორა: - Messieurs et mesdames! Bienvenue au cirque de mousie!

თუმცა, ბედნიერ ფანტაზიებში ჩაფლულმაც კი, პერსი უეტმორს შორიდან ჩაუარა და უნდობლად გახედა.

ჰარი და დინი უორტონის საკნის პირდაპირ, ცარიელი საკნის წინ შეჩერდნენ. უორტონი არც კი განძრეულა. დაიცადეს, სანამ ბრუტუსი სასეირნო ეზოს კარს გააღებდა. გარეთ მათ კიდევ ორი მცველი ელოდა. დელაკრუა სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსობასთან წარსადგენად წაიყვანეს. ე ბლოკის კარი ისევ ჩაკეტეს. მე კაბინეტისკენ შევტრიალდი. ნაშიმშილარივით გამხდარი ადამიანის წვრილი ჩრდილი ისევ დერეფნის იატაკზე იყო გაწოლილი. გამიხარდა, რომ სიხარულისგან თავგზაარეულმა დელაკრუამ მას ყურადღება არ მიაქცია.

- გამოდი, - შევძახე კაბინეტში, - დაუჩქარეთ, ხალხო. ორი რეპეტიცია უნდა მოვასწროთ, დრო კი ცოტა გვაქვს.

როგორც ყოველთვის, თვალებგაბრწყინებული და თმააბურდული მოხუცი პიპინა ჩემი კაბინეტიდან გამოვიდა და დელაკრუას ღია საკანში შევიდა.

- ვჯდები, - დაიწყო მან, - ვჯდები, ვჯდები, ვჯდები.

აი, ეს არის ნამდვილი ცირკი-მეთქი, გავიფიქრე და წამით თვალები დავხუჭე. ეს არის ნამდვილი ცირკი და ჩვენ გაწვრთნილი თაგვები ვართ-მეთქი. მერე უსიამო აზრი თავიდან ამოვიგდე და რეპეტიცია დავიწყეთ.

# 8

პირველმა რეპეტიციამ ნორმალურად ჩაიარა. მეორემაც. პერსიმ დავალებას თავი იმაზე უკეთ გაართვა, ვიდრე წარმომედგინა. რასაკვირველია, როცა ჩია ფრანგს მწვანე გზაზე ნამდვილად მოუწევდა გავლა, ყველაფერი უფრო რთული გასაკეთებელი იქნებოდა, მაგრამ ეს სწორი მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. რატომღაც მომეჩვენა, რომ პერსის პირველად გულით აინტერესებდა, რასაც აკეთებდა და ამიტომაც ჩაიარა რეპეტიციამ კარგად. ამ აზრმა შემაძრწუნა, მაგრამ მაშინვე ამოვიგდე თავიდან. ზედმეტად რატომ მენერვიულა? პერსი დელაკრუას თავზე ჩაფხუტს ჩამოაცვამდა და ორივე გაქრებოდა E ბლოკიდან. ამაზე ბედნიერი ბოლო სხვა რაღა უნდა ყოფილიყო? თანაც, მურსმა სწორად შენიშნა, დელაკრუას ტვინს მაინც შებრაწვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო ჯგუფის უფროსი.

და მაინც, პერსიმ ახალ როლში თავი კარგად წარმოაჩინა და ამას თვითონაც ხვდებოდა. ყველა ვხვდებოდით. რაც შემეხება მე, თავს ისე კარგად ვგრძნობდი, რომ ჯერჯერობით მის მოსაძულებლად არ მეცალა. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მალე ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდოდა. უფრო მეტად მომეშვა გულზე, როცა პერსიმ ჩვენი რჩევა არ იუკადრისა: იმედი მოგვეცა, რომ ამით საქმეს თუ არ გააუმჯობესებდა, არ გააფუჭებდა მაინც. სიმართლე გითხრათ, მონდომებით მოვეკიდეთ რეპეტიციას - დინიც კი, რომელიც, როცა შეეძლო, ყოველთვის პერსისგან განზე დგომას ცდილობდა - ფიზიკურადაც და მენტალურადაც. ჩვენი ოპტიმიზმი გასაკვირი სულაც არაა, კაცს იმაზე მეტად ბევრი არაფერი ახარებს, როცა ახალგაზრდა მის რჩევას უგდებს ყურს. ეს ჩვენც გვესიამოვნა. ისე გავერთეთ, საერთოდ არ შეგვიმჩნევია, რომ უილიამ უორტონმა ჭერს თვალი მოსწყვიტა. ჩვენ მორიგის

მაგიდასთან ვლაქლაქებდით და პერსის რჩევებს ვაძლევდით, უორტონი კი ჩვენ გვიყურებდა. პერსის რჩევებს ვაძლევდით! ის ვითომ გვისმენდა! სასაცილოა, მით უმეტეს, როცა იცი, როგორ დასრულდა ყველაფერი.

სასეირნო ეზოში გამავალი კარის საკეტის ჩხაკუნმა ჩვენს რეპეტიციისშემდგომ საუბარს ბოლო მოუღო. დინმა პერსი გააფრთხილა:

- სიტყვა არ დაგცდეს და არაფერი შეიმჩნიო. არ უნდა შეიტყოს, ჩვენ რას ვაკეთებდით. ეს მათთვის კარგი არაა. ძლიერ ითრგუნებიან.

პერსიმ თავი დაუქნია და პირზე ხელი გადაისვა, სამარე ვარო, თითქოს უნდა გაგვცინებოდა, მაგრამ არავის ეცინებოდა. კარი გაიღო და შიგნით დელაკრუა შემოვიდა. მას ბრუტუს ჰაუელი მოჰყვებოდა სიგარის კოლოფში ჩადებული ძაფის კოჭით, თითქოს ილუზიონისტის თანაშემწეა და გამოსვლის დასასრულს სცენიდან მისი რეკვიზიტები გააქვსო. მისტერ ჯინგლსი დელაკრუას მხარზე შემოსკუპებულიყო. თავად დელაკრუა? დამიჯერეთ, ასეთი ბედნიერი თეთრ სახლში გამოსვლის შემდეგაც არ იქნებოდა.

- მისტერ ჯინგლსი მოეწონათ! - შესძახა დელაკრუამ, - იცინოდნენ, ყიჟინებდნენ და სულ ტაშს უკრავდნენ!

- ძალიანაც კარგი! - აუღელვებლად თქვა პერსიმ, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მას, - საკანში დაბრუნდი, ბერიკაცო.

დელაკრუამ მას ეჭვით შეხედა და ზედაპირზე ისევ ძველმა პერსიმ ამოხეთქა. მან დამცინავად დაკრიჭა კბილები და ხელი წინ წაიღო, თითქოს დელაკრუას უნდა ჩაავლოსო. პერსი კარგ განწყობაზე იყო და, რა თქმა უნდა, ხუმრობდა, მაგრამ ეს დელაკრუამ არ იცოდა. შეშინებულმა და აღელვებულმა უკან დაიხია და შემთხვევით ბრუტუსის დიდ ფეხს წამოედო. წაქცეული ლინოლეუმს კეფით დაასკდა. მისტერ ჯინგლსმა ძლივს მოასწრო განზე

გახტომა, რომ არ გაესრისათ და სასწრაფოდ შეძვრა დელაკრუას საკანში.

დელაკრუა წამოხტა, პერსის ერთი კი შეხედა ბრაზიანად და თავის შინაურ თაგვს გაეკიდა კეფის სრესით. ბრუტუსმა (რომელმაც არ იცოდა, რომ მის არყოფნაში პერსიმ თავი კარგად წარმოაჩინა) პერსის ზიზღით შეხედა და გასაღების ჩხარუნით გაჰყვა დელაკრუას.

შემდეგ რაც მოხდა, მგონი, იმიტომ, რომ პერსის ნამდვილად უნდოდა ბოდიშის მოხდა - იმ დღეს ნაღდად კარგ განწყობაზე იყო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ერთი ცინიკური ანდაზის სიბრძნეს ადასტურებს - კეთილი საქმე დაუსჯელი არ დარჩებაო. გახსოვთ, რომ მოგიყევით, სანამ დელაკრუა გამოჩნდებოდა, პერსი თაგვს ორჯერ რომ გამოეკიდა და ერთხელ პრეზიდენტის საკანთან მეტისმეტად ახლოს ჩაირბინა? ეს ძალიან სახიფათო იყო. ამიტომაც იყო მწვანე გზა ისეთი განიერი, რომ მის შუაში მდგარს საკნებიდან პატიმრები ვერ მოგვწდომოდნენ. მაშინ პრეზიდენტს მასთან მიახლოებული პერსისთვის ხელი არ უხლია, მაგრამ მის ადგილას არლენ ბიტერბაკი რომ მდგარიყო, შეიძლება ეხლო კიდეც, მისთვის ჭკუის სასწავლებლად.

მოკლედ, პრეზიდენტიდა ბელადი ჩვენთან უკვე აღარ იყვნენ, მაგრამ ისინი ველურმა ბილ უორტონმა ჩაანაცვლა. ის პრეზიდენტზე და ბელადზე უფრო თავხედი იყო და მთელი ის დრო ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა, რომ სცენაზე თვითონაც წარმდგარიყო. ხელსაყრელი შემთხვევა პერსი უეტმორის წყალობით მიეცა.

- ეი, დელ! - პერსი სიცილით გაეკიდა ბრუტუსს და დელაკრუას და ამასობაში, უორტონის საკანს მეტისმეტად მიუახლოვდა, - ეი, შე იდიოტო, შენი წყენინება არ მინდოდა! ხომ კარგად ხა...

უორტონი ელვის უსწრაფესად წამოხტა საწოლიდან და გისოსებთან მივარდა - მცველად მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა

მაქვს, მაგრამ უორტონისნაირი სხარტი არავინ მინახავს. არადა, მე და ბრუტუსს არასრულწლოვანთა კოლონიაში საკმაოდ ათლეტურ ჯეელებთან გვქონია საქმე. უორტონმა გისოსებიდან ხელები გამოყო, პერსის უნიფორმას ჩაებღაუჭა, პერსი თავისკენ მიიზიდა და ყელზე თითები შემოაჭდო. პერსი დასაკლავი გოჭივით აჭყვიტინდა. მის თვალებში სიკვდილის შიში დავინახე.

- რა საყვარელია, - აჩურჩულდა უორტონი. ცალი ხელით თმები აუჩეჩა. - რა ნაზი! - დამცინავად ჩაილაპარაკა. - გოგოსავით. ალბათ, შენი ტაკო უფრო კარგი გასაჟიმია, ვიდრე შენი დის ფუჩუ, - და პერსის ყურზე აკოცა.

თუ გახსოვთ, პერსიმ შარვლის უბეზე ხელის შემთხვევით მიდებისთვის დელაკრუას სცემა და ახლაც უმალ მიხვდა, რაც ხდებოდა. ერთიანად გაფითრდა და სახეზე მუწუკები ხალებივით ამოებურცა. თვალები გადმოეკარკლა და აუცრემლიანდა. აცახცახებული პირის კუთხიდან დორბლი გადმოუვიდა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, დაახლოებით ათ წამში.

მე და ჰარი ხელკეტმომარჯვებულები წინ წავდექით. დინმა რევოლვერი ამოიღო. თუმცა, სანამ საქმე გართულდებოდა, უორტონმა პერსი გაუშვა და უშნო ღიმილით ასწია ხელები.

- გავუშვი, უბრალოდ, გავეთამაშე და გავუშვი! - თქვა მან. - მაგისი ლამაზი თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდნილა, ასე რომ, იმ დამპალ ოთახში ნუღარ ჩამკეტავთ.

პერსი უეტმორი დერეფნის მეორე მხარეს, ცარიელი საკნის გისოსებს აეკრა. ისე სწრაფად და ხმამაღლა სუნთქავდა, რომ იფიქრებდით, ქვითინებსო. მან, როგორც იქნა, ისწავლა ჭკუა, რომ ბასრკლანჭებიანი და ეშვებიანი ურჩხულისგან თავი შორს უნდა დაეჭირა. ვიფიქრე, ეს გაკვეთილი, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე დაამახსოვრდება-მეთქი. იმავეს ვერ ვიტყვი ჩვენს რჩევა-დარიგებებზე.

სახეზე უდიდესი შიში ეხატა. ასეთ თმააწეწილს პირველად ვხედავდი. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ახლახან გაუპატიურებას გადარჩაო.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ პერსის მძიმე სუნთქვა და ხვნეშა ისმოდა. სიჩუმე უეცარმა და გიჟურმა ხითხითმა დაარღვია. ყველა გავშეშდით. უორტონია-მეთქი, თავში აზრად გამიელვა, მაგრამ ეს უორტონი არ იყო. საკნის ღია კართან დელაკრუა იდგა და სიცილით გაეშვირა ხელი პერსისკენ. მისტერ ჯინგლსი მხარზე აჯდა და შუა სსაუკუნეების ბოროტ ჯადოქარს ჰგავდა.

- შეხედეთ, შიშით შარვალში ჩაიფსა! - ყმუოდა დელაკრუა. - შეხედეთ, რა დაემართა ამ მაგარ ბიჭს! სხვებს ხელკეტს ურტყამს, მაგრამ როცა მას ეხებიან, პატარა ბავშვივით ქვეშ ისველებს!

დელაკრუა იცინოდა და ხელს იშვერდა, პერსის მიმართ მთელ თავის შიშსა და ზიზღს დამცინავ ხითხითში აქსოვდა. პერსის ლაპარაკის და მოძრაობის უნარი დაჰკარგვოდა და დელაკრუას გაქვავებული მიშტერებოდა. უორტონი საკნის გისოსებთან ახლოს მოვიდა და პერსის დალაქავებულ შარვლის უბეს დააკვირდა. ლაქა პატარა იყო, მაგრამ ყველა მივხვდით, რისიც იყო.

- ვინმემ ამ მაგარ ბიჭს საფენი უყიდოს! - ჩაეღიმა უორტონს და ისევ საწოლისკენ გაბრუნდა.

ბრუტუსი დელაკრუას საკნისკენ წავიდა. ჩია ფრანგმა შიგნით შესვლა მოასწრო და საწოლში დურთა თავი.

მე პერსის წავავლე მხარზე ხელი.

- პერსი... - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე. ის გონს მოეგო და ჩემი ხელი მოიცილა. შარვალზე დაიხედა და მუქი ლაქა რომ დაინახა, სიმწრით გაწითლდა. ჯერ მე შემომხედა, მერე ჰარის და დინს. მახსოვს, გამიხარდა, კიდევ კარგი მოხუცი პიპინა აქ აღარ არის, თორემ ამ ამბავს ერთ დღეში მთელ ციხეს მოსდებდა-მეთ-

ქი. და თუ პერსის გვარს[17] გავითვალისწინებთ - ამ კონტექსტში ძალიან უხერხულს - ამ ამბავს მრავალი წელი სიცილ-ხარხარით გაიხსენებდნენ.

- ამაზე სადმე სიტყვას დაძრავთ და ერთ კვირაში უმუშევართა რიგში მოგიწევთ დგომა, - დაიჩურჩულა მან. სხვა შემთხვევაში აუცილებლად მოვდებდი ყბაში, მაგრამ იმ წუთას ძალიან შემეცოდა. მგონი, მანაც შეამჩნია ეს სიბრალული და კიდევ უფრო გამწარდა, თითქოს ჭრილობაზე მარილი მოაყარესო.

- აქ რაც ხდება, აქვე რჩება, - მშვიდად უთხრა დინმა, - ნუ ღელავ.

პერსიმ მხარუკუღმა გახედა დელაკრუას საკანს. ბრუტუსი კარს კეტავდა, შიგნიდან კი ისევ ისმოდა ფრანგის ხითხითი. პერსი საავდრო ღრუბელივით მოიქუფრა. დავაპირე, მისთვის მეთქვა, ამ ცხოვრებაში რასაც დასთეს, იმას მოიმკი-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან ახლა ამისთვის შესაფერისი დრო არ იყო.

- მაგას კი... - დაიწყო, მაგრამ აღარ დაასრულა პერსიმ და თავჩაქინდრული წავიდა საწყობში შარვლის გამოსაცვლელად.

- რა ლამაზია, - ოცნებებში გადაეშვა უორტონი. ჰარიმ დაუყვირა, მოკეტე, თორემ პრინციპის გამო მიგაბრძანებთ დამამშვიდებელ ოთახშიო. უორტონმა გულზე ხელი დაიკრიფა, თვალები დახუჭა და ვითომ დაიძინა.

[17] Wet (ინგ.) - სველი.

# 9

დელაკრუას სიკვდილით დასჯის წინა ღამე ყველაზე ცხელი და დახუთული გამოდგა: საღამოს ექვს საათზე სამსახურში რომ მივედი, ადმინისტრაციული შენობის სამორიგეოს ფანჯარასთან მიმაგრებული თერმომეტრი ოცდაშვიდ გრადუსს უჩვენებდა. წარმოიდგინეთ, ოცდაშვიდი გრადუსი ოქტომბრის ბოლოს! თან დასავლეთში ჭექა-ქუხილი ისმოდა, როგორც ივლისში იცის ხოლმე. მცირე ხნით ადრე, ნაშუადღევს, ქალაქში ჩემი კონგრეგაციის წევრს შევხვდი და სრული სერიოზულობით მკითხა, ასეთი უჩვეულო სიცხე განკითხვის დღის მოახლოების ნიშანი ხომ არ არისო. ვუპასუხე, აბა, რა გითხრა-მეთქი, მაგრამ გულში გავიფიქრე, სხვას არ ვიცი, მაგრამ ედუარდ დელაკრუას კი მართლა დაუდგება განკითხვის დღე-მეთქი. ასეც მოხდა.

ბილ დოჯი სასეირნო ეზოს კართან იდგა, ყავას სვამდა და სიგარეტს აბოლებდა. დამინახა და წამოიძახა:

- შეხედეთ, ვინ მოდის, თავად პოლ ეჯკუმი - სიცოცხლესავით დიდი და მახინჯი.

- საქმეები როგორ მიდის, ბილ?

- მშვენივრად.

- დელაკრუა როგორ არის?

- კარგად. უკვე ხვდება, რომ ხვალინდელი დღე მალე დადგება, მაგრამ ცდილობს, არ შეიმჩნიოს. ხომ იცი, როგორც ემართებათ, როცა მათი აღსასრული ახლოვდება ხოლმე.

თავი დავუქნიე.

- უორტონი?

- ეგ ნაღდი მასხარა ყოფილა, - გაეცინა ბილს - მაგასთან შედარებით, ჯეკ ბენი კვაკერია. როლფ უეტერმარკს უთხრა, შენი ცოლის ფუჩუდან მარწყვის ჯემს ავლოკავდიო.

- როლფმა რა უპასუხა?

- ცოლი არ მყავს და, ეტყობა, დედაჩემს გულისხმობო.

გულიანად გამეცინა. ვულგარული ხუმრობა იყო, მაგრამ სასაცილო. თანაც, მესიამოვნა, რომ სიცილის თავი მქონდა და მუცელში მწველი ტკივილი არ მაწუხებდა. ბილ დოჯსაც გაეცინა. დარჩენილი ყავა ეზოში გადაღვარა. გარეთ მხოლოდ რამდენიმე „სტაჟიანი“ პატიმარი დაეხეტებოდა. ისინი უკვე მრავალი წელი ისხდნენ ჩვენთან და ვენდობოდით.

სადღაც შორს დაიქუხა. სიბნელეშეპარულ ცაზე ელვა გაიკლაკნა. ბილმა სიცილი შეწყვიტა და უხალისოდ აიხედა ზემოთ.

- აი, ეს ამინდი კი არ მომწონს, - თქვა მან, - გული მიგრძნობს, რაღაც მოხდება. რაღაც ცუდი.

მართალი გამოდგა. ცუდი მაშინ მოხდა, როცა ათს თხუთმეტი წუთი დააკლდა. პერსიმ მისტერ ჯინგლსი მოკლა.

# 10

თავიდან ისე ჩანდა, რომ მიუხედავად სიცხისა, კარგი ღამე იქნებოდა - ჯონ კოფი, ჩვეულებისამებრ, ხმას არ იღებდა, ველური ბილი კეთილ ბილიდ გვაჩვენებდა თავს, ხოლო დელაკრუა, იმ კაცის კვალობაზე, რომელსაც ოცდაოთხ საათზე ნაკლებ დროში „ბებერ ნაპერწკალასთან“ პაემანი ჰქონდა, მეტისმეტად კარგ განწყობაზე იყო.

ის აცნობიერებდა, რა უნდა მომხდარიყო; ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ ბოლო სადილისთვის სპეციალური შეკვეთა მომცა:

- ისეთი ცხარე სოუსი მინდა, რომ ყელი ჩამწვას. ძალიან მწარე იყოს. მწვანე. ის მეორენაირი არამწარე სოუსი კუჭს მიშლის და მეორე დღეს სულ უნიტაზზე მიწევს ჯდომა. ისე, ამჯერად ამის პრობლემა აღარ მექნება, n’est-ce pas?[18]

სიკვდილმისჯილების უმეტესობა ბოლო წუთებში იდიოტური მძინვარებით ფიქრობს უკვდავი სულის ხსნაზე, მაგრამ დელაკრუამ ჩემს კითხვებს, სულიერი სიმტკიცის მოსაპოვებლად რით დაგეხმარო-მეთქი, ყურადღება არ მიაქცია. თუ იმ შუსტერმა ბელადი ბიტერბაკი გაამხნევა, ფიქრობდა დელაკრუა, ესე იგი, მეც გამომადგებაო. არა, მას ის უფრო ადარდებდა (მგონი, უკვე მიხვდებოდით კიდეც), მისტერ ჯინგლსს რა ბედი ეწეოდა მისი სიკვდილის შემდეგ. სიკვდილმისჯილებთან ბოლო ღამეს დიდხანს ვრჩებოდი ხოლმე, მაგრამ ამჯერად სიკვდილმისჯილის ნაცვლად, მთელი ღამე მისი თაგვის ბედზე მიწევდა ფიქრი.

დელაკრუა გეგმას გეგმაზე აწყობდა და დაბინდული გონებით ათასნაირ ვარიანტს განიხილავდა, თითქოს მისტერ ჯინგლსი მი-

[18] ხომ ასეა? (ფრ.).

სი შვილი იყო და კოლეჯში სასწავლებლად მისი მიბარების საკითხი დამდგარიყო. ხმამაღლა ფიქრობდა და ძაფის კოჭს კედლისკენ ისროდა. მისტერ ჯინგლსი კოჭს მისდევდა და უკან, დელაკრუასკენ მოაგორებდა. კოჭის ჩხაკუნმა და მისტერ ჯინგლსის ფხაკუნმა თანდათან გამომიყვანა წყობიდან. სანახაობა კი კარგი იყო, მაგრამ საათ-ნახევარი ერთი და იმავეს ყურება, ალბათ, თქვენც მოგბეზრდებოდათ. მისტერ ჯინგლსი არა და არ იღლებოდა. დროდადრო ცოტას შეისვენებდა, ყავის ლამბაქიდან, დელაკრუას სპეციალურად მისთვის რომ ჰქონდა გავსებული, წყალს მოწრუპავდა, პიტნის კანფეტს წვრილ ნამცეცს მოაკვნეტდა და ისევ ძაფის კოჭს გაეკიდებოდა. რამდენჯერმე კინაღამ წამომცდა, დელ, ახლავე შეწყვიტე-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ მისტერ ჯინგლსთან სათამაშოდ მხოლოდ დღევანდელი და ხვალინდელი დღე ჰქონდა და ენას კბილი დავაჭირე. თუმცა, თავის შეკავება თანდათან უფრო გამიჭირდა. ხომ იცით, როგორი ნერვების ამშლელია ხმაური, რომელიც სულ მეორდება და მეორდება. ის იყო, პროტესტის გამოთქმა დავაპირე, რომ რაღაცამ მაიძულა, მივტრიალებულიყავი. თავისი საკნის კართან ჯონ კოფი იდგა. მან ჩემს დასანახად გააქნია თავი, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხა და მეუბნება, კარგად დაფიქრდიო.

დელაკრუას შევთავაზე, მისტერ ჯინგლსს იმ შენს შინაბერა დეიდას მივცემ, პიტნის კანფეტებს რომ გჩუქნიდა-მეთქი. თან ჭრელ ძაფის კოჭს და „სახლსაც“ გავატანთ, მოხუც პიპინას დავარწმუნებთ, რომ სიგარის კოლოფი დათმოს-მეთქი. არა, ეს არ ივარგებსო, თქვა მცირე ფიქრის (ამ ხნის განმავლობაში მან ხუთჯერ ესროლა კედელს კოჭი და მისტერ ჯინგლსმა ხუთჯერვე მოაგორა უკან, მის ფეხებთან) შემდეგ დელაკრუამ. დეიდა ჰერმაენი ძალიან მოხუცია და მკვირცხლ მისტერ ჯინგლსს ვერ მიხედავსო. თანაც, დეიდა ჰერმაენი რომ მოკვდეს და მისტერ ჯინგლსი მარ-

ტო დარჩეს, მაშინ რა ეშველებაო? არა, არა, ამ საქმისთვის დეიდა ჰერმაენი ვერ ივარგებსო.

მაშინ, რომელიმე მცველმა ხომ არ დავიტოვოთ-მეთქი, ვკითხე. არაო, დელაკრუამ გულითადი მადლობა გადამიხადა, მისტერ ჯინგლსი სამუდამოდ E ბლოკში ხომ ვერ დარჩება, თავისუფლების მოყვარული თაგვიაო. ეს ედუარდ დელაკრუამ იქიდან იცოდა, რომ - დიახ, სწორად მიხვდით - თავად მისტერ ჯინგლსმა“ ჩასჩურჩულა ყურში.

- კარგი, - ვუთხარი, - რომელიმე ჩვენგანი სახლში წაიყვანს. ალბათ, დინი. მას პატარა ბიჭი ჰყავს და იმას თაგვი ძალიან მოეწონება.

ამის გაგონებაზე შეძრწუნებული დელაკრუა ერთიანად გადაფითრდა. მღრღნელთა შორის უგონიერესი მისტერ ჯინგლსი პატარა ბიჭის ხელში როგორ დავტოვოო. მაგან როგორ უნდა გაწვრთნას ან ახალი ტრიუკები საიდან უნდა ასწავლოსო. ან მის მიმართ ინტერესი რომ დაკარგოს და ორი-სამი დღე გადაბმულად მისი გამოკვება დაავიწყდეს, მისტერ ჯინგლსს რა ეშველებაო. დელაკრუას, რომელმაც ჩადენილი დანაშაულის კვალის დასაფარად ექვსი ადამიანი ხანძარში ცოცხლად დაწვა, მხურვალე ანტივივისექციონისტივით გააცახცახა.

თუ ასეა, მე წავიყვან, ამაზე რას იტყვი-მეთქი, ვკითხე (თუ გახსოვთ, უკვე დავწერე, რომ ბოლო სურვილის ასრულებას ყველა სიკვდილმისჯილს ვპირდებოდი).

- არა, სერ, ბოს ეჯკუმ, - მობოდიშებით მითხრა დელაკრუამ და კოჭი კედელს ესროლა. კოჭი კედელს მოხვდა, ასხლტა და დატრიალდა. მისტერ ჯინგლსი სასწრაფოდ თავს დააცხრა და დელაკრუასკენ გამოაგორა, - დიდი მადლობა, merci beaucoup, მაგრამ თქვენ ტყეში ცხოვრობთ. მისტერ ჯინგლსს კი ტყეში ცხოვრების ეშინია. ვიცი, რადგან...

- მგონი, ვიცი, საიდანაც იცი, დელ, - გავაწყვეტინე.

დელაკრუამ ღიმილით დამიქნია თავი.

- არა უშავს, რამეს მოვიფიქრებთ! - თქვა და კოჭი ისევ კედლისკენისროლა. შეწუხებულმა უკმაყოფილოდ გავაქნიე თავი.

ისევ ბრუტუს ჰაუელმა გვიშველა. ის მორიგის მაგიდასთან იჯდა და კრიბიჯის მოთამაშე ჰარის და დინს უყურებდა. პერსიც იქვე იყო. ბრუტუსმა რამდენჯერმე სცადა მასთან საუბრის წამოწყება, მაგრამ პასუხად რომ მხოლოდ ბურტყუნი მიიღო, შეეშვა. დელაკრუას საკანთან სკამზე ჩამომჯდარს მომიახლოვდა და გულხელდაკრეფილმა დაგვიგდო ყური.

- მაუსვილზე[19] რას იტყვით? - დაარღვია უხერხული სიჩუმე, რომელიც დელაკრუას მიერ უღრანში ჩაკარგული ჩემი სახლის დაწუნებას მოჰყვა. ბრუტუსმა თავისი აზრი, როგორც ყოველთვის, სხვათა შორის შემოგვთავაზა.

- მაუსვილზე? - ერთდროულად ინტერესითა და გაკვირვებით ჰკითხა მას დელაკრუამ. - რომელ მაუსვილზე?

- ტურისტული ატრაქციონია ფლორიდაში, - უპასუხა ბრუტუსმა, - მგონი, ქალაქ ტალაჰასიში. ხომ ტალაჰასიშია, პოლ?

- ჰო, - დაუფიქრებლად ვუპასუხე და გულში გავივლე, გაიხარე, ბრუტუს ჰაუელ-მეთქი, - კი, ტალაჰასიშია. ზუსტად ძაღლების უნივერსიტეტის გზაზე, - ბრუტუსმა ტუჩები უშნოდ დაპრუწა, ვიფიქრე, ახლა ახარხარდება-მეთქი, მაგრამ თავის შეკავება შეძლო. არა უშავს, ძაღლების უნივერსიტეტის შესახებ სხვა დროს შემახსენებს-მეთქი, ჩამეღიმა.

ამჯერად დელაკრუას ძაფის კოჭი აღარ უსვრია, მიუხედავად იმისა, რომ მისტერ ჯინგლსი უკანა თათებზე მდგარი ელოდა და ერთი სული ჰქონდა, კოჭს გაჰკიდებოდა. ჩია ფრანგმა ჯერ მე შემომხედა, მერე ისევ ბრუტუსზე გადაიტანა მზერა.

- მაუსვილში რა ხდება? - იკითხა მან.

---

[19] Mouseville (ინგ.) - თაგვების ქალაქი.

- როგორ ფიქრობ, მისტერ ჯინგლსს მიიღებენ? - დელაკრუას შეკითხვას ყურადღება არ მიაქცია ბრუტუსმა, რომ ამით კიდევ უფრო მიეპყრო მისი ყურადღება. - მგონი, საკმარისად ნიჭიერია. არა, პოლ?

ვითომ დავფიქრდი.

- იცი, - ვთქვი, - აი, ახლა ვფიქრობ და, მგონი, ბრწყინვალე აზრია, - ცალი თვალით დავინახე, როგორ გამოაბიჯა დერეფნისკენ პერსიმ (უორტონის საკანს შორიდან ჩაუარა). ცალი მხრით ცარიელი საკნის გისოსებს მიყრდნობილი, ტუჩებზე ირონიულ ღიმილგადაკრული გვისმენდა.

- რა არის ეს მაუსვილი? - ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო დელაკრუა.

- ტურისტული ატრაქციონი-მეთქი, ხომ გითხარი, - უპასუხა ბრუტუსმა, - იქ, რავი, ალბათ, ასობით თაგვი მაინც ცხოვრობს, არა, პოლ?

- მგონი, უკვე ას ორმოცდაათი, - ვთქვი მე, - წარმატებული ატრაქციონია. გავიგე, კალიფორნიაშიც აპირებენ გახსნას და დასავლეთის მაუსვილი უნდა დაარქვანო. ეტყობა, გაწვრთნილი თაგვები მაღალ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

დელაკრუას თავისი მდგომარეობა საერთოდ გადაავიწყდა და ჩვენ მოგვაშტერდა კოჭით ხელში.

- მხოლოდ გონიერი თაგვები აჰყავთ, - გააფრთხილა ბრუტუსმა, - ისეთები, ტრიუკების კეთება რომ შეუძლიათ. თეთრ თაგვებს არ იღებენ, რადგან ეგეთები ცხოველთა მაღაზიაში იყიდება.

- მაღაზიის თაგვებიო! - წამოიყვირა დელაკრუამ. - მეზიზღება ეგ მაღაზიის თაგვები.

- კიდევ მანდ კარავი აქვთ, - „ოცნებებში“ წავიდა ბრუტუსი, - მანდ შედიხარ და...

- ჰო, ჰო, როგორც ცირკში! შიგნით შესასვლელად ფული უნდა გადაიხადო?

- მეხუმრები? რა თქმა უნდა, ფული უნდა გადაიხადო. დიდები ათ ცენტს იხდიან, ბავშვები - ორს. შიგნით კიდევ მთელი ქალაქია, ტუალეტის ქაღალდის რულონებითა და ბაკელიტის ყუთებით აგებული, სახლებს ქარსის გამჭვირვალე ფანჯრები აქვს, რომ დაინახო, შიგნით რა ხდება...

- ჰო! ჰო! - დელაკრუა აღტაცებას ვეღარ მალავდა. - როგორი ფანჯრები?

- როგორიც გაზქურას აქვს ხოლმე, - ავუხსენი მე.

- აჰ, ჰო! ეგ! - დელაკრუამ ბრუტუსს ხელი დაუქნია, განაგრძეო. მისტერ ჯინგლსი მის მუჭში მოქცეულ ძაფის კოჭს შავ თვალებს არ აცილებდა. სასაცილო სანახავი იყო. პერსი უფრო მოგვიახლოვდა, თითქოს სურს, უკეთ დაგვინახოსო. ამაზე ჯონ კოფი მოიღუშა. მე ბრუტუსის ფანტაზიებმა მეტისმეტად გამიტაცა და ვერაფერი შევამჩნიე. ისე დამაჯერებლად ჰყვებოდა იმას, რის გაგონებაც სიკვდილმისჯილს სიამოვნებდა, რომ მეც კი აღვფრთოვანდი.

- თუმცა თაგვების ქალაქზე მეტად ბავშვებს მაუსვილის ვარსკვლავთა ცირკი მოსწონთ, - თქვა ბრუტუსმა, - იქ თაგვები ტრაპეციებზე ქანაობენ, ან ძაფის კოჭებს დააგორებენ, მონეტებს აგროვებენ...

- ძალიან მაგარია! სწორედ იქ იცხოვრებს მისტერ ჯინგლსი! - თქვა დელაკრუამ. თვალები უბრწყინავდა და ლოყები გასწითლებოდა. იმ წამს ბრუტუს ჰაუელი წმინდანად მეჩვენებოდა. - ბოლოს და ბოლოს, ცირკის თაგვი იქნები, მისტერ ჯინგლს! ფლორიდაში, თაგვების ქალაქში იცხოვრებ! ქარსის ფანჯრიან სახლში! ვაშაა! - შესძახა და კოჭი მეტისმეტად ძლიერად ისროლა. კოჭი კედელს მოხვდა, ასხლტა და საკნის გისოსებიდან დერე-

ფანში გაგორდა. მისტერ ჯინგლსი კოჭს გაეკიდა. პერსის შანსი გამუჩნდა.

- არა, სულელო! - დაუყვირა ბრუტუსმა, მაგრამ პერსიმ ყურადღება არ მიაქცია. როგორც კი მისტერ ჯინგლსმა კოჭთან მიირბინა, - იმდენად გართულმა, რომ არც კი შეუმჩნევია, დაუძინებელ მტერს რომ უახლოვდებოდა, - პერსიმ სქელძირიანი ფეხსაცმელი ზედ დაადგა. გავიგონეთ, როგორ გაიტკაცუნა მისტერ ჯინგლსის მოტეხილმა კისერმა დაპირიდან სისხლი წასკდა. პაწაწინა შავი თვალები გადმოკარკლა და მის ადამიანურ მზერაში ტკივილი და აგონია ამოვიკითხე.

შეძრწუნებული დელაკრუა აკივლდა. საკნის გისოსებს შორის ხელები გამოყო, რომ როგორმე თაგვს მისწვდომოდა. გამუდმებით მისტერ ჯინგლსის სახელს იმეორებდა.

პერსი მისკენ ღიმილით მიტრიალდა. სამივეს შემოგვხედა.

- ესეც ასე, - თქვა მან, - ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, გამოვიჭერდი. მხოლოდ დროის საკითხი იყო.

მერე ზურგი გვაქცია და დერეფანს ზემოთ აუყვა. მისტერ ჯინგლსი მისივე სისხლის გუბეში ლინოლეუმზე დაგდებული დატოვა.

# მეოთხე ნაწილი

# ღამის მოგზაურობა

## 1

ამ მოგონებების გარდა, „ჯორჯია პაინსში“ დღიურსაც ვწერ. ბევრი არაფერია, დღეში თითო აბზაცი და ისიც, ძირითადად, ამინდის შესახებ. წუხელ ამ ჩემს დღიურს გადავხედე. მაინტერესებდა, ზუსტად რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემმა შვილიშვილებმა ქრისტოფერმა და დანიელამ როგორღაც დამარწმუნეს, „ჯორჯია პაინსში“ დავსახლებულიყავი. შენთვის ასე აჯობებს, ბაბუო, - მითხრეს. სხვას რას მეტყოდნენ - განა ყველა ასე არ იქცევა, როცა მოსიარულე და მოლაპარაკე პრობლემის თავიდან მოცილება უნდათ?

დაახლოებით ორი წელი გასულა. უცნაური ისაა, რომ არ ვიცი, ორი წელი დიდი დროა თუ ცოტა. დროის შეგრძნებას ვკარგავ; დნება, როგორც ეზოში დაგუნდავებული თოვლის კაცი იანვრის მზეში. ასე მგონია, აღმოსავლეთის სტანდარტული დრო, ზაფხულის დრო და სამუშაო დრო აღარ არსებობს. აქ მხოლოდ „ჯორჯია პაინსის“ დროა, მოხუცი კაცის დრო, მოხუცი ქალის დრო, ტუალეტში გასვლის და დაძინების დრო. დანარჩენი... გაქრა.

აქაურობა სახიფათო ადგილია. არ გეგონოთ, მოსაწყენად სახიფათო იყოს, როგორც ძილის საათის დროა ბაღში. არა, აქაურობა მართლაც საკმაოდ სახიფათოა. ჩემ თვალწინ ბევრი აქ მცხოვრები ჩაფლულა სიბერეში. ზოგი წყალქვეშა ნავივით სწრაფად ჩაიძირება ხოლმე. აქ რომ მოდიან, კი, თვალს აკლიათ, სი-

არულისას ხელჯოხს ეყრდნობიან და კუჭის მოქმედებაც დარღვეული აქვთ, მაგრამ სხვა მხრივ, არა უშავთ. და მერე ერთბაშად რაღაც ემართებათ. ერთი თვის შემდეგ იგივე ხალხი ტელევიზორის ოთახში გაბრუებული, პირღია მისჩერებია ოპრა უინფრის შოუს, აკანკალებულ ცალ ხელში ფორთოხლის წვნიანი ჭიქა უჭირავთ, რომლის დალევაც დავიწყებიათ. კიდევ ერთი თვის შემდეგ, მოსანახულებად მოსული შვილების სახელების შეხსენება გიწევს მათთვის. კიდევ ერთი თვის შემდეგ საკუთარი სახელები ავიწყდებათ. ვიცი, მათ რაც ემართებათ: ამას „ჯორჯია პაინსის“ დრო ჰქვა. დრო აქ მჟავას ჰგავს, რომელიც მეხსიერებას გიშლის და ცხოვრების გაგრძელების სურვილს გაკარგვინებს.

ამას უნდა შეებრძოლო - სულ ვუმეორებ ჩემს საუკეთესო მეგობარს, ელეინ კონელის. მას შემდეგ, რაც 1932 წელს მწვანე გზაზე ჯონ კოფის გამოჩენის და ჩემს თავს გადამხდარი ამბების წერა დავიწყე, ჩემი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ზოგიერთი რამის გახსენება მიჭირს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემი აზროვნების და მახსოვრობის უნარი ფანქრის წათლილი წვერივით მახვილდება. გარდა წერისა და მახსოვრობის აღდგენისა, სხეულიც მაქვს - მართალია, დაუძლურებული და დაუშნოებული - და ვვარჯიშობ კიდეც. ჩემნაირ ბებრებს ვარჯიში მხოლოდ ვარჯიშისთვის დიდად ეზარებათ, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო გამიადვილდა, რადგან სასეირნოდ საბაბი გამომიჩნდა.

გათენებისთანავე სასეირნოდ მივდივარ. ამ დილით წვიმდა. ნესტი სახსრებს მატკიებს ხოლმე. საწვიმარი ლაბადა მოვისხი და გარეთ მაინც გავედი. კაცმა ყოველდღიური საქმეები ყოველთვის უნდა აკეთო, თუნდაც ტკივილი გაწუხებდეს. ჩემთვის ეს სეირნობებია საოჯახო საქმე. თანაც, სანაცვლოდ რაღაცებს იღებ. მაგალითად, იმას, რომ ნამდვილი დროის შეგრძნებას არ კარგავ და „ჯორჯია პაინსის“ დროით არ ცხოვრობ. გარდა ამისა, ტკივილით თუ უტკივილოდ - წვიმა მიყვარს. განსაკურთებით დილაუ-

თენია, როცა წინ მთელი დღეა და მომავალს იმედით შეჰყურებს თვით ჩემნაირი დაძაბუნებული ბერიკაციც.

სამზარეულოში ნამძინარევ მზარეულს ორი ნაჭერი გახუხული პური გამოვართვი და გარეთ გავედი. კროკეტის მოედანი და ბალახწამოზრდილი გრინი გადავჭერი. მათ მიღმა პატარა ტყეა. შიგ ვიწრო ბილიკი მიიკლაკნება რამდენიმე მიტოვებულ ფარდულს შორის, რომლებიც ნელ-ნელა ლპება და ინგრევა. ბილიკს დინჯად გავუყევი, რამდენიმე შერჩენილი კბილით გახუხული პურის ნატეხს ვღეჭავდი და ფიჭვის წიწვებში წვიმის წკაპუნს ვუსმენდი. ფეხები მტკიოდა, მაგრამ არა გაუსაძლისად. მთლიანობაში, საკმაოდ კარგად ვგრძნობდი თავს. ნესტიან ჰაერს ისე მადიანად ვყლაპავდი, თითქოს გემრიელი საჭმელიაო.

მეორე ფარდულს რომ მივადექი, ცოტა შევისვენე და მერე შიგ შევედი ჩემი საქმის გასაკეთებლად.

ოცი წუთის შემდეგ უკან რომ ვბრუნდებოდი, მუცელში შიმშილის ჭია შეირხა და ვიფიქრე, გახუხულ პურს რამე ნოყიერს დავაყოლებ-მეთქი. მაგალითად, შვრიის ფაფას, ან ტაფამწვარს სოსისთან ერთად. ძალიან მიყვარს სოსისი. ყოველთვის მიყვარდა. მაგრამ ამ ბოლო დროს დღეში ერთზე მეტს თუ შევჭამ, კუჭის აშლილობა მეწყება. დავგეგმე, მუცელამოყორილი და ნესტიანი ჰაერით ტვინგახსნილი სოლარიუმში ჩავალ და სანამ მხნეობა დამიკარგავს, ბარემ ედუარდ დელაკრუას სიკვდილით დასჯის შესახებ დავწერ-მეთქი.

კროკეტის მოედანზე გადასვლისას იმას ვიხსენებდი, როგორ გასრისა პერსი უეტმორმა მისტერ ჯინგლსი და როგორ აყვირდა დელაკრუა, როცა დაინახა, რა ჩაიდინა მისმა საძულველმა მტერმა. ამიტომაც ვერ დავინახე ბრედ დოლანი. ნახევრად სანაგვეს ეფარებოდა და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ მომიახლოვდა და მაჯაზე ხელი წამავლო.

- სეირნობდი, პოლი? - მკითხა მან.

ხელიდან მაჯა გამოვგლიჯე. ცოტა დავფრთხი - მოულოდნელად თუ წამოადგება ვინმე თავზე, ყველა ფრთხება - მაგრამ უფრო მეტად იმან შემაშინა, რომ პერსი უეტმორზე ვფიქრობდი, ხოლო ბრედ დოლანი ძალიან მაგონებს პერსის. ბრედიც მასავით ჯიბეში გაზეთგაჩრდილი დადის (პერსი კაცების სათავგადასავლო ჟურნალებს დაათრევდა, ბრედი - ანეკდოტების გაზეთებს; შიგ ისეთი სულელური ხუმრობები წერია, მხოლოდ სულელს ან გულღრძოს თუ გაეცინება) და ისეთი გაფხორილია, გეგონება, აქაურობის ბატონ-პატრონი ეგ იყოს. გარდა ამისა, ძალიან ცბიერი და ბოროტია.

შევამჩნიე, რომ ახალგაღვიძებული იყო. ჯერ სანიტრის თეთრი ტანისამოსი არ ეცვა. ხელში სამზარეულოში აღებული დანიური ღვეზლის ნარჩენი ეჭირა. ისეთ ადგილას იდგა, რომ არ დასველებულიყო და თან ჩემთვის ეთვალთვალა. დიახ, ეჭვიც არ მეპარება, რომ მითვალთვალებს. მისტერ ბრედ დოლანს უნდა ვუფრთხილდე. არ მოვწონვარ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ პერსი უეტმორმაც ასე უმიზეზოდ აითვალწუნა დელაკრუა. „არ მოსწონდა“ - მსუბუქად ნათქვამია. პერსის დელაკრუა მწვანე გზაზე გამოჩენის პირველივე დღიდან სძულდა.

- ეგ ლაბადა სად ჩამოხსენი, პოლი? - საყელოში ჩამავლო ხელი ბრედმა. - შენი არაა.

- სამზარეულოს გვერდით ჰოლში ეკიდა, - ვუპასუხე. მეზიზღება „პოლის“ რომ მიწოდებს, მაგრამ არაკაცი ვიყო, თუ შევიმჩნიო და ეგ გავახარო, - სხვა ბევრთან ერთად. თანაც, არ გამიფუჭებია. მით უმეტეს, ლაბადა ხომ წვიმაში ჩასაცმელია, არა?

- დიახ, წვიმაში ჩასაცმელია, მაგრამ შენთვის - არა, - მითხრა და კიდევ ერთხელ მომქაჩა საყელოზე, - ხვდები? ეს საწვიმრები მომსახურე პერსონალისთვისაა და არა ბინადრებისთვის.

- მაინც ვერ ვხვდები, რა დავაშავე.

- მთავარი დაშავება კი არა, წესებია, - ირონიულად ჩაიცინა ბრედმა, - რა იქნებოდა ცხოვრება წესების გარეშე? ეჰ, პოლი, პოლი, - თავი ისე გააქნია, თითქოს ჩემ შემხედვარეს ცხოვრების ხალისი დაეკარგაო, - გგონია, რახან კუანა ბებერი ხარ, წესებს აღარ უნდა დაემორჩილო? ცდები, პოლი.

დამცინის. არ მოვწონვარ. ალბათ, ვძულვარ კიდეც. რატომ? არ ვიცი. ზოგჯერ მიზეზი არ არსებობს. სწორედ ესაა ყველაზე საშინელი.

- მაშინ, უკაცრავად, თუ წესები დავარღვიე, - მოვუბოდიშე. ჩემი ხმა საწყლად გაისმა, თითქოს ვსლუკუნებდი. საკუთარ თავზე გავბრაზდი, რომ ასე დამემართა, მაგრამ რას ვიზამ, მე ხომ უკვე მოხუცი ვარ. მოხუცები კი ადვილად ფრთხებიან.

- ბოდიში მიღებულია, - თავი დამიქნია ბრედმა, - ახლა კი ეგ ლაბადა თავის ადგილზე დაკიდე. წვიმაში გარეთ ნუღარ დაეხეტები. სადმე ფეხი რომ დაგიცურდეს, დაეცე და გვერდი იღრძო? ჰა? მერე, ვინ გიშველის?

- არ ვიცი, - ვთქვი. მისგან თავის დაღწევაღა მინდოდა. რაც უფრო მეტს ვუსმენდი, მით უფრო ემსგავსებოდა პერსის. 1932 წლის შემოდგომაზე ე ბლოკში გამოჩენილმა გადარეულმა უილიამ უორტონმა ერთხელ პერსის მოულოდნელად ჩაავლო ხელი და პერსიმ შიშით შარვალში ჩაიფსა. არავის უთხრათ, თორემ ერთ კვირაში უმუშევართა რიგში დგომა მოგიწევთო, გაგვაფრთხილა პერსიმ. ახლა, წლების შემდეგ, წარმოვიდგენ, რომ იმავე სიტყვებს ბრედ დოლანი იმავე ხმით იმეორებს. ასე მგონია, მოგონებების წერა რომ დავიწყე, რომელიღაც იდუმალი კარი გავხსენი, წარსულს აწმყოსთან რომ აკავშირებს: პერსი უეტმორს - ბრედ დოლანთან, ჯენის ეჯკუმს - ელეინ კონელთან, „ქოულდ მაუნთინის“ სასჯელაღსრულების დაწესებულებას „ჯორჯია პაინსის“ მოხუცთა თავშესაფართან. ამაზე ფიქრი, ალბათ, მთელ ღამეს თეთრად გამათევინებს.

სამზარეულოსკენ დავაპირე წასვლა, მაგრამ ბრედმა ხელმეორედ წამავლო ხელი მაჯაზე. ამჯერად ძლიერად მომიჭირა. აშკარად სურდა, ჩემთვის ტკივილი მოყენება. თვალები აქეთ-იქით გააცეცა, ამ დილაადრიან ვინმე ხომ არ ხედავს, როგორ შეურაცხვყოფ მოხუცს, რომელზეც, წესით, უნდა ვზრუნავდეო.

- იმ ტყეში რას აკეთებდი? - მკითხა მან. - არა მგონია, დასანძრევად დადიოდე. მაგის თავი შენ აღარ გაქვს. მაშ, რას დაეხეტები იმ ბილიკზე?

- არაფერს, - ვუთხარი და თავი გავიმხნევე, რომ მისთვის არ მეჩვენებინა, როგორ მტკიოდა და ისიც დავიმახსოვრე, რომ მან მხოლოდ ბილიკი ახსენა და ფარდულზე არაფერი უთქვამს. - უბრალოდ, ვსეირნობ და გონებას ვიწმენდ.

- უკვე გვიანია, პოლი, შენი გონება აღარასდროს გაიწმინდება! - მაჯაზე მაგრად მომიჭირა ხელი, თან აქეთ-იქით იყურებოდა, არავინ დაგვინახოსო. ბრედს წესების დარღვევის კი არა, იმის ეშინოდა, ვინმემ წესების დარღვევაში არ გამომიჭიროსო. ამითაც პერსი უეტმორს ჰგავდა, რომელიც ყოველთვის გახსენებდა, რომ გუბერნატორის ცოლის ძმისწული იყო. - ბებერი კი ხარ, მაგრამ შენი ვინაობა მაინც გახსოვს. ნამდვილი სასწაულია, რომ ასეთ გადაღძუებულს საკუთარი სახელი არ დაგვიწყებია. ამ წყეული მუზეუმისთვისაც კი ძალიან მოხუცი ხარ და რომ გიყურებ, ტანში ჟრუანტელი მივლის, პოლი.

- გამიშვი, - ვცადე, ამჯერად მტკიცე ხმა მქონოდა. მხოლოდ სიამაყის გამო არა. უბრალოდ, მეშინოდა, ჩემი შიში რომ იგრძნოს, უფრო გახელდება-მეთქი, როგორც ცოფიან ძაღლს ახელებს ოფლის სუნი და თუ მანამდე მხოლოდ გიღრენს, გახელებული - საკბენად გამოგეკიდებახოლმე. ჯონ კოფის სასამართლო პროცესის მიმომხილველი ჟურნალისტი გამახსენდა. მას ბერტ ჰამერსმითი ერქვა და საშინელი კაცი იყო. ყველაზე საშინელი იმით იყო, რომ ვერ ხვდებოდა, საშინელი რომ იყო.

გაშვების ნაცვლად, ბრედ დოლანმა უფრო მაგრად მომიჭირა ხელი. წამოვიკვნესე. არ მინდოდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. ტკივილი მაჯიდან კოჭებამდე გადამეცა.

- ტყეში რას აკეთებ, პოლი? მითხარი!

- არაფერს! - ვუპასუხე. ჯერ არ ვტიროდი, მაგრამ თუ ასე გააგრძელებდა, მალე ავტირდებოდი. - არაფერს, მხოლოდ ვსეირნობ. სეირნობა მიყვარს. გამიშვი!

გამიშვა, მაგრამ უცებ მეორე მაჯაზე წამავლო ხელი. იმ ხელის თითები დაკეცილი მქონდა.

- გაშალე მუჭი! - მიბრძანა ბრედმა. - აჩვენე მამიკოს, რას მალავ?

მეც გავშალე და ბრედმა უკმაყოფილოდ ამოიოხრა. ხელისგულზე მხოლოდ გახუხული პურის ნარჩენები ეყარა. როცა მარცხენა მაჯაზე მიჭერდა, მარჯვენა ხელი უნებურად დავმუშტე და პურის ნაჭერი შემომეფშვნა. კარაქიანი (უფრო სწორად, მარგარინიანი, რადგან აქ ნამდვილ კარაქს არ გვაჭმევენ) პურის ნამცეცები თითებზე მიმწებებოდა.

- შედი შიგნით და დაიბანე ეგ ბინძური ხელი, - უკან დაიხია ბრედმა და ღვეზელი ჩაკბიჩა. - ღმერთო, რას უგავს.

კიბის საფეხურებს შევუყევი. მუხლები მიცახცახებდა. გულს გახვრეტილსარქველიან და მორყეულდგუშიან ძრავასავით გაჰქონდა ბაგაბუგი. სამზარეულოს სახელურს რომ დავაწექი, სანამ თავს სამშვიდობოს დავიგულებდი, ბრედმა მომაძახა:

- თუ ვინმესთან დაიწუწუნებ, რომ მაგ შენს საცოდავ მაჯაზე ხელი მოგიჭირე, პოლი, ყველას ვეტყვი, რომ რაღაცები გეჩვენება. ჰალუცინაციები სიბერის ჭკუასუსტობის პირველადი სიმპტომია. ხომ იცი, დამიჯერებენ. თუ დალურჯებულ ლაქებს აჩვენებ, იფიქრებენ, რომ თავს თვითონ დაუშავე რამე.

ჰო, სიმართლე თქვა. კიდევ ერთხელ წარმოვიდგინე, რომ ამ სიტყვებს პერსი უეტმორი მეუბნებოდა. პერსი უეტმორი, რომე-

ლიც სამუდამოდ ახალგაზრდა და ბოროტი დარჩა, მე კი დავბერდი და დავჩაჩანაკდი.

- არავის არაფერს ვეტყვი, - ჩავიბურტყუნე, - სათქმელი არაფერი მაქვს.

- ძალიანაც კარგი, მოხუცო, - დამცინავი ხმა ჰქონდა, „ლოქოსი“ (პერსის საყვარელი ტერმინი რომ გამოვიყენო), რომელსაც ჰგონია, რომ სამუდამოდ ახალგაზრდა იქნება, - იცოდე, აუცილებლად დავადგენ, რას ჩალიჩობ. გესმის?

რა თქმა უნდა, გავიგონე, მაგრამ არ ვუპასუხე. შიგნით შევედი, სამზარეულოში გავიარე (იქ უკვე შემწვარი კვერცხის და სოსისის სუნი ტრიალებდა, მაგრამ მე არც ერთი აღარ მინდოდა) და ლაბადა დერეფანში, საკიდზე დავკიდე. მერე ჩემს ოთახში ავედი - საფეხურებზე სვენებ-სვენებით ავდიოდი, რომ აჩქარებული გულისცემა დამეწყნარებინა - და ჩემი საწერი ნივთები შევაგროვე.

სოლარიუმში ჩავედი. ფანჯარასთან ვიჯექი, როცა გარედან ელეინმა შემოყო თავი. დაღლილი და ავადმყოფი მომეჩვენა. თმა უკვე დაევარცხნა, მაგრამ ჯერაც ხალათი ეცვა. ბებერ შეყვარებულებს ბევრი ცერემონია არ გვჩვევია. ამის დრო და საშუალება არ გვაქვს.

- ხელს არ შეგიშლი, - მითხრა ელეინმა, - ვხედავ, წერას აპირებ.

- ნუ სულელობ, - ვუთხარი, - უფრო მეტი დრო მაქვს, ვიდრე კარტერს - ღვიძლის აბები. შემომიერთდი.

ელეინი შიგნით შემოვიდა, მაგრამ კართან გაჩერდა.

- წუხელაც ვერ დავიძინე. დილაუთენია ფანჯარასთან ვიდექი, და...

- დაინახე, მე და მისტერ ბრედ დოლანი როგორ ტკბილად ვჭუკჭუკებდით, - დავასრულე მის მაგივრად. ვიმედოვნებდი, რომ მხოლოდ დაინახა. რომ ფანჯარა დაკეტილი ჰქონდა და ვერ გაიგონა, როგორ ვწუწუნებდი, გამიშვი-მეთქი.

- მეგობრულ საუბარს არ ჰგავდა, - თქვა მან, - პოლ, ეგ მისტერ დოლანი შენით დაინტერესდა. გასულ კვირას მეც დამისვა კითხვები. მაშინ ვიფიქრე, სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა ჰყვარებია-მეთქი, მაგრამ ახლა ავღელდი, იცი?

- ჩემით დაინტერესდა? - ვცადე, მღელვარება არ დამტყობოდა. - რაო?

- მაგალითად, იკითხა, სად დასეირნობ ან რატომ.

- ეტყობა, მაგ კაცს ვარჯიშებზე არაფერი სმენია, - გაცინება ვცადე.

- ფიქრობს, რომ საიდუმლო გაქვს, - შეყოვნდა ელეინი, - მეც ასე მგონია.

პირი დავაღე - არ ვიცი, რის სათქმელად - მაგრამ, სანამ ხმას ამოვიღებდი, ელეინმა დაკოჟრებული, მაგრამ მისი ასაკისთვის უჩვეულოდ ლამაზი ხელი ასწია.

- თუ საიდუმლო გაქვს, პოლ, არ მინდა გამიმხილო. შენი საქმისა შენ იცი. მე ასე აღმზარდეს. მაგრამ ამას ყველა ვერ ხვდება. გაფრთხილდი. მხოლოდ ამას გეტყვი. ახლა კი მარტო დაგტოვებ, რომ მუშაობა განაგრძო.

შეტრიალდა და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ სანამ გავიდოდა, დავუძახე. ჩემკენ შემობრუნდა და დაინტერესებულმა შემომხედა.

- როცა წერას მოვრჩები... - დავიწყე, მაგრამ თავის გაქნევით შევყოვნდი. წინადადება გადავაკეთე, - თუ წერას მოვრჩები, წაიკითხავ, რა დავწერე?

ელეინმა მცირე ფიქრის შემდეგ ისე ლამაზად გამიღიმა, რომ თვით ჩემნაირ მოხუცსაც კი არ გაუჭირდებოდა მისი შეყვარება.

- ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება, - თქვა მან.

-აჯობებს, ჯერ წაიკითხო და მერე თქვა, პატივი იყო ეს თუ არა, - ვუთხარი. იმ წუთას ედუარდ დელაკრუას სიკვდილზე ვფიქრობდი.

ელეინი გავიდა, მაგრამ მე კიდევ კარგა ხანს ვერ მოვახერხე წერის დაწყება. თითქმის ერთი საათი ფანჯრიდან ვიყურებოდი და კალამს მაგიდაზე ვაკაკუნებდი. გარეთ ნაცრისფერს თანდათან ნათელი შეეპარა. ვფიქრობდი ბრედ დოლანზე, რომელიც პოლის მეძახის და არასდროს ბეზრდება სულელური ხუმრობები ჩინელებზე, ზანგებზე, ლათინოსებსა და ირლანდიელებზე. ვფიქრობდი ელეინ კონელის სიტყვებზე. „მას ჰგონია, რომ საიდუმლო გაქვს. მეც ასე მგონია“.

შეიძლება მართლაც მაქვს. დიახ, მართლაც მაქვს საიდუმლო. რასაკვირველია, ბრედ დოლანს მისი გაგება უნდა. იმიტომ კი არა, რომ ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია (ალბათ, არც არის; ან თუ არის, მხოლოდ ჩემთვის), არამედ იმიტომ, რომ ფიქრობს, ჩემნაირ მოხუცს საიდუმლო არ უნდა ჰქონდეს. ჩემნაირმა მოხუცმა სამზარეულოს დერეფანში საკიდიდან ლაბადა არ უნდა ჩამოხსნას; რაში გვჭირდება საიდუმლოებები? ჩვენ ხომ, მისი აზრით, ადამიანები აღარ ვართ. რატომ? ეს თვითონაც არ იცის. ამითაც ძალიან ჰგავს პერსის.

ამგვარად, ჩემმა ფიქრებმა მდინარესავით, რომელიც მკვეთრად უხვევს, ისევ იქამდე მიმიყვანა, საიდანაც ბრედ დოლანის მაჯაზე წავლებულმა ხელმა გამომარკვია: პერსიმდე, ავგუსტა პერსი უეტმორამდე, რომელმაც მისი დაცინვისთვის საბრალო სიკვდილმისჯილზე შური სასტიკად იძია. დელაკრუას ნასროლი კოჭი მისი საკნიდან დერეფანში გაგორდა, მისტერ ჯინგლსი მის უკან შესაგორებლად გაიქცა. პერსიმ კი თავისი შანსი გამოიყენა.

# 2

- არა, სულელო! - დაუყვირა ბრუტუსმა, მაგრამ პერსიმ ყურადღება არ მიაქცია. როგორც კი მისტერ ჯინგლსმა კოჭთან მიირბინა - იმდენად გართულმა, რომ არც კი შეუმჩნევია, დაუძინებელ მტერს რომ უახლოვდებოდა - პერსიმ სქელძირიანი ფეხსაცმელი ზედ დაადგა. გავიგონეთ, როგორ გაიტკაცუნა მისტერ ჯინგლსის მოტეხილმა კისერმა და პირიდან სისხლი წასკდა. პაწაწინა შავი თვალები გადმოკარკლა და მის ადამიანურ მზერაში ტკივილი და აგონია ამოვიკითხე.

შეძრწუნებული დელაკრუა აკივლდა. საკნის გისოსებს შორის ხელები გამოყო, რომ როგორმე თაგვს მისწვდომოდა. გამუდმებით მისტერ ჯინგლსის სახელს იმეორებდა.

პერსი მისკენ ღიმილით მიტრიალდა. სამივეს შემოგვხედა.

- ესეც ასე, - თქვა მან, - ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, გამოვიჭერდი. მხოლოდ დროის საკითხი იყო.

მერე ზურგი გვაქცია და დერეფანს ზემოთ აუყვა. მისტერ ჯინგლსი მისივე წითელი სისხლით მოთხვრილ მწვანე ლინოლეუმზე დაგდებული დატოვა.

დინი სკამიდან წამოხტა, მაგიდას მუხლი გაჰკრა და კრიბიჯის დაფა გადმოაგდო. ხვრელებიდან კოჭები ამოცვივდა და მიმოიფანტა. არც დინს და არც ჰარის დაფისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

- ახლა რაღა ჩაიდინე? - პერსის დაუყვირა დინმა. - რა ჩაიდინე, შე იდიოტო?

პერსიმ არ უპასუხა. მხოლოდ თმაში შეიცურა თითები და მაგიდას ასე ჩაუარა. მის ნაცვლად პასუხი დინმა უილიამ უორტონისგან მიიღო:

- ბოს დინ, მგონი, ამ ფრანგს ჭკუა ასწავლა, რომ მისი დაცინვა არ შეიძლება, - თქვა ველურმა ბილმა და თავისთვის სიცილი დაიწყო. მხიარულად და გულიანად იცინოდა. ჩემი ცხოვრების იმ პერიოდში ისეთ ხალხს ვხვდებოდი (უმეტესობა ძალიან საშიში იყო), რომლებიც მხოლოდ სიცილისას გეჩვენებოდა ნორმალური. უილიამ უორტონიც მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა.

გაოგნებულმა ისევ თაგვს დავხედე. ჯერ კიდევ სუნთქავდა, მაგრამ მუდამ ელვარე შავ თვალებზე თანდათან სიკვდილის ბინდი ეფინებოდა. ულვაშები სისხლით დაცვაროდა. ბრუტუსმა ჭრელი კოჭი აიღო, დახედა და მერე მე შემომხედა. ისიც ჩემსავით გაოგნებული იყო. ჩვენს ზურგს უკან დამწუხრებული და შეძრწუნებული დელაკრუა ტიროდა. მისტერ ჯინგლსი მისთვის მხოლოდ თაგვი არ ყოფილა; პერსიმ დელაკრუას აბჯარი გაარღვია და მთელმა მისმა შიშმა ზედაპირზე ამოხეთქა. მისი მოთქმა-გოდება საზარელი მოსასმენი იყო.

- არა, არა, - ქვითინებდა ჩია ფრანგი, - არა, საბრალო მისტერ ჯინგლსი, საბრალო მისტერ ჯინგლსი.

- აქ მომეცით.

ბოხმა, მშვიდმა ხმამ გამომარკვია. თავიდან ვერ მივხვდი, ვის ეკუთვნოდა. მერე ჯონ კოფი დავინახე. დელაკრუასავით მასაც საკნის გისოსებიდან გამოეყო ხელები, მაგრამ არ იქნევდა. რაც შეეძლო შორს გამოეწვდინა და ხელისგულები გაეშალა. გველოდა, როდის მივაწვდიდით მისტერ ჯინგლსს. ხმაც მომთხოვნი და მკაცრი ჰქონდა და ალბათ, ამიტომაც ვერ ვიცანი თავიდან. ჯონ კოფი ის მტირალა, დაკარგული სული აღარ იყო, ამ ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე საკანში რომ იჯდა.

- მომეცით, მისტერ ეჯკუმ, სანამ ჯერ კიდევ გვაქვს დრო!

უცებ გამახსენდა, მე რა გამიკეთა და ყველაფერს მივხვდი. ვიფიქრე, უარესი რაღა უნდა მოხდეს-მეთქი, მაგრამ არც იმის მჯეროდა, რომ უშველიდა. თაგვი რომ ხელში ავიყვანე, შევკრთი.

მისტერ ჯინგლსის ტყავიდან დამტვრეული ძვლები იმდენგან ამოჩრილიყო, მეგონა, სანემსე ბალიში მეჭირა ხელში. საქმე საშარდე გზების ინფექციაზე რთულად იყო, მაგრამ მაინც...

- რას აკეთებ? - მკითხა ბრუტუსმა, როცა მისტერ ჯინგლსი ჯონ კოფის მარჯვენა ხელისგულზე დავუდე. - რა ჯანდაბა ხდება?

კოფიმ თაგვი საკანში შეიყვანა. მისტერ ჯინგლსი მის ხელისგულზე უღონოდ ესვენა, კუდი კოფის ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ქანაობდა. კოფიმ მარჯვენა ხელს მარცხენა თავსახურივით დააფარა. მისტერ ჯინგლსი აღარ ჩანდა; ჩანდა მხოლოდ მისი კუდი, რომლის წვერიც სიჩქარეშენელებულ ქანქარასავით სამუდამოდ გასაჩერებლად ემზადებოდა.

ბრუტუსი გვერდით ამომიდგა. ჭრელ კოჭს ხელიდან არ აგდებდა.

- ნეტა რას აკეთებს?

- ჩშშ, - გავაჩუმე ბრუტუსი.

დელაკრუამ ტირილი შეწყვიტა.

- გთხოვ, ჯონ, - დაიჩურჩულა მან, - ო, ჯონ, უშველე, უშველე მას, s'il vous plait.

დინი და ჰარიც შემოგვიერთდნენ, ჰარის ცალ ხელში ბანქოს დასტა ეჭირა.

- რა ხდება? - იკითხა დინმა, მაგრამ მე მხოლოდ თავი გავაქნიე. მგონი, კვლავ დავჰიპნოზდი.

კოფიმ ერთმანეთს მიდებულ ხელებს შორის სული ჩაბერა. წამით ყველა და ყველაფერი გაირინდა. მერე ჯონ კოფიმ თავი ასწია და ტკივილით შეპყრობილი ავადმყოფის სახე დავინახე. თვალები უკაშკაშებდა, ქვედა ტუჩს იკვნეტდა, ხოლო შავი კანი გაუნაცრისფრდა. ხველა დაიწყო.

- ღმერთო, დიდებულო, - დაიჩურჩულა გაკვირვებისგან თვალებდაჭყეტილმა ბრუტუსმა.

- რა? - დაიყვირა ჰარიმ. - რა არის?

- კუდი! ვერ ხედავთ? კუდი!

მისტერ ჯინგლსის კუდი ჩიტებს ჩასაფრებული კატის კუდივით სწრაფად ქანაობდა. უცებ ჯონ კოფის ხელებს შორის ნაცნობი წრიპინი გაისმა.

ჯონ კოფიმკიდევ ერთხელ დაახველა და ამოიხრიწინა, თითქოს ნახველის ამოღებას აპირებსო. მაგრამ ნახველის ნაცვლად მისი პირიდან და ნესტოებიდან შავი მწერები ამოიფრქვა - მგონი, მწერები იყო, რადგან მოგვიანებით სხვებმაც იგივე თქვეს, თუმცა, დღემდე არ ვარ ამაში დარწმუნებული. შავი ღრუბელივით შემოეხვივნენ კოფის თავს და წამით სახე სრულიად დაუფარეს.

- ღმერთო, ეს რა არის? - დაფრთხა ჰარი.

- ყველაფერი კარგადაა, - მომესმა საკუთარი ხმა, - ნუ გეშინიათ, რამდენიმე წამში გაქრებიან.

როგორც მაშინ, როცა კოფიმ საშარდე გზების ინფექციისგან განმკურნა, ქინქლები გაფერმკრთალდნენ და გაქრნენ.

- დაუჯერებელია! - დაიჩურჩულა ჰარიმ.

ჯონ კოფიმ სული მოითქვა, თითქოს ყელში გაჩხერილი ხორცის ნაჭერი ამოახველაო. დაიხარა. ხელები იატაკზე გაშალა და იქიდან ცოცხალი და უვნებელი მისტერ ჯინგლსი გადმოხტა, ჯონ კოფის საკნის გისოსებთან მიირბინა, იქ წამიერი შეყოვნების შემდეგ კი დერეფანში გასხლტა და დელაკრუას საკანში შეძვრა. რომ მირბოდა, თვალი მოვკარი, ულვაშები ჯერაც სისხლის წვეთებით ჰქონდა დაცვარული.

დელაკრუამ მაშინვე ხელში აიყვანა, თან ტიროდა, თან იცინოდა და მოურიდებლად კოცნიდა საყვარელ თაგვს. დინი, ჰარი და ბრუტუსი უსიტყვოდ უყურებდნენ. მერე ბრუტუსი მიუახლოვდა და გისოსებიდან ჭრელი კოჭი მიაწოდა. მისტერ ჯინგლსის ალერსით გატაცებულმა დელაკრუამ თავიდან ვერ შეამჩნია. იმ მამასავით უხაროდა, ვაჟიშვილი დახრჩობას რომ გადაარჩინა. ბრუტუსმა კოჭით მხარზე დაუკაკუნა. დელაკრუამ გამოხედა, კოჭი

დაინახა, გამოართვა და ისევ მისტერ ჯინგლსის ფერება გააგრძელა. თვალს ვერ წყვეტდა მას, თითქოს ვერ იჯერებს, რომ ცოცხალი და საღ-სალამათიაო.

- კოჭი გააგორე, - უთხრა ბრუტუსმა, - ვნახოთ, თუ გაეკიდება.

- კარგად არის, ბოს ჰაუელ, კარგად არის...

- კოჭი გააგორე, - გაუმეორა ბრუტუსმა, - მიდი, დელ.

დელაკრუა უხალისოდ დაიხარა, არ უნდოდა მისტერ ჯინგლსის გაშვება, მისი ფერებით ჯერ გული არ ეჯერებინა. თუმცა, კოჭი ნელა მაინც გააგორა. კოჭმა სიგარის კოლოფს გვერდი აუარა და საკნის მოპირდაპირე მხარეს კედელთან მიგორდა. მისტერ ჯინგლსი მაშინვე გაეკიდა, თუმცა, უწინდელივით სწრაფად აღარ მირბოდა. უკანა მარცხენა თათით სულ ოდნავ კოჭლობდა და სწორედ ეს სძენდა მომხდარს დამაჯერებლობას, - ეს ნაღრძობი მარცხენა უკანა თათი.

თუმცა, კოჭლობის მიუხედავად, მისტერ ჯინგლსმა კოჭთან მაინც მიირბინა და ცხვირის კვრით, ძველებური მონდომებით მიაგორა დელაკრუას ფეხებთან. საკნის კართან მდგარი მოღიმარი ჯონ კოფისკენ შევტრიალდი. მისი ღიმილი გადაქანცული კაცის ღიმილს ჰგავდა და არა ნამდვილად ბედნიერისას; თუმცა, ის შეშფოთება, სახეზე რომ ეწერა, თაგვი მომეცითო, რომ მთხოვდა და ის შიში და ტკივილი, რომელმაც ხველებისას მოიცვა, უკვე გამქრალიყო. ისევ ძველ ჯონ კოფის დაემსგავსა, აზრებით სადღაც რომ დაფრინავდა და არაფრის მთქმელი მზერა რომ ჰქონდა.

- შენ მას უშველე, - ვუთხარი, - ხომ ასეა, დიდო ბიჭო?

- ასეა, - თქვა კოფიმ და უფრო ფართოდ გაეღიმა. წამით ბედნიერი მომეჩვენა, - ვუშველე. დელის თაგვს ვუშველე. ვუშველე... - ენა დაება მას, რადგან სახელი ვერ გაიხსენა.

- მისტერ ჯინგლსს, - დაეხმარა დინი. ის ჯონ კოფის მოკრძალებით უყურებდა, თითქოს ელის, ახლა ცეცხლის ალში გაეხვევა ან ჰაერში აფრინდებაო.

- ჰო, მისტერ ჯინგლსს, - თქვა კოფიმ, - მისტერ ჯინგლსი ცირკის თაგვია. ქარსის ფანჯრიან სახლში იცხოვრებს.

- კი, ნაღდად იცხოვრებს, - თქვა ჰარიმ და ჩვენთან ერთად ისიც ჯონ კოფის მიაჩერდა. ჩვენ ზურგს უკან დელაკრუა საწოლზე დაწვა და მისტერ ჯინგლსი მკერდზე დაისვა. ფრანგულად აღიღინდა, მგონი, იავნანას უმღეროდა.

ჯონ კოფიმ მწვანე გზას გახედა, რომელიც ჩემს კაბინეტამდე მიდიოდა, იქიდან კი - საწყობში.

- უფროსი პერსი ცუდია, - თქვა მან, - უფროსი პერსი ბოროტია. დელის თაგვს დააბიჯა. მისტერ ჯინგლსს დააბიჯა.

და სანამ რამის თქმას მოვასწრებდით - თითქოს რამის თქმის უნარი შეგვრჩენოდეს - ჯონ კოფიმ ზურგი გვაქცია, თავის საწოლთან მივიდა, დაწვა და სახით კედლისკენ გადაბრუნდა.

# 3

ოცი წუთის შემდეგ, მე და ბრუტუსი საწყობში რომ შევედით, პერსი ჩვენკენ ზურგით იდგა. თაროზე გასარეცხი უნიფორმების (და ზოგჯერ სამოქალაქო სამოსისაც; ციხის სამრეცხაოსთვის სულერთი იყო, რას გარეცხავდა) ჩასაწყობი კალათის თავზე ავეჯის პოლიტურით სავსე ქილა ეპოვნა და ელექტროსკამის მუხის მკლავსადებებს და ფეხებს წმენდდა. შესაძლოა, ეს უცნაურად და შემზარავად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე და ბრუტუსმა ვიფიქრეთ, რომ იმ ღამით პერსი ამაზე უკეთეს საქმეს ვერ იპოვიდა. ოთცდაოთხ საათში „ბებერ ნაპერწკალას“ საჯაროდ წარდგომა მოუწევდა და თან, სხვების დასანახად, პერსი სადამსჯელო რაზმის უფროსი იქნებოდა.

- პერსი, - ჩუმად დავუძახე.

მან ღიღინი შეწყვიტა და ჩვენკენ შემობრუნდა. ველოდი, რომ მის სახეზე შიშს დავინახავდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ყოველ შემთხვევაში, თავიდან. პერსი უჩვეულოდ გაზრდილიყო. ჯონ კოფიმ მართალი თქვა, ის ბოროტი იყო. სიავე ნარკოტიკივითაა, მასზე დამოკიდებული ხდები - ჩემი გამოცდილების მქონე ადამიანს ამის თქმა თამამად შემიძლია - და რამდენიმე ექსპერიმენტის შემდეგ, პერსისაც ასე დაემართა. მას სიამოვნებდა, რომ დელაკრუას თაგვი გასრისა. უფრო მეტად კი დელაკრუას ცრემლების დანახვა ახარებდა.

- ახლა არ დამიწყოთ, - აუღელვებლად გვითხრა მან, - ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მხოლოდ თაგვი იყო. თანაც, მისი ადგილი აქ არ იყო და ეს თქვენც კარგად იცით, ბიჭებო.

- თაგვი მშვენივრადაა, - ვუთხარი. გული სწრაფად მიცემდა, მაგრამ როგორღაც მოვახერხე მშვიდი, უემოციო ტონის შენარჩუნება, - არაფერი სჭირს. წრიპინით დასდევს თავის კოჭს. თაგ-

ვის მოკვლაშიც ისეთივე უხეირო ყოფილხარ, როგორც სხვა ყველაფერში.

პერსი გაკვირვებული მიყურებდა, ვერ იჯერებდა, რაც გაიგონა.

- გგონია, მომატყუებთ? თვითონ გავიგონე მისი ძვლების ტკაცუნი. ასე რომ, შეგიძლიათ...

- მოკეტე.

- რაო? - თვალებდაჭყეტილი მომაშტერდა. - რა მითხარი?

უფრო ახლო მივედი მასთან. შუბლის ძარღვის ფეთქვას ვგრძნობდი. არ მახსოვს, ბოლოს როდის გავბრაზდი ასე ძლიერ.

- არ გიხარია, რომ მისტერ ჯინგლსი კარგადაა? ხომ დაგარიგეთ, რომ ჩვენი მოვალეობა პატიმრებში სიმშვიდის შენარჩუნებაა, განსაკუთრებით მათი სიცოცხლის ბოლო დღეებში. არ გიხარია, რომ ხვალ აღელვებულ და ანერვიულებულ დელაკრუას არ წაიყვან სიკვდილით დასასჯელად? მეგონა, გულზე მოგეშვებოდა.

პერსი ბრუტუსისკენ მიტრიალდა. მის სახეზე ნაძალადევი სიმშვიდე ეჭვმა შეცვალა.

- რაღაც უშნო თამაში წამოიწყეთ, ბიჭებო, და ეს არ მომწონს!

- სულაც არ გეთამაშებით, მეგობარო, - უთხრა ბრუტუსმა, - თუ გგონია, რომ ეს... აი, სწორედ ამიტომ არ შეიძლება შენი ნდობა. გინდა სრული სიმართლე გაიგო? ვერ ყოფილხარ წესიერი კაცი.

- მე თქვენ გაჩვენებთ სეირს, - დაიმუქრა პერსიმ. ხმაში ისევ შიში შეეპარა. შიში იმისა, რომ რაღაცას ვუჩალიჩებდით; შიში იმისა, რომ რაღაცას ვუპირებდით. მესიამოვნა, რომ მის ხმაში შიში შევამჩნიე. ასე უფრო გამიადვილდებოდა მასთან საუბარი, - მე ხალხს ვიცნობ. გავლენიან ხალხს.

- ეგ შენ გგონია ეგრე, - უთხრა ბრუტუსმა, რომელიც, მგონი, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ახარხარებულიყო.

პერსიმ საწმენდი ტილო სკამზე დააგდო.

- მე ეგ თაგვი მოვკალი, - ეჭვნარევი ხმით თქვა მან.

- წადი და თვითონ შეამოწმე, - ვუთხარი, - არავინ გიჭერს.

- წავალ, - თქვა პერსიმ, - წავალ და შევამოწმებ.

გვერდით ჩაგვიარა, პატარა ხელებში (უორტონმა სიმართლე თქვა, ლამაზი ხელები ჰქონდა) სავარცხელს ათამაშებდა. საფეხურები აიარა და ჩემს კაბინეტში შევიდა. მე და ბრუტუსი „ბებერ ნაპერწკალასთან“ უხმოდ ველოდით მის დაბრუნებას. ბრუტუსისა არ ვიცი, მაგრამ მე სათქმელს თავს ვერ ვაბამდი. წარმოდგენა არ მქონდა, სიტყვებით როგორ აღმეწერა ის, რისი მოწმენიც გავხდით.

სამი წუთი გავიდა. ბრუტუსმა პერსის ტილო აიღო და ელექტროსკამის საზურგის სქელი წანწალების წმენდა დაიწყო. სანამ პერსი დაბრუნდებოდა, ჯერ ერთი გაწმინდა, მერე - მეორე. პერსი საწყობის კიბეზე ბარბაცით ჩამოვიდა და ლამის იატაკზე დაეცა. გაოგნებული მოგვიახლოვდა.

- შეცვალეთ, - დაგვადანაშაულა, - თაგვი შეცვალეთ, თქვე ნაბიჭვრებო. რაღაცას მეთამაშებით და ახლავე თუ არ შეწყვეტთ, იცოდეთ, განანებთ! პურის რიგში მოგიწევთ დგომა. თავი ვინ გგონიათ?

სულის მოსათქმელად შეყოვნდა და ხელები დამუშტა.

- გეტყვი, ვინც გვგონია, - ვუთხარი, - ჩვენ შენი თანამშრომლები ვართ, პერსი... მაგრამ მალე აქ აღარ იმუშავებ - და ხელები მხრებზე მოვუჭირე. ძლიერად არა, მაგრამ მაინც მოვუჭირე.

პერსიმ ხელი ასწია, რომ ჩემი ხელები მოეშორებინა.

- გაწიე შენი ხ...

ბრუტუსმა მარჯვენა ხელის მტევანში ჩაავლო ხელი და მთელი მტევანი - პატარა, ნაზი და თეთრი - ბრუტუსის გარუჯულ ტორში ჩაიკარგა.

- სალაპარაკო ღრუ მოკეტე, ბიჭიკო! გირჩევ, ჭკუა იხმარო, ეს ბოლო შანსი გამოიყენე დაყურები კარგად გამოიწმინდე.

პერსი შევაბრუნე, პლატფორმაზე ავიყვანე და ელექტროსკამისკენ ვუბიძგე. პერსი თავისდა უნებურად ჩამოჯდა „ბებერ ნაპერწკალაზე“. აღელდა. სიავის და ქედმაღლობის ყოველგვარი კვალი წაიშალა მისი სახიდან. გახსოვდეთ, რომ პერსი ძალიან ახალგაზრდა იყო. მის ასაკში ეს თვისებები მხოლოდ მოჩვენებითი საფარველია, ემალის საღებავის უშნო ფენა. ამ საფარველის გადაცლა ჯერაც შეიძლებოდა და შევატყვე, რომ პერსი მოსასმენად მზად იყო.

- პირობა უნდა მომცე, - ვუთხარი მას.

- რა პირობა? - ხმა ძველებურად გესლიანი ჰქონდა, მაგრამ მზერა - შეძრწუნებული. სააპარატოში ელექტროენერგია გამორთული იყო, მაგრამ „ბებერ ნაპერწკალას“ თავისებური ძალა ჰქონდა და პერსი აშკარად გრძნობდა მას.

- იმის პირობა, რომ თუ ხვალ სადამსჯელო რაზმს შენ უხელმძღვანელებ, „ბრაიერ რიჯში“ წახვალ და თავს დაგვანებებ, - უთხრა ბრუტუსმა მრისხანედ, - მომდევნო დღესვე დაწერ განცხადებას გადაყვანის თაობაზე.

- რომ არ დავწერო ან იქნებ საჭირო ხალხს დავურეკო და ვუთხრა, რომ აქ მაწამებთ, მემუქრებით და მაშინებთ?

- თუ მართლა ეგეთი გავლენიანი ნაცნობები გყავს, როგორც გგონია, აქედან მოგვისვრიან და ეგ იქნება, - ვუთხარი, - მაგრამ იქამდე იმდენს ვიზამთ, რომ შენი წილი სისხლიც დაიღვაროს იატაკზე, პერსი.

- თაგვის გამო? ჰა! გგონიათ ამ საგიჟეთის გარეთ ვინმეს დააინტერესებს ვიღაც სიკვდილმისჯილი მკვლელის თაგვი რომ გავსრისე?

- ეგ არა, მაგრამ შენ არ იყავი სამი კაცის თვალწინ უსაქმურად ყვერებს რომ იფხანდი, როცა უილიამ უორტონი დინ სტენტონს ახრჩობდა? დამიჯერე, პერსი, ეს ხალხს ნამდვილად დააინტერესებს. ამით ბიძაშენი გუბერნატორიც კი დაინტერესდება.

პერსი ჭარხალივით გაწითლდა.

- გგონიათ, დაგიჯერებენ? - გვკითხა, მაგრამ მისმა ხმამ სიმტკიცე დაკარგა. იეჭვა, რომ ვიღაც მაინც დაგვიჯერებდა. პერსის კი პრობლემები არ უყვარდა. მას წესების დარღვევის კი არა, იმის ეშინოდა, ვინმემ წესების დარღვევაში არ გამომიჭირისო.

- სანამ სისხლჩაქცევები გაუქრებოდა, დინს სურათები გადავუღე, - თქვა ბრუტუსმა. წარმოდგენა არ მქონდა, სიმართლე თქვა თუ არა, მაგრამ პერსის დასაშინებლად გამოდგებოდა, - იცი, კიდევ რა ჩანს იმ ფოტოებზე? წინა პლანზე კი უორტონია, სანამ ძირს დავაგდებდით, მაგრამ შენც იქვე დგახარ ისე, რომ უორტონი ვერ გხედავს. წესით, მძიმე შეკითხვებს დაგისვამენ, არა? ამ ჭუჭყის ჩამორეცხვას, ალბათ, მთელი სიცოცხლე ვერ მოახერხებ. მაშინაც კი ზედ შეგრჩება, როცა გავლენიანი ნათესავები სახელმწიფო სამსახურიდან პენსიაზე გავლენ და საკუთარ ვერანდებზე ნებიერად დაიწყებენ ჯულეპის წრუპვას. ადამიანის სამსახურეობრივი ისტორია საინტერესო რამაა, რადგან ცხოვრების მანძილზე მასში ბევრი ვინმე იხედება.

პერსი უნდობლად აცეცებდა თვალებს ჩემსა და ბრუტუსს შორის. მარცხენა ხელით თმა გადაივარცხნა. არაფერი უთქვამს, მაგრამ იმედი მომეცა, რომ დავარწმუნეთ.

- კარგი რა, რაღას ვაჯანჯლებთ, - ვთქვი, - თვითონაც ხომ აღარ გინდა აქ ჩვენთან დარჩენა, არა?

- მეზიზღება აქაურობა! - წამოიყვირა პერსიმ. - არ მომწონს, როგორც მექცევით! არანაირ შანსს არ მიტოვებთ!

მისი ბოლო ბრალდება აშკარად არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მაგრამ ვიფიქრე, ახლა ამაზე კამათის დრო არაა-მეთქი.

- არც ის მომწონს, რომ მემუქრებით. მამაჩემმა მასწავლა, ვინმეს ერთხელ თუ დაუხრი თავს, მთელი ცხოვრება თავდახრილი ივლიო, - ლამაზი თვალები (მთლად ხელებივით ლამაზი არა) მძულვარედ გააკვესა, - განსაკუთრებით არ მომწონს, როცა

ამისთანა გორილები მემუქრებიან, - ბურტყუნით შეხედა ჩემს მეგობარს, - მხეცო, ეგ მეტსახელი მართლაც სწორად შეურჩევიათ შენთვის.

- ერთი რამ უნდა გაიგო, პერსი, - ვუთხარი, - ჩვენი აზრით, შენ გვემუქრები. ჩვენ სულ გიმეორებთ, როგორ უნდა მოიქცე, მაგრამ შენ ყოველთვის საპირისპიროს აკეთებ და როცა პრობლემები იქმნება, გავლენიანი ნაცნობების ზურგს უკან იმალები. დელაკრუას თაგვის გასრესა... - უცებ ბრუტუსის გამაფრთხილებელ მზერას მოვკარი თვალი და სასწრაფოდ შევასწორე, - დელაკრუას თაგვის გასრესის მცდელობა ამის ერთ-ერთი მაგალითია. სულ გვემუქრებოდი და გვემუქრებოდი. და აი, ჩვენი ჯერი დადგა. სულ ესაა. მაგრამ მისმინე, თუ სწორად მოიქცევი, ამ საქმიდან სუფთად გამოძვრები. ყველა იფიქრებს, რომ ახალგაზრდა კაცი დააწინაურეს. ამ ჩვენს საუბარს ვერავინ ვერასდროს გაიგებს. აბა, რას იტყვი? ბავშვი ხომ არ ხარ, იფიქრე, რა აჯობებს. დელაკრუას სიკვდილით დასჯის შემდეგ აქედან წადი.

პერსი დაფიქრდა. ორი-სამი წუთის შემდეგ მის მზერაში ისეთი რამ შევამჩნიე, რაც არ მომეწონა. თითქოს ეშმაკური აზრი მოუვიდა თავში. პერსის ეშმაკური აზრი კი ჩვენთვის კარგს არაფერს მოასწავებდა.

- სხვა თუ არაფერი, იმ ნეხვის ტომარა უორტონს ხომ მაინც მოშორდები, - დაამატა ბრუტუსმა.

პერსიმ თავი დააქნია და ელექტოსკამიდან წამოდგომის საშუალება მივეცი. პერანგი გაისწორა, შარვალში ჩაიკეცა და თმა გადაივარცხნა.

- კარგი, თანახმა ვარ, - ჩვენ შემოგვხედა. - ხვალ ღამით დელაკრუას სიკვდილით დასჯას მე ვუხელმძღვანელებ. ზეგ კი „ბრაიერ რიჯში“ გადაყვანის თაობაზე განაცხადს შევიტან. ანგარიში გასწორებული გვექნება. მოსულა?

- მოსულა, - ვუთხარი მე. ცბიერი მზერა არ შეცვლია, მაგრამ იმ წუთას არაფერი შევიმჩნიე, იმდენად გახარებული ვიყავი.

პერსიმ ხელი გამოგვიწოდა და მე და ბრუტუსმა სათითაოდ ჩამოვართვით. ახია ჩვენზე.

# 4

მომდევნო, უჩვეულოდ ცხელი ოქტომბრის ბოლო დღე კიდევ უფრო დახუთული გამოდგა. დასავლეთით შავი ღრუბლები გროვდებოდა და ქუხდა, როცა სამსახურში მივედი. დაღამებულზე ღრუბლები თანდათან მოგვიახლოვდა. ვხედავდით, როგორ სერავდა მათ საბურველს ლურჯ-თეთრი ელვა. ტრაპინგუსის ოლქში დაახლოებით ათი საათისთვის ტორნადო ამოვარდა და ხუთი ადამიანი შეიწირა, ხოლო ტეფტონში საჯინიბოს სახურავი ახადა. „ქოულდ მაუნთინში“ ჭექდა და ქარიშხალი მძვინვარებდა. ახლა ვფიქრობ, რომ იმ დღეს თვით ზეცაც აპროტესტებდა ედუარდ დელაკრუას საზარელ სიკვდილს.

არადა, ყველაფერი მშვენივრად დაიწყო. დელაკრუამ დღე საკანში მშვიდად გაატარა. ხან მისტერ ჯინგლსს ეთამაშებოდა, ხან საწოლზე იწვა და ეფერებოდა. უორტონმა რამდენჯერმე სცადა აყალმაყალის ატეხვა - ერთხელ დელაკრუას დაუძახა, შენ რომ ჯოჯოხეთში „თუ-სტეპის“ საცეკვად გაგისტუმრებენ, ჩვენ გემრიელ თაგვბურგერებს მივირთმევთო, მაგრამ ჩია ფრანგი არ შეეპასუხა და უორტონმაც უფრო გონივრული რომ ვერაფერი მოიფიქრა, შეეშვა.

თერთმეტის თხუთმეტ წუთზე ძმა შუსტერი მოვიდა და ყველა გაგვახარა, ლუიზიანელ ფრანგთან ერთად ლოცვას ფრანგულად წავიკითხავო. ეს კარგად გვენიშნა. თუმცა, შევცდით.

თერთმეტისთვის მოწმეებმა დაიწყეს მოსვლა. ერთმანეთს ავდარზე ეჩურჩულებოდნენ და შიშობდნენ, ვაითუ, ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდეს და სიკვდილით დასჯა გადაიდოსო. მათ არ იცოდნენ, რომ „ბებერი ნაპერწკალა“ გენერატორზე მუშაობდა და თუ პირდაპირ მას არ დაეცემოდა მეხი, სანახაობა უეჭველად შედგებოდა. იმ ღამით სააპარატოში ჰარი იჯდა, ამიტომ ის,

ბილ დოჯი და პერსი უეტმორი „მებილეთეების“ მოვალეობასაც ასრულებდნენ. მოწმეებს თავ-თავიანთ ადგილებზე სხამდნენ და ერთ ჭიქა ცივ წყალს სთავაზობდნენ. მოწმეებს შორის ორი ქალი იყო: იმ გოგოს და, რომელიც დელაკრუამ გააუპატიურა და მოკლა და ერთ-ერთი ხანძარში დაღუპულის ზორბა, ფერმკრთალი და შეუპოვარი დედა. მან ჰარი ტერვილიგერს უთხრა, ვიცი, კაცი რომლის სანახავადაც მოვედი, ახლა კეთილი და შეშინებულია და თვითონაც ხვდება, რომ ჯოჯოხეთში სატანის ნაშიერებს მისთვის გახურებული ღუმელი გამზადებული აქვთო. შემდეგ ცრემლები წასკდა და სახე ბალიშისპირისხელა ცხივრსახოცში ჩარგო.

თუნუქის წვრილი სახურავი ქარიშხლის ხმას ვერ ახშობდა. დაიქუხა. ყველამ ზევით აიხედა. მამაკაცებმა, რომლებიც გვიან ღამით ჰალსტუხებში თავს მოუხერხებლად გრძნობდნენ, აღაჟღაჟებული ღაწვები მოიწმინდეს. საწყობში საშინლად ცხელოდა. ყველას „ბებერ ნაპერწკალასკენ“ გაურბოდა თვალი. შეიძლება რამდენიმე დღით ადრე ელექტროსკამზე აგდებით ხუმრობდნენ, მაგრამ იმ ღამის თორმეტის ნახევარზე აღარავის ეცინებოდა. ამ ისტორიის მოყოლა იმით დავიწყე, რომ სიკვდილმისჯილებს ელექტროსკამზე დაჯდომისთანავე ეკარგებოდათ სიცილის ხალისი. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში არა მხოლოდ მათი სახეებიდან იშლებოდა ღიმილი. ელექტროსკამი პლატფორმაზე მოწმეების თვალწინ შეულამაზებელი, მთელი თავისი შემაძრწუნებლობით წარმოჩინდებოდა ხოლმე და ყველას თრგუნავდა. თითქმის არავინ ლაპარაკობდა და როცა კიდევ ერთხელ დაიჭექა და ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ხე გადატყდაო, დელაკრუას მსხვერპლის დამ წამოიკივლა. ყველაზე ბოლოს თავისი ადგილი ციხის უფროსი მურსის დროებითმა შემცვლელმა კერტის ანდერსონმა დაიკავა.

თორმეტის ნახევარზე დელაკრუას საკანთან მივედი. ჩემ უკან დინი და ბრუტუსი იდგნენ. დელაკრუა საწოლზე იჯდა და კალთაში მისტერ ჯინგლსი ესვა. თაგვს კისერი წაეგრძელებინა და ფრანგს შავ თვალებს არ აშორებდა. ფრანგი ყურებს შორის თავზე ეფერებოდა. მას მსხვილი ცრემლები სდიოდა და თაგვიც სწორედ ამ ცრემლებს მისჩერებოდა. ჩვენი ნაბიჯის ხმის გაგონებაზე დელაკრუამ თავი აწია. გაფითრებული იყო. არ დამინახავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემ ზურგს უკან, თავისი საკნის კართან ჯონ კოფი იდგა და გვიყურებდა.

გასაღების გაჩხაკუნებაზე დელაკრუა შეკრთა, მაგრამ სიმტკიცე შეინარჩუნა და მისტერ ჯინგლსის ფერება განაგრძო. მე გასაღები გადავატრიალე და კარი გავაღე.

- გამარჯობა, ბოს ეჯკუმ, - მომესალმა ჩია ფრანგი, - გამარჯობა, ბიჭებო. შენც მიესალმე, მისტერ ჯინგლს, - მაგრამ მისტერ ჯინგლსი გამელოტებულ დელაკრუას არ სწყვეტდა მზერას, თითქოს მისი ცრემლების მიზეზის დადგენა სურსო. ფრანგს ჭრელი კოჭი სიგარის კოლოფში კოხტად ჩაედო; კოხტად და უკანასკნელად - ამის გაფიქრებაზე სინანული ვიგრძენი.

- ედუარდ დელაკრუა, როგორც სასამართლოს ოფიცერმა...

- ბოს ეჯკუმ?

ვიფიქრე, ჩემს სავალდებულო სიტყვას გავაგრძელებ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე.

- რა არის, დელ?

მან თაგვი გამომიწოდა.

- გამომართვით და გაუფრთხილდით მისტერ ჯინგლსს.

- დელ, არა მგონია, ჩემთან დარჩეს. ის ხომ...

- Mais oui, კი, ამბობს, რომ დარჩება. ამბობს, უფროს ეჯკუმს კარგად ვიცნობ და ფლორიდაში იმ ადგილას წამიყვანს, სადაც თაგვები ტრიუკებს

აკეთებენო. ამბობს, რომ გენდობა - დელაკრუამ უფრო ახლოს მომიშვირა ხელი და ძაღლიშვილი ვიყო, თუ თაგვი მისი ხელისგულიდან ჩემს მხარზე არ გადმოცოცებულიყოს. ისეთი მსუბუქი იყო, მხოლოდ ოდნავი სითბო ვიგრძენი მუნდირის ქვეშ, - და კიდევ, ბოს, ის საძაგელი მასთან აღარ მიუშვათ. იმ საძაგელს მისტერ ჯინგლსისთვის ნურაფერს დააშავებინებთ.

- არა, დელ, არაფერს დავაშავებინებ, - თუმცა, არცის ვიცოდი, იმ წუთში სად წამეყვანა მისტერ ჯინგლსი. მოწმეების თვალწინ მხარზე თაგვშემოსკუპებული ვერ გავატარებდი დელაკრუას.

- ჩემთან დატოვეთ, ბოს ეჯკუმ, - დაიბუბუნა ჯონ კოფიმ, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხაო, - ცოტა ხნით, თუ დელი წინააღმდეგი არაა.

დელაკრუამ შვებით ამოისუნთქა და თავი დააქნია.

- ჰო, შენთან დარჩეს, ჯონ, სანამ ეს საშინელება არ დასრულდება! მერე კი... - ფრანგმა მე და ბრუტუსს შემოგვხედა, - ფლორიდაში წაიყვანეთ, მაუსვილში.

- ჰო, მე და პოლი ერთად წავიყვანთ, - თქვა ბრუტუსმა, რომელიც შეწუხებული სახით აკვირდებოდა, როგორ გადაცოცდა მისტერ ჯინგლსი ჩემი მხრიდან ჯონ კოფის ხელისგულზე. მისტერ ჯინგლსი არც კი შეყოვნებულა, უშიშრად აცოცდა კოფის მკლავზე, - შვებულება რომ გვექნება, მაშინ წავალთ, არა, პოლ?

მე თავი დავუქნიე. თვალებგაბრწყინებულმა დელმაც თავი დაგვიქნია. ტუჩებზე ძლივს შესამჩნევი ღიმილი გადაეფინა.

- დიდები ათ ცენტს გადაიხდიან მის სანახავად, ბავშვები კი - ორს. არა, ბოს ჰაუელ?

- ეგრეა, დელ.

- კარგი კაცი ხართ, ბოს ჰაუელ, - თქვა დელაკრუამ, - თქვენც, ბოს ეჯკუმ. ხანდახან მიჯავრდებოდით ხოლმე, oui, მაგრამ როცა საჭირო იყო. ყველანი კარგები ხართ, პერსის გარდა. ნეტა აქ კი

არა, სადმე სხვაგან შეგხვედროდით. Mauvais temps, mauvaise chance.[20]

- შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი, დელ... - დავიწყე, - სანამ მწვანე გზას გაივლიან, ამას ყველას ვეუბნები. დიდი არაფერია, მაგრამ ეს ჩემი მოვალეობაა. მომისმენ?

- Oui, Monsieur,[21] - მითხრა დელაკრუამ და უკანასკნელად შეხედა ჯონ კოფის ფართო მხარზე შემომჯდარ მისტერ ჯინგლსს, - Au revoir, mon ami,[22] - თქვა და ატირდა, - Je t'aime, mon petit,[23] - თაგვს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა. ჰაეროვანი კოცნა იმ წუთას, ალბათ, სასაცილო და გროტესკული გამოჩნდებოდა, მაგრამ არავის გაგვცინებია. წამით ჩემი მზერა დინისას შეხვდა. მაშინვე განზე გავიხედე. დინი დერეფნის ბოლოს საწყობისკენ იყურებოდა და უცნაურად იღიმოდა, მგონი, ცოტაც და ატირდებოდა. მე, სასამართლოს ოფიცერმა, ჩემი სავალდებულო სიტყვა წარმოვთქვი და დასასრულს, დელაკრუამ უკანასკნელად გამოაბიჯა თავისი საკნიდან.

- ერთი წუთით, - თქვა ბრუტუსმა და დელაკრუას კინკრიხო შეამოწმა, რადგან ზედ ჩაფხუტი უნდა ჩამოეცვა. მე თავი დამიქნია და დელაკრუას მხარზე ხელი დაუტყაპუნა, - გლუვია, გაპარსვა არ სჭირდება. წავედით.

ასე დაადგა ედუარდ დელაკრუა მწვანე გზას. ღაწვებს ოფლნარევი ცრემლები უსველებდა. მის თავსზემოთ ზეცა გრგვინავდა. ბრუტუსი სიკვდილმისჯილს მხარმარცხნივ მიჰყვებოდა, მე - მხარმარჯვნივ, დინი - უკან.

ჩემს კაბინეტში ძმა შუსტერი იცდიდა. კაბინეტის კუთხეებში იდგნენ მცველები რინგგოულდი და ბეთლი. შუსტერმა დელაკ-

[20] უამინდობა, უიღბლობა (ფრ.).
[21] დიახ, ბატონო (ფრ.).
[22] მშვიდობით, მეგობარო (ფრ.).
[23] მიყვარხარ, პატარავ (ფრ.).

რუას გაუღიმა და ფრანგულად მიმართა. მისი ტონი მეტისმეტად მაღალფარდოვანი და ხელოვნური მომეჩვენა, მაგრამ მაინც იმოქმედა. დელმაც გაუღიმა, შუსტერთან მივიდა და გადაეხვია. რინგგოულდი და ბეთლი დაიძაბნენ, მაგრამ მე ხელის აწევით და თავის ქნევით ვანიშნე, არ გაინძრეთ-მეთქი.

შუსტერი დელის ცრემლნარევი ფრანგული სიტყვების ნაკადს მოთმინებით უსმენდა, თითქოს ყველაფერი ესმისო და მხარზე ხელს უტყაპუნებდა. მის მხარს ზემოდან გამომხედა და მითხრა:

- ნახევარი არ მესმის, რას ამბობს.

- რა მნიშვნელობა აქვს, - წაიბურტყუნა ბრუტუსმა.

- არანაირი, შვილო ჩემო, - გაიღიმა შუსტერმა. ის ჩვენს მღვდლებს შორის საუკეთესო იყო. სხვათა შორის, ახლა ვხვდები, რომ არასდროს დავინტერესებულვარ, რა ბედი ეწია. იმედია, ყველაფრის მიუხედავად, რწმენის შენარჩუნება შეძლო.

მან დელაკრუა მუხლებზე დააყენა და ხელები ერთმანეთს გადააჭდო. დელაკრუაც სალოცავად გაემზადა.

- Not' Père, qui êtes aux cieux ,[24] - დაიწყო შუსტერმა და დელაკრუაც აჰყვა. ერთად წაიკითხეს „მამაო ჩვენო“ ნარნარა ლუიზიანური ფრანგული აქცენტით და დაასრულეს: - mais déliverez-nous du mal, ainsi soit-il,[25] - ამასობაში დელაკრუამ ტირილი შეწყვიტა და დამშვიდდა. შემდეგ ბიბლიიდან რამდენიმე მუხლი წაიკითხეს (უკვე ინგლისურად). არც წყნარ წყლებთან დასვენება გამორჩენიათ. რომ მორჩნენ, შუსტერმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ დელაკრუამ მაჯაზე წაავლო ხელი და ფრანგულად რაღაც უთხრა. შუსტერმა ყურადღებით მოუსმინა და მოიღუშა. უპასუხა. დელაკრუამ კიდევ რაღაც თქვა და იმედიანად შეხედა.

შუსტერი მე მომიბრუნდა და მითხრა:

---

[24] მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა (ფრ.).

[25] არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ. (ფრ.).

- კიდევ რაღაც აქვს სათქმელი, მისტერ ეჯკუმ. ამ ლოცვას მე ვერ წავიკითხავ, რადგან ჩემი რწმენა მიკრძალავს. ნებას დართავთ?

კედლის საათს შევხედე. თორმეტს ჩვიდმეტი წუთი აკლდა.

- კი, ოღონდ დაუჩქარეთ. დროში უნდა ჩავეტიოთ.

- დიახ, რასაკვირველია, - მითხრა შუსტერმა და დელაკრუას თავი დაუქნია.

დელმა თვალები დახუჭა, მაგრამ რამდენიმე წუთს ლოცვა არ დაუწყია. შუბლიშეჭმუხნა, თითქოს გონების შორეულ კუნჭულებში დიდი ხნის წინ მივიწყებულ რაღაცას დაეძებსო. კიდევ ერთხელ შევხედე კედლის საათს და მისთვის დროის შეხსენება გადავწყვიტე, მაგრამ ბრუტუსმა სახელოზე მომქაჩა და შემაჩერა.

დელმა ლოცვა დაიწყო. ნაზი და მელოდიური ლუიზიანური ფრანგული აქცენტით წარმოთქვა:

- Marie! Je vous salue, Marie, oui, pleine de grâce; le Seigneur est avec vous; vous êtes bénie entre toutes les femmes, et mon cher Jésus, le fruit de vos entrailles, est béni, - ისევ ატირდა, მაგრამ მგონი, თვითონ ვერ გრძნობდა. - Sainte Marie, Ô ma mere, Mère de Dieu, priez pour moi, priez pour nous, pauv' pécheurs, maint'ant et à l'heure... l'heure de nôtre mort. L'heure de mon mort, - აცახცახებულმა ღრმად ამოიხვნეშა, - Ainsi soit-il.[26]

გაიელვა და კაბინეტის ერთადერთი ფანჯრიდან ოთახში თეთრ-ლურჯი ნათელი შემოიჭრა, როცა დელაკრუა ფეხზე წამოდგა. ყველა შეხტა და მოიბუზა, გარდა დელაკრუასი. მისი გონება სრულიად შთაენთქა ძველისძველ ლოცვას. ცალი ხელი და-

[26] მარიამ! გიხაროდენ, მომადლებულო მარიამ; უფალი არს შენთან; კურთხეულ ხარ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი შენი იესო... წმიდაო მარიამ, დედაო ჩემო, წმიდაო ღვთისმშობელო, ილოცე ჩემთვის, ილოცე ჩვენთვის, ცოდვილთათვის ჩვენი სიკვდილის ჟამს. ჩემი სიკვდილის ჟამს... ამინ (ფრ).

უფიქრებლად ასწია. ბრუტუსმა ჩამოართვა და მაგრად მოუჭირა. დელაკრუამ მას შეხედა და გაიღიმა.

- Nous voyons... - დაიწყო, მაგრამ აღარ გააგრძელა. თავს ძალა დაატანა და ინგლისურად თქვა: - შეგვიძლია წავიდეთ, ბოს ჰაუელ, ბოს ეჯკუმ, ღმერთთან უკვე პირნათელი ვარ.

- კარგი, - ვთქვი და გავიფქირე, რამდენად პირნათლად იგრძნობდა ღმერთთან თავს ოცი წუთის შემდეგ, როცა ელექტროსკამზე მოუწევდა დაჯდომა. ვნატრობდი, რომ წმიდა ღვთისმშობელს შეესმინა მისი ლოცვა და მისი სულის გადასარჩენად ელოცა, რადგან ედუარდ დელაკრუას, მოძალადეს და მკვლელს, ახლა მხოლოდ ლოცვა და ღვთის შეწევნა თუ იხსნიდა. გარეთ ზეცა კვლავ ელვამ დასერა, - წამოდი, დელ, უკვე ახლოა.

- კარგი, ბოს, წავიდეთ. მე აღარ მეშინია, - ასე თქვა, მაგრამ მის თვალებში „მამაო ჩვენოს“ „გიხაროდენ, მარიამის“ წაკითხვის შემდეგაც შიში დავინახე. როცა მწვანე ლინოლეუმს ბოლომდე გაივლიან და დაბალ კარში თავს შეყოფენ, თითქმის ყველას ეშინია.

- კიბის ძირას გაჩერდი, დელ, - ჩავჩურჩულე მას, მაგრამ ჩემი რჩევა სულაც არ სჭირდებოდა. დელაკრუამ ბოლო საფეხური ჩაიარა და გაქვავდა. მან პლატფორმაზე პერსი უეტმორი დაინახა. მის ფეხთან ღრუბლიანი ვედრო იდგა, ხოლო მეორე მხარეს გუბერნატორის კაბინეტთან დაკავშირებული

ტელეფონი მოჩანდა.

- არა, - ხმადაბლა თქვა დელაკრუამ. - არა, ოღონდ ის არა.

- გზა გააგრძელე, - უთხრა ბრუტუსმა, - მე და პოლს გვიყურე, ვითომ ის აქ საერთოდ არაა.

- მაგრამ...

ხალხი ახლა ჩვენ გვიყურებდა, მაგრამ ოდნავ წინ წავდექი და დელაკრუას იდაყვზე შეუმჩნევლად წავავლე ხელი.

- მშვიდად! - ჩუმად, მხოლოდ მის და ალბათ, ბრუტუსის გასაგონად ვთქვი, - ამ ხალხის უმეტესობას მხოლოდ ის დაამახსოვრდება, როგორ აღესრულები. ასე რომ, სიმტკიცე გამოიჩინე.

იმ მომენტში ცამ ძლიერად დაიგრგვინა და საწყობის სახურავი შეზანზარდა. პერსი შეხტა, თითქოს ვინმემ შეაშინაო. დელაკრუამ დამცინავად ჩაიფხუკუნა.

- თუ კიდევ ასე ძლიერად დაიჭექებს, შიშით ისევ ქვეშ ჩაიფსამს, - თქვა და მხრებში გასწორდა, - წავიდეთ და დროზე მოვრჩეთ ამ საქმეს.

პლატფორმისკენ წავედით. დელაკრუა მოწმეებს (ამჯერად მათი რიცხვი ოცდახუთს შეადგენდა) აკვირდებოდა, მე, ბრუტუსი და დინი კი ელექტროსკამს არ ვაშორებდით თვალს. ყველაფერი რიგზე მომეჩვენა და პერსის კითხვითი მზერით ცერა თითი ავუწიე. პერსიმ ცალყბად ჩაიცინა, თითქოს მეუბნებოდა, რა გიკვირს, მართლა ყველაფერი რიგზეაო.

ვიმედოვნებდი, რომ არ ცდებოდა.

მე და ბრუტუსმა ავტომატურად შევაშველეთ ხელი დელაკრუას, როცა მან პლატფორმის პირველ საფეხურზე შედგა ფეხი. საფეხური სულ ოციოდე სანტიმეტრის სიმაღლისა იყო, მაგრამ „ბებერ ნაპერწკალას“ ყველაზე გულმაგარ კლიენტებსაც კი უჭირდათ ცხოვრებაში ბოლო ნაბიჯის გადადგმა.

დელაკრუას არ გასჭირვებია. რამდენიმე წამით ელექტროსკამის პირისპირ გაჩერდა (პერსის სპეციალურად აარიდა თვალი) და გამოელაპარაკა, ჩ'ესტ მოი, ეს მე ვარო. პერსი მისკენ დაიძრა, მაგრამ დელაკრუა შეტრიალდა და სკამზე თავისით დაჯდა. მე მის მარცხნივ ჩავიმუხლე, ბრუტუსმა - მარჯვნივ. საზარდულს და ყელს ისე ვიცავდი, როგორც უკვე აღვწერე. მომჭერის ტუჩი დელაკრუას თეთრ, წვრილ კოჭს ზემოთ შემოვსალტე. დაიქუხა და შევხტი. თვალში ოფლის წვეთი ჩამივიდა და ამეწვა. რატომღაც სულ მაუსვილზე ვფიქრობდი. იმაზე, რომ იქ შესვლა და მის-

ტერ ჯინგლსის ნახვა უფროსებისთვის ათი ცენტი ეღირებოდა, ბავშვებისთვის კი - ორი.

მომჭერი მეურჩებოდა. არ ჩაიკეტა. აღელვებული დელაკრუა აჩქარებული გულის დასამშვიდებლად ღრმად ისუნთქავდა ჰაერს. რამდენიმე წუთში მისი ფილტვები დანახშირებულ ტომრებად იქცეოდა. იმ მომენტში ის ფაქტი, რომ მან ექვსი ადამიანი იმსხვერპლა, ყველაზე უმნიშვნელო ჩანდა. მე აქ ცუდის და კარგის გარჩევას არ ვაპირებ. იმას ვწერ, რა როგორ იყო.

დინი ჩემკენ დაიხარა და ჩურჩულით მკითხა:

- რა ხდება, პოლ?

- ვერ... - ვთქვი და უცებ მომჭერი ხმაურით ჩაიკეტა. მგონი, შიგ დელაკრუას კანი მოყვა, რადგან ფრანგმა ჩუმად წამოიკვნესა, - მაპატიე, - მოვუბოდიშე მას.

- არა უშავს, ბოს, - თქვა დელმა, - ერთი წუთის შემდეგ ტკივილს მაინც ვეღარ ვიგრძნობ.

ბრუტუსის მხარეს მომჭერის ჩაკეტვას შედარებით მეტი დრო სჭრიდებოდა, რადგან ის ელექტროდიანი იყო. ამგვარად, სამივე ერთდროულად წამოვდექით. დინმა დელს მარცხენა მკლავზე დაუმაგრა მომჭერი, პერსიმ - მარჯვენაზე. მზად ვიყავი, პერსის მივხმარებოდი, მაგრამ მან ჩემზე უკეთ გაართვა თავი ამ საქმეს. დელს მთელი სხეული უთრთოდა, თითქოს უკვე დენზეა შეერთებულიო. მისი ოფლის სუნი მეცა. მჟავე კიტრის სუნი მომაგონა.

დინმა პერსის თავი დაუქნია. პერსიმ თავი მიატრიალა - მის ნიკაპზე გაპარსვისას დაჩნეული ნაკაწრი შევამჩნიე - და ხმადაბალა, მტკიცედ წარმოთქვა:

- ჩართეთ პირველი!

გაისმა ზუზუნი, თითქოს მაცივარი ჩაირთოო და საწყობში ნათურები ძლიერად აკაშკაშდა. რამდენიმე მოწმემ ამოიოხრა და რაღაც ჩაიბუტბუტა. დელაკრუა სკამზე შეხტა, ელექტროსკამის მკლავსადებებს ისე ძლიერად მოუჭირა ხელები, რომ სულ გა-

უთეთრდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. სუნთქვა უფრო გაუხშირდა.

- მშვიდად! - გადაუჩურჩულა ბრუტუსმა. - მშვიდად, დელ, ყველაფერი რიგზეა. მშვიდად, სიმტკიცე შეინარჩუნე.

„ეი, ბიჭებო, მოდით, ნახეთ მისტერ ჯინგლსს რა შეუძლია!“ - გამახსენდა უცებ მისი სიტყვები. ისევ დაიჭექა.

პერსი უკნიდან გამოვიდა და ელექტროსკამის წინ მედიდურად დადგა. ეს მისი დიდების წუთი იყო. ის პლატფორმის ცენტრში იდგა და ყველა მას უყურებდა. ყველა, გარდა დელაკრუასი, რომელიც მისთვის თვალის ასარიდებლად მუხლებს დააშტერდა. რატომღაც ველოდი, რომ ამდენი ხალხის წინაშე პერსი დაიბნეოდა და თავისი ტექსტი დაავიწყდებოდა, მაგრამ მან უჩვეულოდ მშვიდად წარმოთქვა სავალდებულო სიტყვები:

- ედუარდ დელაკრუა, ნაფიცმა მსაჯულებმა სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანეს და პატივცემულმა მოსამართლემ ელექტროსკამზე სიკვდილი მოგისაჯათ. ღმერთო დაიფარე, ამ შტატის მოსახლეობა. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე რამის თქმა ხომ არ გსურთ?

დელმა რაღაცის თქმა მოინდომა, მაგრამ თავიდან ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ გაურკვევლად წაიჩურჩულა და ამოიფშვინა. პერსის ირონიული ღიმილი გადაეფინა ტუჩებზე. დიდი სიამოვნებით მივასიკვდილებდი მას იქვე. ამასობაში დელმა ტუჩები გაილოკა და, როგორც იქნა, ამოილაპარაკა.

- ვინანიებ ჩემს დანაშაულს, - თქვა მან, - რას არ დავთმობდი, რომ დროის უკან დაბრუნება შემეძლოს, მაგრამ ეს შეუძლებელია. ახლა კი... - თითქოს ნაღმი აფეთქებულიყოს, ისეთი დამაყრუებელი გრუხუნი გაისმა. დელი სკამზე შეხტა, რამდენადაც მომჭერებმა და ღვედებმა მისცა ამის საშუალება. გაოფლილ სახეზე თვალები უბრიალებდა, - ახლა კი საფასურს ვიხდი. უფალმა შემინდოს, - კიდევ ერთხელ გაილოკა ტუჩები და ბრუტუსს შეხე-

და, - მისტერ ჯინგლსზე რასაც დამპირდით, არ დაივიწყოთ, - ხმადაბლა თქვა, რათა მხოლოდ ჩვენ გაგვეგონა.

- ნუ ღელავ, არ დაგვავიწყდება, - ვუთხარი დელაკრუას და გაყინულ ხელზე ხელი მოვუთათუნე, - მისტერ ჯინგლსი მაუსვილში იცხოვრებს.

- ჩემს ფეხებს იცხოვრებს, - ცალყბად ჩაილაპარაკა პერსიმ, როცა დელაკრუას მკერდზე გადაკრულ ღვედს უჭერდა, - ეგეთი ადგილი არ არსებობს. ამ ბიჭებმა შენს დასამშვიდებლად გამოიგონეს. ჩემი აზრით, ეს უნდა იცოდე, შე პედერასტო.

დელაკრუას თვალში გაკვესებულმა სხივმა მიმახვედრა, რომ ამას თვითონაც ეჭვობდა... მაგრამ დაჯერება არ სურდა. გაოგნებულმა და განრისხებულმა შევხედე პერსის, მან კი უშიშრად შემომხედა, აბა, რას მიზამო. რა თქმა უნდა, მან ყველაფერი სწორად გათვალა. იმდენი მოწმის თანდასწრებით, როცა დელაკრუას სიკვდილს ერთი ნაბიჯი აშორებდა, ვერაფერს ვიზამდი. ისღა დაგვრჩენოდა, დაწყებული საქმე დაგვემთავრებინა.

პერსიმ საკიდიდან ტომარა ჩამოხსნა და დელაკრუას თავზე ჩამოაცვა. ნიკაპქვეშ კარგად დაუმაგრა, რომ კინკრიხოზე ნახვრეტი გაწელილიყო. წესდების მიხედვით, ამის შემდეგ ვედროდან სველი ღრუბელი უნდა ამოეღო და ჩაფხუტში უნდა ჩაედო, მაგრამ პერსიმ სწორედ აქ დაარღვია სტანდარტული პროცედურა პირველად: ვედროდან ღრუბლის ამოღების ნაცვლად, მან ჯერ ჩაფხუტი აიღო სკამის საბურგიდან და მასთან ერთად დაიხარა ვედროსკენ. მოკლედ, არაბუნებრივად მოიქცა - ღრუბელი კი არ მიიტანა ჩაფხუტთან, ჩაფხუტი მიიტანა ღრუბელთან. მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, რომ რაღაც ისე არ იყო, მაგრამ სიბრაზემ დამაბრმავა. ეს ერთადერთი სიკვდილით დასჯა იყო, რომელზეც წყობიდან გამოვედი. რაც შეეხება ბრუტუსს, მას პერსისკენ არც გაუხედავს, მაშინაც კი, როცა პერსი ვედროსკენ დაიხარა (თან ისე დადგა, რომ ჩვენ არ დაგვენახა, რას აკეთებდა), წელში გა-

იმართა და ჩაფხუტში ჩამაგრებული ღრუბლით დელაკრუასკენ მიტრიალდა. ბრუტუსი შავ აბრეშუმის ქსოვილს უყურებდა, რომელმაც დელაკრუას სახე დაფარა. მის ქვეშ ჩია ფრანგის პირის მოხაზულობა იკვეთებოდა. ის ღრმად ისუნთქავდა ჰაერს. ბრუტუსს შუბლსა და საფეთქლებზე ოფლმა დაასხა. არც ერთ სიკვდილით დასჯაზე არ მენახა ის გაოფლილი. მის უკან მდგარ დინს შეწუხებული, ავადმყოფური გამომეტყველება მიეღო, თითქოს გული ერევაო. ყველამ ვიგრძენით, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა. ამას ახლა ვხვდები. უბრალოდ, არ ვიცოდით, რა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ პერსის ჯეკ ვან ჰეი გამოუკითხავს. ათას რამეს მიდებ-მოდებია, ალბათ, იმიტომ, რომ ვან ჰეი არ დაეჭვებულიყო. პერსის, ჩემი აზრით, მხოლოდ ღრუბელი აინტერესებდა. რა საჭირო იყო ღრუბელი? რატომ ვასველებდით მას მარილხსნარში? და რომ არ დაგვესველებინა, რა მოხდებოდა?

მას აინტერესებდა, რა მოხდებოდა, ღრუბელი რომ მშრალი ყოფილიყო.

პერსიმ დელს თავზე ჩაფხუტი დაუმაგრა. ჩია ფრანგი კიდევ ერთხელ შეხტა და წამოიკვნესა, ამჯერად ხმამაღლა. რამდენიმე მოწმე უხერხულად შეიშმუშნა სკამზე. დინმა წინ გააბიჯა, ნიკაპქვეშ თასმის შეკვრაში მივეშველებიო, მაგრამ პერსიმ ხელის ქნევით ანიშნა, არ მჭირდებიო. დინმა უკან დაიხია და შეკრთა, როცა ჭექა-ქუხილმა საწყობი შეაზანზარა. ქუხილს წვიმის პირველი წვეთების წკაპუნი მოჰყვა. ისეთი ხმაურიანი წკაპაწკუპი გაისმა, თითქოს სარეცხ ფიცარს არაქისები დაუშინესო.

ხომ გაგიგიათ გამოთქმა: „ძარღვებში სისხლი გამეყინა“? რა თქმა უნდა, გაგიგიათ. ყველას გაგვიგია, მაგრამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დამეუფლა ასეთი განცდა. ეს სწორედ 1932 წლის ოქტომბრის ქარიშხლიან ღამეს მოხდა, თორმეტს ათი წამი რომ აკლდა. ძარღვებში სისხლი გამეყინა არა იმიტომ, რომ პერსი თავზე ტომარაჩამოცმულ, ჩაფხუტდამაგრებულ და „ბებერ ნა-

პერწკალაზე“ მიბმულ ფიგურას ტრიუმფალური ღიმილით მოციცლდა, არამედ იმიტომ, რომ დავინახე ის, რაც თავიდანვე უნდა დამენახა: დელაკურას ჩაფხუტიდან წყალი არ მოწვეთავდა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რაც მოხდა.

- ედუარდ დელაკრუა, - ამბობდა პერსი, - ახლა თქვენს სხეულში ელეტროდენი გაივლის.

ისე შევწუხდი, რომ ამასთან შედარებით საშარდე გზების ინფექციისას განცდილი ტკივილი ხელის კედელზე მირტყმად მოგეჩვენებოდათ.

- ღრუბელი მშრალია! - ჩურჩულით ვუთხარი ბრუტუსს, მაგრამ მან თავი გააქნია, არ მესმისო და ისევ სიკვდილმისჯილის თავზე ჩამოცმულ ტომარას მიაშტერდა, რომელიც დელაკრუას უკანასკნელ ამოსუნთქვა-ჩასუნთქვაზე იბერებოდა და იჩუტებოდა.

პერსის იდაყვზე გავკარი ხელი, მაგრამ ის განზე გადგა და უემოციოდ შემომხედა. მის წამიერ მზერაში ყველაფერი ცხადად ამოვიკითხე. იმ წამსვე მივხვდი სიმართლეს. თუ რამე მართლა აინტერესებდა, პერსი ბეჯითი და ნიჭიერი მოსწავლე იყო - ამას რეპეტიციებზე მივხვდით. მან ყურადღებით მოუსმინა ვან ჰეის, რომ სველი ღრუბელი გამტარია, რომელიც ელექტროდენს ერთგვარ ტყვიად აქცევს და პირდაპირ ტვინს ესვრის. ო, დიახ, პერსიმ ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა. შემდგომში ის კი დავუჯერე, არ ვიცოდი, საქმე აქამდე თუ მივიდოდაო, მაგრამ ეს მას მაინც არ ამართლებს, რადგან თავიდანვე ცუდი ჰქონდა ჩაფიქრებული! იმ მომენტში ციხის უფროსის თანაშემწის დაძახების და ვან ჰეის შეჩერების გარდა, სხვა გზა აღარ მრჩებოდა. კიდევ ხუთი წამი რომ მქონოდა, ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ პერსიმ აღარ დამაცალა.

- ღმერთმა შეიწყალოს სული თქვენი, - უთხრა ელექტროსკამზე მჯდარ აქოშინებულ, შეძრწუნებულ ფიგურას, მერე ცხაურიანი ფანჯრის მიღმა, სააპარატოში მყოფი ჰარისა და ჯეკისკენ შებ-

რუნდა. ჯეკს უკვე ხელი ედო ჩამრთველზე, რომელზეც „მეიბლის თმის ფენი“ ეწერა. ფანჯრის მარჯვნივ ექიმი იდგა. როგორც ყოველთვის, ჩუმად იყო და ფეხებთან დადებულ თავის შავ ჩანთას დაჰყურებდა, - გადართეთ მეორეზე!

თავიდან, ჩვეულებისამებრ, ზუზუნი გაისმა, ოღონდ უფრო ხმამაღალი და მერე სპაზმებით შეპყრობილი, უგონო დელაკრუას სხეული წინ გადმოიხარა.

საქმე ცუდად წავიდა.

ზუზუნმა მწყობრი რიტმი დაკარგა. ტკაცუნის ხმა გაისმა, თითქოს ცელოფანი გაფხრიწესო. შეტრუსული თმის და დამწვარი ღრუბლის სუნი მეცა და უცებ ჩაფხუტიდან ამომავალი ბოლი დავინახე. კვამლი იმ ადგილიდან ამოდიოდა, სადაც სადენი ჩაფხუტს უერთდებოდა. ისე ხრჩოლავდა, როგორც ინდიელთა ვიგვამის საკვამურიდან.

დელაკრუა აფართხალდა და ტომრით დაფარული თავი აქეთიქით გააქნია, თითქოს გვანიშნებს, არა, არაო. მიბმულ ფეხებს ზემოთ ექაჩებოდა და მთელი ძალით აბრაგუნებდა იატაკზე. კიდევ ერთხელ დაიქუხა და თავსხმა წამოვიდა.

დინ სტენტონს შევხედე. ის დაბაფრული მიყურებდა. ჩაფხუტის ქვეშ ტკაცუნი გაისმა, თითქოს ცეცხლში ფიჭვის კორძი გასკდაო და უეცრად კვამლი მთელ ტომარას აუვიდა.

სააპარატოს ფანჯარასთან მივირბინე, მაგრამ სანამ რამეს ვიტყოდი, ბრუტუს ჰაუელმა იდაყვზე ხელი წამავლო და ისე ძლიერ მომიჭირა, ნერვების ჩხვლეტა ვიგრძენი. ერთიანად გაფითრებულიყო, მაგრამ შეშინებულს არ ჰგავდა. ხმადაბლა მითხრა:

- ჯეკს ნუ შეაჩერებ. უკვეგვიანია.

დელაკრუა აყვირდა, მაგრამ თავიდან მოწმეებს მისი ხმა არ გაუგიათ. სახურავზე წვიმის წვეთები წკაპუნობდა და ჭექა-ქუხილი არ წყდებოდა. პლატფორმაზე მყოფებს კი ყველაფერი გვეს-

მოდა. ფრანგი საფუთავი წნეხის ქვეშ მოყოლილი ცხოველივით ყმუოდა.

ჩაფხუტის ზუზუნი ხშირ-ხშირად წყდებოდა და მას რადიოს შიშინისმაგვარი ხმა ენაცვლებოდა. დელაკრუა ისტერიკაში ჩავარდნილი ბავშვივით ელექტროსკამის საზურგეს ეხეთქებოდა და მერე ისევ წინ ვარდებოდა. პლატფორმა შეირყა. დელაკრუამ ისე ძლიერ დაჭიმა ტანი, მკერდზე შემოჭერილი ღვედი ლამის შემოასკდა. აქეთ-იქით ქანაობდა და უცებ ძვლების ტკაცუნის ხმა გავიგონე. მგონი, მარჯვენა მხარი ამოიგდო ან მოიტეხა. შარვლის უბე, რომელსაც ძლივს ვარჩევდით, რადგან ფეხებს სწრაფად ამოძრავებდა, მუქად შეეღება. მერე აკივლდა, ვირთხასავით ჩხავილი დაიწყო. წვიმის ხმაურშიც კი ყველამ გაიგონა მისი ხმა.

- რა ჯანდაბა სჭირს? - დაიყვირა რომელიღაც მოწმემ.

- ეგ მომჭერები გაუძლებს?

- ღმერთო, რა სუნია! ფუუ!

მერე ერთ-ერთმა ქალმა იკითხა:

- ეს ნორმალურია?

დელაკრუა წინ გადმოვარდა, საზურგეს მიენარცხა, ისევ წინ გადმოვარდა და ისევ საზურგეს მიენარცხა. პერსი პირდაღებული და შეძრწუნებული უყურებდა მას. როგორც ჩანდა, ცუდს კი ელოდა, მაგრამ ასეთ საშინელებას - არა.

დელაკრუას თავზე ჩამოცმულ ტომარას ცეცხლი წაეკიდა. შეტრუსული თმის და დამწვარი ღრუბლის სუნს დამწვარი ხორცისაც შეერია. ბრუტუსმა ვედროს სტაცა ხელი - რა თქმა უნდა, ის ცარიელი იყო - და კუთხეში დამლაგებლის ბაკანთან მიირბინა.

- ელექტროენერგია გამოვრთო, პოლ? - ცხაურიანი ფანჯრიდან გამომძახა ვან ჰეიმ. ხმა უკანკალებდა. - გამოვრთო თუ...

- არა! - დავუყვირე მე. ბრუტუსმა სწორად მითხრა: საქმე ბოლომდე უნდა მიგვეყვანა. იმ წუთას ყველაფერი მეორეხარისხოვ-

ნად იქცა, მთავარი დელაკრუასთვის ბოლოს მოღება იყო. - ჩართე, ღვთის გულისათვის! ჩართე, ჩართე!

მოწმეების ჩოჩქოლს ყურს აღარ ვუგდებდი. ბრუტუსს დავუყვირე:

- დადე ეგ ვედრო! წყალი არ გვინდა! ხომ არ გაგიჟდი?

ბრუტუსი ჩემკენ შემობრუნდა და თავი დამიქნია, ჰო, მივხვდიო. ელექტროდენზე შეერთებული ადამიანისთვის წყლის გადასხმა ნაღდად არ იქნებოდა ჭკვიანური. მიმოიხედა, კედელზე ცეცხლსაქრობი დაინახა და ის ჩამოხსნა. ყოჩაღ!

დამწვარი ტომრის ქვეშ ჯონ კოფიზე მეტად გაშავებული დელაკრუას სახე გამოჩნდა. აფსკით დაფარული გათეთრებული თვალები ბუდიდან გადმოსცვენოდა და მკერდზე ბურთულებივით ეყარა. წარბები აღარსად ჩანდა და ჩემ თვალწინ წამწამებსაც ცეცხლი წაეკიდა. ჩახსნილი პერანგიდან კვამლი ამოიჭრა. ელექტროენერგიის ზუზუნი კი არა და არ წყდებოდა და ჩემს გონებაში ვიბრირებდა. მგონი, სწორედ ასეთი ხმა ესმით შეშლილებს.

დინი წინ გაიჭრა, იმედოვნებდა, როგორმე ხელებით ჩავაქრობ დელაკრუას პერანგზე წაკიდებულ ცეცხლსო. ისე ძლიერ მოვქაჩე უკან, რომ კინაღამ წავაქციე. იმ წუთას დელაკრუასთან შეხება იგივე იყო, ძმობილი კურდღელი ფისის კაცუნას - ამ შემთხვევაში ელექტროგამტარ კაცუნას[27] რომ შეჯახებოდა.

უკან არ ვტრიალდებოდი, მაგრამ ჩოჩქოლი მესმოდა. სკამები აყირავდა. ხალხი აყვირდა. ერთი ქალი მთელი ძალით კიოდა:

- შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ! ვერ ხედავთ, უკვე საკმარისია?

კერტის ანდერსონმა მხარზე ხელი წამავლო და მკითხა, ღვთის გულისათვის, რა ხდება, ჯეკს ელექტროენერგიას რატომ არ ართვევინებო.

[27] ჯოელ ჰარისის „ბიძია რიმუსის ზღაპრის“ გმირები.

- იმიტომ, რომ არ შემიძლია, - ვუპასუხე, - ძალიან გვიანია უკან დასახევად! ორიოდე წამში ისედაც ყველაფერი მორჩება.

თუმცა, ყველაფერი კიდევ ორ წუთს გაგრძელდა. ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი ორი წუთი ჩემს ცხოვრებაში. მთელი ეს ორი წუთი, მგონი, დელაკრუა ცოცხალი იყო. ის კიოდა, ფართხალებდა და აქეთ-იქით ირწეოდა. გაწითლებული პირიდან და ნესტოებიდან კვამლი გამოსდიოდა. მის ენას კვამლი ასდიოდა, როგორც ტაფას ოხშივარი. პერანგზე ღილები დააწყდა და გალღვა. მაისურს ცეცხლი არ წაჰკიდებია, მაგრამ დანახშირდა და შეტრუსული მკერდის ბალნის სუნი დატრიალდა. მოწმეები ნახირივით კარს მიაწყდნენ. რა თქმა უნდა, კარი ჩაკეტილი იყო - ჩვენ ხომ ციხეში ვიმყოფებოდით - და ყველანი იქვე შეჯგუფებულიყვნენ, სანამ დელაკრუა იბრაწებოდა (ვიბრაწები, ვიბრაწებიო, გაჰყვიროდა მოხუცი პიპინა არლენ ბიტერბაკის სიკვდილით დასჯის რეპეტიციას რომ გავდიოდით, შემწვარი ინდაური ვარო). გარეთ გამძვინვარებული ცა გრგვინავდა და მიწაზე წვიმად იღვრებოდა.

უცებ ექიმი გამახსენდა და მიმოვიხედე. ის გულწასული ეგდო თავისი ჩანთასთან.

ბრუტუსმა ცეცხლსაქრობი მოიტანა და ჩემ გვერდით დადგა.

- ჯერ არა, - ვუთხარი მე.

- ვიცი.

თვალებით პერსი მოვძებნეთ. „ბებერ ნაპერწკალას“ უკან იდგა. გაქვავებული და თვალებდაჭყეტილი, თითს იკვნეტდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დელაკრუა სკამის საზურგეს მიენარცხა და გასივებული, დამახინჯებული თავი ცალ მხარზე გადაუვარდა. ჯერაც ცახცახებდა, მაგრამ ეს სურათი ჩვენთვის ნაცნობი იყო; მის სხეულში ელექტროდენი გადიოდა. ჩაფხუტი ოდნავ გადასძვრა თავიდან; მოგვიანებით, როცა მთლიანად ავხსენით, ლითონს მიწებებული სკალპი და კეფაზე შერჩენილი თმაც აჰყვა.

-გამორთე! - დავუძახე ჯეკს ოცდაათი წამის შემდეგ, როცა დავრწმუნდი, რომ ელექტროსკამზე დარჩენილი დანახშირებული, მხრჩოლავი ადამიანის ფორმის გროვას მხოლოდ ელექტროენერგიის ნაკადი აცახცახებდა. ზუზუნი თანდათან მიწყნარდა და ბრუტუსს თავი დავუქნიე.

ის მიტრიალდა და ცეცხლსაქრობი პერსის ისე ძლიერად ჩაუგდო მკლავებში, რომ პერსი შებარბაცდა და კინაღამ პლატფორმიდან გადავარდა.

- შენ ქენი! - უთხრა ბრუტუსმა მას. - ბოლოს და ბოლოს, ამ სიკვდილით დასჯას შენ ხელმძღვანელობ!

პერსიმ მძულვარედ შეხედა მას, მერე ცეცხლსაქრობი მოიმარჯვა, დატუმბა და ელექტროსკამზე მიბმულ კაცს თეთრი ქაფის ნაკადი გადაასხა. როცა ქაფი სახეზე მიეშხეფა, დელაკრუას ტერფი ოდნავ შეირხა და შიშით გავიფიქრე, ყველაფრის გამეორება მოგვიწევს-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, ტერფი აღარ განძრეულა.

ანდერსონი შეტრიალებულიყო და შეშინებულ მოწმეებს ამშვიდებდა, ყველაფერი რიგზეა, ყველაფერს ვაკონტროლებთ, ელავს და ეტყობა, ძაბვამ მოიმატა, ნურაფერზე ღელავთო. ალბათ, მალე იმასაც ეტყოდა, შეტრუსული თმის, დამწვარი ხორცის და მოთუშული განავლის სუნი, თქვენ რომ გცემთ, „შანელ #5“-ის არომატიაო.

- ექიმის სტეტოსკოპი მომიტანე, - ვუთხარი დინს, როცა ცეცხლსაქრობი დაიცალა. დელაკრუა თეთრი ქაფით დაიფარა და დამწვარი ხორცის სუნს მწვავე ქიმიური სუნიც შეუერთდა.

- ექიმის... მას უნდა...

- ექიმს თავი დაანებე და სტეტოსკოპი მომიტანე, - გავუმეორე, - დროზე მოვრჩეთ ამ საქმეს და აქედან გავიტანოთ.

დინმა თავი დამიქნია. საქმის დამთავრება და ცხედრის გატანა იმ წუთას ყველაზე ჭკვიანურად მოეჩვენა. ეს ყველას ჭკვიანუ-

რად მოგვეჩვენა. ექიმის ჩანთასთან მიირბინა და ამოქექა. ექიმი შეირხა. ესე იგი, ინფარქტს არ დაურტყამს და არც ტვინში სისხლი ჩაქცევია, საბედნიეროდ. მე ის არ მომეწონა, ბრუტუსი როგორც უბღვერდა პერსის.

- გვირაბში ჩადი და საკაცესთან დაგველოდე.

პერსიმ ნერწყვი ჩაყლაპა:

- პოლ, მისმინე, მე არ ვიცოდი...

- მოკეტე. გვირაბში ჩადი და საკაცესთან დაგველოდე.

მან კიდევ ერთხელ ჩაიწმინდა ყელი, დაიმანჭა, თითქოს ტკივილი აწუხებსო და გვირაბში შემავალი კარისკენ წავიდა. ცარიელი ცეცხლსაქრობი ჩვილივით ჩახუტებული მიჰქონდა. დინმა მას გვერდი აუარა და სტეტოსკოპი მომიტანა. გავშალე და ყურსასმენები გავიკეთე. ეს აქამდეც გამეკეთებინა ჯარში ყოფნისას; ველოსიპედის ტარებასავითაა, არასდროს გავიწყდება.

დელაკრუას მკერდიდან ქაფი ჩამოვწმინდე და კინაღამ გული ამერია, როცა გახურებულ ტანზე კანი გადასცილა, როგორც... ხომ იცით... როგორც შემწვარ ინდაურს.

- ღმერთო ჩემო, - ჩემთვის უცნობი ხმა აქვითინდა ზურგს უკან, - ყოველთვის ასე ხდება? რატომ არ გამაფრთხილეთ? საერთოდ არ მოვიდოდი!

უკვე გვიანია, მეგობარო-მეთქი, გავიფიქრე.

- გაიყვანეთ ეგ კაცი აქედან, - ვუთხარი დინს, ბრუტუსს თუ რომელიღაცას, ვინც მისმენდა. ეს მაშინ ვთქვი, როცა დავრწმუნდი, რომ დელაკრუას მხრჩოლავ კალთაში არ ჩავარწყევდი, - ყველა გაიყვანეთ.

მხნეობა მოვიკრიბე და სტეტოსკოპის დისკო დელაკრუას მკერდზე კანაქერცლილ, მუქწითელ, უმი ხორცის ნაჭერს მივადე. მივაყურადე. ვნატრობდი, ვერაფერს გავიგონებდე-მეთქი და ასეც მოხდა.

- მკვდარია, - ვუთხარი ბრუტუსს.

- მადლობა ღმერთს.

- ჰო, მადლობა ღმერთს. შენ და დინმა გასაშლელი საკაცე მოიტანეთ. სკამიდან ავხსნათ და სასწრაფოდ გავასვენოთ აქედან.

# 5

დელაკრუას ცხედარი თორმეტ საფეხურზე უვნებლად ჩავიტანეთ და ბორბლებიან საკაცეზეც უვნებლად დავასვენეთ. მეშინოდა, გზაში დამწვარი კან-ხორცი არ ასძვრეს და ხელში ძვლები არ ჩაგვეფშვნას-მეთქი. თავში სულ მოხუცი პიპინას შებრაწული ინდაური მიტრიალებდა. საბედნიეროდ, ამგვარი არაფერი მომხდარა.

კერტის ანდერსონი ზემოთ სტუმრების დაწყნარებას ცდილობდა და ბრუტუსს ბედმა გაუღიმა, რადგან ციხის უფროსის თანაშემწეს არ დაუნახავს, როგორ მოუქნია საკაცის თავთან გაშეშებულ პერსის მუშტი. მისი მოქნეული ხელი ჰაერში დავიჭირე. ორივესთვის ასე სჯობდა. პერსისთვის იმიტომ, რომ მთელი ძალით მოქნეული მხეცის მუშტი რომ მოხვედროდა, მხრებზე თავი არ შერჩებოდა; ხოლო ბრუტუსისთვის იმიტომ, რომ ამის გამო სამსახურს დაკარგავდა და ალბათ, ციხეშიც აღმოჩნდებოდა.

- არა, - ვუთხარი ბრუტუსს.

- რას ნიშნავს, არა? - მკითხა გაბრაზებულმა. - ამას როგორ ამბობ? ხომ დაინახე, რა ჩაიდინა. გინდა მითხრა, რომ გავლენიანი ნაცნობების გამო ეს ყველაფერი უნდა შერჩეს?

ბრუტუსს მრისხანებისგან ლამის ცრემლები წასკდომოდა.

- მისმინე, ბრუტუს, მაგას რომ დაარტყა, ყველას გაგვყრიან. მე, შენ, დინს, ჰარის, ალბათ, ჯეკ ვან ჰეისაც. დანარჩენებს კი, ბილ დოჯის მეთაურობით, დააქვეითებენ. ციხის კომისია გათავისუფლებული ადგილების შესავსებად ვიღაც უსაქმურებს აიყვანს ქუჩიდან. შეიძლება შენ ეს გადაიტანო, მაგრამ... - ცერა თითით დინზე ვანიშნე, რომელსაც სათვალე ხელში ეჭირა და პერსივით გაოგნებული ნესტიან გვირაბში სიცარიელეს მისჩერებოდა, -

დინზე რას იტყვი? მას ორი შვილი ჰყავს. ერთი უფროსკლასელია. მეორე დაწყებითის მოსწავლეა.

- აბა, რა ვქნათ? - მკითხა ბრუტუსმა. - შერჩეს, რაც დააშავა?

- არ ვიცოდი, ღრუბელი სველი რომ უნდა ყოფილიყო, - მექანიკურად, უღონოდ თქვა პერსიმ. რასაკვირველია, ეს პასუხი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, როცა ეშმაკური ოინი დაგეგმა, რომელიც მისთვის მოულოდნელად, სრულ კატასტროფაში გადაიზარდა, - რეპეტიციაზე არ დაგვისველებია.

- ახ, შე ნაბიჭვარო... - წამოიყვირა ბრუტუსმა და ისევ პერსისკენ გაიქაჩა, მაგრამ მე უკან წავათრიე. საფეხურებზე ფეხის ხმა გაისმა. ვიფიქრე, კერტის ანდერსონი არ იყოს-მეთქი, მაგრამ ჰარი ტერვილიგერი აღმოჩნდა. სახე ერთიანად გაფითრებოდა, ტუჩები დალურჯებოდა, თითქოს მაყვლის კობლერი დაულევიაო.

- ღვთის გულისათვის, მხეცო, - ისევ ბრუტუსს მივუბრუნდი, - დელაკრუა მკვდარია და მას ვეღარაფერი უშველის. პერსისთვის თავს ნუ გაიფუჭებ, - ნეტა იმ დროს უკვე მქონდა რამე გეგმა ან საერთოდ თუ ვფიქრობდი გეგმაზე? ამ წლების მანძილზე ბევრჯერ მიფიქრია ამაზე და დამაკმაყოფილებელი პასუხი დღემდე არ მაქვს. მგონი, უკვე სულერთია. თუმცა, შემიმჩნევია, რომ ადამიანი ხშირად ფიქრობს იმაზე, რასაც მნიშვნელობა აღარ აქვს.

- ბიჭებო, ჩემზე ისე ლაპარაკობთ, თითქოს ვიღაც რეგვენი ვიყო, - თქვა პერსიმ. კვლავაც გაბრუებული იყო და ძლივს სუნთქავდა, თითქოს ვინმემ მუცელში წიხლი ჩააზილაო, თუმცა, ნელ-ნელა გონს მოდიოდა.

- ხარ კიდეც რეგვენი, პერსი, - ვუთხარი მე.

- ეი, ცოტა წესიერად...

ძლივს შევიკავე თავი, რომ თვითონ არ დამერტყა მისთვის. გვირაბის ნესტიანი კედლებიდან წყალი ჟონავდა; ჩვენი დამახინჯებული, გრძელი ჩრდილები აგურის კედლებზე ცეკვავდნენ იმ მაიმუნის ჩრდილივით, ედგარ ალან პოს მოთხრობიდან „მკვლე-

ლობა მორგის ქუჩაზე“. კვლავ დაიქუხა, მაგრამ გვირაბში ქუხილი ყრუდ გაისმა.

- პერსი, მხოლოდ ერთი რამის მოსმენა მინდა შენგან: რომ ხვალ „ბრაიერ რიჯში“ გადაყვანის თაობაზე განცხადებას დაწერ.

- ნუ დარდობ, დავწერ, - პირქუშად თქვა პერსიმ. საკაცეზე დასვენებულ ზეწარგადაფარებულ ცხედარს დახედა და სანამ განზე გაიხედავდა, წამით თვალები მომანათა.

- ასე აჯობებს, - თქვა ჰარიმ, - თორემ ველურ ბილ უორტონს უფრო უკეთ გაიცნობ, - მცირე პაუზა, - ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ.

პერსის ჩვენი ეშინოდა. ალბათ, უფრთხოდა აქ დიდხანს დარჩენას, რადგან მალე ჯეკ ვან ჰეი გვეტყოდა, რომ პერსიმ მას ღრუბლის დანიშნულებაზე ჰკითხა და ფიქრობდა, შავ დღეს დამაწევენო. თუმცა, როცა ჰარიმ უორტონი უხსენა, მის თვალებში ნამდვილი შიში ჩადგა. დარწმუნებული ვარ, გაახსენდა, როგორ დაიჭირა უორტონმა, თმა აუჩეჩა და ყურში ალერსიანი სიტყვები ჩასჩურჩულა.

- აბა, ერთი გაბედეთ! - დაიჩურჩულა პერსიმ.

- გავბედავთ და თან როგორ! - აუღელვებლად უპასუხა ჰარიმ. - და იცი, რა? შემრჩება კიდეც. შენ უკვე ყველას დაანახვე, რომ პატიმრებს ცუდად ეპყრობი და არაკომპეტენტური ხარ.

პერსიმ ხელები დამუშტა და ლოყები აუვარდისფრდა.

- მე არ...

- სწორია, - მხარი აგვიბა დინმაც. კიბის ძირას პერსის ნახევარწრედ შემოვერტყით, ხოლო გვირაბისკენ გზას მხრჩოლავი საკაცე უჭრიდა. - ახლახან დელაკრუა ცოცხლად დაწვი. ამას არაკომპეტენტურობა ჰქვია!

პერსიმ თვალები გააკვესა. ის იმედოვნებდა, რომ უცოდინრობას მოიმიზეზებდა და თავს ამით დაიძვრენდა, მაგრამ საკუთარ ხაფანგში გაება. არ ვიცი, რის თქმას აპირებდა, რადგან უეცრად კერტის ანდერსონი ჩამობრაგუნდა კიბეზე.

მისი ნაბიჯის ხმა გავიგეთ და ოდნავ უკან დავიხიეთ, რომ არ ეფიქრა, პერსის ემუქრებიანო.

- ეს რა ჯანდაბა იყო? - იღრიალა ანდერსონმა. - ღმერთო, საწყობი ნარწყევითაა სავსე! ან რა სიმყრალეა! მაგნუსონს და ბებერ პიპინას ორივე კარი გავაღებინე, მაგრამ იქაურობის განიავებას, ალბათ, ხუთი წელი მაინც დასჭირდება. ის გამოსირებული უორტონი კი დგას და მხიარულად მღერის. მისი ხმა მთელ ე ბლოკში ისმის.

- სმენა თუ აქვს, კერტის? - ჰკითხა უცებ ბრუტუსმა. თუ იცით, როგორ შეიძლება ერთი ნაპერწკლით დაწვათ სანათი აირი ისე, რომ თავად არ დაშავდეთ? მთავარია, ნაპერწკალი აირის კონცენტრირებამდე გავარდეს. ახლაც ასე მოხდა. წამით პირდაღებულები მივაჩერდით ბრუტუსს და მერე ყველა ერთად ავხარხარდით. ჩვენი ისტერიკული ხარხარი გვირაბში ღამურების ფართხუნად გაისმა. ცოტა ხანში დავწყნარდით და თავი ოდნავ უკეთ ვიგრძენით. გონს მოვედით.

- კარგი, ბიჭებო, - ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა ანდერსონმა და ბოლოჯერ ჩაიფხუკუნა, - მითხარით, რა ჯანდაბა მოხდა?

- სიკვდილმისჯილი სიკვდილით დაისაჯა, - უპასუხა ბრუტუსმა. მგონი, მისმა მშვიდმა ტონმა ანდერსონი გააკვირვა, მაგრამ მე დიდად არ გამკვირვებია; ბრუტუსს ყოველთვის კარგად ეხერხებოდა თავის კონტროლი, - წარმატებულად!

- თუ ღმერთი გწამთ, ელექტროდენით კაცის ცოცხლად დაწვას წარმატებულს უწოდებთ? ჩვენს მოწმეებს, ალბათ, თვეობით აღარ დაეძინებათ! იმ მსუქანას კი ალბათ - მთელი წელი.

ბრუტუსმა საკაცეზე ზეწრის ქვეშ დასვენებული ცხედრისკენ მიუთითა.

- ის ხომ მკვდარია, არა? რაც შეეხება მოწმეებს, მათი უმეტესობა ხვალ მეგობრებს მოუყვება, რომ დელაკრუა საკადრისად

დაისაჯა: მან ექვსი კაცი ცოცხლად დაწვა ცეცხლში და ამისთვის ჩვენც ცოცხლად დავწვით იგი. ოღონდ იტყვიან, რომ ეს ღვთის ნება იყო და ჩვენც მისი ნებით ვმოქმედებდით. იცი, რა არის ყველაზე მაგარი? მათი მეგობრები ინატრებენ, ნეტა ჩვენც მანდ ვყოფილიყავითო, - ბოლო სიტყვების წარმოთქმისას ბრუტუსმა ზიზღიანად და ირონიულად შეხედა პერსის.

- დიდი ამბავი, თუ ცოტათი ბუმბული აეშალათ, - თქვა ჰარიმ, - სიკვდილით დასჯის ყურება მათთვის არავის დაუძალებია, თვითონ მოინდომეს.

- არ ვიცოდი, ღრუბელი სველი რომ უნდა ყოფილიყო, - მექანიკურად გაიმეორა პერსიმ, - რეპეტიციაზე არ დაგვისველებია.

- რამდენი წელი აფსამდი უნიტაზის დასაჯდომს, სანამ ვინმემ გასწავლა, რომ ჯერ უნდა ასწიო? - შეუღრინა დინმა და დაუფარავი სიძულვილით შეხედა პერსის.

პერსიმ შეპასუხება დააპირა, მაგრამ ვუთხარი, მოკეტე-მეთქი და, ჩემდა გასაკვირად, ისიც დამმორჩილდა. ანდერსონისკენ მივტრიალდი.

- პერსიმ ჩაისვარა, კერტის, ეს არის და ეს, - ვთქვი და ისევ პერსის შევხედე, აბა, თუ შემეწინააღმდეგება-მეთქი, მაგრამ მას არაფერი უთქვამს. ალბათ, იმიტომ, რომ ჩემს მზერაში ამოიკითხა: აჯობებდა ანდერსონს ეს შეცდომა ჰგონებოდა და არა - წინასწარ დაგეგმილი ოინი. თანაც, იქ, გვირაბში ნათქვამს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. პერსი უეტმორისნაირების სამყაროში მნიშვნელოვანი ისაა, რას წაიკითხავს ან მოისმენს გავლენიანი ხალხი. პერსი უეტმორისნაირების სამყაროში მნიშვნელოვანი ისაა, რა დაიწერება გაზეთებში.

ანდერსონმა ხუთივე დაეჭვებით შეგვათვალიერა. დელაკრუასაც შეხედა, მაგრამ ის აღარ ლაპარაკობდა.

- შეიძლება უარესიც მომხდარიყო, - თქვა ანდერსონმა.

- მართალია, - დავეთანხმე, - შეიძლება, დელაკრუა ახლაც ცოცხალი ყოფილიყო.

- ხვალვე მაგიდაზე მედოს სრული მოხსენება მომხდარზე, - მოითხოვა ანდერსონმა, - ციხის უფროს მურსთან სიტყვა არ დაძრათ, სანამ მე არ დაველაპარაკები! გასაგებია?

ხუთივემ თავი დავუქნიეთ. სულაც არ ვიყავით წინააღმდეგი, რომ ციხის უფროსი მურსისთვის კერტის ანდერსონს მოეხსენებინა ყველაფერი.

- მთავარია, იმ ჟურნალისტებმა არ დაჯღაბნონ სტატიები...

- არ დაჯღაბნიან, - დავამშვიდე, - რომც მოინდომონ, რედაქტორები მაინც არ დაუბეჭდავენ. საოჯახო საკითხავისთვის მეტისმეტად საზარელი ამბავია. თუმცა, დღეს მხოლოდ გამოცდილი ჟურნალისტები გვესწრებოდნენ. მათ ჩვენსავით კარგად იციან, რომ ზოგჯერ საქმე ცუდად მიდის და მორჩა.

ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ანდერსონმა თავი დამიქნია. მერე პერსის მიაპყრო მზერა და ყოველთვის მშვიდი სახე ზიზღით დაემანჭა.

- პატარა ნაბიჭვარი ხარ, - უთხრა პერსის, - და ძალიან არ მომწონხარ. შენს გასივებულ მეგობრებს ტყუილად ნუ შესჩივლებ, რომ ასე მოგმართე, რადგან იქამდე ვიუარებ, სანამ საფლავებიდან მკვდრები არ წამოდგებიან. ეს ბიჭები მე დამიჭერენ მხარს. პრობლემები გექნება, შვილო.

ანდერსონმა ზურგი გვაქცია და ზემოთ ასვლა დაიწყო. მეოთხე საფეხურზე შევაჩერე:

- კერტის!

ანდერსონი წარბებაზიდული შემობრუნდა და უხმოდ მომაჩერდა.

- პერსიზე ნუღარ იდარდებ, - ვუთხარი, - მალე „ბრაიერ რიჯში“ გადადის. უკეთესი სამსახური და უფრო დიდი ხელფასი ექნება. არა, პერსი?

- მალე განცხადებას დაწერს, - დაამატა ბრუტუსმა.

- მანამდე კი ავადმყოფობის მიზეზით ყოველდღე დაგეთხოვებათ, - შემოგვეშველა დინი.

ამან პერსი გამოაფხიზლა. საპატიმროში მუშაობის იმხელა სტაჟი არ ჰქონდა, რომ სახელფასო შვებულება მოეთხოვა. დინს გესლიანად შეეპასუხა:

- ნურც იოცნებებ.

# 6

E ბლოკში დაახლოებით ორის თხუთმეტი წუთისთვის დავბრუნდით (გარდა პერსისა, რომელსაც საწყობის მილაგება დაევალა და მოღუშული შეუდგა საქმეს). მე მოხსენება მქონდა შესადგენი და გადავწყვიტე, დერეფანში მორიგის მაგიდასთან დავმჯდარიყავი, რადგან ჩემს კაბინეტში, კომფორტულ სკამზე ნაღდად ჩამეძინებოდა. ალბათ, უჩვეულოდ ჟღერს, თუ იმას გავითვალისწინებთ, რა მოხდა სულ ერთი საათის წინ, მაგრამ პირადად მე, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ღამის თერთმეტი საათიდან აქამდე სამი სიცოცხლე უძილოდ გავლიე.

ჯონ კოფი საკნის კართან იდგა და უცნაური, უემოციო თვალებიდან ცრემლი შეუხორცებელი ჭრილობიდან სისხლივით სდიოდა. ჩემგან უფრო ახლომდებარე საკანში უორტონი საწოლზე იწვა, აქეთ-იქით ირწეოდა და თავის შეთხზულ, არცთუ უაზრო სიმღერას ღიღინებდა. იმედია, სწორად მახსოვს ტექსტი:

შეიბრაწა მწვადი! დადგა მყრალი სუნი.

ღრიალებს და ღმუის, ფუი, ფუი, ფუი!

ეს არ იყო ბილი, ეს არ იყო ფილი,

ეს არც ჯეკი იყო და არც გიჟი როი.

ფრანგი იყო წარაკუა, გვარად იყო დელაკრუა.

- მოკეტე, შე გამოსირებულო, - დავუყვირე.

უორტონმა გამიღიმა და ჭიანი კბილები გამოაჩინა. ის ჯერ ცოცხალი იყო და თან - ბედნიერი.

- მოდი და გამაჩუმე, თუ მაგარი ხარ! - შემომთავაზა და „შეიბრაწა მწვადის“ მომდევნო სტროფი წამოიწყო. სიტყვებს დაუფიქრებლად არ თხზავდა. ამ ბიჭს თავისებური ნიჭი ჰქონდა.

ჯონ კოფისთან მივედი. მან ხელისგულებით მოიწმინდა ცრემლები. თვალები ჩასწითლებოდა. უცებ გავიაზრე, რომ ისიც გა-

დაღლილი იყო. არ ვიცი, რამ დაღალა კაცი, რომელიც დღეში მხოლოდ ორ საათს დასეირნობდა ეზოში, სხვა დროს კი საკანში იჯდა ან იწვა, მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რასაც ცხადად ვხედავდი.

- საბრალო დელი, - ჩახლეჩილი ხმით თქვა კოფიმ, - საბრალო ბებერი დელი.

- ჰო, საბრალო დელი, - ვთქვი მეც და ვკითხე: - ჯონ, კარგად ხარ?

- დელი უკვე წავიდა, - თქვა კოფიმ, - ხომ წავიდა, ბოს?

- დიახ. შეკითხვაზე მიპასუხე, ჯონ, კარგად ხარ?

- დელი უკვე წავიდა. მას ბედმა გაუღიმა. მნიშვნელობა არა აქვს, ეს როგორ მოხდა. მას ბედმა გაუღიმა.

ვიფიქრე, დელაკრუა არ დაგეთანხმებოდა-მეთქი, მაგრამ ხმამაღლა არ მითქვამს. კოფის საკანში შევიხედე.

- მისტერ ჯინგლსი სად არის?

- იქ შეძვრა, - გისოსებიდან თითი გამოყო და დამამშვიდებელი ოთახისკენ მიმითითა.

- მაშინ, დაბრუნდება, - თავი დავუქნიე.

მაგრამ მისტერ ჯინგლსი მწვანე გზაზე აღარ დაბრუნებულა. მხოლოდ მის კვალს მივაგენით იმ ზამთარს მე და ბრუტუსმა: ჭრელი ძაფის კოჭის ნატეხებს და პიტნის კანფეტების სურნელს დამამშვიდებელი ოთახის ჭერში.

მაგიდასთან დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ შევყოვნდი. ჯონ კოფის შევხედე. მან ისე შემომხედა, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა. გონებაში საკუთარ თავს ვეუბნებოდი, მორჩი შემოვლას, მაგიდასთან დაბრუნდი და მოხსენება შეადგინე-მეთქი, მაგრამ ხმამაღლა მისი სახელი წარმოვთქვი:

- ჯონ კოფი.

- დიახ, ბოს, - მაშინვე მიპასუხა მან.

ზოგჯერ ადამიანს რაღაცის გაგება მოუნდება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებამდე ვერ ისვენებს. მეც ასე დამემართა იმ ღამით. ცალ მუხლზე დავდექი და ცალი ფეხსაცმელი გავიხადე.

# 7

შინ რომ მივედი, უკვე აღარ წვიმდა. ჩრდილოეთის ქედებიდან დაგვიანებით ამოიწვერა მოღიმარი მთვარე. ჩემი დაღლილობა თითქოს ღრუბლებთან ერთად გაიფანტა. აღარ მეძინებოდა და დელაკრუას სუნი ამდიოდა. ვიფიქრე, რომ კიდევ დიდხანს ვერ მოვიშორებდი „შებრაწული მწვადის სუნს“!

ჯენისი არ იწვა. სიკვდილით დასჯის ღამეებში ყოველთვის ელოდა ჩემს დაბრუნებას. მისთვის არაფრის თქმას არ ვაპირებდი, ტყუილად გუნება რატომ წავუხდინო-მეთქი, მაგრამ სამზარეულოში შესვლისთანავე გამომეტყველებაზე შემატყო, რომ რაღაც ცუდი მოხდა და მთხოვა, ყველაფერი მიამბეო. მეც დავჯექი, მისი თბილი ხელები ჩემი ცივი ხელებით (ჩემს „ფორდში“ გათბობა წესიერად არ მუშაობდა, იმ წვიმასა და ქარიშხალში კი ტემპერატურა მკვეთრად დაეცა) ავიღე და მოვუყევი, რის მოყოლასაც მთხოვდა. შუა საუბარში თავი ვერ შევიკავე და უნებურად ავტირდი. ცოტა შემრცხვა. სულ ცოტა. მე ხომ ჯენისს ვესაუბრებოდი, ის კი არასდროს მკიცხავდა იმისთვის, რომ ხანდახან მამაკაცისთვის შეუფერებელ... ან, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის შეუფერებელ სისუსტეს ვიჩენდი. კაცი, რომელსაც კარგი ცოლი ჰყავს, ალბათ, ღვთის ყველაზე იღბლიანი ქმნილებაა, ხოლო რომელსაც ცუდი ცოლი ჰყავს - ყველაზე უბედური; თავს იმითღა თუ ინუგეშებენ, რომ არ იციან, სინამდვილეში რა საცოდავი ცხოვრება აქვთ. მე ვტიროდი, თავი მის მკერდზე მედო და როცა ჩემი ცრემლების წვიმა შეწყდა, თავი უკეთ ვიგრძენი... ოდნავ უკეთ. მგონი, სწორედ იმ მომენტში შეიძინა ჩემმა გეგმამ სიცხადე. არა, ფეხსაცმელი არაფერ შუაშია. უფრო სწორად, ფეხსაცმელი ამ გეგმასთან სხვანაირად იყო დაკავშირებული. სწორედ იმ მომენტში გავაცნობიერე, რომ მიუხედავად განსხვავებული სქე-

სისა, აღნაგობისა და კანის ფერისა, ჯონ კოფის და მელინდა მურსს ერთნაირი თვალები ჰქონდათ: ნაღვლიანი, სევდიანი და არაფრის მთქმელი. შორეული, მომაკვდავი მზერა.

- წამოდი დავწვეთ, პოლ, - მითხრა ჯენისმა.

დავწექით და ერთმანეთს მივესიყვარულეთ. ჩემს ცოლს ჩაეძინა. მე ვიწექი და ფანჯრიდან მოღიმარ მთვარეს ვუყურებდი. გონებაში ჯონ კოფის სიტყვები მიტრიალებდა, რომ მან უშველა. „მე დელის თაგვს ვუშველე. მე ორთქლმავალი უილო ჯინგლსს ვუშველე. ის ცირკის თაგვია“. იქნებ ჩვენც ცირკის თაგვები ვართ, ოღონდ ვერც კი ვხვდებით, რომ ღმერთი და მისი ზეციური ლაშქარი ჩვენ-ჩვენს ბაკელიტის სახლებში მცხოვრებთ ქარსის ფანჯრებიდან გვადევნებს თვალს.

უკვე თენდებოდა, როცა ჩამეძინა - სულ ორ-სამ საათს მეძინა. ისე მეძინა, როგორც ახლა მძინავს ხოლმე „ჯორჯია პაინსში“ - მოუსვენრად. ძილში ჩემი ახალგაზრდობის ეკლესიებზე ფიქრი ჩამყვა. დედაჩემის და ჩემი დეიდების ახირებით, ხან ერთ ეკლესიაში დავდიოდით, ხან - მეორეში. ეკლესიებს სახელები ეცვლებოდა, მაგრამ „მამაო ჩვენო“ ყველა ეკლესიაში უცვლელი რჩებოდა. ეკლესიების სამრეკლოების ჩრდილში ზარის რეკა მუდმივად მონანიებისა და ლოცვისკენ გიბიძგებდა. მხოლოდ ღმერთს შეუძლია შეგინდოს ცოდვები. შეუძლია და შეგინდო კიდეც, ჯვარცმული ძის მოწამეობრივი სისხლით ცოდვები ჩამოგწმინდა. თუმცა, ეს მის შვილებს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. თუ შესაძლებელია, ყოველთვის უნდა მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები (და უბრალო შეცდომებიც). მონანიება ძლიერი რამაა. ეს ბოქლომია, რომელსაც წარსულის კარს ადებ.

ჩაძინებისას ვფიქრობდი მონანიებაზე, დენდარტყმულ, ცეცხლმოკიდებულ დელაკრუაზე, მელინდა მურსზე და მარად მოტირალ ჩვენს გოლიათზე. ეს ფიქრები ჩემს სიზმარში ჩაიხლართა. სიზმარში ჯონ კოფი მდინარის პირას იჯდა და შეშლილივით შეჰ-

ყმუოდა ადრიანი ზაფხულის ცას. მდინარის გადაღმა ტრაპინგუსისკენ მიმავალი სამგზავრო მატარებელი დაუსრულებლად მიქროდა დაჟანგულ ხიდზე. კოფის მკლავები სისხლიანი, შიშველი, ქერათმიანი გოგონების ცხედრებისთვის შემოეხვია. დამუშტული ხელები მსხვილ ქვებს მიუგავდა. მის გარშემო ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და ქინქლები დაფრინავდნენ. ცხელოდა. სიზმარში მასთან მივედი, ჩავიმუხლე და მისი ხელები ავიღე. ჩემს შეხებაზე მოდუნდა, დამუშტული მუჭები გახსნა და მიჩვენა, შიგ რას მალავდა. ცალ ხელისგულზე მწვანედ, წითლად და ყვითლად შეღებილი ძაფის კოჭი ედო, მეორეზე - ციხის მცველის ცალი ფეხსაცმელი.

- ვერ ვუშველე, - თქვა ჯონ კოფიმ, - ვცადე, ყველაფერი გამომესწორებინა, მაგრამ დავაგვიანე!

და ამჯერად, სიზმარში, მე მისი სიტყვების მნიშვნელობას მივხვდი.

# 8

მომდევნო დილით ცხრა საათზე, როცა სამზარეულოში მესამე ფინჯან ყავას ვსვამდი (ჩემს ცოლს არაფერი უთქვამს, მაგრამ როცა მესამე ფინჯანი მომიტანა, გამკიცხავად შემომხედა), ტელეფონმა დარეკა. სასტუმრო ოთახში გავედი და ყურმილი ავიღე. ოპერატორმა ვიღაცას უთხრა, ხაზი დაკავებულიაო, მერე მე მშვიდობიანი დღე მისურვა და გამითიშა... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა.

უცებ ჰელ მურსი მომესალმა. ოთხმოცი წლის მოხუცივით ხრინწიანი და აკანკალებული ხმა ჰქონდა. იმ მომენტში ძალიან გამიხარდა, რომ წინა ღამით კერტის ანდერსონთან ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ისიც უკმაყოფილო დარჩა პერსით, რადგან ამ ხმით თუ ვისმჯელებდით, ჰელ მურსი „ქოულდ მაუნთინში“ მუშაობას, ალბათ, აღარ გააგრძელებდა.

- პოლ, გავიგე, რომ წუხელ პრობლემები შეგქმნიათ. ისიც გავიგე, რომ ამაში ჩვენი მეგობარი პერსი უეტმორი მონაწილეობდა.

- ჰო, სწორად გაგიგია, - გამოვუტყდი ციხის უფროსს. ყურმილი ყურზე მჭიდროდ მივიდე, - მაგრამ, მთავარია, რომ საქმე გაკეთდა.

- დიახ, რა თქმა უნდა.

- შეიძლება გავიგო, ეს ვინ გითხრა? - რომ კუდზე კონსერვის ქილა მივაბა-მეთქი, კინაღამ დავამატე.

- რადგან ეს შენ არ გეხება, მისი სახელის გამხელისგან თავს შევიკავებ. დღეს სამსახურში რომ დავრეკე, რამე გადაუდებელი საქმე ან შეტყობინება ხომ არ არის-მეთქი, საინტერესო რამ მაუწყეს.

- მართლა?

- დიახ. გადაყვანის თაობაზე განცხადება დაუწერიათ ჩემს სახელზე. პერსი უეტმორს დაუყოვნებლივ უნდა „ბრაიერ რიჯში“ გადასვლა. როგორც ჩანს, განცხადება ჯერ კიდევ წუხანდელი მორიგეობის დასრულებამდე შემოუტანია.

- ასე გამოდის.

- ჩვეულებრივ, ასეთ საქმეებს კერტისს ვავალებ ხოლმე, მაგრამ ე ბლოკში ამჟამად გამეფებული ატმოსფეროს გათვალისწინებით, ჰანას დავავალე, შუადღის შესვენებისას განცხადება სახლში მომიტანოს. გადავხედავ და ნაშუადღევს შტატის დედაქალაქში გავგზავნი. იმედია, ერთ თვეში პერსი ე ბლოკის კარიდან გავა და უკან აღარ დაბრუნდება. შეიძლება ერთი თვეც არ დასჭირდეს.

მურსს ეგონა, რომ ეს სიახლე მესიამოვნებოდა და სწორადაც ეგონა. ის ხომ ცოლზე მზრუნველობას მოწყდა საჩვენო საქმის მოსაგვარებლად; თვით პერსისნაირ, საჭირო კავშირების მქონე ადამიანსაც კი ნახევარი წელი მაინც დასჭირდებოდა ახალი სამუშაო ადგილის საშოვნელად. თუმცა, მე არ გამხარებია. ერთი თვეო! ან იქნებ მნიშვნელობა აღარც ჰქონდა. ტყუილად ლოდინი და იმ სარისკო საქმის გადადებაც აღარ ღირდა, რომელზეც ვფიქრობდი. თუ პერსისთან მოგვიწევდა გამკლავება (რატომღაც იმედი მქონდა, რომ ჩემს სარისკო საქმეში თანამზრახველებიც მეყოლებოდა), შეგვეძლო, ეს ამაღამვე გვექნა.

- პოლ? გესმის? - ხმას დაუდაბლა ჰელ მურსმა, იფიქრა, ჩემს თავს ხომ არ ველაპარაკებიო. - ჯანდაბა, კავშირი გაწყდა.

- არა. მესმის, ჰელ. დიდებული სიახლეა.

- დიახ, - თქვა მან და მისმა ბებრულმა ხმამ ძალიან დამთრგუნა. - აა, ვიცი, ახლა რასაც ფიქრობ.

„არა, არ იცი, უფროსო მურს, - გავიფიქრე ჩემთვის, - მილიონი წელი ვერ მიხვდები, რას ვფიქრობ“.

- გგონია, რომ ჯონ კოფის სიკვდილით დასჯამდე პერსი თქვენთან იქნება. შეიძლება ასეც მოხდეს. ჯონ კოფის, ალბათ, მადლიერების დღემდე არ გავისტუმრებთ იმქვეყნად, მაგრამ შეგიძლია პერსი სააპარატოში გაამწესო. წინააღმდეგი მგონი, თვით პერსიც არ იქნება.

- ასე ვიზამ, - ვთქვი, - ჰელ, მელინდა როგორ არის?

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. ჰელის სუნთქვა მესმოდა, თორემ ვიფიქრებდი, რომ კავშირი გაწყდა. ცოტა ხანში კიდევ უფრო ხმადაბლა დამელაპარაკა:

- უფრო და უფრო სუსტდება... - მურსს, უბრალოდ, არ სურდა პირდაპირ ეთქვა, რომ მელინდა კვდებოდა, - თავის ტკივილები იმდენად აღარ აწუხებს... ჯერჯერობით... მაგრამ დაუხმარებლად ვერ დადის, დაუხმარებლად ვერაფერს იღებს, ძილში შარდს ვერ იკავებს... - კიდევ ერთხელ ჩამოვარდა პაუზა, რომელიც უკვე ძლივს გასაგებმა ჩურჩულმა დაარღვია. მომესმა, თითქოს თქვა, იჭიმებაო.

- რას ნიშნავს „იჭიმება“? - მოვიღუშე. ოთახში ჩემი ცოლი შემოვიდა. ჭურჭლის ტილოზე იწმენდდა ხელებს და მე მიყურებდა.

- არა, კი არ იჭიმება, - ერთდროულად სიბრაზისა და მწუხარებისგან ხმა აუკანკალდა მურსს, - იგინება.

- აა, - მაინც ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, მაგრამ აღარ ჩავეძიე. არ დამჭირდა, რადგან ჰელ მურსმა უჩემოდ გააგრძელა.

- კარგად არის ხოლმე, ნორმალურად იქცევა, ბაღის ყვავილებზე საუბრობს, ან მოდების კატალოგში ნანახ კაბაზე, ან - რადიოში რუზველტის გამოსვლას ვუსმინე და რა კარგი ხმა აქვსო და უცებ ბილწსიტყვაობას იწყებს. საშინელ სიტყვებს ამბობს. ხმას არ უწევს. მგონი, აჯობებდა, ხმას რომ უწევდეს, მაშინ... მაშინ...

- მაშინ თავის თავს არ ემგვანებოდა.

- ზუსტად, - დაასრულა ჰელ მურსმა, - იმ საამური ხმით რომ უხამს სიტყვებს წარმოთქვამს... მაპატიე, პოლ, - ხმა ჩაუწყდა და გავიგონე, როგორ ჩაიწმინდა ყელი. ოდნავ მტკიცედ განაგრძო:- სურს, რომ პასტორი დონალდსონი მოვუყვანო, მისი სიახლოვე აწყნარებს, მაგრამ მერიდება. წარმოიდგინე, პასტორი დონალდსონი „წმინდა წერილს“ რომ უკითხავდეს, მელინდამ კი უხამსად მიმართოს! წუხელ მე მომმართა ასე. ერთი ეგ ჟურნალი „ლიბერთი“ მომეცი, შე ნაბოზაროო. პოლ, ნეტა სად ისწავლა ეს სიტყვები?

- არ ვიცი, ჰელ. ამაღამ შინ იქნები?

როცა კარგად იყო და თავს აკონტროლებდა, რამე არ აწუხებდა ან ადარდებდა, ჰელ მურსი სარკასტულობით გამოირჩეოდა. ხელქვეითებს მისი სარკაზმის უფრო ეშინოდათ, ვიდრე მისი სიბრაზისა ან სიძულვილისა. მისი უხეში სარკაზმი მჟავასავით მწველი იყო. ამ მჟავის წვეთები ახლა მე შემომეშხეფა. არ ველოდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი დავრჩი ამით. როგორც ჩანდა, ჯერაც შერჩენოდა ძალა ბრძოლის გასაგრძელებლად.

- არა, - მიპასუხა მან, - მელინდა საცეკვაოდ მიმყავს. ჯერ „დოსი-დოს“ ვიცეკვებთ, მერე - „ალემანდას“ და ბოლოს მევიოლინეს ვეტყვით, რომ გამოსირებული ნაბიჭვარია.

პირზე ხელი ავიფარე, რომ არ გამცინებოდა. საბედნიეროდ, სიცილის ჟინმა მალევე გადამიარა.

- მაპატიე, - მომიბოდიშა ჰელ მურსმა, - ეს ბოლო დროა, წესიერად არ მძინავს. ხასიათი სულ წამიხდა. რა თქმა უნდა, სახლში ვიქნებით. რატომ მეკითხები?

- არა, ისე, - ჩავილაპარაკე.

- სტუმრობას ხომ არ აპირებ? როგორც მახსოვს, დღესაც მორიგეობა გიწევს. თუ ვინმე ჩაგენაცვლება?

- არა, ამაღამაც ვმორიგეობ.

- ჰო, რავი. ისე, სტუმრობა ცუდი აზრია. მელინდა ახლა იმ მდგომარეობაში არაა, სტუმარი მიიღოს.

- ჰო, ალბათ, არ ღირს. გმადლობ, ახალი ამბავი რომ შემატყობინე.

- არაფერს. მელინდასთვის ილოცე, პოლ.

ვუთხარი, რომ ვილოცებდი, მაგრამ გულში გავიფიქრე, ლოცვაზე უფრო მეტსაც ვაპირებ-მეთქი. ღმერთი იმას ეხმარება, ვინც თავის თავს ეხმარებაო, ქადაგებდნენ ჩვენს ეკლესიაში. ყურმილი დავკიდე და ჯენისს შევხედე.

- მელი როგორ არის? - მკითხა მან.

- ცუდად, - ვუთხარი, რაც ჰელმა მიამბო. მათ შორის, ისიც, რომ მელინდა იგინებოდა. რა თქმა უნდა, სიტყვები - „გამოსირებული ნაბიჭვარი“ და „ნაბოზარი“ გამოვტოვე. თხრობა ჰელის სიტყვებით დავასრულე, მელი უფრო და უფრო სუსტდება-მეთქი. დაღონებულმა ჯენისმა თავი დამიქნია და ყურადღებით შემათვალიერა.

- რას ფიქრობ? აშკარად რაღაცას გეგმავ, რაღაც ცუდს. სახეზე გაწერია.

მის მოტყუებას არ ვაპირებდი; ჩვენს ურთიერთობაში ეს გამორიცხული იყო. უბრალოდ, ავუხსენი, რომ აჯობებდა, ჯერჯერობით მას არაფერი სცოდნოდა.

- რატომ... შეიძლება პრობლემა შეგექმნას? - მის ხმაში დაინტერესება უფრო შევამჩნიე, ვიდრე შიში. ეს თვისება განსაკუთრებით მომწონდა მასში.

- ჰო, - ვუპასუხე.

- კარგ რამეს გეგმავ?

- შეიძლება, - ცალი ხელის თითით ტელეფონის ნომერამკრეფს ვატრიალებდი, მეორეთი ბერკეტს ვაწვებოდი.

- რა არის? გინდა, გავიდე, სანამ ტელეფონზე ვიღაცას დაელაპარაკები? სიკეთე ვქნა და ოთახიდან დავახვიო? ჭურჭელი დავრეცხო? წინდები მოვქსოვო?

- მთლად ასე არ ვიტყოდი, მაგრამ... - თავი დავუქნიე.

- სადილად სტუმრები გვეწვევიან, პოლ?

- იმედია, - ვუპასუხე.

# 9

ბრუტუსს და დინს ტელეფონი ჰქონდათ და მათ მაშინვე დაველაპარაკე. ჰარის მეზობლის ნომერზე დავურეკე. ჰარიმ ოც წუთში გადმომირეკა. დარცხვენილი იყო და პირობა მომცა, სატელეფონო ანგარიში რომ მოგივა, ამ ზარის ღირებულების საფასურს მე გადავიხდიო. ვუთხარი, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, მანამდე კი იქნებ სადილად დამეწვიო-მეთქი. ბრუტუსი და დინიც აქ იქნებიან, თან ჯენისი კომბოსტოს სალათას ამზადებს, რომ აღარაფერი ვთქვა მის ცნობილ ვაშლის ღვეზელზე-მეთქი.

- რა სადილობა აგიტყდა? - დაეჭვდა ჰარი.

გამოვუტყდი, თქვენთან რაღაც საქმე მაქვს, მაგრამ ამაზე ტელეფონით ლაპარაკი არ ივარგებს-მეთქი. ჰარი დამთანხმდა, მოვალო. ყურმილი დავკიდე, ფანჯარასთან მივედი და გარეთ ჩაფიქრებულმა გავიხედე. მართალია, წინა ღამით გვიანობამდე ვმორიგეობდით, მაგრამ რომ დავურეკე, არც ბრუტუსს ეძინა და არც - დინს, და არც ჰარის ჰქონდა ნამძინარევი ხმა. ჩანდა, რომ მხოლოდ მე არ მინერვიულია წუხანდლის გამო, რაც, თუ იმ გიჟურ აზრს გავითვალისწინებთ, თავში რომ მიტრიალებდა, ძალიანაც ხელსაყრელი იყო ჩემთვის.

ბრუტუსი ჩემთან ყველაზე ახლოს ცხოვრობდა და თორმეტის თხუთმეტ წუთზე მოვიდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ დინიც გამოჩნდა. ჯენისმა ხორციანი სენდვიჩები, კომბოსტოს სალათა და ცივი ჩაი შემოგვიტანა სამზარეულოში. ჯერ კიდევ წინა დღეს, სადილს, ალბათ, ვერანდაზე, გრილ ნიავზე მივირთმევდით, მაგრამ ერთ დღეში ტემპერატურა ათი გრადუსით დაეცა და მთებიდან ცივი ქარი უბერავდა.

- შენც შემოგვიერთდი, - შევთავაზე ჩემს ცოლს.

ჯენისმა თავი გააქნია.

- არ მინდა ვიცოდე, რა ჩაიფიქრეთ... ასე უფრო ნაკლებად ვინერვიულებ. სასტუმრო ოთახში წავიხემსებ. მის ჯეინ ოსტინის საზოგადოებაში გავატარებ დროს.

- ჯეინ ოსტინი ვინ არის? - იკითხა ჰარიმ, როცა ჯენისმა დაგვტოვა. - შენი ნათესავია თუ ჯენისისა, პოლ? ბიძაშვილია? ლამაზია?

- მწერალია, შე რეგვენო, - უთხრა ბრუტუსმა, - ჯერ კიდევ იქამდე გარდაიცვალა, სანამ ბეტსი როსი ამერიკის დროშაზე პირველ ვარსკვლავს ამოქარგავდა.

- აა, - შერცხვა ჰარის, - ხომ იცი, წიგნის კითხვა დიდად არ მიყვარს. მხოლოდ რადიოცნობარს თუ წავიკითხავ.

- რა ჩაიფიქრე, პოლ? - მკითხა დინმა.

- დავიწყოთ ჯონ კოფით და მისტერ ჯინგლსით, - ყველამ გაიოცა, რასაც ველოდი კიდეც - მათ ეგონათ, რომ პერსის ან დელაკრუას შესახებ დაველაპარაკებოდი. ან ორივეზე ერთდროულად. დინის და ჰარის შევხედე, - ის, რაც ჯონ კოფიმ მისტერ ჯინგლსს უყო, ძალზე სწრაფად მოხდა. არ ვიცი, მოასწარით თუ არა იმის ნახვა, რამდენად დასახიჩრებული იყო თაგვი.

- ვერა, - თავი გააქნია დინმა, - თუმცა, იატაკზე სისხლი დავინახე.

ბრუტუსისკენ შევბრუნდი.

- იმ ნაბიჭვარმა პერსიმ თაგვი გასრისა, - უემოციოდ თქვა მან, - უნდა მომკვდარიყო, მაგრამ არ მოკვდა. კოფიმ რაღაც უქნა მას. როგორღაც განკურნა. ვიცი, რომ უცნაურად ჟღერს, მაგრამ საკუთარი თვალით ვნახე.

- მან მეც განმკურნა, - ვთქვი, - ეს არა მხოლოდ ვნახე, ვიგრძენი კიდეც. - მოვყევი, როგორ გამირთულდა საშარდე გზების ინფექცია, რომ ძლიერი ტკივილი მაწუხებდა (სამივე მივახედე ეზოში შეშის გროვისკენ, როცა ვიხსენებდი, ღამით მუხლებზე დაცე-

მული რომ ვშარდავდი) და როგორც კი ჯონ კოფი შემეხო, სრულიად განვიკურნე.

თხრობას მალე მოვრჩი. ბრუტუსს, ჰარის და დინს კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ, მიყურებდნენ და სენდვიჩს ჭამდნენ. სიჩუმე დინმა დაარღვია:

- პირიდან შავი მწერები ამოუფრინდა. ქინქლებს ჰგავდა.

- ეგრეა, - დამეთანხმა ჰარი, - თავიდან შავები იყვნენ, მერე გათეთრდნენ და საერთოდ გაქრნენ, - ჩაფიქრებულმა მიმოიხედა, - საოცარია, ეს ამბავი აღარც მახსოვდა, შენ რომ არ შეგეხსენებინა, პოლ!

- საოცარი და გაუგებარია არაფერია, - თქვა ბრუტუსმა, - რასაც ვერ იგებს, ხალხი იმას ყოველთვის ივიწყებს ხოლმე. რა აზრი აქვს გაუგებარი რამეების გახსენებას? შენზე რას იტყვი, პოლ? შენს შემთხვევაშიც გაჩნდნენ ქინქლები?

- კი. მგონი, ისინი სნეულებას ასახიერებენ... ტკივილს... ტანჯვას. კოფი მას ისრუტავს და მერე ამოახველებს ხოლმე.

- და სნეულება ქრება, - დაასრულა ჰარიმ.

მხრები ავიჩეჩე. არ ვიცი, სნეულება მართლა ქრებოდა თუ არა. ამას მნიშნველობა არც ჰქონდა.

- შენც გამოგწოვა ტკივილი? - მკითხა ბრუტუსმა. - მომეჩვენა, რომ თაგვს ტკივილი გამოსწოვა. ტკივილი ან... სიკვდილი.

- არა, - ვუპასუხე, - მხოლოდ შემეხო. მისი შეხება ვიგრძენი. თითქოს ელექტროდენმა დამარტყა. ოღონდ არ მტკენია. თანაც, მე არ ვკვდებოდი, მხოლოდ ტკივილი მტანჯავდა.

- შეხება და სულის ჩაბერვა, - თავი დააქნია ბრუტუსმა, - სწორედ ასეთი რამეებია მოთხრობილი სახარებაში, ეკლესიებში რომ ქადაგებენ.

- ჰო, ყოვლისშემძლე უფლის ლოცვებში, - ვთქვი მე.

- არ ვიცი, უფალი ამ ამბავთან რა კავშირშია,- თქვა ბრუტუსმა, - მაგრამ ჯონ კოფი კი ნაღდად ყოვლისშემძლე ყოფილა.

- რახან შენ ამბობ, რომ ასე მოხდა, დავიჯერებ, - თქვა დინმა, - ღმერთის გზები შეუცნობელია. თუმცა, მე ის მაინტერესებს, ჩვენ რა შუაში ვართ.

მართებული შეკითხვა იყო. ღრმად ჩავისუნთქე და მათ ჩემი გეგმა გავანდე. გაოგნებულები მისმენდნენ. თვით ბრუტუსიც, რომელსაც ძალიან უყვარდა კოსმოსიდან მოსულ მწვანე კაცუნებზე ჟურნალებში დაბეჭდილი ამბების კითხვა, გაკვირვებული ჩანდა. რომ მოვრჩი, ამჯერად უფრო ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა და აღარც სენდვიჩის ჭამა გახსენებია რომელიმეს.

ბოლოს, ბრუტუს ჰაუელმა მითხრა შემგონებლურად:

- რომ გამოგვიჭირონ, ყველა სამსახურს დავკარგავთ, პოლ, და ძალიან გაგვიღიმებს ბედი, თუ მხოლოდ ამას გვაკმარებენ. ალბათ, ა ბლოკში აღმოვჩნდებით, საფულეების კერვა და წყვილ-წყვილად ბანაობა მოგვიწევს.

- ჰო, შეიძლება ასეც მოხდეს, - ვთქვი.

- ვიცი, ახლა რასაც გრძნობ, - განაგრძო ბრუტუსმა, - ჰელ მურსს ჩვენზე უკეთ იცნობ და ის შენთვის არა მხოლოდ უფროსი, მეგობარიცაა და განიცდი, რომ მისი ცოლი...

- ძალიან კარგი ქალია, - ვთქვი მე, - ჰელისთვის ის მთელი სიცოცხლეა.

- მაგრამ ჩვენ ისე კარგად არ ვიცნობთ მას, როგორც შენ და ჯენისი, - შემესიტყვა ბრუტუსი.

- რომ იცნობდეთ, ძალიან მოგეწონებოდათ, - ვუპასუხე, - ყოველ შემთხვევაში, მოგეწონებათ, სანამ ამ სნეულებას საბოლოოდ ჩაუვლია მისთვის კლანჭები. ის საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, მეგობრული და რელიგიურია. გარდა ამისა, იუმორის გრძნობაც აქვს. ჯერჯერობით მაინც. ისეთ რამეებს ყვება, შეიძლება სიცილისგან ცრემლები წაგსკდეს. ოღონდ მხოლოდ ამიტომ არ მინდა მისი გადარჩენა, თუ ეს შესაძლებელია. მისი სიკ-

ვდილი სამწუხარო იქნება, ამის დედა ვატირე. სამწუხარო იქნება თვალისთვის, ყურისთვის და გულისთვის.

- კეთილშობილური ჩანაფიქრია, მაგრამ მგონი, ეს ყველაფერი დელის მძიმე სიკვდილმა შთაგაგონა. გინდა, რომ მისი სიკვდილი მისის მურსის გადარჩენით აანაზღაურო.

ბრუტუსმა სიმართლე თქვა. კი, მელინდა მურსს მათზე უკეთ ვიცნობდი, მაგრამ არა იმდენად, რომ მისთვის მათი სამსახური ან სულაც თავისუფლება სასწორზე დამედო. არც მე მსურდა სამსახურის და თავისუფლების დაკარგვა. ორი შვილი მყავდა და ყველაზე ნაკლებად ის მინდოდა, დედას წერილები მიეწერა მათთვის, მამათქვენი დააპატიმრესო. და რისთვის? სიმართლე

გითხრათ, ეს წესიერად არც მე ვიცოდი. ალბათ პატიმრის გაქცევის დაგეგმვისა და ხელშეწყობისთვის.

მაგრამ ედუარდ დელაკრუას სიკვდილი ყველაზე საშინელი და საზიზღარი რამ იყო, რაც სიცოცხლეში მინახავს - ამას პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობ - და მე მისი მონაწილე ვიყავი. ჩვენ ყველა ვმონაწილეობდით მის სიკვდილში, რადგან პერსი უეტმორს E ბლოკში მუშაობის ნება დავრთეთ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, ამ საქმისთვის არ ვარგოდა. ჩვენს თამაშში ჰელ მურსიც მონაწილეობდა. დელაკრუას ტვინი შეიხრუკება, მიუხედავად იმისა, იდგება მის გვერდით პერსი თუ არაო, მითხრა მან. მისი ტვინი, ალბათ, მართლაც იყო შესახრუკი, რადგან ჩია ფრანგმა საზარელი დანაშაული ჩაიდინა. თუმცა, ის, რაც პერსიმ მას უყო, ტვინის შეხრუკვაზე ბევრად მეტი იყო. მან დელაკრუას თვალები ბუდეებიდან გადმოაყრევინა და თავზე ცეცხლი წაუკიდა. რატომ? იმიტომ, რომ დელაკრუამ ექვსი ადამიანი მოკლა? არა. იმიტომ, რომ პერსიმ შარვალში ჩაიფსა, ხოლო ჩია ფრანგმა გაბედა და დასცინა. ჩვენ საზარელი სპექტაკლის მონაწილეები ვიყავით და პერსის დანაშაული უნდა შერჩენოდა. მალე კმაყოფილსა და ბედნიერს „ბრაიერ რიჯში“ გადაიყვანდნენ და შეშლი-

ლებით სავსე იმ საგიჟეთში თავისი სისასტიკის გამოვლენის მეტი შესაძლებლობა ექნებოდა. მას ვეღარაფრით შევაჩერებდით, მაგრამ ჯერ კიდევ გვქონდა მცირე შანსი იმისა, რომ ხელიდან ჭუჭყი ჩამოგვებანა.

- ჩემს ეკლესიაში ამას მონანიებას უწოდებენ, - ვთქვი.

- მართლა გგონია, რომ კოფი მას გადაარჩენს? - ეჭვით მკითხა დინმა. - როგორ... რა, ტვინიდან სიმსივნეს გამოსწოვს? ატმის კურკასავით გამოაცლის?

- მგონი, კი. ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე და მისტერ ჯინგლსს გვიშველა...

- თან ის თაგვი გაჭყლეტილი იყო, - დაამატა ბრუტუსმა.

- კი, მაგრამ დაგვთანხმდება? - იკითხა ჰარიმ. - მოუნდება მისი შველა?

- თუ შეუძლია, კი, - ვთქვი.

- რატომ? კოფი მელინდას საერთოდ არ იცნობს!

- იმიტომ, რომ ეს მისი საქმეა. ღმერთმა ამისთვის შექმნა.

ბრუტუსმა მიმოიხედა, მიგვანიშნა, ვიღაც გვაკლიაო.

- პერსიზე რას იტყვით? გგონიათ, ასე უბრალოდ დაგვანებებს ამის გაკეთებას? - იკითხა მან და მეც ავუხსენი, რა უნდა მოგვეხერხებინა პერსისთვის. ჰარიმ და დინმა გაოგნებულებმა მოისმინეს ჩემი გეგმა, ბრუტუსს კი სახეზე მოწონების ღიმილი გადაეფინა.

- გაბედული გეგმაა, ძმობილო პოლ! - წამოიძახა მან. - გისმენ და აღტაცებისგან სუნთქვა მეკვრის!

- ო, ეს უკვე სერიოზულია! - დაიჩურჩულა დინმა და უეცრად ახარხარებულმა ტაში შემოჰკრა. - მაშ, წავედით, სანამ დროა! - დინი განსაკუთრებით დაინტერესდა ჩემი გეგმის იმ ნაწილით, რომელიც პერსის ეხებოდა. ხომ გახსოვთ, სწორედ უმოქმედოდ დამდგარი პერსის გამო იყო, უორტონმა კინაღამ რომ დაახრჩო.

- ეგ კი, მაგრამ მერე? - იკითხა ჰარიმ. მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ გაბრწყინებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ სურდა, ისიც დაგვეთანხმებინა. - მერე რას ვაკეთებთ?

- როგორც ამბობენ, მკვდრები დუმან, - ჩაიბურტყუნა ბრუტუსმა. მე სწრაფად გავხედე, იმედია, ამას ხუმრობს-მეთქი.

- ვფიქრობ, პერსი ენას კბილს დააჭერს, - ვთქვი.

- ვითომ? - სკეპტიკურად იკითხა დინმა. სათვალე მოიხსნა და წმენდა დაიწყო. - არ მჯერა.

- ჯერ ერთი, არც ეცოდინება, სინამდვილეში რა მოხდა. იფიქრებს, რომ გავუჩალიჩეთ. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი - რამის გამხელის შეეშინდება. ამის იმედი უფრო მაქვს. თუ წერილების მიწერით და სატელეფონო ზარებით დაგვემუქრება, ჩვენც წერილების მიწერით და სატელეფონო ზარებით დავემუქროთ.

- ჰო, ყველას გავაგებინებთ, როგორ უხელმძღვანელა სიკვდილით დასჯას, - თქვა ჰარიმ.

- კიდევ იმას, როგორ გაშეშდა, როცა უორტონი დინს ახრჩობდა, - თქვა ბრუტუსმა, - მგონი, პერსის ყველაზე მეტად სწორედ იმის ეშინია, რომ ხალხი მის შესახებ სიმართლეს გაიგებს, - ნელა და დაფიქრებით დააქნია თავი, - ალბათ, გამოგვივა. მაგრამ... პოლ, ხომ არ აჯობებს, მისის მურსი მივუყვანოთ კოფის და არა კოფი - მისის მურსს? პერსის ისე გავუმკლავდებით, როგორც აღგვიწერე, მისის მურსს კი გვირაბით შევიყვანთ E ბლოკში. ჯონ კოფის არსად წაყვანა აღარ დაგვჭირდება.

- ეგ არ მოხდება, - თავი გავაქნიე, - გამორიცხულია.

- უფროსი მურსის გამო?

- ჰო. ეგ ისეთი პრაგმატიკოსია, ურწმუნო თომასგან ჟანა დ'არკს გამოიყვანს. თუ კოფის სახლში მივუყვანთ, ძალიან გაუკვირდება და იქნებ ამით დავარწმუნოთ, რომ კოფი მელინდასთან მიუშვას. სხვა შემთხვევაში კი...

- კოფი რითი წავიყვანოთ? - მკითხა ბრუტუსმა.

- თავიდან საპატიმროს ფურგონს ვფიქრობდი, - ვუპასუხე, - მაგრამ მაგას ეზოდან შეუმჩნეველად ვერ გავიყვანთ, თან ოცდაათი კილომეტრის რადიუსში ყველა ცნობს. აჯობებს, ჩვენი „ფორდი“ გამოვიყენოთ.

- არ აჯობებს, - თქვა დინმა და სათვალე ისევ ცხვირზე დაისკუპა, - სულ რომ გააშიშვლო, ქონით გაპოხო და მაშველიც დაიხმარო, ჯონ კოფის შენს „ფორდში“ მაინც ვერ შეტენი. ისე შეაჩვიე თვალი, რომ ვეღარც ამჩნევ, რამხელაა.

მთელი დილა პერსის დიდი პრობლემისა და ველური ბილ უორტონის შედარებით უმნიშვნელო პრობლემის გადაჭრაზე ვფიქრობდი. ახლა კი მივხვდი, რომ ჯონ კოფის ტრანსპორტირება ისეთი იოლი საქმეც არ იყო, როგორც თავიდან მომეჩვენა.

ჰარი ტერვილიგერმა თავისი მეორე სენდვიჩის ნარჩენი აიღო, დახედა და ისევ თეფშზე დადო.

- თუ ამ სიგიჟის ჩადენას მართლა ვაპირებთ, - თქვა მან, - აჯობებს, ჩემი „პიკაპი“ გამოვიყენოთ. კოფი უკან დავსვათ. არა მგონია, ასე გვიან გზაზე ვინმე შეგვხვდეს. ხომ ნაშუაღამევს ვაპირებთ მის წაყვანას?

- კი, - ვუპასუხე.

- ბიჭებო, ერთი რამ გავიწყდებათ, - თქვა დინმა, - ვიცი, კოფი საკანში მშვიდადაა, სულ წევს ან ტირის, მაგრამ ის მკვლელია, თანაც, ვეებერთელა. მანქანიდან გადახტომა რომ მოინდომოს, მის შეჩერებას მხოლოდ ტყვიით თუ შევძლებთ. მაგხელა კაცის მოკვლა ორმოცდახუთკალიბრიანითაც კი გაჭირდება. ან, დავუშვათ, ჩვენ ვერ მივაწვინოთ, გაიქცეს და კიდევ ვინმე მოკლას? სამსახურის დაკარგვა და ციხეში ჩაჯდომა ნაღდად არ მინდა, ცოლ-შვილი მყავს სარჩენი, მაგრამ ჩემს სინდისზე სხვა მოკლული გოგონების ყოლას, ისევ ეს მირჩევნია.

- ეს არ მოხდება, - ვუთხარი მას.

- რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

პასუხი არ გავეცი. არ ვიცოდი, რითი დამეწყო. ველოდი, რომ ოდესმე ამაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მეთქვა მათთვის ის, რაც მე ვიცოდი. ბრუტუსი დამეხმარა.

- მიგაჩნია, რომ მას ეს არ უქნია, არა, პოლ? - უნდობლად შემომხედა მან. - გგონია, რომ ეს იდიოტი გოლიათი უდანაშაულოა.

- დიახ, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უდანაშაულოა.

- თუ ღმერთი გწამს, რატომ?

- ორი რამის გამო, - ვუპასუხე, - პირველი ჩემი ფეხსაცმელია, - წინ გადავიხარე და თხრობა დავიწყე.

# მეხუთე ნაწილი

# კოფი „მწვანე გზაზე“

## 1

მისტერ ჰერბერტ ჯორჯ უელსმა წიგნი დაწერა მეცნიერზე, რომელმაც დროის მანქანა გამოიგონა და ახლა, ამ ჩემს მოგონებებს რომ ვწერ, ირკვევა, რომ მეც გამომიგონია ჩემთვის დროის მანქანა. უელსის მანქანისგან განსხვავებით, ჩემსას მხოლოდ 1932 წელში დაბრუნება შეუძლია, იმ ხანად „ქოულდ მაუნთინის“ სიკვდილმისჯილთა ბლოკის ზედამხედველად ვმუშაობდი. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ესეც საკმარისია. თუმცა, ეს დროის მანქანა იმ დაფახფახებულ „ფორდს“ მახსენებს, მაშინ რომ მყავდა: იცოდი, რომ ადრე თუ გვიან ადგილიდან დაიძრებოდა, მაგრამ წინასწარ ვერასდროს იტყოდი, მხოლოდ გასაღების გადატრიალებით ჩაირთვებოდა ძრავა თუ ხელით იქამდე უნდა გექოქა, სანამ მკლავი არ მოგწყდებოდა.

მას შემდეგ, რაც ჯონ კოფის ამბის მოყოლა დავიწყე, ჩემი დროის მანქანა მხოლოდ გასაღების გადატრიალებით იქოქებოდა, მაგრამ გუშინ ხელის მიშველებაც დასჭირდა. მგონი, იმიტომ, რომ დელაკრუას სიკვდილით დასჯას მივადექი და ჩემი გონების ნაწილს ამის გახსენება არ სურდა. ის საშინელი სიკვდილით დაიღუპა და მიზეზი ამისა იყო პერსი უეტმორი, ახალგაზრდა, რომელსაც ძალიან უყვარდა თმის დავარცხნა, მაგრამ ვერ იტანდა, როცა ვინმე დასცინოდა - თუნდაც მელოტი ფრანგი, რომელსაც მომავალი ქრისტეშობის ნახვა არ ეწერა.

ბინძური საქმის დაწყება ყოველთვის რთულია. მთავარია, მანქანა დაქოქო გასაღებით ან, თუნდაც, ხელით და მერე უკვე ძრავა ჩვეულებრივად იწყებს მუშაობას. გუშინაც ასე მოხდა. თავიდან სიტყვები თითო-თითოდ წამოვიდა, მერე წინადადებებად და ბოლოს უწყვეტ ნაკადად იხუვლა. როგორც ირკვევა, წერა მოგონების განსაკუთრებული, შემაძრწუნებელი ფორმაა - ერთიანად გიპყრობს და გიტაცებს. შეიძლება, მოხუცი ვარ (ხანდახან მგონია, რომ სიბერე ჩუმად მომეპარა უკნიდან) და ასე ამიტომაც მეჩვენება, მაგრამ მე სხვანაირად ვფიქრობ. ჩემი აზრით, ფანქარი და მოგონებების კომბინაცია პრაქტიკულ მაგიას ქმნის, ხოლო მაგია სახიფათო რამაა. მე, კაცს, რომელიც ჯონ კოფის ვიცნობდი და მინახავს, რისი გაკეთება შეეძლო თაგვისა და ადამიანებისთვის, ვფიქრობ, ამის თქმის უფლება ნამდვილად მაქვს.

მაგია სახიფათოა.

მოკლედ, გუშინ მთელი დღე ვწერდი, აზრები თავისით მომდიოდა თავში. მოხუცთა სახლის სოლარიუმი მწვანე გზის ბოლოს მდებარე საწყობად გადაიქცა. იმ საწყობში ჩვენი „პრობლემური ბავშვები“ ელექტროსკამზე სხდებოდნენ. საწყობიდან ერთი კარი გვირაბში გადიოდა. სწორედ იქ დავუპირისპირდით მე, დინი, ბრუტუსი და ჰარი პერსი უეტმორს და ვაიძულეთ, პირობა დაედო, „ბრაიერ რიჯის“ სულით ავადმყოფთა დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე განცხადებას დავწერო.

სოლარიუმში ყოველთვის ახალი ყვავილების სურნელი ტრიალებს, მაგრამ გუშინ მხოლოდ ცოცხლად დამწვარი კაცის გულისამრევი სუნი მცემდა. ბალახის სათიბი მანქანის ხმა გვირაბის მრუდე სახურავიდან ჩამოწვეთებული წყლის წკაპუნმა შეცვალა. მოგზაურობა გაგრძელდა. სხეულით თუ არა, სულითა და გონებით 1932 წელში დავბრუნდი.

სადილი გამოვტოვე. ოთხ საათამდე ვწერდი და როცა ფანქარი მაგიდაზე დავდე, ხელი მტკიოდა. მეორე სართულზე ნელა

ავედი. მეორე სართულის დერეფნის ბოლოს ფანჯარაა, რომელიც მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილ ავტოსადგომს გადაჰყურებს. ბრედ დოლანს, სანიტარს, რომელიც ძალიან მაგონებს პერსის და მეტისმეტად დაინტერესებულია გაიგოს, სად დავსეირნობ და რატომ, ძველი „შევროლე“ ჰყავს და მის ბამპერზე დაწებებულ სტიკერზე აწერია: „მე ღმერთი მინახავს და მას ტრიტონი ჰქვია“. „შევროლე“ ავტოსადგომზე აღარ იდგა. ბრედმა მორიგეობა დაასრულა და ალბათ, თავის სოროში წავიდა. წარმოვიდგენ ტრეილერ „ეარსტრიმს“, რომლის კედლებზე სკოჩით პორნოჟურნალიდან ამოჭრილი პლაკატებია გაკრული, კუთხეებში კი ცარიელი ლუდის ქილები ყრია - აი, რას უწოდებს ბრედი თავის სახლს.

სამზარეულოში შევედი, სადაც უკვე ვახშმისთვის ემზადებოდნენ.

- მაგ ჩანთაში რა გიდევთ, მისტერ ეჯკუმ? - მკითხა ნორტონმა.

- ცარიელი ბოთლია, - ვუპასუხე, - ტყეში ახალგაზრდობის წყარო ვიპოვე. ყოველდღე ამ დროს მივდივარ და ბოთლს ვავსებ ხოლმე. ძილის წინ ვსვამ. კარგი რამაა.

- ახალგაზრდობას გინარჩუნებს თუ არა, არ ვიცი, - თქვა ჯორჯმა, მეორე მზარეულმა, - მაგრამ შენს გარეგნობას ნაღდად ვერაფერს შველის...

ამაზე ყველას გაგვეცინა. მე გზა განვაგრძე. „შევროლე“ აღარსად ჩანდა, მაგრამ მაინც მიმოვიხედე, სადმე ბრედი ხომ არ იდგა. საკუთარ თავს შევუკურთხე, ასე როგორ დაგაშინა-მეთქი და კროკეტის მოედანი გადავჭერი. მოედნის იქით ბალახწამოზრდილი მდელია, გოლფის სათამაშოდ, რომელიც „ჯორჯია პაინსის“ სარეკლამო ბროშურებში უფრო ლამაზი ჩანს. ამ მდელოს მიღმა კი მოხუცთა სახლის აღმოსავლეთით მდებარე პატარა ტყეში ვიწრო ბილიკი მიიკლაკნება. ბილიკის გასწვრივ ორი ფარდული დგას. დღეს ორივე ცარიელი და მიტოვებულია. მეორე

ფარდული „ჯორჯია პაინსის“ ეზოს შემოვლებულ ქვის კედელთან და ჯორჯიის 47-ე გზატკეცილთან ახლოს დგას. ამ ფარდულში შევედი.

იმ საღამოს კარგად ვივახშმე, ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურე და დასაძინებლად ადრე დავწექი. თითქმის ყოველღამე მეღვიძება და ტელევიზორის ოთახში ჩავიპარები ხოლმე ძველი ამერიკული ფილმების საყურებლად. წუხელ არ გამღვიძებია.კუნძივით მეძინა და არც ის კოშმარები დამსიზმრებია, ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებიდან რომ მდევდა თან. როგორც ჩანს, ამდენმა წერამ გადამღალა; მგონი, უკვე მართლა დავბერდი.

რომ გამეღვიძა, მზის შუქის ლაქას, რომელიც დილის ექვს საათზე იატაკს ამჩნევია, უკვე საწოლის ფეხამდე მოეღწია. აღელვებული წამოვხტი. სახსრების ტკივილისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. რაც შეიძლება სწრაფად ჩავიცვი და დერეფნის ფანჯარასთან მივედი, რომელიც მომსახურე პერსონალის ავტოსადგომს გადაჰყურებს. ვიმედოვნებდი, რომ ბრედ დოლანის „შევროლეს“ ადგილი ცარიელი იქნებოდა. ზოგჯერ ნახევარი საათით იგვიანებს...

არა, ბედმა არ გამიღიმა. „შევროლე“ ავტოსადგომზე იდგა და მზის შუქზე ბრწყინავდა. ნეტა ისეთი რა ხდება, რომ მისტერ ბრედ დოლანი ამ ბოლო დრო სამსახურში აღარ იგვიანებს? აჰ, ჰო, მოხუცი პოლ ეჯკუმი დილაადრიან სადღაც დაეხეტება, მოხუც პოლ ეჯკუმს რაღაც აქვს ჩაფიქრებული და ბრედ დოლანი აუცილებლად დაადგენს მის საიდუმლოს. „რას აკეთებ, პოლი? მითხარი!“ - ალბათ, უკვე დადარაჯებულია, როდის ჩავალ ქვემოთ. აჯობებს, აქვე დავრჩე, მაგრამ... არ შემიძლია.

- პოლ!

ისე სწრაფად შევტრიალდი, რომ კინაღამ დავეცი. ეს ჩემი მეგობარი ელეინ კონელი იყო. მას თვალები გაუფართოვდა და ხელები გამოიშვირა ჩემ დასაჭერად. მისდა ბედად, წონასწორობის

შენარჩუნება მოვახერხე; ელეინს ართრიტი აწუხებს და მის მკლავებში რომ ჩავვარდნილიყავი, ხმელი ჯოხივით შუაზე გადავტეხდი. რომანტიკა მაშინაც არ იკარგება, ოთხმოცს რომ გადასცილდები, მაგრამ „ქარწაღებულნის“ სულელური ჩახუტებები შეგიძლია დაივიწყო.

- მაპატიე, - თქვა მან, - შენი შეშინება არ მინდოდა.

- არა უშავს, - უღონოდ გავუღიმე, - ცივი წყლით გამოფხიზლებას ისევ ეს სჯობს. უნდა დაგიქირავო, რომ ყოველ დილით ასე გამაღვიძო.

- მის მანქანას აკვირდებოდი, არა? დოლანის მანქანას.

ელეინი არ ხუმრობდა და მეც თავი დავუქნიე.

- ნეტა ვიცოდე, დასავლეთ ფრთაშია თუ არა. ცოტა ხნით გარეთ გავიდოდი, მაგრამ არ მინდა, დამინახოს.

ელეინს ტუჩებზე ახალგაზრდული, მაცდური ღიმილის აჩრდილი გადაეფინა.

- დიდი არამკითხე ტიპია, არა?

- ჰო.

- დასავლეთ ფრთაში არ არის. იქ უკვე ვიყავი სასაუზმოდ, შე ძილისგუდავ. ვიცი, სადაც არის. ჩუმად შევიჭყიტე. სამზარეულოშია.

დავღონდი. არ მეგონა, დოლანი ასეთი ცნობისმოყვარე თუ იყო.

- დილის გასეირნებას ვერ გადადებ? - მკითხა ელეინმა.

- კი შეიძლება, მაგრამ... - მცირე ხნის ფიქრის შემდეგ ვუპასუხე.

- ვერ გადადებ.

- ვერა. ვერ გადავდებ.

ვიფიქრე, ახლა მკითხავს, სად დადიხარ და რა ხდება იმ ტყეში ასეთი მნიშვნელოვანიო.

მაგრამ არ მკითხა. ამის ნაცვლად კვლავ მაცდურად გამიღიმა. ღიმილი მის ჩამომხმარ, ბებერ სახეს უჩვეულოდ მოუხდა.

- მისტერ ჰაულენდს თუ იცნობ?

- კი, - ვუპასუხე. თუმცა, ხშირად ვერ ვხედავდი, რადგან დასავლეთ ფრთაში ცხოვრობდა. აღმოსავლეთ ფრთაში მცხოვრებ მოხუცებს იქაურობა საზღვარგარეთად გვეჩვენება, - რატომ მეკითხები?

- იცი, რითაა გამორჩეული?

თავი გავაქნიე.

- მისტერ ჰაულენდი, - ღიმილმა სახე გაუცისკროვნა ელეინს, - ერთ-ერთია იმ ხუთი მობინადრისგან, რომელსაც „ჯორჯია პაინსში“ მოწევის უფლება აქვს. ეს იმიტომ, რომ აქ ჯერ კიდევ წესების შეცვლამდე დასახლდა.

ელეინმა ლურჯ-თეთრზოლებიანი კაბის ჯიბიდან სიგარეტის და ასანთის კოლოფები ამოსწია.

- ელიმ რაღაცები აწაპნა, - წაიმღერა მან.

- ელეინ, რას...

- ხნიერი ქალბატონი ქვემოთ ჩააცილე, - ელეინმა სიგარეტის და ასანთის კოლოფები ისევ ჯიბეში ჩამალა და ხელკავი გამომდო. გადავწყვიტე, დავნებებულიყავი და მას მივნდობოდი. მოხუცი და მყიფე კი იყო, მაგრამ ჭკუა ნაღდად არ აკლდა.

მსხვრევად რელიკვიებად ქცეულები, ფრთხილად ჩავედით კიბეზე. ელეინმა მითხრა:

- კიბის ძირას დამელოდე. მე დასავლეთ ფრთაში მივდივარ. იქაური დერეფნის ტუალეტი ხომ იცი?

- კი, სპასთან რომ არის, - ვუპასუხე, - რატომ მეკითხები?

- თხუთმეტი წელია, სიგარეტი არ მომიწევია, - თქვა ელეინმა, - მაგრამ ამ დილით მომინდა. ვაპირებ, გავიგო, რამდენი ნაფაზი უნდა დავარტყა, რომ კვამლის დეტექტორი ჩაირთოს.

მოწონებით შევხედე ელეინს. ჩემი ცოლი გამახსენა. ჯენისიც იმავეს იზამდა ჩემთვის. ელეინმა მაცდურად გამიღიმა. კეფაზე ხელი მივადე, მისი სახე მოვიზიდე და ტუჩებში ნაზად ვაკოცე.

- მიყვარხარ, ელი.

- ოო, რა ოფიციალურობაა, - ჩაიცინა მან, მაგრამ შევატყვე, რომ ესიამოვნა.

- და ჩაკ ჰაულენდი? - ვკითხე. - პრობლემა არ შეექმნება?

- არა, რადგან ტელევიზორის ოთახში ზის და სხვებთან ერთად „დილა მშვიდობისა, ამერიკას“ უყურებს. როგორც კი დეტექტორი ჩაირთვება, მაშინვე ავითესები.

- არ წაიქცე და არ დაშავდე, ქალო. თავს ვერასდროს ვაპატიებ, თუ...

- გეყო ბუზღუნი, - მითხრა ელეინმა და ამჯერად თვითონ მაკოცა. სიყვარული ნანგრევებში. ალბათ, ზოგიერთისთვის სასაცილოდ ჟღერს, ზოგიერთისთვის უცნაურად, მაგრამ იცით, რას გეტყვით, მეგობრებო: უსიყვარულობას ისევ უცნაური სიყვარული სჯობს.

ელეინი ნელი და მძიმე ნაბიჯებით გამშორდა (ხელჯოხს მხოლოდ წვიამიან დღეებში იყენებს, როცა ტკივილი გაუსაძლისია. ამ მხრივ, ცოტა ამპარტავანია). მე ვიცდიდი. გავიდა ხუთი წუთი. ათი წუთი. უკვე იმას ვფიქრობდი, ალბათ, ვერ გაბედა ან ტუალეტში კვამლის დეტექტორის ელემენტი დაცლილა-მეთქი, რომ დასავლეთ ფრთაში ხმამაღალი, გაბმული ზუზუნი გაისმა.

მაშინვე სამზარეულოსკენ დავიძარი. ოღონდ არ ვჩქარობდი - ჯერ კარგად უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ დოლანი გზიდან ჩამომეცალა. ხალათიანი, აყაყანებული მოხუცების ჯგუფი ტელევიზორის ოთახიდან (აქ მას რესურს-ცენტრს უწოდებენ; აი, ეს კი ნამდვილად სასაცილოა) გამოვიდა, რა ხდებაო. ჩემდა ბედად, მათ შორის ჩაკ ჰაულენდიც იყო.

- ეჯკუმ! - დამიძახა კენტ ეივერიმ, რომელიც ცალი ხელით როლატორს ეჭიდებოდა, მეორეთი პიჟამის შარვალს ექაჩებოდა. - ნამდვილი განგაშია თუ ცრუ?

- არავინ იცის.

ამ დროს სამმა სანიტარმა ჩაგვირბინა და ტელევიზორის ოთახთან შეგროვილ მოხუცებს მოგვაძახა, გარეთ გადით და იქ დაიცადეთ, სანამ ყველაფერი არ გაირკვევაო. მესამე სანიტარი ბრედ დოლანი იყო. ჩემთვის არც კი შემოუხედავს და ამან ძალიან გამახარა. სამზარეულოსკენ მიმავალმა კმაყოფილებით გავიფიქრე, ელეინ კონელის და პოლ ეჯკუმის წყვილს ათი ბრედ დოლანი და ათი პერსი უეტმორი ერთად აღებული ვერ აჯობებს ჭკუაით-მეთქი.

სამზარეულოში მზარეულები საუზმის ალაგებას აგრძელებდნენ, სახანძრო განგაშს ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ.

- მისტერ ეჯკუმ, - დამინახა ჯორჯმა, - ბრედ დოლანი დაგეძებდათ. ახლახან გავიდა სამზარეულოდან.

„მადლობა ღმერთს“, - გავიფიქრე. ხმამაღლა კი შემდეგი ვთქვი:

- მისტერ დოლანს მოგვიანებით ვნახავ. ტოსტი ხომ არ გადაგრჩენიათ?

- კი, მაგრამ უკვე ცივია. ამ დილით საუზმობა დააგვიანეთ.

- ჰო, - დავეთანხმე ჯორჯს, - მაგრამ მშია.

- ერთი წუთი დამაცადეთ და ახლავე მოგიმზადებთ, - პურს დასწვდა ჯორჯი.

- არა უშავს, ცივი იყოს, - ვთქვი და როგორც კი ჯორჯმა გახუხული პურის ნაჭრები მომაწოდა (ამ დროს გაკვირვებული მიყურებდა; ორივე მზარეული გაკვირვებული იყო), გარეთ გავედი. თავი ისევ პატარა ბიჭი მეგონა, სკოლას რომ აცდენს და სათევზაოდ მიიპარება.

სამზარეულოს კართან ინსტინქტურად მიმოვიხედე, დოლანი არ მხედავდეს-მეთქი. გარშემო არავინ ჩანდა. კროკეტის მოედანი და პატარა მდელო გადავჭერი, გზადაგზა ტოსტს ვლოღნიდი. ტყეში რომ შევედი, ნაბიჯი შევანელე და თანდათან ისევ დელაკრუას სიკვდილით დასჯის მომდევნო დღეზე დავიწყე ფიქრი.

იმ დილით ციხის უფროს მურსს ველაპარაკე და მისგან გავიგე, მელინდა ტვინის სიმსივნის გამო აზროვნების უნარს კარგავს და უწმაწურად იგინებაო... ჩემმა ცოლმა ივარაუდა, ეს ტურეტის სინდრომი უნდა იყოსო. ჰელის აკანკალებულმა ხმამ და ჯონ კოფის მიერ ჯერ ჩემმა, მერე კი კისერმოტეხილი მისტერ ჯინგლსის განკურნებამ საბოლოოდ გადამაწყვეტინა სარისკო ნაბიჯის გადადგმა.

იყო კიდევ რაღაც. რაღაც, რაც ჯონ კოფის ხელებს და ჩემს ფეხსაცმელს უკავშირდებოდა.

ედუარდ დელაკრუას სიკვდილით დასჯის მომდევნო დღეს ჩემი სანდო თანამშრომლები - ჰარი ტერვილიგერი, დინ სტენტონი და ბრუტუს ჰაუელი - სახლში შევკრიბე და ჩემი გეგმა გავაცანი. მათ იცოდნენ, რომ ჯონ კოფიმ თაგვი განკურნა, ამას თვითონ შეესწრნენ. ამიტომ, როცა შევთავაზე, იქნებ ჯონ კოფიმ კიდევ ერთი სასწაული მოახდინოს და მელინდა მურსს უშველოს-მეთქი, არავის გაუცინია. მთავარი კითხვა დინ სტენტონმა დასვა, გარეთ რომ გავიყვანთ, ვაითუ, ჯონ კოფი გაგვექცესო.

- კიდევ ვინმე რომ მოკლას? - იკითხა დინმა. - სამსახურის დაკარგვა და ციხეში ჩაჯდომა ნაღდად არ მინდა, ცოლ-შვილი მყავს სარჩენი, მაგრამ ჩემს სინდისზე სხვა მოკლული გოგონების ყოლას, ისევ ეს მირჩევნია.

სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ მე შემომხედა, რას უპასუხებსო. ვიცოდი, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა, თუ იმას ვიტყოდი, რაც ენის წვერზე მადგა; იმ ზღვრამდე მივედით, რომლის გადაბიჯების შემდეგ უკან დახევა უკვე შეუძლებელი იქნებოდა.

თუმცა, პირადად მე, ზღვარს უკვე გადასული ვიყავი. ამიტომ პირი გავაღე და ვუპასუხე.

# 2

- ეს არ მოხდება.

- რატომ ხარ ასე დარწმუნებული? - მკითხა დინმა.

პასუხი არ გავეცი. არ ვიცოდი, რითი დამეწყო. ველოდი, რომ ოდესმე ამაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მეთქვა მათთვის ის, რაც მე ვიცოდი. ბრუტუსი დამეხმარა.

- მიგაჩნია, რომ მას ეს არ უქნია, არა, პოლ? - უნდობლად შემომხედა მან. - გგონია, რომ ეს იდიოტი გოლიათი უდანაშაულოა.

- დიახ, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უდანაშაულოა.

- თუ ღმერთი გწამს, რატომ?

- ორი რამის გამო, - ვუპასუხე. - პირველი ჩემი ფეხსაცმელია.

- შენი ფეხსაცმელი? - წამოიყვირა ბრუტუსმა. - რა კავშირი აქვს შენს ფეხსაცმელს იმასთან, მოკლა თუ არა ჯონ კოფიმ ორი პატარა გოგო?

- წუხელ ცალი ფეხსაცმელი გავიხადე და ჯონ კოფის მივაწოდე, - ვთქვი, - ეს დელაკრუას სიკვდილით დასჯის შემდეგ მოხდა, ვითარება ოდნავ რომ ჩაწყნარდა. გისოსებს შორის მივაწოდე და თავისი ზორბა ხელებით გამომართვა. ვუთხარი, თასმა შეკარიმეთქი. უნდა დავრწმუნებულიყავი, ხომ ხვდებით. ჩვენი „პრობლემური ბავშვების“ უმეტესობას, როგორც წესი, ფლოსტები აცვია ხოლმე - თუ პატიმარს ძალიან უნდა თავის მოკვლა, ამას ფეხსაცმლის თასმით აკეთებს. ეს ყველამ იცის.

სამივემ თავი დამიქნია.

- კოფიმ ფეხსაცმელი კალთაში ჩაიდო და თასმის ბოლოები გადააჯვარედინა, მაგრამ მერე გაიჭედა. მითხრა, ნამდვილად მინახავს, ეს როგორ კეთდება - ბავშვობაში მამაჩემმა თუ მამაჩემის

სიკვდილის შემდეგ დედაჩემის რომელიღაც საყვარელმა მაჩვენა, მაგრამ დამავიწყდა, განასკვა როგორ უნდაო.

- ბრუტუსს ვეთანხმები - მაინც ვერ გამიგია, რა კავშირი აქვს შენს ფეხსაცმელს იმასთან, მოკლა თუ არა კოფიმ ტყუპი დეტერიკები, - თქვა დინმა.

მე მათ ტყუპი დეტერიკების გატაცების და მკვლელობის ამბავი მოვუყევი - ის, რაც ოქტომბრის ცხელ დღეს საპატიმროს ბიბლიოთეკაში წავიკითხე ფეხებშუა მწველი ტკივილის განცდითა და კუთხეში მძინარე გიბონსის ხვრინვის თანხლებით. ისიც დავამატე, რაც ჟურნალისტმა ჰამერსმითმა მიამბო.

- დეტერიკების ძაღლი კბენია არ იყო, მაგრამ ძალიან ბევრს ყეფდა, - ვთქვი, - გამტაცებელმა მას სოსისები დაუყარა გასაჩუმებლად. თითო-თითოდ უყრიდა და ნელ-ნელა ეპარებოდა. ბოლო სოსისი რომ დაუგდო, კისერში სწვდა და მოუგრიხა.

მოგვიანებით, როცა კოფის წამოეწივნენ, შერიფის თანაშემწე რობ მაკჯიმ კოფის კომბინეზონის გამობურცული ჯიბე შეამჩნია. იფიქრა, რევოლვერი იქნებაო, მაგრამ ქაღალდში გახვეული და კანაფით შეკრული ორი სენდვიჩი და მჟავე კიტრი აღმოჩნდა. კოფის არ ახსოვდა, ეს ვინ მისცა, მგონი, ვიღაც წინსაფრიანი ქალი იყოო...

- მაშ, სენდვიჩები უსოსისო იყო? - თქვა ბრუტუსმა.

- დიახ, უსოსისო, - დავუდასტურე.

- სოსისები საიდანღა ექნებოდა, ძაღლისთვის უჭმევია, - თქვა დინმა.

- სწორედ ეს თქვა პროკურორმა სასამართლო პროცესზე, - ვთქვი, - მაგრამ თუ კოფიმ ის შეკვრა გახსნა და სოსისები ძაღლს დაუყარა, საჭმლის ქაღალდის ნაგლეჯში გახვევა და ხელახლა შეკვრა როგორღა შეძლო? იმას თავი დავანებოთ, რომ ამის დრო საერთოდ არ ექნებოდა. ამ კაცმა ფეხსაცმლის თასმის შეკვრაც კი არ იცის!

წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ბოლოს ბრუტუსმა დაარღვია:

- დასწყევლოს ღმერთმა, - ხმადაბლა თქვა მან, - სასამართლო პროცესზე რატომ არავინ გაამახვილა ამაზე ყურადღება?

- ამაზე არავინ დაფიქრებულა, - ვთქვი და ჟურნალისტი ჰამერსმითი გამახსენდა. ჰამერსმითი, რომელიც ბოულინგ-გრინის კოლეჯში სწავლობდა და თავს განათლებულს უწოდებდა, ჰამერსმითი, რომლისთვისაც უჯიშო ძაღლი და ზანგი ერთი იყო, უმიზეზოდ გეცემიან და დაგკბენენო. რატომღაც კოფიზე ამბობდა, ის შენი ზანგიო, თითქოს ზანგები კვლავაც მონები ყოფილიყვნენ... ოღონდ მისი მონები - არა. იმ დროს სამხრეთში ჰამერსმითისნაირები ბლომად ცხოვრობდნენ, - ასეთ რამეზე დასაფიქრებლად არავინ იყო მზად, თვით კოფის ადვოკატიც კი.

- მაგრამ შენ ხომ დაფიქრდი, - შენიშნა ჰარიმ, - ბიჭებო, ნამდვილ შერლოკ ჰოლმსთან ვსხედვართ, - ერთდროულად ხუმრობით და აღფრთოვანებით წამოიძახა.

- ჰო, კარგი, გეყო, - ვთქვი, - ვერც მე მივხვდებოდი ვერაფერს, მაკჯისთვის ნათქვამი კოფის სიტყვები იმასთან რომ არ დამეკავშირებინა, რაც კოფიმ ჩემი და მისტერ ჯინგლსის განკურნების შემდეგ თქვა.

- რა თქვა? - მკითხა დინმა.

- მის საკანში რომ შევედი, თითქოს დამაჰიპნოზა. არა მგონია, მისი შეჩერება მომეხერხებინა, თუნდაც უარზე ვყოფილიყავი.

- ეს არ მომწონს, - შეიშმუშნა ჰარი.

- ვკითხე, რა გინდა-მეთქი და მიპასუხა, მხოლოდ დაგეხმარებითო. ეს ცხადად მახსოვს. როცა ყველაფერი დამთავრდა და გამოვკეთდი, ამას მიხვდა და თქვა, დაგეხმარეთ, ხომ დაგეხმარეთო.

ბრუტუსმა თავი დააქნია.

- თაგვის შემთხვევაშიც ასე იყო. შენ ჰკითხე, ამასაც უშველეო და იმან თუთიყუშივით გაიმეორა, მე დელის თაგვს ვუშველეო. სწორედ მაშინ მიხვდი, არა?

- მგონი, ჰო. გამახსენდა, რა უპასუხა მაკჯის, როცა მაკჯიმ ჰკითხა, რა მოხდაო. „ვერ ვუშველე, ბოს. ვცადე, ყველაფერი გამომესწორებინა, მაგრამ დავაგვიანე“. ამხელა კაცმა მკვდარი, გასისხლიანებული პატარა გოგონებით ხელში ეს რომ თქვა, რა საკვირველია, შეცდომით გაიგეს. სიტყვები თვალწინ გადაშლილ სურათს დაუკავშირეს, სურათი კი მეტისმეტად საზარელი და ბნელი იყო. იფიქრეს, რომ კოფი დანაშაულს აღიარებდა, აღგზნებულმა თავი ვერ შეიკავა, გოგონები გაიტაცა, გააუპატიურა და დახოცა. მერე გონს მოეგო და ყველაფრის გამოსწორება სცადა...

- მაგრამ უკვე გვიანი იყო, - ჩაიბუტბუტა ბრუტუსმა.

- დიახ. სინამდვილეში კოფი იმის თქმას ცდილობდა, რომ გოგონები იპოვა, მათი განკურნება - ყველაფრის გამოსწორება - სცადა, მაგრამ ვეღარ უშველა. მათ, ალბათ, ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგათ.

- პოლ, ამის მართლა გჯერა? - მკითხა დინმა. - ღმერთს გაფიცებ, მართლა გჯერა, რასაც ამბობ?

კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ჩავიხედე ჩემს გულში და თავი დავუქნიე. ამის არა მხოლოდ მჯეროდა, არამედ თავიდანვე, როცა პერსი უეტმორმა ჩვენს ბლოკში ჯონ კოფი შემოიყვანა ყვირილით, ცოცხალი გვამი მოდისო, ინტუიციამ მიკარნახა, რომ რაღაც ისე არ იყო. მე მას ხელი ჩამოვართვი. არადა მწვანე გზაზე პირველივე შეხვედრისას ხელი არც ერთი სიკვდილმისჯილისთვის არ ჩამომირთმევია. ჯონ კოფის გარდა.

- ღმერთო, - თქვა დინმა, - ღმერთო დიდებულო.

- კარგი, ფეხსაცმელზე გავიგეთ, - თქვა ჰარიმ, - კიდევ რატომ გჯერა მისი უდანაშაულობის?

- ცოტა ხნით ადრე, სანამ ჯონ კოფის მკვდარ გოგონებთან ერთად იპოვიდა, მაშველთა ჯგუფი ტყიდან მდინარე ტრაპინგუსის სამხრეთ ნაპირთან გავიდა. იქ გატკეპნილ ბალახს, სისხლის გუბეს და კორა დეტერიკის საღამურ პერანგს გადააწყდნენ. ძაღლები დაიბნენ. უმეტესობა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, სანაპიროს გასწვრივ დინების მიმართულებით გაიქაჩა. მხოლოდ ორმა კუნჰაუნდმა მოინდომა დინების სააწინააღმდეგო მიმართულებით წასვლა. ბობო მარჩანტმა, ძაღლების პატრონმა, მათ ღამის პერანგი დააყნოსინა და ისინიც სხვა მაძებრებს გაყვნენ.

- კუნჰაუნდები დაიბნენ, არა? - იკითხა ბრუტუსმა. ტუჩის კუთხეებში უცნაური, უხალისო ღიმილი დასთამაშებდა. - სიმართლე ითქვას, ისინი მწევრობისთვის არც არიან შექმნილნი. აერიათ, რას დაეძებდნენ?

- დიახ.

- ვერ გავიგე, - თქვა დინმა.

- კუნჰაუნდებს დაავიწყდათ, თავიდან რა დააყნოსინა მათ ბობო მარჩანტმა, - თქვა ბრუტუსმა, - მდინარის პირას რომ გამოვიდნენ, ისინი უკვე მკვლელის კვალს მიჰყვებოდნენ და არა - გოგონებისას. სანამ გოგონები და მკვლელი ერთად იყვნენ, პრობლემა არ ყოფილა, მაგრამ...

დინს თვალები გაუნათდა. უკვე ჰარიც ხვდებოდა ყველაფერს.

- რომ დაუფიქრდე, - ვთქვი, - სულაც არაა გასაკვირი, რომ ყველამ, თვით მოსამართლემაც, დაუფიქრებლად მიაკერა შავკანიან მაწანწალას მკვლელის იარლიყი. არადა სრულიად წარმოუდგენელია, კოფის იმდენი მოეტვინა, ძაღლს სოსისს დავუყრი, რომ მერე ჩუმად მივეპარო და კისერი მოვუგრიხოო. ის დეტერიკების სახლთან ახლოსაც არ მისულა. სულ ცოტა, ექვსი მილის მოშორებით, ტრაპინგუსის სამხრეთ ნაპირთან იმყოფებოდა. ალბათ, აქეთ-იქით დაეხეტებოდა, ან რკინიგზისკენ მიდიოდა, რომ რომელიმე მატარებელს სადმე სხვაგან გაჰყოლოდა. ხიდზე

მატარებელი სიჩქარეს ანელებს ხოლმე და თუ ხიდთან დახვდები, ვაგონზე შეხტომა ადვილია. ამ დროს უცებ ჩრდილოეთიდან ხმაური მოესმა.

- მკვლელის? - მკითხა ბრუტუსმა.

- მკვლელის. ალბათ, გოგონები უკვე გააუპატიურა. ან იმ დროს აუპატიურებდა და კოფიმაც ეს ხმა გაიგონა. ყოველ შემთხვევაში, გატკეპნილი ბალახი, სადაც სისხლის გუბე იდგა, ის ადგილია, სადაც მკვლელმა თავისი საქმე მოითავა. გოგოებს თავები გაუტეხა, მათი გვამები დაყარა და გაიქცა.

- გაიქცა ჩრდილოეთისკენ, - დაამატა ბრუტუსმა, - საითაც კუნჰაუნდებს უნდოდათ წასვლა.

- დიახ. ჯონ კოფი იმ ადგილიდან ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე თხმელიანიდან გამოდის, რა ხმაურიაო და გოგონების ცხედრებს პოულობს. ერთ-ერთი, ალბათ, ჯერაც ცოცხალი იყო; პირადად მე, მგონია, რომ ორივე ცოცხალი იყო, მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერათ. ყოველ შემთხვევაში, ჯონ კოფის ისინი ცოცხლები ეგონა. მან მხოლოდ ის იცის, რომ მისი ხელები სნეულის განკურნების ძალას ფლობს და სცადა, კორა და ქეთი დეტერიკებს დახმარებოდა. რომ ვერ უშველა, დაღონებული ისტერიკაში ჩავარდა და ატირდა. სწორედ ამ დროს იპოვეს მაშველებმა.

- იქ რატომ არ დარჩა, სადაც გოგონები იპოვა? - მკითხა ბრუტუსმა. - მდინარის ნაპირთან რატომ წაიყვანა? ამას როგორ ახსნი?

- ვფიქრობ, თავიდან იქვე იდგა, - ვუპასუხე, - სასამართლო პროცესზე ახსენეს, რომ იმ ადგილას ბალახი დიდ მონაკვეთზე იყო გატკეპნილი. მოგეხსენებათ, ჯონ კოფი ვეებერთელა კაცია.

- ვეებერთელა კი არა, კარგმოტყნული გოლიათია, - ხმადაბლა თქვა ჰარიმ, მეზობელ ოთახში ჯენისმა არ გაიგონოსო.

- იქნებ პანიკამ მოიცვა, როცა მიხვდა, რომ გოგონებსვერ შველოდა. ან იქნებ იფიქრა, შესაძლოა, მკვლელი მდინარის ნაპირთან, ტყეში იდგეს და იქიდან მითვალთვალებდესო. კოფი ვეებერთელაა, მაგრამ არა მამაცი. ჰარი, გახსოვს, რომ გვკითხა, ღამით დერეფანში შუქს აქრობთო?

- მახსოვს. გამიკვირდა, ამხელა კაცს სიბნელის როგორ ეშინია-მეთქი, - მიპასუხა ჰარიმ.

- კარგი, თუ გოგონები მას არ მოუკლავს, მაშ, ვინაა მკვლელი? - იკითხა დინმა.

- არ ვიცი, - ვუპასუხე, - ვინმე სხვა. ჩემი აზრით, ვიღაც თეთრკანიანი. პროკურორმა თითზე დაიხვია, დეტერიკების ძაღლისთვის კისრის მოგრეხას მხოლოდ ღონიერი კაცი შეძლებდაო, მაგრამ...

- სისულელეა, - დაიბუბუნა ბრუტუსმა, - თორმეტი წლის გოგოც კი ნებისმიერ ძაღლს მოუგრეხს კისერს, თუ ჩუმად მიეპარება და საჭირო ადგილას ჩაავლებს ხელს. თუ დამნაშავე კოფი არაა, მაშინ ნებისმიერი ვინმე შეიძლება იყოს, ვინც ახლომახლო დაძრწოდა... ალბათ, მის ვინაობას ვერასდროს შევიტყობთ.

- თუ დანაშაულს არ გაიმეორებს, - ვთქვი.

- თუ დანაშაულს ტეხასში ან კალიფორნიაში გაიმეორებს, ჩვენ მაინც ვერ გავიგებთ, - თქვა ჰარიმ.

ბრუტუსი სკამის საზურგეზე გადაწვა და დაღლილი ბავშვივით მოისრისა თვალები მუშტებით. მერე ხელები ისევ მუხლებზე დაიწყო.

- რა კოშმარია, - თქვა მან, - საკანში გვიზის კაცი, რომელიც შეიძლება უდანაშაულო იყოს და ალბათ, არის კიდეც, მაგრამ მაინც მოუწევს მწვანე გზის გავლა. ამას წყალი არ გაუვა. რა უნდა ვქნათ? რომ გამოვაცხადოთ, მკურნალი ხელები აქვსო, ყველა დაგვცინებს, კოფის კი მაინც შებრაწავენ.

- ამაზე მოგვიანებით ვიდარდოთ, - ვუთხარი, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, სხვა რა მეპასუხა, - ახლა მთავარია, როგორმე მელინდას დავეხმაროთ. კარგი იქნებოდა, კიდევ რამდენიმე დღე გვეფიქრა გეგმაზე, მაგრამ ყოველდღე უფრო და უფრო მცირდება იმის შანსი, რომ კოფი მის განკურნებას შეძლებს.

- გახსოვს, ხელები რომ გამოგვიწოდა, თაგვი მომეცით, სანამ გვიანი არ არისო? - იკითხა ბრუტუსმა.

- ჰო, მახსოვს.

ბრუტუსმა ხანმოკლე ფიქრის შემდეგ თავი დაგვიქნია.

- თანახმა ვარ, - თქვა მან, - დელის გამო ვწუხვარ, მაგრამ უფრო მეტად ის მაინტერესებს, რა მოხდება, როცა კოფი მელინდას ხელს შეახებს. ჩემი აზრით, არც არაფერი, მაგრამ...

- არა მგონია, მაგ ვეება იდიოტის ბლოკიდან გამოყვანა შევძლოთ... - თქვა ჰარიმ, მერე ამოიოხრა და თავი დაგვიქნია, - მაგრამ რა იცი, რა ხდება. მეც თანახმა ვარ.

- მეც, - თქვა დინმა, - ოღონდ ბლოკში ვინ დარჩება, პოლ? კენჭი უნდა ვყაროთ?

- არა, სერ, - ვუპასუხე, - კენჭისყრა არაა საჭირო. შენ დარჩები.

- რახან შენ იტყვი! - განაწყენებით წამოიძახა დინმა, სათვალე მოიხსნა და მინების პერანგით წმენდა დაიწყო, - ვითომ რატომ?

- რატომ და შენი შვილები ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობენ, - აუხსნა ბრუტუსმა, - მე და ჰარი დაუოჯახებლები ვართ. პოლს ცოლ-შვილი ჰყავს, მაგრამ მისი შვილები უკვე გაიზარდნენ და ცალკე ცხოვრობენ. აქ ჩვენ გიჟურ რაღაცას ვაპირებთ. დიდია შანსი იმისა, რომ გამოგვიჭირონ, - მერე აუღელვებლად გამოიხედა ჩემკენ, - ერთი რამ გავიწყდება, პოლ, თუნდაც კოფი ჩუმად გავიყვანოთ ციხიდან, თუ მელინდას ვერ უშველის, ჰელ მურსი თვითონ ჩაგვსვამს საკანში, - ბრუტუსი წუთით შეყოვნდა, რომ ჩემთვის შეპასუხება დაეცლია, მაგრამ სათქმელი არაფერი მქონდა და დუმილი ვარჩიე. ბრუტუსი ისევ დინისკენ შებრუნდა

და განაგრძო: - ცუდად ნუ გამიგებ, სამსახურიდან, ალბათ, შენც დაგითხოვენ, მაგრამ თუ მაგრად მოგვაწვებიან, დაპატიმრებას მაინც აიცილებ თავიდან. პერსი იფიქრებს, რომ, უბრალოდ, გავეხუმრეთ. შენ თუ მორიგის მაგიდასთან იჯდები, იტყვი, მეც ასე მეგონა, მათ ჩემთვის სიმართლე არ გაუმხელიათო.

- მაინც არ მომწონს ეს გეგმა, - თქვა დინმა, მაგრამ ცხადი იყო, მოსწონდა თუ არ მოსწონდა, დაგვთანხმდებოდა. შვილების ხსენებამ მასზე იმოქმედა, - ყველაფერი ამაღამ უნდა მოხდეს? გადაწყვეტილია?

- თუ რამეს ვაპირებთ, ამაღამ სჯობს, - თქვა ჰარიმ, - დროზე მოვასწროთ, სანამ გადამიფიქრებია.

- მაშინ ლაზარეთს ავიღებ ჩემს თავზე, - ითხოვა დინმა, - ამაში მაინც დაგეხმარებით.

- ოღონდ არავინ გამოგიჭიროს, - გააფრთხილა ბრუტუსმა.

დინი განაწყენდა. მე მხრებზე დავუტყაპუნე ხელი.

- სამსახურში გამოცხადებისთანავე იქ წახვალ... კარგი?

- ნუ ღელავ.

ჩემმა ცოლმა დაბარებულივით შემოჰყო კარში თავი.

- კიდევ ხომ არ გინდათ ცივი ჩაი? - ლაღად გვკითხა, - შენ, ბრუტუს?

- არა, გმადლობ, - უპასუხა ბრუტუსმა, - ვისკის კი დიდი სიამოვნებით გადავკრავდი, მაგრამ ამ ვითარებაში აჯობებს, თავი შევიკავო.

ჯენისმა მე შემომხედა. იღიმოდა, მაგრამ მზერა სევდიანი ჰქონდა.

- რამე შარში არ გახვიო ეს ბიჭები, პოლ, - თქვადა სანამ შეპასუხებას მოვასწრებდი, ხელის აწევით შემაჩერა, - ნურაფერს მეტყვი. არ მაინტერესებს.

# 3

ბიჭები წავიდნენ. ნაშუადღევს სამსახურში წასასვლელად ტანსაცმელს ვიცვლიდი, როცა ჯენისი მომიახლოვდა, მკლავზე ხელი მომკიდა, თავისკენ მიმატრიალა და თვალი თვალში გამიყარა.

- მელინდა? - მკითხა.

თავი დავუქნიე.

- შეგიძლია მას დაეხმარო, პოლ? მართლა შეგიძლია უშველო თუ ეს მხოლოდ ოცნებაა, რომლის ახდენა წუხანდელი შემთხვევის შემდეგ მოგინდა.

გამახსენდა ჯონ კოფის თვალები და ხელები, გამახსენდა, როგორ შევედი მასთან დაჰიპნოზებული, როცა მიხმო. გამახსენდა, როგორ გამოგვიწოდა ხელი, სანამ გვიანი არ არის, მომაკვდავი მისტერ ჯინგლსი მომეცითო. გამახსენდა შავი მწერები, რომლებიც მის ირგვლივ დატრიალდნენ, გაფერმკრთალდნენ და გაქრნენ.

- მგონი, მხოლოდ ჩვენ თუ შევძლებთ მის გადარჩენას, - ვთქვი ბოლოს და ბოლოს.

- მაშინ ნურაფერს დაიშურებთ მისთვის, - მითხრა ჯენისმა და ჩემი ახალი საშემოდგომო ქურთუკის ღილები შემიკრა. სექტემბრის დასაწყისში დაბადების დღეზე მაჩუქა, მაგრამ მას შემდეგ საკიდიდან მხოლოდ სამჯერ თუ ოთხჯერ ჩამოვხსენი, - ნურაფერს.

და თითქმის, ძალით გამაგდო სახლიდან.

# 4

იმ ღამით - ეს ღამე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე უჩვეულო ღამედ იქცა - სამსახურში შვიდის ოც წუთზე მივედი. ჰაერში ჯერაც ტრიალებდა დამწვარი ხორცის სუსტი სუნი. შეიძლება ეს ილუზია იყო, მოჩვენებითი სიმყრალე, რომელიც მხოლოდ მე მცემდა, რადგან ბლოკის და საწყობის ყველა კარი მთელი დღე ღია იყო და საწყობი გულდასმით გამოეწმინდათ. ასე იყო თუ ისე, შიმშილის გრძნობა საერთოდ დავკარგე. თანაც, შიშით ველოდი დაღამებას.

შვიდს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ბრუტუსი მოვიდა, დინი - ათი წუთის შემდეგ. დინს ვთხოვე, ლაზარეთში შეევლო, დელაკრუას ცხედარი რომ გადაგვქონდა, წელი ვიტკინე და იქნებ სათბურა ჰქონდეთ-მეთქი. დინი სიამოვნებით დამთანხმდა. მომეჩვენა, რომ წასვლამდე თვალის ჩაკვრა სურდა ჩემთვის, მაგრამ თავი შეიკავა.

შვიდს რომ სამი წუთი აკლდა, ჰარი მოვიდა.

- მანქანა? - ვკითხე.

- სადაც შევთანხმდით, იქაა.

ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. მცირე ხანს მორიგის მაგიდასთან ვიტრიალეთ, ყავა დავლიეთ და სპეციალურად არაფერი გვითქვამს იმაზე, რაზეც ყველა ვოცნებობდით: რომ რაკი პერსი სამსახურში იგვიანებდა, შეიძლება, სულაც აღარ მოსულიყო, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გაილანძღა ჩაგდებული სიკვდილით დასჯის გამო.

თუმცა, როგორც ჩანდა, პერსი იმ აქსიომის მომხრე იყო, რომ ისევ იმ ცხენს უნდა შემოახტე, რომელიც გადმოგაგდებს. რვის შვიდ წუთზე ლურჯ უნიფორმაში გამოწკეპილი და გვერდზე ხელ-

კეტჩამოკიდებული გამოცხადდა სამსახურში. ჯერ ქრონობარათი დაშტამპა და მერე ჩვენ შემოგვხედა.

- სტარტერი გამიფუჭდა, ხელით მომიწია ძრავას დაქოქვამ.

- უი, საწყალი, - დასცინა ჰარიმ.

- შინ უნდა დარჩენილიყავი და შეგეკეთებინა, - მშვიდად უთხრა ბრუტუსმა, - მკლავამოგდებული აქ რაში გვჭირდები.

- ჰო, თქვენც ეგ გინდოდათ, არა? - გესლიანად წამოიძახა პერსიმ, თუმცა, ბრუტუსის მშვიდმა ტონმა ცოტა დააწყნარა. ჩვენც ეს გვინდოდა. მომდევნო რამდენიმე საათი პერსისთან სიფრთხილე გვმართებდა, არც მეტისმეტად უნდა დაგვეფრთხო და არც მეტისმეტად გაგვეთამამებინა. წუხანდლის შემდეგ ზედმეტ მეგობრულობას შეიძლებოდა დაეეჭვებინა. როგორმე უნდა მოგვედუნებინა მისი სიფხიზლე. სწრაფად უნდა გვემოქმედა, მაგრამ ისე, რომ არავინ დაშავებულიყო. თვით პერსი უეტმორიც კი.

დინი დაბრუნდა და ჩუმად დამიქნია თავი.

- პერსი, საწყობში წადი და იატაკი მოგავე, - დავავალე, - გვირაბის კიბის საფეხურებიც. მერე წუხანდელზე მოხსენება შეადგინე.

- შემოქმედებითი სამუშაოა, - შენიშნა ბრუტუსმა და ქამარში ცერათითებგარჭობილმა ჭერს ახედა.

- მაგარი ხუმარები ხართ, ბიჭებო, - ჩაილაპარაკა პერსიმ, მაგრამ ჩემი დავალება არ გაუპროტესტებია. არც იმაზე გაუმახვილებია ყურადღება, რომ საწყობის იატაკი უკვე მოწმენდილი იყო. ჩემი აზრით, ძალიანაც გაუხარდა, რომ ჩვენთან ერთად არ მოუწევდა ყოფნა.

წინა ცვლის ანგარიშს გადავხედე, მაგრამ საგანგაშო ვერაფერი ამოვიკითხე. მერე უორტონის საკანთან მივედი. ის საწოლზე ჩამომჯდარიყო, ფეხები საწოლის კიდეზე შემოეწყო, ხელები ფეხებისთვის შემოეხვია და ნიკაპი მუხლებზე ედო. მტრულად მოღიმარმა შემომხედა.

- ოჰ, ჩვენი ბოსიც გამოჩნდა, - თქვა მან, - ნეხვში მოკოტრიალე ღორივით ბედნიერი ჩანხარ, ბოს ეჯკუმ. წამოსვლამდე ცოლმა მინეტი გაგიკეთა?

- როგორ ხარ, ბიჭუნა? - მშვიდად ვკითხე და ამან ნამდვილად გაახარა. წამოდგა და წელში გაიშალა. სახე გაუნათდა.

- როგორც იქნა, ჩემი სახელი სწორად წარმოთქვი! - თქვა მან. - რა გეტაკა, ბოს ეჯკუმ? ავად ხომ არ ხარ?

არა, ავად აღარ ვიყავი. ჯონ კოფიმ განმკურნა. მისმა ხელებმა თასმის შეკვრა არ იცოდა, მაგრამ სხვა უფრო მნიშვნელოვან ნიჭს ფლობდა.

- მეგობარო, თუ შენ ასე გირჩევნია, ველური ბილის ნაცვლად ბიჭუნა ბილის[28] დაგიძახებ. ჩემთვის სულერთია.

შესამჩნევად გამოებერა გულმკერდი იმ საძაგელი თევზივით, სამხრეთ ამერიკაში რომ ბინადრობს და სასიკვდილოდ შხამიანი ქერცლი აქვს. მწვანე გზაზე მსახურობისას ბევრ სახიფათო სიკვდილმისჯილთან მქონია საქმე, მაგრამ არავინ იყო უილიამ უორტონზე საშიში, რომელსაც თავი დიდ ბოროტმოქმედად მიაჩნდა, მაგრამ მისი სიდიადე დერეფანში მოფსმითა და გადმოფურთხებით შემოიფარგლებოდა. მანამდე მას სათანადო პატივისცემით (როგორც მას მიაჩნდა) არ ვექცეოდით, მაგრამ იმ ღამით მისი მოთაფლვა მჭირდებოდა და ამისთვის არც მილაქუცებაზე ვიტყოდი უარს.

- ბიჭუნა ბილისთან უფრო მეტი საერთო მაქვს, დამიჯერე, - თქვა უორტონმა, - მე აქ ათცენტიანი კანფეტის მოპარვისთვის კი არ ვზივარ, - ისე ამაყად თქვა, თითქოს ეროვნული გმირი ყოფილიყოს და არა ელექტროსკამისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით საკანში გამოკეტილი სიკვდილმისჯილი, - სად არის ჩემი ვახშამი?

---

[28] Billy the Kid - ბიჭუნა ბილი, XIX ს-ის ცნობილი ამერიკელი ბოროტმოქმედი.

- ბიჭუნა, ანგარიშში წერია, ექვსს რომ ათი აკლდა, უკვე მიირთვი ხორცის რულეტი კარტოფილის პიურესთან ერთად. ასე ადვილად ვერ მომატყუებ.

უორტონმა გაიღიმა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა.

- მაშინ რადიოჩართეთ.

- მოგვიანებით ჩავრთავთ, ბიჭუნა, - მის საკანს მოვცილდი და შუა დერეფანში გავჩერდი. ბრუტუსი დერეფნის ბოლოში ჩასულიყო და ამოწმებდა, დამამშვიდებელი ოთახის ორიდან ერთერთი საკეტი ხომ ღიააო. მე უკვე შემოწმებული მქონდა. საჭირო დროს ეს კარი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაგვეღო. მას შემდეგ, რაც უორტონი შემოუერთდა ჩვენს მხიარულ საზოგადოებას, იქაური ხარახურა სხვაგან გადავზიდეთ და ახლა ოთახის დაცარიელებაში დრო აღარ დაგვეხარჯებოდა. რბილკედლებიანი ოთახი საკმაოდ საჭირო ოთახი იყო, მით უმეტეს, მანამდე მაინც, სანამ ველური ბილი მწვანე გზას არ გაივლიდა.

ჯონ კოფი, რომელიც ასეთ დროს, როგორც წესი, იწვა ხოლმე, საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო და გულხელდაკრეფილი დაჟინებით უყურებდა ბრუტუსს. სხვათა შორის, არც ცრემლები სდიოდა. ეს მას არ შეეფერებოდა.

ბრუტუსმა დამამშვიდებელი ოთახის კარის საკეტი შეამოწმა და მერე ჩემკენ წამოვიდა. როცა კოფის საკანს ჩაუარა, მისკენ გაიხედა და კოფიმ, თითქოს მისი აზრები წაიკითხაო, თქვა:

- რატომაც არა? სიამოვნებით გავისეირნებ.

ბრუტუსმა მე შემომხედა. „კოფიმ იცის. როგორღაც გაიგო, რასაც ვაპირებთ“, - ამოვიკითხე მის მზერაში.

მხრები ავიჩეჩე და ხელები გავშალე, თითქოს ვუპასუხე, რა თქმა უნდა, იცის-მეთქი.

# 5

ცხრას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მოხუცმა პიპინამ თავისი ურიკით ე ბლოკში ღამის შემოვლა დაასრულა. ბლომად ვიყიდეთ მისი ნაგავი, რომ კმაყოფილი გაგვესტუმრებინა.

- ეი, ბიჭებო, ის თაგვი აღარ გინახავთ? - გვკითხა მან.

ვიუარეთ.

- იქნებ კოხტა ბიჭუნამ ნახა, - საწყობისკენ გააქნია თავი პიპინამ, სადაც პერსი ან იატაკს წმენდდა, ან მოხსენებას ადგენდა ან ყვერებს იფხანდა.

- ნეტა შენ ვინ გკითხავს? - უთხრა ბრუტუსმა, - დაახვიე აქედან, პიპინა, თორემ უკვე ააქოთე აქაურობა.

პიპინამ უშნოდ გაიღიმა, უკბილო ღრძილები გამოაჩინა და ცხვირი შეიჭმუხნა.

- ეს ჩემი სუნი არაა, - თქვა მან, - დელი გვემშვიდობება, ნახვამდისო.

და ხითხითით გააგორა ურიკა სასეირნო ეზოში. ის კიდევ ათი წელი დააგორებდა ურიკას („ქოულდ მაუნთინში“ უკვე აღარ ვმუშაობდი და თვით „ქოულდ მაუნთინიც“ დაიხურა) და შოკოლადის ფუნთუშებს და ლიმონათებს ჰყიდდა შეძლებულ პატიმრებსა და მცველებზე. ხანდახან დღესაც ჩამესმის სიზმრებში მისი ყვირილი, ვიბრაწები, ვიბრაწები, ვიბრაწებიო.

პიპინას წასვლის შემდეგ დრო უსაშველოდ გაიწელა. საათის ისრები თითქოს დაღოღავდა. საათ-ნახევრის განმავლობაში რადიო გვქონდა ჩართული და უორტონი ფრედ ალენის ხუმრობებზე ხარხარებდა, თუმცა, ვეჭვობ, რომ მათი უმეტესობის შინაარსი არც ესმოდა. ჯონ კოფი საწოლის კიდეზე გულხელდაკრეფილი ჩამომჯდარიყო და იმას, ვინც მორიგის მაგიდასთან იჯდა ან იდგა,

თვალს არ აშორებდა. იმ მგზავრს ჰგავდა, გაჩერებაზე ავტობუსს რომ ელოდება.

თერთმეტს რომ თხუთმეტი აკლდა, საწყობიდან პერსი გამოვიდა და ფანქრით დაწერილი მოხსენება გადმომცა. ქაღალდის ფურცელზე ალაგ-ალაგ წაშლილი ტექსტის მუქ ლაქებზე საშლელის ნამცეცები შერჩენილიყო. დამინახა, როგორ გადავუსვი ცერა თითი ამ ლაქებს და სასწრაფოდ თქვა:

- ეს მხოლოდ შავი ვარიანტია. სუფთად გადავწერ. რას ფიქრობ?

რას ვფიქრობდი და იმას, რომ სურათის შელამაზების ყველაზე თავხედური მცდელობა იყო, რომელიც კი ცხოვრებაში წამეკითხა. თუმცა, ხმამაღლა პერსის ვუთხარი, მშვენიერია-მეთქი და ისიც კმაყოფილი წავიდა.

დინი და ჰარი კრიბიჯს თამაშობდნენ, ხმამაღლა საუბრობდნენ, ანგარიშზე ხშირად კინკლაობდნენ და ყოველ ხუთ წამში ერთხელ კედლის საათის მცოცავი ისრებისკენ აპარებდნენ თვალს. მგონი, ერთ-ერთ პარტიაში ორის ნაცვლად სამი წრე დაარტყეს დაფაზე. ატმოსფერო ისე დაიძაბა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მისი თიხასავით გამოძერწვა შეიძლებოდა. მხოლოდ პერსი და ველური ბილი ვერ გრძნობდნენ ვერაფერს.

თორმეტის ათი წუთი რომ გახდა, ვეღარ მოვითმინე და დინს თავი დავუქნიე. ის ჩემს კაბინეტში შევიდა „არ-სი-კოლას“ ქილით ხელში და ორიოდ წუთში უკან გამობრუნდა. „კოლა“ თუნუქის ჭიქაში ჩაესხა. თუნუქის ჭიქას პატიმარი ვერ გატეხდა და საკუთარი თავის ან სხვის დასაჭრელად ვერ გამოიყენებდა.

ჭიქა გამოვართვი და მიმოვიხედე. ჰარი, დინი და ბრუტუსი მე მიყურებდნენ. ჯონ კოფიც მე მიყურებდა, აი, პერსი კი - არა. ის ისევ საწყობში დაბრუნებულიყო. ეტყობა, იმ ღამით ჩვენგან განცალკევებით ყოფნა ერჩია. თუნუქის ჭიქა დავყნოსე. მხოლოდ

„არ-სი კოლას“ სუნი ვიგრძენი, რომელსაც იმ ეპოქაში დარიჩინის სასიამოვნო არომატი ჰქონდა.

უორტონის საკანთან მივედი. ის იწვა. ჯერ არ მასტურბირებდა, მაგრამ შორტი გამობერვოდა და დროდადრო, თითქოს თვლემამორეული კონტრაბასისტი ყველაზე მსხვილ სიმს აჟღრიალებსო, ზედ ხელს წაივლებდა ხოლმე.

- ბიჭუნა, - დავუძახე.

- ნუ მაწუხებ.

- კარგი, - ვთქვი, - თუ ეგრეა, ამ „კოლას“ უკან წავიღებ. მთელი ღამეა, წესიერად იქცევი, ეს შენთვის ახალი რეკორდია და ვიფიქრე, ტკბილი „კოლათი“ დავაჯილდოებ-მეთქი. რადგან შენ არ გინდა, მე დავლევ.

თუნუქის ჭიქა (საკნის გისოსებზე ბრაზიანი დარტყმისგან გვერდებშეჭეჭყილი) პირთან მივიტანე, თითქოს მართლა დალევას ვაპირებდი. როგორც ველოდი, უორტონი თვალის დახამხამებაში წამოხტა საწოლიდან. მისი მოტყუება არ გამჭირვებია. თაღლითები, მოძალადეები თუ „ბებერი ნაპერწკალას“ კლიენტები ტკბილეულობას დახარბებულები არიან. არც უორტონი იყო გამონაკლისი.

- აქ მომე, შე ტვინგამოლაყებულო, - ისე მიბრძანა უორტონმა, თითქოს თვითონ ოსტატი ყოფილიყოს, მე კი მისი შეგირდი, - ჭიქა ბიჭუნა ბილის მიეცი!

ჭიქა გისოსებთან მივიტანე და დავიცადე, რომ უორტონს თვითონ გამოეყო გარეთ ხელი. ხელის საკანში შეყოფა კატასტროფის რეცეპტია - ამას ციხის ნებისმიერი გამოცდილი მცველი გეტყვით. გარდა ამისა, ისიც მშვენივრად ვიცოდი, რომ პატიმარს სახელით მომართვის უფლება არ უნდა მისცე, ან როცა გასაღებების ჩხარუნი გესმის, აშკარად რაღაც ცუდი ხდება, რადგან გასაღებები მაშინ ჩხარუნობს, როცა მცველი მორბის, მცველი კი

არასდროს აუჩქარებს ნაბიჯს, თუ რამე ცუდი არ ხდება. ამ ცოდნას პერსი უეტმორი ვერასდროს დაეუფლებოდა.

თუმცა, ამაღამ უილიამ უორტონს ჩემთვის ხელის ჩავლება და დახრჩობა არ უცდია. ჭიქა გამომართვა და სამ ყლუპად გამოცალა. მერე მოურიდებლად დააბოყინა.

- კარგია! - თქვა მან.

- ჭიქა! - ხელი გავუწოდე.

- რომ არ მოგცე? - ირონიული ღიმილით შეათამაშა ხელში ჭიქა უორტონმა.

- შემოვალთ და ძალით წაგართმევთ, - მხრები ავიჩეჩე, - შენ იმ ვიწრო ოთახში შეგაგდებთ. „არ-სი კოლას“ მომდევნო ჭიქას კი, ალბათ, მხოლოდ ჯოჯოხეთში ეღირსები.

- ჯოჯოხეთზე ხუმრობები არ მევასება, შე გამოსირებულო, - სახიდან ღიმილი გაუქრა უორტონს და გისოსებიდან ჭიქა გადმომიგდო, - აჰა, გამომართვი.

ზურგს უკან პერსის ხმა გაისმა.

- მაგისთანა ლოქოს გაზიანი სასმელი რატომ დაალევინე?

იმიტომ, რომ შიგ საძილე წამალი იყო გარეული და მომდევნო ორმოცდარვა საათის განმავლობაში უორტონი გაუნძრევლად იძინებდა. ისე დაცალა ჭიქა, ვერაფერი იგრძნო.

- პოლის გულმოწყალებას საზღვარი არ აქვს, - თქვა ბრუტუსმა, - ვითარცა წვიმა, ისე მოედინება ციდან.

- რაო? - მოიღუშა პერსი.

- რაო და, კეთილი გული აქვს. ყოველთვის ასეთი იყო და ასეთი იქნება. „გიჟური რვიანები“[29] ხომ არ ვითამაშოთ, პერსი?

- „წადი, ითევზავეს“ და „შინაბერასი“ არ იყოს, ეგეც ყველაზე სულელური თამაშია მთელს მსოფლიოში, - ჩაიფხუკუნა პერსიმ.

[29] ერთგვარი ბანქოს თამაში.

- მაგიტომაც ვიფიქრე, იქნებ ერთი-ორი ხელი ითამაშოს-მეთქი, - ტკბილად გაუცინა ბრუტუსმა.

- ოხ, რა ენამოსწრებულები ხართ, - ჩაილაპარაკა პერსიმ და ჩემს კაბინეტში დურთა თავი. დიდად არ მსიამოვნებდა, რომ ის პატარა ვირთხა ჩემს მაგიდასთან იჯდა, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე.

საათის ისრები ნელ-ნელა მიცოცავდა. თორმეტის ოცი წუთი. თორმეტის ნახევარი. თორმეტს რომ ოცი დააკლდა, ჯონ კოფი წამოდგა, საკნის კართან მივიდა, გისოსებს ხელები ჩაავლო და გაშეშდა. მე და ბრუტუსი უორტონის საკანთან მივედით და შიგნით შევიხედეთ. საწოლზე იწვა და ჭერს გაღიმებული შეჰყურებდა. ღია თვალები შუშის ბურთებს მიუგავდა. ცალი ხელი მკერდზე ედო, მეორე უღონოდ ჩამოვარდნოდა საწოლიდან და თითებით იატაკს ეხებოდა.

- ღმერთო, - თქვა ბრუტუსმა, - ველური ბილი საათზე ნაკლებ დროში მტირალა უილიდ[30] გადაიქცა. ნეტა მორფინის რამდენი აბი ჩაუყარა დინმა სასმელში?

- რამდენიც საჭირო იყო, - არ ვიცი, ბრუტუსმა შეამჩნია თუ არა, მაგრამ ხმა ოდნავ ამიკანკალდა, - წამო, საქმეს მივხედოთ.

- არ დავიცადოთ, სანამ ეს ლამაზმანი გაითიშება?

- უკვე გათიშულია, მხეცო. უბრალოდ, მეტისმეტად გაბრუებულია და თვალებს ვერ ხუჭავს.

- უფროსი შენა ხარ, - თქვა ბრუტუსმა და ჰარის დასაძახებლად შეტრიალდა, მაგრამ ჰარი უკვე გვერდით გვედგა. დინი გაჯგიმული იჯდა მორიგის მაგიდასთან და კარტს ისე სწრაფად ჭრიდა, რომ ლამის ცეცხლი წაჰკიდებოდა. წამდაუწუმ მარცხნივ, ჩემი კაბინეტის კარისკენ იყურებოდა, პერსი არ გამოვიდესო.

[30] 1930-იანი წლების სიმღერა ნარკომანიაზე.

- უკვე დროა? - გვკითხა ჰარიმ. ლურჯ უნიფორმას ზემოთ ცხენივით წაგრძელებული სახე ქაღალდივით გათეთრებოდა, მაგრამ მაინც მტკიცედ იდგა.

- კი, - ვუპასუხე, - თუ რამეს ვაპირებთ, უკვე დროა.

ჰარიმ პირჯვარი გადაიწერა და ცერა თითს აკოცა. მერე დამამშვიდებელი ოთახის კარი გააღო, შიგნით შევიდა და დამამშვიდებელი პერანგი გამოიტანა. სამივე ჩემი კაბინეტისკენ წავედით. კოფიმ უხმოდ გამოგვაყოლა თვალი. მორიგის მაგიდასთან რომ მივედით, ბრუტუსმა დამამშვიდებელი პერანგი ზურგს უკან დამალა.

- წარმატებები, - გვითხრა დინმა. ისიც ჰარივით გაფითრებული, მაგრამ მიზანდასახული ჩანდა.

პერსი ჩემს სამუშაო მაგიდასთან იჯდა და მოღუშული დასჩერებოდა წიგნს, რომელსაც ბოლო რამდენიმე დღეა, სამსახურში დაათრევდა (ამჯერად თავის საყვარელ მამაკაცების ჟურნალებს კი არა, წიგნს „როგორ მოვუაროთ სულით ავადმყოფებს სპეციალურ კლინიკებში“ კითხულობდა). ჩვენ რომ დაგვინახა, ისე შეშინებულმა შემოგვხედა, იფიქრებდით, „სოდომისა და გომორის უკანასკნელ დღეებს“ კითხულობსო.

- რა ხდება? - სასწრაფოდ დაკეცა წიგნი. - რა გინდათ?

- შენთან საუბარი, პერსი, - ვუთხარი, - მეტი არაფერი.

თუმცა, ჩვენს სახეებზე უფრო მეტი ამოიკითხა, ვიდრე მხოლოდ საუბრის სურვილი და ელვის უსწრაფესად წამომხტარი, ლამის სირბილით გავარდა საწყობის კარისკენ. ალბათ, იფიქრა, ჩემს საცემად მოვიდნენ და თუ არ მცემენ, მაგრად დამცინებენო.

ჰარიმ გზა მოუჭრა და გულხელდაკრეფილი წინ გადაუდგა.

- ეს... ეს რას ნიშნავს? - პერსიმ სცადა, მღელვარება არ შეემჩნია.

- ნურაფერს იკითხავ, პერსი, - ვთქვი. რატომღაც მეგონა, რომ ამ გიჟური გეგმის განხორციელებას ზედმეტი დაძაბულობის გა-

რეშე შევძლებდით, მაგრამ ახლა დაჯერებაც კი მიჭირდა, რომ ამას ნამდვილად ვაკეთებდით. ველოდი, რომ ჩემი ცოლი ხელს მკრავდა და კოშმარული სიზმრიდან გამომაღვიძებდა, - აჯობებს, წინააღმდეგობას თუ არ გაგვიწევ.

- ჰაუელი რას მალავს ზურგს უკან? - ხმა გაებზარა პერსის.

- არაფერს, - თქვა ბრუტუსმა, - აა, ამაზე ამბობ? - დამამშვიდებელი პერანგი გამოაჩინა და გააქნია მატადორივით, ხარს რომ ახელებს.

პერსის თვალები გაუფართოვდა და წინ გაექანა, მაგრამ ჰარიმ ხელები ჩაავლო და გააკავა.

- გამიშვი! - აყვირდა პერსი და სცადა, ჰარის დასხლტომოდა. ჰარი მასზე ორმოცდაათი კილოთი მძიმე იყო, თავისუფალ დროს ხან მიწას ხნავდა, ხან შეშას ჭრიდა და საკმაოდ ღონიერი კუნთებიც ჰქონდა, მაგრამ პერსის იმდენი ძალა მაინც ეყო, რომ ჰარი კარისკენ გაეთრია. ლამის ცალი ხელიც გაითავისუფლა - პანიკა ძლიერი მოტივატორია.

- დაწყნარდი, პერსი, - ვუთხარი, - არაფერი მოხდება, თუ...

- ნუ მაწყნარებ, შე იდიოტო! - დაიღრიალა პერსიმ და გაიქაჩა, რომ თავი გაეთავისუფლებინა. - შემეშვით! ყველას გაფრთხილებთ! მე ხალხს ვიცნობ! გავლენიან ხალხს! ახლავე თუ არ შეწყვეტთ, წვნიანის შესახვრეპად სამხრეთ კაროლინას მიუსაფართა სასადილოში მოგიწევთ წასვლა.

კიდევ ერთხელ გაექანა წინ და გვერდი ჩემს სამუშაო მაგიდას გაჰკრა. „როგორ მოვუაროთ სულით ავადმყოფებს“ აყირავდა და შიგნიდან ბროშურის ზომის წიგნი გადმოვარდა. აი, თურმე რატომ შერცხვა პერსის, როცა კაბინეტში შევედით. ეს „სოდომის და გომორის უკანასკნელი დღეები“ კი არა, ის განსაკუთრებული წიგნი იყო, რომელსაც ვნებამოჭარბებულ პატიმრებს ვაძლევდით, თუ წესიერი ქცევით დაიმსახურებდნენ ამას. მგონი, უკვე

ვახსენე ეს ილუსტრირებული კომიქსი, რომელშიც ოლივ ოილი ყველას აძლევს, ბიჭუნა სვიტ პის გარდა.

მეწყინა, რომ პერსი ჩემს კაბინეტში ამ უსახურ პორნოგრაფიას ეცნობოდა. ჰარის ზიზღით დაემანჭა სახე. ბრუტუსი ახარხარდა და ამან დარცხვენილ პერსის დროებით გამოაცალა ძალა.

- ოხ, პერსი, რას იტყვის დედაშენი? - თქვა ბრუტუსმა. - ან გუბერნატორი რას იფიქრებს?

- მოკეტე! - გაწითლდა პერსი. - და დედაჩემს ნუ ახსენებ.

ბრუტუსმა დამამშვიდებელი პერანგი გადმომიგდო და სახე პერსის სახესთან მიიტანა.

- კარგი, ოღონდ ახლა გონიერება გამოიჩინე და ხელები გაშალე.

პერსის ტუჩები უთრთოდა და ლამის ცრემლები წასკდომოდა.

- არ გავშლი, - ბავშვურად გაჯიუტდა, - ვერც გამაშლევინებთ, - უცებ მთელი ხმით აყვირდა, მიშველეთო. ჰარი შეკრთა. მეც შევკრთი. მთელი გეგმა ჩაგვიფლავდებოდა, ბრუტუსი რომ არა. არ შეყოყმანებულა. პერსის უკნიდან ყურებზე წაავლო ხელები.

- შეწყვიტე ყვირილი, თორემ ყურებს აგახევ!

პერსიმ ყვირილი შეწყვიტა. აცახცახებულმა ჩაქინდრა თავი და პორნო-კომიქსის უხამს ყდას დააშტერდა. ყდაზე გამოსახული პოპაი და ოლივი ორიგინალურ პოზაში ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს - ასეთი რამ მხოლოდ გამეგონა, მაგრამ პირადად არასდროს მეცადა. „ოო, პოპაი!“- ეწერა ოლივის თავზემოთ მიხატულ ბუშტში. „ოხ, ოხ, ოხ!“ - ეწერა პოპაის თავზემოთ მიხატულ ბუშტში. პოპაი განუყრელ ჩიბუხს ეწეოდა.

- მკლავები გაშალე, ნუღარ ჭირვეულობ! - უთხრა პერსის ბრუტუსმა.

- არ გავშლი, - თქვა პერსიმ, - არ მინდა. ვერ გამაშლევინებ.

- ძალიან ცდები, - თქვა ბრუტუსმა და პერსის ყურები ისე გადაუგრიხა, თითქოს გაზქურის სანთურის დისკოს ატრიალებსო. ურ-

ჩმა გაზქურამ, ანუ პერსიმ, გაკვირვებისა და ტკივილისგან საწყალობლად წამოიკივლა. რას არ დავთმობდი, რომ ეს კივილი არ გამეგონა. ეს მხოლოდ ტკივილისა და გაკვირვების კივილი არ იყო. პერსი მიხვდა. მიხვდა, რომ ცუდი რამეები მხოლოდ სხვას, ვიღაც უიღბლოს კი არა, თვით მას, გუბერნატორის ნათესავსაც შეიძლება შეემთხვეს. მინდოდა, ბრუტუსი შემეჩერებინა, მაგრამ რასაკვირველია, ვერ ვიზამდი ამას. ღრმად შევტოპეთ და უკვე გვიანი იყო. ამის ნაცვლად, თავს ვახსენებდი, რომ პერსიმ დელაკრუა ტანჯვით სიკვდილისთვის გასწირა მხოლოდ იმიტომ, რომ მან დასცინა. ამ ფიქრებმა დიდად ვერ დამამშვიდა. ალბათ იმიტომ, რომ პერსის არ ვგავდი.

- ხელები გაშალე, ძვირფასო, თორემ კიდევ მიიღებ, - უთხრა მას ბრუტუსმა.

ჰარი ახალგაზრდა პერსი უეტმორს აღარ იჭერდა. ცრემლი, რომელსაც მანამდე ძლივს იკავებდა, პერსის ახლა ნიაღვარად ჩამოსდიოდა ღაწვებზე. ბავშვივით ატირებულმა ხელები წინ გაიშვირა, თითქოს მთვარეულია კომედიური ფილმიდანო. წამში ჩამოვაცვი ხელებზე პერანგის სახელოები, ბრუტუსმა კი პერსის ყურებს ხელი უშვა და პერანგის მანჟეტებზე მიკერებულ თასმებს სტაცა. მერე ხელები გულმკერდზე გადაუჯვარედინა პერსის და თასმები მაგრად განასკვა. ამასობაში ჰარიმ ზურგზე ბალთა შეუკრა. პერსის დანებება და მისი პერანგში გამონასკვა ერთი იყო. ყველაფერს ათ წამში მოვრჩით.

- ესეც ასე, ძვირფასო, - თქვა ბრუტუსმა, - ახლა კი ნაბიჯით იარ!

მაგრამ პერსი არ განძრეულა. დაზაფრული, აცრემლებული თვალები მე მომაპყრო. თავისი გავლენიანი ნაცნობების მეშვეობით ჩვენი სამსახურიდან გაგდების და სამხრეთ კაროლინაში უფასო სადილზე გაგზავნის მუქარა საერთოდ გადაავიწყდა.

- გთხოვ, - ხრინწიანი, აკანკალებული ხმით მთხოვა, - მასთან ერთად ნუ ჩამსვამთ, პოლ.

მივხვდი, რატომაც ჩავარდა პანიკაში და რატომ გვიძალიანდებოდა მთელი ძალით. ეგონა, რომ უილიამ უორტონთან ვუპირებდით ჩასმას; რომ მშრალი ღრუბლის ოინის გამო შეშლილი ფსიქოპათისთვის უნდა მიგვეგდო სახმარად მისი თავი. სიბრალულის ნაცვლად ზიზღი ვიგრძენი პერსის მიმართ დაკიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ სწორად ვიქცეოდი. აი, თურმე როგორ დაგვსჯიდა, ჩვენ რომ მის ადგილას ვყოფილიყავით.

- უორტონთან არ ჩაგსვამთ, პერსი, - ვუთხარი მე, - დამამშვიდებელ ოთახში ჩაგკეტავთ. სამი-ოთხი საათი სრულ სიბნელეში იჯდები და კარგად იფიქრებ იმაზე, რაც საწყალ დელაკრუას დამართე. შენთვის, ალბათ, უკვე გვიანია წესიერი მანერების სწავლა - ყოველ შემთხვევაში, მხეცი ასე ფიქრობს, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ. გაინძერი!

ამჯერად დაგვმორჩილდა. თავისთვის ბურტყუნებდა, დამაცადეთ, მე თქვენ გაჩვენებთ სეირსო, მაგრამ მთლიანობაში, ცოტათი დამშვიდდა და მოდუნდა.

როცა დერეფანში გავედით, თვალებდაჭყეტილმა დინმა ისე არაბუნებრივად გაიკვირვა, სერიოზული ვითარება რომ არ ყოფილიყო, ალბათ ხარხარი ამიტყდებოდა. სიმართლე ითქვას, სოფლის თეატრალურ წარმოდგენებშიც კი უკეთესად მსახიობობდნენ.

- ზედმეტი ხომ არ მოგდით? - გვკითხა დინმა.

- მოკეტე, შენთვის ასე აჯობებს! - შეუღრინა ბრუტუსმა. ეს სიტყვები ჩემს სახლში დავიზეპირეთ და ახლაც დაზეპირებულ სიტყვებად ჩამესმა, მაგრამ ვინაიდან პერსი საკმარისად დაბნეული და შეშინებული იყო, ვიმედოვნებდით, რომ თუ დაგვერხეოდა, ეს დიალოგი დინ სტენტონს მაინც იხსნიდა. დიდად არ მჯეროდა, რომ პერსი ამ ამბავს ვინმეს გაუმხელდა, მაგრამ ყველაფერი

ხდება. როცა კი ამაში ეჭვი შემპარვია, ყოველთვის ჯონ კოფის და დელაკრუას თაგვს ვიხსენებ.

პერსი მწვანე გზაზე ჩავატარეთ. წუწუნებდა, ნელა, თორემ წავიქცევიო. უორტონი იწვა, მაგრამ მეტისმეტად სწრაფად ჩავუარეთ მის საკანს და ვერ დავინახე, ეძინა თუ არა. ჯონ კოფი თავისი საკნის კართან იდგა და გვიყურებდა.

- ბნელი გული გაქვს და ბნელ ოთახში ჯდომას იმსახურებ, - თქვა მან, მაგრამ არა მგონია, პერსის გაეგო.

დამამშვიდებელ ოთახში შევედით. პერსისთვის ცრემლებს ღაწვები აეწითლებინა და დაესველებინა; თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. კულულები შუბლზე ჩამოსცვენოდა. ჰარიმ ცალი ხელით რევოლვერი ამოაცალა ბუდიდან, მეორეთი - მისი ძვირფასი ხელკეტი.

- დაიბრუნებ, ნუ ღელავ, - მორიდებით უთხრა ჰარიმ.

- ვწუხვარ, რომ იმავეს ვერ ვიტყვი შენს სამსახურზე, - უპასუხა პერსიმ, - ვერც ერთი ვერ დაიბრუნებთ. ამისთვის დაისჯებით! დაისჯებით!

კიდევ დიდხანს აპირებდა გაგრძელებას, მაგრამ მისი ქადაგების მოსასმენად არ გვეცალა. ჯიბეში წებოვანი ლენტი მედო, დღევანდელი სკოჩის წინაპარი, რომელსაც ოცდაათიან წლებში იყენებდნენ. პერსიმ ეს რომ დაინახა, უკან დაიხია. ბრუტუსმა უკნიდან გააკავა და არ გაუშვია, სანამ ლენტი პირზე არ დავაკარით და უფრო მეტი უსაფრთხოებისთვის მთელ თავზე არ შემოვახვიეთ. ლენტს ახსნისას, ალბათ, კეფაზე თმაც აჰყვებოდა და ტუჩებიც დაუსკდებოდა, მაგრამ პერსი უეტმორი უკვე ყელში მყავდა ამოსული და დიდად არ მენაღვლებოდა.

ხელი გავუშვით და უკან დავიხიეთ. ნესტოებდაბერილი პერსი ნათურის ქვეშ დამამშვიდებელ პერანგში განასკვული იდგა და პირაკრული, გაურკვევლად დუდუნებდა. არაფრით განსხვავდე-

ბოდა სხვა გადარეული პატიმრებისგან, რომლებსაც ამ ოთახში ვამწყვდევდით.

- რაც უფრო ჩუმად იქნები, მით უფრო მალე გამოხვალ, პერსი, - გავაფრთხილე, - ეს დაიმახსოვრე...

- თუ თავს მარტოდ იგრძნობ, ოლივ ოილზე იფიქრე, - ურჩია ჰარიმ, - ოხ-ოხ-ოხ!

ოთახიდან გამოვედით. კარი მივხურე და ბრუტუსმა ჩაკეტა. დინი ოდნავ მოშორებით, კოფის საკნის კართან იდგა და გასაღები უკვე მოერგო ზედა საკეტისთვის. ოთხივემ ერთმანეთს გადავხედეთ. არაფერი გვითქვამს. არ იყო საჭირო. მექანიზმი ამოქმედდა; ახლა იმის იმედიღა გვქონდა, რომ ჩვენი დასახული გეგმა გაამართლებდა და სადღაც შუა გზაზე არ ჩაგვეშლებოდა ხელში.

- გასეირნება ხომ არ გადაგიფიქრებია, ჯონ? - ჰკითხა ბრუტუსმა.

- არა, სერ, - უპასუხა კოფიმ, - მგონი, არა.

- კარგი, - თქვა დინმა და გასაღები გადაატრიალა. მერე ზედა საკეტიდან გამოიღო და ქვედას მოარგო.

- ბორკილები დაგადოთ, ჯონ? - ვკითხე მე.

- თუ გინდათ, დამადეთ, - მიპასუხა მცირე ფიქრის შემდეგ, - მაგრამ საჭირო არაა.

ბრუტუსს თავის დაქნევით ვანიშნე და მან საკნის კარი გააღო. კოფი საკნიდან გამოვიდა. ჰარიმ პერსის ორმოცდახუთკალიბრიანი დაუმიზნა.

- ეგ დინს მიეცი, - ვუთხარი ჰარის.

ჰარი თითქოს ჰიპნოზიდან გამოერკვა, საკუთარ ხელში პერსის რევოლვერი დაინახა და დინს გადასცა. ბუმბერაზი კოფი დერეფანში დადგა. თავით ლამის ჭერზე ჩამოკიდებულ ნათურას ეხებოდა.

მისი ერთმანეთს გადაჭდობილი ვეება ტორების და ჩამოყრილი განიერი მხრების დანახვაზე, როგორც პირველ დღეს, ახლაც დატყვევებული დათვი გამახსენდა.

- ჩვენს დაბრუნებამდე პერსის იარაღი მორიგის მაგიდის უჯრაში შეინახე, - ვუთხარი დინს.

- იმედია, დავბრუნდებით, - დაამატა ჰარიმ.

- შევინახავ, - თქვა დინმა. ჰარისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

- და თუ ვინმე შემოივლის - რაც ძალიან საეჭვოა, მაგრამ მაინც - რას ეტყვი?

- იმას, რომ შუაღამით კოფი წყობიდან გამოვიდა, - თქვა დინმა, თითქოს სტუდენტიადა გამოცდას აბარებსო, - დამამშვიდებელი პერანგი ჩავაცვით და დამამშვიდებელ ოთახში ჩავკეტეთ. თუ ოთახში ხმაურს გაიგონებენ, იფიქრებენ, რომ ეს კოფია. - ჯონ კოფის ახედა.

- ჩვენზე რას ეტყვი? - ჰკითხა ბრუტუსმა.

- პოლი ადმინისტრაციულ შენობაშია. დელაკრუას და მოწმეების საბუთებს აწესრიგებს, - თქვა დინმა, - ეს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სიკვდილით დასჯამ საშინლად ჩაიარა. ასე დაიბარა, მთელი ღამე იქ დავრჩებიო. შენ, ჰარი და პერსი სამრეცხაოში ხართ და უნიფორმებს რეცხავთ.

ასეთ პასუხებს მცველები მიჩვეული იყვნენ. ღამ-ღამობით სამრეცხაოში აზარტული თამაშები იმართებოდა; ხან „ბლექ ჯეკს“ თამაშობდნენ, ხან - პოკერს და ხანაც - პრეფერანსს. სათამაშოდ წასული მცველები იბარებდნენ, უნიფორმების გასარეცხად მივდივართო. ასეთ თავყრილობებზე კონტრაბანდულ ვისკის ყლურწავდნენ და ხანდახან მოსაწევსაც ჩამოატარებდნენ ხოლმე. როცა მთელი ცხოვრება ბინძური ხალხის დარაჯობა გიწევს, ძნელია, შენც არ წაგეცხოს ჭუჭყი. მოკლედ, შემოწმებას

აღარავინ დაიწყებდა. „სარეცხის რეცხვას“ „ქოულდ მაუნთინში“ მოწიწებით ეპყრობოდნენ.

- ყველაფერი სწორია, - შევაქე დინი და კოფის ვუბიძგე, წავედით-მეთქი, - თუ გეგმა ჩაგვეშლება, დინ, იტყვი, რომ არაფერი იცოდი.

- ეგ ადვილი სათქმელია, მაგრამ...

ამ დროს უორტონის საკნის გისოსებიდან წვრილი ხელი გამოიყო და კოფის ქვასავით მკლავს ჩააფრინდა. ყველამ წამოვიყვირეთ. უორტონს წესით, მკვდარივით უნდა სძინებოდა, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა; მაგრად ნაცემ მოკრივესავით კი ბარბაცებდა, მაგრამ ძირს მაინც არ ვარდებოდა და იღიმოდა.

კოფის რეაქცია გასაოცარი იყო. ხელი არ გაუწევია, მაგრამ მანაც წამოიყვირა, თითქოს რაღაც ცივი და უსიამოვნო შეეხოო. თვალები გაუფართოვდა და წამით სულ სხვა ადამიანად მომეჩვენა; სადღაც გაქრა ის სიყეყეჩე რომელთან ერთადაც დილით იღვიძებდა და ღამით იძინებდა. პირველად ასეთი ცოცხალი იმ დღეს ვნახე, როცა თავის საკანში მიხმო, რათა შემხებოდა და ჩემთვის ეშველა, მეორედ - როცა მისტერ ჯინგსლი მომეცითო, გვთხოვა და მესამედ - ახლა. სახე გაუნათდა, თითქოს ტვინში ლამპა აენთოო. ოღონდ ამჯერად ცივი გამომეტყველება ჰქონდა და პირველად შემეშინდა, რომ ახლა ჯონ კოფი გადაირევა და საშინელებას დაატრიალებს-მეთქი. რევოლვერები გვქონდა და კი ვესროდით, მაგრამ მისი წაქცევა არც ისე იოლი იქნებოდა.

ბრუტუსის სახეზე იგივე აზრები წავიკითხე, მაგრამ პირზე უაზრო ღიმილშეყინულმა უორტონმა მხოლოდ წაიბურტყუნა:

- ერთი ვიცოდე, საით გაგიწევიათ? „ერი ვიოდე საი გაგიევია?“ - ასე ჩაგვესმა მისი სიტყვები.

კოფი არ განძრეულა. ჯერ უორტონს შეხედა, მერე მის ხელს და ბოლოს - ისევ უორტონს. მის მზერაში ვერაფერი ამოვიკითხე. გონივრული მზერა იყო, მაგრამ არაფრის მთქმელი. რაც შეეხება

უორტონს, მას ხვალ აღარაფერი ემახსოვრებოდა და ამიტომ მასზე საერთოდ არ ვღელავდი. ის მთვრალს ჰგავდა, რომელიც მალე გაითიშება.

- შენ ცუდი ადამიანი ხარ, - დაიჩურჩულა კოფიმ. ვერ გავარჩიე მის ხმაში ტკივილი იგრძნობოდა, მრისხანება თუ შიში. შეიძლება სამივე ერთად. კოფიმ ისევ უორტონის ხელს დახედა, როგორც მწერს, რომელსაც შეუძლია მწარედ გიკბინოს, აზროვნების უნარი რომ ჰქონდეს.

- მართალს ამბობ, ზანგო, - ქედმაღლურად ჩაიცინა უორტონმა, - ისეთი ცუდი ვარ, შენ ვერც კი წარმოიდგენ.

რატომღაც ვიფიქრე, რომ რაღაც საშინელება მოხდებოდა და ჩვენი გეგმის მსვლელობას ისე შეცვლიდა, როგორც კატაკლიზმური მიწისძვრა ცვლის მდინარის კალაპოტს. ამ საშინელების შესაჩერებლად არავის გვეყოფოდა ძალა.

თუმცა, ბრუტუსმა უორტონის ხელი კოფის მკლავს მოაშორა და ეს ავი წინათგრძნობაც გამიქრა. თითქოს პოტენციურად სახიფათო წრედი გაწყვიტეს. უკვე გითხარით, რომ ბლოკში ჩემი მუშაობისას გუბერნატორის ტელეფონს არასდროს დაურეკავს, მაგრამ რომ დაერეკა, ალბათ, სწორედ ისეთ შვებას ვიგრძნობდი, როგორიც იმ მომენტში დამეუფლა, როცა ბრუტუსმა ჩემ გვერდით მდგომ მთასავით კაცს უორტონის ხელი მოაშორა მკლავიდან.

- დაწე, ბილი, - უთხრა ბრუტუსმა უორტონს, - დაისვენე, - საერთოდ, ამ სიტყვებით მე ვაწყნარებდი პატიმრებს, მაგრამ სულაც არ მწყენია, რომ ისინი ბრუტუსმა წარმოთქვა.

- იქნებ დავისვენო კიდეც, - თქვა უორტონმა. უკან დაიხია, წაბარბაცდა და ბოლო წამს მოახერხა წონასწორობის შენარჩუნება, რომ არ წაქცეულიყო, - უი, დედიკო. მთელი ოთახი ტრიალებს. მთვრალი ვარ თუ რაა!

უკანსვლით მიბარბაცდა საწოლამდე ისე, რომ სახიდან ღიმილი არ წაშლია და კოფისთვის თვალი არ მოუცილებია.

- ზანგებს ცალკე ელექტროსკამი უნდა ჰქონდეთ, - თქვა და ამ დროს საწოლის კიდეს მიეჯახა. მუხლმოკვეთილი დაეცა საწოლზე. საპატიმროს ბალიშზე თავი დადო თუ არა, უპეებჩაშავებულმა და ენაგადმოგდებულმა ხვრინვა ამოუშვა.

- ღმერთო, იმდენი წამლით გაბრუებული, როგორ წამოდგა? - დაიჩურჩულა დინმა.

- არა უშავს, ახლა უკვე გათიშულია, - ვთქვი, - თუ გამოფხიზლდება, წყალში ჩაუყარე წამალი და ისევ დაალევინე. ერთი აბი ეყოფა. მთლად არ შემოგვაკვდეს.

- იმედი ნუ გექნება, - ჩაიბურტყუნა ბრუტუსმა და უორტონს სკეპტიკურად შეხედა, - ასეთ მაიმუნებს დამამშვიდებლებით ვერ მოკლავ. პირიქით, ამით კაიფობენ.

- ის ცუდი ადამიანია, - გაიმეორა კოფიმ, ოღონდ ამჯერად ხმადაბლა, თითქოს არ იცის, რას ამბობს ან ეს რას ნიშნავსო.

- მართალი ხარ, - დაეთანხმა ბრუტუსი, - ცუდი ადამიანია. თუმცა, ახლა სხვა პრობლემა გვაქვს. მაგასთან ტანგოს ცეკვას არ ვაპირებთ.

გზა განვაგრძეთ. მლოცველებივით შემოვერტყით ჯონ კოფის, ჩვენს კერპს, რომელიც თითქოს რაღაც სასწაულით, გაცოცხლებულიყო.

- მითხარი, ჯონ, თუ იცი, სად მიგვყავხარ?

- დასახმარებლად, - მიპასუხა მან, - მგონი... ვიღაც ქალბატონის საშველად, არა? - ბრუტუსს იმედიანად შეხედა.

ბრუტუსმა თავი დაუქნია.

- ეგრეა. მაგრამ შენ რა იცი? როგორ გაიგე?

ჯონ კოფი მცირე ხნით დაფიქრდა და თავი გააქნია.

- არ ვიცი, - უპასუხა ბრუტუსს, - სიმართლე გითხრათ, ბოს, ბევრი არაფერი ვიცი. არც არასდროს მცოდნია.

სხვა პასუხი არ ჰქონდა და ჩვენც ამით დავკმაყოფილდით.

# 6

გულის სიღრმეში კი ვხვდებოდი, რომ ჩემი კაბინეტიდან საწყობის კიბისკენ მიმავალი კარის ჩარჩო ჯონ კოფისნაირებისთვის არ იყო გამოჭრილი, მაგრამ როცა კოფი კართან ჩაფიქრებული შედგა, მხოლოდ მაშინ შევამჩნიე შეუსაბამობა.

ჰარიმ გაიცინა, მაგრამ თავად ჯონს სულაც არ მოჩვენებია სასაცილოდ, ამხელა კაცი პატარა კარში რომ უნდა გამძვრალიყო. რასაკვირველია, არ მოეჩვენებოდა. ოდნავ უფრო მხიარულიც რომ ყოფილიყო, მაინც არ გაიცინებდა. ის ხომ გოლიათი იყო და მთელი ცხოვრება თავდახრილს უწევდა კარში გავლა. ეს კარი სულ რამდენიმე სანტიმეტრით დაბალი იყო სხვა კარებთან შედარებით. ეს იყო და ეს.

დაჯდა და ასე მჯდომარე გაცოცდა კარში. მერე წამოდგა და კიბეზე ჩავიდა. იქ ბრუტუსი უცდიდა. საწყობში გაჩერდა და მიმოიხედა. პლატფორმაზე „ბებერი ნაპერწკალა“ იდგა, მდუმარე და იდუმალი, როგორც ტახტი გარდაცვლილი მეფის ციხე-კოშკში. ჩაფხუტი დაუდევრად ეკიდა სკამის საზურგეზე და მეფის გვირგვინს კი არა, მასხარის ჩაჩს უფრო ჰგავდა. ასეთ ჩაჩში მასხარა, ალბათ, უფრო სასაცილო გამოჩნდებოდა და მის ოხუნჯობებზე დიდგვაროვანი აუდიტორია უფრო ხმამაღლა და გულიანად გაიცინებდა.

ელექტროსკამის ობობასებრი ჩრდილი ერთ კედელზე ავის მომასწავლებად წაგრძელებულიყო. ჰაერში თითქოს ისევ დამწვარი ხორცის სუნი ტრიალებდა. სუსტი სუნი იყო, მაგრამ გავიფიქრე, მგონი, ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი არაა-მეთქი.

ჰარიც შევიდა საწყობში. მას მე მივყევი. არ მომეწონა, რომ ჯონი „ბებერ ნაპერწკალას“ მიაშტერდა. კიდევ უფრო დავითრგუ-

ნე, როცა მივუახლოვდი და მისი დახორკლილი მკლავები დავინახე.

- წავედით, დიდო ბიჭო, - ხელი მაჯაზე წავავლე და გვირაბისკენ მიმავალი კარისკენ გავქაჩე, მაგრამ კოფი არ განძრეულა და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს შიშველი ხელებით მიწაში ღრმად ჩაფლული ლოდის აღებას ვცდილობდი.

- წამოდი, ჯონ, უნდა წავიდეთ, - უთხრა ჰარიმ, - თორემ ეტლიც და მეეტლეც გოგრად გადაიქცევა, - და ნერვიულად ჩაიცინა. მეორე მაჯაზე წაავლო ხელი და გაქაჩა. ჯონ კოფის ფეხი არ მოუცვლია. უცებ თავისთვის, თითქოს სიზმარში ბოდავსო, წარმოთქვა:

- ისინი ჯერაც აქ არიან. მათი ნაწილები აქ არის. მათი კივილი მესმის.

ეს სიტყვები დღემდე მახსოვს.

ჰარის ღიმილი უშნოდ შეეყინა სახეზე. ბრუტუსმა დაბაფრულმა შემომხედა და განზე გადგა. ბოლო ხუთ წუთში მეორედ დავფრთხი, რომ მთელი ჩვენი ავანტიურა ჩაშლის პირას იყო. ამჯერად მე ვცადე ვითარების განმუხტვა; მოგვიანებით, როცა მესამედ აღმოვჩნდით კატასტროფის წინაშე, უკვე ჰარიმ გვიხსნა. დამიჯერეთ, იმ ღამით ყველამ გამოვიჩინეთ თავი.

ფეხის წვერებზე შემდგარი წინ გადავუდექი ჯონ კოფის, რომ მისგან ელექტროსკამი დამეფარა. მერე თვალებთან ორჯერ თუ სამჯერ გავუტკაცუნე თითები.

- წამოდი! გადადგი ფეხი! ხომ თქვი, ბორკილები საჭირო არააო? მაშ, დაგვიმტკიცე ეს! წამოდი, დიდო ბიჭო! წამოდი, ჯონ კოფი! იქით! აი, იმ კარისკენ!

ბინდგადაკრული თვალები დაეწმინდა.

- დიახ, ბოს! - თქვა და, მადლობა ღმერთს, გაინძრა.

- მხეცო, - ვანიშნე ბრუტუსს.

ბრუტუსი წინ გაიქცა და თან გასაღების ასხმა მოიმარჯვა, საჭირო გასაღების ასარჩევად. ჯონ კოფის გვირაბის კარს არ აშორებდა თვალს, მე - ჯონ კოფის. თუმცა, ცალი თვალით დავინახე, როგორ ნერვიულად გახედა ჰარიმ ელექტროსკამს, თითქოს ამ ოთახში პირველადააო.

„მათი ნაწილები აქ არის... მათი კივილი მესმის“.

თუ მართლაც ასე იყო, ედუარდ დელაკრუა, ალბათ, ყველაზე ხმამაღლა კიოდა. ღმერთს მადლობა შევწირე, რომ არ მესმოდა ის, რაც ჯონ კოფის ესმოდა.

ბრუტუსმა კარი გააღო. კიბეზე ჩავედით. წინ კოფი მიდიოდა. კიბის ძირას მოღუშულმა გახედა დაბალჭერიან გვირაბს. სანამ მეორე ბოლომდე მივაღწევდით, ალბათ, წელის ტკივილი დაეწყებოდა...

მაგრამ მე ბორბლებიანი საკაცე მოვაგორე. ზეწარი, რომელიც დელაკრუას ჰქონდა გადაფარებული, უკვე აეღოთ (ალბათ, დაწვეს კიდეც) და საკაცის ტყავის შავი ბალიშები მოჩანდა.

- დაწექი, - ვუთხარი ჯონს. მან დაეჭვებით შემომხედა. შესაგულიანებლად თავი დავუქნიე, - შენთვისაც ასე უფრო მოსახერხებელი იქნება და ჩვენთვისაც.

- კარგი, ბოს ეჯკუმ, - კოფი საკაცეზე დაწვა და ყავისფერი თვალებით შემოგვხედა. ჩუსტებიანი ფეხები საკაცის კიდიდიდან ჰქონდა გადმოშვერილი და ლამის იატაკს ეხებოდა. მის ფეხებს შორის ბრუტუსი ჩადგა და საკაცე ბნელ გვირაბში გააგორა. ამას პირველად არ აკეთებდა. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ საკაცეზე ახლა ცოცხალი სიკვდილმისჯილი იწვა. ნახევარი გვირაბი გავლილი გვქონდა - ალბათ, უკვე გზატკეცილის ქვეშ ვიმყოფებოდით და შუაღამე რომ არ ყოფილიყო, მანქანების მოძრაობის ყრუ ხმასაც გავიგონებდით - როცა ჯონ კოფის გაეღიმა.

- ჰა, მაგარია, - თქვა მან.

„მომდევნო ჯერზე საკაცით გასეირნება აღარ მოგეწონება“, - გამიელვა თავში. უფრო ზუსტად, მომდევნო ჯერზე ვეღარაფერს მოიწონებდა ან გაიფიქრებდა. თუ კი? ხომ თქვა, მათი ნაწილები ჯერაც აქარის და მათი კივილი მესმისო.

ყველაზე უკან მიმავალს, ყველასგან მალულად გამაჟრჟოლა.

- იმედია, „ალადინი“ არ დაგვიწყებია, ბოს ეჯკუმ, - მითხრა ბრუტუსმა, როცა გვირაბის ბოლოს მივადექით.

- ნუ ღელავ, - ვთქვი.

„ალადინი“ სხვა გასაღებებისგან (ორ კილოგრამამდე გასაღებებს ვინახავდი ჩემს კაბინეტში) დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ მთავარ გასაღებთა შორის უმთავრესი იყო - ყველა კარს აღებდა. საპატიმროს ხუთივე ბლოკის უფროს ზედამხედველს თითო „ალადინი“ ჰქონდა. სხვა მცველებსაც შეეძლოთ მისი გამოყენება, მაგრამ აუცილებლად უფროსი ზედამხედველის ნებართვით.

გვირაბის ბოლოს რკინისგისოსებიანი კარი იყო. ყოველთვის სურათებზე ნანახ ძველ ციხესიმაგრეებს მაგონებდა. აი, იმ რაინდული ეპოქისას, როცა სიმამაცე და ვაჟკაცობა ჯერაც ყვაოდა. ოღონდ თავად „ქოულდ მაუნთინი“ კამელოტისგან ნაღდად შორს იდგა. რკინისგისოსებიან კარს მიღმა კიბე ადიოდა ძლივს შესამჩნევ, ასაწევ კართან, რომელზეც გაკრული იყო აბრა წარწერით: „გარეშე პირთა შესვლა აკრძალულია. შტატის საკუთრება. ელექტროგამავალი მავთული“.

რკინისგისოსებიანი კარი მე გავაღე და ჰარიმ ისევ ჩაკეტა. კიბეზე ავედით. წინ კვლავ მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული ჯონ კოფი მიდიოდა. ზემოთ ჰარიმ მას გარს შემოუარა (ჩვენ შორის ყველაზე გამხდარი ის იყო, მაგრამ მაინც გაუჭირდა) და ასაწევი კარის საკეტი გააღო. კარის აწევა კი ვეღარ შეძლო, რადგან ძალიან მძიმე იყო.

- მიმიშვით, ბოს, - თქვა კოფიმ. ისევ წინ გადააბიჯა და თეძოთი ჰარი ლამის კედელს მიასრისა. ცალი ხელით ისე იოლად ასწია კარი, იფიქრებდით, მუყაოსია და არა რკინისო.

მთის ქარმა ღამის ცივი ჰაერი დაგვატაკა სახეში. აპრილ-მაისამდე ასე გაგრძელდებოდა. ქარმა ხმელი ფოთლებიც მოგვაყარა და ჯონ კოფიმ თავისუფალი ხელით ერთი ფოთოლი დაიჭირა. არასდროს დამავიწყდება, როგორ შეათვალიერა ის და ცხვირთან კარგად დასრისა, რომ სუნი გამოეცა.

- წავედით, - გამოარკვია ბრუტუსმა, - წინ!

მიწის ზემოთ ავედით. ჯონ კოფიმ კარი დასწია და ბრუტუსმა ჩაკეტა. „ალადინით“ მავთულხლართის ღობის კარი გავაღეთ.

- ხელები არ გააქნიო, როცა ღობეში გავივლით, დიდო ბიჭო, - გადაუჩურჩულა ჰარიმ, - თორემ მავთულხლართს რომ შეეხო, საჯდომი მაგრად აგეწვება.

სამშვიდობოს გავედით. გზის პირას შევგროვდით და ზურგს უკან დატოვებული „ქოულდ მაუნთინის“ სასჯელაღსრულების დაწესებულების კედლებს, სინათლეებსა და საგუშაგო კოშკებს გავხედეთ. წამით ერთ-ერთ კოშკში მცველის სილუეტი გამოიკვეთა სიბნელიდან; გაყინულ ხელებს ისრესდა. გზის გადამყურე კოშკის ფანჯრები მცირე ზომისა იყო, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებდა. შემთხვევით მანქანას რომ ჩამოევლო, დიდ შარში გავეხვეოდით.

- წავედით, - დავიჩურჩულე. - ჰარი, გაგვიძეხი.

დაწალიკებულნი გზის გასწვრივ ჩრდილოეთისკენ გავეშურეთ. წინ ჰარი მიდიოდა, მას ჯონ კოფი მიჰყვებოდა, კოფის - ბრუტუსი და ბრუტუსს - მე. აღმართზე ავედით და გორაკს გადაღმა დავეშვით. ციხისგან ახლა მხოლოდ მისი სინათლეებით აელვარებული ხის კენწეროებიღა დარჩა. ჰარი მაინც არ ჩერდებოდა.

- სად გიყენია მანქანა? - ჩურჩულით ჰკითხა ბრუტუსმა ჰარის. პირიდან ორთქლის თეთრი ღრუბელი ამოუვიდა. - ბალტიმორში?

- წინ, - მიუგო აღელვებულმა და ოდნავ გაღიზიანებულმა ჰარიმ, - ცოტაც მოითმინე, ბრუტუს.

აი, კოფის კი, როგორც შევატყვე, ფეხით სიარული სიამოვნებდა და ალბათ, აისამდე ან მომდევნო დაისამდე ივლიდა ასე. აქეთ-იქით იყურებოდა და როცა ბუ დაიკივლებდა, სიხარულით (და არა - შიშით, ამაში დარწმუნებული ვარ) შეხტებოდა ხოლმე. უცებ მივხვდი, რომ სიბნელისა მხოლოდ შიგნით ეშინოდა, გარეთ კი - არა. ღამეს ეალერსებოდა. თავისი გრძნობებით ეხუტებოდა მას, როგორ მამაკაცი ეხუტება ქალის ამობურცულ მკერდს.

- აქ უნდა შევუხვიოთ, - თქვა ჰარიმ.

გზის მარჯვენა, ვიწრო, ბალახწამოზრდილ განშტოებაზე გადავედით და თითქმის ნახევარი კილომეტრი ვიარეთ. ის იყო, ბრუტუსი ხელახლა აბუზღუნდა, რომ ჰარი გზის მარცხენა მხარეს გადავიდა და დამტვრეული ფიჭვის ტოტების განზე ყრა დაიწყო. მას ბრუტუსი და ჯონ კოფი მიეშველნენ და სანამ მე მივუახლოვდებოდი, „ფარმოლის“ მარკის ძველი სატვირთოს ჩაჭყლეტილი ცხვირი გამოჩნდა. ხოჭოს თვალებივით მსხვილმა მაშუქებმა სახეში შემოგვანათა.

- იცი რა, სიფრთხილე გამოვიჩინე, - საყვედურნარევი ხმით უთხრა ჰარიმ ბრუტუსს, - შეიძლება გაგეცინოს, ბრუტუს ჰაუელ, მაგრამ მე რელიგიურ ოჯახში გავიზარდე. ისეთი მართლმორწმუნე ბიძაშვილები მყავს, უბრალო ქრისტიანის ლომად გადაქცევა შეუძლიათ. რომ გაიგონ, ამ საქმეში გავერიე...

- გასაგებია, - უთხრა ბრუტუსმა, - ცოტა ვღელავ, ხომ იცი.

- მეც, - წაიბურტყუნა ჰარიმ, - იმედია, ეს წყეული ჯაბახანა დაიქოქება.

მან „ფარმოლს“ ბურტყუნით შემოუარა, ბრუტუსმა კი თვალი ჩამიკრა. ჯონ კოფისთვის ჩვენ არსებობა შევწყვიტეთ. ცაზე ვარსკვლავებს შეჰყურებდა და სუფთა ჰაერს ხარბად ისუნთქავდა.

- თუ გინდა, უკან მასთან ერთად დავჯდები. ორივე რა საჭირო ვართ? - შემომთავაზა ბრუტუსმა. ამასობაში ზამთრის სუსხიან დილას გამოღვიძებული ბებერი ძაღლივით აღმუვლდა „ფარმოლის“ სტარტერი. ჰარი ერთხელ დააწვა გაზის პედალს და ძრავა გასახურებლად ჩართული დატოვა.

- წინ დაჯექი, - ვუთხარი მე, - მასთან ერთად აქეთობისას დაჯდები. იმედია, უკან ჯავშნიანი ფურგონით არ მოგვიწევს დაბრუნება.

- მაგას ნუ ამბობ, - განაწყენდა ბრუტუსი. მგონი, პირველად გავიაზრე მთელი სერიოზულობით, რა გველოდა, თუ გამოგვიჭერდნენ, - ღმერთო, პოლ!

- მიდი, ჩაჯექი კაბინაში!

ბრუტუსი ჩემს ბრძანებას დაემორჩილა. ჯონ კოფის მკლავს კარგა ხანს ვექაჩებოდი, სანამ ზეცას არ მოვწყვიტე და ისევ მიწაზე არ დაეშვა. საბარგულისკენ წავიყვანე. ჰარის საბარგულის გვერდებზე ბრეზენტი გაეშალა და ეს ნაწილობრივ დაგვიფარავდა, თუ გზად მსუბუქი ან სატვირთო მანქანები შემოგვხვდებოდა. თუმცა, უკანა ნაწილი მაინც ღია იყო.

- აბა, შეხტი, დიდი ბიჭო.

- უკვე მივდივართ?

- დიახ.

- კარგია, - გაიღიმა ჯონ კოფიმ. სასიამოვნო და ლამაზი ღიმილი იყო - ფიქრებით დაუმძიმებელი. ჯონ კოფი საბარგულში შეხტა. მას მეც მივყევი. კაბინამდე მივედი და ჰარის და ბრუტუსს კაკუნით ვანიშნე, დავიძრათ-მეთქი. ჰარიმ პირველში ჩააგდო სიჩქარე. „ფარმოლი“ ხის ტოტების საფარველიდან აჯაყჯაყებული გამოძვრა. ჯონ კოფი ფეხებგაფარჩხული იდგა საბარგულში და

კვლავ ვარსკვლავებს აჰყურებდა. როცა ჰარი გზატკეცილზე გადავიდა, კოფიმ ცისკენ მიმითითა და აყვირდა:

- შეხედეთ, ბოს, კასიოპეა! სარწეველა სავარძელში მჯდომი ქალბატონი!

ხის კენწეროებს შორის მართლაც დავინახე თანავარსკვლავედი. თუმცა, როცა ჯონ კოფიმ სარწეველა სავარძელში მჯდომი ქალბატონი ახსენა, კასიოპეა კი არა, მელინდა მურსი გამახსენდა.

- ვხედავ, ჯონ, - ვუთხარი და მაჯაზე ხელი წავავლე, - ოღონდ დაჯექი, კარგი?

კოფი დაჯდა. ზურგით მიეყრდნო კაბინას. ცას თვალს არ აშორებდა. სახეზე უსაზღვრო ბედნიერება ეხატა. მოსახვევი მოსახვევს მოსდევდა და მწვანე გზა უფრო და უფრო უკან რჩებოდა. ჯონ კოფის დაუსრულებელი ცრემლისღვრა მცირე ხნით შეწყდა.

# 7

ჩიმნი-რიჯში ჰელ მურსის სახლამდე ორმოცი კილომეტრი იყო და ჰარი ტერვილიგერის ნელი და დანჯღრეული „ფარმოლით“ ამ მანძილის გავლას ერთ საათს მოვუნდით. ეს უჩვეულო მგზავრობა დღემდე ჩაბეჭდილი მაქვს გონებაში - მახსოვს ყოველი მოსახვევი, ყოველი შეჯანჯღარება, ყოველი დაღმართი; მახსოვს, როგორ გვეშინოდა, როცა საპირისპირო მიმართულებით მიმავალი მანქანები ჩაგვივლიდნენ გვერდით - სიტყვით ვერ აღგიწერთ, რას ვგრძნობდი საბარგულში ჯონ კოფისთან ერთად მჯდომი. ჰარის წინდახედულება გამოეჩინა და ძველი პლედები წამოეღო - მე და კოფი მათში ინდიელებივით გავეხვიეთ.

თავს დაკარგულად ვგრძნობდი - აი, ისე, ბავშვს გზა რომ დაებნევა, გარემოს ვეღარ ცნობს და აღარ იცის, შინ როგორ დაბრუნდეს. შუაღამით პატიმართან ერთად სადღაც მივდიოდი, თან უბრალო პატიმართან კი არა, არამედ ორი პატარა გოგოს მკვლელობისთვის სიკვდილმისჯილთან ერთად. მე კი მჯეროდა, რომ ის უდანაშაულო იყო, მაგრამ ვინმეს რომ გამოვეჭირეთ, ამით თავს ვერ ვიმართლებდით; თვითონაც ციხეში აღმოვჩნდებოდით და ალბათ - დინ სტენტონიც. საშინლად ჩატარებული ერთი სიკვდილით დასჯის გამო მთელი ჩემი კარიერა სასწორზე შევაგდე; კიდევ იმის გამო, რომ მჯეროდა, ჩემ გვერდით მჯდარი გოლიათი მელინდა მურსს ინოპერაბილური ტვინის სიმსივნისგან განკურნავდა. თუმცა, ვარსკვლავებს მიშტერებული ჯონ კოფის შემხედვარემ, ჩემდა უნებურად, ეს რწმენა (თუ ოდესმე მართლა გამაჩნდა ის) დავკარგე; საშარდე გზების ინფექცია უკვე შორეული და უმნიშვნელო მეჩვენებოდა, რადგან ადამიანი ყოველთვის ცდილობს მძიმე და მტკივნეული რამეების დავიწყებას (დედაჩემი ამბობდა, ქალს რომ ის ტანჯვა ახსოვდეს, რაც შვილის გა-

ჩენისას გადაიტანა, მეორეს აღარასდროს გააჩენდაო). რაც შეეხება მისტერ ჯინგლსს, იქნებ იმაზე მსუბუქად იყო დაშავებული, ვიდრე ჩვენ მოგვეჩვენა? იქნებ ჯონმა, რომელსაც აშკარად გააჩნდა ჰიპნოზური ძალა, როგორღაც დაგვაჯერა ისეთი რამ, რაც არასდროს გვინახავს? იქით კიდევ ჰელ მურსი მაკვირვებდა. იმ დღეს, როცა მის კაბინეტში დაუპატიჟებლად შევედი, აცახცახებულ, ატირებულ ბერიკაცს წავასწარი. სულ არ ჰგავდა ციხის იმ უფროსს, მე რომ ვიცნობდი. ნამდვილი ციხის უფროსი მურსი ის კაცი იყო, ვინც მისი დაჭრის მსურველ პატიმარს ხელი გადაუგრიხა; ვინც ცინიკურად მიმანიშნა, დელაკრუას ტვინი მაინც შეიხრუკება, იმის მიუხედავად, სიკვდილით დამსჯელთა რაზმს ვინ უხელმძღვანელებსო. როგორ გავიფიქრე, რომ ჰელ მურსი თავის სახლში ბავშვების მკვლელ სიკვდილმისჯილს მიგვაყვანინებდა და ცოლისთვის ხელს შეახებინებდა?

გზაში ეჭვი უფრო და უფრო მიმძაფრდებოდა. ვერ ვხვდებოდი, რატომ ჩავიდინე ის, რაც ჩავიდინე ან როგორ დავითანხმე სხვები, ამ გიჟურ ღამის მოგზაურობაში გამომყოლოდნენ. უკვე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საქმიდან მშრალად ვერ გამოვიდოდით - ამის არავითარი შანსი არ გვქონდა. თუმცა, გულის მოსაოხებლად ერთხელაც არ დამიწუწუნია. სიტუაციის მართვის სადავეები სრულად მხოლოდ ჰელ მურსის სახლთან მიახლოებისას დავკარგეთ. მანამდე... არ ვიცი, ალბათ, ჩემ გვერდით მჯდომი გოლიათისგან მომავალმა აღფრთოვანების ტალღებმა შემაჩერა, რომ კაბინაზე არ მიმეკაკუნებინა და ჰარისთვის არ დამეყვირა, სანამ დროა, ისევ საპატიმროში დავბრუნდეთ-მეთქი.

ასეთი აზრები მიტრიალებდა თავში, როცა გზატკეცილიდან ოლქის მე-5 ტრასაზე გადავედით, მე-5 ტრასიდან კი - ჩიმნი-რიჯის გზაზე. თხუთმეტი წუთის შემდეგ სიბნელეში სახლის სახურავის სილუეტი გამოიკვეთა და მივხვდი, რომ უკვე მივედით.

ჰარიმ სიჩქარე მეორედან პირველზე გადართო (მგონი, მთელი გზა ნელა იარა და მხოლოდ ერთხელ გადართო უმაღლესზე). ძრავა შეჯანჯღარდა და მასთან ერთად მთელ მანქანას ჟრუანტელმა დაუარა, თითქოს მასაც ეშინოდა იმის, რაც წინ გველოდა. ჰარიმ „ფარმოლი“ მოხრეშილ ეზოში შეიყვანა და ჰელ მურსის კომფორტული შავი „ბიუიკის“ უკან დააყენა. წინ, ჩვენგან ოდნავ მარჯვნივ, კოხტა სახლი იდგა. ამ სტილის სახლებს, მგონი, კეიპკოდს[31] უწოდებენ. ასეთი სახლი ჩვენს მთებში ცოტა შეუსაბამოდ კი უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ სინამდვილეში ძალიან მომხიბლავი ჩანდა. წინა ღამესთან შედარებით უფრო გავსებული მთვარე უკვე ამოსულიყო და მის შუქში ყოველთვის კოხტად მოვლილი ეზო მიულაგებელი მომეჩვენა. მთელი ეზო ხმელი ფოთლებით იყო მოფენილი. როგორც წესი, ეზოს მელინდა გვიდა ხოლმე, მაგრამ მას ახლა ფოთლების მოსაგველად არ ეცალა და ალბათ, მომავალ ფოთოლცვენას ვეღარც მოესწრებოდა. აი, ასეთი იყო მკაცრი რეალობა და უსათუოდ შევშლილვარ, თუ მეგონა, რომ ეს გამოშტერებული იდიოტი რამეს შეცვლიდა.

იქნებ ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება-მეთქი, გავიფიქრე. წამოვდექი, მხრებიდან პლედი ჩამომიცურდა და წინ გადავიხარე, რომ მძღოლის ფანჯარაზე მიმეკაკუნებინა და ჰარისთვის მეთქვა, სანამ დროა, დავახვიოთ აქედან-მეთქი, რომ...

ჯონ კოფიმ მკლავზე თავისი ვეება ხელი წამავლო და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ბავშვივით დამსვა თავის გვერდით.

- შეხედე, ბოს, - მიმანიშნა, - ვიღაცამ გაიღვიძა.

მის თითსგავაყოლე თვალი და ლამის გული გამიჩერდა. ერთერთ გვერდითა ფანჯარაში შუქი აინთო. ეს ის ოთახი იყო, სადაც მელინდა ახლა უკვე დღე და ღამე იწვა. ალბათ, კიბეზე სიარულის

[31] არქიტექტურული სტილი, რომელსაც სათავე ნიუ-ინგლენდში დაედო და დაბალი, სართულნახევრიანი შენობით, ორფერდა სახურავით, ფრონტონითა და საკვამურით ხასიათდება.

თავი აღარ ჰქონდა, ისევე, როგორც ნაავდრალზე ჩამოცვენილი ფოთლების გადაყრისა.

რასაკვირველია, ხმაური გაიგონეს - ჰარი ტერვილიგერის დაწყევლილი „ფარმოლი“ უმაყუჩო გამოსაბოლქვი მილის მთელ სიგრძეზე გრუხუნებდა და ხრიწინებდა. ჯანდაბა, თან მურსებს ეს ბოლო ღამეები წესიერად, ალბათ, არც ეძინათ.

ამასობაში შუქი წინა ფანჯარაში (სამზარეულოში) აინთო, შემდეგ სამზარეულოს ზემოთ მდებარე მისაღებში და ბოლოს - ვერანდაზე გამომავალ ჰოლში. თითქოს ბეტონის კედელთან ვიდექი ბოლო ღერი სიგარეტით ხელში და ჩემ დასახვრეტად მწყობრი ნაბიჯით მომავალი ჯარისკაცების რაზმს ველოდი. მაშინაც კი, როცა „ფარმოლის“ ძრავას არათანაბარი გრუხუნი მიწყნარდა და კაბინიდან ჰარი და ბრუტუსი გადმოვიდნენ, არ დამიკარგავს იმის იმედი, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ყველაფრის გამოსწორება.

ჯონ კოფი წამოდგა და მეც წამომაყენა. მკრთალ შუქში მისი სახე გამოცოცხლებული და ბედნიერი მეჩვენა.

„რატომაც არა? - გავიფიქრე. - ის ხომ სულელია.“

ბრუტუსი და ჰარი მხარდამხარ იდგნენ და ჩემსავით დაბნეულები და შეშინებულები ჩანდნენ. მათ დანახვაზე უარესად ვიგრძენი თავი.

ჯონი ძირს ჩახტა. უფრო სწორად, ჩახტომა არ დასჭირვებია, ჩავიდა. მე უკან მივყევი, დაღონებული და ფეხებგაშეშებული. მოხრეშილ მიწაზე გავიშხლართებოდი, ჯონს რომ არ დავეჭირე.

- შეცდომას ვუშვებთ, - დაიჩურჩულა ბრუტუსმა. თვალები გაფართოებოდა და შიგ შიში ჩადგომოდა, - ღმერთო, პოლ, ნეტა რას ვფიქრობდით?

- ახლა უკვე გვიანია, - ვთქვი და კოფის ვუბიძგე. ის მორჩილად დადგა ჰარის გვერდით. მე ბრუტუსს ხელკავი გამოვდე, თითქოს

პაემანზე შეყვარებულ გოგოსთან ვიყავი და ვერანდისკენ წავიყვანე. - მე დაველაპარაკები, გასაგებია?

- კი, - თქვა ბრუტუსმა, - ამჟამად მხოლოდ ეს არის ჩემთვის გასაგები.

- მანქანასთან დარჩით, სანამ დაგიძახებდეთ! - მხარუკუღმა გავძახე ჰარის. - არ მინდა, მურსმა დაინახოს, სანამ მზად არ ვიქნები, - „თუ ოდესმე ვიქნები მზად“, - დავამატე გულში.

მე და ბრუტუსი უკვე საფეხურებთან ვიდექით, როცა სადარბაზო კარი სწრაფად გაიღო და კარის სახელური კედელს დაეტაკა. გარეთ პიჟამისშარვლიანი, ზოლიანპერანგიანი და ჭაღარა თმააწეწილი ჰელ მურსი გამოვიდა. მან კარგად იცოდა, რომ თავისი კარიერის მანძილზე ათასობით ადამიანი გადაიმტერა. მარჯვენა ხელით პისტოლეტი ჩაებღუჯა და მისი არანორმალურად გრძელი ლულა სულაც არ იყო იატაკისკენ მიშვერილი. „ნედ ბანტლაინ სპეშლის“ სახელით ცნობილი ეს კოლტი ბაბუისგან ერგო მემკვიდრეობით და მისი ლულის დანახვაზე სულ გადამეწურა იმედი.

- ღამის სამის ნახევარზე ვინ ოხერი დამადექი თავზე? - იკითხა მან. მის ხმაში შიში საერთოდ არ იგრძნობოდა. აღარც ხელები უცახცახებდა. პისტოლეტს მტკიცედ უმიზნებდა ბრუტუსს ყელში. - მიპასუხე, თორემ... - და ჩახმახი შეაყენა.

- არ ისროლოთ, ბოს! - ხელები ასწია ბრუტუსმა. ასეთი შეშინებული ბრუტუსი ჯერ არ მენახა; თითქოს ჰელ მურსის ცახცახი მის ხმას გადაედო. - ჩვენ ვართ! მე, პოლი და... ჩვენ ვართ!

ბრუტუსმა წინ გადადგა ნაბიჯი, რომ ვერანდის შუქი სახეზე დასცემოდა. მეც მას მივბაძე. ჰელ მურსმა ჯერ ერთს შემოგვხედა, მერე - მეორეს და სახეზე მრისხანება გაკვირვებით შეეცვალა.

- აქ რას აკეთებთ? - გვკითხა მან. - ბიჭებო, ჯერ ერთი, ღამეა, მერე მეორეც, ამაღამ ციხეში მორიგეობთ. ვიცი, განრიგი სახელოსნოში მაქვს გამოკრული. აბა, რა ჯანდაბა ხდება... ო, ღმერ-

თო, რამე არეულობა ხომ არ დაიწყო? ამბოხია? - უცებ ჩვენ ზურგს უკან გაიხედა. - მანქანასთან ვინ დგას?

ბრუტუსს კი ვუთხარი, მე დაველაპარაკები-მეთქი, მაგრამ დალაპარაკების დრო რომ მოვიდა, ხმა ვერ ამოვიღე. შუადღისას ზუსტად დავგეგმე, რა უნდა მეთქვა ჰელ მურსისთვის, რომ ჩემი სიტყვები სრულ სიგიჟედ არ მოჩვენებოდა. რასაკვირველია, დიდი იმედი არ მქონდა, რომ დამიჯერებდა, მაგრამ ისეთი არადამაჯერებელიც არ უნდა ვყოფილიყავი, შინ შეშვებასა და ჩვენთვის, უფრო სწორად, ჯონისთვის ერთი შანსის მიცემაზე უარი ეთქვა. თუმცა, ჩემი დაზეპირებული ტექსტი დაბნეულობამ საერთოდ გადამავიწყა. ჩემს თავში აზრები და სურათები (ცეცხლწაკიდებული დელაკრუა, მომაკვდავი თაგვი, „ბებერ ნაპერწკალას“ კალთაში აფართხალებული პიპინას წივილ-კივილი - შებრაწული ინდაური ვარო) ისე ტრიალებდა, როგორც ქვიშა უდაბნოს ქარიშხალში. მწამს, რომ ამქვეყნად სიკეთე არსებობს და მას ამა თუ იმ გზით უფალი ღმერთი გასცემს, თუმცა, სხვა ძალისაც მწამს, რომელიც იმ ღმერთივით რეალურია, რომლის სახელზეც მთელი ცხოვრებაა, ვლოცულობ; ეს ძალა ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ჩვენი დადებითი მისწრაფებები არარაობად აქციოს. სატანას კი არ ვგულისხმობ (თუმცა, მისი არსებობისაც მწამს), არამედ განხეთქილების დემონს, ცელქსა და ბრიყვს, რომელიც მხიარულად ხარხარებს, როცა მოხუცს ჩიბუხის მოკიდებისას ცეცხლი წაეკიდება ან ყველასთვის საყვარელი ყრმა პირველ საშობაო საჩუქარს პირში ჩაიდებს და დაიხრჩობა. „ქოულდ მაუნთინიდან“ მოყოლებული „ჯორჯია პაინსამდე“, მრავალი წელია ამაზე ვფიქრობ და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ძალა იმ ღამით ჩვენს დასაბნევად აქტიურად ამოქმედდა, ჩვენ შორის ბურუსივით ჩამოწვა და სცადა, ჯონ კოფის მელინდა მურსამდე არ მიეღწია.

- ბოს... ჰელ... მე... - ენა დამება და სათქმელს თავი ვერ მოვაბი.

ჰელ მურსი აღარ მისმენდა. მან პისტოლეტი ისევ ასწია და ჩემსა და ბრუტუსს შორის ვიღაცას დაუმიზნა. და, აი, ისიც, მომხიბლავად მომღიმარი ჩვენი ჯონ კოფიც გამოჩნდა; თან ჰარი ტერვილიგერს მოათრევდა.

- კოფი, - კბილებში გამოსცრა მურსმა, - ჯონ კოფი, - ჩაიხვნეშა და ხმამაღლა, მტკიცედ დაუყვირა: - შეჩერდი! არ გაინძრე, თორემ გესვრი!

ჰელ მურსის ზურგს უკნიდან ქალის სუსტი და აკანკალებული ხმა მოისმა:

- ჰელ? მანდ რას აკეთებ? ვის ელაპარაკები, შე გამოსირებულო ნაბიჭვარო?

მურსი წუთით იქით შეტრიალდა, საიდანაც ხმა მოესმა. დაბნეული და შეწუხებული გამომეტყველება ჰქონდა. რომ მომენდომებინა, ამ ერთ წუთში გრძელლულიან პისტოლეტს ხელიდან გამოვგლეჯდი, მაგრამ საკუთარი ხელები არ მემორჩილებოდა. ისე დამმძიმებოდა, თითქოს ზედ ლოდები გამომაბესო. ჩემს თავში აზრები ერთმანეთში ირეოდა და ისეთი შიშინი ჩამესმოდა, თითქოს ელექტრულ ქარიშხალში რადიო სიგნალის გადაცემას ცდილობენო. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჰელ მურსის მეშინოდა და მრცხვენოდა.

ჰარი და ჯონ კოფი კიბის ქვედა საფეხურთან დადგნენ. ჰელ მურსი ისევ ჩვენკენ შემოტრიალდა და პისტოლეტი დაგვიმიზნა. მოგვიანებით გაგვიმხილა, დიახ, მართლაც ვაპირებდი ჯონ კოფისთვის სროლასო. უფიქრია, რომ ყველა მძევლებად აგვიყვანეს და ვიღაც - მანქანის უკან, სიბნელეში მიმალული, ცდილობდა თავისი მიზნებისთვის ჩვენს გამოყენებას. იმას ვერ მიმხვდარა, ამ შუაღამით ვინ უნდა დასხმოდა თავს, მაგრამ მიზეზი, ალბათ, შურისძიება იქნებოდაო, უფიქრია.

მაგრამ სანამ ის სროლას მოასწრებდა, ჰარი ტერვილიგერი ჯონ კოფის გადაეფარა. ჰარიმ ეს თავისი ნებით გააკეთა, ჯონ კოფის არ დაუძალებია.

- არა, ბოს მურს! - თქვა მან. - ყველაფერი რიგზეა! შეიარაღებული არ ვართ. არავის არაფერი დაუშავდება. აქ თქვენს დასახმარებლად მოვედით!

- დასახმარებლად? - მურსმა ხშირი წარბები შეჭმუხნა. თვალები გააკვესა. მე პისტოლეტის გრძელ ლულას ვერ ვაშორებდი თვალს. - რაში უნდა დამეხმაროთ? ან ვის უნდა დაეხმაროთ?

ამ კითხვის პასუხად კვლავ ქალის უკმაყოფილო და განაწყენებული ხმა გაისმა:

- შემოდი შიგნით და ფეხებშუა გამთხარე, შე ნაბიჭვარო! შენი არამზადა მეგობრებიც შემოიყვანე! რიგრიგობით მიხმარენ!

სულით ხორცამდე შეძრულმა შევხედე ბრუტუსს. გინება გასაგებია - ტვინის სიმსივნე მელინდას როგორღაც გინებას აიძულებდა - მაგრამ ეს უბრალო გინებაზე გაცილებით მეტი იყო.

- აქ რას აკეთებთ?.. - ხმის სიმტკიცე შეერყა ჰელ მურსს. ეს მისი ცოლის გინებამ ქნა, - ვერ გამიგია. ვინმე ციხიდან გაიქცა თუ?

ჯონმა ჰარი განზე გასწია - ასწია და გადასვა - და ვერანდაზე ავიდა. ჩემსა და ბრუტუსს შორის ჩადგა. იმხელა იყო, კინაღამ მოაჯირიდან მელინდას ბაძგის ბუჩქებში გადაგვყარა. მურსმა თვალები ზეაღაპყრო, თითქოს კაცს კი არა, ხის კენწეროს შეჰყურებსო. უეცრად ჩემთვის ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა. განხეთქილების დემონი, რომელსაც ჩემი სულისა და გონებისთვის კლანჭები ჩაევლო, გაქრა. მგონი, იმასაც მივხვდი, რატომ არ დაიბნა ჩვენი ბოსის წინაშე ჰარი, როცა მე და ბრუტუსი გაქვავებულები და გაშტერებულები უმოქმედოდ ვიდექით კიბის საფეხურზე. ჰარის ჯონი ედგა გვერდით... ხოლო ჯონ კოფის სხეულში იმ ღამით დემონური სულის მძლეველ ძალას დაებუდებინა. როცა ჯონი ჰელ მურსს მიუახლოვდა, ამ თეთრმა ძალამ - დიახ, სწო-

რედ თეთრად მესახება ეს ძალა - დაძაბული ვითარება განმუხტა. ის დემონური სული არსად წასულა, მაგრამ უეცრად გამობრწყინებულ კაშკაშა შუქში ღამის ჩრდილივით უკან დაიხია.

- მინდა დაგეხმაროთ, - თქვა ჯონ კოფიმ. გაოგნებული ჰელ მურსი პირდაღებული მიაჩერდა მას. კოფიმ ხელიდან პისტოლეტი გამოართვა და მე გადმომცა, მაგრამ ჰელს, მგონი, ეს საერთოდ არ უგრძნია. ფრთხილად დავწიე ჩახმახი. მოგვიანებით, ცილინდრი რომ შევამოწმე, ცარიელი აღმოჩნდა. ვერ გეტყვით, იცოდა თუ არა ეს ჰელმა. ამასობაში ჯონი ბუტბუტს განაგრძობდა. - მინდა მას დავეხმარო. მხოლოდ დავეხმარო და მეტი არაფერი.

- ჰელ! - საძინებლიდან დაიძახა მელინდამ. უფრო ხმამაღლა ყვიროდა, მაგრამ მის ხმაში შიში იგრძნობოდა, თითქოს იმ ავსულმა ჩვენი სხეულები რომ დატოვა, ახლა მელინდას შეაფარა თავიო. - ახლავე გაყარე ეგენი სახლიდან! ამ შუაღამით კომივოიაჟორები არ გვჭირდება! არანაირი „ელექტროლუქსის“ მტვერსასრუტები! არანაირი ფრანგული ქვედა საცვლები! გაყარე! უთხარი, დაახვიონ აქედან, სანამ... - უცებ რაღაც გატყდა - ალბათ, ლარნაკი - და მელინდა აქვითინდა.

- მხოლოდ დახმარება მინდა, - ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა ჯონ კოფიმ. ქალის ქვითინს და ლანძღვა-გინებას ყურადღებას არ აქცევდა.

- ვერ დაეხმარები, - თქვა მურსმა, - ვერავინ დაეხმარება, - ეს ხმის ტონი მეცნო. სწორედ ასე ჟღერდა ჩემი ხმა იმ ღამით, სანამ ჯონ კოფის საკანში შევიდოდი და განმკურნავდა. დაჰიპნოზებული ვიყავი. შენს საქმეს მიხედე და ჩემსას მე მივხედავ-მეთქი, ვუთხარი დელაკრუას... ოღონდ სინამდვილეში ჩემზე იმ წუთას კოფი ზრუნავდა, როგორც ახლა ჰელ მურსზე.

- ვფიქრობთ, რომ დაეხმარება, - თქვა ბრუტუსმა, - აქ მოსვლით სამსახურის დაკარგვისა და ციხეში აღმოჩენის საფრთხეში ჩავიგდეთ თავი და მცდელობის გარეშე უკან ნუ გაგვაბრუნებთ.

ამის თქმას სამი წუთის წინ მე ვაპირებდი.

თუმცა, ჯონ კოფიმ თამაში თავის თავზე აიღო. მან კარის ზღურბლს გადააბიჯა და ჰელ მურსს გვერდით ჩაუარა. ჰელ მურსმა უძლური ხელი ასწია მის შესაჩერებლად (მისი ხელი კოფის თეძოზე მოხვდა და ძირს ჩაცურდა; დარწმუნებული ვარ, გოლიათს მისი შეხება არც უგრძნია), მერე სასტუმრო ოთახში შელასლასდა, სასტუმრო ოთახიდან - სამზარეულოში და იქიდან - საძინებელში, სადაც მელინდა მურსი შეცვლილი ხმით ისევ აყვირდა.

- აქ არ შემოხვიდეთ! გარეთ დარჩით! არ მაცვია. ძუძუები მიჩანს და საშოს ვინიავებ!

ჯონი ყვირილს ყურადღებას არ აქცევდა და უყოყმანოდ მიდიოდა წინ თავჩაქინდრული, რომ ელექტროლამპებს არ შეჯახებოდა. მოტვლეპილი ყავისფერი თავი უბზინავდა. ხელებს არხეინად აქნევდა. რამდენიმე წამში ჩვენც უკან მივყევით. მე წინ მივდიოდი, ბრუტუსი და ჰელი მხარდამხარ მოდიოდნენ, სულ ბოლოს - ჰარი მოგვყვებოდა. ერთ რამეს უკვე ზუსტად ვხვდებოდი: ყველაფერი ჯონ კოფიზე იყო დამოკიდებული.

# 8

ქალი საძინებელში, რომელიც საწოლის თავს მიყრდნობილი წამომჯდარიყო და თვალებგაფართოებული უყურებდა შავკანიან გოლიათს, საერთოდ არ ჰგავდა იმ მელინდა მურსს, რომელსაც ბოლო ოცი წელი ვიცნობდი; იმ მელინდა მურსსაც კი არ ჰგავდა, მე და ჯენისმა რომ ვინახულეთ დელაკრუას სიკვდილით დასჯამდე მცირე ხნით ადრე. საწოლზე წამომჯდარი ქალი ჰელოუინის ღამეს ალქაჯად გადაცმულ ავადმყოფ ბავშვს ჰგავდა. ფერმიხდილი სახე დანაოჭებოდა. მარჯვენა უპე გასივებოდა და ისე ჩანდა, თითქოს თვალს გიკრავსო. ქვედა ტუჩის მარჯვენა მხარე ჩამოვარდნოდა და ჩაყვითლებული ეშვი მოუჩანდა. შეთხელებული, აწეწილი თმა თავზე ბურუსივით შემოხვეოდა. ჰაერში ტრიალებდა სიმყრალე, რომელსაც, ადამიანის სხეული, როგორც წესი, განსაკუთრებული მორიდებით გამოსცემს. საწოლის გვერდით მდგარი ღამის ქოთანი მყრალი, ყვითელი ბლანტი ნივთიერებით იყო სავსე. შეძრწუნებულმა გავიფიქრე, მგონი, დავაგვიანეთმეთქი. სულ რამდენიმე დღის წინ მელინდა იცნობოდა - კი, ავად იყო, მაგრამ თავის თავს ჰგავდა - და ამ მცირე დროში ვითარება ისე მკვეთრად გაუარესებულიყო, რომ დავეჭვდი, შეძლებდა თუ არა ჯონ კოფი მის შველას.

კოფის დანახვაზე მელინდა დაფრთხა და დაიზაფრა - თითქოს მასში ჩაბუდებულმა ავსულმა იცნო ექიმი, რომელიც მის განდევნას და მოშორებას შეძლებდა... მარილს მოაყრიდა, როგორც სხეულს მიწებებულ წურბელას, რომ ჩამომწყდარიყო. ახლა ყურადღებით მისმინეთ: მე იმას არ ვამბობ, რომ მელინდა მურსი ეშმაკს ჰყავდა შეპყრობილი, თუმცა, ისეთი აღელვებული ვიყავი, იმ ღამით, ალბათ, აღქმის უნარიც დამიქვეითდა. ისე კი, ეშმაკეულების არსებობისა დღემდე მწამს. დამიჯერეთ, მელინდას თვა-

ლებში შიში დავინახე. შიშის გამოვლინება ბევრჯერ მინახავს და ნამდვილად შეგიძლიათ მენდოთ სიტყვაზე.

თუმცა, მელინდას მზერაში შიშის გრძნობა სწრაფად გაქრა და მისი ადგილი ცხოველმა, ირაციონალურმა ინტერესმა დაიკავა. დამახინჯებული პირი ამოძრავდა და რაღაც სიცილის მაგვარი ხმა ამოუშვა.

- რამხელაა! - დაიყვირა მელინდამ პატარა გოგონასავით, რომელიც ყელის ინფექციისგან ეს-ესაა, გამოკეთდა. სახესავით გათეთრებული ხელები საბნიდან აიღო და ტაში შემოჰკრა. - ჩაიხადე შარვალი! სულ მესმის, ზანგებს დიდი ყლეები აქვთო და, აბა, ერთი, მაჩვენე!

ჩემ ზურგს უკან სასოწარკვეთილმა მურსმა ამოიოხრა.

ჯონ კოფის მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მცირე ხანს შორიდან აკვირდებოდა ქალს და მერე ტუმბოზე მდგარი ლამპით განათებულ საწოლს მიუახლოვდა. ლამპის შუქი მელინდას საღამური პერანგის საყელომდე გადაფარებულ თეთრ საბანს ეცემოდა. საწოლის უკან, სიბნელეში, ვერანდიდან შემოტანილი შეზლონგი და ზედ გადაკიდებული, ნახევრად იატაკზე ჩაცურებული, მელინდას მიერ ბედნიერ დღეებში მოქსოვილი თავშალი შევამჩნიე.

ჯონის მიახლოებაზე მელინდას მესამედ შეეცვალა სახე. უეცრად ისევ ის მელინდა დავინახე, რომელიც გულით გვამხნევებდა მე და, განსაკუთრებით, მარტო დარჩენილ ჯენისს, როცა ჩვენი შვილები დაფრთიანდნენ და ბუდიდან გაგვიფრინდნენ. მელინდა კვლავ დაინტერესებული ჩანდა, მაგრამ ამჯერად ეს ინტერესი რაციონალური იყო.

- ვინ ხარ? - გარკვევით იკითხა მან. - ხელებზე ამდენი ნაიარევი რატომ გაქვს? ასე მწარედ ვინ გცემა?

- არ მახსოვს, რატომ მაქვს ამდენი ნაიარევი, ქალბატონო, - მორიდებით უპასუხა ჯონ კოფიმ და საწოლზე ჩამოჯდა.

მელინდამ რაც შეიძლებოდა, კარგად გაუღიმა, პირის მარჯვენა კუთხე აუცახცახდა, მაგრამ არ გასწორებია. კოფის მკლავზე იატაგანის ფორმის თეთრ ნაიარევს გადაუსვა ხელი.

- ეს ღვთიური მადლია! ხვდები, რატომ?

- ალბათ, იმიტომ, რომ როცა არ იცი, ვინ გცემა ან ძაღლი ვინ მოგიქსია, ღამ-ღამობით მშვიდად გძინავს, - თითქმის სამხრეთული აქცენტით თქვა კოფიმ.

მელინდას გაეცინა და მისი ხმა მყრალ ოთახში ოქროს წკარუნივით გაისმა. ჰელი გვერდით მედგა და მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ ჩარევას არ ცდილობდა. როცა მელინდამ გაიცინა, ჰელს სუნთქვა შეეკრა და მხარზე ძლიერად მომიჭირა ხელი. მეორე დილით შევამჩნიე, რომ მხარი დამლურჯებოდა, მაგრამ იმ ღამით ტკივილი საერთოდ არ მიგრძვნია.

- რა გქვია? - ჰკითხა მელინდამ.

- ჯონ კოფი, ქალბატონო.

- ჟღერს, როგორც „ყავა“.

- დიახ, ქალბატონო, ოღონდ სხვანაირად იწერება.

მელინდა ბალიშებზე გადაწვა. კოფისთვის თვალი არ მოუშორებია. კოფი გვერდით ეჯდა და მას უყურებდა. ლამპის შუქი ორივეს სახეზე დაჰნათოდა, როგორც მსახიობებს სცენაზე - პატიმრისსამოსიან შავკანიან გოლიათს და ტანდაბალ, მომაკვდავ თეთრკანიან ქალს. მელინდა ჯონ კოფის აღფრთოვანებული შესციცინებდა თვალებში.

- ქალბატონო?

- დიახ, ჯონ კოფი? - დაიჩურჩულა მან და მისმა სიტყვებმა სიმყრალით დამძიმებულ ჰაერში ჩვენამდე ძლივს მოაღწია. სხეულის ყველა კუნთი დამეჭიმა. თითქოს ძალიან ყრუდ ვიგრძენი, როგორ მომეჭიდა მხარზე ციხის უფროსი. ცალი თვალით დავი-

ნახე ღამით გზააბნეული ბავშვებივით ერთმანეთს მიხუტებული ჰარი და ბრუტუსი. რაღაც უნდა მომხდარიყო. რაღაც დიდი. ეს ყველამ ჩვენებურად ვიგრძენით.

ჯონ კოფი მელინდასკენ გადაიხარა. საწოლის ზამბარები აჭრიალდა. ზეწრები აშრიალდა. საძინებლის ფანჯრიდან ცივად მოღიმარმა მთვარემ შემოიჭყიტა. კოფი ჩასისხლიანებული თვალებით იკვლევდა დანაოჭებულ, დატანჯულ სახეს.

- აა, გასაგებია, - ჩაილაპარაკა მან თავისთვის, - გასაგებია. შველა შემიძლია. არ გაინძრეთ. ოღონდ არ გაინძრეთ.

უფრო და უფრო უახლოვდებოდა მელინდას. მის ვეება სახეს მელინდას სახისგან ორიოდ სანტიმეტრიღა აშორებდა. ცალი ხელი ასწია და თითები გაფარჩხა, თითქოს გვეუბნება, მოიცადეთ, მოიცადეთო... მერე თავი კიდევ უფრო დასწია, სქელი, გლუვი ტუჩები მელინდას ტუჩებს მიაწება და პირი გააღებინა. შევამჩნიე, როგორ გაკვირვებით იყურებოდა მელინდა სადღაც კოფის მიღმა. მერე კოფის მოტვლეპილმა თავმა მელინდას სახე სრულიად დაფარა.

გაისმა სტვენისმაგვარი ხმა. კოფიმ მელინდას ფილტვებიდან ამოსული ჰაერი ჩაისუნთქა. ეს სულ ორიოდ წამს გაგრძელდა და მერე ჩვენ ირგვლივ მთელი სახლი დატრიალდა. მხოლოდ მე არ მომჩვენებია ასე. მოგვიანებით ყველამ იგივე გაიხსენა. მსხვრევის ხმა გაისმა. სასტუმრო ოთახში ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებული ჰელის კედლის საათი ჩამოვარდა. შემდგომში ჰელ მურსმა მისი შეკეთება ბევრჯერ სცადა, მაგრამ საათი ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ ჩერდებოდა ხოლმე.

კიდევ ერთხელ გაისმა მსხვრევის ხმა. ფანჯარაში, რომლიდანაც მთვარე იჭყიტებოდა, მინა ჩაიმსხვრა. კედელზე ჩამოკიდებული მინისჩარჩოიანი ნახატი - შორეულ ზღვებში მცურავი იალქნიანი გემი - ჩამოვარდა და მინა იატაკზე დაიფშვნა.

სიმხურვალე ვიგრძენი. მელინდას საბნის ქვემოდან ამომავალი კვამლი შევამჩნიე. ქალის მარჯვენა ფეხს ზემოთ საბნის მონაკვეთი გაშავდა. ჰელ მურსის ხელი მოვიშორე და მთვარეულივით მივბარბაცდი მაგიდასთან, რომელზეც წყლით სავსე გრაფინი იდგა. გრაფინის ირგვლივ რყევისას წაქცეული აბების სამიოთხი კოლოფი ეგდო. გრაფინს ხელი დავავლე და წყალი მხრჩოლავ საბანს გადავასხი. შიშინი გაისმა.

ჯონ კოფი ვნებიანად და ინტიმურად კოცნიდა მელინდა მურსს. ისუნთქავდა და ისუნთქავდა ჰაერს. ცალი ხელი კვლავ გამაფრთხილებლად გამოეშვირა, მეორეთი საწოლს ეყრდნობოდა წონასწორობის შესანარჩუნებლად. მისი თითებგაფარჩხული ყავისფერი ხელის მტევანი ზღვის ვარსკვლავს ჰგავდა.

უეცრად მელინდას გულ-მკერდი ამოებურცა. ცალი ხელი ჰაერში აიქნია. აკანკალებული თითები რამდენჯერმე გაშალა და დაკეცა, ფეხები საწოლზე ააბრაგუნა. რაღაცამ დაიკივლა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს მხოლოდ მე არ გამიგონია. ბრუტუსმა თქვა, ხაფანგში გაბმული მგლის ან კოიოტის კივილი მეგონაო. მე კლდოვანი ქედებიდან გამთენიისას გამოფრენილი, ფრთებგაშლილი არწივის ყივილი მომაგონა.

გარეთ ქარმა ისე ძლიერად დაუბერა, სახლი ხელმეორედ შეაზანზარა - არადა სახლში რომ შევედით, ქარი საერთოდ არ ქროდა.

ჯონ კოფი მელინდას ტუჩებს მოსწყდა. მელინდას დამშვიდებული, უნაოჭო სახე დავინახე. პირის მარჯვენა კუთხე გასწორებოდა. თვალებს ნორმალური ფორმა დაბრუნებოდა და, სულ ცოტა, ათი წლით მაინც გაახალგაზრდავებულიყო. კოფი ორიოდ წუთი ყურადღებით აკვირდებოდა მას და მერე ხველა აუტყდა. თავი მკვეთრად მიატრიალა, რომ მელინდასთვის არ დაეხველებინა, წონასწორობა დაკარგა (ეს სულაც არ იყო გასაკვირი; იმხელა იყო, საწოლის კიდეზე მხოლოდ ცალი დუნდული ედო) და ძირს

დავარდა. ეს სახლის მესამედ შესაზანზარებლად საკმარისი აღმოჩნდა. მუხლებზე დაეცა და თავგადაზნექილმა ტუბერკულოზის ბოლო სტადიაზე მყოფი ავადმყოფივით დაახველა.

გავიფიქრე, ახლა ქინქლებს ამოახველებს, თან ბლომად-მეთქი.

მაგრამ არ ამოუხველებია. მხოლოდ ხველებას აგრძელებდა და სულშეხუთული, ლამის გაგუდულიყო. შეშფოთებული ბრუტუსი მიუახლოვდა, მის გვერდით ჩაიმუხლა და ხელი ფართო, დაკრუნჩხულ ზურგზე დაუტყაპუნა. ბრუტუსის განძრევამ თითქოს ჯადო აგვხსნა. ჰელ მურსი ცოლთან მიიჭრა და იქ ჩამოჯდა, სადაც რამდენიმე წუთის წინ ჯონ კოფი იჯდა. სულშეხუთულ შავკანიან გოლიათს საერთოდ ვეღარ ამჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ კოფი მის ფეხებთან ეგდო, ჰელ მურსი მხოლოდ ცოლს მიშტერებოდა. მელინდა მურსი ისე შეიცვალა, თითქოს მის ანარეკლს მტვერგადაწმენდილ სარკეში ვხედავდი.

- ჯონ! - დაუყვირა ბრუტუსმა. - ამოახველე! ამოახველე, როგორც უწინ!

ჯონი ხველას არ წყვეტდა. თვალები ცრემლებით აევსო, ოღონდ დაძაბულობისგან და არა - ტკივილისგან. ხველებისას იფურთხებოდა, მაგრამ ქინქლები არ ამოუხველებია.

ბრუტუსმა რამდენჯერმე დაარტყა ზურგზე ხელი და სასოწარკვეთილმა გამომხედა.

- იხრჩობა! რაც გამოსწოვა, ვეღარ ამოახველა და იხრჩობა!

ორი ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოვასწარი მისკენ, რომ ჯონ კოფი ხოხვით გამეცალა და ხველებ-ხველებით მიიყუჟა ოთახის კუთხეში. თავი შპალერს - ბაღის კედლებს მოდებულ ველურ ვარდებს - მიადო და ძლიერად დააბოყინა, თითქოს მთელი შიგნეულობის ამოღებას ცდილობსო. ახლა კი ნაღდად გამოფრინდებიან ქინქლები-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ კვლავ მოვტყუვდი. თუმცა, კოფიმ ოდნავ მოითქვა სული.

- კარგად ვარ, ბოს, - თქვა ველურ ვარდებზე შუბლმიდებულმა კოფიმ. თვალები დახუჭული ჰქონდა. არ ვიცი, როგორ მიხვდა, რომ მე ვიყავი, მაგრამ მიხვდა, - გეფიცებით, კარგად ვარ. თქვენ ქალბატონს მიხედეთ.

ერთი კი შევხედე დაეჭვებით და მერე საწოლისკენ შევტრიალდი. ჰელი მელინდას შუბლზე ეფერებოდა. ჩემდა გასაოცრად, ქალს თავზე თმა შესამჩნევად გაშავებოდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა მან ქმარს. ჩემ თვალწინ სახეზე ფერი დაუბრუნდა, თითქოს შპალერიდან ვარდისფერი მის ღაწვებს გადაედოო. - აქ რა მინდა? ინდიანოლის საავადმყოფოში არ ვიყავით? ექიმს ჩემი ტვინის რენტგენის სურათი არ უნდა გადაეღო?

- ჩშშშ, - გააჩუმა ჰელმა, - ჩშშშ, ძვირფასო, ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.

- კი, მაგრამ ვერაფერი გამიგია! - ლამის ატირდა მელინდა. - გზისპირა ჯიხურთან შევჩერდით... ათცენტიანი თაიგული მიყიდე... და ახლა... აქ ვარ. ბნელა! უკვე ივახშმე, ჰელ? სტუმრების საძინებელში რატომ ვწევარ? რენტგენი გადამიღეს? - ჰარის ისე გადაავლო თვალი, თითქოს ვერც შეამჩნიაო და მე მომაშტერდა. - პოლ, რენტგენის სურათი გადამიღეს?

- კი, - ვუპასუხე მე, - ვერაფერი იპოვეს.

- სიმსივნე არ მაქვს?

- არა. ექიმები ამბობენ, თავის ტკივილი მალე გაივლისო.

მის გვერდით ჩამომჯდარ ჰელს ცრემლები წასკდა. მელინდა წამოჯდა და ქმარს საფეთქელზე ეამბორა. მერე ოთახის კუთხისკენ გაიხედა.

- ეს ზანგი ვინ არის? კუთხეში რატომ ზის?

ჯონი ფეხზე წამოდგომას ცდილობდა. ბრუტუსი მიეხმარა და წამოაყენა. თუმცა, კოფი არ შემობრუნებულა და ცელქობისთვის დასჯილი ბავშვივით სახით კედლისკენ იდგა. ჯერ კიდევ ახველებდა, მაგრამ თანდათან სულს ითქვამდა.

- ჯონ, მოტრიალდი და ქალბატონს დაენახვე, - ვუთხარი მე.

ჯონ კოფი ნელ-ნელა შემოტრიალდა. სახე განაცრისფრებოდა და ჭლექთან ბრძოლაში ბოლოს და ბოლოს დამარცხებულივით, ათი წლით დაბერებულს ჰგავდა, თითქოს დანებდაო. მორიდებით დაიხედა საპატიმროს ფლოსტებზე.

- ვინ ხარ? - ხელახლა ჰკითხა მელინდამ. - რა გქვია?

- ჯონ კოფი, ქალბატონო, - უპასუხა და სასწრაფოდ დაამატა: - ჟღერს, როგორც „ყავა“, მაგრამ სხვანაირად იწერება.

ჰელი შეკრთა. მელინდამ ეს იგრძნო და დასაწყნარებლად ხელზე ხელი მოუთათუნა ისე, რომ შავკანიანი გოლიათისთვის თვალი არ მოუცილებია.

- სიზმარში გნახე, - ნაზად, გაოცებული ხმით თქვა მელინდამ. - მესიზმრა, თითქოს სიბნელეში დაეხეტებოდი. მეც სიბნელეში დავეხეტებოდი და ერთმანეთს შევხვდით.

ჯონ კოფის არაფერი უთქვამს.

- ერთმანეთს სიბნელეში შევხვდით, - თქვა მელინდამ, - ადექი, ჰელ, საწოლზე ნუ მიმალურსმე.

ჰელი წამოდგა და გაკვირვებულმა შეხედა მელინდას, რომელმაც საბანი გადაიხადა.

- მელი, არ შეიძლება...

- კარგი რა, - თქვა მელინდამ და ფეხები საწოლიდან გადმოყო, - რა თქმა უნდა, შეიძლება, - საღამური გაისწორა, გაიზმორა და წამოდგა.

- ღმერთო ჩემო, - დაიჩურჩულა ჰელმა, - ღმერთო დიდებულო, შეხედეთ!

მელინდა ჯონ კოფისკენ წავიდა. გაოგნებული ბრუტუსი განზე გადგა. პირველ ნაბიჯზე მელინდა ოდნავ შებარბაცდა, მაგრამ წონასწორობა არ დაუკარგავს და მყარად დადგა. მერე მწყობრი ნაბიჯით განაგრო სვლა. გამახსენდა, ბრუტუსმა დელაკრუას ჭრელი კოჭი რომ მისცა და უთხრა, გააგორე, მაინტერესებს, მის-

ტერ ჯინგლსი თუ გაეკიდებაო. მისტერ ჯინგლსი იმ პირველ დღეს ოდნავ კოჭლობდა, მაგრამ მომდევნო, დელაკრუას სიკვდილით დასჯის ღამეს, ჩვეულებრივად დარბოდა.

მელინდა ჯონ კოფის გადაეხვია. კოფი არ შეწინააღმდეგებია და წუთის შემდეგ ცალი ხელით თვითონაც მიეფერა შუბლზე. ეს ძალიან ნაზად გააკეთა. სახე ისევ ნაცრისფერი ჰქონდა. მომეჩვენა, რომ ძალიან ცუდად იყო.

მელინდა წამოდგა და უთხრა:

- გმადლობ.

- არაფერს, ქალბატონო.

მელინდა ჰელთან მივიდა და ამჯერად მას გადაეხვია.

- პოლ... - ჰარიმ დამიძახა. მაჯის საათის ციფერბლატზე თითს აკაკუნებდა. სამი საათი სრულდებოდა. ხუთის ნახევრისთვის უკვე გათენებას დაიწყებდა. ჯონ კოფის საპატიმროში დაბრუნება მანამდე უნდა მოგვესწრო. ნაწილობრივ, იმიტომ მეჩქარებოდა, რომ გზაში ჯონ კოფისთან ერთად ჩვენი გამოჭერის შანსი იზრდებოდა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის მინდოდა, რომ კოფი სწრაფად დამებრუნებინა საკანში, რადგან თუ მისი მდგომარეობა გართულდებოდა, ექიმის გამოძახების კანონიერი უფლება მექნებოდა. სახეზე ძალიან ცუდი ფერი ედო.

ჩახუტებული მურსები საწოლის კიდეზე ჩამომსხდარიყვნენ. ვიფიქრე, ჰელს ცალკე დასალაპარაკებლად სასტუმრო ოთახში გავიყვან-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მას ახლა ჩემთვის არ ეცალა და მაინც არ მომისმენდა. ალბათ, მზის ამოსვლამდე განკურნებული ცოლის ცქერით დატკბებოდა.

- ჰელ, ჩვენი წასვლის დროა, - ვუთხარი მე.

მან თავი დამიქნია, მაგრამ ჩემთვის არ შემოუხედავს. ცოლის აღაჟღაჟებულ ღაწვებს, მისი ტუჩების მოხაზულობას და გაშავებულ თმას აკვირდებოდა.

მხარზე ხელი დავუტყაპუნე, რომ როგორმე მისი ყურადღება მიმეპყრო.

- ჰელ, იცოდე, ჩვენ აქ არ ვყოფილვართ.

- რა?

- ჩვენ აქ არ ვყოფილვართ, - გავიმეორე, - დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკებთ, ჯერჯერობით ეს დაიმახსოვრე. ჩვენ აქ არ ვყოფილვართ.

- დიახ, გასაგებია, - თავი აიძულა, წამით ჩემთვის შემოეხედა, - კოფი გაიყვანეთ. შეძლებთ მის დაბრუნებას?

- მგონი, კი, მაგრამ ახლავე უნდა წავიდეთ.

- რა იცოდით, რომ ამას შეძლებდა? - იკითხა ჰელმა, მაგრამ მაშინვე გააქნია თავი, თითქოსმიხვდა, რომ ახლა ამის დრო არ იყო. - პოლ, გმადლობ.

- მადლობა მე კი არა, ჯონს უთხარი, - ვთქვი.

ჰელმა ჯონ კოფის შეხედა და ხელი გაუწოდა - როგორც მე პირველ დღეს, როცა კოფი ჩვენს ბლოკში ბრუტუსმა და პერსიმ შემოიყვანეს.

- გმადლობ. დიდი მადლობა.

ჯონ კოფიმ გამოწვდილ ხელს დახედა. ბრუტუსმა იდაყვი გაჰკრა. ჯონი გამოერკვა და ჰელ მურსს ხელი ჩამოართვა.

- არაფერს, - ხრინწიანი ხმით თქვა მან. მელინდას ხმა მომაგონა, როცა ტაში შემოჰკრა და კოფის უბრძანა, შარვალი ჩაიხადეო. არაფერსო, უთხრა კაცს, რომელიც იმ ხელით სხვა შემთხვევაში უყოყმანოდ მოაწერდა ხელს მისი სიკვდილით დასჯის განკარგულებას.

ჰარიმ ამჯერად უფრო დაჟინებით დააკაკუნა მაჯის საათის ციფერბლატზე.

- მხეცო, მზად ხარ?

- გამარჯობა, ბრუტუს, - მხიარულად მიესალმა მელინდა, თითქოს ახლაღა შეამჩნიაო. - მიხარია თქვენი ნახვა. ბატონებო,

ჩაის ხომ არ მიირთმევთ? შენ, ჰელ? ახლავე მოვამზადებ,- თქვა და წამოდგა, - ცუდად ვიყავი, მაგრამ ახლა უკეთ ვარ. ასე კარგად წლებია, არ ვყოფილვარ.

- გმადლობთ, მისის მურს, მაგრამ გვეჩქარება, - უთხრა ბრუტუსმა, - ჯონს ეძინება, - და გაიღიმა, ვიხუმრეო, თუმცა, ჯონს შეშფოთებულმა შეხედა.

- კარგი. თუ ეგრეა...

- დიახ, მემ. წამოდი, ჯონ კოფი, - ჯონს მკლავზე წაავლო ხელი და ისიც გაჰყვა.

- ერთი წუთით! - მელინდამ გოგონასავით ლაღად მიირბინა ჯონთან და კიდევ ერთხელ გადაეხვია. მერე ყელიდან წვრილი ძეწკვზე ჩამოკიდებული მედალიონი მოიხსნა და ჯონს გაუწოდა. ჯონმა დაბნეულმა დახედა ძეწკვს.

- ეს წმინდა ქრისტეფორეა, - უთხრა მელინდამ, - მინდა, რომ გაიკეთო, მისტერ კოფი. უბედურებისგან დაგიფარავს. გთხოვ, გამომართვი და ჩემი ხათრით ატარე.

შეწუხებულმა ჯონმა მე შემომხედა. მე ჰელს შევხედე. იმან ხელები გაშალა და თავი დამიქნია.

- აიღე, ჯონ, - ვუთხარი, - საჩუქარია.

ჯონმა გამოართვა, ძეწკვი სქელ ყელზე შეიბა და მედალიონი პერანგს ზემოთ ჩამოიკიდა. აღარ ახველებდა, მაგრამ სახეზე ნაცრისფერი ედო და უფრო ცუდად გამოიყურებოდა.

- გმადლობთ, ქალბატონო, - თქვა მან.

- არა, მადლობა შენ, ჯონ კოფი, - უპასუხა მელინდამ, - დიდი მადლობა.

# 9

უკანა გზაზე კაბინაში ჰარისთან მე მოვთავსდი და ამით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. გამათბობელი მწყობრიდან იყო გამოსული, მაგრამ გარეთ, სიცივეში მაინც არ ვიჯექი. 15 კილომეტრი გვექნებოდა გავლილი, როცა ჰარიმ ვიწრო მოსახვევი შეამჩნია, შეუხვია და მანქანა გააჩერა.

- რა მოხდა? - ვკითხე. - საკისარს რამე მოუვიდა? - ჩემი აზრით, პრობლემა მხოლოდ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო; „ფარმოლის“ ძრავისა და გადაცემათა კოლოფის ყოველი დეტალი ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს დაშლის პირას იყო.

- არა, - თქვა დარცხვენილმა ჰარიმ, - უნდა მოვფსა, თორემ ლამისაა, შარდის ბუშტი გამისკდეს.

გაირკვა, რომ ყველა გაბერილი ვიყავით. ყველა - ჯონის გარდა. როცა ბრუტუსმა უთხრა, წამო, ბუჩქები დავასველოთო, მან უარის ნიშნად თავი გააქნია. თავჩაქინდრული, კაბინას მიყრდნობილი იჯდა და მხრებზე საბანი სარაპესავით[32] წამოესხა. არაფრის მთქმელი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ მძიმედ ხვნეშოდა, თითქოს ქარი ხმელ ბალახში შრიალებსო. ეს არ მომეწონა.

ტირიფნარში შევედი, შარვლის უბე შევიხსენი და შარდვა დავიწყე. ჩემს სხეულს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა საშარდე გზების ინფექცია და თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რომ უმტკივნეულოდ ვშარდავდი. ვიდექი და სანამ შარდისგან ვიცლებოდი, მთვარეს შევყურებდი. ჩემ გვერდით მდგომ ბრუტუსს ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევდი. უცებ მან ხმადაბლა მითხრა:

- ჯონი „ბებერ ნაპერწკალაზე“ არ დაჯდება.

[32] მექსიკური შალი.

მისი თავდაჯერებული ტონით გაკვირვებულმა ბრუტუსს შევხედე.

- რას გულისხმობ?

- იმას, რომ სპეციალურად არ ამოახველა ის ქინქლები. შეიძლება, ერთი კვირა გაძლოს - ძალიან დიდი და ძლიერია - მაგრამ მეტს ვერ გაძლებს. ერთხელაც, რომელიმე ჩვენგანი ბლოკის შემოვლისას მას საწოლზე მკვდარს აღმოაჩენს.

მეგონა, შარდვას უკვე მოვრჩი, მაგრამ ამ სიტყვების მოსმენაზე რომ გამაცახცახა, კიდევ ცოტაც გადმოვაფსი. ელვაშესაკრავს რომ ვიკრავდი, ბრუტუსის სიტყვების მართებულობაზე დავფიქრდი. რატომღაც იმედი მომეცა, რომ მართლაც ასე მოხდებოდა. ჩემი აზრით, ტყუპი დეტერიკების მკვლელობაში ჯონ კოფი უდანაშაულო იყო და სიკვდილს საერთოდ არ იმსახურებდა, მაგრამ თუ მაინც სიკვდილი მოუწევდა, არ მინდოდა, მე დამესაჯა სიკვდილით. ეჭვი მეპარებოდა, რომ მასზე ხელის აღმართვას შევძლებდი.

- წამოდით, მალე გათენდება, - დაიჩურჩულა სიბნელეში ჰარიმ, - მოვრჩეთ ამ საქმეს.

მანქანასთან რომ დავბრუნდით, მაშინღა გავაცნობიერე, რომ ჯონ კოფი სრულიად მარტო დავტოვეთ - ასეთ სისულელეს პერსი უეტმორიც კი არ ჩაიდენდა. მეგონა, წასული იქნებოდა; როგორც კი მოშორებით დაგვიგულა, მაშინვე სახეტიალოდ გაიჭრა, როგორც ჰეკ ფინი და ზანგი ჯიმი მდინარე მისისიპიზე და საბარგულში მხოლოდ საბანი დაგვხვდება-მეთქი.

თუმცა, კოფი საბარგულში დაგვხვდა. ისევ კაბინას მიყრდნობოდა და ხელები მუხლებისთვის შემოეხვია. ჩვენი ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, სცადა, ჩვენთვის გაეღიმა. ღიმილი მის დამწუხრებულ სახეზე რამდენიმე წამს ეფინა და გაქრა.

- როგორ ხარ, დიდო ჯონ? - ჰკითხა ბრუტუსმა და საბარგულზე ამძვრალი, ისევ საბანში გაეხვია.

- კარგად, ბოს, - უსიცოცხლოდ უპასუხა ჯონ კოფიმ, - ყველაფერი კარგადაა.

ბრუტუსმა მუხლებზე მოუთათუნა ხელი.

- მალე დავბრუნდებით და იცი, რა? როცა დავლაგდებით, ერთ ფინჯან ცხელ ყავას დაგალევინებ. ტკბილსა და რძიან ყავას.

„კი, დაალევინებ, თუ მანამდე არ გამოგვიჭირეს და თვითონ არ გამოგვკეტეს საკანში“, - გავიფიქრე კაბინაში შეძრომისას.

თუმცა, ეს აზრი მას შემდეგ არ მცილდებოდა გონებიდან, რაც პერსი უეტმორი დამამშვიდებელ ოთახში შევაგდეთ და უკვე აღარ მაწუხებდა იმდენად, რომ ჩაძინებაში ხელი შეეშალა. ჩამთვლიმა და გოლგოთა მესიზმრა. დასავლეთში ქარიშხალი მძვინვარებდა. ღვიის სუნი მცემდა. მე, ჰარი და ბრუტუსი მოსასხამებითა და თუნუქის ჩაფხუტებით ვიდექით და სესილ ბ. დემილის ფილმის პერსონაჟებს ვგავდით. მგონი, ცენტურიონები ვიყავით. ბორცვის თხემზე სამი ჯვარი ერჭო. ჯონ კოფის მარჯვნიდან და მარცხნიდან პერსი უეტმორი და ედუარდ დელაკრუა „უმშვენებდნენ“ მხარს. საკუთარ ხელს დავხედე. სისხლიანი ურო მეჭირა.

„უნდა ჩამოვხსნათ, პოლ! - დამიძახა ბრუტუსმა. - უნდა ჩამოვხსნათ!“

მაგრამ ვეღარ ჩამოვხსნიდით, რადგან კიბე უკვე წაეღოთ. ის იყო, ბრუტუსისთვის ეს უნდა მეთქვა, რომ „ფარმოლი“ შეჯანჯღარდა და გამომეღვიძა. ჰარის მანქანის სამალავს ვუახლოვდებოდით; თითქოს მთელი საუკუნე გასულიყო მას შემდეგ, რაც იქიდან ჰელ მურსის სახლში წავედით.

კაბინიდან გადმოვედით. ბრუტუსი საბარგულიდან მსუბუქად ჩამოხტა, ჯონ კოფის კი მუხლები აუკანკალდა და ლამის ჩამოვარდა. სამივემ ერთად ძლივს დავიჭირეთ. მიწაზე ფეხი დადგა თუ არა, ისევ ხველა აუტყდა. ამჯერად უფრო ძლიერად. წელში მოიხარა და მუშტი პირზე აიფარა, რომ ხველის ხმა ჩაეხშო.

როცა კოფიმ სული მოითქვა, „ფარმოლი“ ისევ ფიჭვის ტოტებით დავფარეთ და იმავე გზით დავბრუნდით უკან, რომლითაც მოვედით. ამ სიურრეალისტური შვებულების ყველაზე მძიმე მონაკვეთი ჩემთვის ბოლო ორასი მეტრი გამოდგა,როცა გზატკეცილის გასწვრივ მივიპარებოდით. ვხედავდი (ან მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი), როგორ ნათდებოდა ცა აღმოსავლეთით და ვშიშობდი, რომ გოგრის ან კარტოფილის მოსავლის ასაღებად ადრიანად ამდგარი რომელიმე შრომისმოყვარე ფერმერი გზაზე გამოივლიდა და შეგვამჩნევდა. ან, როცა გვირაბისკენ მიმავალ, ასაწევ კარს შემორტყმულ მავთულხლართის ღობის საკლიტურს „ალადინს“ მოვარგებდი, ვინმე დაიყვირებდა (ჩემს ფანტაზიებში ეს ხმა კერტის ანდერსონის ხმას ჰგავდა): „სდექ!“ და ოცი კარაბინით შეიარაღებული მცველი გამოვიდოდა ხეებს უკნიდან. ჩვენი პატარა თავგადასავალიც ამით დასრულდებოდა.

როცა მავთულხლართის ღობეს მივადექით, გული ისე სწრაფად მიცემდა, ჩემს თვალწინ პატარ-პატარა წერტილები დაცურავდა. ხელები გამშეშებოდა და გასაღები ვერაფრით მოვარგე საკლიტურს.

- ღმერთო, მაშუქები! - წამოიძახა ჰარიმ.

გზაზე მომავალი მანქანის მაშუქების შუქი გვიახლოვდებოდა. გასაღების ასხმა ლამის ხელიდან გამივარდა; ბოლო წამს დავიჭირე.

- მომეცი, მე გავაღებ! - შემომთავაზა ბრუტუსმა.

- არა, თვითონ ვიზამ, - ვიუარე და, როგორც იქნა, გასაღები ჭრილში შეცურდა. რამდენიმე წამში უკვე შიგნით ვიყავით. კარის უკან მიყუჟულებმა დავინახეთ, როგორ ჩაუარა ციხეს პურის ფურგონმა. ჩემ გვერდით ჯონ კოფი ზეთისგან დაცლილ ძრავასავით ხრიწინებდა. იქითობისას არც გვითხოვია, ისე გაამაგრა ასაწევი კარი ჩვენთვის. მაგრამ ამჯერად ეს გამორიცხული იყო. კარი მე და ბრუტუსმა დავამაგრეთ და ჰარიმ ჯონი ჩაიყვანა კიბეზე.

გოლიათმა ერთი კი წაიბორძიკა, მაგრამ წონასწორობის შენარჩუნება შეძლო. მე და ბრუტუსმა ფრთხილად დავხურეთ კარი, ჩავკეტეთ და ჩვენც ქვემოთ ჩავედით.

- ღმერთო, მგონი... - დაიწყო ბრუტუსმა, მაგრამ გვერდზე იდაყვის გაკვრით შევაწყვეტინე.

- არაფერი თქვა, - გავაფრთხილე, - სანამ საკანში არ მივიყვანთ, ამაზე ნუ იფიქრებ.

- იქ კი პერსი გველოდება, - თქვა ჰარიმ. აგურისკედლებიან გვირაბში ჩვენი ხმა ყრუდ ისმოდა, - ეს ღამე არ დასრულდება, სანამ მას არ დავაშოშმინებთ.

როგორც შემდეგში გაირკვა, იმ ღამეს დასრულებამდე კიდევ ბევრი აკლდა.

# მეექვსე ნაწილი

## 1

„ჯორჯია პაინსის“ სოლარიუმში ვიჯექი, ხელში მამაჩემის ავტოკალამი მეჭირა და დროის მსვლელობას საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ვიხსენებდი მე, ჰარიმ და ბრუტუსმა ჯონ კოფი მომაკვდავი მელინდა მურსის გადასარჩენად ღამით ციხიდან რომ წავიყვანეთ. დავწერე, როგორ გავაბრუეთ უილიამ უორტონი, რომელიც თავს ბიჭუნა ბილის მემკვიდრედ მიიჩნევდა; ისიც დავწერე, როგორ ჩავაცვით პერსის გიჟის პერანგი და დამამშვიდებელ ოთახში როგორ ჩავკეტეთ; დავწერე ჩვენს საზარელ და უჩვეულო ღამის მოგზაურობაზე, რომელიც სასწაულით დასრულდა. ჩვენ თვალწინ ჯონ კოფიმ ქალი ლამის საიქიოდან მოაბრუნა.

ვწერდი და ვერც კი ვამჩნევდი, როგორ მიედინებოდა ჩემ გარშემო „ჯორჯია პაინსის“ ყოველდღიური ცხოვრება. მოხუცებმა ისადილეს, მერე რესურს-ცენტრში (დიახ, აქ შეგიძლიათ გაიცინოთ) შეგროვდნენ სიტკომების საღამოს დოზის მისაღებად. ჩემმა მეგობარმა ელეინმა სენდვიჩი მომიტანა, მე მადლობა გადავუხადე და სენდვიჩი შევჭამე, ოღონდ არ მახსოვს, ეს რომელ საათზე მოხდა ან რა იდო იმ სენდვიჩში. გონებით 1932 წელში ვიყავი, იმ ეპოქაში, როცა ღორისხორციან ცივ სენდვიჩს მოხუცი პიპინასგან ხუთ ცენტად ვყიდულობდით, ხოლო ხბოსხორციანს - ათ ცენტად.

მახსოვს, თანდათან სიჩუმემ როგორ დაისადგურა, როცა აქ მცხოვრები ისტორიული რელიკვიები მორიგი მშფოთვარე და უძილო ღამისთვის გაემზადნენ. მესმოდა მიკი (არც ისე კარგი სანიტარი, მაგრამ უეჭველად ყველაზე კეთილი მათ შორის) რო-

გორ არიგებდა მედიკამენტების საღამოს დოზას ოთახებში და „წითელი მდინარის ხეობას“[33] ხმამაღლა ღიღინებდა: „როგორც ამბობენ, ტოვებ ხეობას... მოგვენატრება შენი მზერა და ნაზი ღიმილი...“ სიმღერამ მელინდა და სასწაულებრივი გამოჯანმრთელების შემდეგ მის მიერ ჯონ კოფისთვის ნათქვამი სიტყვები გამახსენა, სიზმარში გნახეო; მესიზმრა, თითქოს სიბნელეში დაეხეტებოდი. მეც სიბნელეში დავეხეტებოდი და ერთმანეთს შევხვდითო.

„ჯორჯია პაინსში“ სამარისებური სიჩუმე გამეფდა. დაღამდა. ნაშუაღამევს მე ჯერ კიდევ ვწერდი. იმ ადგილამდე მივედი, როცა ჰარიმ შეგვახსენა, ჯონი ციხეში შეუმჩნევლად კი დავაბრუნეთ, მაგრამ იქ პერსი გველოდებაო. ეს ღამე არ დასრულდება, სანამ მას არ დავაშოშმინებთო, მგონი, ასე თქვა ჰარიმ.

სწორედ ამ დროს წამომეწია დაღლილობა. მამაჩემის კალამი, რომლისთვისაც მთელი დღე ხელი არ გამიშვია, განზე გადავდე, რამდენიმე წამით გაშეშებულ თითებს გავავარჯიშებ-მეთქი. მერე შუბლი მკლავზე დავდე და თვალები დავხუჭე დასასვენებლად. რომ გავახილე და თავი ავწიე, ფანჯრიდან უკვე დღის შუქი შემოდიოდა. მაჯის საათზე დავიხედე. უკვე ცხრა დაწყებულიყო. მკლავებზე თავდადებულს ბებერი ლოთივით ექვს საათს მძინებია. წამოვდექი და გავიზმორე ბებერი ძვლების გამოსაცოცხლებლად. სანამ სამზარეულოში გახუხული პურის ასაღებად და მერე სასეირნოდ წავიდოდი, მაგიდაზე მიმოყრილ ქაღალდის ფურცლებს გადავხედე. გადავწყვიტე, სეირნობა ცოტა ხნით გადამედო. რაღაც საქმე კი მქონდა, მაგრამ მისი გადადებით არაფერი დაშავდებოდა, თან იმ დილით ბრედ დოლანთან დამალობანას თამაში სულაც არ მეხალისებოდა.

[33] ქაუბოიური სასიყვარულო სიმღერა.

სეირნობის ნაცვლად წერის დასრულება დავგეგმე. ზოგჯერ სჯობს, საქმე ბოლომდე მიიყვანო, თუნდაც შენი გონება და სხეული გეწინააღმდეგებოდეს. ზოგჯერ საქმის დასრულება სხვაგვარად შეუძლებელია. იმ დილით კი, ძალიან კარგად მახსოვს, ჯონ კოფის აჩრდილის თავიდან მოშორება მინდოდა.

- კარგი, - ვთქვი ჩემთვის, - ბოლო გზაც და ეგაა. მაგრამ მანამდე...

დერეფნის ბოლოს მდებარე ტუალეტში შევედი. შარდვისას შემთხვევით ჭერზე მიმაგრებულ კვამლის დეტექტორს ავხედე და გამახსენდა, როგორ გაუფანტა ყურადღება დოლანს ელეინმა, რომ წინა დღეს ტყეში ჩემს საქმეზე გაპარვა შემძლებოდა. ტუალეტიდან გაღიმებული გამოვედი.

სოლარიუმში უკეთეს განწყობაზე დავბრუნდი (აღარც სავსე შარდის ბუშტი მაწუხებდა). ვიღაცას - უთუოდ, ელეინს, სხვა ვინ იქნებოდა - ჩემი ფურცლების გვერდით ჩაიდნით ჩაი დაედგა. პირველი ფინჯანი ხარბად დავლიე, მერე მეორე დავაყოლე და მხოლოდ ამის შემდეგ დავჯექი წერის გასაგრძელებლად.

ის იყო, ისევ მოგონებებში უნდა გადავშვებულიყავი, რომ ქაღალდის ფურცელს ჩრდილი დაეცა. ავიხედე და გული შემეკუმშა. ჩემსა და ფანჯრებს შორის დოლანი იდგა. იღიმოდა.

- ამ დილით სასეირნოდ არ წასულხარ, პოლი, - თქვა მან, - ამიტომ ვიფიქრე, ამოვსულიყავი და მენახა, რას აკეთებდი. უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ცუდად არ ხარ.

- ო, რა კეთილი გული გაქვს, - ჩავილაპარაკე. ჯერჯერობით ნორმალური ხმა მქონდა, მაგრამ ჩემს გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. ბრედ დოლანის ძალიან მეშინოდა და ამას, ალბათ, თავისი მიზეზი ჰქონდა. ბრედი პერსი უეტმორს მაგონებდა. სიმართლე ითქვას, პერსი უეტმორის მიმართ შიში არასდროს მიგრძნია... მაგრამ მაშინ ხომ ახალგაზრდა ვიყავი.

ბრედმა უფრო ფართოდ და უშნოდ გაიღიმა.

- როგორც გავიგე, მთელი ღამე აქ მჯდარხარ, პოლი, რაღაცას ჯღაბნიდაო. ეს ძალიან ცუდია. შენნაირ კუანა ბებერს ღამით დასვენება სჭირდება.

- პერსი... - დავიწყე, მაგრამ მისი შეჭმუხნილი შუბლი რომ დავინახე, შეცდომას მივხვდი. ღრმად ჩავისუნთქე და თავიდან დავიწყე, - ბრედ, რას გადამეკიდე?

წუთით დაიბნადა სახეზე ღიმილი წაეშალა. მერე ისევ დაკრიჭა კბილები.

- რავი, შეიძლება, შენი სიფათი არ მომწონს, ბებერო. რას წერ? ანდერძს?

კისერწაგრძელებული წამოვიდა ჩემკენ. მე ცალი ხელი გადავაფარე ქაღალდის ფურცელს, რომელზეც ვწერდი, მეორე ხელით კი დანარჩენი ფურცლების სასწრაფოდ მოგროვება ვცადე.

- აბა, როგორ იქცევი, ძვირფასო, - ენის მოჩლექით მითხრა დოლანმა, თითქოს ბავშვს ელაპარაკებაო, - როცა ბრედს რაღაცის ნახვა უნდა, ნახულობს კიდეც.

ახალგაზრდა და საშინლად ღონიერი ხელი მაჯაზე წამავლო და მომიჭირა. წამოვიკვნესე.

- გამიშვი.

- ჯერ მაჩვენე, რას წერ, - მითხრა მან. აღარ იღიმოდა, თუმცა, მხიარული გამომეტყველება ჰქონდა; ასეთი სახე ისეთ ტიპებს აქვთ, ცუდის კეთება რომ სიამოვნებთ, - მაჩვენე, პოლი, უნდა ვნახო, რას წერ, - ხელი ქაღალდის ფურცლიდან ამაწევინა, - უნდა გავიგო, იმაზე ხომ არ წერ, სადღაც რომ დაიპარები...

- თავი დაანებე ამ კაცს.

ხმა ზაფხულის ხვატში მათრახის გატყლაშუნებასავით გაისმა... ბრედ დოლანი ისე შეხტა, თითქოს სამიზნე მისი უკანალი ყოფილიყოს. ხელი გამიშვა და ორივე კარისკენ შევტრიალდით.

ელეინ კონელი უჩვეულოდ კარგად და ძლიერად გამოიყურებოდა. ჯინსის შარვალი ეცვა და წვრილი ტანი და გრძელი ფეხები

გამოჰკვეთოდა; თმაში ლურჯი ბაფთა ჩაეწნა. ართრიტიანი ხელებით ჩემთვის ლანგრით ხილის წვენი, ტაფამწვარი, გახუხული პური და კიდევ ერთი ფინჯანი ჩაი მოჰქონდა. თვალებს მრისხანედ აბრიალებდა.

- ნეტა ვიცოდე, რას აკეთებთ? - წამოიძახა ბრედმა. - აქ ვერ ისაუზმებს.

- ძალიან კარგადაც ისაუზმებს, - კვლავ ცივად თქვა ელეინმა. მისგან ასეთ მბრძანებლურ ტონს ჩვეული არ ვიყავი, მაგრამ იმწუთას ამ ხმის გაგონება ძალიან მესიამოვნა. მის მზერაში შიშის ნასახიც არ ჩანდა, მხოლოდ მრისხანება, - შენ კი აქედან დაიკარგე, სანამ შენი ტარაკნული შემაწუხებლობა უფრო დიდ მავნებლობაში არ გადაზრდილა, შე მართლა ვირთხუს ამერიკანუსო!

გაცოფებულმა და ცოტათი დაბნეულმა ბრედ დოლანმა მისკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ელეინს წარბი არ შეუხრია.

- მგონი, ვხვდები, ვინ ჩართო ის ოხერი კვამლის დეტექტორი, - თქვა დოლანმა, - ეს კლანჭებიანი ძუკნა იქნებოდა. წაეთრიე აქედან. მე და პოლის ჯერ საუბარი არ დაგვისრულებია!

- ის შენთვის მისტერ ეჯკუმია, - უთხრა ელეინმა, - და თუ კიდევ ერთხელ გავიგონებ, რომ პოლის ეძახი, გპირდები, „ჯორჯია პაინსში“ მუშაობას დიდხანს ვეღარ გააგრძელებ, ბრედ დოლან.

- შენ თავი ვინ გგონია? - ჰკითხა დოლანმა და ნაძალადევად გაიღიმა.

- ვინ და ჯორჯიის შტატის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერის ბებია, - მშვიდად უპასუხა ელეინმა, - ჩემს შვილიშვილს ნათესავები ძალიან უყვარს, მისტერ დოლან, განსაკუთრებით, მოხუცი ნათესავები.

ბრედ დოლანის სახეზე ღიმილი წაიშალა, თითქოს დაფას სველი ღრუბელი გადაუსვესო. შევამჩნიე, რომ ყოყმანობდა, ხომ არ მატყუებენო. თან დაფრთხა, ლოგიკურად რომ იმსჯელო, ამის გა-

დამოწმება ადვილია და შესაბამისად, ეს ქალი არ მომატყუებდაო.

უეცრად სიცილი ამიტყდა. გამახსენდა, რამდენჯერ დაგვემუქრა იმ ძველ, საშინელ დღეებში პერსი უეტმორი გავლენიანი ნაცნობებით. ჩემი ძალიან, ძალიან ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე კიდევ ერთხელ მომესმა ასეთი მუქარა, ოღონდ ახლა უკვე ჩემს სასარგებლოდ.

ბრედ დოლანმა ჯერ მე შემომიბღვირა, მერე ელეინს.

- არ ვხუმრობ, - თქვა ელეინმა, - თავიდან შენს გაგდებას არ ვაპირებდი, მაგრამ ჩემი მეგობრების დაშინებას და დამცირებას ვეღარ მოვითმენ. ახლა კი გაეთრიე აქედან და შენი ხმა არ გავიგო!

ბრედმა თევზივით დააფჩინა პირი - ო, როგორ უნდოდა იმ სიტყვის თქმა, „ბოძს“ რომ ერითმება, მაგრამ არაფერი უთქვამს. უკანასკნელად შემომხედა, ზურგი მაქცია, ელეინს გვერდი აუარა და დერეფანში გავიდა.

ხმაურით ამოვისუნთქე, როცა ელეინმა ლანგარი მაგიდაზე დადო და ჩემ წინ დაჯდა.

- შენი შვილიშვილი მართლა წარმომადგენლობითი პალატის სპიკერია? - ვკითხე მე.

- დიახ.

- მაშ, აქ რას აკეთებ?

- შტატის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერობა ბრედ დოლანისნაირ ტარაკნებთან გასამკლავებლად კმარა, მილიონერობისთვის კი - არა, - მიპასუხა ელეინმა, - თანაც, აქაურობა მომწონს. კარგ კომპანიაში ყოფნა მიყვარს.

- ამას კომპლიმენტად მივიღებ, - ვუთხარი ნასიამოვნებმა.

- პოლ, კარგად ხარ? დაღლილი მეჩვენები, - ჩემკენ გადმოიხარა და შუბლზე ჩამოცვენილი თმა გადამიწია ელეინმა. მისი ცი-

ვი თითების შეხება მეამა. წამით თვალები დავხუჭე. რომ გავახილე, გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა.

- კარგად ვარ, ელეინ, - ვთქვი მე, - თითქმის მოვრჩი წერას. წაიკითხავ? - ფაცაფუცით მოგროვებული ქაღალდები მივაწოდე. დოლანმა ძალიან დამაშინა და ფურცლები ერთმანეთში აირია, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა დანომრილი მქონდა.

მან დაფიქრებით შემომხედა და მკითხა:

- მართლა მორჩი?

- ამის წაკითხვას შუადღემდე მოუნდები,- ვუთხარი, - თუ საერთოდ გაარჩევ ნაწერს.

ელეინმა ფურცლები გამომართვა და თვალი გადაავლო.

- მშვენიერი ხელწერა გაქვს, მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი ხელით წერ, - თქვა მან, - იოლად გავარჩევ.

- სანამ შენ მაგას წაიკითხავ, მე წერას დავასრულებ, - ვთქვი, - კიდევ ნახევარი საათის საკითხავი დაგემატება. მერე კი... თუ სურვილი გექნება... რაღაცას გაჩვენებ.

- ეს შენს სეირნობებთან არის დაკავშირებული?

თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიე.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ელეინმაც დამიქნია თავი და ფურცლებით ხელში წამოდგა.

- გარეთ გავალ, - თქვა მან, - ამ დილით თბილი მზე ანათებს.

- თან დრაკონი განგმირულია, - დავამატე, - ამჯერად მზეთუნახავის მიერ.

ელეინმა გამიღიმა, დაიხარა და ჩემს მგრძნობიარე ადგილას, შუბლზე მაკოცა. როგორც ყოველთვის, ჟრუანტელმა დამიარა.

- იმედია, - თქვა მან, - მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ ბრედ დოლანისნაირ დრაკონებს ადვილად ვერ დაამარცხებ, - წამით შეყოყმანდა, - წარმატებები, პოლ. იმედია, დაამარცხებ იმას, რაც ასე ძლიერ გაწუხებს.

- მეც იმედი მაქვს, - ვთქვი და ჯონ კოფი გამახსენდა. ვერ ვუშველეო, თქვა მან, ვცადე, ყველაფერი გამომესწორებინა, მაგრამ დავაგვიანეო.

ელეინის მოტანილი ტაფამწვარი შევჭამე, წვენი დავლიე და გახუხული პური შემდგომისთვის გადავინახე. მერე უკანასკნელად ავიღე ხელში კალამი.

ბოლო გზაღა დამრჩა გასავლელი.

ბოლო მწვანე გზა.

# 2

იმ ღამით, ჯონ კოფი რომ ბლოკში დავაბრუნეთ, ბორბლებიანი საკაცე ფუფუნების კი არა, საჭიროების საგნად იქცა. მეეჭვება, კოფის იმსიგრძე გვირაბი ფეხით გაევლო. ოთხზე სიარული უფრო დამღლელია, ვიდრე ორ ფეხზე, იმ წყეული გვირაბის ჭერი კი ჯონ კოფისთვის მეტისმეტად დაბალი იყო. გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ შეიძლებოდა, კოფი გვირაბში გათიშულიყო. ამის ახსნა ძალიან გაგვიჭირდებოდა; აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გიჟის პერანგით შებოჭილი პერსი დამამშვიდებელ ოთახში იყო გამოკეტილი.

მადლობა ღმერთს, საკაცე გვქონდა და ჯონ კოფი ნაპირზე გამორიყული სელაპივით გაწვა ზედ. საწყობის კიბემდე საკაცით მივაგორეთ. საკაციდან ძლივძლივობით წამოდგა და საფეხურთან სულშეხეთული და თავჩაქინდრული გაჩერდა. ერთიანად ნაცრისფერი იყო, თითქოს ფქვილში ამოგანგლესო. შუადღით უეჭველად ლაზარეთში იწვება, თუ მანამდე ცოცხალმა მიატანა-მეთქი, შიშით გავიფიქრე.

დაღვრემილმა ბრუტუსმა სევდიანი მზერა მომაპყრო.

- ხელით ვერ წავიყვანთ, მაგრამ შეგვიძლია დავეხმაროთ, - მეც ნაღვლიანად შევხედე, - შენ მხარმარცხნივ დაუდექი, მე მხარმარჯვნივ დავუდგები.

- მე რა ვქნა? - იკითხა ჰარიმ.

- უკან მოგვყევი. თუ უკან გადაქანდება, წინ უბიძგე.

- და თუ მაინც ვერ შეაკავებ, მიწაზე ჩაიცუცქე, რომ მიწაზე არ დაეცეს და ზურგი არ იტკინოს, - დაამატა ბრუტუსმა.

- ღმერთო, - წაიბურტყუნა ჰარიმ, - სადმე კომედიურ სპექტაკლში უნდა თამაშობდე, მხეცო, ნამდვილი მასხარა ხარ.

- კი, იუმორის გრძნობა მართლაც მაქვს, - დაეთანხმა ბრუტუსი.

როგორც იქნა, ავიყვანეთ ჯონი კიბეზე. ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ გული წაუვიდოდა, მაგრამ გაძლო.

- მიდი, ჯერ შენ შეიხედე საწყობში, ცარიელია თუ არა, - გადავჩურჩულე ჰარის.

- თუ არ არის, როგორ მოვიქცე? - იღლიის ქვეშ გამიძვრა ჰარი. - კარზე მოგიკაკუნოთ და ისევ აქ შემოვძვრე?

- სიბრძნის ფრქვევას შეეშვი, - უთხრა ბრუტუსმა.

ჰარიმ კარი ოდნავ გამოაღო და თავი გაყო. მომეჩვენა, რომ კარგა ხანს იდგა ასე. ბოლოს და ბოლოს, გახარებულმა გვაუწყა:

- გზა სუფთაა. ირგვლივ სიჩუმეა.

- იმედია, ასეც დარჩება, - თქვა ბრუტუსმა, - წამო, ჯონ კოფი, თითქმის სახლში ვართ.

კოფიმ საწყობში თავისით გაიარა, მაგრამ ჩემს კაბინეტამდე ამავალ სამ საფეხურზე ასვლაში ჩვენ დავეხმარეთ და ძლივს გავაძვრინეთ დაბალ კარში. კვლავ ფეხზე რომ დავაყენეთ, მძიმედ სუნთქავდა და მზერა უსიცოცხლო ჰქონდა. გარდა ამისა - ეს შეძრწუნებულმა შევამჩნიე - პირის მარჯვენა კუთხე ძირს ჩამოვარდნოდა მელინდა მურსივით, საძინებელში საწოლის თავზე მიყრდნობილი რომ დაგვხვდა.

დინმა ჩვენი ნაბიჯის ხმა გაიგონა და მწვანე გზიდან კაბინეტში შემოვიდა.

- მადლობა ღმერთს! მეგონა, აღარ დაბრუნდებოდით. რაღა არ ვიფიქრე: გზაში ხომ არ შეამჩნიეს, ან უფროსმა მურსმა ხომ არ ჩაცხრილა, ან... - უცებ სიტყვა გაუწყდა, რადგან ჯონ კოფი დაინახა, - ჯანდაბა, რა სჭირს? მომაკვდავს ჰგავს!

- მომაკვდავი არაა... ხომ არ კვდები, ჯონ? - ჰკითხა ბრუტუსმა და დინს თვალები დაუბრიალა.

- არა, არა, მართლა ეგ კი არ მიგულისხმია, - ნერვიულად გაიცინა დინმა, - მაგრამ, ღმერთო...

- კარგი, დაივიწყე, - ვუთხარი მე, - აჯობებს, საკანში შეგვაყვანინო.

კვლავ ბორცვებივით შემოვერტყით უზარმაზარ მთას, ოღონდ ამჯერად, თითქოს მილიონწლიანი ეროზია გადაუტანიაო, მთა ჩამოქცეულიყო და მოღუშულიყო. ჯონ კოფი ნელა დაიძრა. მოხუცი მწეველივით პირით სუნთქავდა.

- პერსი როგორ არის? - ვკითხე დინს. - ხომ არ ხმაურობდა?

- თავიდან კი, - მიპასუხა დინმა, - პირაკრული ცდილობდა ყვირილს. რა თქმა უნდა, იგინებოდა.

- კიდევ კარგი, სხვაგან ვიყავით და ჩვენს ნაზ ყურებს ეს არ გაუგია.

- მერე გაჩუმდა და ხანდახან წიხლს თუ მიარტყამდა კარს, - ჩვენი დანახვით გახარებული დინი უდარდელად ალაქლაქდა. სათვალე ოფლით დაცვარული ცხვირის წვერზე ჩამოუცურდა და გაისწორა. უორტონის საკანს ჩავუარეთ. ეს უვარგისი ახალგაზრდა სუზაფონივით ხვრინავდა. თვალები უკვე დაეხუჭა.

დინმა შეამჩნია, უორტონს რომ შევხედე და გაეცინა.

- მაგ ყმაწვილს პრობლემა არ შეუქმნია. ბალიშზე თავის დადების შემდეგ აღარ განძრეულა. გარე სამყაროს გამოეთიშა. რაც შეეხება პერსის წიხლებს, ამას სულაც არ შევუწუხებივარ. სიმართლე გითხრათ, მისი ბრაგაბრუგის მოსმენა მსიამოვნებდა კიდეც. რომ არ ეხმაურა, ვიფიქრებდი, რომ ლენტით პირაკრული დაიხრჩო-მეთქი. მაგრამ ყველაზე მაგარი ეს არ არის. იცით, რა არის ყველაზე მაგარი? მთელი ღამე არავინ გამოჩენილა. ისეთი სიჩუმე იყო, როგორც „ნაცრის ოთხშაბათს“[34] ნიუ-ორლეანში! -

[34] დასავლურ ქრისტიანული კალენდრით დიდმარხვის პირველი დღე.

ტრიუმფალური ხმით წარმოთქვა დინმა. - ბიჭებო, ჩვენ ეს შევძელით!

ამ სიტყვებმა გაახსენა, საერთოდ რატომ წამოვიწყეთ ეს ავანტიურა და გვკითხა, მელინდა როგორ არისო.

- კარგად არის, - ვუპასუხე.უკვე კოფის საკანთან ვიდექით, როცა დინის სიტყვები საბოლოოდ გავიაზრე: ჩვენ ეს შევძელით!

- ისევ ისე მოხდა... ანუ... როგორც თაგვთან? - იკითხა დინმა. წამით თვალი შეავლო საკანს, სადაც ადრე დელაკრუა ცხოვრობდა და მერე დამამშვიდებელ ოთახს შეხედა, რომელიც მისტერ ჯინგლსის სავარაუდო წარმოშობის ადგილად მიიჩნეოდა. ხმას დაუწია, თითქოს ეკლესიაში შევიდა, სადაც თვით სიჩუმეც კი ჩურჩულებს. - ეს... ეს... ანუ, ხომ ხვდები, რასაც ვამბობ... ეს სასწაული იყო?

მე, ბრუტუსმა და ჰარიმ ერთმანეთს გადავხედეთ და დავუდასტურეთ ის, რაც ისედაც ვიცოდით.

- საიქიოს გზიდან მოაბრუნა, აი, რა ქნა, - თქვა ჰარიმ, - ჰო, ეს სასწაული იყო.

ბრუტუსმა საკნის ორმაგი საკეტი გააღო და ჯონს ნაზად უბიძგა შიგნით.

- შედი, დიდო ბიჭო. ცოტა დაისვენე. ეს ნამდვილად დაიმსახურე. ჩვენ პერსისთან გავარკვევთ საქმეს.

- ის ცუდი ადამიანია, - ხმადაბლა, მექანიკურად თქვა ჯონ კოფიმ.

- ჰო, ვიცით, რომ გულღრძოა, მაგრამ მისი ნუ გეშინია. შენთან ახლოსაც არ მოვუშვებთ. დაწექი, ცოტა დაისვენე და ამასობაში ყავასაც მოგიტან, - დაუყვავა ბრუტუსმა, - ცხელ და მაგარ ყავას. აი, ნახავ, როგორ გამოგაცოცხლებს.

ჯონი საწოლზე მძიმედ ჩამოჯდა. მეგონა, როგორც სჩვევია, წამოწვება და კედლისკენ გადაბრუნდება-მეთქი, მაგრამ კარგა ხანს თავჩაქინდრული, მუხლებს შორის ხელებჩაყრილი იჯდა და

პირით სუნთქავდა. წმინდა ქრისტეფორეს მედალიონი, მელინდამ რომ აჩუქა, ჰაერში ქანაობდა. უბედურებისგან დაგიფარავსო, უთხრა მელინდამ, მაგრამ ჯონ კოფი ახლა ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. თითქოს მელინდა მურსის ნაცვლად თვითონ კოფი გაუყვაო საიქიოს გზას.

თუმცა, იმ წუთას ჯონ კოფისთვის არ მეცალა. სხვებს მივუბრუნდი.

- დინ, პერსის პისტოლეტი და ხელკეტი მოიტანე.

- ახლავე, - დინი მორიგის მაგიდასთან დაბრუნდა, უჯრა გახსნა, პისტოლეტი და ხელკეტი ამოიღო და მომიტანა.

- მზად ხართ? - ჩემმა მეგობრებმა - კეთილმა მეგობრებმა, რომლებითაც ყველაზე მეტად იმ ღამით ვამაყობდი - თანხმობის ნიშნად თავი დამიქნიეს. ჰარი და დინი აშკარად ღელავდნენ; ბრუტუსი, როგორც ყოველთვის, სიმტკიცეს ინარჩუნებდა.

- მოკლედ, მე ვილაპარაკებ. რაც უფრო ნაკლებად გააღებთ პირს, მით უფრო მარტივად და სწრაფად გადაწყდება ეს პრობლემა... ავად თუ კარგად. გასაგებია?

კიდევ ერთხელ დამიქნიეს თავი. ღრმად ჩავისუნთქე და მწვანე გზის ბოლოს მდებარე დამამშვიდებელი ოთახისკენ წავედი.

როცა შუქი სახეზე დაეცა, პერსიმ თვალებმოჭუტულმა ამომხედა. იატაკზე იჯდა და პირზე დაკრულ ლენტს ლოკავდა. ლენტი კეფაზე უკვე ამძვრალიყო (ალბათ, ოფლის და ბრილიანტინის წყალობით) და ახლა მის მოშორებას პირიდანაც ცდილობდა. კიდევ ერთი საათიც და ალბათ, ბოლო ხმაზე აბღავლდებოდა, მიშველეთო.

ჩვენ რომ დაგვინახა, ფეხებით ოდნავ უკან გახოხდა, მერე მიხვდა, რომ მაინც ვერსად გაგვექცეოდა და გაჩერდა.

დინს პისტოლეტი და ხელკეტი გამოვართვი და პერსის გავუწოდე.

- გინდა დაიბრუნო? - ვკითხე მას.

ფრთხილად შემომხედა და თავი დამიქნია.

- ბრუტუს, - დავუძახე, - ჰარი, პერსი წამოაყენეთ.

ბრუტუსი და ჰარი დაიხარნენ, პერსის იღლიებში ხელი ამოსდეს და წამოაყენეს. ისე ახლოს მივედი მასთან, რომ ლამის ცხვირით ცხვირზე ვეხებოდი. ოფლის მჟავე სუნი მეცა. ნაწილობრივ, ალბათ, გასაჩუმებლად დაკრული ლენტის მოძრობის მცდელობისას გაიხვითქა, ნაწილობრივ - კარისთვის წიხლის რტყმისას, მაგრამ, მეტწილად, ეს შიშის ოფლი იყო: პერსი შიშით ელოდა ჩვენს დაბრუნებას, ნეტა მერე რაღას მიზამენო.

გადავრჩები, ისინი ხომ მკვლელები არ არიანო, ფიქრობდა, ალბათ, პერსი... თუმცა, შესაძლოა, უნებლიეთ „ბებერი ნაპერწკალა“ გაახსენდა და გაიაზრა, რომ რაღაც მხრივ, ჩვენც მკვლელები ვიყავით. პირადად მე, სამოცდაჩვიდმეტი ადამიანი დავსაჯე სიკვდილით - ამდენი არც ერთ იმ სიკვდილმისჯილს არ მოუკლავს, მე რომ ელექტროსკამზე დავსვი; თვით პირველი მსოფლიო ომის გმირი, სერჟანტი ელვინ იორკიც ვერ დაიტრაბახებს ამდენი მოკლულით. ჩემი მოკვლა არალოგიკური იქნება, მაგრამ ისინი ხომ უკვე მოიქცნენ არალოგიკურადო, ეუბნებოდა, ალბათ, საკუთარ თავს ხელებშეკრული პერსი და ენით სასოწარკვეთილი ცდილობდა ლენტის აძრობას. თანაც, ძნელია ლოგიკურად იფიქროს ადამიანმა, რომელიც რბილკედლებიანი ოთახის იატაკზე ობობას ქსელში გაბმული ბუზივით ზის.

ასე რომ, სწორედ ახლა მქონდა ხელსაყრელი შემთხვევა, მისთვის სათანადო ადგილი მიმეჩინა.

- ლენტს აგხსნი, ოღონდ პირობა მომეცი, რომ არ აყვირდები, - გავაფრთხილე, - შენთან საუბარი მინდა და არა ღრიალი. რას იტყვი? ჩუმად იქნები?

მის თვალებში შვება შევამჩნიე, რადგან ჩემთან საუბარი უნდა, ალბათ, საღ-სალამათი გადავრჩებიო. თავი დამიქნია.

- თუ ყვირილს დაიწყებ, ისევ ლენტს დაგაწებებ, - ვთქვი, - გასაგებია?

ამჯერად სასწრაფოდ დამიქნია თავი.

ლენტის ამძვრალ ბოლოს ხელი მოვკიდე და ძლიერად მოვქაჩე. ფხრეწის ხმა გაისმა. ბრუტუსი შეკრთა. პერსი აწკმუტუნდა და ტუჩებიმოისრისა. ლაპარაკი მოინდომა, მაგრამ პირზე ხელმიდებულს არ გამოუვიდა და ხელი ჩამოსწია.

- გამხადე გიჟის პერანგი, შე ლოქო, - მომახალა მან.

- ერთი წუთით!

- ახლავე! ახლავე! ამ წუთ...

სილა გავაწანი. ეს ჩემდა უნებურად მოხდა... თუმცა, ველოდი, რომ აქამდე მივიდოდა საქმე. ამას ჯერ კიდევ იმ დროიდან ველოდი, რომ პერსიზე პირველად დაველაპარაკე ციხის უფროს მურსს და ჰელმა მირჩია, დელაკრუას სიკვდილით დასჯის ხელმძღვანელად პერსი დამენიშნა. ადამიანის ხელი ბოლომდე მოუშინაურებელი ცხოველივითაა; მეტწილად გემორჩილება, მაგრამ ხანდახან გაგექცევა და პირველივე შემხვედრს კბენს.

მკვეთრი ტკაცუნი გაისმა, თითქოს ხეს ტოტი მოტყდაო. დინმა წამოიყვირა. პერსი გაოგნებისგან თვალებგადამოკარკლული მომაშტერდა. პირი გააღო და დახურა, ისევ გააღო და ისევ დახურა, როგორც თევზმა აკვარიუმში.

- მოკეტე და მისმინე, - ვუთხარი მას, - იმისთვის, რაც დელაკრუას უყავი, სასჯელი დაიმსახურე და ჩვენც დამსახურებულად დაგსაჯეთ. მხოლოდ ეს შეგვეძლო. ამაზე ყველა შევთანხმდით დინის გარდა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაგვიწია, რადგან მწარედ ვანანებდით. ხომ ასეა, დინ?

- ჰო, - წაიჩურჩულა გაფითრებულმა დინმა, - ალბათ, ასეა.

- გაჩენის დღეს გაწყევლინებთ, - გავაგრძელე, - ხალხს გავაგებინებთ, რომ დელაკრუას სიკვდილით დასჯა ლამის ჩაშალე...

- ჩავშალეეე!..

- ...რომ შენ გამო კინაღამ დინი მოკლეს. შენს „გმირობებს“ მთელ ქვეყანას მოვდებთ და გინდაც ბიძაშენი დაგეხმაროს, მაინც აღარავინ აგიყვანს სამსახურში.

პერსი თავს აქნევდა. არ იჯერებდა. ან შეიძლება, ვერ იჯერებდა ჩემს სიტყვებს. ლოყაზე ჩემი ხუთი თითის ანაბეჭდი ქირომანტის სიმბოლოსავით ემჩნეოდა.

- ნებისმიერ შემთხვევაში, ისე გცემთ, სიკვდილს მოგანატრებთ. ხელსაც კი არ გავისვრით. საჭირო ხალხს ჩვენც ვიცნობთ, პერსი, და სულელი ყოფილხარ, თუ ამდენს ვერ ხვდები. შტატის დედაქალაქში არ მუშაობენ, მაგრამ კონკრეტული საკითხების კანონის ფარგლებში გადაწყვეტა შეუძლიათ. ეს ის ხალხია, ვისაც აქ მეგობრები, ძმები და მამები ჰყავს. იმისთვის, რომ მათ ახლობლებს სასეირნო ეზოში ყოველკვირა დამატებით სამი საათის გატარების ნება დართონ, შენნაირ ნაგვებს ცხვირს ან პენისს დაუფიქრებლად მოაჭრიან.

პერსიმ თავის ქნევა შეწყვიტა. ახლა მხოლოდ გაშტერებული მიყურებდა.

თვალებში ცრემლი ჩადგომოდა, მაგრამ არ მოსდიოდა. მგონი, ზიზღისა და მრისხანების ცრემლები იყო. ან შეიძლება, მე მინდოდა, ასე ყოფილიყო.

- კარგი... მოდი, ახლა დადებითი კუთხით შეხედე, პერსი. ლენტმა ტუჩები ოდნავ აგიწვა, თორემ სხვა მხრივ ზიანი არ მოგდგომია, შელახულ ღირსებას თუ არ ჩავთვლით... თუმცა, ეს მხოლოდ შენ და აქ მდგომებს გვეცოდინება. ამას არავის გავუმხელთ. ხომ ასეა, ბიჭებო?

ყველამ თავი დააქნია.

- რა თქმა უნდა, ასეა, - თქვა ბრუტუსმა, - ის, რაც მწვანე გზაზე ხდება, მწვანე გზაზევე რჩება. ასე იყო და ყოველთვის ასე იქნება.

- მალე „ბრაიერ რიჯში“ გადადიხარ და ჩვენც შეგეშვებით, - ვთქვი, - ეს გაწყობს, პერსი, თუ გინდა, თამაში გავართულოთ?

პერსი კარგა ხანს ფიქრობდა. თითქოს ცხადად ვხედავდი მის ტვინში ამუშავებულ კბილანებს და ბორბლებს, როცა ჩემი შეთავაზების დადებით და უარყოფით მხარეებს ერთმანეთს ადარებდა. ბოლოს, როგორც ჩანს, მის გამოთვლებში საღმა აზრმა იმარჯვა: პირზე დაკრული ლენტი კი ავხსენით, მაგრამ ჯერაც გიჟის პერანგი ეცვა და თანაც, ალბათ, სადღეღე ცხენივით ეფსმოდა.

- კარგი, - თქვა მან, - ჩავთვალოთ, რომ საქმე დაიხურა. ახლა კი გამხადეთ ეს პერანგი. ასე მგონია, მხრები...

ამ დროს ბრუტუსმა მხარი გამკრა და წინ გააბიჯა. პერსის სახე თავის ვეება ტორში მოიქცია და მაგრად მოუჭირა.

- ერთი წამით, - თქვა მან, - ჯერ მე უნდა მომისმინო. პოლი ჩვენი უფროსია და ზოგჯერ დახვეწილი საუბარი უწევს.

ვცადე, გამეხსენებინა, როდის რა ვუთხარი პერსის დახვეწილად, მაგრამ ამაოდ. თუმცა, გადავწყვიტე, ენაზე კბილი დამეჭირა; პერსი საკმაოდ დამფრთხალი ჩანდა და ეფექტის გაფუჭება არ ივარგებდა.

- ყველა ვერ ხვდება, რომ დახვეწილი საუბარი ყოველთვის ლმობიერებას არ ნიშნავს. ასეთ ხალხთან საუბარს მე ვაგრძელებ ხოლმე და სათქმელს პირდაპირ ვეუბნები. შენც პირდაპირ გეტყვი: თუ შენს მუქარას შეასრულებ, ალბათ, აქ ყველას უკნიდან გვიხმარენ; მაგრამ მერე სადაც უნდა დაიმალო, თუნდაც რუსეთში გაიქცე, მაინც გიპოვით და მარტო უკნიდან კი არა, ყველა ხვრელიდან გიხმართ. სულის ამოხდამდე გაგჟიმავთ და გასისხლიანებულ ხვრელებში ძმარს ჩაგასხამთ. გასაგებია?

პერსიმ თავი დაგვიქნია. ბრუტუსის თითებით ჩაჭყლეტილი ლოყებით საოცრად დაემსგავსა მოხუც პიპინას.

ბრუტუსმა ხელი გაუშვა და უკან დაიხია. მე ჰარის ვანიშნე და მანაც პერსის პერანგზე თასმების შეხსნა დაიწყო.

- რაც გითხარით, გახსოვდეს, პერსი, - უთხრა ჰარიმ, - რაც მოხდა, მოხდა და აჯობებს, დაივიწყო.

სამმა ლურჯუნიფორმიანმა „ბუამ“ გვარიანად კი დავაშინეთ, თუმცა მთლიანობაში, მაინც იმედგაცრუება დამეუფლა. ერთი დღით ან ერთი კვირით კი გავაჩუმეთ, მაგრამ საბოლოოდ ორი რამ - გავლენიანი ნაცნობების რწმენა და ვითარებიდან გამარჯვებულად გამოსვლის სურვილი - მაინც შეირწყმებოდა მის გონებაში და რაღაცას აუცილებლად მოიმოქმედებდა. მელინდა მურსი კი გადავარჩინეთ და ამას არ ვნანობდი („მთელი ჩინეთის ჩაიშიც კი არ გავცვლიდი“, - როგორც მაშინ ვიტყოდით ხოლმე), მაგრამ ასე თუ ისე, ნოკაუტში მაინც ჩვენ აღმოვჩნდებოდით. პერსის მხოლოდ სიკვდილი თუ გააჩუმებდა, თორემ როგორც კი ჩვენგან შორს დაიგულებდა თავს და მხნეობა დაუბრუნდებოდა, პირობას აუცილებლად დაარღვევდა.

ბრუტუსს გვერდულად გავხედე და შევამჩნიე, რომ ამას ისიც ხვდებოდა. არ გამკვირვებია. ბრუტუსს, მისის ჰაუელის ვაჟს, ვერასდროს ვერაფერს გამოაპარებდით. სულ რამდენიმე სანტიმეტრით ასწია მხარი და მორჩა. მერე რაო, მანიშნა მხრის ამ აჩეჩვით. სხვა არაფერი შეგვიძლია, პოლ, რაც შეგვეძლო, გავაკეთეთო.

ჰარიმ ბოლო ბალთა შეხსნა. პერსიმ ზიზღით გაიძრო პერანგი და იატაკზე დააგდო. ყველას თვალს გვარიდებდა.

- ჩემი პისტოლეტი და ხელკეტი მომეცით, - მოითხოვა მან და მეც მივაწოდე. ორივე თავ-თავის ბუდეში ჩადო.

- პერსი, ისე, თუ დაფიქრდები...

- ო, რასაკვირველია, დავფიქრდები, - გვერდით ჩამიქროლა მან, - ძალიან კარგად დავფიქრდები. ახლავე ვიწყებ ფიქრს. გზად შინისაკენ სულ ვიფიქრებ. ცვლის ბოლოს ვინმემ დააფიქსირეთ ჩემი წასვლის დრო, - დამამშვიდებელი ოთახიდან გასვლამდე შემობრუნდა და მრისხანებითა და სირცხვილით აღსავსე მზერა მოგვაპყრო - ამ სასიკვდილო კომბინაციაში ცხადად ჩანდა, რომ

სულ ტყუილად გვჯეროდა მისი სიტყვის კაცობის, - თორემ მერე იმის ახსნა მოგიწევთ, სამსახურიდან ადრე რატომ წავედი.

ის დამამშვიდებელი ოთახიდან გავიდა და მწვანე გზაზე გაბოტა - იმ სიბრაზეში საერთოდ დაავიწყდა, რომ დერეფნის შუაში უნდა ევლო. ასეთი შეცდომა უწინაც დაუშვა, მაგრამ მაშინ გადარჩა. ამჯერად ბედმა აღარ გაუღიმა.

დასაწყნარებლად უკან გავეკიდე. არ მინდოდა, ასეთ მდგომარეობაში - ოფლიანსა და აღელვებულს, ლოყაზე ჩემთითებდაჩნეულს - დაეტოვებინა E ბლოკი. დინი, ბრუტუსი და ჰარი მე გამომყვნენ.

ის, რაც მაშინ მოხდა, ძალიან სწრაფად მოხდა - მგონი, წუთიც არ გასულა, თუმცა, დღესაც ყველაფერი ცხადად მახსოვს. შეიძლება იმიტომ, რომ მომხდარი იმ დღესვე ჯენისს დაწვრილებით ვუამბე და გონებაში ჩამებეჭდა. რაც ამის შემდეგ მოხდა - დილის თათბირი კერტის ანდერსონთან, დაკითხვა, ჰელ მურსის მოწყობილი პრესკონფერენცია (ჰელ მურსი, რასაკვირველია, სამსახურში გამოცხადდა) და შტატის დედაქალაქში საგამოძიებო კომისიის სხდომა - წლების მანძილზე გაიცრიცა და წესიერად აღარ მახსოვს. თუმცა, ის, რაც იმ მომენტში მწვანე გზაზე მოხდა, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება.

პერსი დერეფნის მარჯვენა კიდეს თავჩაქინდრული მიუყვებოდა. სიმართლეს გეტყვით, ჩვეულებრივი პატიმარი მას ვერ მიწვდებოდა. თუმცა, ჯონ კოფი ჩვეულებრივი პატიმარი არ იყო. ჯონ კოფი გოლიათი იყო და ხელიც გოლიათისა ჰქონდა - გრძელი და ღონიერი.

დავინახე, როგორ გამოყო გისოსებს შორის ყავისფერი ხელი და დავიყვირე:

- პერსი, ფრთხილად! ფრთხილად!

პერსიმ ხელი ხელკეტის ამოსაღებად წაიღო და მიტრიალება დააპირა, მაგრამ ხელმა ჯონ კოფის საკნისკენ გაიტაცა და სახის მარჯვენა ნაწილით გისოსებს მიანარცხა.

პერსიმ დაიღმუვლა და ხელკეტი მოიქნია. ჯონ კოფი ხელკეტს არ გაქცევია. სახე თვითონაც გისოსებს შორის ჰქონდა გამოჩრილი, თითქოს თავის გამოყოფას ცდილობდა გარეთ. მარჯვენა ხელი პერსის კეფას მოსდო და მისი თავი თავისკენ მიიზიდა. პერსიმ ხელკეტი საფეთქელში დაარტყა. ჯონს სისხლი წამოუვიდა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ტუჩებით პერსის ტუჩებს დაეწაფა. სტვენისმაგვარი ხმა მომესმა, თითქოს სუნთქვაშეკრულმა, როგორც იქნა, ამოისუნთქაო. პერსი ანკესზე წამოგებული თევზივით ფართხალებდა, მაგრამ გათავისუფლებას ვერ ახერხებდა. ჯონის მარჯვენა ხელი მაგრად უჭერდა. მათი სახეები ერთმანეთს შეერწყა შეყვარებულებივით, ერთმანეთს ვნებიანად რომ კოცნიან.

პერსის მოგუდული კივილი გაისმა, თითქოს ახლაც ლენტი აქვს პირზე დაკრულიო და კიდევ ერთხელ სცადა ჯონ კოფისგან დასხლტომა. წამით მათი ტუჩები ერთმანეთს მოსწყდა და დავინახე შავი, სპირალისებური ნაკადი, რომელიც ჯონ კოფის პირიდან პერსი უეტმორის პირში იღვრებოდა. მერე ხელმა პერსი ისევ ჯონისკენ მიიზიდა. მათი სახეები კვლავ ერთმანეთს მიეწება.

პერსის მარცხენა ხელიდან ხელკეტი გაუვარდა და მწვანე ლინოლეუმიდან აღარასდროს აუღია.

მახსოვს, მათკენ გავექანე და პისტოლეტის ტარს წავავლე ხელი, მაგრამ ბუდეში მაგრად იყო ჩარჭობილი და ამოღება ვერ მოვახერხე. ფეხქვეშ თითქოს მიწა შემერყა - სწორედ ისე, როგორც უფროსი მურსის კოპწია სახლის საძინებელში. მგონი, ჭერზე ჩამოკიდებული რომელიღაც ნათურა გასკდა, რადგან შუშის ნამსხვრევების წვიმა წამოვიდა. ჰარიმ გაკვირვებისგან წამოიყვირა.

ბოლოს და ბოლოს, როგორღაც მოვახერხე ჩემი ოცდათვრამეტკალიბრიანის ბუდის გახსნა, მაგრამ სანამ პისტოლეტს ამოვიღებდი, ჯონმა პერსი მოისროლა და საკნის სიღრმეში შევიდა. დამანჭული ისრესდა ტუჩებს, თითქოს რაღაც უგემური შეჭამაო.

- რა ქნა? - დამიძახა ბრუტუსმა. - რა ქნა, პოლ?

- ის, რაც მელინდას გამოწოვა, ახლა პერსის სხეულშია, - ვუპასუხე.

პერსი ედუარდ დელაკრუას დაცარიელებული საკნის გისოსებს გაშტერებული მიყრდნობოდა. ფრთხილად მივუახლოვდი; მეგონა, ჯონ კოფივით მასაც ხველა აუტყდებოდა და სუნთქვა შეეკვრებოდა, მაგრამ არაფერი მომხდარა. გაუნძრევლად იდგა.

- ეი, პერსი! პერსი! გამოფხიზლდი! - თვალწინ თითები გავუტკაცუნე.

უშედეგოდ. ამასობაში ბრუტუსიც მოვიდა და ხელები სახესთან მიუტანა პერსის.

- არ შველის, - ვთქვი.

მაგრამ ბრუტუსმა მის სახესთან ორჯერ მაინც შემოკრა ტაში. ამან იმოქმედა. პერსი თითქოს გონს მოვიდა, თვალები დაახამხამა. ჯერ ბრუტუსს შეხედა, მერე - მე. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ეჭვი არ მეპარება, რომ არც ერთი არ შევუმჩნევივართ, მაგრამ მაშინ გვეგონა, რომ დაგვინახა. ვიფიქრე, რომ გამოერკვა.

გისოსებს მოსცილდა და ოდნავ წაფორხილდა. ბრუტუსმა დაიჭირა.

- ფრთხილად, მეგობარო. ხომ კარგად ხარ?

პერსიმ არაფერი უპასუხა, სადღაც, მორიგის მაგიდის მიღმა უაზროდ გაიხედა. ვერ ვიტყვი, რომ ბარბაცებდა, მაგრამ ტანი უცნაურად ეზნიქებოდა.

ბრუტუსმა მიშველება გადაწყვიტა, მაგრამ შევაჩერე:

- თავი დაანებე!

წინასწარ რომ მცოდნოდა, ყველაფერი როგორც დასრულდებოდა, ნეტა თუ შევაჩერებდი? 1932 წლის შემოდგომის შემდეგ საკუთარი თავისთვის ათასჯერ დამისვამს ეს კითხვა, მაგრამ პასუხი დღემდე არ მაქვს.

პერსიმ თორმეტი თუ თოთხმეტი ნაბიჯი გადადგა და თავჩაქინდრული ისევ შეჩერდა. ველური ბილ უორტონის საკანთან იდგა. უორტონი კვლავ სუზაფონივით ხვრინავდა. მთელი ის დრო ეძინა. ახლა რომ ვუფიქრდები, სიკვდილსაც ძილში შეხვდა. შეიძლება ითქვას, რომ სხვა სიკვდილმისჯილებზე უფრო მეტად გაუღიმა ბედმა. ასეთ იღბალს ნამდვილად არ იმსახურებდა.

სანამ მივხვდით, რა ხდებოდა, პერსიმ პისტოლეტი ამოიღო, ლულა საკნის გისოსებს შორის შეყო და ექვსივე ტყვია მძინარე ველურ ბილს დაახალა. ბახ-ბახ-ბახ! ბახ-ბახ-ბახ! სასხლეტის გაუჩერებლად დაცალა მჭიდი. დახურულ სივრცეში გასროლის ხმა გამაყრუებლად გაისმა; როცა მეორე დილით ჯენისს ამ ამბავს ვუყვებოდი, ჩემს ყურებს გუგუნი გაუდიოდა და საკუთარი ხმა ძლივს მესმოდა.

ოთხივე მას მივვარდით. როცა ჯონმა პერსი გაუშვა, დინი ყველაზე უკან იდგა, მაგრამ ახლა ჩვენზე წინ აღმოჩნდა - არ ვიცი, ეს როგორ შეძლო. პერსის მაჯაზე წაავლო ხელი და პისტოლეტის წასართმევად მოემზადა, მაგრამ ჭიდილი არ დასჭირდა. პერსიმ პისტოლეტს ნებით გაუშვა ხელი და ძირს დააგდო. ყველას ერთად მოგვავლო მზერა, მერე სტვენის მაგვარი ხმა გაისმა და ამიაკის მძაფრი სუნი დადგა. პერსიმ ჩაიფსა. მერე გააკუა და შარვალში ჩაისვარა. ჰაერში სიმყრალე დატრიალდა. დერეფნის ბოლოს ცარიელ სივრცეს მიაჩერდა. როგორც ვიცი, ამ თვალებს ნამდვილ სამყაროში აღარაფერი დაუნახავს. მგონი, უკვე ვახსენე, რომ როცა ბრუტუსმა მისტერ ჯინგლსის ჭრელი კოჭის ნამტვრევები იპოვა, პერსი „ბრაიერ რიჯში“ იყო და არც მომიტყუებიხართ. თუმცა, მისთვის ვენტილატორიანი კაბინეტი არ გამოუყ-

ვიათ და არც შეშლილი პაციენტების დაცინვის საშუალება ჰქონია ოდესმე.

ისე, მგონი, ცალკე პალატაში კი მოათავსეს. ბოლოს და ბოლოს, მას ხომ გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა.

უორტონი კედლისკენ ზურგმიქცეული იწვა. წესიერად ვერაფერი დავინახე, მაგრამ სისხლით მოთხვრილი ზეწარი და ცემენტის იატაკი ადვილი გასარჩევი იყო. გამომძიებლის თქმით, პერსის ენი ოუკლის[35] სიზუსტით უსვრია. გამახსენდა, დინმა რომ მიამბო, პერსიმ მისტერ ჯინგლსს ხელკეტი ესროლა და კინაღამ მოარტყაო და გამომძიებლის ნათქვამი არ გამკვირვებია. ამ შემთხვევაში სამიზნე უფრო დიდი იყო და თან არ მოძრაობდა. ერთი ტყვია საზარდულში მოარტყა, ერთი - მუცელში, ერთი - მკერდში და სამი - თავში.

ტყვიაწამლის კვამლში ბრუტუსი ახველებდა და ხელს იქნევდა. უცებ გავიაზრე, რომ მეც ვახველებდი.

- ესეც დასასრული, - მშვიდად თქვა ბრუტუსმა, თუმცა, მის თვალებში შიში ცხადად იკითხებოდა.

დერეფნის ბოლოს გავხედე. ჯონ კოფი თავის საკანში საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო. ხელები მუხლებზე ედო, თავი აეწია და ავადმყოფს საერთოდ აღარ ჰგავდა. მან ოდნავ დამიქნია თავი და, ჩემდა გასაკვირად და მოულოდნელად - როგორც იმ დღეს, როცა ხელი გავუწოდე, - მეც იმავეთი ვუპასუხე.

- ახლა რაღა ვქნათ? - წამოიყვირა ანერვიულებულმა ჰარიმ. - ღმერთო, რაღა ვქნათ?

- ვერაფერს ვიზამთ, - კვლავ მშვიდად თქვა ბრუტუსმა, - დაგვერხა. არა, პოლ?

ჩემი ტვინი სწრაფად ამუშავდა. ჰარი და დინი შეშინებული ბავშვებივით შემომყურებდნენ. პერსის შევხედე, რომელიც

[35] ამერიკელი ქალი მსროლელი. სახელი გაითქვა „ბაფალო ბილის“ წარმოდგენებში მონაწილეობით.

მხრებჩამოყრილი და პირღია იდგა. მერე ჩემს ძველ მეგობარს, ბრუტუს ჰაუელს შევხედე და ვთქვი:

- ჩვენ არაფერი გვემუქრება.

პერსის ბოლოს და ბოლოს ხველა აუტყდა. მოიკუზა.ხელები მუხლებზე დაიწყო და სახე გაუწითლდა. პირი გავაღე, რომ სხვები გამეფრთხილებინა, უკან დაიხიეთ-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი. პერსიმ ბოყინის თუ ყიყინისმაგვარი ხმა გამოსცა, პირი გააღო და შავი ქინქლების ისეთი სქელი ღრუბელი ამოაფრქვია, რომ მცირე ხნით, მისი სახე სრულიად დაფარა. ჰარიმ უღონოდ წარმოთქვა, ღმერთო დაგვიფარეო. მერე შავი მწერები იანვრის მზისგან აზბინვარებული თოვლივით გაფერმკრთალდნენ და გაქრნენ. პერსი ნელა გაიმართა წელში და მწვანე გზის ბოლოს არაფრის მთქმელი მზერა მიაპყრო.

- ჩვენ ეს არ გვინახავს, - თქვა ბრუტუსმა, - ხომ ასეა, პოლ?

- ასეა. მე არ მინახავს. არც შენ გინახავს, - ვთქვი, - შენ ნახე რამე, ჰარი?

- არა, - თქვა ჰარიმ.

- შენ, დინ?

- რა უნდა მენახა? - თქვა დინმა, სათვალე მოიხსნა და მინების წმენდა დაიწყო. მეგონა, აცახცახებული ხელებიდან გაუვარდებოდა, მაგრამ როგორღაც დაიჭირა.

- „რა უნდა მენახა?“ - ეს კარგია. ახლა მეთაურს მოუსმინეთ, ბიჭებო, და ყველაფერი კარგად დაიმახსოვრეთ. იმედია, გამეორება არ მომიწევს. დრო ცოტაა. უბრალო ისტორიაა. მოდით, ნურაფერს გავართულებთ.

# 3

ეს ყველაფერი ჯენისს დილის თერთმეტ საათზე ვუამბე. კინაღამ დავწერე, მომდევნო დილის-მეთქი, მაგრამ რასაკვირველია, ეს იმავე დღეს მოხდა. ის დღე ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად ყველაზე გრძელი იყო. თითქმის არც ერთი წვრილმანი არ გამომიტოვებია და თხრობა იმით დავასრულე, როგორ მოკვდა ძილში პერსი უეტმორის პისტოლეტიდან გასროლილი ტყვიებით დაცხრილული უილიამ უორტონი.

არა, შემეშალა. თხრობა იმით დავასრულე, როგორ ამოფრინდა პერსი უეტმორის პირიდან შავი ქინქლების ღრუბელი. მოსაყოლად ძნელი იყო, თუნდაც ცოლისთვის, მაგრამ მაინც არაფერი დამიმალავს.

სანამ ვყვებოდი, ნახევარი ფინჯანი ყავა მომიტანა - ხელები ისე ძლიერ მიკანკალებდა, სავსე ფინჯნიდან ყავა უთუოდ დამეღვრებოდა. თხრობას რომ მოვრჩი, ოდნავ დაწყნარებული ვიყავი და ვთხოვე, მგონი, ჭამის მადა დამიბრუნდა და ტაფამწვარს ან წვნიანს შევჭამდი-მეთქი.

- იმან გადაგვარჩინა, რომ არც ერთ ჩვენგანს ტყუილის თქმა არ დაგვჭირვებია.

- მხოლოდ რაღაც დეტალები გამოტოვეთ, - თავი დააქნია ჯენისმა, - მაგალითად, ის, რომ შუაღამით სიკვდილმისჯილი ციხიდან გააპარეთ და მან მომაკვდავი ქალი განკურნა. მერე პერსი უეტმორი ჭკუიდან შეშალა. როგორ? აბელილი ტვინის სიმსივნის პირში ჩაფურთხებით?

- არ ვიცი, ჯენ, - ვთქვი მე, - მხოლოდ ის ვიცი, რომ თუ ეგრე საუბარს გააგრძელებ, ამ წვნიანის შეხვრეპა შენ მოგიწევს, ან არადა, წაიღებ და ეზოში ძაღლს აჭმევ.

- ბოდიში, მაგრამ ხომ სიმართლეს ვამბობ?

- კი, - დავეთანხმე, - საბედნიეროდ, იმ... - რას? „გაქცევას“ იმას ვერ დავარქმევთ და, მით უმეტეს, ვერც „შვებულებას“, - ექსკურსიას გადავურჩით. პერსი გონს რომ მოეგოს კიდეც, მაინც ვერ დაგვასმენს, რადგან არაფერი იცის.

- თუ გონს მოვა, - გაიმეორა ჯენისმა, - ეს შესაძლებელია?

თავი გავაქნიე, არ ვიცი-მეთქი. სინამდვილეში, ვიცოდი. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერც 1932 წელს, ვერც 1942 წელს და ვერც 1952 წელს ის გონზე ვერ მოვიდოდა. ასეც მოხდა. პერსი უეტმორი საგიჟეთში 1944 წლამდე დარჩა, სანამ „ბრაიერ რიჯი“ მთლიანად არ დაიწვა. ხანძარმა ჩვიდმეტი პაციენტი შეიწირა. პერსი მათ შორის არ ყოფილა. კვლავინდებურად მდუმარე და უსიცოცხლო - როგორც გავიგე ამ მდგომარეობას „კატატონიურს“ უწოდებენ - ერთ-ერთ მცველს ცეცხლის გავრცელებამდე კარგა ხნით ადრე გაუყვანია შენობიდან. ის სულით ავადმყოფთა სხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს - სახელი არ მახსოვს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს - და 1965 წელს იქვე გარდაიცვალა. თუ არ ვცდები, მისი ბოლო სიტყვები იყო, ვინმემ ჩემი წასვლის დრო დაეფიქსირეთ, თორემ მერე იმის ახსნა მოგიწევთ, ასე ადრე რატომ წავედიო.

ბედის ირონიით, ბევრი არაფრის ახსნა არ დაგვჭირვებია. პერსი უეტმორი გაგიჟდა და უილიამ უორტონი მოკლა. დაკითხვაზე ეს ვთქვით და არც გვიცრუია. როცა კერტის ანდერსონმა ბრუტუსს ჰკითხა, გასროლამდე პერსი როგორ განწყობაზე იყოო, ბრუტუსმა უპასუხა: მშვიდზეო და თავი ძლივს შევიკავე, რომ არ ავხარხარებულიყავი. რადგან ესეც სიმართლე იყო. მთელი ღამე პერსი დამამშვიდებელ ოთახში „მშვიდად“ იჯდა და პირაკრული, მხოლოდ დუდღუნებდა.

კერტისს პერსი დილის რვა საათამდე არ გაუშვია. პერსი სიგარეტის გამყიდველი ინდიელივით დუმდა, თუმცა შემაძრწუნებელი გამომეტყველება ჰქონდა. ამასობაში ჰელ მურსი მოვიდა -

პირქუში, მაგრამ თავდაჯერებული. ციხის უფროსის მოვალეობის შესრულება განაგრძო. ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ. შეშინებული, სასოწარკვეთილი მოხუცი სადღაც გამქრალიყო. პერსისთან კვლავ ძველი ციხის უფროსი მურსი მივიდა, მხრებში ხელები ჩაავლო და ძლიერად შეანჯღრია.

- შვილო! - ხმამაღლა დაუყვირა პერსის, რომლის სახე ცვილივით ჩამომდნარიყო. - შვილო! გესმის ჩემი? დამელაპარაკე, თუ გესმის! მინდა, ვიცოდე, რა მოხდა!

რასაკვირველია, პერსიმ პასუხი არ გასცა. ანდერსონს ციხის უფროსთან ცალკე დალაპარაკება სურდა, ამ საქმეს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს და როგორ გავუმკლავდეთო, მაგრამ ჰელ მურსმა მასთან თათბირი ცოტა ხნით გადადო; მე განზე გამიხმო. ჯონ კოფი კედლისკენ პირმიქცეული იწვა და, როგორც ყოველთვის, ფეხები საწოლიდან გადმოეშვირა. მძინარეს ჰგავდა და, მგონი, მართლაც ეძინა... თუმცა, როგორც უკვე გაირკვა, ჯონ კოფი ყოველთვის ისეთი არ იყო, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა.

- იმას, რაც ჩემს სახლში მოხდა, ამ საქმესთან რამე კავშირი ხომ არ აქვს? - ხმადაბლა მკითხა ჰელ მურსმა. - თუნდაც სამსახური დავკარგო, მაინც დაგიცავთ, ოღონდ სიმართლე უნდა ვიცოდე.

თავი უარის ნიშნად გავაქნიე. მეც ხმადაბლა ვუპასუხე. ბლოკში უკვე თხუთმეტამდე მცველი შეკრებილიყო. ერთ-ერთი საკანში მოკლულ სიკვდილმისჯილს უღებდა ფოტოს. კერტის ანდერსონი მას უყურებდა. ჯერჯერობით მხოლოდ ბრუტუსი იყურებოდა ჩვენკენ.

- არა, სერ. ჯონ კოფი საკანში დავაბრუნეთ, როგორც ხედავთ. მერე პერსი დამამშვიდებელი ოთახიდან გამოვუშვით. გვეგონა, გაბრაზდებოდა და ხმაურს ატეხდა, მაგრამ მხოლოდ პისტოლეტი და ხელკეტი მოითხოვა. მეტი არაფერი უთქვამს. გასასვლე-

ლისკენ წავიდა. უორტონის საკანს რომ მიადგა, უცებ პისტოლეტი დააძრო და ექვსჯერ ესროლა.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ დამამშვიდებელ ოთახში დამწყვდეულს... თავში რამე გადაუტრიალდა?

- არა, სერ.

- დამამშვიდებელი პერანგი ჩააცვით?

- არა, სერ. ამის საჭიროება არ ყოფილა.

- ჩუმად იყო? წინააღმდეგობა არ გაუწევია?

- არა, სერ.

- მაშინაც კი, როცა დამამშვიდებელ ოთახში ამწყვდევდით?

- დიახ, სერ, - რატომღაც ძალიან მომინდა, თხრობას ცოტას შევალამაზებ, პერსის ერთი-ორ სიტყვას ვათქმევინებ-მეთქი, მაგრამ სურვილი დავძლიე. რაც მარტივია, მით უკეთესია - ეს მეც კარგად ვიცოდი, - არ უხმაურია. ოთახში ნებით შევიდა და ერთერთ კუთხეში ჩამოჯდა.

- უორტონზე არაფერი უთქვამს?

- არა.

- არც კოფიზე?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

- უორტონზე განაწყენებული ხომ არ იყო? მასთან ანგარიშის გასწორება ხომ არ უნდოდა?

- შეიძლება, - კიდევ უფრო დავუწიე ხმას, - პერსი დერეფანში უყურადღებოდ დადიოდა, ჰელ. ერთხელ უორტონმა გისოსებიდან ხელი გამოყო და დაიჭირა, გაეხუმრა, - წამით შევყოვნდი, - ტანზე ხელები უფათურა.

- მეტი არაფერი? მხოლოდ ეხუმრა და მორჩა?

- კი, მაგრამ პერსიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. უორტონმა უთხრა, შენი დის გაჟიმვას შენი გაჟიმვა მირჩევნიაო.

- აა, - ჰელ მურსი გამუდმებით ჯონ კოფის საკნისკენ იყურებოდა, თითქოს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ჯონ კოფი ნამდვი-

ლად არსებობდა, - ეს არ ხსნის იმას, რაც პერსის შეემთხვა. თუმცა, ის კი ცხადია, რატომ ესროლა უორტონს და არა - კოფის ან რომელიმე თქვენგანს. ჰო, სხვათა შორის, პოლ, შენებიც ხომ იმავეს იტყვიან, რასაც შენ ამბობ?

- დიახ, სერ, - ვთქვი მე.

- და ასეც იქნება, - ვუთხარი ჯენისს და მისი მომზადებული წვნიანის ხვრეპას შევუდექი, - თვითონ ვიზრუნებ ამაზე.

- შენ იცრუე, - თქვა ჯენისმა, - ჰელი მოატყუე.

აი, ასეთები არიან ცოლები! ყოველთვის შენს საუკეთესო პიჯაკში ეძებენ ჩრჩილისგან გაჩენილ ნახვრეტებს და, როგორც წესი, პოულობენ კიდეც.

- კი, თუ ამ კუთხით შეხედავ. თუმცა, მისთვის ისეთი არაფერი მითქვამს, რომ ცხოვრება ვეღარ გავაგრძელოთ. ჰელი სუფთაა. იმ დროს ციხეში არც ყოფილა. ავადმყოფ ცოლს უვლიდა შინ, სანამ კერტისმა არ დაურეკა.

- მელინდა როგორ არისო, არ უთქვამს?

- იმ წუთას ამის დრო არ იყო. მე და ბრუტუსი წამოსვლამდე დაველაპარაკეთ. მელინდას ბევრი არაფერი ახსოვს, მაგრამ კარგადაა. დადის და ლაპარაკობს. მომდევნო წელს ახალი ყვავილების დარგვას აპირებს.

ჩემი ცოლი კარგა ხანს ჩუმად იჯდა და ჭამას მაცლიდა.

- ჰელმა თუ იცის, რომ ეს სასწაულია? - მკითხა შემდეგ. - თუ ხვდება ამას, პოლ?

- კი, ყველა ვხვდებით, ვინც იქ ვიყავით.

- ერთი მხრივ, გული მწყდება, რომ მეც იქ არ ვიყავი, - თქვა ჯენისმა, - მაგრამ, მეორე მხრივ, მიხარია. რომ მენახა, დამასკოს გზაზე სავლეს თვალზე ქერცლი როგორ გადასძვრა, ალბათ, გულის შეტევით მოვკვდებოდი.

- არა-ა, - ჯამი დავაცერე, რომ წვნიანი ბოლომდე შემეხვრიპა, - ალბათ, წვნიანს მოამზადებდი. გემრიელი იყო, ძვირფასო.

- ძალიან კარგი, - თქვა ჯენისმა. სინამდვილეში ის არც წვნიანზე ფიქრობდა და არც სავლეს მოქცევაზე. ფანჯრიდან მთის ქედებს გასცქეროდა. ნიკაპი ცალ ხელზე ედო და მისი მზერა დანისლულიყო, როგორც მთის ქედები ზაფხულის დილას. ისეთ ზაფხულის დილას, როცა ტყუპი დეტერიკები გაიტაცეს. ნეტა რატომ არ იკივლეს-მეთქი, გავიფიქრე უცებ.

მკვლელმა ისინი აწამა. სახლის ვერანდასა და კიბის საფეხურებს სისხლის ლაქები ემჩნეოდა. მაშ, რატომ არ იკივლეს?

- ფიქრობ, რომ ის ველური უორტონი სინამდვილეში ჯონ კოფიმ მოკლა. არა? - მკითხა ჯენისმა და ფანჯარას თვალი მოსწყვიტა. - ეს შემთხვევითობა არ ყოფილა. მან პერსი უეტმორი იარაღად გამოიყენა.

- ჰო.

- რატომ?

- არ ვიცი.

- თავიდან მომიყევი, კოფი დერეფანში რომ მიგყავდათ, რა მოხდა. მხოლოდ ეგ ნაწილი.

მეც მოვუყევი. ვუამბე, როგორ გამოძვრა თეთრი ხელი გისოსებს შორის და კოფის მკლავზე გველივით - წყლის გველივით, ბავშვობაში მდინარეში ბანაობისას არაერთხელ რომ შევუშინებივართ - შემოეჭდო. ჯონ კოფიმ ლამის ჩურჩულით თქვა, უორტონი ცუდი კაციაო.

- და უორტონმა რა თქვა?... - ჩემი ცოლი ისევ ფანჯრიდან იყურებოდა, მაგრამ მისმენდა.

- უორტონმა უთხრა, მართალს ამბობ, ზანგო, ისეთი ცუდი ვარ, შენ ვერც კი წარმოიდგენო.

- მეტი არაფერი?

- არა. რატომღაც მეგონა, რომ იმ მომენტში რაღაც ცუდი მოხდებოდა, მაგრამ არაფერი მომხდარა. ბრუტუსმა უორტონს კოფისთვის ხელი მოაშორებინა და უთხრა, დაწექიო. უორტონიც

დაემორჩილა. ჯერ ისიც საკითხავია,საერთოდ როგორ იდგა ფეხზე. დაწოლამდე რაღაც ჩაიბურტყუნა, ზანგებს ცალკე ელექტროსკამი უნდა ჰქონდეთო და მორჩა. ჩვენ ჩვენს საქმეზე წავედით.

- ჯონ კოფიმ მას ცუდი კაცი უწოდა.

- ჰო. ერთხელ პერსიზეც იგივე თქვა. მგონი, არაერთხელ. ოღონდ ზუსტად არ მახსოვს, კიდევ როდის.

- მაგრამ უორტონს ჯონ კოფისთვის არაფერი დაუშავებია, არა? მაგალითად, როგორც პერსისთვის?

- არა. უორტონის საკანი დერეფნის თავში მორიგის მაგიდასთან ახლოს იყო, კოფისა - საპირისპირო მხარეს, დერეფნის ბოლოში და ერთმანეთს წესიერად ვერც ხედავდნენ.

- აბა, შემახსენე, როგორ გამოიყურებოდა კოფი, როცა უორტონმა მკლავზე ხელი წაავლო.

- ჯენის, ტყუილად მაყოლებ ერთსა და იმავეს.

- შეიძლება ტყუილად გაყოლებ, შეიძლება - არა. მიდი, მითხარი, როგორ გამოიყურებოდა კოფი.

ამოვიხვნეშე.

- გაოგნებული ჩანდა. წამოიყვირა. თითქოს ცხელ პლაჟზე იწვა და ვიღაცამ მოულოდნელად ზურგზე ცივი წყალი გადაასხაო. ან თითქოს ვიღაცამ მოულოდნელად სილა გააწნაო.

- ჰო, უეცარმა შეხებამ, ალბათ, შეაკრთო და წამით გამოაფხიზლა, - თქვა ჯენისმა.

- კი, ეგრე იყო, - ვთქვი და მერე შევასწორე, - არა.

- გადაწყვიტე, „კი“ თუ „არა“?

- არა. ის შემკრთალს არ ჰგავდა. ისე გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, საკანში ინფექციისგან განსაკურნებლად რომ მიხმო. ან, როცა თაგვი მომაწოდეო, მთხოვა. გაკვირვებული იყო, შეხებას არ შეუშინებია... არა... ღმერთო, ჯენის, აღარ ვიცი.

- კარგი, შევეშვათ ტვინის ჭყლეტას, - თქვა ჯენისმა, - უბრალოდ, ვერ ვხვდები, რატომ ჩაიდინა ეს ჯონ კოფიმ. სულ ესაა. ბუნებით მოძალადე არ ჩანს. ამას მეორე კითხვამდე მივყავართ, პოლ: როგორ დასჯით მას სიკვდილით, თუკი არ ცდები და ის გოგონები მას არ მოუკლავს? როგორ შეძლებთ ელექტროსკამზე მის დასმას, თუ გოგონები ვიღაც სხვამ...

სკამზე შევხტი. იდაყვი ჯამს გავკარი და იატაკზე გადავაგდე. ჯამი დაიმსხვრა. თავში ერთი აზრი მომივიდა. იმ წუთას ეს უფრო ინტუიცია იყო, ვიდრე ლოგიკური აზრი, მაგრამ თავისებური, დაუხვეწავი სილამაზე მაინც გააჩნდა.

- პოლ? - აღელდა ჯენისი. - რა მოხდა?

- არ ვიცი, - ვუპასუხე მე, - ჯერ ზუსტად არაფერი ვიცი, მაგრამ ვეცდები, გავარკვიო.

# 4

სიკვდილმისჯილის მკვლელობას საცირკო წარმოდგენა მოჰყვა ერთდროულად სამ არენაზე. შემდეგნაირად გადავნაწილდით: პირველ არენაზე - გუბერნატორი, მეორეზე - საპატიმრო და მესამეზე - ტვინგამორეცხილი პერსი უეტმორი. და საცირკო პროგრამის წამყვანი? წამყვანის მოვალეობას ჟურნალისტები რიგრიგობით ასრულებდნენ. მაშინდელი ჟურნალისტები დღევანდელებივით ცუდები არ იყვნენ - თავს ამის უფლებას ვერ მისცემდნენ - მაგრამ თუ არ ალაგმავდი, არც ისინი ამბობდნენ შორს გაჭენებაზე უარს.

თუმცა, ყველაზე მხიარული ცირკიც კი - უმახინჯესი ჯუჯებით, სასაცილო ჯამბაზებით და უველურესი ცხოველებით - ოდესმე ტოვებს ქალაქს. ამ ცირკმა საგამოძიებო კომისიის სხდომის შემდეგ დაგვტოვა. საგამოძიებო კომისიამ (რაც მეტისმეტად განსაკუთრებულად და საშიშადაც კი ჟღერს), სინამდვილეში მეტისმეტად მშვიდად და ზერელედ იმუშავა. სხვა შემთხვევაში, გუბერნატორი უეჭველად მოითხოვდა, მისთვის ლანგრით მიერთმიათ ვინმეს თავი, მაგრამ ამჯერად ეს უხერხულობას შექმნიდა. მისი ცოლის ძმისწული შეიშალა და კაცი მოკლა. მან მკვლელი მოკლა - და მადლობა ღმერთს ამისთვის, მაგრამ მკვლელობა მაინც მკვლელობაა, მით უმეტეს, მოკლულს საკანში გამოკეტილს ეძინა. ამას დაამატეთ ის ფაქტი, რომ ეჭვმიტანილი გაგიჟდა და მიხვდებით, რატომ იჩქარა ამ საქმის ჩაფარცხვა გუბერნატორმა.

ციხის უფროს მურსის სახლში ჰარი ტერვილიგერის მანქანით ჩვენი სტუმრობის შესახებ არავის გაუგია. არც ის ფაქტი გამჟღავნებულა, რომ პერსის გიჟის პერანგი ჩავაცვით და დამამშვიდებელ ოთახში ჩავკეტეთ. ვერავინ შეიტყო, რომ უილიამ უორტონი გამაყუჩებლებით გავაბრუეთ ან საიდან შეიტყობდნენ? მთავრო-

ბა საერთოდ არ დაეჭვებულა, რომ უორტონის სხეულში, ტყვიების გარდა, სხვა რამეც იქნებოდა. გამომძიებელმა ტყვიები ამოაღებინა. დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელმა უორტონი ფიჭვის კუბოში ჩაასვენა და ასე დასრულდა ამბავი ახალგაზრისა, რომელსაც მკლავზე „ბიჭუნა ბილი“ ჰქონდა ამოსვირინგებული. როგორც იტყვიან, ყველას საკადრისად მიეზღო!

მთლიანობაში, აურზაურმა სულ ორ კვირას გასტანა. ამ დროის განმავლობაში პირში წყალი მქონდა ჩაგუბებული; შვებულების აღება სამზარეულოს მაგიდასთან თავში მოსული იდეის შესამოწმებლად, რასაკვირველია, გამორიცხული იყო. უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ ცირკმა ქალაქი დატოვა, როცა შუა ნოემბრის ერთ არაფრით გამორჩეულ დილას - მგონი, თორმეტი ნოემბერი იყო, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს - სამსახურში მივედი. იმ დღეს მაგიდაზე დამხვდა ქაღალდის ფურცელი, რომლის დანახვასაც ძალიან ვუფრთხოდი: ჯონ კოფის სიკვდილით დასჯის თარიღი. განკარგულებისთვის ხელი ჰელ მურსის ნაცვლად კერტის ანდერსონს მოეწერა, მაგრამ დოკუმენტისთვის იურიდიული ძალის შესაძენად ეს ხელმოწერაც კმაროდა. თანაც, სანამ განკარგულება ჩემამდე მოაღწევდა, ის აუცილებლად გაივლიდა ჰელ მურსის ხელში. წარმომიდგენია, ადმინისტრაციულ შენობაში, თავის კაბინეტში მჯდომი ჰელ მურსი როგორ დაჰყურებდა ამ ქაღალდის ფურცელს და ფიქობდა ცოლზე, რომელიც ინდიანოლის საავადმყოფოს ექიმებისთვის სასწაულის განსახიერებად იქცა. იმ ექიმებმა მელინდა მურსსაც დაუდგინეს „სიკვდილით დასჯის თარიღი“, მაგრამ ჯონ კოფიმ ის განკარგულება ნაკუწებად აქცია. ახლა კი დადგა დრო, თავად ჯონ კოფის გაევლო მწვანე გზა. ვის შეეძლო ამისთვის ხელის შეშლა? ვინ მოახერხებდა ამისთვის ხელის შეშლას?

სიკვდილით დასჯის თარიღად 20 ნოემბერი იყო მითითებული. განკარგულების მიღებიდან სამ დღეში - მგონი, 15 ნოემბერს

- ჯენისს სამსახურში დავარეკინე, ვითომ ავად გავხდი. ერთი ფინჯანი ყავა დავლიე და ჩემი ჯაყჯაყა, მაგრამ, სხვა მხრივ, სანდო „ფორდით“ ჩრდილოეთისკენ გავუყევი გზას. წასვლამდე ჯენისმა მაკოცა და წარმატებები მისურვა. მადლობა გადავუხადე, მაგრამ თვითონ წარმოდგენა აღარ მქონდა, რა იქნებოდა წარმატება - იმის პოვნა, რასაც ვეძებდი თუ პირიქით. ერთი კია, იმ დღეს ღიღინის განწყობაზე ნაღდად არ ვიყავი.

დღის სამი საათისთვის პურდომის ოლქის სასამართლოს შენობაში მივედი და სანამ დაიხურებოდა, არქივში რაღაც ჩანაწერებს გადავხედე. შემდეგ შერიფი დამადგა თავზე. მისთვის არქივის თანამშრომელს შეუტყობინებია, ვიღაც უცნობი ადგილობრივ საიდუმლოებებში იქექებაო. შერიფმა ქეთლეტმა მკითხა, რას დაეძებთო. მეც ვუთხარი. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ შერიფმა ქეთლეტმა საინტერესო რამ მიამბო. წინასწარ გამაფრთხილა, არავის უთხრა, რომ ეს ჩემგან მოისმინე, მაინც ყველაფერს უარვყოფო. დასკვნის გამოტანა ჯერ ადრე იყო, მაგრამ შერიფის მონათხრობი ნამდვილად დამეხმარა. შინისკენ გზაზე და შინ დაბრუნებულიც დიდხანს ვფიქრობდი. იმ ღამით სულ რამდენიმე საათი მეძინა და საწოლშიც ამაზე ვფიქრობდი.

მომდევნო დილით მზის ამოსვლამდე ტრაპინგუსის ოლქში გავემგზავრე. ქონის გროვას, ღიპიან ჰომერ კრიბუსს თავი ავარიდე და მის თანაშემწეს, რობ მაკჯის დაველაპარაკე. მაკჯის ჩემი მოსაზრების მოსმენა არ სურდა. ლამის ყურები დაეცო და ერთხელ კინაღამ მუშტი მომიქნია გასაჩუმებლად. ბოლოს მაინც დავითანხმე, კლაუს დეტერიკთან წასულიყო და რამდენიმე

კითხვა დაესვა. ალბათ, იმიტომ დამთანხმდა, რომ მე თვითონ არ წავსულიყავი.

- მხოლოდ ოცდაცხრამეტი წლისაა, მაგრამ ამ ბოლო დროს მოხუცივით მოტყდა, - თქვა მაკჯიმ, - სულაც არაა საჭირო, ვიღაც მახვილგონიერი ციხის მცველი, გამომძიებლობა რომ მოუნდო-

მებია,თავზე დაადგეს და ისევ შეახსენოს სადარდებელი, რომელსაც ნელ-ნელა ივიწყებს. ქალაქში დარჩით. არ მინდა, დეტერიკების ფერმას ახლოს გაეკაროთ, მაგრამ მინდა, რომ უკან დაბრუნებულს, აქ დამხვდეთ. თუ ლოდინით დაიღლებით, სასადილოში შეიარეთ და ნამცხვარი მიირთვით. ცოტას დაგამძიმებთ, - მოგვიანებით, ორი ნაჭერი ნამცხვარი შევჭამე და მართლაც საკმაოდ მსუყე აღმოჩნდა.

როცა მაკჯი დაბრუნდა და სასადილოს დახლთან ჩემ გვერდით ჩამოჯდა, მის სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე.

- აბა, რას მეტყვით? - ვკითხე.

- შინ გამომყევით, იქ ვისაუბრებთ, - მითხრა მან, - აქაურობა ჩემთვის ძალიან ხალხმრავალია.

ჩვენი საუბარი რობ მაკჯის სახლის ვერანდაზე შედგა. ორივეს გვციოდა, მაგრამ მისის მაკჯიმ შიგნით მოწვევის ნება არ მოგვცა. ის ქალი დროს უსწრებდა. მაკჯის ბევრი არ უსაუბრია. მომეჩვენა, რომ არ ეხალისებოდა, რასაც ამბობდა.

- ეს არაფერს ამტკიცებს, ხომ ხვდებით? - აგრესიულად თქვა, როცა თხრობას მორჩა; საუბრისას პაპიროსს უხეშად იქნევდა აქეთ-იქით და დაღვრემილი ჩანდა. სასამართლოში ყოველთვის სიმართლეს არ ვხედავთ და გვესმის - ეს ორივემ ვიცოდით. მგონი, შერიფის თანაშემწე რობ მაკჯიმ ცხოვრებაში პირველად ინატრა, ნეტა მეც ჩემი ბოსივით რეგვენი ვიყოო.

- ვიცი, - ვუპასუხე.

- ამის საფუძველზე თუ საქმის ოფიციალურად გადახედვის მოთხოვნას აპირებთ, გირჩევთ, კარგად დაფიქრდეთ, მეგობარო. ჯონ კოფი ზანგია და ტრაპინგუსის ოლქში ზანგებისთვის აპელაციის უფლების მიცემა არ გვჩვევია.

- ესეც ვიცი.

- აბა, რას აპირებთ?

სიგარეტის ნამწვი მოაჯირს მიღმა, ქუჩაში ვისროლე. წამოვდექი. შინისკენ აციებულზე მგზავრობა მელოდა და აჯობებდა, სწრაფად წავსულიყავი.

- ეგ თვითონაც არ ვიცი, მისტერ მაკჯი, - ვუპასუხე, - სამწუხაროდ, არ ვიცი. ზუსტად მხოლოდ ის ვიცი, რომ ნამცხვრის მეორე ნაჭერი აღარ უნდა მეჭამა.

- ერთ რამეს გეტყვით, ჩემო ჭკვიანო, - დამცინავად მომმართა მაკჯიმ, - აჯობებდა, პანდორას ყუთი არ გაგეხსნათ.

- მე არ გამიხსნია, - ვთქვი და დავემშვიდობე.

შინ გვიან, ნაშუაღამევს დავბრუნდი, მაგრამ ცოლი მელოდა. ვიცოდი, რომ უჩემოდ არ დაწვებოდა, მაგრამ გულში მაინც ჩამეღვარა სითბო, როცა კისერზე ხელები შემომხვია და ტანზე მაგრად მომეხუტა.

- გამარჯობა, უცხოელო, - თქვა და ფეხებშუა შემეხო, - ეს ყმაწვილი როგორ გრძნობს თავს? ხომ ჯანმრთელადაა?

- დიახ, ქალბატონო, - ვუთხარი და ხელში ავიყვანე. ზემოთ ავედით და ერთმანეთს მივესიყვარულეთ. სიტკოების პიკს რომ მივაღწიე, როცა ის-ისაა, უნდა გაათავო და გათავებისას უდიდესი სიამოვნების განცდა გეუფლება, ჯონ კოფის მარად აცრემლებული თვალები და მელინდა მურსის მისთვის ნათქვამი სიტყვები, მე და შენ სიბნელეში დავეხეტებოდითო, გამახსენდა.

ჩემი ცოლი კისერზე მეხვეოდა, ფეხები ჩემი ფეხებისთვის შემოეჭდო, მე ზემოდან ვაწექი და უცებ ავტირდი.

- პოლ! - დაფრთხა ჯენისი. ჩვენი მრავალწლიანი თანაცხოვრების მანძილზე სულ რამდენჯერმე ვუნახივარ აცრემლებული. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ტირილი არ მჩვეოდა. - პოლ, რა ხდება?

- უკვე ყველაფერი ვიცი, - ვთქვი აცრემლებულმა, - სიმართლე თუ გინდა, მეტისმეტად ბევრი ვიცი. რამდენიმე დღეში ჯონ კოფი

სიკვდილით უნდა დავსაჯო, მაგრამ ტყუპი დეტერიკები უილიამ უორტონმა მოკლა. მკვლელი ველური ბილია.

# 5

მომდევნო დღეს მცველების იმავე სამეულმა, რომელმაც დელაკრუას ცოცხლად შეხრუკვის შემდეგ ჩემს სამზარეულოში ისადილა, კვლავ ჩემთან მიირთვა სადილი. ამჯერად სამხედრო თათბირს მეხუთე წევრი, ჩემი ცოლიც ესწრებოდა. სწორედ ჯენისმა დამარწმუნა, სიმართლე დანარჩენებისთვის გამემხილა; მე არ ვაპირებდი, განა საკმარისი არაა, რომ სიმართლე ჩვენ ვიცით-მეთქი?

- წესიერად ვერ იაზრებ ამ საკითხს, - შემეპასუხა ჯენისი, - რადგან ნაწყენი ხარ. მათ უკვე იციან, რომ ჯონი იმ დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, რაც არ ჩაუდენია. სხვა თუ არაფერი, უკეთ მაინც იგრძნობენ თავს.

მე ასე არ მეგონა, მაგრამ ჯენისს მაინც დავუჯერე. როცა ბრუტუსს, ჰარის და დინს ვუამბე, რაც ვიცოდი (ვერ ვამტკიცებდი, მაგრამ ჩემს სიმართლეში ღრმად ვიყავი დარწმუნებული) რატომღაც დიდ ღრიანცელს ველოდი, მაგრამ მხოლოდ ფიქრიანი სიჩუმე გამეფდა.

ბოლოს, დინმა ჯენისის გამომცხვარი ფუნთუშა აიღო, ზედ მეტისმეტად სქლად წაუსვა კარაქი და თქვა:

- ნეტა ჯონმა თუ დაინახა ის? დაინახა, როგორ დაყარა უორტონმა გოგონები? ან მეტიც, როგორ გააუპატიურა ისინი?

- ჩემი აზრით, ეს რომ ენახა, მის შეჩერებას ეცდებოდა, - ვუპასუხე, - შეიძლება თვალი მოჰკრა, როგორ გარბოდა უორტონი, მაგრამ მოგვიანებით გადაავიწყდა.

- ჰო, განსაკუთრებული კია, მაგრამ საზრიანს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, - შენიშნა დინმა, - უორტონი რომ დამნაშავე იყო, მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა მან გისოსებს შორის ხელი გამოყო და მკლავზე შეეხო.

- ამიტომაც ჩანდა ჯონი ასეთი გაკვირვებული... ასეთი შოკირებული, - თავი დააქნია ბრუტუსმა, - გახსოვთ, როგორ დაჭყიტა თვალები?

მეც თავი დავაქნიე.

- ჯენისმა თქვა, ჯონმა პერსი იარაღად გამოიყენაო და ამაზე მეც დიდხანს ვფიქრობდი. რატომ უნდა ნდომებოდა ჯონ კოფის ველური ბილის მოკვლა? პერსის მოკვლა კიდევ შეიძლება ნდომოდა - პერსიმ დელაკრუას თაგვი მის თვალწინ გასრისა, პერსიმ დელაკრუა ცოცხლად დაწვა - მაგრამ უორტონის? უორტონს თითქმის არც ერთი ჩვენგანი არ დაუტოვებია უგინებელ-უფურთხებელი, მაგრამ მთელი ის დრო, რაც მწვანე გზაზე ერთად გაატარეს, ჯონ კოფისთვის ათი სიტყვაც ძლივს ექნებოდა ნათქვამი და იმ ათიდან ნახევარი მკვლელობის ღამეს უთხრა. რაში დასჭირდა მისი მოკვლა? უორტონი პურდომის ოლქიდან იყო და იქაური თეთრკანიანი ბიჭები ზანგებს ვერსად ხედავენ, თუ რომელიმე შემთხვევით არ შეეხეტება მათ ეზოში. მაშ, რამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი? რა დაინახა ან იგრძნო უილიამ უორტონის შეხებისას ისეთი, რომ მელინდა მურსის სხეულიდან გამოწოვილი შხამი შეინახა?

- და თვითონაც კინაღამ გადაყვა ამას, - დაამატა ბრუტუსმა.

- კინაღამ კი არა, ბეწვზე გადარჩა. ამას ერთადერთი ახსნა მოვუძებნე - ტყუპი დეტერიკები. არადა, თავიდან ვერ ვიჯერებდი, ასეთი დამთხვევა შეუძლებელია-მეთქი. მერე კერტის ანდერსონის პირველი უწყება გამახსენდა, სადაც უორტონზე მწერდა, ნამდვილი გიჟია და სანამ მასობრივი მკვლელობის ადგილზე აიყვანდნენ, მთელ შტატში დაწანწალებდაო. „დაწანწალებდა“ - ეს სიტყვა გონებაში ჩამრჩა. მერე, პირველივე დღეს დინის დახრჩობა მოინდომა. ამან ერთი რამ გამახსენა...

- ძაღლი, - თქვა დინმა, რომელიც ყელზე უორტონის ბორკილებისგან დატოვებულ ნაიარევს ისრესდა. მგონი, ამას თავისდა

უნებურად აკეთებდა, - გაგახსენა, როგორ მოუგრიხეს ძაღლს კისერი.

- ამგვარად, პურდომის ოლქში წავედი უორტონის საქმის დეტალების გასაცნობად. არქივში მხოლოდ იმ მკვლელობის საქმის მასალები ვიპოვე, რომლის გამოც მწვანე გზაზე ამოყო თავი. მე მისი „კარიერის“ დასასრულის კი არა, დასაწყისის შესწავლა მინდოდა.

- მერედა, რა გაარკვიე? - მკითხა ბრუტუსმა.

- დიდი შფოთისთავი ყოფილა. ვანდალიზმი, წვრილმანი ქურდობები, თივის ზვინისთვის ცეცხლის წაკიდება, ასაფეთქებლების მოპარვა - მეგობართან ერთად დინამიტი აუწაპნია და მდინარის ნაპირთან აუფეთქებია - ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია. „მოღვაწეობა“ ათი წლის ასაკში დაუწყია. თუმცა, ჩემთვის საინტერესოს ვერაფერს მივაგენი. ამასობაში შერიფი დამადგა თავზე, ვინ ხარ და რას აკეთებო. შეიძლება ითქვას, ბედმა გამიღიმა. მოვატყუე, საკნის გაჩხრეკისას უორტონის ლეიბში შიშველი პატარა გოგონების ფოტოები ვიპოვეთ-მეთქი. მაინტერესებს, უორტონი პედერასტობაში ხომ არ ყოფილა შემჩნეული, ტენესიში რამდენიმე გაუხსნელ საქმეზე მსმენია-მეთქი. ტყუპი დეტერიკები სპეციალურად არ ვახსენე. მგონი, გოგონები არც შერიფს გახსენებია.

- რატომ გაახსენდებოდა? - წამოიძახა ჰარიმ. - მათი აზრით, საქმე გახსნილია.

- ვუთხარი, ალბათ, უორტონი არაფერ შუაშია, რადგან მისი საქმის მასალებში მსგავსი არაფერია ნახსენები-მეთქი. ამაზე შერიფ ქეთლეტს გაეცინა და თქვა, საგამოძიებო მასალებში უილიამ უორტონისნაირი ნაძირალას ყველა „გმირობა“ არ არის შეტანილიო. თუმცა, ის ხომ უკვე მოკვდა და რაღაში გაინტერესებთო. ვუთხარი, მხოლოდ ცნობისმოყვარეობას ვიკმაყოფილებ-მეთქი. ამან შერიფი დააწყნარა. თავის კაბინეტში შემიყვა-

ნა, ყავით და ფუნთუშით გამიმასპინძლდა და მითხრა, თექვსმეტი თვის წინ, როცა უორტონი თვრამეტი წლისაც არ იყო,ოლქის დასავლეთ რეგიონში მცხოვრებმა კაცმა მას ბეღელში თავის ქალიშვილთან წაასწროო. მთლად გაუპატიურებას ამას ვერ დავარქმევთ, იმ კაცს უთქვამს, თითებით უზელდაო. შენთან ბოდიში, საყვარელო.

- არა უშავს, - თქვა ჯენისმა, თუმცა, ერთიანად გაფითრდა.

- გოგო რამდენი წლის იყო? - მკითხა ბრუტუსმა.

- ცხრა წლის.

ბრუტუსი შეკრთა.

- ის კაცი თვითონვე ასწავლიდა ჭკუას უორტონს, ღონიერი ძმები ან სხვა ნათესავები რომ ჰყოლოდა. ამის ნაცვლად შერიფ ქეთლეტთან მივიდა და უორტონის გაფრთხილება სთხოვა. თუ შესაძლოა, ასეთი საძაგელი შემთხვევების გამჟღავნება არავის უნდა. თუმცა, შერიფ ქეთლეტს უკვე ყელში ამოსვლოდა უორტონის ოინბაზობები - თხუთმეტი წლის ასაკში უორტონი რვა თვით გამოსასწორებელ კოლონიაშიც ჰყოლია გამოკეტილი - უთქვამს, მორჩა უკვე საკმარისიაო. სამ თანაშემწესთან ერთად უორტონის სახლში მისულა, ატირებული მისის უორტონის ხვეწნა-მუდარისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და მისტერ უილიამ „ბიჭუნა ბილი“ უორტონისთვის ნათლად აუხსნიათ, რა მოუვათ მუწუკებიან ბიჭებს, რომლებიც თივის ზვინში ისეთ პატარა გოგოებთან ერთად დაიპარებიან, თვიურებზე რომ ჯერ კიდევ არაფერი სმენიათ. ეგ პატარა ხულიგანი კარგად გავაფრთხილეთო, მითხრა ქეთლეტმა. ისე გავაფრთხილეთ, რომ თავიდან სისხლი სდიოდა, მხრები ამოგდებული ჰქონდა და ლამის უკანალიც აღარ შევარჩინეთო.

ბრუტუსმა სიცილისგან თავი ვერ შეიკავა.

- პურდომის ოლქში ეგეთი რამეები ნამდვილად სჩვევიათ.

- დაახლოებით სამი თვის შემდეგ უორტონი მთლად გადაირია და ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, - ვთქვი, - ამ მკვლელობების გამო დაიჭირეს და ასე მოხვდა ჩვენთან.

- ესე იგი, არასრულწლოვან გოგოსთან კავშირში ერთხელ უკვე ყოფილა გამოჭერილი, - თქვა ჰარიმ, სათვალე მოიხსნა, მინები დაორთქლა და გაწმინდა, - არასრულწლოვანთან კი არა, მცირეწლოვანთან. იქნებ ეს ჩვევად ჰქონდა?

- კაცი ეგეთ რამეს მხოლოდ ერთხელ არ ჩადის, - თქვა ჩემმა ცოლმა და პირი ისე მოკუმა, თითქოს ტუჩები ერთმანეთს შეეზარდაო.

შემდეგ ისიც მოვყევი, ტრაპინგუსის ოლქში რომ წავედი. რობ მაკჯისთან ვეღარ ვიცრუებდი - არჩევანი არ მქონდა. არ ვიცი, თავად მაკჯიმ რა უთხრა მისტერ დეტერიკს, მაგრამ კაცი, რომელიც დეტერიკების ფერმიდან დაბრუნდა და სასადილოში გვერდით მომიჯდა, შვიდი წლით დაბერებულს ჰგავდა.

შუა მაისში, ერთი თვით ადრე, სანამ უორტონს ხოცვა-ჟლეტის გამო დაიჭერდნენ და ბოროტმოქმედის კარიერას უდროოდ დაასრულებდა, კლაუს დეტერიკს ბეღელი და მის გვერდით მდგარი ბუდრუგანა შეუღებავს. ხარაჩოზე საძრომიალოდ მისი ვაჟიშვილი ჯერ კიდევ პატარა იყო, თან სკოლაშიც დადიოდა და ამიტომ მუშა დაუქირავებია. ჩუმი, თავაზიანი ყმაწვილი. სულ სამი დღის საქმე ყოფილა. არა, ღამეს სახლში არ ათევინებდა. კლაუსი იმდენად სულელიც არ იყო, მხოლოდ სიჩუმისა და თავაზიანობის გამო უცნობი შინ შეეშვა, მით უმეტეს, რომ იმ ხანად ათასი მაწანწალა დაეხეტებოდა აქეთ-იქით. კაცი ოჯახს უნდა გაუფრთხილდეს. თუმცა, მუშას ღამის გასათევი არც სჭირდებოდა, კლაუსისთვის უთქვამს, ქალაქში ივ პრაისმა ოთახი მომაქირავაო. ტეფტონში ივ პრაისი მართლაც ცხოვრობდა, მაგრამ მის სახლში აღწერილობით უორტონის მსგავს მამაკაცს ოთახი არ უქირავებია. ეს რობ მაკჯიმ მითხრა: იმდენად დამწუხრებული იყო, დეტერიკე-

ბის ფერმიდან მომავალს გზად ივ პრაისთან შეუვლია და გამოუკითხავს.

„თუნდაც ასე იყოს, - დაამატა მაკჯიმ, - კანონი არავის უკრძალავს ტყეში ძილს, მისტერ ეჯკუმ. ერთი-ორჯერ მეც გამითევია ღამე გარეთ“.

მუშას დეტერიკების სახლში არ ეძინა, მაგრამ ორჯერ მათთან უსადილია. ალბათ, ჰაუისაც შეხვდა და ტყუპ დებსაც - კორას და ქეთის. ალბათ, ისიც მოისმინა, როგორ ლაქლაქებდნენ გოგონები, მალე ზაფხული მოვა და, თუ წესიერად მოვიქცევით, დედიკო ვერანდაზე დაძინების ნებას მოგვცემსო. ვერანდაზე ახალმოშენეების ცოლებად წარმოიდგენდნენ თავს, დიდი პრერიები ფურგონებით რომ გადაკვეთეს.

ახლაც კი წარმოვიდგენ, როგორ ზის უორტონი დეტერიკების სასადილო მაგიდასთან, მისის დეტერიკის შემწვარ ქათამს და პურს მიირთმევს, მგლურ მზერას ოსტატურად ნიღბავს, ღიმილით იქნევს თავს და ყველაფერს იმახსოვრებს.

- ეს იმ ველურს არ ჰგავს, რომელზეც შენ მიამბე მწვანე გზაზე მისი გამოჩენის პირველივე დღეს, პოლ, - თქვა დაეჭვებით ჯენისმა, - საერთოდ არ ჰგავს.

- თქვენ ეგ ბიჭი ინდიანოლის საავადმყოფოში არ გინახავთ, ქალბატონო, - თქვა ჰარიმ, - პირღია იდგა და ჩაჩაჩული პიჟამას შარვლიდან შიშველი უკანალი მოუჩანდა. თვითონ შევმოსეთ. გვეგონა, წამლებით იყო გაბრუებული.

დინმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

- ბეღლის შეღებვა დაასრულეს და მუშა წავიდა. იმავე დღეს, ნიღბიანმა კაცმა ჯარვისში სატვირთო გადაზიდვების კომპანია „ჰამფის ფრეითი“ გაძარცვა, - განვაგრძე თხრობა, - მძარცველმა სამოცდაათი დოლარი და კომპანიის თანამშრომლის 1892 წლის იღბლიანი ვერცხლის დოლარი წაიღო. ის დოლარი დაპატიმრე-

ბისას უორტონს აღმოაჩნდა. ჯარვისი ტეფტონიდან სულ ორმოცდაათი კილომეტრითაა დაშორებული.

- მაშ, ფიქრობ, რომ ესმძარცველი, ეს გადარეული, სამი დღე ეხმარებოდა დეტერიკებს ბეღლის შეღებვაში და სადილობისას თავაზიანად სთხოვდა, პური მომაწოდეთო? - მკითხა ჩემმა ცოლმა.

- ასეთი ტიპები ყველაზე მეტად იმით არიან საშიში, რომ არაპროგნოზირებადები არიან, - თქვა ბრუტუსმა, - შეიძლება დეტერიკების მოკვლას და სახლის გაძარცვას აპირებდა, მაგრამ უდროო დროს მზეს ღრუბელი გადაეფარა ან რამე სხვა მოხდა და გადაიფიქრა. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ იმ ორ გოგოს თვალი დაადგა და მათ წასაყვანად დაბრუნება დაგეგმა. შენ რას ფიქრობ, პოლ?

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- გარდა ამისა, დეტერიკებს საინტერესო სახელით გაეცნო.

- რა სახელით? - მკითხა ჯენისმა.

- უთხრა, უილ ბონი მქვიაო.

- ბონი? ვერ...

- ეს ბიჭუნა ბილის ნამდვილი სახელი და გვარია.

- აა, - წამოიძახა ჯენისმა და თვალები გაუფართოვდა - მაშ, ჯონ კოფის გამართლება შეგიძლიათ! მადლობა ღმერთს! ახლა ისღა დაგრჩენიათ, მისტერ დეტერიკს უილიამ უორტონის ფოტო უჩვენოთ...

მე და ბრუტუსმა უხერხულად გადავხედეთ ერთმანეთს. დინი უფრო იმედიანად გამოიყურებოდა, ჰარი კი საკუთარ ხელებს დასცქეროდა, თითქოს უეცრად საშინლად დაინტერესდა თავისი ფრჩხილებითო.

- რა იყო? - გაუკვირდა ჯენისს. - ასე რატომ უყურებთ ერთმანეთს? ეს მაკჯი ხომ უთუოდ...

- რობ მაკჯი წესიერ და კანონმორჩილ ოფიცრად მომეჩვენა, - ვთქვი მე, - მაგრამ ტრაპინგუსის ოლქში მის სიტყვას წონა არ გააჩნია. იქ ძალაუფლება შერიფ კრიბუსის ხელშია და უმალ ჯოჯოხეთში მოთოვს, ვიდრე ეგ დეტერიკების საქმეს ხელახლა გახსნის იმ მტკიცებულებების საფუძველზე, მე რომ აღმოვაჩინე.

- მაგრამ... თუ უორტონი იქ იყო... თუ კლაუს დეტერიკი მას ფოტოზე ამოიცნობს და გაიგებენ, რომ უორტონი მათთან მუშაობდა...

- ის, რომ უორტონი მაისში მათთან მუშაობდა, არ ნიშნავს, რომ ივნისში უკან დაბრუნდა და გოგონები გაიტაცა, - თქვა ბრუტუსმა. ხმადაბლა, ფრთხილად წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქოს ნათესავს ოჯახის წევრის სიკვდილის შესახებ უნდა აუწყოსო. - ერთი მხრივ, სახეზეა ბიჭი, რომელიც დეტერიკებს ბეღლის შეღებვაში დაეხმარა და წავიდა. გაირკვა, რომ მთელ ოლქში დანაშაულებს ჩადიოდა, მაგრამ არ არსებობს არანაირი სამხილი იმისა, რომ იმ სამ დღეში მან ტეფტონში რამე დააშავა. მეორე მხრივ, გვყავს დიდი ზანგი, გოლიათი ზანგი, რომელიც მდინარის ნაპირას მოკლული, გაშიშვლებული გოგონების გვამებით ხელში იპოვეს.

ბრუტუსმა თავი გააქნია.

- პოლი მართალია, ჯენ. შეიძლება მაკჯი რაღაცას ეჭვობდეს, მაგრამ მას აზრს არავინ ჰკითხავს. მხოლოდ კრიბუსს შეუძლია გამოძიება განაახლოს, მაგრამ ამას არ იზამს, რადგან ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. ალბათ, უხარია, მკვლელი ზანგი იყო და თანაც, ჩვენებური არაო. ძალიან კარგი, წავალ „ქოულდ მაუნთინში“, სტეიკს შევჭამ, ზედ ლუდს დავაყოლებ, მერე ჯონ კოფის შებრაწვას ვუყურებ და ამით მორჩება ყველაფერიო.

ჯენისი გვისმენდა და უფრო და უფრო იზაფრებოდა.

- მაგრამ მაკჯის ხომ სჯერა შენი, პოლ? - ჩემკენ შემობრუნდა. - ამას შენც ხვდები. შერიფის თანაშემწე მაკჯიმ იცის, რომ უდანაშაულო ადამიანი დააპატიმრა. შერიფს არ შეეწინააღმდეგება?

- შეეწინააღმდეგება და სამსახურსაც დაკარგავს, - ვუპასუხე ჩემს ცოლს, - დიახ, ჩემი აზრით, გულის სიღრმეში მან იცის, რომ უორტონია ნამდვილი მკვლელი. თუმცა, ის ენას კბილს დააჭერს და დაიცდის, სანამ კრიბუსი პენსიაზე გავა ან ერთხელაც ჭამით მუცელი არ გაუსკდება, რომ მისი ადგილი დაიკავოს. მერე ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ალბათ, ამგვარი აზრებით იმშვიდებს თავს. თანაც, ერთი მხრივ, ის ჰომერისგან არ განსხვავდება. საქმე ხომ მხოლოდ ზანგს ეხებაო, ფიქრობს თავისთვის. ბოლოს და ბოლოს, ზანგს კლავენ და არა თეთრკანიანს.

- მაშინ თქვენ წადით და აუხსენით, რა დაადგინეთ, - თქვა ჯენისმა და მისმა დაჟინებულმა ტონმა გული გამიყინა.

- როგორ ავუხსნათ რა დავადგინეთ, ჯენის? - კვლავინდებურად ხმადაბლა და მშვიდად ჰკითხა ბრუტუსმა. - დავდგეთ და ყველას გავაგებინოთ, რომ უორტონმა ჯონ კოფის მკლავზე ხელი წაავლო, როცა ციხის უფროსის ცოლის სასწაულებრივად განსაკურნებლად მიგვყავდა?

- არა... რა თქმა უნდა, არა, მაგრამ... - ჯენისმა მიმართულება შეცვალა, - მაშინ, იცრუეთ, - ჯერ ბრუტუსს შეხედა, მერე მე მომაპყრო გამჭოლი მზერა.

- ვიცრუოთ? - გავიმეორე. - რაზე ვიცრუოთ?

- იმაზე, თუ რატომ წახვედი ჯერ პურდომის ოლქში, მერე კი ტრაპინგუსის ოლქში. მიდი იმ ღიპიან შერიფთან და უთხარი, რომ უორტონი გამოგიტყდა ტყუპი დეტერიკების გაუპატიურებასა და მკვლელობაში, - ჯენისმა თავისი მწველი მზერა წუთით ბრუტუსზე გადაიტანა, - შენ მხარი დაუჭირე, ბრუტუს. თქვი, რომ შენც იქ იდექი და უორტონის აღიარება მოისმინე. თქვით, რომ ეს პერსიმაც გაიგონა და სწორედ ამან გამოიყვანა წყობიდან. უორ-

ტონს იმიტომ ესროლა, რომ უორტონის საზარლად დახოცილი ბავშვები შეეცოდა. ამან ჭკუიდან შეშალა. თქვით, რომ... რა? ღვთის გულისათვის, ახლა რაღა მოხდა?

არა მხოლოდ მე და ბრუტუსი, ჰარი და დინიც კი შეძრწუნებულები უყურებდნენ ჯენისს.

- ხალხი დაეჭვდება, ასეთი რამ თავიდანვე რომ არ გავამხილეთ, ქალბატონო, - თითქოს ბავშვს ეუბნებოდა ჰარი, - ჩვენ ვალდებული ვართ, ყველაფერი მოვახსენოთ, თუ პატიმრებს თავიანთ ან სხვათა დანაშაულებზე რამე წამოსცდებათ.

- თანაც, ბილ უორტონისნაირებს არაფერი დაეჯერება, ჯენ, - ჩაერთო ბრუტუსი, - ის ყველაფერს იტყუებოდა, ასეთი და ისეთი დანაშაული ჩავიდინეო, გავლენიან ხალხს ვიცნობდიო, მაგარ ქალებთან ვიწექიო, სკოლაში ჩემს გუნდს ფეხბურთში სულ მე ვამარჯვებინებდიო. ჯანდაბა, ამინდზეც იტყუებოდა.

- მაგრამ... მაგრამ... - სასოწარკვეთილებამ შეიპყრო ჯენისი. მე ხელი გადავხვიე, მაგრამ ჯენისმა უხეშად მოიშორა. - მაგრამ ის იქ იყო! ის დაწყევლილი ბეღელი მან შეღება! მათთან ერთად სადილობდა!

- კიდევ ერთი მიზეზი იმისათვის, რომ დანაშაული თავის თავზე აეღო, - თქვა ბრუტუსმა, - რა დაუშავდებოდა? რატომ არ ეტრაბახა? ბოლოს და ბოლოს, კაცს ელექტროსკამზე ხელმეორედ ვერ შებრაწავ.

- მოდი, შევაჯამოთ, ზუსტად რა ვიცით. ჯონ კოფის არათუ მოუკლავს გოგონები, პირიქით, მათ გადარჩენას ცდილობდა. რობ მაკჯიმ ამდენი არ იცის, მაგრამ იმას კი ხვდება, რომ სიკვდილი მიესაჯა ადამიანს, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია. და მაინც... მიუხედავად ამისა... საქმის გასაჩივრება კი არა, მისი ხელახლა გახსნაც კი არ შეგიძლიათ.

- დიახ, ქალბატონო, - თქვა დინმა, რომელიც გამალებით წმენდდა სათვალის მინებს, - მოკლედ და კონკრეტულად ჩამოაყალიბეთ საკითხის მთელი არსი.

თავჩაქინდრული ჯენისი ჩაფიქრდა. ბრუტუსმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხელის აწევით შევაჩერე. დიდად არ მჯეროდა, რომ ჯენისი ჯონ კოფის სიკვდილმისჯილთა საკნიდან გამოხსნის გზას გამოძებნიდა, მაგრამ არც იმის მჯეროდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ჩემი ცოლი საკმაოდ გონიერი ქალი იყო. გონიერი და მიზანდასახული. ერთად შერწყმულმა ამ თვისებებმა შეიძლება მთაც კი შეძრას.

- კარგი, - თქვა მან ბოლოს, - მაშინ თვითონ უნდა დაიხსნათ ციხიდან.

- რაო? - დაფრთხა ჰარი.

- თქვენ ეს შეგიძლიათ. ერთხელ ხომ უკვე გააკეთეთ? კიდევ გააკეთებთ. ოღონდ ამჯერად უკან აღარ დააბრუნებთ.

- მერე, ჩემს შვილებს თქვენ აუხსნით, მათი მამა ციხეში სიკვდილმისჯილის გაპარების ბრალდებით რატომ ჩასვეს, მის ეჯკუმ? - ჰკითხა დინმა.

- ეგ არ მოხდება, დინ. გეგმას დავსახავთ. ყველაფერი ნამდვილ გაქცევას ემგვანება.

- მაშინ ისიც გაითვალისწინეთ, რომ გეგმის განხორციელება იმ კაცს ევალება, საკუთარი ფეხსაცმლის თასმების შეკვრა რომ არ შეუძლია, - ჩაერთო ჰარი, - გეგმა დამაჯერებელი უნდა იყოს.

ჯენისმა გაკვირვებით შეხედა ჰარის.

- ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა, - თქვა ბრუტუსმა, - თუნდაც გეგმა მოვიფიქროთ, ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა.

- რატომ? - ისეთი ხმით ჰკითხა ჯენისმა, თითქოს ცოტაც და ატირდებაო. - დასწყევლოს ღმერთმა, რატომ?

- იმიტომ, რომ ჯონ კოფი ორმეტრიანი თავმოტვლეპილი გოლიათია, რომელსაც თავის გამოკვების უნარიც კი არ აქვს, - ბრუ-

ტუსის მაგივრად მე ვუპასუხე. - როგორ გგონია, რამდენ ხანში დაიჭერენ? ორ საათში? ექვსში?

- აქამდე ხომ ცხოვრობდა ისე, რომ არავის ყურადღებას არ იქცევდა, - თქვა ჯენისმა. ლოყაზე ცრემლი ჩამოუცურდა და ხელისგულით მოიწმინდა.

მართლაც ასე იყო. სამხრეთში მცხოვრებ ჩემს ნათესავებს წერილი მივწერე, ჯონ კოფის გარეგნობისა ვინმე ხომ არ შეგხვედრიათ-მეთქი. ჯენისიც ასე მოიქცა. მხოლოდ ალაბამის ქალაქ მასლ-შოულიდან მივიღეთ პასუხი, ეგეთი ვინმე გვინახავსო. 1929 წელს ტორნადომ წირვის დროს ეკლესია დაანგრია და ვიღაც ბუმბერაზმა შავკანიანმა ნანგრევებიდან ორი კაცი გამოათრიაო. თავიდან ორივე მკვდარი ჰგონებიათ, მაგრამ მერე გარკვეულა, რომ ორივე უვნებელი იყო. ერთ-ერთი თვითმხილველის სიტყვებით, ეს ნამდვილი სასწაული იყო. შავკანიანი მუშა, რომელიც პასტორს ერთი დღით დაუქირავებია, იმ აურზაურში სადღაც გაუჩინარებულა.

- დიახ, ეგრე იყო, - თქვა ბრუტუსმა, - მაგრამ ეს მანამდე მოხდა, სანამ ორი მცირეწლოვანი გოგონას გაუპატიურებასა და მკვლელობაში დასდებდნენ ბრალს.

ჯენისი გაჩუმდა. წუთით ხმის ამოუღებლად იჯდა და მერე ისეთი რამ ჩაიდინა, რომ გაკვირვება ვერ დავმალე სწორედ ისე, როგორც მან ვერ დამალა გაკვირვება, როცა ღამით მასთან ალერსისას უეცრად ავტირდი. ჯენისმა ერთი ხელის მოსმით გადაყარა მაგიდიდან ჭიქები, თეფშები, დანა-ჩანგლები, კომბოსტოიანი სასალათე, შაშხიანი სინი და რძის ბოთლი. ყველაფერი იატაკზე დაიმსხვრა.

- ჯანდაბა! - ისე შეხტა დინი, რომ ლამის სკამი ააყირავა.

ჯენისს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მე და ბრუტუსს გვიყურებდა. ძირითადად, მე.

- მაშ, უნდა მოკლათ, თქვე ლაჩრებო? - იკითხა მან. - უნდა მოკლათ ადამიანი, რომელმაც მელინდა მურსი სიკვდილს გადაარჩინა და იმ პატარა გოგონების გადარჩენას ცდილობდა? დიდი ამბავი, ამქვეყნად ერთი შავკანიანით ნაკლები თუ იქნება, არა? მიდით, „ერთი ზანგით ნაკლებით“ დაიმშვიდეთ თავი!

ჯენისი წამოდგა, თავის სკამს წიხლი ჰკრა და კედელს მიანარცხა. მე მაჯაზე წავავლე ხელი, მაგრამ დამისხლტა.

- ნუ მეხები, - დამიყვირა ჩემმა ცოლმა, - ერთ კვირაში იმ უორტონივით შენც მკვლელი გახდები. ნუ მეხები!

ვერანდაზე გავიდა, სახეზე წინსაფარი აიფარა და აქვითინდა. ოთხივე ერთმანეთს შევყურებდით. ცოტა ხნის შემდეგ წამოვდექი და იატაკის მოწმენდას შევუდექი. ჯერ ბრუტუსი შემომიერთდა. მერე დინი და ჰარიც მომეშველნენ. იქაურობა ცოტა რომ მივალაგეთ, წავიდნენ. არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. სათქმელი აღარაფერი გვქონდა.

# 6

იმ ღამით ვისვენებდი. ჩვენი პატარა სახლის მისაღებ ოთახში ვიჯექი, სიგარეტს ვეწეოდი, რადიოს ვუსმენდი და ვუყურებდი, თანდათან როგორ ნთქავდა სიბნელე ცას. ტელევიზორი კარგი რამაა, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ის ყველაფრისგან გწყვეტს და მხოლოდ თავისი შუშის ეკრანისკენ გიზიდავს, რაც ძალიან არ მიყვარს. რადიო ტელევიზორს ბევრად სჯობს.

ჯენისი შემოვიდა, ჩემს სავარძელთან ჩაიმუხლა და ჩემი ხელი აიღო. კარგა ხანს არაფერი გვითქვამს, ისე ვისხედით, „ქეი ქაიზერის მუსიკალური ხელოვნების კოლეჯს“ ვუსმენდით და თვალს ვადევნებდით, ცაში ვარსკვლავები როგორ ენთებოდა.

- მაპატიე, რომ ლაჩარი გიწოდე, - მომიბოდიშა ჯენისმა, - ამდენი წელია ერთად ვცხოვრობთ და შენთვის ასეთი რამ არასდროს მითქვამს.

- მაშინაც კი, როცა ლაშქრობაზე ვიყავით და „მყრალი სემი“ მიწოდე? - ამაზე ორივეს გაგვეცინა, ერთმანეთს ვაკოცეთ და შევრიგდით. ჩემი ჯენისი ისეთი ლამაზი იყო... დღესაც მესიზმრება. ასეთ მოხუცსა და ცხოვრებით გადაღლილს მესიზმრება, რომ ამ ყველასგან მივიწყებულ და მიტოვებულ, ფსელითა და კომბოსტოს მყრალი სუნით გაჟღენთილ თავშესაფარში, ჩემს ოთახში შემოდის. მესიზმრება, რომ ძალიან ახალგაზრდა და ლამაზია, ლურჯთვალება და მკერდსავსე; მისი მკერდის ფერება არასდროს მბეზრდებოდა. სიზმარში ჯენისი მეუბნება, ძვირფასო, იმ ავარიაში მოყოლილ ავტობუსში არ ვმჯდარვარ, შეცდიო. ეს დღესაც მესიზმრება და ხანდახან, როცა მეღვიძება, ვტირი. ვტირი მე, კაცი, რომელსაც ახალგაზრდობაში თვალიდან ცრემლი იშვიათად თუ გადმოუვარდებოდა.

- ჰელმა იცის? - მკითხა ბოლოს ჯენისმა.

- რომ ჯონი უდანაშაულოა? არა მგონია, იცოდეს.

- შეუძლია დაგვეხმაროს? კრიბუსს აზრს ვერ შეაცვლევინებს?

- ვერა, ძვირფასო.

ჯენისმა თავი დააქნია, თითქოს ამ პასუხს ელოდაო.

- მაშინ ნურაფერს ეტყვი. თუ შველა არ შეუძლია, ღვთის გულისათვის, ნურაფერს ეტყვი.

- არ ვეტყვი.

ჯენისმა თვალი გამისწორა.

- იცოდე, იმ ღამით იქ უნდა იყო. ყველა იქ უნდა იყოთ. თავი არ მოიავადმყოფო. არც შენ, არც სხვებმა. ამას ვერ იზამთ.

- ვერა, ვერ ვიზამთ. იქ უნდა ვიყოთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოვრჩეთ მის წამებას. ესღა შეგვიძლია. დელაკრუასავით არ დაიტანჯება, - თვალწინ დამიდგა დელაკრუას სახეზე მიმწვარი ტომარა და გადმოცვენილი თვალები.

- მაშ, შენთვის გამოსავალი არ არსებობს? - ჯენისმა ჩემი ხელი ხავერდივით რბილ ლოყაზე მიიდო. - საბრალო პოლი. ჩემი საბრალო პოლი.

არაფერი ვუპასუხე. არც მანამდე და არც მას შემდეგ ასე ძლიერ არ მომნდომებია გაქცევა. მინდოდა, ჯენისისთვის ხელი მომეკიდა და ერთადერთი ჩანთით უკანმოუხედავად გავქცეულიყავი, საითაც გზა წამიყვანდა.

- ჩემო საბრალო, - გაიმეორა ჯენისმა. - მიდი, დაელაპარაკე.

- ვის? ჯონს?

- ჰო. დაელაპარაკე. გაიგე, რა სურს.

მის სიტყვებზე დავფიქრდი და თავი დავუქნიე. გონივრული რჩევა იყო. როგორც წესი, ჯენისი ძალიან იშვიათად ცდებოდა.

# 7

ორი დღის შემდეგ, თვრამეტ ნოემბერს, ბილ დოჯმა, ჰენკ ბიტერმანმა და კიდევ ერთმა მცველმა - სახელი არ მახსოვს, რომელიღაც დროებითი თანამშრომელი იყო - ჯონ კოფი D ბლოკში საბანაოდ წაიყვანეს. ჩვენ მისი სიკვდილით დასჯის რეპეტიცია გავიარეთ. ჯონის შემცვლელად მოხუცი პიპინა არ გამოგვიყენებია. ყველა უსიტყვოდ შევთანხმდით, რომ ეს უმსგავსობა იქნებოდა.

ჯონის როლი მე შევასრულე.

- ჯონი კოფი, - არცთუ ისე თავდაჯერებულად დაიწყო ბრუტუსმა, როცა ელექტროსკამზე დამაბეს, - ნაფიცმა მსაჯულებმა სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანეს...

ნაფიცმა მსაჯულებმა? სასაცილოა. ამქვეყნად არავის ჰქონდა უფლება, ჯონ კოფისთვის სიკვდილი მიესაჯა. მერე ჯონის სიტყვები გამახსენდა, „ბებერი ნაპერწკალას“ დანახვისას რომ წარმოთქვა, ისინი ჯერ კიდევ აქ არიან, მათი კივილი მესმისო.

- ამაყენეთ აქედან! - ხმაჩახლეჩილმა მოვითხოვე. - გამიხსენით ხელ-ფეხი და გამიშვით!

გამათავისუფლეს, მაგრამ მაინც ვერ გავინძერი, თითქოს „ბებერი ნაპერწკალა“ არ მიშვებდა. წამოდგომაში სხვები დამეხმარნენ. როცა ბლოკში ვბრუნდებოდით, ბრუტუსმა, ჰარისა და დინის რომ არ გაეგონათ, ხმადაბლა მითხრა:

- ცხოვრებაში ისეთი რამეებიც ჩამიდენია, რითაც ვერ ვიამაყებ, მაგრამ ახლა პირველად მეშინია, რომ ჯოჯოხეთში მოვხვდები.

ვიფიქრე, ხომ არ ხუმრობს-მეთქი, მაგრამ სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

- რას გულისხმობ?

- იმას, რომ ღვთიური ნიჭის მოსაკლავად ვემზადებით, - მიპასუხა მან, - უნდა მოვკლათ კაცი, რომელსაც არც ჩვენთვის დაუშავებია რამე და არც არავისთვის. რა ვუთხრა უფალ ღმერთს, როცა მის წინაშე წარვდგები და მკითხავს, ეს რატომ გააკეთეო? ეს ჩემი სამუშაო იყო-მეთქი? ჩემი სამუშაო?!

# 8

როცა ჯონი აბანოდან დააბრუნეს და მცველები წავიდნენ, მის საკანში შევედი და საწოლზე გვერდით მივუჯექი. ბრუტუსი მორიგის მაგიდასთან იჯდა. დამინახა, ჯონის საკანში მარტო რომ შევედი, მაგრამ არაფერი უთქვამს. საბუთებში ქექვა განაგრძო. დროდადრო თავს წევდა და ფანქრის წვერს ლოკავდა.

ჯონმა თავისი უცნაური, ჩასისხლიანებული, უემოციო, ცრემლმომდგარი თვალებით შემომხედა. თუმცა, მზერა მშვიდი ჰქონდა, თითქოს ტირილი არც ისე ცუდი იყოს, თუ მიეჩვევი. ოდნავ გამიღიმა კიდეც. მახსოვს, საპნის სუნი ასდიოდა, სუფთა და ქორფა, თითქოს ახალდაბანილი ჩვილი ყოფილიყოს.

- გამარჯობა, ბოს, - მომესალმა და ხელებით ჩემი ხელები აიღო. ეს სრულიად ძალდაუტანებლად და ბუნებრივად გააკეთა.

- გამარჯობა, ჯონ, - ყელში ბურთი მქონდა გაჩხერილი და ნერწყვი ჩავყლაპე, - ალბათ, ხვდები, რომ თარიღი ახლოვდება. ორი დღეღა დარჩა.

არაფერი უთქვამს. იჯდა და ჩემი ხელები ეჭირა. ახლა რომ ვიხსენებ, ჩემს თავს უკვე რაღაც ხდებოდა, მაგრამ იმ მომენტში მენტალურად და ემოციურად იმდენად კონცენტრირებული ვიყავი მოვალეობის შესრულებაზე, რომ ვერაფერი შევამჩნიე.

- ამაღამ რამე განსაკუთრებული ხომ არ გინდა ვახშმად, ჯონ? რაც გინდა, გვთხოვე. ლუდსაც მოგიტანთ. ყავის ფინჯანში ჩაგისხამთ და ვერავინ მიხვდება.

- ლუდი არასდროს გამისინჯავს, - თქვა მან.

- საჭმელად რამე გემრიელი ხომ არ გინდა?

გლუვი, ყავისფერი შუბლი შეჭმუხნა. მერე ისევ გახსნა და გაიღიმა.

- ხორცის რულეტი კარგი იქნებოდა.

- იყოს ხორცის რულეტი კარტოფილის პიურესთან ერთად, - უცებ მსუბუქი ღიტინი ვიგრძენი. ხელი დამიბუჟდა, თითქოს ზედ დიდხანს ვიწექი, - კიდევ რამე ხომ არ გინდა?

- რავი, ბოს, ბამის[36] წვნიანი იყოს, თუმცა, წუნია არ ვარ და რასაც მომიტანთ, შევჭამ.

- კარგი, - ვთქვი და გულში დავამატე, დესერტად მისის ჯენის ეჯკუმის გამომცხვარ ატმის ნამცხვარსაც მოგართმევ-მეთქი, - კარგი, მღვდელზე რას იტყვი? ზეგ ღამით ლოცვას არ წაიკითხავ? ლოცვა ხალხს აწყნარებს, ბევრჯერ მინახავს. ძმა შუსტერს დავუკავშირდები, სწორედ მან ილოცა დელთან ერთად...

- მღვდელი არ მინდა, - თქვა ჯონმა, - თქვენ კარგად მექცეოდით, ბოს. თუ გინდათ, თქვენ წაიკითხეთ ლოცვა. მე თქვენთან ერთად დავდგები მუხლებზე.

- მე? ჯონ, მე ვერ...

ხელები უფრო ძლიერად მომიჭირა და უჩვეულო შეგრძნება უფრო გამიმძაფრდა.

- კი, შეძლებთ, - მითხრა ჯონ კოფიმ, - ხომ შეძლებთ, ბოს?

- ალბათ, კი, - ყრუდ ჩამესმა საკუთარი პასუხი, - თუ საჭირო იქნება.

ისევ ისეთი გრძნობა დამეუფლა, როგორც მაშინ, საშარდე გზების ინფექციისგან რომ განმკურნა. მაგრამ იმავდროულად, თავს განსხვავებულად ვგრძნობდი. იმიტომ კი არა, რომ ახლა ავად აღარ ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ ამჯერად თავად ჯონ კოფი ვერ ხვდებოდა, ამას რომ აკეთებდა. შიშმა შემიპყრო. მისგან დასხლტომა და საკნიდან გასვლა მომინდა. თითქოს მთელი სხეული შიგნიდან გამინათდა. ნათელმა გაანათა მუდმივი წყვდიადი.

---

[36] ბამი - ერთწლოვანი მცენარე ბალბისებრთა ოჯახისა. მის უმწიფარ ნაყოფს საჭმელად იყენებენ.

- თქვენ და უფროსი ჰაუელი კარგად მექცეოდით, - თქვა ჯონ კოფიმ, - ვიცი, ჩემზე ღელავთ, მაგრამ არაა საჭირო. მე წასვლა მინდა, ბოს.

ხმა ვერ ამოვიღე. ლაპარაკის უნარი დავკარგე. აი, ჯონ კოფიმ კი მისთვის უჩვეულო, გრძელი სიტყვა წარმოთქვა:

- დამღალა მუდმივი ტკივილის სმენამ და ყურებამ, ბოს. დამღალა გზაზე ეულად ხეტიალმა. დამღალა მარტოობამ, არავინ მყავს ისეთი, ვინც დამემგზავრება, ვისაც დაველაპარაკები, ვეტყვი, საიდან მოვდივართ ან სად მივდივართ და რატომ. დამღალა ხალხის ურთიერთსიძულვილმა. ეს სიძულვილი თავში შუშის ნამსხვრევებივით მერჭობა. დამღალა უღონობამ იმის გამო, რომ შემეძლო მეშველა და ვერ ვუშველე. დამღალა სიბნელეში ყოფნამ. მაგრამ ყველაზე მეტად ტკივილმა დამღალა. ის ყველგანაა. რომ შემეძლოს, ტკივილს ყველგან მოვსპობდი, მაგრამ არ შემიძლია.

შეწყვიტე, ხელი გამიშვი, თორემ დავიხრჩობი. დავიხრჩობი ან ავფეთქდები-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამომდიოდა.

- არ აფეთქდები, - ჩემი აზრები წაიკითხა და გაეღიმა ჯონს, მაგრამ ხელები მაინც გამიშვა.

წამოვიკვნესე და წინ გადავიხარე. მუხლებს შორის ცემენტის იატაკის ყოველ ბზარს, ყოველ ღრმულს ვხედავდი. კედელს შევხედე და ზედ 1924, 1926 და 1931 წლებში მიწერილი სახელები დავინახე. ის სახელები უკვე წაშლილი იყო. შეიძლება ითქვას, წაშლილები იყვნენ ამ სახელების პატრონებიც, მაგრამ სამყაროს ამ ბნელი ბურთის ზედაპირიდან ყველაფრის ბოლომდე წაშლა შეუძლებელია. ვუყურებდი ერთმანეთზე გადაწერილ სახელებს და ასე მეგონა, მკვდართა ხვეწნა-მუდარას და საწყალობელ კივილს ვუსმენდი. თვალები გადმომეკარკლა. გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. ჩემი ძარღვების გრძელ ქუჩებზე სისხლი შხრი-

ალებდა და დილის ფოსტასავით ედებოდა ჩემი სხეულის ყოველ კუთხე-კუნჭულს.

შორიდან მატარებლის სტვენა მომესმა - მგონი, პრაისფორდის ოთხისნახევრიანი რეისი იყო, მაგრამ ზუსტად ვერ ვიტყოდი, რადგან მანამდე მისი ხმა არასდროს გამეგონა. „ქოულდ მაუნთინში“ ამ ხმას ვერ გაიგებდით - რკინიგზა ციხიდან თხუთმეტი კილომეტრით აღმოსავლეთით მდებარეობდა. ალბათ, დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ 1932 წლის 18 ნოემბრამდე ვერც მე დავიჯერებდი, რომ ჩვენს ბლოკში ამ ხმას გავიგონებდი.

სადღაც ელექტრონათურა ბომბივით ხმაურიანად გასკდა.

- რა მიქენი? - დავიჩურჩულე. - ჯონ, ეს რა მიქენი?

- მაპატიეთ, ბოს, - მშვიდად მითხრა ჯონმა, - დაუფიქრებლად მომივიდა. არა უშავს. მალე გაგივლით.

წამოვდექი და საკნის კართან მივედი. თავი სიზმარში მეგონა. კართან მისულს, ჯონმა მითხრა:

- გაინტერესებთ, რატომ არ იკივლეს. მხოლოდ ამას ვერ მიმხვდარხართ.

რატომ არ იკივლა იმ ორმა პატარა გოგომ, სანამ ვერანდაზე იყვნენ.

მისკენ მივტრიალდი. მის თვალებში ყოველ ძარღვს და მის სახეზე ყოველ ნასვრეტს ვხედავდი... ვგრძნობდი მის ტანჯვას, იმ ტკივილს, რომელსაც ღრუბელივით ისრუტავდა სხვა ადამიანებისგან. ვხედავდი იმ სიბნელეს, რომელზეც საუბრობდა. მის თვალწინ მთელ მსოფლიოში სიბნელე მეფობდა. ერთდროულად ვიგრძენი მის მიმართ სიბრალული და თან - სიხარული. დიახ, ჩვენ საშინელი, გამოუსწორებელი დანაშაულის ჩადენას ვაპირებდით... მაგრამ, იმავდროულად, ჯონ კოფის ვეხმარებოდით.

- ეს მაშინ ვნახე, როცა იმ ცუდმა ბიჭმა ხელი მომკიდა, - თქვა ჯონმა, - მაშინ მივხვდი, რომ დანაშაული მან ჩაიდინა. იმ დღეს

ტყეში ვიყავი და დავინახე, როგორ დაყარა გოგოები და გაიქცა, მაგრამ...

- დაგავიწყდა, - დავასრულე მე.

- დიახ, ბოს. სანამ არ შემეხო, აღარ მახსოვდა.

- რატომ არ იკივლეს, ჯონ? მათ ხომ სისხლი ადინა. მშობლები მეორე სართულზე იწვნენ და რომ დაეკივლათ, გაიგონებდნენ.

ჯონმა დანისლული თვალები მომაპყრო.

- ერთ დას უთხრა, თუ იკივლებ, შენ კი არა, შენს დას მოვკლავო. მეორესაც იგივე უთხრა. ხვდებით?

- დიახ, - ჩურჩულით ვუპასუხე და ყველაფერი თვალწინ დამიდგა. დები დეტერიკები ბნელ ვერანდაზე. მათ თავზე ავსულივით უორტონი ადგას. ერთმა დამ შეიძლება ყვირილი მოინდომა და უორტონმა სილა გააწნა. გოგონას ცხვირიდან სისხლი წასკდა. აი, საიდან გაჩნდა ვერანდაზე სისხლის ლაქები.

- მან გოგონები მათივე სიყვარულის მეშვეობით მოკლა, - თქვა ჯონმა. - მათი ურთიერთსიყვარულის მეშვეობით. ახლა ხვდებით, რა როგორ მოხდა?

ენაჩავარდნილმა თავი დავუქნიე.

ჯონ კოფიმ გაიღიმა. თვალებიდან ცრემლი სდიოდა, მაგრამ გაიღიმა.

- ყოველდღე ასე ხდება, - თქვა მან, - მთელს მსოფლიოში.

დერეფანში გავედი, საკნის კარი ჩავკეტე და მორიგის მაგიდასთან მივედი. თავი კვლავ სიზმარში მეგონა. გონებაში ბრუტუსის აზრები ჩამესმოდა - მგონი, იხსენებდა, სიტყვა receive ზუსტად როგორ იწერება. ჯანდაბა, c-ს შემდეგ e მოდის თუ i-ო. როცა მივუახლოვდი, თავი ასწია და გამიღიმა. კარგად რომ შემათვალიერა, სახიდან ღიმილი გაუქრა.

- პოლ, ხომ კარგად ხარ? - მკითხა.

- კი, - ვუპასუხე და ყველაფერი მოვუყევი, რაც ჯონმა მიამბო. მხოლოდ ის არ მითქვამს, მისმა შეხებამ რა დამმართა (ეს არც

ჯენისისთვის გამიმხელია; ელეინ კონელი პირველი იქნება, ვინც ამის შესახებ გაიგებს... თუ, რა თქმა უნდა, ამ ბოლო გვერდების წაკითხვას მოინდომებს). ბრუტუსს ისიც ვუთხარი, ჯონს სიცოცხლე რომ აღარ უნდოდა. ამან ბრუტუსი ერთგვარად გაახარა. თუმცა, შევატყვე (თუ მისი აზრები წავიკითხე?), დაეჭვდა, პოლმა ჩემ დასამშვიდებლად ხომ არ იცრუაო. ბოლოს, გადაწყვიტა დაეჯერებინა ჩემთვის, რადგან საჭირო დროს თავს ასე უფრო მსუბუქად იგრძნობდა.

- პოლ, ინფექცია ხომ არ შემოგიბრუნდა? - მკითხა ბრუტუსმა. - სახე გიხურს.

- არა, მგონი, კარგად ვარ, - ვუპასუხე. მართალია, თავს ცუდად ვგრძნობდი, მაგრამ ჯონის სიტყვების, მალე გაგივლისო, მჯეროდა. დაბუჟებული სხეული თანდათან იბრუნებდა მგრძნობელობას.

- კაბინეტში ცოტა ხანს წამოწოლა არ გაწყენდა, - მირჩია ბრუტუსმა.

იმ მომენტში წამოწოლა იმდენად სასაცილო აზრად მომეჩვენა, რომ კინაღამ ხარხარი ამიტყდა. რატომღაც პატარა სახლის აშენება, მისი გადახურვა და მის გარშემო მიწის დაბარვა და ყვავილების დარგვა მომინდა. თანაც, ვახშმობამდე.

„ასე ხდება. ყოველდღე. მთელს მსოფლიოში. ყველგან სიბნელეა. მთელს მსოფლიოში“, - გავიფიქრე.

- აჯობებს, ადმინისტრაციულ შენობაში წავიდე. რაღაცები უნდა შევამოწმო.

- როგორც გინდა.

კარი გავაღე და სანამ გავიდოდი, ბრუტუსს მივაძახე:

- სწორად წერ. ჯერ e და შემდეგ i. წესი ასეთია, მაგრამ ყველა წესისთვის არსებობს გამონაკლისი, - უკან არ შევბრუნებულვარ, მაგრამ ვიცი, რომ ბრუტუსი პირდაღებული მომაშტერდა.

მთელი საღამო მოუსვენრად ვიყავი. ადგილს ვერ ვპოულობდი. ყოველ ხუთ წუთში ვდგებოდი და სადმე სხვაგან მივდიოდი. ადმინისტრაციული შენობიდან გამოვედი და სასეირნო ეზოში წინ და უკან სიარული დავიწყე. კოშკის წვერზე მდგარმა მცველებმაჩემზე ალბათ იფიქრეს, ჭკუიდან შეიშალაო. მორიგეობის მიწურულს ოდნავ გამოვკეთდი. გონებაში ფოთლების შრიალის მაგვარი ხმაურიც ჩაცხრა.

თუმცა, შინისკენ გზაზე ხმაური ისევ დაბრუნდა. ჩემი „ფორდი“ გზის პირას გავაჩერე. გადმოვედი და ნახევარი კილომეტრი ფეხით ვირბინე. თავჩაქინდრული, ხელების ქნევით დავრბოდი და მძიმედ ვხვნეშოდი. პირიდან ცხელი ჰაერი ამომდიოდა. „ფორდთან“ ნელი ნაბიჯით დავბრუნდი. შინ მისულმა ჯენისს ვუთხარი, რომ ჯონ კოფი სიკვდილისთვის მზად იყო. ჯენისმა თავი დამიქნია და გულზე მოეშვა. მართლა დაწყნარდა? არ ვიცი. ექვსი ან თუნდაც სამი საათით ადრე, მივხვდებოდი, მაგრამ იმ წუთას ვერ მივხვდი. ჯონი სულ იმეორებდა, დავიღალეო. ჩემთვის უკვე გასაგები იყო, რატომ. ნიჭი, რომელსაც ის ფლობდა, ნებისმიერს დაღლიდა. ნებისმერს ანატრებინებდა სიწყნარესა და სიმშვიდეს.

ჯენისმა მკითხა, გაოფლილი და გაწითლებული რატომ ხარო. ავუხსენი, რომ აქეთობისას მანქანა გავაჩერე და კარგა ხანს დავრბოდი. ეს არ დამიმალავს - როგორც უკვე დავწერე (ისე, იმდენი ვწერე, კარგი იქნება, ყველაფერი თავიდან გადავიკითხო) ჩვენ ერთმანეთს არასდროს ვატყუებდით - მაგრამ ის არ მითქვამს, სირბილი რამ მაიძულა.

ეს არც ჯენისს უკითხავს.

# 9

იმ ღამით, როცა მწვანე გზაზე ჯონ კოფის გავლის დრო დადგა, ქარიშხალი და წვიმა არ ყოფილა. წლის იმ მონაკვეთის შესაბამისად ციოდა. მილიონობით ვარსკვლავი დაჰნათოდა მარცვლეულის მომკულ ყანებს და ღობეებსა და ივლისის ხორბლის გამხმარ ღეროებზე ყინული მარგალიტის თვლებივით ბრწყინავდა.

ამ სიკვდილით დასჯას ბრუტუს ჰაუელი ხელმძღვანელობდა. სიკვდილმისჯილს ჩაფხუტს ის დაახურავდა და საჭირო დროს ვან ჰეის ნიშანს მისცემდა. 20 ნოემბრის თორმეტის ოცი წუთზე მე, დინი და ჰარი ჩვენი ბლოკის ერთადერთ დაკავებულ საკანთან მივედით. ჯონ კოფი თავჩაქინდრული ჩამომჯდარიყო საწოლზე. ხელები მუხლებს შორის ჩაეყარა. ლურჯი პერანგის საყელოზე ხორცის რულეტის ცხიმის ლაქა ემჩენოდა. გისოსებს უკნიდან მშვიდად გამოგვხედა. მასზე მეტად ჩვენ ვღელავდით. ხელები გაყინული მქონდა და საფეთქელები მიცემდა. ერთი იყო იმის ცოდნა, რომ ჯონ კოფის სიკვდილი უნდოდა - სწორედ ამან მოგვცა ჩვენი მოვალეობის შესრულების ძალა - მაგრამ მეორე იყო სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის მისი ელექტროსკამზე დასმა.

ჰელ მურსი იმ საღამოს ბოლოს შვიდ საათზე ვნახე. კაბინეტში პალტოს ღილებს იკრავდა. სახე გაფითრებოდა და ხელები ის ძლიერ უკანკალებდა, ღილებს კარგა ხანს ეჯახირა. ლამის მე თვითონ მივვარდი და შევუკარი ის ღილები, თითქოს პატარა ბავშვი ყოფილიყოს. ბედის ირონიით, მელინდა მურსი უფრო უკეთ გამოიყურებოდა წინა შაბათს, როცა მე და ჯენისმა ვინახულეთ, ვიდრე ჰელი ჯონ კოფის სიკვდილით დასჯის საღამოს.

- მე არ დავესწრები, - მითხრა ჰელმა, - ჩემ მაგივრად კერტისი დარჩება. ვიცი, რომ შენს და ბრუტუსის ხელში კოფი კარგად იქნება.

- დიახ, სერ. ვეცდებით, - დავპირდი, - პერსიზე რა ისმის? - გონს მოეგო? - სინამდვილეში ეს მაინტერესებდა: „სადმე ოთახში ხომ არ ზის და რომელიმე ექიმს ხომ არ უყვება, როგორ ჩავაცვით გიჟის პერანგი და ურჩი პატიმარივით, ანუ პერსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიღაც ლოქოსავით დამამშვიდებელ ოთახში შევაგდეთ? და თუ მართლა ასეა, სჯერათ თუ არა მისი?“

თუმცა, ჰელის თქმით, პერსის მდგომარეობა უცვლელი იყო. ხმას არ იღებდა და არავინ იცოდა, ოდესმე კვლავ თუ დაილაპარაკებდა. ინდიანოლაში გამოკვლევას უტარებენო, იდუმალად წარმოთქვა ეს ფრაზა ჰელმა, მაგრამ თუ არ გამოკეთდება, მალე გადაიყვანენო.

- კოფის როგორ უჭირავს თავი? - მკითხა შემდეგ ჰელმა. როგორც იქნა, შეიკრა პალტოს საყელო.

- ის კარგად იქნება, ბოს, - თავი დავუქნიე.

ჰელმაც თავი დააქნია და კართან შედგა. მოხუცი და მოტეხილი მომეჩვენა.

- როგორ შეიძლება, ერთ ადამიანში ამხელა სიკეთე და ამხელა ბოროტება ბუდობდეს? როგორ შეძლო იმ ადამიანმა, რომელმაც ჩემი ცოლი განკურნა, პატარა გოგონები მოეკლა? შეგიძლია ამის დაჯერება?

ვუთხარი, რომ ვერ ვიჯერებდი, მაგრამ ღვთის გზები შეუცნობელია და ყველა ჩვენგანში ბუდობს სიკეთე და ბოროტება, ამიტომ სხვა არ უნდა განვსაჯოთ და ა. შ. ის სიტყვები გავუმეორე, რაც ეკლესიაში მომესმინა. ჰელი სულ თავს მიქნევდა და აღტაცებაში მოდიოდა. თავის ქნევას ვინ დაუშლიდა? ვერავინ. ან აღტაცებული რატომ არ უნდა ყოფილიყო? კი, სახეზე სევდა ეტყობოდა, მაგრამ ამჯერად აღარ ტიროდა. მას ცოლი ჰყავდა - ცხოვ-

რების ჯანმრთელი თანამგზავრი, რომელიც სახლში ელოდა. მელინდა მურსი სიკვდილისგან ჯონ კოფიმ იხსნა და კაცი, რომელმაც ჯონ კოფის სიკვდილით დასჯის განკარგულებას ხელი მოაწერა, შინ, მასთან დაბრუნდებოდა, ღამით ცოლის გვერდით თბილ საწოლში დაიძინებდა, ხოლო ჯონ კოფი გაყინული და სამუდამოდ დადუმებული იწვებოდა ოლქის საავადმყოფოს მორგის ცივ მაგიდაზე. ამის გამო ჰელის მიმართ სიძულვილი ვიგრძენი. მისი გამომჟღავნებისგან თავი შევიკავე, მაგრამ ჩემი გრძნობა ჭეშმარიტი იყო.

ჯონ კოფის საკანში შევედი. გაფითრებული და დაღონებული ჰარი და დინიც შემომყვნენ.

- მზად ხარ, ჯონ? - ვკითხე.

- დიახ, ბოს, - თავი დამიქნია მან, - მგონი, მზად ვარ.

- კარგი. სანამ აქედან გავალთ, რაღაც უნდა გითხრა.

- მიდით, ბოს, რაც საჭიროა, მითხარით.

- ჯონ კოფი, როგორც სასამართლოს ოფიცერმა...

სიტყვა ბოლომდე წარმოვთქვი. რომ მოვრჩი, ჰარი ტერვილიგერმა წინ წადგა ფეხი და ჯონ კოფის ხელი გაუწოდა. წამით ჯონი გაკვირვებული უყურებდა, მერე გაეღიმა და ხელი ჩამოართვა. შემდეგ ფერმიხდილმა დინმა გაუწოდა ხელი.

- ამას არ იმსახურებ, ჯონ, - თქვა ხმაგაბზარულმა დინმა, - მაპატიე.

- მე კარგად ვიქნები, - თქვა ჯონმა, - ყველაზე მძიმე ეს ნაწილია; ცოტა ხანში კარგად ვიქნები, - წამოდგა და პერანგიდან მელინდას ნაჩუქარი წმ. ქრისტეფორეს მედალიონი გადმოუვარდა.

- ჯონ, ეგ უნდა გამოგართვა, - ვუთხარი, - თუ გინდა, მერე დაგკიდებ... ოღონდ ახლა უნდა გამოგართვა, - როცა ვან ჰეი ელექტროსკამს ჩართავდა, ვერცხლის მედალიონი შესაძლოა, კანში ჩამდნარიყო. ყოველ შემთხვევაში, მკერდზე კანს მაინც ამოუწ-

ვავდა. ასეთი რამ ადრე უკვე მენახა. მწვანე გზაზე გატარებული წლების მანძილზე ბევრი რამ მინახავს. მეტისმეტად ბევრი.

ჯონმა ყელსაბამი მოიხსნა და მე გადმომცა. მედალიონი ჯიბეში ჩავიდე და ვთხოვე, საკნიდან გამოსულიყო. კინკრიხოს შემოწმება საჭირო არ იყო, მოტვლეპილი თავი ხელისგულივით გლუვი ჰქონდა.

- იცით, შუადღით დელის თაგვი მესიზმრა, ბოს, - მითხრა ჯონმა.

- მართლა? - მხარმარცხნივ დავუდექი, ჰარი - მხარმარჯვნივ. დინი უკან დადგა და მწვანე გზას გავუყევით. მას შემდეგ იმ დერეფანში პატიმართან ერთად აღარ გამივლია.

- ჰო, - თქვა მან, - მესიზმრა, ვითომ იმ ქალაქში ცხოვრობდა, უფროსმა ჰაუელმა რომ ახსენა - მაუსვილში. იქ ბავშვები იყვნენ და მის ტრიუკებზე მხიარულად იცინოდნენ. ჰა-ჰა! - სიზმრის გახსენებაზე თავადაც გაეცინა ჯონს. მერე ისევ დასერიოზულდა. - ის ორი ქერათმიანი გოგოც იქ იყო და ისინიც იცინოდნენ. ხელები შემოვხვიე. სისხლი აღარ სდიოდათ და კარგად იყვნენ. ერთად ვუყურეთ, როგორ დააგორებდა მისტერ ჯინგლსი კოჭს და ბევრს ვიცინოდით. მუცლები ხელით გვეჭირა!

- ჰოო? - თავს ძლივს ვიკავებდი. ლამის ავტირებულიყავი და დარდისგან გული გამსკდომოდა. ნეტა გამისკდეს და მოვკდებოდე-მეთქი, ვოცნებობდი.

ჩემს კაბინეტში შევედით. ჯონ კოფიმ მიმოიხედა და უკითხავად დაეცა მუხლებზე. მის უკან აცრემლებული ჰარი იდგა. დინი ქაღალდივით გათეთრებულიყო.

ჯონის გვერდით ჩავიმუხლე. ყველაფერი უცნაურად შეტრიალდა: აქამდე მე ვეხმარებოდი სიკვდილმისჯილებს ბოლო გზის გავლაში, ახლა თვითონ მჭირდებოდა ხელის შეშველება.

- რისთვის ვილოცოთ, ბოს? - მკითხა ჯონმა.

- ძალის მონიჭებისთვის, - დაუფიქრებლად ვუპასუხე. თვალები დავხუჭე და წარმოვთქვი: - უფალო ღმერთო, მოგვეცი ძალა, რომ დავასრულოთ ის, რაც დავიწყეთ. მიიღე ეს ადამიანი, ჯონ კოფი - რომლის გვარიც „ყავასავით“ ჟღერს, მაგრამ სხვანაირად იწერება - სამოთხეში და მიჰმადლე მას სიმშვიდე. გთხოვ, დაგვეხმარე, რომ დამსახურებულად გავაცილოთ იგი და ნუ დაუშვებ, რომ რამე ცუდი შეგვემთხვას. ამინ! - თვალი გავახილე და დინსა და ჰარის შევხედე. ორივე შედარებით უკეთ გამოიყურებოდა. შეიძლება ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ და ამიტომ. არა მგონია, ჩემს ლოცვას ემოქმედოს.

წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ჯონმა მკლავზე მომქაჩა. მუდარის თვალით შემომხედა.

- ბავშვობაში ნასწავლი ლოცვა გამახსენდა, - მითხრა მან, - შეიძლება წავიკითხო?

- მიდი, ჯონ, ჯერ დრო საკმარისად გვაქვს, - ნება დართო დინმა.

ჯონმა თვალი დახუჭა და ყურადღების მოსაკრებად შუბლი შეკრა. მეგონა, ძილის წინ წასაკითხი ლოცვის ან „მამაო ჩვენოს“ დამახინჯებულ ვერსიას მოვისმენდი, მაგრამ შევცდი. მართალია, სიტყვები არც ისე უჩვეულოდ ჟღერდა, მაგრამ არც მანამდე და არც მას შემდეგ ეს ლოცვა აღარასდროს მომისმენია. თვალდახუჭულმა და ხელგადაჭდობილმა ჯონ კოფიმ წარმოთქვა:

- ყრმაო იესო, კრავო მოწყალევ, ობოლ ბიჭუნას ძალა მოჰმადლე. იყავ მეგობარი ჩემი, ნუ მიმატოვებ და სიკვდილის წინ ჩემთვის ილოცე. ამინ.

ჯონმა თვალი გაახილა და წამოდგომამდე ყურადღებით შემომხედა.

მე თვალებიდან ცრემლი მოვიწმინდე. მას რომ ვუსმენდი, დელაკრუა გამახსენდა. იმასაც მოუნდა კიდევ ერთი ლოცვის წა-

კითხვა. მან წმინდა მარიამს სთხოვა, სიკვდილის ჟამს მისი ცოდვილი სულისთვის ელოცა.

- მაპატიე, ჯონ.

- საპატიებელი არაფერია, - ხელზე ხელი მომიჭირა და გამიღიმა. შემდეგ ფეხზე წამოდგომაში დამეხმარა.

# 10

საწყობში ბევრი მოწმე არ იყო, დაახლოებით თოთხმეტი ადამიანი იქნებოდა. დელაკრუას სიკვდილით დასჯას ორჯერ მეტი ესწრებოდა. ჰომერ კრიბუსი, როგორც ყოველთვის, სკამზე ძლივს ეტეოდა. მისი თანაშემწე რობ მაკჯი არსად ჩანდა. ჩვენი ციხის უფროსი ჰელ მურსივით, ალბათ, მანაც თავი აარიდა ამ სანახაობას.

პირველ რიგში მჯდარი ასაკოვანი წყვილი თავიდან ვერ ვიცანი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფოტოები უკვე ბევრ გაზეთში მენახა. როცა იმ პლატფორმას ვუახლოვდებოდით, რომელზეც „ბებერი ნაპერწკალა“ გვიცდიდა, ქალმა წამოიყვირა:

- ნელ-ნელა დაიწვები, შე ნაბიჭვარო!

მაშინ მივხვდი, რომ ისინი კლაუს და მარჯორი დეტერიკები იყვნენ. იმიტომ ვერ ვიცანი, რომ ოცდაათ წელს გადაუცილებელი ცოლი და ქმარი ხანდაზმულებს ჰგავდნენ.

ქალის ყვირილისა და შერიფ კრიბუსის კმაყოფილი ბურტყუნის გაგონებაზე ჯონი მოიბუზა. ჰენკ ბიტერმანი, რომელსაც მოწმეების დაცვა ევალებოდა, კლაუს დეტერიკს თვალს არ აშორებდა. ეს მე დავავალე. თუმცა, კლაუსს იმ საღამოს ჯონზე თავდასხმა არ მოუნდომებია. კლაუს დეტერიკი გონებით თითქოს უცხო პლანეტაზე იყო.

ბრუტუსმა, რომელიც „ბებერ ნაპერწკალასთან“ იცდიდა, შეუმჩნევლად მანიშნა და ჯონ კოფის ხელი გამომართვა. ჯონს მაჯაზე მოჰკიდა ხელი და ისე ნაზად გაუძღვა ელექტროსკამისკენ, თითქოს შეყვარებული პირველად გაიწვია საცეკვაოდო.

- ყველაფერი რიგზეა, ჯონ? - ჰკითხა ხმადაბლა.

- დიახ, ბოს, მაგრამ... - ჯონი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ხმაში პირველად შეეპარა შიში, - აქ ბევრი ისეთი ხალხია, ვისაც

ვძულვარ. ძალიან ბევრი. ამას ვგრძნობ. მტკივა. ფუტკრის ნაკბენივით მწვავს.

- მაშ, ჩვენი გრძნობები შეიგრძენი, - ურჩია ბრუტუსმა, - ჩვენ არ გვძულხარ. ამას ხომ გრძნობ?

- დიახ, ბოს, - თქვა ჯონმა, მაგრამ ხმა აუკანკალდა და თვალები ცრემლით აევსო.

- მიდით, ბიჭებო, ორჯერ მოკალით! - დაიყვირა უცებ მარჯორი დეტერიკმა. მისი მკვეთრი, მჩხავანა ხმა ზურგზე გადაჭერილი შოლტივით მწარე იყო. ჯონი მე მომეკრა და ამოიოხრა. - მიდით, არ დაინდოთ ეგ ბავშვების მკვლელი მოძალადე. მოკალით!

თითქოს ძილ-ბურანში მყოფმა კლაუსმა ცოლს მხრებზე ხელი გადახვია და ჩაიხუტა. მარჯორი აქვითინდა.

დაბნეულმა შევამჩნიე, რომ ჰარი ტერვილიგერიც ტიროდა. მოწმეები მის ცრემლებს ვერ ხედავდნენ, რადგან მათკენ ზურგით იდგა, მაგრამ ტიროდა. თუმცა, ჩვენ რა შეგვეძლო? მხოლოდ ამ საქმის სწრაფად დასრულება.

მე და ბრუტუსმა ჯონი შემოვაბრუნეთ. ბრუტუსმა გოლიათს მხარზე დაადო ხელი და ის ელექტროსკამზე დაჯდა. „ნაპერწკალას“ მუხის მკლავსადებებს ძლიერად მოუჭირა ხელები. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ენით ტუჩებს ილოკავდა.

მე და დინი ცალ მუხლზე დავდექით. წინა დღეს სახელოსნოში ნაცნობ ხელოსნებს წვივის მომჭერები დროებით დავაგრძელებინეთ, რადგან ჯონ კოფის სხვა ჩვეულებრივ სიკვდილმისჯილზე მსხვილი წვივები ჰქონდა. რატომღაც შიშით ველოდი, რომ არც ეს მომჭერები მოერგებოდა და ჯონის უკან, საკანში დაბრუნება მოგვიწევდა, სანამ სახელოსნოს ხელმძღვანელი სემ ბროდერიკი უფრო გრძელ მომჭერებს არ იპოვიდა ან არ გამოაჭედინებდა. ხელისგულით ძლიერად დავაწექი და მომჭერი ჩემს მხარეს ჩაიკეტა. ჯონის ფეხი მკვეთრად შეტოკდა. კანი მოვაყოლე.

- ბოდიში, ჯონ, - ჩავიბურტყუნე და ჰარის შევხედე. მან ადვილად ჩაკეტა მომჭერი (შეიძლება იმიტომ, რომ მის მხარეს მომჭერი უფრო გრძელი იყო, ან ჯონ კოფის მარჯვენა წვივი იყო შედარებით წვრილი), თუმცა მაინც დაეჭვებით უყურებდა. მივხვდი, რატომაც. გადაკეთებული მომჭერები დამშეული ალიგატორის ყბას ჰგავდა.

- ყველაფერი კარგად იქნება, - ვეცადე, დამაჯერებლად მეთქვა მისთვის და ვიმედოვნებდი, რომ მართლაც ასე იქნებოდა, - სახე მოიწმინდე, ჰარი.

ჰარიმ ღაწვებიდან ცრემლები და შუბლიდან ოფლი მკლავით მოიწმინდა. მოწმეებისკენ შევტრიალდით. ჰომერ კრიბუსი, რომელიც მის გვერდით მჯდომ კაცს (მისი ჰალსტუხით და შავი პიჯაკით თუ ვიმსჯელებდით, პროკურორი უნდა ყოფილიყო) მეტისმეტად ხმამაღლა ესაუბრებოდა, გაჩუმდა. სიკვდილით დასჯის დრო ახლოვდებოდა.

ბრუტუსმა ჯონს ერთ მაჯაზე გაუკეთა მომჭერი, დინმა - მეორეზე. დინის მხარზემოდან, როგორც ყოველთვის, კედელთან შეუმჩნევლად მდგარი ექიმი დავინახე. ფეხებთან თავისი შავი ჩანთა ედო. დღევანდელი ექიმები ასეთ საქმეებს უფრო თამამად აკეთებენ, მით უმეტეს, რომ დღეს უფრო ხშირად აქვთ წვეთოვანთან შეხება, მაშინდელი ექიმები კი ლამის ძალით უნდა მიგეგდოთ სიკვდილმისჯილთან. შესაძლოა, მაშინ უფრო ნათლად ესმოდათ, რა არის ექიმის მოვალეობა და როგორ შეიძლება დამახინჯდეს ავადმყოფზე ზრუნვის ფიცი, რომელსაც ყველა მათგანი დებს ხოლმე.

დინმა ბრუტუსს თავი დაუქნია. ბრუტუსმა უიმედოდ შეხედა ტელეფონს, რომელიც ჯონ კოფისნაირებისთვის არასდროს დარეკავდა და ჯეკ ვან ჰეის დაუძახა:

- ჩართეთ პირველი!

გაისმა ზუზუნი, თითქოს ძველი მაცივარი ჩაირთოო და ელექტრონათურები უფრო ძლიერ აკაშკაშდა. ჩვენი ჩრდილები უფრო მკვეთრად გამოიკვეთა. ისინი თითქმის ჭერს სწვდებოდნენ და თითქოს სვავებით დასტრიალებდნენ თავზე ელექტროსკამის ჩრდილს. ჯონმა ღრმად ჩაისუნთქა. დამუშტული ხელები გათეთრებოდა - უკვე სტკივა? - დაიკივლა ქმარს მიხუტებულმა მისის დეტერიკმა. - იმედია, სტკივა! იმედია, ჯოჯოხეთურ ტკივილს განიცდის! - ქმარმა უფრო მჭიდროდ მიიხუტა. კლაუს დეტერიკს ცალი ნესტოდან სისხლი სდიოდა და მოკლედ შეკრეჭილ ულვაშზე ეწვეთებოდა. როცა მომდევნო წლის მარტში გაზეთი გადავშალე და ამოვიკითხე, კლაუს დეტერიკი ინსულტით მოკვდაო, სრულებით არ გამკვირვებია.

ბრუტუსი სახით ჯონ კოფისკენ დადგა. ლაპარაკისას ხელი მის მხარზე ედო. სიკვდილმისჯილის შეხება იკრძალებოდა, მაგრამ მოწმეებიდან ეს მხოლოდ კერტის ანდერსონმა იცოდა, მას კი პროტესტი არ გამოუთქვამს. მომეჩვენა, რომ მასაც უნდოდა ამ საქმის სასწრაფოდ დამთავრება. პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ კერტისი არმიაში ჩაეწერა, მაგრამ ევროპაში არ წაუყვანიათ. ფორტ-ბრეგში სატვირთო მანქანის ავარიაში დაიღუპა.

ამასობაში ჯონი თანდათან მოდუნდა. არა მგონია, ბრუტუსის ნათქვამის არსს ჩასწვდომოდა, მაგრამ მხარზე დადებულმა მისმა ხელმა დაამშვიდა. ბრუტუსი, რომელიც ოცდახუთი წლის შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა (მისი დის თქმით, ამ დროს თურმე თევზიან სენდვიჩს ჭამდა და ტელევიზორში რესლინგს უყურებდა), კარგი კაცი იყო. ნამდვილი მეგობარი. ჩვენ შორის საუკეთესო. მას კარგად ესმოდა, რომ მართალია, ჯონს სიცოცხლე აღარ უნდოდა, მაგრამ სიკვდილის მაინც ეშინოდა.

- ჯონ კოფი, ნაფიცმა მსაჯულებმა სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანეს და პატივცემულმა მოსამართლემ ელექტროსკამზე სიკვდილი მოგისაჯათ. ღმერთო, დაიფარე ამ შტატის მოსახლე-

ობა. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე რამის თქმა ხომ არ გსურთ?

ჯონმა ტუჩები გაილოკა და მკაფიოდ წარმოთქვა ოთხი სიტყვა:

- ვწუხვარ, რომ ასეთი ვარ.

- დიახ, უნდა წუხდე, შე მხეცო! - დაიძახა შვილებმკვდარმა დედამ. - უნდა წუხდე!

ჯონმა მე მომაპყრო მზერა.

მის თვალებში არც პროტესტი დამინახავს, არც სამოთხის დამკვიდრების იმედი და არც სამუდამო სიმშვიდის პირველი ნიშნები. ძალიან მინდა თქვენთვის ამის თქმის საშუალება მქონდეს; ძალიან მინდა, საკუთარი თავისთვის ამის თქმის საშუალება მქონდეს. მაგრამ მე მხოლოდ შიში, ტკივილი და გაურკვევლობა დავინახე. ეს იყო მახეში გაბმული, შეძრწუნებული ნადირის თვალები. გამახსენდა მისი სიტყვები, უორტონმა დები დეტერიკები მათი ურთიერთსიყვარულის მეშვეობით დააშინა და მოკლა, მთელ მსოფლიოში ყოველდღე ასე ხდებაო.

ბრუტუსმა თითბრის კავიდან შავი ტომარა ჩამოხსნა, მაგრამ როგორც კი ჯონ კოფიმ ეს დაინახა, შეძრწუნებულს თვალები გაუფართოვდა. მე შემომხედა. მის ლაპლაპა შუბლზე შაშვის კვერცხისოდენა ოფლის წვეთები შევამჩნიე.

- გთხოვთ, ბოს, ეგ ტომარა თავზე არ ჩამომაცვათ, - შეშინებულმა დაიჩურჩულა, - გთხოვთ, სიბნელეში ნუ დამტოვებთ. თვალს ნუ დამიბნელებთ. სიბნელის მეშინია.

ბრუტუსს ტომარა ხელში გაუშეშდა. წარბაზიდულმა ჩემკენ გამოიხედა. მანიშნა, შენი გადასაწყვეტიაო. თავი მისკდებოდა, მაგრამ აზრების მოკრება ვცადე. ტომრის გაკეთებას კანონი არ მოითხოვდა, ჩვეულება იყო. სინამდვილეში, მოწმეებისთვის უფრო იყო საჭირო. გადავწყვიტე, რომ მოწმეებს დაცვა არ სჭირდებოდათ. ამჯერად არა. ჯონს ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ თავზე

ტომარაჩამოცმული მომკვდარიყო. ეს მოწმეებმა არ იცოდნენ, მაგრამ ჩვენ ვიცოდით და გადავწყვიტე, მისი უკანასკნელი სურვილი შემესრულებინა. რაც შეეხება მარჯორი დეტერიკს, ამისთვის მადლობის წერილსაც გამომიგზავნის-მეთქი, გავიფიქრე.

- კარგი, ჯონ, - ჩურჩულით ვთქვი.

ბრუტუსმა ტომარა ისევ საკიდზე ჩამოკიდა. უკნიდან აღშოფთებული ჰომერ კრიბუსის ბუბუნი გაისმა:

- ეი, მეგობარო, გაუკეთე ეგ ნიღაბი! გგონია, მაგის გადმოკარკლული თვალების ყურება გვინდა?

- ჩუმად, სერ, - მისკენ შეუბრუნებლად ვთქვი, - ეს სიკვდილით დასჯაა და მას თქვენ არ ხელმძღვანელობთ!

- და არც მის შეპყრობაში მონაწილეობდი, შე ნეხვის ტომარავ! - ჩუმად ჩაილაპარაკა ჰარიმ. ჰარი 1982 წელს, თითქმის ოთხმოცი წლისა გარდაიცვალა. ღრმად მოხუცი იყო, მაგრამ მე მაინც ვერ შემედრება. მე ცოტა ვინმე თუ შემედრება. ჰარი ნაწლავის კიბომ იმსხვერპლა.

ბრუტუსმა ვედროდან სველი ღრუბელი ამოიღო. თითი დააჭირა და ენის წვერით გაილოკა, ხომ სველიაო. ეს სრულიად ზედმეტი იყო. ისედაც ვხედავდი, რომ ყავისფერი, მახინჯი ღრუბლიდან წყალი წვეთავდა. ბრუტუსმა ღრუბელი ჩაფხუტში ჩადო და ჩაფხუტი ჯონ კოფის დაახურა. პირველად ვნახე ბრუტუსი ასეთი გაფითრებული. ლამის გული წასვლოდა. გამახსენდა მისი სიტყვები, სიცოცხლეში პირველად მეშინია ჯოჯოხეთში მოხვედრის, რადგან ღვთიური ნიჭის მოკვლას ვაპირებთო. გულისრევა ვიგრძენი. თავი ძლივს შევიკავე. ღრუბლიდან წყალი წვეთავდა და ჯონს სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა.

დინ სტენტონმა მკერდზე გადასაკვრელი ღვედი მაქსიმალურად დააგრძელა. მისი შვილების გამო დინს გავუფრთხილდით და ღამის მოგზაურობაში არ წავიყვანეთ. რა ვიცოდით, რომ სულ ოთხი თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. ჯონ კოფის სიკვდი-

ლით დასჯის შემდეგ მისივე მოთხოვნით C ბლოკში გადაიყვანეს. იქ რომელიღაც პატიმარმა თვითნაკეთი დანით ყელი გამოჭრა და სისხლი ბინძურ ხის იატაკზე დაანთხევინა. დღემდე არ ვიცი, რატომ. მგონი, ვერც ვერავინ გაიგო. ახლა რომ ვფიქრობ, „ბებერი ნაპერწკალა“ უაზრო,გიჟურ გამოგონებად მეჩვენება. სრულიად ჯანმრთელებიც კი ისეთი უსუსურები და მყიფეები ვართ, რა საჭიროა მხუთავი აირითა და ელექტროობით ცივსისხლიანად ერთმანეთის ხოცვა? საშინელებაა. ნამდვილი სიგიჟე.

ბრუტუსმა ღვედი შეამოწმა და განზე გადგა. ვიცდიდი, ხმას როდის ამოიღებდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მხოლოდ ხელები შემოიწყო ზურგს უკან და საზეიმოდ გაიჯგიმა. მივხვდი, რომ არაფერს იტყოდა. ან ვერ იტყოდა. არც მე მქონდა ამის ძალა, მაგრამ ჯონის შეძრწუნებულ, ცრემლიან თვალებს რომ შევხედე, მივხვდი, ეს უნდა გამეკეთებინა. თუნდაც ამის გამო ჯოჯოხეთში მოვხვდე, უნდა გავაკეთო-მეთქი, გავიმხნევე თავი.

- გადართეთ მეორეზე, - გაბზარული და აკანკალებული საკუთარი ხმა ძლივს მეცნო.

ჩაფხუტი აზუზუნდა. მუხის მკლავსადებებზე ათი მსხვილი თითი გაიფარჩხა და აცახცახდა. სქელი ფეხები აბრაგუნდა და დაიჭიმა, მაგრამ მომჭერებმა გაუძლო. ჭერზე ჩამოკიდებული სამი ნათურა ერთი მეორის მიყოლებით ჭახანით გასკდა. მარჯორი დეტერიკმა წამოიკივლა და შეშინებულს, ქმრის ხელებში წაუვიდა გული. ის თვრამეტი წლის შემდეგ მემფისში გარდაიცვალა. ჰარიმ ნეკროლოგი გამომიგზავნა. ტროლეიბუსის ავარიაში დაღუპულა.

ჯონი წინ მოაწყდა და მკერდზე გადაკრული ღვედი დაეჭიმა. წამით მისი თვალები ჩემსას შეხვდა. აზრიანი მზერა ჰქონდა. მე ბოლო ვიყავი, ვინც მან დაინახა, სანამ სამყაროს კიდიდან უფსკრულში გადავაგდებდით. მერე სკამის საზურგეს მიენარცხა და ჩაფხუტი ოდნავ გადაუვარდა. მის ქვემოდან ოხშივარივით ამო-

იჭრა კვამლის ბოლქვები. თუმცა, მთლიანობაში, ყველაფერი სწრაფად დასრულდა. მეეჭვება, პროცესი უმტკივნეულო ყოფილიყო, როგორც ამას ელექტროსკამის მომხრეები ირწმუნებიან ხოლმე (თუმცა, ყველაზე თავგამოდებულ მათგანსაც არ მოუვა თავში აზრად, პირადად გამოსცადოს იგი), მაგრამ სწრაფი კი იყო. კოფის ხელები მოუდუნდა. მოთეთრო-მოლურჯო, ნახევარმთვარის ფორმის ნუნები გაუყვითლდა. ღრუბლიდან ჩამოწურული მარილწყლითა და ცრემლებით... უკანასკნელი ცრემლებით დასველებული ღაწვებიდან კვამლი აუვიდა.

# 11

შინ რომ მივედი, თავს უკეთ ვგრძნობდი. უკვე თენდებოდა და ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. მანქანა გავაჩერე, გადმოვედი, სახლის უკანა კარს მივუახლოვდი და სიცოცხლეში მეორედ უდიდესი სევდა შემომაწვა. იმაზე ვფიქრობდი, როგორ ეშინოდა ჯონ კოფის სიბნელის. გამახსენდა, პირველი შეხვედრისას როგორ მთხოვა, ღამით შუქი არ ჩააქროთო და მუხლი მომეკვეთა. საფეხურზე ჩამოვჯექი, თავი ჩავღუნე და ავტირდი. მხოლოდ ჯონს კი არა, ყველა ჩვენგანს დავტიროდი.

ჯენისი გამოვიდა და გვერდით მომიჯდა. მხრებზე ხელი გადამხვია.

- იმედია, იმაზე მეტი ტკივილი არ მიგიყენებია მისთვის, რამდენიც საჭირო იყო?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

- მას წასვლა უნდოდა.

თავი დავუქნიე.

- სახლში შემოდი, - ხელი გამომიწოდა ჯენისმა, რომ წამოვეყენებინე. გამახსენდა, როგორ დამეხმარა წამოდგომაში ჯონ კოფი ლოცვის შემდეგ, - შემოდი და ყავა დალიე.

შევედი. პირველი დილა გავიდა, მერე - პირველი შუადღე და პირველი მორიგეობა. გინდა თუ არა, დრო მაინც თავისას შვრება. დრო თავისას შვრება, თავისი მიაქვს და ბოლოს მხოლოდ წყვდიადი რჩება. ზოგჯერ ვიღაცას ვპოულობთ წყვდიადში, ზოგჯერ ვიღაცას ვკარგავთ. მხოლოდ ეს ვიცი; და კიდევ ის, რომ ეს ამბავი 1932 წელს მოხდა, როცა შტატის სასჯელაღსრულების დაწესებულება ჯერაც „ქოულდ მაუნთინში“ მდებარეობდა.

და ელექტროსკამიც იქ იდგა.

# 12

დღის სამის თხუთმეტ წუთზე სოლარიუმში ჩემი მეგობარი ელეინ კონელი შემოვიდა. მაგიდასთან ვიჯექი და წინ ქაღალდის ფურცლების დასტა მედო. ელეინს სახე გაფითრებოდა და უპეები უბზინავდა. ეტყობა, იტირა.

მე ფანჯრიდან ვიყურებოდი. აღმოსავლეთით მთებს გავცქეროდი. მარჯვენა მაჯა ყრუდ მიფეთქავდა. თუმცა, ეს ფეთქვა არ მაწუხებდა. თავს ძალაგამოცლილად და დაცარიელებულად ვგრძნობდი. ერთდროულად მზარავდა და მსიამოვნებდა ეს გრძნობა.

ელეინს თვალი ვერ გავუსწორე. შემეშინდა, რომ მათში ზიზღსა და სიძულვილს დავინახავდი. სულ ტყუილად. ელეინს სევდიანი და ცნობისმოყვარე მზერა ჰქონდა, მაგრამ არა - ზიზღიანი და უნდობელი.

- გინდა ამ ამბის დასასრულიც გაიგო? - ვკითხე და დაღლილი ხელი ქაღალდის ფურცლების დასტაზე დავატყაპუნე. - აქ წაიკითხავ, მაგრამ თუ არ გინდა, არ გაძალებ...

- რასაკვირველია, მინდა, - მიპასუხა ელეინმა, - მაინტერესებს, ჯონ კოფის რა ბედი ეწია, თუმცა, ვხვდები, რომ სიკვდილით დასაჯეთ. ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში განგება იშვიათად ერევა... თუმცა, სანამ მაგ ფურცლებს წავიკითხავდე... პოლ...

ელეინი შეყოვნდა, თითქოს არ იცის, რა თქვასო. დაველოდე. ზოგჯერ ხალხის დახმარება შეუძლებელია და მორჩა. ცდაც კი არ ღირს.

- პოლ, აქ წერ, რომ 1932 წელს ორი ზრდასრული შვილი გყავდა - ერთი კი არა, ორი. თუ დაოჯახებისას შენ თორმეტის არ იყავი, ჯენისი კი - თერთმეტისა, მაშინ გაუგებარია...

- ახალგაზრდებმა ვიქორწინეთ, - გამეღიმა, - პროვინციებში ეს ხშირად ხდება. დედაჩემიც ახალგაზრდა გათხოვდა. მაგრამ თორმეტი წლის არ დავოჯახებულვარ, როგორც შენ ამბობ.

- მაშ რამდენი წლის ხარ? ყოველთვის მეგონა, რომ დაახლოებით ოთხმოცის იქნებოდა, ჩემი ხნისა ან შეიძლება, უფრო უმცროსი, მაგრამ ამის მიხედვით...

- ორმოცი წლის ვიყავი, როცა ჯონ კოფიმ მწვანე გზაზე გაიარა, - ვთქვი მე, - 1892 წელს დავიბადე და თუ არ მეშლება, ახლა ას ოთხი წლის გამოვდივარ.

ელეინი ენაჩავარდნილი მომაშტერდა.

მე ხელნაწერის ბოლო ფურცლები გავუწოდე. გამახსენდა, როგორ შემეხო ჯონ კოფი საკანში. არ აფეთქდებიო, დამამშვიდა და გაეღიმა. მართლაც არ ავფეთქებულვარ. თუმცა, რაღაც დამემართა. რაღაც დაუსრულებელი...

- ბოლომდე წაიკითხე, - ვუთხარი, - რაც ვიცოდი, ყველაფერი აქაა ახსნილი.

- კარგი, - ჩურჩულით თქვა ელეინმა, - არ მოგატყუებ, ცოტა მეშინია... მაგრამ წავიკითხავ. შენ სად იქნები?

წამოვდექი. გავიზმორე. ზურგმა გაიტკაცუნა. ერთი ის ვიცოდი, რომ ეს სოლარიუმი უკვე გულს მირევდა.

- კროკეტის მოედანზე. კიდევ რაღაც დამრჩა შენთვის საჩვენებელი და იმ მხარესაა.

- საშიშია? - მის მორიდებულ მზერაში ის პატარა გოგონა ამოვიცანი, რომელიც იმ ეპოქაში ცხოვრობდა, როცა კაცებს ზაფხულში ჩალის ქუდები ეხურათ, ხოლო ზამთარში ენოტის ქურქები ეცვათ.

- არა, - გავუცინე, - საშიში არაა.

- კარგი, - ფურცლები აკრიფა ელეინმა, - ჩემს ოთახში წავიღებ. კროკეტის მოედანზე შეგხვდები დაახლოებით... - დასტა გა-

დაფურცლა, წაკითხვას რამდენ ხანს მოვუნდებიო, - ოთხისთვის? გაწყობს?

- კარგია, - იმ დროისთვის ცნობისმოყვარე ბრედ დოლანი უკვე წასული იქნებოდა.

ელეინმა ხელზე ხელი მსუბუქად მომიჭირა და გავიდა. კარგა ხანს გაუნძრევლად ვიდექი და მაგიდას დავყურებდი. ზედ მხოლოდ ცარიელი ლანგარი იდო, რომლითაც დილით ელეინმა საუზმე მომიტანა. მაგიდა ჩემი ქაღალდის ფურცლებისგან გასუფთავდა. მაინც ვერ ვიჯერებდი, რომ მოვრჩი... და როგორც ხედავთ, მას შემდეგ, რაც ჯონ კოფის სიკვდილით დასჯა აღვწერე და ბოლო ფურცლები ელეინს მივეცი, მაინც ვაგრძელებ. თითქმის მაშინვე მივხვდი ამის მიზეზს.

მიზეზი ალაბამაა.

გაცივებული პურის ბოლო ნაჭერი ავიღე, ქვემოთ ჩავედი და კროკეტის მოედნისკენ გავემართე. მზეში ვიჯექი და რამდენიმე წყვილსა და მხიარულ ოთხკაციან ჯგუფს ვადევნებდი თვალს. ბებრულ ცხოვრებაზე ვფიქრობდი და ბებერ ძვლებს ვითბობდი.

სამ საათზე ახალი ცვლა დაიწყო. ავტოსადგომზე დღის მორიგეების მანქანები თანდათან საღამოს მორიგეების მანქანებმა შეცვალა. ძირითადად, ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ, მაგრამ ბრედ დოლანი მარტო მიაბიჯებდა. ამან გამახარა. როგორც ჩანს, სამყარო მთლად არ დაქცეულა. შარვლის უკანა ჯიბიდან ანეკდოტების წიგნი ამოსჩროდა. ავტოსადგომისკენ მიმავალი გზა კროკეტის მოედნის გასწვრივაა და ბრედ დოლანმა დამინახა, მაგრამ ჩემთვის არც ხელი დაუქნევია, არც დაუბღვერია. ძალიანაც კარგი. თავის ძველ „შევროლეში“ ჩაჯდა, რომლის ბამპერზეც მიწებებულ სტიკერზე ეწერა: „მე ღმერთი მინახავს და მას ტრიტონი ჰქვია“. მანქანა დაქოქა და წავიდა იქ, სადაც მიდის ხოლმე, როცა აქ არ არის. უკან ძრავას იაფფასიანი ზეთის თხელი კვალი დატოვა.

როგორც შევთანხმდით, დაახლოებით ოთხი საათისთვის ელეინი შემომიერთდა. თვალებზე ეტყობოდა, რომ კიდევ იტირა. ხელები ზურგზე შემომხვია და მჭიდროდ მომეხუტა.

- საბრალო ჯონ კოფი, - თქვა მან, - და საბრალო პოლ ეჯკუმი.

„საბრალო პოლი“,- ჯენისის სიტყვები ჩამესმა ყურში.

ელეინი ისევ ატირდა. ჩახუტებულები ვისხედით მზით განათებულ კროკეტის მოედანზე. ჩვენი ჩრდილები თითქოს აცეკვდნენ ჩვენს საყვარელ მუსიკაზე, შორეულ წარსულში რადიოში რომ ვუსმენდით ხოლმე.

ბოლოს ელეინმა ძალა მოიკრიბა და წელში გასწორდა. კოფთის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა.

- ციხის უფროსის ცოლს რა შეემთხვა, პოლ? მელინდას რა ბედი ეწია?

- ინდიანოლის ექიმებმა მისი განკურნება სასწაულად შეაფასეს, - ვუპასუხე და ხელკავი გამოვდე. ავტოსადგომისგან მოშორებით, ტყის ბილიკისკენ გავუძეხი; იქით, საითაც „ჯორჯია პაინსსა“ და ახალგაზრდების სამყაროს შორის ორი მიტოვებული ფარდული იდგა.

- გულის შეტევით გარდაიცვალა და არა ტვინის სიმსივნით, ათი თუ თერთმეტი წლის შემდეგ, მგონი, 1943 წელს. ჰელი ტვინში სისხლჩაქცევამ იმსხვერპლა პერლ ჰარბორის დღეს თუ რამდენიმე დღით ადრე. ასე რომ, მელინდამ მის შემდეგ კიდევ ორი წელი იცოცხლა. ბედის ირონიაც ამას ჰქვია.

- და ჯენისი?

- ამაზე სასაუბროდ დღეს მზად არ ვარ, - ვუპასუხე, - სხვა დროს მოგიყვები.

- მპირდები?

- გპირდები, - მაგრამ ეს პირობა არ შემისრულებია. სამი თვის შემდეგ ელეინ კონელი ძილში გარდაიცვალა. მელინდა მურსი-

ვით მასაც ინფარქტმა დაარტყა. სანიტარმა, რომელმაც ის იპოვა, თქვა, მშვიდი სახე ჰქონდა, თითქოს ყველაფერი სწრაფად და უმტკივნეულოდ მოხდაო. იმედია, მართლაც ასე იყო. მიყვარდა ელეინი და მენატრება. მენატრება ელეინი, ჯენისი, ბრუტუსი და ყველა.

ტირიფების ჩრდილში მდგარ სახურავჩაქცეულ და ხისფანჯრებიან მეორე ფარდულთან მივედით. იქ კარისკენ წავედი. ოდნავ დამფრთხალი ელეინი ჩამომრჩა.

- ნუ გეშინია, - ვუთხარი, - შემოდი.

კარს ურდული აღარ ჰქონდა, ვიღაცას მოეგლიჯა, ამიტომ დაკეცილ მუყაოს ნაგლეჯს ვარჭობდი კარში მის დასაკეტად. კარი გავაღე და შიგნით შევედი. კარი ღია დავტოვე, რომ ოთახში შუქი შესულიყო.

- პოლ, ეს რა არის? ო. ოო! - მეორე „ოო“ წამოყვირებას ჰგავდა.

ოთახის ერთ კუთხეში მაგიდა იყო მიდგმული. ზედ ფანარი და ყავისფერი ქაღალდის პაკეტი იდო. ბინძურ იატაკზე „ჰავ-ა-ტამპას“ სიგარის კოლოფი იდო, რომელიც ერთ დისტრიბუტორს გამოვართვი, ჩვენს თავშესაფარში წვენებისა და ტკბილეულის ავტომატებს ხელახლა რომ ავსებს ხოლმე. მისი კომპანია თამბაქოს ნაწარმითაც ვაჭრობს და ვთხოვე, ჩემთვის სიგარის კოლოფი ეშოვნა. ჩემს დროს „ქოულდ მაუნთინში“ სიგარის კოლოფები ძვირად ფასობდა და ფული შევთავაზე, მაგრამ მას მხოლოდ გაეცინა და ფული არ გამომართვა.

სიგარის კოლოფიდან მოელვარე, ნახშირივით შავი თვალები შემოგვცქეროდა.

- მისტერ ჯინგლს, - ხმადაბლა დავუძახე, - აქ მოდი. აქ მოდი, შე ბებერო და ამ ქალბატონს დაენახვე.

ჩავიცუცქე - წელი კი მეტკინა, მაგრამ მაინც - და ხელი გავუშვირე. თავიდან მეგონა, რომ ამჯერად სიგარის კოლოფიდან ვე-

ღარ გადმოძვრებოდა, მაგრამ დიდი ძალისხმევის შედეგად, შეძლო. გვერდზე დაეცა, გადმოტრიალდა და ჩემთან მოცუნცულდა. ერთ-ერთი უკანა ფეხით კოჭლობდა. ტრავმამ, რომელიც პერსიმ მიაყენა, მისტერ ჯინგლსს სიბერეში შეახსენა თავი. ღრმა სიბერეში, თაგვისთვის შეუფერებელ ასაკში. ბალანი თავისა და კუდის გარდა ყველგან გასცვენოდა.

ჩემს ხელისგულზე ამოცოცდა. კისერი წაიგრძელა და ყურებგადაწეულმა ხარბად დამყნოსა. მეორე ხელი ელეინს გავუწოდე, რომელიც პირდაღებული, დაუფარავი გაკვირვებით უყურებდა თაგვს.

- შეუძლებელია, - ჩემმა მოძრაობამ გამოაფხიზლა ის, - პოლ, ნუთუ ეს... შეუძლებელია!

- ჯერ ამას შეხედე და ეგ მერე მითხარი.

ქაღალდის პაკეტიდან ძაფის კოჭი ამოვიღე. ეს ძაფის კოჭი მე თვითონ გავაფერადე, ოღონდ ფანქრებით კი არა, ფლომასტერებით, რომელზეც 1932 წელს არაფერი სმენოდათ. თუმცა, ეს კოჭი დელაკრუას ძაფის კოჭივით ჭრელი იყო. უფრო ჭრელიც კი. „Messieurs et mesdames! Bienvenue au cirque de mousie!“ - გავიფიქრე.

ისევ ჩავიცუცქე და მისტერ ჯინგლსი ჩემი ხელისგულიდან გადაცოცდა. მოხუცი იყო, მაგრამ ძველებურად მოუსვენარი. როგორც კი ქაღალდის პაკეტიდან ძაფის კოჭი ამოვიღე, ყველაფერი გადაავიწყდა. კოჭი ფარდულის ოღროჩოღრო, ნახევრად აცვენილ იატაკზე გავაგორე და მაშინვე უკან გაეკიდა. ძველებურად სწრაფად ვეღარ დარბოდა და საშინლად კოჭლობდა, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, ის ხომ ბებერი იყო, თაგვის კვალობაზე ნამდვილი მათუსალა! სულ ცოტა, სამოცდაოთხი წლის მაინც იქნებოდა.

ძაფის კოჭი კედელს დაეტაკა და ასხლტა. მისტერ ჯინგლსმა კოჭს გარს შემოუარა და მის გვერდით წამოწვა. ელეინმა ნაბიჯი

გადმოდგა, მაგრამ შევაჩერე. წუთის შემდეგ მისტერ ჯინგლსმა ძალ-ღონე მოიკრიბა, კოჭს ცხვირით მიაწვა და ნელ-ნელა გამოაგორა ჩვენკენ. „ჯორჯია პაინსში“ რომ პირველად გამოჩნდა - სამზარეულოს კიბის საფეხურთან ეგდო, თითქოს შორი გზა გამოუვლია და ძალა გამოცლიაო - ჯერ კიდევ ახერხებდა თათების დახმარებით კოჭის გამოგორებას, როგორც წლების წინ მწვანე გზაზე, მაგრამ ახლა ამის ძალა აღარ შერჩენოდა; უკანა ფეხები ამხელა დატვირთვას ვერ გაუძლებდა. თუმცა, ცხვირს მოხერხებულად იყენებდა. ხან ერთი მხრიდან მიაწვებოდა ხოლმე, ხან - მეორედან, რომ ძაფის კოჭს მიმართულებიდან არ გადაეხვია. როცა ჩვენამდე მოვიდა, ცალი ხელით მისტერ ჯინგლსი ავიყვანე (ბუმბულივით მსუბუქი იყო), მეორით ძაფის კოჭი ავიღე. თაგვი შავ თვალებს არ მაშორებდა.

- ამას ნუღარ იზამ, პოლ, - მთხოვა ელეინმა, - მძიმე საყურებელია.

მივხვდი, ელეინი რასაც გრძნობდა, მაგრამ მისტერ ჯინგლსს კი არ უმძიმდა, პირიქით, მოსწონდა კოჭის დევნა და უკან გამოგორება. ამდენი წლის შემდეგაც კი. ნეტა ყველა ჩვენგანს ჰქონდეს ასეთი გატაცება.

- პაკეტში პიტნის კანფეტებიც დევს, - ვუთხარი ელეინს, - დღემდე გიჟდება მათზე. რომ გავუწოდო, მათი ყნოსვით არ დაიღლება. თუმცა, ამ ბოლო დროს მონელება უჭირს, ამიტომ პურის ნამცეცებს ვუყრი ხოლმე.

ისევ ჩავიცუცქე და იატაკზე სოლარიუმიდან წამოღებული პურის ნატეხი დავუგდე. მისტერ ჯინგლსმა ნატეხი დაყნოსა, წინა თათებით აიღო და ნელ-ნელა შეჭამა. კუდი გარს კოხტად შემოეხვია. ჭამას რომ მორჩა, მოლოდინით აღსავსე მზერა მომაპყრო.

- ზოგჯერ, მოხუცები ჩვენი უზომო მადით ვაკვირვებთ ხოლმე სხვებს, - ვუთხარი ელეინს და პურის ნაჭერი გავუწოდე, - ახლა შენ სცადე.

ელეინმა პურის ნატეხი იატაკზე დააგდო. მისტერ ჯინგლსმა დაყნოსა, ელეინს შეხედა... მერე პურის ნატეხი აიღო და ცმუცნა დაიწყო.

- ხედავ? ხვდება, რომ დროებითი თანამშრომელი არ ხარ.

- აქ საიდან გაჩნდა, პოლ?

- წარმოდგენა არ მაქვს. ერთხელ დილით სასეირნოდ რომ მივდიოდი, სამზარეულოს კიბის საფეხურთან დამხვდა. მაშინვე მივხვდი, რომ მისტერ ჯინგლსი იყო, მაგრამ სამრეცხაოდან ძაფის კოჭი მაინც გამოვიტანე. სიგარის კოლოფიც ვიშოვე მისთვის. შიგ რბილი ნაჭრები ჩავუფინე. ისიც ჩვენსავითაა, ელეინ, უმეტეს დროს ამ უღიმღამო თავშესაფარში ატარებს. თუმცა, ცხოვრების ხალისი არ დაუკარგავს. ძაფის კოჭის დევნა და ძველ ნაცნობთან შეხვედრა ისევ უყვარს. სამოცი წელი ვინახავდი ჯონ კოფის ამბავს საიდუმლოდ და მხოლოდ ახლა გავამხილე. რატომღაც მგონია, რომ მისტერ ჯინგლსი სწორედ იმიტომ დაბრუნდა, რომ ჩემთვის ეთქვა, იჩქარე, სანამ დრო გაქვსო. მან იცის, მალე მეც მის გზას დავადგები.

- რომელ გზას?

- თავადაც ხვდები, - ვუთხარი ელეინს და ორივენი კარგა ხანს უსიტყვოდ ვაკვირდებოდით მისტერ ჯინგლსს. მერე სრულიად უმიზეზოდ, მიუხედავად იმისა, რომ ელეინმა მთხოვა ამას ნუღარ იზამო, ძაფის კოჭი ვისროლე. ან შეიძლება იმიტომ ვისროლე, რომ მისტერ ჯინგლსისთვის კოჭის დევნა იგივე იყო, რაც მოხუცებისთვის ნელი და ფრთხილი სექსი - ამის ნახვა, ალბათ, არ მოგინდებათ თქვენ, ახალგაზრდებს და თავდაჯერებულებს იმაში, რომ როცა დაბერდებით, თქვენთვის გამონაკლისი დაიშვება,

მაგრამ რაოდენ სასაცილოც უნდა გეჩვენებოდეთ, მოხუცებსაც უნდათ სექსი.

მისტერ ჯინგლსი მაშინვე კოჭს გამოუდგა. აშკარად გაჭირვებით, მაგრამ მაინც ძველებური შემართებით.

- ქარსის ფანჯრები, - ჩურჩულით თქვა ელეინმა.

- ქარსის ფანჯრები, - გავიმეორე ღიმილით.

- ჯონ კოფი თაგვს შეეხო ისევე, როგორც შენ. მან არა მხოლოდ განგკურნა, არამედ... გამძლედ გაქცია?

- ჰო, მგონი, შესაფერისი სიტყვაა.

- გამძლედ ისეთი ავადმყოფობების მიმართ, ჩვენ რომ ტერმიტებიან ხესავით წაგვაქცევს ხოლმე. შენც განგკურნა და... მისტერ ჯინგლსიც, როცა ის ხელში აიყვანა.

- მართალია. თუმცა, ძალისგან, რომელიც ჯონ კოფიმ შთაგვბერა - ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია - თანდათან ვიცლებით. ტერმიტებმა ქერქი დაგვიღრღნეს. ჩვენ სხვებზე მეტხანს გავძელით, მაგრამ ჩვენს გულამდეც მოაღწიეს. ალბათ რამდენიმე წელი კიდევ დამრჩა, ადამიანები ხომ თაგვებზე დიდხანს ცოცხლობენ. აი, მისტერ ჯინგლსის დღეები კი უკვე დათვლილია.

მისტერ ჯინგლსმა კოჭამდე მიაღწია, გარს შემოუარა და მის უკან წამოწვა. ცოტა ხანს სულს ითქვამდა (ვხედავდით, მძიმედ სუნთქვისას როგორ იბურგძლებოდა მისი მეჩხერი ბალანი), მერე წამოდგა და ცხვირით კოჭს მიაწვა. ბალანი გასცვენოდა, სიარული უჭირდა, მაგრამ ნახშირივით შავი თვალები მაინც ძველებურად უელვარებდა.

- მაშ, გგონია, აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ მოგონებები დაგეწერა, პოლ? - მკითხა ელეინმა.

- ეს მისტერ ჯინგლსს კი არა, იმ ძალას უნდოდა, რომელმაც...

- პოლი აქ ყოფილა და ელეინ კონელიც! - ცინიზმით აღსავსე ხმა გაისმა. - დაუჯერებელია! აქ რას აკეთებთ?

სულაც არ გამკვირვებია, რომ უკან მიტრიალებულმა კართან მდგარი ბრედ დოლანი დავინახე. თვითკმაყოფილი ჩანდა და ნიშნისმოგებით იღიმებოდა, ხომ გაგაცურეთო. ჩვენთვის თვალის ასახვევად ნეტა რამდენი იარა, სანამ უკან გამობრუნდებოდა? ალბათ, ბარში ერთი-ორი კათხა ლუდი დალია და სტრიპტიზბარშიც შეიარა.

- წაეთრიე აქედან! - მკაცრად უთხრა ელეინმა. - ახლავე!

- ნუ მიყვირი, შე ბებერო ძუკნავ, - სახიდან ღიმილის მოუშორებლად შეეპასუხა ბრედ დოლანი, - მოხუცთა თავშესაფარში კი არ ვართ, აქ თქვენი ყოფნა არ შეიძლება. რაო, სასიყვარულო ბუდე მოიწყვეთ, პოლი? ამიტომ დადიხარ აქ? ეს რა, პლეიბოის ოთახია ბებრებისთვის? - უცებ ფარდულის ბინადარი დაინახა და თვალები გაუფართოვდა. - ეს რა ჯანდაბაა?

არც კი მივტრიალებულვარ, ისედაც მივხვდი, რა დაინახა. ჯერ ერთი, ვიცოდი, ამ ფარდულში რაც ცხოვრობდა, მერე მეორე, უეცრად წარსული აწმყოს შეერწყა და საშინლად რეალური, სამგანზომილებიანი სურათი დამიდგა თვალწინ. ბრედ დოლანი პერსი უეტმორად იქცა. ვიფიქრე, ახლა თაგვს მივარდება და გასრესს, ოღონდ ამჯერად ჯონ კოფი მხსნელად ვერ მოევლინებამეთქი. ჯონ კოფი არც იმ წვიმიან დღეს ყოფილა ალაბამაში, როცა მისი დახმარება ძალიან მჭირდებოდა.

წამოვხტი - სახსრების ტკივილი საერთოდ გადამავიწყდა - და დოლანისკენ გავიქეცი.

- თავი დაანებე! - დავუყვირე. - პერსი, თაგვს არ შეეხო, თორემ ღმერთს გეფიცები...

- პერსის რატომ მეძახი? - მკითხა ბრედმა და ისე ძლიერად მიბიძგა, რომ კინაღამ წავიქეცი. ელეინმა ხელი ჩამავლო და დამიჭირა. წარმომიდგენია, ამ დროს რამხელა ტკივილს იგრძნობდა. - ამას უკვე მეორედ აკეთებ. კარგი, შიშით შარვალში ნუღარ ჩა-

იფსამ, არ შევეხები. რაღა საჭიროა, მღრღნელი ისედაც მკვდარი გდია კუთხეში.

მეგონა, მისტერ ჯინგლსი გვერდზე ეგდო და სულს ითქვამდა. თუმცა, მკერდი აღარ უფანცქალებდა. ვიფიქრე, ეტყობა, წესიერად ვერ ვხედავ-მეთქი, მაგრამ უეცრად ელეინი აქვითინდა. გაჭირვებით დაიხარა და ხელში აიყვანა თაგვი, რომელიც პირველად მწვანე გზაზე ვიხილე, როცა უშიშრად მოცუნცულდა მორიგის მაგიდასთან, თითქოს მეგობრებს ესტუმრაო. ახლა ელეინის ხელისგულზე უღონოდ ესვენა. თვალები დანისლოდა და გაშტერებოდა. მისტერ ჯინგლსი მოკვდა.

დოლანმა უშნოდ გაიღიმა და გამოაჩინა კბილები, რომლებიც სტომატოლოგთან აშკარად არ ახლობლობდნენ.

- ო, თუ ღმერთი გწამთ, რა! - თქვა მან. - საყვარელი ფინია გარდაიცვალა? პანაშვიდი ხომ არ გადავუახდოთ, დაკრძალვაზე ქაღალდის ყვავილები მოვიტანოთ...

- მოკეტე! - ისე მკაცრად და ხმამაღლა დაუყვირა ელეინმა, რომ ბრედ დოლანს სახეზე ღიმილი შეაშრა და შეშინებულმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. - წაეთრიე აქედან! წაეთრიე, თორემ ამ სამსახურის სამუდამოდ დატოვება მოგიწევს! ერთ საათში გაგაგდებენ! გეფიცები!

- უფასო სასადილოში პურის ნაჭერსაც ვერ მიიღებ, - დავამატე, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ არც ერთს არ გაუგია. ელეინის ხელისგულზე დასვენებულ მისტერ ჯინგლსს თვალს ვერ ვაშორებდი. მსოფლიოში ყველაზე პატარა დათვის ტყავის ხალიჩას ჰგავდა.

ბრედი დაფიქრდა, ხომ არ შევეპასუხო, ტყუილსა და „ჯორჯია პაინსის“ მცხოვრებლებისთვის აკრძალულ ტერიტორიაზე ხეტიალში ხომ არ დავადანაშაულოო, მაგრამ გადაიფიქრა. გულის სიღრმეში ისიც პერსივით მშიშარა იყო. თანაც, ალბათ, გადაამოწმა, რომ ელეინის შვილიშვილი მართლაც მნიშვნელოვან თა-

ნამდებობაზე მუშაობდა. თუმცა, პირველ ყოვლისა, ალბათ, იმან დაამშვიდა, რომ ცნობისმოყვარეობა უკვე დაკმაყოფილებული ჰქონდა. ამდენი თვალთვალის შემდეგ გაირკვა, რომ პოლის საიდუმლო დიდი ვერაფერი ყოფილა. ფარდულში ვიღაც მოხუცის მოშინაურებული თაგვი ცხოვრობდა და ისიც მის თვალწინ მოკვდა, ჭრელი კოჭის თრევისას გული გაუსკდა.

- ვერ გამიგია, ასე რამ გაგანაწყენათ, - თქვა მან, - ძაღლი რომ ყოფილიყო, კიდევ მესმის.

- გაეთრიე, - მიახალა ელეინმა, - გაეთრიე, შე უგუნურო. მახინჯი და უკუღმართი სული გქონია.

დოლანი წამოწითლდა და იმ ადგილას, სადაც ადრე ყმაწვილური მუწუკები ჰქონდა, მუქი წითელი ლაქები დაემჩნა. სხვათა შორის, ძალიან ბევრი.

- წავალ, - თქვა მან, - მაგრამ როცა ხვალ აქ მოხვალ, პოლი, კარზე ახალი საკეტი დაგხვდება. აქ ხეტიალი „ჯორჯია პაინსის“ მობინადრეებისთვის აკრძალულია! ამ გადარეულმა ქალმა რაც უნდა, ის თქვას ჩემზე. იატაკს შეხედეთ! სულ დამპალი და დაბზარულია! ფეხი რომ ჩაგივარდეთ, ეგ ბებერი ძვლები ხის ტოტებივით დაგემტვრევათ. ასე რომ, წაიღეთ ეგ მკვდარი თაგვი, თუ ეგრე ძალიან გინდათ, და მოშორდით აქედან! შეყვარებულების ქოხი ამიერიდან სამუდამოდ იკეტება.

ზურგი გვაქცია და იმ ადამიანის გამომეტყველებით გაგვეცალა, რომელსაც სწამს, რომ სულ ცოტა, ყაიმს მაინც მიაღწია. დავიცადე, სანამ თვალს მიეფარებოდა და ელეინს ნაზად გამოვართვი მისტერ ჯინგლსი. უცებ თვალი პიტნის კანფეტებიანი ქაღალდის პაკეტისკენ გამექცა და თავი ვეღარ შევიკავე. ავტირდი. არ ვიცი, ამ ბოლო დროს, ყველაფერზე მეტირება.

- ძველი მეგობრის დასაფლავებაში მომეხმარები? - ვკითხე ელეინს, როცა ბრედ დოლანის ნაბიჯების ხმა მიწყდა.

- კი, პოლ, - მითხრა ელეინმა, ხელები წელზე მომხვია და თავი მხარზე დამადო. ბებერი, დაკოჟრილი თითი მისტერ ჯინგლსის უსულო სხეულს ნაზად გადაუსვა, - სიამოვნებით.

მებაღის საწყობიდან ბარი წამოვიღეთ და ხეების წაგრძელებული ჩრდილების ქვეშ დელაკრუას შინაური თაგვი დავმარხეთ. მერე მოხუცთა სახლში წავედით სავახშმოდ და დარჩენილი სიცოცხლის ერთფეროვნებასთან დასაბრუნებლად. გზაში ჩემს კაბინეტში მუხლებზედამდგარი და ხელებგადაჭდობილი დელაკრუა გამახსენდა. გამახსენდა, როგორ მთხოვა, მისტერ ჯინგლსს გაუფრთხილდით, იმ საძაგელმა არაფერი ავნოსო. თუმცა, იმ საძაგელმა შეძლო და ბოლოს მაინც ყველას გვავნო.

- პოლ, - გადაღლილი, მაგრამ კეთილი ხმა ჰქონდა ელეინს. როგორც ჩანს, ჩვენნაირი ბებრებისთვის ბარით საფლავის გათხრა და შიგ თაგვის ჩამარხვაც კი მეტად ამაღელვებელი რამაა, - კარგად ხარ?

- კი, კარგად ვარ, - წელზე შემოხვეული ხელი ნაზად მოვუჭირე.

- შეხედე, ლამაზი დაისი იქნება, - შენიშნა მან, - ხომ არ დავრჩეთ და ერთად ვუყუროთ?

- კარგი, დავრჩეთ, - დავთანხმდი და მინდორზე დავრჩით. ერთმანეთს მიხუტებულები ვიდექით და ვუყურებდით, როგორ აბრჭყვიალდა ცა ჯერ ნათელ ფერებად და მერე როგორ შეიღება ნაცრისფრად.

Sainte Marie, Mere de Dieu, priez pour nous, pauvres pécheurs, maint'ant et l'heure de notre mort.

ამინ!

# 13

1956 წელი.

ალაბამაში წვიმდა.

ჩვენმა მესამე შვილიშვილმა, ლამაზმა ტესამ ფლორიდის უნივერსიტეტი დაამთავრა და დიპლომის გადაცემის ცერემონიალზე დასასწრებად გავემგზავრეთ.

ავტობუსით ვმგზავრობდით. მაშინ სამოცდაოთხი წლის ვიყავი, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცი; ჯენისი ორმოცდაცხრამეტი წლის იყო და ძველებურად ლამაზი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც. ბოლო ადგილებზე ვისხედით. ჯენისი მებუზღუნებოდა, ახალი ფოტოკამერა რატომ არ მიყიდე ამ საზეიმო ღონისძიების გადასაღებადო. პირი გავაღე, რომ მეთქვა, იქ ერთი დღით ადრე ჩავალთ და ფოტოკამერის ყიდვას მოასწრებ-მეთქი. ვიცი, ავტობუსით მგზავრობა ეზარებოდა, მით უმეტეს, რომ გზაში წასაკითხად წამოღებულმა წიგნმაც (მგონი, პერი მეისონზე[37] იყო) ვერ დააინტერესა და ამიტომ ბუზღუნებდა. სწორედ ამ მომენტში ჩემს გონებაში თეთრი ლაქა ჩნდება, როგორც ფირზე, რომელიც დღის სინათლეზე დატოვეს.

გახსოვთ ის ავარია? შეიძლება ზოგიერთ თქვენგანს ახსოვდეს. მთელი ქვეყნის გაზეთების პირველ გვერდებზე დაიწერა მის შესახებ. ის იყო, თავსხმა წვიმაში ქალაქ ბირმინგემს გავცდით და ჯენისმა კიდევ ერთხელ დაიწუწუნა ძველ ფოტოკამერაზე, რომ საბურავი გასკდა. ავტობუსი სველ ასფალტზე მოსრიალდა და სასუქით დატვირთულ სატვირთოს გვერდულად შეეჯახა. სატვირთომ ავტობუსი 100 კმ/სთ სიჩქარით მიანარცხა ბეტონის ხიდის ბურჯს და შუაზე გახლიჩა. წვიმის წვეთებით დაცვარული ავტობუ-

[37] ერლ გარდნერის დეტექტიური რომანების მთავარი გმირი, ადვოკატი ქალი.

სის ორი ნახევარი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით გაბზრიალდა. დიზელისავზიანი ნაწილი აფეთქდა და ნაცრისფერი ღრუბლებით დაფარულ ცაში მუქი წითელი ცეცხლის ალი ავარდა. ერთ წამს ჯენისის წუწუნს ვუსმენდი, მეორე წამს ხიდის ქვეშ გამავალი გვირაბის მეორე ბოლოში აღმოვჩნდი და ვიღაცის ჩემოდნიდან ამოვარდნილ ლურჯ ნეილონის საცვალს ვუყურებდი. ზედ შავი ძაფით „ოთხშაბათი“ იყო ამოქარგული. ყველგან გახსნილი ჩემოდნები ეყარა. ჩემოდნები და გვამები. სხეულის ნაწილები. იმ ავტობუსში სამოცდათოთხმეტი მგზავრი იჯდა და მათგან მხოლოდ ოთხი გადარჩა. ერთ-ერთი მე ვიყავი. სერიოზულად არც კი დავშავებულვარ.

წამოვდექი და გამსკდარ ჩემოდნებსა და გვამებს შორის ჩემი ცოლის ძებნა დავიწყე. ხმამაღლა ვეძახდი. მახსოვს, მაღვიძარას ვკარი ფეხი და შუშის ნამსხვრევებში პირქვე ჩამხობილ, ნახევარსახემოგლეჯილ ცამეტი წლის ბიჭს გვერდი ავუარე. სახეზე წვიმის წვეთები წურწურით მდიოდა. მერე გვირაბში შევედი და მცირე ხნით წვიმამ გადაიღო. გვირაბის მეორე ბოლოდან გამოსულს წვიმა ისევ სახეში დამეტაკა. გადაბრუნებული სასუქის

სატვირთო მანქანის დამსხვრეულ კაბინასთან ჯენისი ეგდო. წითელი კაბით ვიცანი. ეს მისი მეორე საუკეთესო კაბა იყო. პირველს დიპლომების გადაცემის ცერემონიალისთვის ინახავდა.

ჯერაც ცოცხალი იყო. ბევრჯერ მიფიქრია, აჯობებდა - მისთვისაც და ჩემთვისაც - სწრაფად მომკვდარიყო-მეთქი. ასე უფრო იოლად და ბუნებრივად დავთმობდი და შეველეოდი. ან შეიძლება, მხოლოდ თავს ვიტყუებ ამაზე ფიქრით. სიმართლე კი ისაა, რომ დღემდე ვერ ველევი მას.

ცახცახებდა. ცალი ფეხსაცმელი გასძრობოდა და ვხედავდი, როგორ ირხეოდა მისი ტერფი. თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ მზერა - უსიცოცხლო. მარცხენა თვალი ჩასისხლიანებოდა. კვამლის სუნით გაჟღენთილ წვიმაში მისი აცხცახებული ფეხის შემ-

ხედვარემ, წარმოვიდგინე, რომ ჩართულ ელექტროსკამზე იჯდა. სასწრაფოდ უნდა გამომერთო ჩამრთველი.

- მიშველეთ! - დავიყვირე. - ვინმემ მიშველეთ!

არავინ დამხმარებია. არავინ მოსულა. წვიმამ ასაკისთვის შეუფერებელი, ჯერაც შავი თმა შუბლზე მიმაწება. ჯენისის ხელები ხელში მეჭირა და მშველელს ველოდი, მაგრამ არავინ მოვიდა. უსიცოცხლო თვალებით უაზროდ მომჩერებოდა. გატეხილი თავიდან სისხლის ნიაღვარი სდიოდა. დაკრუნჩხული, აცახცახებული ხელის გვერდით მოქრომული ლითონის ნატეხი ეგდო და ზედ „გრეი“ ეწერა. იქვე ეგდო ის, რაც ერთ დროს ყავისფერ კოსტიუმში გამოწკეპილი ბიზნესმენისგან გადარჩა.

- დამეხმარეთ! - ისევ დავიყვირე და გვირაბისკენ გავიხედე. იქ, გვირაბის ჩრდილში ჯონ კოფი იდგა, თავადაც აჩრდილი, გოლიათი გრძელი ხელებითა და მოტვლეპილი თავით.

- ჯონ! - ავკივლდი. - ო, ჯონ, გთხოვ, დამეხმარე! გთხოვ, ჯენისს დაეხმარე!

თვალები წვიმის წვეთებით ამევსო. ამოვიწმინდე და ჯონი გაქრა. ნათლად დავინახე ჩრდილი, რომელიც ჯონ კოფიდ მივიჩნიე. მაგრამ, არა, ეს მხოლოდ ჩრდილი არ ყოფილა, დარწმუნებული ვარ. ის იქ იდგა. შეიძლება მოჩვენება იყო, მაგრამ იქ იდგა და მისი ცრემლები წვიმის წვეთებში ირეოდა.

ჯენისი ხელში ჩამაკვდა აალებული დიზელის მყრალ სუნში, გადაყირავებული სატვირთოს გვერდით. გონს არ მოსულა. თვალები არ დაუხამხამებია და არც ტუჩები აუმოძრავებია, რომ უკანასკნელად აეხსნა ჩემთვის სიყვარული. ჩემს ხელში დაუარა სხეულში უკანასკნელმა სპაზმებმა და მოკვდა. წლების შემდეგ პირველად გამახსენდა საწოლში წამომჯდარი მელინდა მურსი, რომელსაც ინდიანოლის მთავარი საავადმყოფოს ექიმებმა გადარჩენის იმედი გადაუწურეს; მელინდა მურსი, რომელიც გამოჯანმრთელებული და მოღონიერებული, ნათელი თვალებით უყუ-

რებდა ჯონ კოფის. მელინდამ უთხრა, მე და შენ სიბნელეში დავეხეტებოდით და იქ ერთმანეთს შევხვდითო.

ჩემს საბრალო ცოლს თავი სველ ასფალტზე დავადებინე, წამოვდექი (არ გამჭირვებია; მხოლოდ მარცხენა ხელი გამკაწვროდა ოდნავ) და გვირაბისკენ მიტრიალებულმა დავიყვირე:

- ჯონ! ჯონ კოფი! სად ხარ, დიდი ბიჭო?

გვირაბისკენ წავედი. წიხლი ამოვარტყი სისხლით მოთხვრილ სათამაშო დათუნიას, ცალ მინაჩამტვრეულ სათვალეს და მოგლეჯილ ხელს, რომლის თითსაც ძოწისთვლიანი ბეჭედი ამშვენებდა.

- შენ ხომ ჰელის ცოლი გადაარჩინე! ჩემსას რატომ არ დაეხმარე? ჯენისი რატომ არ იხსენი? ჩემი ჯენისი რატომ არ იხსენი?

პასუხი არავის გაუცია; მხოლოდ დიზელი და გარდაცვლილთა გვამები იწვოდა და ნაცრისფერი ციდან ასფალტს აწვიმდა. ჩემი გარდაცვლილი ცოლი გზაზე ეგდო. არავინ მიპასუხა მაშინ და არც დღეს მაქვს პასუხი. რასაკვირველია, ჯონ კოფის მხოლოდ მელინდა მურსი არ გადაურჩენია; ან დელაკრუას თაგვი, რომელიც ძაფის კოჭით თვალსასეირო ტრიუკებს აკეთებდა და რომელიც ჯერ კიდევ დელაკრუას გამოჩენამდე დაეძებდა მას... დაეძებდა დიდი ხნით ადრე, სანამ ჩვენს ბლოკში ჯონ კოფი გამოჩნდებოდა.

ჯონმა მეც გადამარჩინა და ალაბამაში, იმ თავსხმაში დაღუპულთა ცხედრებსა და მიმოფანტულ ბარგს შორის მდგარი საშინელ რამეს მივხვდი: ზოგჯერ სამუდამო ხსნასა და სამუდამო წაწყმედას შორის არანაირი განსხვავება არ არის.

1932 წლის 18 ნოემბერს საკანში საწოლზე ჯონ კოფის გვერდით ჩამომჯდარმა ვიგრძენი, რომ მისი ხელიდან ჩემს სხეულში რაღაც უჩვეულო ძალა ჩაიღვარა - ვერც ერთი შეხებით ვერ გაუზიარებ სიყვარულს, იმედს და კეთილ განზრახვებს სხვას ისე, როგორც მან გამიზიარა. თავიდან მხოლოდ მსუბუქი ჟრჟოლა

ვიგრძენი და მერე მთელი სხეული წალეკა იმ უჩვეულო შეგრძნებამ, რომლის მსგავსიც არც მანამდე განმეცადა და არც მას შემდეგ. იმ დღიდან არც ფილტვების ანთება მქონია, არც გრიპი და აღარც - ანგინა. უბრალო ინფექციაც კი არ შემჭრია ჭრილობაში, საშარდე გზების ინფექციაზე რომ არაფერი ვთქვა. გაციებით კი ვცივდებოდი, მაგრამ ექვს-შვიდ წელიწადში ერთხელ. ამბობენ, იმას, ვინც ხშირად არ ცივდება, უფრო სერიოზული სნეულება შეიძლება შეეყაროსო, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ასე არ ყოფილა. ერთხელ, იმ საშინელ 1956 წელს, ოღონდ ჯენისის დაღუპვამდე, კენჭის გავლა მქონდა და, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მკითხველებო, კენჭის გავლით გამოწვეული ტკივილით სიამოვნებას განვიცდიდი. მთელი ოცდაოთხი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც საშარდე გზების ინფექციისგან განვიკურნე, სერიოზული ტკივილი არ განმეცადა. ავადმყოფობებმა, რომლებმაც მეგობრები და საყვარელი ადამიანები წამართვა და სრულიად მარტო დამტოვა - ინსულტებმა, კიბოებმა, ინფარქტებმა, ღვიძლის და სისხლის დაავადებებმა - ხელი არ მახლო, გვერდი ამიარა, როგორც მძღოლი უვლის გვერდს გზაზე გამომხტარ ირემს ან ენოტს. სერიოზულ ავტოავარიასაც კი მხოლოდ გაკაწრული ხელით გადავურჩი. შეიძლება ითქვას, 1932 წელს ჯონ კოფიმ სიცოცხლით დამასნებოვნა. რასაკვირველია, ოდესმე აუცილებლად მოვკვდები - თუ უკვდავებაზე რამე ილუზია მქონდა, მისტერ ჯინგლსთან ერთად გარდაიცვალა - მაგრამ ვნატრობ, უფრო ადრე მოვკვდე, სანამ სიკვდილი თვითონ მომაგნებს. სიმართლე გითხრათ, ელეინ კონელის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ სიკვდილზე ვოცნებობ!

აცახცახებული ხელით ვფურცლავ ჩემს ნაწერს და ვფიქრობ, აქვს კი მას რამე შინაარსი, როგორც წიგნებს, რომლებმაც უნდა გაგანათლონ და გაგაკეთილშობილონ. მახსენდება წირვები და ქადაგებები, ეკლესიაში რომ ვისმენდი. მღვდელი ამბობდა,

ღმერთს მახვილი მზერა აქვს და თავის ქმნილებათაგან ყველაზე უმცირესსაც კი მუდამ თვალს ადევნებსო. როცა მისტერ ჯინგლსს და ჭერში ნაპოვნი ძაფის კოჭის ნამსხვრევებს ვიხსენებ, ამ სიტყვების მჯერა. თუმცა, სწორედ იმავე ღმერთმა გაწირა ჯონ კოფი, რომელიც მხოლოდ სიკეთის ქმნას ცდილობდა... გაწირა ისე, როგორც რომელიმე ბიბლიური წინასწარმეტყველი სწირავდა დაუცველ კრავს... როგორც აბრაამი გაწირავდა საკუთარ ძეს, უფალს რომ ებრძანებინა მისთვის. მახსენდება ჯონის სიტყვები, უორტონმა დები დეტერიკები მათივე ურთიერთსიყვარულის მეშვეობით მოკლა და მთელს მსოფლიოში ასე ხდებაო. თუ ხდება, მაშასადამე, ღვთის ნებით ხდება, ხოლო როცა ვამბობთ, ვერ ვხვდებიო, ღმერთი პასუხობს, არ მადარდებსო.

ვიხსენებ მისტერ ჯინგლსს, რომელიც მაშინ მოკვდა, როცა მისგან ზურგშექცევით ვიდექი და ჩემი ყურადღება უკეთურ, შურისძიების სურვილით შეპყრობილ ადამიანს ჰქონდა მიპყრობილი; ვიხსენებ ჯენისს, რომელმაც ჩემს ხელებში უგონოდ, კრუნჩხვებში ჩავარდნილმა დალია სული.

შეჩერდი-მეთქი, ვცდილობდი შემეჩერებინა იმ დღეს ჯონ კოფი. გამიშვი, თორემ დავიხოცები ან ავფეთქდები-მეთქი, მინდოდა გამეფრთხილებინა.

„არ აფეთქდები“, - ჩემი აზრები წაიკითხა და გამიღიმა მან.

საშინელება ისაა, რომ მართლაც არ ავფეთქებულვარ. გადავრჩი.

თუმცა, სხვა მოხუცების მსგავსად, ერთი სენი მეც მაწუხებს: უძილობა. გვიან ღამით საწოლში ვფხიზლობ და ვუსმენ მოხუცი კაცების და ქალების სევდიან და უიმედო ხმებს, ხველებ-ხველებით რომ მიიკვლევენ გზას კიდევ უფრო ღრმა სიბერისკენ. ხან სანიტარის მოსახმობი ზარის ხმა მესმის, ხან - მისის ჯევიტსის პატარა ტელევიზორის, რომელშიც შუაღამის საინფორმაციო გამოშვება გადის, ხანაც - დერეფანში ვიღაცის ფრატუნი. ვწევარ და, თუ

ფანჯარაში მთვარე ჩანს, მას ვუყურებ. ვწევარ და ვიხსენებ ბრუტუსს და დინს, ზოგჯერ უილიამ უორტონის სიტყვებს - მართალს ამბობ, ზანგო, ისეთი ცუდი ვარ, შენ ვერც კი წარმოიდგენო. ვიხსენებ დელაკრუას სიტყვებს - შეხედეთ, ბოს ეჯკუმ, მისტერ ჯინგლსმა ახალი ტრიუკი ისწავლაო. ვფიქრობ ელეინზე, რომელიც სოლარიუმში ბრედ დოლანს უყვირის, პოლს თავი დაანებეო. ზოგჯერ ჩამეძინება და გვირაბის ჩრდილში მდგარი ჯონ კოფი მესიზმრება. არა, ის ღამეული ზმანება სულაც არაა. ვიცი, რომ ნამდვილია. ნამდვილად ის გოლიათი შავკანიანია, მე რომ ვიცნობდი. დგას და მიყურებს. მე საწოლში ვწევარ და ვიცდი. ვიხსენებ ჯენისს, რომელიც იმ წვიმიან დღეს ხელში ჩამაკვდა და ვიცდი. ვიცი, ყველა სიკვდილის შვილები ვართ, სიკვდილს ვერავინ წაუვა, მაგრამ, ღმერთო, ზოგჯერ მწვანე გზას ბოლო არ უჩანს.